



IV. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
ARN. CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ
ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ ИМ. АРН. ЧИКОБАВА

IBERO-CAUCASIAN LINGUISTICS

XL

Иберийско-кавказское языкознание

XL

Tbilisi 2012 Тбилиси

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XL

თბილისი
2012

მთავარი რედაქტორი

ვაჟა შენგელია

Editor-in-chief

Vazha Shengelia

სარედაქციო კოლეგია

ავთანდილ არაბული
მარინე ბერიძე
გიორგი გოგოლაშვილი
ლალი ეზუგბაია
თამარ ვაშაკიძე
გუჩა კვარაცხელია
ნანა მაჭავარიანი
ლია ქაროსანიძე
მედეა ლლონტი
მერაბ ჩუხუა

Editorial Board

Avtandil Arabuli
Marine Beridze
Giorgi Gogolashvili
Lali Ezugbaia
Tamar Vashakidze
Gucha Kvaratskhelia
Nana Machavariani
Lia Karosanidze
Medea Glonti
Merab Chukhua

მისამართი :

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ. 8
არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s :

0108 Tbilisi, Ingorokva str. 8
Arn. Chikobava Institute
of Linguistics

E-mail: kontakt@ice.ge

რეცენზენტები

ლატავრა სანიკიძე
ცირა ჯანჯავა

Reviewers

Latavra Sanikidze
Tsira Janjgava

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ISBN

შინაარსი — CONTENTS

I

ლ. აზმაიფარაშვილი, ორ ლექსემის შემცველი კომპოზიტები ხუნძურ ენაში	9
L. Azmaiparashvili, Composites with <i>žo</i> Lexeme in Avar	22
ნ. არდოტელი, გრამატიკული კლასების სისტემა ხუნძური ენის ზედსართავ სახელებში	23
N. Ardotele, Towards the System of Grammatical Classes in Adjectives of Avar Language	26
მ. ბუკია, ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთი- ერთობის ისტორიიდან — V. სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკა	27
M. Bukiya, From the History of Georgian - Abkhazian Linguistic-Cultural Relations — V. Vocabulary Related to Clothes	40
თ. ბურჭულაძე, მაცალკეებელ- და მაპირისპირებელკავშირიანი პარატაქსული წინადადება ქართულში	41
T. Burchuladze, Paratactic Sentence with Disjunctive and Adversative Conjunction in Georgian	46
ლ. გიგლემიანი, დროის ზმნისართი სვანურში	47
L. Gigmiani, Time Adverb in Svan	58
გ. გოგოლაშვილი, კლასოვანი უღლების ნაშთი ძველ ქართულში (არნ. ჩიქობავას ერთი დებულების კვალდაკვალ)	57
G. Gogolashvili, Trace Class Conjugation in Old Georgian	63
თ. ვაშაკიძე, მართვა-მირთვის ზოგი საკითხისათვის თანამედროვე ქართულში	64
T. Vashakidze, Towards Some Issues of Paratactic and Government in Georgia	71

რ. ლოლუა, კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემისათვის	72
R. Lolua, Towards the Phonological System of Caucasian Albanian	89
ქ. მარგიანი-სუბარი, ევიდენციალობის მოდალური ლექსემები	91
K. Margiani, Modal Lexemes of Evidentiality	106
დ. მელიქიშვილი, მეთოდოლოგიური პრობლემები ქართული ენის გრამატიკულ ლიტერატურაში	108
.....	
D. Melikishvili, Methodological Issues in the Georgian Language Grammar	113
მ. საღლიანი, -ლე/-ლენ/-ლენ/-ლენა/ლენა/-ლენა/-ლენა/ლენა ნაწილაკების ფუნქციისა და წარმომავლობის შესახებ სვანურში	116
M. Sagliani, On Function and Origin of a Particle /γc/-γcn/-γēn/-γena/-γēna/γenä/-γenāj/-γenī in Svan	137
მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი, ლ. გიგლემიანი, სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა ქართველური შესატყვისები და მათი კომპონენტების ეკვივალენტურობა	138
M. Sagliani, N. Shavreshiani, L. Giglemiani, Kartvelian Correspondences of the Svan Phraseological Expressions and Equivalency of their Components	157
მ. სუხიშვილი, ერთი საერთო-ქართველური ზმნური ფუძის ტერმინოლოგიზაციისათვის სვანურში	158
M. Sukhishvili, Towards the Terminology of One Common-Kartvelian Verbal Stem in Svan	171
თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელთა ფუძეების კუმშვისათვის	172
T. Utrgaidze, Towards Syncoping of the Georgian Nouns Stems.....	196
რ. ფარეულიძე, დროის აღმნიშვნელი ქართული ლექსიკა ქისტურში	198

R. P a r e u l i d z e, Georgian Vocabulary of Time in the Kist dialect	202
ბ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატ- ველი ფრაზეოლოგიური შერწყმული წინადადებები სვა- ნურში	204
N. S h a v r e s h i a n i, Phraseological Combined Sentences Expressing Blessing, Cursing and Threatening	212
ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში გამორჩენილ ფუძეთა ფონოლოგიურ-სემანტიკური ანალიზი...	213
I. C h a n t l a d z e, Phonological and Semantic Analysis of the Stems Omitted in the Etymological Dictionaries of the Kartvelian Languages	229
ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ა. ბ ე რ ი ძ ე, გურულ-აჭარული მატ-ატ-ი / მატ- ატ-ა და ქართველური ანთროპონიმია	230
I. C h a n t l a d z e, A. B e r i d z e, Gurian-Ajarian maṭ-aṭ-i / maṭ-aṭ-a and Kartvelian anthroponymia	235
ი. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ადრიან ბალბი კავკასიის ენების შესახებ	236
I. C h a c h a n i d z e, Adrian Balbi About the Languages of the Caucasus	242
ჰ. ჩ ი მ ქ ე, საურთიერთო მოქმედების გამომხატვა ქართულსა და თურქულში	243
H. C h i m k e, Reciprocal Actions in Georgian and Turkish	248
რ. ჭ კ ა დ უ ა, -აჟ..., -იჟლ... ჟჟლ... დაბოლოებიან ზმნათა მორფოსინტაქსური ანალიზისათვის სვანურში	249
R. T c h k a d u a, Towards Morpho-Syntactic Anaslysis of the Verbs with - აჟ , -იჟ ჟჟ Ending in Svan	256
ბ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, ზმნური წარმომავლობის ზოგი ტერმინისათვის ქართულში (დაფარნა, გარდამოხსნა)	257
N. K h a k h i a s h v i l i, Towards Some terms of Verbal in Georgian (da- parna, gardamokhsna) Origin	262

II

მემკვიდრეობა – LEGACY

არსენ ონიანი, სვანური ტექსტები	264
Arsen Oniani, Svanian texts	264

III

ხსოვნა Memory

ალექსი ჭინჭარაული (ნეკროლოგი)	275
Alexsi Chincharayli (Obituary)	275
ვ. ბოდერი, მან აღასრულა თვისი ვალი	278
V. Boeder, He Did Histuty.....	278

ლევან აზმაიფარაშვილი

ჟო ლექსების შემცველი კომპოზიციები ხუნძურ ენაში

ხუნძური ენის სიტყვაწარმოების საკითხთა განხილვისას არნ. ჩიქობავა და ილ. ცერცვაძე წერდნენ: „სპეციალური ფორმანტი დანიშნულების აღსანიშნავად არ მოგვეპოვება. საამისოდ აღწერითი წარმოებაა: მიმღობის ფორმას დაერთვის დამოუკიდებელი სიტყვა **ჟო** „რამე“; „ნივთი“: რახ^ნ ტოლებ-**ჟო** „რძის ჩასახმელი რამ“, — „სარძევე“ (რახ^ნ „რძე“; ტოლებ აწმყოს მიმღობა ტეზე „ჩასხმა“ ზმნისა), წიან ბალებ-**ჟო** „მარილის ჩასაყრელი რამ“ — „სამარილე“; ჩირაჯ ლ^ოლებ-**ჟო** „სანთლის დასადები რამ“, — „სასანთლე“; ჰომერ ბაწუნებ-**ჟო** „პირის საწმენდი რამ“ — „პირსახოცი“, ჰეყოლებ-**ჟო** „სასმელი რამ“; ქვანალებ-**ჟო** „საჭმელი“ და ა. შ. (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 173). უფრო ადრე წარმოების ამ თავისებურების შესახებ მიუთითებდა პ. უსლარიც (უსლარი 1889: 83).

ასეთი წარმოების ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ კიდევ: კვარ ბუგებ **ჟო** „საჭირო რამ (ნივთი)“ (კვარ „საჭიროება“, ბუგ-ებ მიმღ. აწმ. ბუგო „არის“ ზმნისა), ბორჟუნებ **ჟო** „ფრინველი“, ზედმიწ. „მფრინავი რამ“ (არსება) (ბორჟ-უ-ნ-ე-ბ აწმყოს მიმღობაა ზმნისა ბორჟ-ი-ნე „ფრენა“; შდრ. აწმყო ზოგადის ფორმა ბორჟ-უ-ნა „ფრენს“); წა ჯვალებ **ჟო** „კვეცი“, ზედმიწ. „ცეცხლ — დასაწერი რამ“ (საგანი) (წა „ცეცხლი“, ჯვა-ლ-ე-ბ აწმყოს მიმღობაა ზმნისა ჯვა-ზე „წერა“, შდრ. აწმ. ზოგ. ჯვა-ლა „წერს“)...

ამგვარ აღწერით ფორმათაგან ჩვეულებრივ მიიღება ხოლმე კომპოზიციები. ხუნძურს საკმაოდ მოეპოვება თხზული არსებითი სახელები ამ **ჟო** (მრ.რ. **ჟალ // ჟოდალ**) ლექსებით. გვხვდება იგი სხვადასხვაგვარ ფუძეთა და ფორმათა საზღვრულად არაერთი რთული სიტყვის შემადგენლობაში. მაგალითები:

ჟო მიმღობათა საზღვრულად (ნიმანდობლივი მოვლენაა კლასნიშნიანი დაბოლოებისა და მრავლობითის სუფიქსის კვეცა **ჟო**-ს მსაზღვრელად გამოყენებულ მიმღობურ ფორმებში):

ბიჟარა-**ჟო** „ძირმაგარა“ (მრ.რ. რიჟარა-**ჟალ**) ← ბიჟარაბ **ჟო** (მრ.რ. რიჟარალ **ჟალ**), ზედმიწ. „ამოზრდილი რამ“, მსაზღვრელია ნამყო ძირითადი დროის მიმღობა ბიჟ-ა-რა-ბ ზმნისა ბიჟ-ი-ზე „გაზრდა“, „ამოზრდა რისამე“.

ბუჰარა-**ჟო** „წვნიანი“, „ნახარში“ ← ბუჰარაბ ჟო, ზედმიწ. „გაცხელებული რამ“; შდრ. ნამყოს მიმღეობა ბუჰა-ა-რა-ბ ზმნისა ბუჰა-ი-ზე „გაცხელება...“

ტყვანხარა-**ჟო** „ბურახი“ ← ტყვანხარაბ ჟო, ზედმიწ. „გამოხდილი რამ“; ტყვანხა-ი-ზე „ბურახის გამოხდა“. ტყვანხა-ა-რა-ბ ამ ზმნის ნამყო ძირითადი დროის მიმღეობაა;

წურა-**ჟო** „კუბატი“ (ან „ძეხვი“) ← წურაბ ჟო, ზედმიწ. „გავსებული რამ“; შდრ. მიმღ. ნამ. წურა-ბ ზმნისა წ-ე-ზე „გავსება“; შდრ. აგრეთვე წურა-ჩედ „ხაჭაპური — დატენილი ხორცი, ხაჭოთი, ჭინჭრით და ა. შ.“ (ჩედ „ბუერი“); წურა-ხინკ „ერთგვარი ხინკალი“ (ხინკ „ხინკალი“)..¹

ჟო ზედსართავ სახელთა საზღვრულად (კლასნიშნიანი დაბოლოება ზედსართავებსაც ჩამოცილებული აქვთ ხოლმე):

ბაჭარ-**ჟო** „თირკმელი“ ← ბაჭარაბ ჟო, ზედმიწ. „წითელი რამ“ (ბაჭარაბ „წითელი“);

ყარახული დიალექტის თლესერუხის კილოკავში მოიპოვება სიტყვა ბაჭა-**ჟუ** „არილი“, „განთიადი“ (აგრეთვე „დაისი“), რომელიც ასევე მიღებული ჩანს ზედსართავი სახელისაგან ბაჭარაბ „წითელი“ (ბაჭა-ჟუ ← ბაჭარ-ჟუ, აქ **ჟუ** წარმოადგენს **ჟო** ლექსემის ფონეტიკურ ვარიანტს); ანალოგიისათვის შდრ. ანწუხური დიალექტის ანწროს-უნჰადურ კილოკავში ბაჭარაბ ნაკ „არილი“, „განთიადი“ (აგრეთვე „დაისი“), ზედმიწ. „წითელი ღრუბელი“..²

ზოგიერთ კომპოზიტში **ჟო**-ს მსაზღვრელად გვხვდება არსებითი სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით:

ჩანილ-**ჟო** „ნანადირევი“, ზედმიწ. „ნადირის რამ“ (ჩან „ნადირი“, ნათ. ბრ. ჩან-ი-ლ);

ჭარულ დიალექტში მოიპოვება სიტყვა ოლჰოლ-**ჟო** „მხეცი“, ზედმიწ. „ველური რამ“. **ჟო**-ს მსაზღვრელად აქ გვევლინება ნათესაობითის ფორმა ოლჰოლ-ლ, რომელსაც სალიტერატურო ხუნძურში შეესატყვისება ნათესაობითის ფორმა შალხ-უ-ლ სიტყვისა შალახ „უსიერი ადგილი, ადამიანის მიერ აუთვისებელი ტერიტორია“; შდრ. ლიტ. შალხულ ჰადვან „გარეული ცხოველი“.

ტყიჭრილ-**ჟო** ბაწადურ ნარეგ კილოში აღნიშნავს „კრაველს“, „ბატკნის ხაოიან ტყავს“, ნათ. ტყიჭრი-ლ „ბატკნისა“, „კრავისა“ (შდრ. ქართ. კრავ-ელი-ი-); ყარახულსა და ანდალალურში ნათესაობითის -ლ ფორმანტი ამ კომპოზიტში მოკვეცილია: ტყიჭრი-**ჟო**.

სამხრულ ხუნძურის დიალექტთა (ანდალალური, ყარახული, ანწუხური, ჭარული...) კილოკავ-თქმებში მოიპოვება სიტყვა ბოხაი-**ჟალ** „ფეხსაცმელები“.

¹ მოქმედი ორთოგრაფიით, **ჟო** ელემენტური კომპოზიტები იწერება ერთად, დეფისის გარეშე: *бижаражо, бухаражо, кьвахаражо, цуражо* და ა. შ.

² სამხრული ხუნძურის ლექსიკური მასალა წინამდებარე ნაშრომში ძირითადად მოხმობილია ფ. საიდოვას დიალექტოლოგიური ლექსიკონიდან (საიდოვა 2008).

იგი წარმოადგენს მრავლობითის ფორმას. მხოლოობითის ფორმით გვექნება ბოხა-**ყო**, ზედმიწ. „ფეხის რამ“, რომელიც იხმარება უფრო ნაკლებად; **-ყალ** აქ დართული აქვს ნათესაობითის ფორმას ბოხა-ი-ლ (ნათესაობითის **-ლ** ფორმანტი კომპოზიტიში მოკვეცილია) არსებითი სახელისა ბოხა „ფეხი“.

ნათესაობითის ფორმაზე შეიძლება იყოს **ყო** დართული სიტყვაშიც ბოგო-**ყო** „სავანშმოდ განკუთვნილი პროდუქტები“; შდრ. ბოგ „ვანშამი“; ნათ. ბოგ-ო-ლ „ვანშამისა“, ე. ი. „ვანშამის რამ“ (ბოგ-ო-ლ *ყო* → ბოგ-ო-დ *ყო*?)...

არსებითი სახელის ფუძეა მსაზღვრელად გამოყენებული სიტყვებში ჰაილა-**ყო** „საფრთხობელა“ (ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში), ზედმიწ. „ემმაკობა რამ“ (არს. სახ. ჰაილა „ემმაკობა“, „ცბიერობა“); გურგუ-**ყო** „მრგვალი ფორმის პური“ (ყარახული დიალექტის თლესერუხის კილოკავში), შდრ. ლიტ. გურგა „id.“; როჰორ-**ყო** (მულანიბურ ნარეგ კილოში), როჰო-**ყო** (ბაწადურ ნარეგ კილოში) „ბაგა“, შდრ. როჰორო „id.“ (ანდალალური დიალექტის ჭოხურ კილოკავში)...

ყო ადგილობითი ბრუნვის ფორმიან არსებით სახელთა საზღვრულად:

ა) მსაზღვრელი I სერიის ადგილობით ბრუნვაში: ლ'არატა-**ყო** ეწოდება ხარის რქებზე დასამაგრებელ სადავეს, ზედმიწევნით ნიშნავს: „რქაზე რამ“. ლოკატ. I. ლ'არ-ა-ტა „რქაზე“, ლ'არ „რქა“...

ზემოყარახულში გვხვდება კომპოზიტი წადა-**ყო** „საწვავი“, ზედმიწ. „ცეცხლზე რამ“. ლოკატ. I წა-და „ცეცხლზე“, წა „ცეცხლი“...

ბ) მსაზღვრელი II სერიის ადგილობით ბრუნვაში: წადაჯ-**ყო** ანწუხური დიალექტის ტოხურ კილოკავში ეწოდება დროსტარებაზე თავშეყრილთათვის გასამასპინძლებელ სასმელ-საჭმელს, ზედმიწევნითი მნიშვნელობაა „ცეცხლთან რამ“, ლოკატ. II. წადა-ჯ „ცეცხლთან“, წა „ცეცხლი“ (შდრ. ლიტ. დასადა-ქველ, რაც იმავე ცნების გამომხატველია, ოღონდ ზედმიწევნითი მნიშვნელობაა „ბუხარზე დასაჭერი“; შდრ. აგრეთვე ანდალალური დიალექტის ჭოხურ კილოკავში წუდუხ-ჭველ „წვეულება, დროსტარება“, ზედმიწ. „ცეცხლთან ჯდომა“; ანწუხური დიალექტის ანწროს-უნჰადურ კილოკავში წადაჯ-ლი „id.“, ზედმიწ. „ცეცხლ-თან-ობა“ და სხვ.). იგივე კომპოზიტი შეიცავს II სერიის ლოკატივიან მსაზღვრელს სამხრული ხუნძურის რიგ დიალექტებსა და კილოკავთქმებში, მაგ., ანდალალური დიალექტის ბუხტიბურ კილოკავში წუდ-უ-ჯ-ყო, იმავე დიალექტის სუდრათლურსა და ჭოხურ კილოკავებში წუდ-უ-ხ-ყო, ბაწადურ ნარეგ კილოკავში წადა-ხ-ყო, ზედმიწ. „ცეცხლ-თან-რამ“.

კალიჯ-**ყო** „სადღვებლის სარქველი“ (ზემო ყარახულში), ზედმიწ. „პირთან რამ“, ლოკატ. II. კალ-ი-ჯ „პირთან“, კალ „პირი“...

გ) მსაზღვრელი III სერიის ადგილობით ბრუნვაში: ქაქიტე-**ყო** ნიშნავს სპეციალურ ნოხს, რომელზედაც ნამაზი სრულდება; შდრ. ქაქ „ლოცვა“, ლოკატ.

III. ქაქი-ტა; ე. ი. სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა კომპოზიტისა არის „ლოცვა-ქვეშ რამ“; შდრ. აგრეთვე ქაქიტა-ტამ „id.“ (ტამ-ი-ზე „გაშლა“, „დაგება“); მა-ლატა-ყო „საძუე“, ზედმიწ. „კუდქვეშ-რამ“, ლოკატ. III. მალ-ა-ტა „კუდის ქვეშ“, მალ „კუდი“; მერგიტა-ყო „თითისტარის შესადგამი“, ზედმიწ. „თითისტარის ქვეშ რამ“, ლოკატ. III. მერგი-ი-ტა „თითისტარის ქვეშ“, მერგო „თითისტარი“... სამხრული ხუნძურის ზოგ დიალექტსა თუ კილოკავში იმავე სიტყვათა III სერის ლოკატივიან ფორმებთან **ყო** განიცდის ფონეტიკურ ცვლილებას, მაგ., ქიქი-ტო „ნახი, რომელზეც ნამაზი სრულდება“ (ჰიდურ დიალექტში), მალა-ტუ „საძუე“ (ზემოყარახულში), მიგრი-ტუ „თითისტარის შესადგამი“ (ჭარულში), მირგი-ტუ „id.“ (ანწუხური დიალექტის ანწროს-უნჰადურ კილოკავში)... აქ ელემენტი **-ტო** ← **-ტა-ყო**, **-ტუ** ← **-ტა-ყო**, ანუ დიალექტებში ლოკატივის **-ტა** ფორმანტს შერწყმია **ყო**; ლატერალურ მკვეთრ **ტა** აფრიკატს, თავის მხრივ, მიუმსგავსებია **ჟ** ამ ლექსემაში, კერძოდ, თავის შესაბამისად მოუხდენია მისი გამკვეთრება და გააფრიკატება.

საკმაოდ გვხვდება თხზული სიტყვები, უმეტესად დიალექტებში, რომლებშიც **ყო** ელემენტის წინამავალ კომპონენტთა სემანტიკა, შედგენილობა და წარმომავლობა ნათელი არ არის; ასეთებად შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად: ბოკოხ-ყო „ნაცარში გამომცხვარი პური“, (ჰიდურ დიალექტში), წვეზ-ყო „კუძი“ (იმავე დიალექტში), ნიხილ-ყო „id.“ (ყელებურ ნარევ კილოში); მიხიხ-ყო „მაყალის ნაცარში გამომცხვარი პური“, მიჭილ-ყო „შეშა“ (იმავე კილოში), ბურდალა-ყო „ბზრიალა“ (ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში), ჰანქვა-ყო „ყველის შესანახი გუდა“ (ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში), შდრ. ჰან „ყველი“, -ქვა- ელემენტის რაობა გაურკვეველია); კატკატლა-ყო „წისქვილის ღარზე მიმაგრებული ჯოხი“ (ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში, აგებულების მიხედვით რედუბლიცირებული ჩანს და ალბათ ხმაბაძვითიცაა, შდრ. იმავე დიალექტის ტომურ კილოკავში კატკატ „id.“, ანდალალური დიალექტის ჯოხურ კილოკავში კეტე-რო „id.“...), ამ მნიშვნელობით ქვემოყარახულში იხმარება კარხელა-ყო; ყარახული დიალექტის თლესერუხის კილოკავში გვხვდება სიტყვა ქოდო-ყო „დიდი ზომის თიხის ჭურჭელი“ (შდრ. ანწუხურში ქუდარი „დოქი“), ტამჰიტა-ყო „მარწყვი“ (ზემოყარახულში), ჭოლოჯ-ყო // ჭოლოხ-ყო (ანდალალურისა და ყარახულის კილოკავ-თქმებში), წოლოხ-ყო (ყელებურ ნარევ კილოში) „აღვირი“, შდრ. ჩრდ. ხუნძ. ჭოლო(რ)ჯან „id.“ (ეს უკანასკნელი დადასტურებულია ზ. ჯაფარიძის მიერ (იხ. ჯაფარიძე 1966: 34). ლ. ყირკოვის ლექსიკონში წარმოდგენილია მისი ვარიანტები: ჭოლორჯა, აგრეთვე ჭოლოჯ-ჩო (ყირკოვი, 1936, 34); აქ **-ჩო** ← **-ყო** წინამავალი ფშინვიერი **ჯ**-ს გავლენით, რაც იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს, ანალოგიისათვის შდრ. III სერის ლოკატივიან ფორმებთან **-ტა-ყო** → **-ტო** პროცესი ზოგ სამხრულ დიალექტში...

ყო ლექსებმა გვხვდება აგრეთვე სხვადასხვა ზმნურ ფორმათაგან ნაწარმოებებში კომპოზიციებში, მაგ., აბუნ-**ყო** „საცოლის მიერ საქმროს ნათესავეებისათვის გამზადებული საჩუქრები“ (ანდალალური დიალექტის სალტის კილოკავში), შდრ. ნამყოს აბსოლუტივის ფორმა აბ-უნ ზმნისა აბ-ი-ზე „თქმა“, შდრ. აგრეთვე ამავე ზმნისგან მიღებული სახელები აბურ-ავ „დანიშნული ქალი“, „საცოლე“, აბურ-ავ „საქმრო“; წადა-ლ'უნ-**ყო** „საწვავი“, ზედმიწ. „ცეცხლზე დადებული რამ“ (პიდურ დიალექტში), კომპოზიტი წარმოდგენილია ნამყოს აბსოლუტივი ლ'უნ ზმნისა ლ'ე-ლე, ლიტ. ლ'ე-ზე „დადება“; ანწუხური დიალექტის ჭადაქოლოურ კილოკავში ითქმის ბაქჟი-**ყო** „საწვავი“, ზედმიწ. „დასანთებად რამ“, იმავე დიალექტის ბოჰნოდურსა და ტომურულ კილოკავებში ბოჰზი-**ყო**, ანდალალური დიალექტის ბუხტიბურ კილოკავში – ბუჰდე-**ყო**, ზედმიწ. „დასაწვავად რამ“; ამ მაგალითებში ამოსავალია ინფინიტივის ფორმები ბაქჟი „დანთება“, ბოჰზი, ბუჰდე „წვა“ (ლიტ. ბაქჟი-ზე, ბუჰდე-ზე); ბულ'ალა-**ყო** (ყარახული დიალექტის მუყრატლის კილოკავში), რულ'ალა-**ყო** (იმავე დიალექტის თლესერუხის კილოკავში), ბულ'ალა-**ყო** (ზემოყარახულში), ბულ'ალა-**ყო** (ყელბურ ნარევ კილოში) „ბურღი“ (შდრ. ლიტ. ბორლ'-ა-რო „ბურღი“, ბორლ'-ი-ზე „ბურღვა“); თირინ-**ყო** „ბზრიალა“ (ანწუხური დიალექტის ტოხურ კილოკავში), შდრ. თირ-ზი (//თირ-ძი) „ტრიალი“, ლიტ. თირ-ი-ზე; ქვენდე-**ყო** (ანდალალური დიალექტის ბუხტიბურ კილოკავში), ქვენ-**ყო** (იმავე დიალექტის ჭოხურ კილოკავში) „საჭმელი“, მიღებულია ზმნისაგან ქვენდე „ჭამა“ (ლიტ. ქვენა-ზე)...

რიგ კომპოზიციებში **ყო** საზღვრულად მოუდის ზ მ ნ ის ა რ თ ე ბ ს :

ნაჯა-**ყო** „საძუე“, ზედმიწ. „უკან რამ“ (ნაჯა „უკან“); დანდე-**ყო** აღნიშნავს ყოველივე იმას, რაც პურთან ერთად იჭმევა, მაგ., კარაქი, ხორცი, რძე... (დანდე „მოპირდაპირედ“, „პირისპირ“); ამავე მნიშვნელობით ჭარულ დიალექტში იხმარება ცადახ-**ყო**, ზედმიწ. „ერთად რამ“ (ცადახ „ერთად“, ლიტ. ცადა-ჯ).

სვერუნ-**ყო** ჰქვია ჯოხს, რომლითაც ტვირთზე თოკს შემოუჭერენ ხოლმე; ზედმიწ. „ირგვლივ რამ“ (სვერუნ „ირგვლივ“);

ყადანი-**ყო** ეწოდება თავქვემ ამოსადებ რაიმე საგანს (ყადანი-ბ „თავქვე“);

პორტო-**ყო** — მწყემსების მიერ დასაკლავად განკუთვნილი პირუტყვი. ეს სიტყვა სანაძლეოსაც ნიშნავს, მაგ., შესიტყვებაში ჰორტოყო ბაზე „ნიძლავის დადება“ (პორტო-ბ „შუაში“, „შორის“);

ურჰისა-**ყო** „თირკმელი“, ზედმიწ. „ვიგნიდან რამ“ (ურჰი-სა „ვიგნიდან“, ურჰი-ბ „ვიგნით“);

ლორტო-**ყო** „სარჩული“ (ბათლუხურ დიალექტში), ზედმიწ. „ქვე რამ“ (ლორტო „ქვე“);

ყასი-**ყო** „ვახშამი“ (ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში), ზედმიწ. „საღამოთი რამ“ (ყასი „საღამო“)...

ზმნისართის შემცველია აგრეთვე ტაჟუ „შარვალი“; შდრ. ტად „ზევით“, ე. ი. „ზევითა რამ“, „ზედა რამ“ (გუდავა 1954: 373). ამ სიტყვას ბოლოში უ აქვს და არა ო (ტაჟუ ← ტად ჟო). ასეთივე დაბოლოებისაა ხაანჟუ „ფქვილი“ (ჟუ ← ჟო), რომელიც შედგენილია ზმნისაგან ხა-ი-ნე „ფქვა“ (უსლარი 1889, განყ. II: 202).

ტ. გუდავა აღნიშნავს, რომ ტაჟუ, ხაანჟუ სიტყვათა ბოლოში რომ ო გადასულა უ-ში, ეს სავსებით კანონზომიერი და ბუნებრივი მოვლანაა (გუდავა 1954: 374). მკვლევარს მხედველობაში აქვს ცნობილი ფაქტი, რომ ჩრდილოური ხუნძურის ბოლოკიდური ო სამხრულში უ ხმოვნად ვიწროვდება ხოლმე, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ორივე ეს სიტყვა (ტაჟუ, ხაანჟუ) ჩრდილოური ხუნძურშიც უ დაბოლოების მქონეა, რაც ჩრდილოურისავე ნიადაგზე საჭიროებს ახსნას და არა მხოლოდ სამხრულ დიალექტთა ჩვენებაზე დამყარებას. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ სამხრულ დიალექტებშიც ჟო → ჟუ ბევრ კომპოზიტში არ ხდება. დამოუკიდებელ სიტყვად ხმარებული ჟო, ცხადია, სამხრულშიც ვერ მოგვცემს უ ხმოვნიან ვარიანტს, რამდენადაც იგი ერთმარცვლიანია. სამხრულ ხუნძურის კომპოზიტთა იმ მაგალითებში, სადაც ჟუ გვაქვს ო ხმოვნიანი ვარიანტის ნაცვლად, საფიქრებელია, ზოგ შემთხვევებში (მაგრამ არა ყოველთვის) საქმე უნდა გვქონდეს ამ ლექსემის დესემანტიზაციასთან, როცა იგი კომპოზიტში დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე კომპონენტად აღარ აღიქმება და ამიტომ ფონეტიკურ ცვლილებასაც (სამხრული ხუნძურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების ფარგლებში) უფრო იოლად ექვემდებარება.

ჩრდილოური ხუნძურში მოიპოვება ტაჟუ, ხაანჟუ ლექსემათა მსგავსად დაბოლოებული კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც მეტად საინტერესოა როგორც შედგენილობის მხრივ, ისე ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით; ეს არის ჭაჟუჟუ „ქალი“, რომლის ეტიმოლოგიასაც სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ტ. გუდავამ (გუდავა 1954: 373-376). როგორც გარკვეულია, იგი შედგება ჭაჟუ და ჟუ (← ჟო) კომპონენტებისაგან. ჭაჟუ მომდინარეობს „მდედრის“, „დედალის“, „ძუს“ ზოგადი სემანტიკის გამომხატველი წაჟუ (წაო) ლექსემისაგან. ტ. გუდავა წერს: „წაჟუ-ს ჭაჟუ-ში გადასვლა ხუნძურ ნიადაგზე უნდა აიხსნას: „გემინირებული“ სისინა აფრიკატ წა-ს „გემინირებულ“ შიშინა ჭა აფრიკატად შეცვლა უნდა გამოეწვია მომდევნო შიშინა ჟ-ს, რომელმაც მიიმსგავსა წინამავალი წა (ასიმილაცია), ამგვარად ჭაჟუჟუ ← წაჟუჟუ ← წაჟუჟო“ (გუდავა 1954: 374). ავტორს მართებულად აქვს შენიშნული, რომ ამ სიტყვაში დადასტურებული მაგალითი თანხმოვნის დისტანციური, ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციისა (ჭა ← წა) არ არის ხშირი მოვლენა ხუნძურ ენაში, რაც თავისთავად საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს (გუდავა 1954: 376). ასევე საყურადღებოა ამის საპირისპირო მოვლენა, კერძოდ, ნაწილობრივი პროგრესული ასიმილაციის ერთადერთი შე-

მთხვევა, რომელიც დასტურდება ბათლუხური დიალექტის ამავე სიტყვაში: წაუზუ ← წაუჟუ; შდრ. „ქალის“ ბათლუხური სახელწოდება წაუზუ შადან, ზედმიწ. „მდედრი რამ ადამიანი“. პროგრესული ასიმილაცია (ჟ → ზ) აქ, უკვე, პირიქით, გამოწვეულია თავკიდური სისინა **წა**-ს მიერ.

წაუ (წაო), როგორც კომპოზიციის პირველი ნაწილი, გვხვდება სხვა არაერთი სახელის შემადგენლობაშიც და გამოხატავს სხვადასხვა სულიერ არსებათა (ცხოველთა, ფრინველთა...) მდედრობითი სქესისადმი კუთვნილებას. მაგალითად:

წაუ-ჰაამა „დედალი ვირი“ (ჰაამა „ვირი“), წაუ-ბეჩე „დედალი ხბო“, „ფური ხბო“ (ბეჩე „ხბო“), წაუ-თაპი „დედალი კვიცი“ (თაპი „კვიცი“), წაუ-ხაუხა „დედალი ბატკანი“ (ხაუხა „ბატკანი“), წაუ-ტეჟერ „დედალი კრავი“ (ტეჟერ „კრავი“), წაუ-ბურუტ „დედალი თიკანი“ (ბურუტ „თიკანი“), წაუ-გამუშა „ფურ-კამეჩი“ (გამუშა „კამეჩი“), წაუ-გოდექ „დედალი ზაქი“, (გოდექ „ზაქი“), წაუ-ცი „დედალი დათვი“ (ცი „დათვი“), წაუ-ჯარხილა „დედალი ქორი“ (ჯარხილა „ქორი“)... ეს წაუ მოცემულია სიტყვებშიც წაუ-ქა „დედალი ღლორი“, „ნეზვი“ და წაუ-კა „ძუკნა“, ოღონდ არ არის ნათელი ქა, კა კომპონენტთა მნიშვნელობა.

წაუ ლექსემა შეიძლება დაირთოს III კლასის ნიშანი **-აბ** და ამ შემთხვევაში უკვე მსაზღვრელ-საზღვრულის შემცველი შესიტყვება გვექნება და არა კომპოზიტი. მაგალითად:

წაუ-**აბ** ჰაამა „დედალი ვირი“, წაუ-**აბ** ბეჩე „დედალი ხბო“, წაუ-**აბ** ტეჟერ „დედალი კრავი“, წაუ-**აბ** ბურუტ „დედალი თიკანი“, წაუ-**აბ** გამუშა „დედალი კამეჩი“, წაუ-**აბ** გოდექ „დედალი ზაქი“, წაუ-**აბ** ცი „დედალი დათვი“, წაუ-**აბ** ჯარხილა „დედალი ქორი“, წაუ-**აბ** ბაწ „ძუ მგელი“ (ბაწ „მგელი“), წაუ-**აბ** ქეთო „დედალი კატა“ (ქეთო „კატა“), წაუ-**აბ** შანკ „დედალი კურდღელი“ (შანკ „კურდღელი“), წაუ-**აბ** ჯაზ „დედალი ბატი“ (ჯაზ „ბატი“), წაუ-**აბ** ნუჯა „დედალი ყვავი“ და ა. შ. (**ა** აქ წარმოადგენს ხმოვანთა გამყარ ბგერას: წაუ-**აბ**).

I და II კლასის ნიშნების დართვით მიიღება: წაუ-**აგ** **ჩი** „მხდალი, ლაჩარი“, ზედმიწ. „დედალი კაცი“ (ჩი „კაცი“, „ადამიანი“); წაუ-**აი** „მდედრი“ ითქმის ქალზე. პ. უსლარი აღნიშნავს, რომ ასე უწოდებენ ზოგჯერ ქმრები თავის ცოლებსო (უსლარი 1889, განყ. II: 208).

ცხოველთა და ფრინველთა შემოჩამოთვლილ სახელწოდებათა ანალოგიურადაა შედგენილი სწორედ „ქალის“ აღმნიშვნელი სიტყვა: ჭაუჟუ (← წაუჟო). მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობაა „მდედრი რამ“.

კოტა არ იყოს, მოულოდნელი ჩანს, რომ „ქალის“ ამ სახელწოდებაში პოვნეირია III კლასის კუთვნილი სიტყვა **ჟო** („ნივთი“, „საგანი“), რომელიც ნივთის კატეგორიის მრავალი არსებითი სახელის შემადგენელ ნაწილად გვევლინება. უფრო მეტიც, სამხრული ხუნძურის ზოგ კილოკავ-

თქმაში, კერძოდ, ყელბურ მეტყველებაში „ქალის“ სახელწოდებად დადასტურებულია შესიტყვება, სადაც ამ **ყო**-ს მსაზღვრელი წაუ III კლასის **-აბ** ნიშნითაც კია გაფორმებული: წაუ-**აბ** ყო „ქალი“; ხოლო ჰიდური დიალექტის ურადულ კილოკავში ეს **-აბ** ნიშნიანი ფორმა მსაზღვრელად მოუდის „ადამიანის“ აღმნიშვნელ შადან სიტყვას: წაუ-**აბ** შადან „ქალი“, „ცოლი“, ზედმიწ. „მდედრი, ადამიანი“. ქ. ჰარუნოვა მიუთითებს, რომ ორსავე ამ კილოკავში „ქალი“ III გრამატიკულ კლასს (ნივთისას) განეკუთვნება. მათგან განსხვავებით, ანწუხური დიალექტის ანწროს-უნჰადურ კილოკავს ანალოგიურ შესიტყვებაში წაუ მსაზღვრელად გამოყენებული აქვს II კლასის ნიშნიანი ფორმა: წაუ-**აა** შადან (ჰარუნოვა 1985: 29). ჩრდილოურ ხუნძურში (სალიტერატუროშიც) და სამხრული ხუნძურის კილოკავ-თქმათა უმეტეს ნაწილში „ქალი“ II გრამატიკულ კლასში შედის: ჭუჟუ **ა**-იგო „ქალი არის“.

საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს „ქალისა“ და „მამაკაცის“ სახელწოდებათა შედარება-შეპირისპირება:

ჭუჟუ ← წაუ ყო „ქალი“, ზედმიწ. „მდედრი რამ“

ბინჩინჩი „მამაკაცი“, ზედმიწ. „მამრი ადამიანი“ ← ბინჩინჩი „მამრი“, „ხვადი“ და ჩი „კაცი“, „ადამიანი“.

როგორც ვხედავთ, ხუნძურში ადამიანი დახასიათებულია თავისი ბუნებითი სქესის მიხედვით: „მამაკაცის“ სახელდებისათვის გამოყენებულია ბინჩინჩი („მამრი“), ხოლო ქალისათვის — წაუ („მდედრი“). ამ ნიშნით (სქესი) ადამიანი დანარჩენ სულიერ არსებებთანაც (ცხოველებთან, ფრინველებთან) არის გაერთიანებული; შდრ. მაგ., ბინჩინჩი-ჰამა „მამალი ვირი“ — წაუ-ჰამა „დედალი ვირი“ (ჰამა „ვირი“), ბინჩინჩი-ცი „მამალი დათვი“ — წაუ-ცი „დედალი დათვი“ (ცი „დათვი“), ბინჩინჩი-ბეჩე „მამალი ხბო“ — წაუ-ბეჩე „დედალი ხბო“ (ბეჩე „ხბო“), ბინჩინჩი-ვაზ „მამალი ბატი“ — წაუ-ვაზ „დედალი ბატი“ და ა.შ. მაგრამ თვითონ მამაკაცსა და „ქალს“ შორის საგულისხმო სხვაობა ვლინდება იმ მხრივ (და ეს უკვე გენდერული თვალსაზრისით ენით გამოხატული), რომ „მამაკაცის“ აღმნიშვნელ კომპოზიტში (ბინჩინჩი) წარმოდგენილი **ჩი** „ადამიანს“ ნიშნავს, ხოლო „ქალის“ სახელწოდებაში (ჭუჟუ ← წაუ-ყო) მოცემული **ყო** (→ ყუ) „ნივთის“ სემანტიკას შეიცავს და იგი III კლასის არაერთი სახელისთვისაცაა ნიშანდობლივი.

გარდა ამისა, ერთ საინტერესო თავისებურებასაც ავლენს **ყო** გამოყენების მხრივ: ჯერ კიდევ პ. უსლარი მიუთითებდა, რომ ეს სიტყვა „ნივთს“, „საგანს“ ნიშნავს, ზოგჯერ კი გონიერ არსებებზეც ითქმის, ოღონდ ამ შემთხვევაში მას საძულველი, აგებული ან სახუმარო მნიშვნელობა ეძლევაო, მაგ., ჰევ ყო დასა (ან: ყოცა) ჰაბუნა ჰებ „მაგ კაცმა (აგდებ., ზიზლ.) ქნა ეგ“ (უსლარი 1889: § 50, 57; განყ. II, 81). მ.საიდოვის განმარტებითაც, **ყო** აგდე-

ბულ დამოკიდებულებას გამოხატავს ადამიანის მიმართ: ჰევ ყო დასა ჰაბუნა ნეჟედე ავარა „მაგ ტიპმა შეგვიშალა ჩვენ ხელი“ (საიდოვი 1967: 227)...

მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმება მამაკაცი, ხოლო ქალთან დაკავშირებით იგივე **ყო** ერთობ განსხვავებულ ვითარებას წარმოგვიდგენს. საყურადღებოა, რომ რაიმე უარყოფითი ან დამცირებითი კონოტაცია ქალის მიმართ გამოყენებისას ამ სიტყვას არ შეეძინევა. იგი ამ მხრივ ნეიტრალურობას იჩენს. შევუდართ, მაგალითად, „ქალის“ სახელწოდებად ჩვეულებრივ ხმარებული კომპოზიტი ჭუჟუჟუ ← წუჟ ყო, აგრეთვე ყელებურში გავრცელებული შესიტყვება წუჟ-დაბ ყო (ქალი“, „ცოლი“, ზედმიწ. „მდედრი რამ“), მამაკაცისათვის მეტად დამამცირებელ და შეურაცხყოფელ ისეთ გამოთქმას, როგორცაა წუჟ-დავ ყო „მხდალი“, „ლაჩარი კაცი“, ზედმიწ. „დედალი რამ“ (წუჟ-ს აქ I კლასის -ავ სუფიქსი აქვს დართული). ვითარება კიდევ უფრო თვალსაჩინო რომ იყოს, მოვუხმობთ ზოგიერთ სხვა მაგალითსაც **ყო** სიტყვის ქალთან დაკავშირებით ხმარებისა:

კარტენ ბაჭარაჲ ყო „ლოყაწითელი რამ“ [ქალი] (უსლარი 1889, განყ. II: 117);

ბეყენაჲ ყო „მსუქანი რამ“ [ქალი] (უსლარი 1889, განყ. II: 50);

ნეჩარაჲ ყო დიგო ჰად დას „მორცხვი რამ არის ეს გოგო“ (უსლარი 1889, განყ. II: 138);

წაყ ბანინაჲ ყო დიგო ჰად დას „ძალიან ნაზი რამ არის ეს ქალიშვილი“ (უსლარი 1889, განყ. II: 46);

ღირ რეკელაჲ ყო დიგო მუნ „ჩემი გულის რამ ხარ შენ“ [ქალი] (უსლარი 1889, განყ. II: 169);

ღიდე მუნ დოტჟულა ტეჟერ ზადაჲ ყო! „მე შენ მიყვარხარ, კრავის მსგავსო რამეგ!“ [ქალი] (უსლარი 1889, განყ. II: 234);

მალ'ჭანასჟეჲ ყო „თითისტოლა“ ზედმიწ. „ფრჩხილის მსგავსი რამ“ [გოგონა] (მაჰომედხანოვი 1993: 209);

ჭოლჲე ყო „ყმაწვილი ქალი“, ზედმიწ. „მოზარდი რამ“ (მაჰომედხანოვი 1993: 115);

ჭიდავენ ასა ჟინდიჲე ზადაჲ ყო დიხ'ულინ ჰედან, ჭუჟუჟულ'უნ დაჩჟუნ დიგო ჰედ „ცხვრის მწყემსმა თავისი მსგავსი რამ რომ ნახა იგი [ქალი], ცოლად მოიყვანა“ (ზლაპრები 1990: 171)...

როგორც ამ მაგალითებიდანაც ვხედავთ, ქალის მიმართ **ყო** სავსებით ნეიტრალურია რაიმე შეფასების გამოხატვის თვალსაზრისით, რაც თავისებურად წარმოაჩენს ქალისადმი ხუნძური ენის დამოკიდებულებას მამაკაცთან შედარებით. ხუნძურისათვის თითქოსდა სრულიად ბუნებრივია და ჩვეულებრივი ქალის მოხსენიება „ნივთის“ აღმნიშვნელი ამ სიტყვით, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მაინც ცალსახა ენობრივი ფაქტია და მხოლოდ ამის მიხედვით, ცხადია, არ შეიძლება კეთდებოდეს მარტივი, გაუბრალოებული და-

სკვნა ისეთ რთულ და მრავალწახნაგოვან მოვლენაზე, როგორცაა ქალის მდგომარეობა საზოგადოებაში. დაღესტნის ძველი ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული მონაცემები და, მით უფრო, თანამედროვე სოციალური სინამდვილე არ იძლევა ასეთსავე ერთმნიშვნელოვან სურათს ქალის მდგომარეობისა და სტატუსის, მისდამი დამოკიდებულებისა და გენდერულ ურთიერთობათა სხვა ასპექტების თაობაზე.

თვითონ კომპოზიტი ჭაუჟუ ← წაუჟო „ქალის“ სახელწოდებად გვიანდელია. ადრინდელი სახელწოდება „ქალისა“ ხუნძურში უნდა ყოფილიყო რუჩა, რომელიც მრავლობითის ფორმაში გამოავლინა არნ.ჩიქობავამ: რუჩა-ები „ქალები“ (ჩიქობავა 1942: 150).

სხვათა შორის, საინტერესო იქნება აღინიშნოს ისიც, რომ „ქმრის“ აღმნიშვნელი ხუნძური სიტყვა, რომელიც ამჟამად მამაკაცის კლასს (I კლასს) განეკუთვნება, ისტორიულად ნივთის კლასში შედიოდა: რ-ოსა „ქმარი“, სადაც რ- თავსართი უნდა იყოს IV კლასის გაქვავებული ნიშანი. იგივე ვითარება ივარაუდება ლაკურ ენაშიც: ლაკ. ლ-ას „ქმარი“ ← *რ-ას (ბურჭულაძე 1983: 304). ცალკე საკვლევი, თუ რამდენად შეიძლება ეს ენობრივი ფაქტი გამოძახილი იყოს მატრილოკალურობის უძველესი წესისა, ანუ იმ დროისა, როდესაც ქმარი ჩვეულებრივ სახლდებოდა ხოლმე თავისი ცოლის გვარში და მისი სოციალური სტატუსი იქ რამდენადმე დაბალი იყო. მატრილოკალურობა, ეთნოლოგთა აზრით, უნივერსალური მოვლენას წარმოადგენდა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ყველა ხალხისათვის. ამ უძველესი სოციალური მოვლენის ოდინდელი არსებობის კვალი ქართველურ ენობრივ სამყაროში პირველად გამოავლინა არნ. ჩიქობავამ ზანური *ოხორასქირი*, *ოხორჯა*, *ოხრასულე* და სხვა მისთ. სახელების ანალიზის საფუძველზე (ჩიქობავა 1938: 22-23, 34).

საინტერესოა ისიც, რომ ხუნძური ენის ანწუხურ დიალექტში (კერძოდ, ყვარლის რ-ნის სოფ. თივის ანწუხელთა ტოხურ-ჭადაქოლოურ მეტყველებაში), აგრეთვე ბაწადურ ნარეგ კილოში „ქალის“ სახელწოდებად გვხვდება ჭადამ, რაც „ადამიანსაც“ ნიშნავს (ლიტ. ჭადან „ადამიანი“). განსხვავება ისაა, რომ კონკრეტულად „ქალის“ აღნიშვნის შემთხვევაში იგი იცვლება II ტიპის ბრუნების მიხედვით, ანუ ერგატივში დაირთავს -აღა დაბოლოებას, რომელიც დანარჩენ ბრუნებშიც გადაჰყვება ხოლმე ფუძეს: ერგ. ჭადამ-აღა „ქალმა“, ნათ. ჭადამ-აღა-ულ „ქალისა“, მიც. ჭადამ-აღა-ი-ბ-ე „ქალს“; ხოლო, თუ იგივე სიტყვა გულისხმობს „ადამიანს“ ზოგადად (human-ს), მაშინ იცვლება I ტიპის ბრუნებით ისევე, როგორც ჩვეულებრივ იბრუნვიან I კლასის (მამაკაცის კლასის) სახელები, ე.ი. -ასა დაბოლოებით ერგატივში: ერგ. ჭადამ-ასა „ადამიანმა“, ნათ. ჭადამ-ასა-ულ „ადამიანისა“, მიც. ჭადამ-ასა-ი-ბ-ე „ადამიანს“. ამ შემთხვევაში რთული ასახსნელი არ უნდა იყოს მიზეზი, რამაც გამოიწვია

ამგვარი დამთხვევა; საქმე ისაა, რომ „ქალის სახელწოდებისათვის“ ამოსავალი უნდა ყოფილიყო შესიტყვება წუჟ ჭადამ, ზედმიწ. „მდებრი ადამიანი“, როგორც ამჟამად იხმარება ზემოყარახულსა და ჭარულ დიალექტში (ანალოგიისათვის შდრ. ქართ. დედა-კაცი, რომელშიც კაც- კომპონენტს აქვს „ადამიანის“ [human] ზოგადი მნიშვნელობა). ანწუხურსა და ბაწადურში მსაზღვრელი წუჟ დაიკარგა, რამაც „ადამიანისა“ და „ქალის“ სახელწოდებები ერთმანეთს დაამთხვია. საფიქრებელია, რომ წუჟ („მდებრი, ძუ“) ფუძეს ჭადამ („ადამიანი“) კომპონენტი საზღვრულად უნდა გასჩენოდა ევფემისტური მოსაზრებით, მაგრამ ეს პროცესი არ შეჩერებულა და „ქალის“ აღწერით სახელწოდებას (წუჟ ჭადამ) შემდგომ წუჟ მსაზღვრელიც ჩამოსცილდა იმავე მიზეზით.

შ. მიქაილოვს „ქალის“ მნიშვნელობით ანწუხურში დასახელებული აქვს ჭაიჟუ ლექსემა (მიქაილოვი 1959: 125), მაგრამ იგი ჩრდილოური ხუნძურიდან უნდა იყოს აქ შემოსული. ამ სახელწოდებას არ იცნობენ, მაგალითად, სოფ. თივში (კახეთი, ყვარლის რ-ნი) მოსახლე ანწუხელები, რომელთა მეტყველებაშიც მხოლოდ ჭადამ იხმარება. სხვათა შორის, საინტერესო იქნება ისიც გავიხსენოთ, რომ ქართული ენის მთის კილოებიდანაც ზოგიერთში (ფშაური, გუდამაყრული, მთიულური, მოხეური) სიტყვა *ადამიანი* „ქალის“, „დედაკაცის“ მნიშვნელობით ითქმის (შანიძე 1984: 277).

ადამიანთან დაკავშირებული სახელებიდან, „ქალის“ გარდა, **ჟო**-ს შემცველი ჩანს აგრეთვე ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ერთი სიტყვა: ჰურუნჟო „გარე ბიძაშვილი“, უფრო ზუსტად „*четвероюродный брат*“ ან „*четвероюродная сестра*“ (განურჩევლად სქესისა). ეს სიტყვა დადასტურებულია ყვლებურში (პარუნოვა 1985: 25), ჩრდილოურ ხუნძურში მას მნიშვნელობით ეფარდება მონო-ჭალ. ნათელი არ არის ჰურუნ ფუძის სემანტიკა.

ზემოხსენებულთა გარდა, ადამიანთან დაკავშირებულ სახელებში **ჟო**-ს გამოყენების სხვა შემთხვევები არ შეინიშნება.

დანარჩენ ცოცხალ არსებათა სახელებში **ჟო** ლექსემის შემცველია, მაგალითად, ჭოლო-**ჟო** „მოზვერი“ (ყარახული დიალექტის მუყრატლის კილოკავში), შდრ. სალიტ. ჭოლო-ვან „id.“ საინტერესოა, რომ ყარახული დიალექტის თლესერუხის კილოკავში სიტყვა ჭოლო-**ჟუ** ნიშნავს „ულაყ ცხენს“ (შდრ. ზემოყარახულში ჭოლაბ ჩუ „ულაყი“, ჩუ „ცხენი“); ანწუხური დიალექტის ანწროსუნჰადურ კილოკავში „მოზვერის“ სახელწოდებად გვაქვს კილაბ-**ჟო**, ხოლო ამავე დიალექტის ტომურულ კილოკავში – კილ-**ჟუ**... გაურკვეველია კილ-კომპონენტის სემანტიკა. ასევე უცნობია ზედმიწევნითი მნიშვნელობა კომპოზიტისა ფარკალა-**ჟო** „პეპელა“ (ყვლებურ ნარვე კილოში, ლიტ. კალკუჭ)...

დასასრულ, აღვნიშნავთ **ჟო**-ს გამოყენების ერთი თავისებურების შესახებაც — იგი განსაკუთრებით დამახასიათებელია „ცხვის“ სხვადასხვაგვარ სახელწოდებათათვის. შეიძლება ითქვას, რომ ხუნძურ ენას არც ერთი სულიე-

რი არსების სახელი არ უწარმოებია **ყო** ლექსებით ისე უხვად, როგორც ამ პირუტყვისა. წარმოავადგენთ ზოგიერთ მაგალითს:

ჰორ-**ყო** ითქმის ბერწ ცხვარზე (ჰორ-აბ „ბერწი“). იგი შეიძლება გამოიყენებოდეს მსაზღვრელადაც ცხვრის სხვა სახელწოდებებთან: ჰორყო ქუდ „მამალი ცხვარი 9 თვიდან ერთ წლამდე“, ჰორყო შორკენ „დედალი ცხვარი 9 თვიდან ერთ წლამდე“ (ჯაფარიძე 1966: 257; ჯაფარიძე 1975: 230, 231; ჰარუნოვა 1988: 147). ქუდ „ვერძი“, შორკენ „დედალი ცხვარი“ (1 წლისა).

„დედალი ცხვრის“, „ნერბის“ სახელწოდებად ხუნძურში გამოიყენება შიდალ'ა-**ყო**, რომელშიც პირველ კომპონენტად წარმოდგენილია ცხვრის სიმრავლის გამომხატველი კრებითი სიტყვა ში.

ტასა-**ყო**, ზედმიწ. „ზევიდან რამ“ ჰქვია მწყემსისათვის წლის ბოლოს გასამრჯელოდ მისაცემ ცხვარს (← ზმნსრთ. ტა-სა „ზევიდან“);

ჰეშერ-**ყო**, ზედმიწ. „შავი რამ“ (ჰეშერ-აბ „შავი“), მ.საიდოვის ცნობით, ეწოდება შავ ცხვარს, რომელსაც გვალვიანობის დროს ნათესებისა და სოფლის ირგვლივ შემოატარებენ ხოლმე წვიმის გამოწვევის მიზნით (საიდოვი 1967: 584). გვალვისა და სხვა უბედობისაგან ყანისა და ნათესების დაცვის ამ წეს-ჩვეულებას ჰქვია ჰეშერ **ყო** სვერი, ზედმიწ. „შავი რამის შემოვლა“; სხვა ვარიანტით – მელ სვერუნ **ყო** ბაჩიზე, ზედმიწ. „ყანის ირგვლივ რამის [არსების] ტარება“ (ამ წეს-ჩვეულების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ნიკოლსკაია 1959: 324).

ანწუხურში (სოფ. თივის მკვიდრ ანწუხელთა მეტყველებაში, კერძოდ) „ცხვრის“ მნიშვნელობით მოიპოვება სახელწოდება ბოწულ-**ჯო**, სადაც **ჯო** არის **ყო**-ს ფონეტიკური ვარიანტი: ჯ ← ყ შეპირობებულია პოზიციურად, კერძოდ, სონორი **ლ**-ს გავლენით. როგორც ცნობილია, სამხრულ ხუნძურში (ანწუხურში, ჭარულში...) „თუ ყო ელემენტი სონორ თანხმოვანზე გათავებულ ფუძეს დაერთვის, იგი ჯო-ს სახეს იღებს: ქვენ-ჯო „საჭმელი“ (← ქვენ „საჭმელი“ + ჯო „რამე“), ხანჯო // ხანჯუ „ფქვილი“ (← ხან + ჯო ← ყო)...“ (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 45). ამის კიდევ ერთი მაგალითია ხსენებული ანწუხური სიტყვაც (← ბოწულ ყო), რომლის ზედმიწევნითი მნიშვნელობაა „საქონლის რამ“ (არსება); შდრ. ბოწი „საქონელი“ (პირუტყვი), ნათ. ბრ. ბოწა-უ-ლ „საქონლისა“ და სხვა.

ლიტერატურა

ბურჭულაძე 1983 — Г. Т. Бурчуладзе, Структура основ имен существительных в лакском языке, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, X, თბილისი.

გუდავა 1954 — ტ. გუდავა, ხუნძური ჭუჭუ „ქალი“ სიტყვის შედგენილობისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, თბილისი.

ზღაპრები 1990 — Аваразул халкъиял маргъаби, Махачкала.

მაჭომედხანოვი 1993 — М. М. Магомедханов, Аварско-русский фразеологический словарь, М.

მიქაილოვი 1959 — Ш. И. Микаилов, Очерки аварской диалектологии, М.-Л.

ნიკოლსკაია 1959 — З. Я. Никольская, Религиозные представления и земледельческие обряды аварцев, Сб. Вопросы истории религии и атеизма, VII, М.

ჟირკოვი 1936 — Аварско-русский словарь. Составил проф. Л. И. Жирков, М.

საიდოვა 2008 — П. А. Саидова, Диалектологический словарь аварского языка, М.

საიდოვი 1967 — Аварско-русский словарь, Составил М.-С. Саидов, М.

უსლარი 1889 — П. К. Услар, Этнография Кавказа. Языкознание. III. Аварский язык, Тифлис.

შანიძე 1984 — ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I. ქართული კილოები მთაში, თბილისი.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

ჩიქობავა 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 — არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი.

ჯაფარიძე 1966 — ზ. ჯაფარიძე, მესაქონლეობის ლექსიკა (სიტყვათა სემანტიკურ ბუდეებად განლაგების ცდა ხუნძური ენის მასალაზე), იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XV, თბილისი.

ჯაფარიძე 1975 — З. Н. Джапаридзе, О системе обозначения возраста домашних животных в аварском языке, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, II, თბილისი.

ჰარუნოვა 1985 — К. И. Гарунова, К вопросу о терминологии родства в некоторых говорах южного наречия аварского языка, Сб., Проблемы отраслевой лексики дагестанских языков: Термины родства и свойства, Махачкала.

ჰარუნოვა 1988 — К. И. Гарунова, К овцеводческой терминологии южного наречия аварского языка, Сб., Отраслевая лексика дагестанских языков: Названия животных и птиц, Махачкала.

LEVAN AZMAIPARASHVILI

Composits with **ž** Lexeme in Avar

S u m m a r y

In Avar the formation of composits with a **ž** lexeme is productive which meaning is “an object”, “smth”. This lexeme occurs as a determinative of different stems and forms in many compound words with various semantics: **bižara-ž** — “furuncle” — word-for-word “smth. arising” (cf. participle **bižar-ab** “grown-up”, a verb **biž-ize** “growing up”); **baɔar-ž** “kidney” — word-for-word “smth. red” (cf. an adjective **baɔar-ab** “red”), **l'araža-ž** “bolt for fixing an ox’ horns”, word-for-word “smth. on an horn” (cf. a locative case form of I series **l'ara-ža** “on an horn”), **na-qa-ž** “horse’s tail-strap” — word-for-word “smth. behind” (cf. an adverb **naqa** “behind”) and others. A lexeme **ž** occurs in composite denoting “a woman” **čau-žu** ← **čau-ž** word-for-word “smth. female”, **čeu** “female” (T. Gudava). Comparison of this composite denoting “a woman” with an Avar name of “a man” demonstrates a noteworthy picture: Avar **bix'in-či** “a man”, word-for-word “a male human-being”, cf.: **bix'in** “male”. As we see, in Avar an human-being is characterized according to its natural sex, but a noteworthy difference is revealed (this is a generic viewpoint expressed by a language): **-či** in a composite (**bix'in-či**) denoting “a man”, denotes an human-being generally and **-ž** (**čau-žu** ← **čau-ž**) in a woman’s name contains an object’s semantics and it is characteristic of many nouns of III grammatical class.

ნოდარ არდოტელი

გრამატიკული კლასების სისტემა ხუნძური ენის
ზედსართავ სახელებში*

ხუნძურში, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ანალოგიურად, მოგვეპოვება ზედსართავ სახელთა ორი ძირითადი ჯგუფი: ა) ვითარებითი (*resp.* თვისობრივი, პირველადი) და ბ) მიმართებითი (*resp.* მეორეული).

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ხუნძურში მსაზღვრელად გამოყენებულ სრული სახის ვითარებით ზედსართავ სახელებს ყოველთვის დაერთვის კლას-კატეგორიის სუფიქსური ნიშნები, რომლებიც საზღვრულთან ატრიბუტული კავშირის დასამყარებლად გამოიყენებიან, მაგ.: ლ'იკ-აბ „კარგი“, ქტემ-აბ „ცული“, კოდ-ობ „დიდი“, ყოყ-აბ „გრძელი“ და სხვ.

გარკვეულია, რომ ზემომოყვანილ ზედსართავთა კლასის სუფიქსური ექსპონენტები წარმომავლობით ჩვენებით ნაცვალსახელებს წარმოადგენენ (ყირკოვი 1935; ჩიქობავა 1942: 33; ბოკარევი 1949: 150; კიკვიძე 1958: 99; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 185...)

ჩვენს ყურადღებას იქცევს ისეთი ზედსართავები, რომლებსაც კლასის ნიშანი, სუფიქსის გარდა, პრეფიქსადაც დაერთვის, მაგ.: ბ-ე-წ-აბ¹ „ბნელი“, ბ-ა-ჭარ-აბ „წითელი“, ბ-ო-რხათ-აბ „მაღალი“, ბ-ა-წად-აბ „სუფთა“, „წმინდა“, ბ-ი-ტარ-აბ „სწორი“, ბ-ი-ცად-აბ „სქელი“ და მისთ.

პრეფიქსად გამოყენებული კლას-ნიშანი მატერიალურად ზემოხსენებულ ზედსართავთა სუფიქსის ბადალია. მატრიბუტივებელი სუფიქსები არიან ოდინდელი ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც ზმნიზედისა და ზედსართავის საზიარო ფორმას ერთვიან. პრეფიქსულ და სუფიქსურ კლას-ნიშანთა გენეზისური სხვადასხვაობა ზედსართავ სახელთა ბრუნებისასა და სიტყვაწარმოებისას დაჩნდება (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 186).

ჩვენი აზრით, ორი კლასის ნიშნის მქონე ზედსართავის ფორმები წარმომავლობით უნდა იყვნენ ოდინდელი მიმღებები, რომლებმაც დროთა განმავლობაში ვითარებითი ზედსართავის სტატუსი შეიძინეს. თუ ზედსართავი სახელის მოკლე (*resp.* გაუდიფერენცირებელ) ფორმებს, რომელთაც ზმნიზედის

* წაკითხულ იქნა მოხსენებად სესიაზე „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“ 2008 წლის 26 მარტს.

¹ სიმარტივისათვის ზედსართავებს III კლასის ფორმით ვიმოწმებთ.

გაგებაც აქვთ, იმთავითვე ატრიბუტულ ფუნქციას მივაკუთვნებთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ზმნური წარმომავლობისანი არიან. ამგვარი თვალსაზრისი საფუძველსმოკლებული არ იქნება, თუკი გავითვალისწინებთ სათანადო ზმნათა ჩვენებას, მაგ.: ბ-ე-წ-აბ (შდრ. ბ-ე-წ-ი-ზე „ჩაქრობა“, „დაბნელება“) „ბნელი“, ბ-ა-ჭარ-აბ (შდრ. ბ-ა-ჭარი-ზე „გაცხელება“, „დაწვა“...) „წითელი“, ბ-რ-რხათ-აბ (შდრ. ბ-რ-რხ-ი-ზე „აწევა“, „ატანა“) „მაღალი“, ბ-ა-წად-აბ (შდრ. ბ-ა-წა-ი-ზე „გაწმენდა“, „გასუფთავება“) „სუფთა“, „წმინდა“, ბ-რ-ტარ-აბ (შდრ. ბ-რ-ტ-ი-ზე „გასწორება“, „გაგზავნა“) „სწორი“, ბ-ა-ხ-არ-აბ (შდრ. ბ-ა-ხ-ი-ზე „გათბობა“) „თბილი“ და მისთ.

აღსანიშნავია, რომ ზედსართავის ამგვარი საანალიზო ფორმები სხვადასხვა ტიპისაა და მათი დერივაცია ქრონოლოგიურად სხვადასხვა პერიოდს მიეკუთვნება. კერძოდ, მოდელი ბ-ი-ტ-ა-რ(ა)-აბ („სწორი“), ბ-ა-ხ-არ(ა)-აბ („თბილი“) შედარებით გვიან ჩამოყალიბებული ჩანს და იგი ნამყოს მიმღობის ფორმებს ეთანაბრება, შდრ. **ბ-ა-ჭ-ა-რ(ა)-აბ** „მოსული“ (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 307).

რაც შეეხება **ბ-ე-წ-აბ** „ბნელი“, **ბ-ა-ჭ-არ-აბ** „წითელი“ ტიპის ფორმებს, ისინი ყოველგვარი დეტერმინანტული ელემენტების გარეშე არიან წარმოდგენილი და თანამედროვე მიმღობური ყალიბისაგანაც განირჩევიან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიმღობათა წარმოების საწყის ეტაპზე კლასიფიკატორი ზმნის მარტივ ფუძეს უშუალოდ ერთვოდა.

უფრო რთულად დგას **ბ-ა-წად-აბ** („სუფთა“), **ბ-ო-რხ-ათ-აბ** („მაღალი“) ტიპის ფორმათა საკითხი, ვინაიდან ამ რიგის ზედსართავებში (*resp.* მიმღობებში) ზმნური ფუძე დეტერმინანტ-სუფიქსებით (სათანადოდ: **-ად**, **-ათ** < ***-ად**) არის გართულებული. ტ. გუდავა პირდაპირ წერს: „ხუნძურ ფორმაში ბაწად- ბოლო -ად არის სუფიქსი“ (გუდავა 1979: 163). ანალოგიურ აზრს ადგას ბ. კიკვიძე, რომელიც საგანგებოდ მსჯელობს ამ საკითხზე და, **-ად** ოდენობის გარდა, გამოყოფს **-იდ** (ყუარ-**იდ**-აბ „ფართო“, შატ-**იდ**-აბ „ვიწრო“...), **-ათ** < **-ად** (ბ-ო-რხ-**ათ**-აბ „მაღალი“, ბ-ი-ც-**ათ**-აბ „მსუქანი“...), **-ილ** (ვაჭ-**ილ**-აბ „ლურჯი“, შდრ. ვაჭ-აბ „თეთრი“, ტოჭ-**ილ**-აბ „ყვითელი“), **-ენ**, **-ინ** (ტერ-**ენ**-აბ „წვრილი“, ჰიტ-**ინ**-აბ „პატარა“...) დეტერმინანტ-სუფიქსის შემცველ ზედსართავებს (კიკვიძე 1958: 103-105).

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ხუნძურ ენაში დადასტურებული ზედსართავის გაუფორმებელი სახეობების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა.

1889 წელს პ. უსლარი წერს: „ზმნისართისაგან (**sic!** — ნ. ა.) ნაწარმოები ზედსართავები, რომლებსაც თავკიდურად აქვთ ცვალებადი ასო-ბგერა, ამ თვისებას ინახავენ; ამგვარად, აქ სქესი და რიცხვი უ, — ე, ე, — ბ, ბ, — რ, ლ აფიქსების დახმარებით სიტყვის თავსა და ბოლოში აღინიშნება“ (უსლარი 1889: 87).

მოყოლებული პ. უსლარიდან ამ თვალსაზრისს ემხრობიან ლ. ჟირკოვი (ჟირკოვი 1924: 155; 1936: 179), მაჰომედსაიდ საიდოვი (საიდოვი 1967: 767). საპირისპირო მოსაზრებას გამოთქვამს ა. ბოკარევი, რომელიც ზმნიზედის არსებობას უგულვებლყოფს და ზედსართავის არასრულ ფორმას მიიჩნევს სრულისათვის ამოსავლად, მაგ.: ბ-ე-წ > ბ-ე-წ-აბ „ბნელი“, ქტემ > ქტემ-აბ „ცუდი“ და მისთ.

უფრო მართებული ჩანს ქართველ ენათმეცნიერთა (კიკვიძე 1958: 102; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 183-187) მიერ წამოყენებული დუალისტური თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ზედსართავის ე.წ. სადა (გაუფორმებელი) ფორმა (*resp.* ფუძე) ბიფუნქციურია — მისი სემანტიკა ისევე, როგორც ძველ ქართულსა და ზოგ სხვა ენაშიც, ითავსებს ზმნისართის გავებას.

იშვიათად, როდესაც შესაბამისი ზმნური ფუძის დაძებნა ჭირს, ზედსართავს ზმნისართისაგან მიღებულად მივიჩნევთ, თუმცა მონათესავე ენებთან შედარება ამგვარ ფუძეებშიც დეტერმინანტ-სუფიქსებს გამოგვაყოფინებს (კიკვიძე 1958: 104): ბიცა-ათ-აბ (<*ბიცა-ად-აბ) „მსუქანი“...

კითხვა ისმის: შესაძლებელია თუ არა, რომ მიმღეობა ვითარებით ზედსართავ სახელად იქცეს?

მიმღეობა, როგორც ნაზმნარი ზედსართავი სახელი, სავსებით შესაძლებელია სემანტიკური გადააზრიანებით ვითარებით ზედსართავ სახელად გარდაიქმნას. ამ მოვლენას ბევრ (მონათესავე თუ არამონათესავე) ენაში ეძებნება პარალელი, მათ შორის ქართულშიც, მაგ.: წით-ს — მ-წით-ურ-ი, წით-ელ-ი, ყარ-ს — მ-ყრ-ალ-ი, შრ-ებ-ა — მ-შრ-ალ-ი და მრ. სხვ.

ზემომოყვანილი ფორმები ამჟამად ზედსართავებად გაიგებიან, თუმცა ისტორიულად ამგვარი ოდენობანი მიმღეობებს წარმოადგენენ.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ პრეფიქსული კლას-ნიშნები საანალიზო ზედსართავებში ზმნიდან არიან გადმოყოლილი, ხოლო კლასის სუფიქსური ექსპონენტები, რომლებიც გენეზისურად ჩვენებითი ნაცვალსახელებია, საზღვრულს ეთანხმებიან კლასსა და რიცხვში. რაც შეეხება პრეფიქსულ კლასიფიკატორებს, ისევე აირეკლავენ რეალური სუბიექტისა და უახლოესი ობიექტის კლასს (და რიცხვსაც), როგორც შესაბამისი ზმნა.

ლიტერატურა

ბოკარევი 1949 — А. А. Бокарев, Очерк грамматики чамалинского языка, Москва — Ленинград.

გულავა 1979 — Т. Е. Гудава, Историко-сравнительный анализ консонантизма дидойских языков, Тбилиси.

კიკვიძე 1958 — ბ. კიკვიძე, ზედსართავი სახელი იბერიულ-კავკასიურ ენებში. — თსუ შრომები, ტ. 71, თბილისი.

ჟირკოვი 1924 — Л. И. Жирков, Грамматика аварского языка, Москва.

ჟირკოვი 1935 — Л. И. Жирков, Развитие частей речи в горских языках Дагестана. — ЯСКД, т. I, Москва-Ленинград.

ჟირკოვი 1936 — Л. И. Жирков, Аварско-русский словарь, Москва.

საიდლოვი 1967 — М. С. Саидов, Аварско-русский словарь, Москва.

უსლარი 1889 — П. К. Услар, Этнография Кавказа. Языкознание, III. Аварский язык, Тифлис.

ჩიქობავა 1942 — არნ. ჩიქობავა, ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში. — ენიმკი-ს მოამბე, ტ. XII, თბილისი.

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 — არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი.

NODAR ARDOTELI

Towards the System of Grammatical Classes in Adjectives of Avar Language

S u m m a r y

In the Avar Language occur adjectives with class prefixes and class suffixes, as well, e. g. **b-e-ḡ-ab** „dark”, **b-a-ḡad-ab** „clear”...

According to my observation, adjectives with two classificators (genetical variety among class exponents is clear) might have been arised from participle forms which gradually acquired a status of adjectives, e. g. **b-é-ḡ-ab** (cf. **b-é-ḡ-i-ze** „to cover”, „to darken”) „dark”, **b-í-ḡ-ar-ab** (cf. **b-í-ḡ-i-ze** „to straighten”, „to send”) „right”, **b-á-ḡad-ab** (cf. **b-á-ḡ-i-ne** „to clean”) „clean”, „tidy”, etc.

In the adjectives under research the prefixal classificators might have been moved from comfortable verbs.

As for the suffixal classificators, which genetically are markers of demonstrative pronouns are used for agreement between nouns and verbs in class (resp. in number).

მანანა ბუკია

**ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის
ისტორიიდან – V. სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკა**

ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურულ ურთიერთობებს ხანგრძლივი და მრავალწახნაგოვანი ისტორია აქვს, რომელსაც მასშტაბური და ობიექტური კვლევა სჭირდება.

ენობრივმა მასალამ შემოგვინახა ის რეალობა, რომელიც ისტორიის ფურცლებზე გაბუნდოვანდა. ლინგვისტიკაში მიღებული ბგერათშესატყვისობის და ფონოტაქტიკის წესები საშუალებას იძლევა დადგინდეს საერთოკავკასიური ძირები, გამოიყოს ნასესხები ლექსიკა, სესხების მიმართულება, სესხებისას მიმდინარე ფონეტიკური პროცესები, უცხოენოვანი გარემოდან შეთვისებისას კი, იმავე პრინციპზე დაყრდნობით, დადგინდეს სესხების შუალედური რგოლი.

განვიხილავთ სამოსელთან დაკავშირებულ საერთო ლექსემათა ნაწილს. ზოგადად კი შევნიშნავთ, რომ ამ დარგში მოძიებული საერთო სიტყვები 9 ათეულზე მეტს ითვლის. მასალის სისტემატიზაციისთვის ვისარგებლეთ ე. შეგელიას მიერ შემოთავაზებული სქემით (შენგელია 2006: 320-340).

სამოსლის სახეობის აღმნიშვნელი ლექსიკა

სამოსლის სახეობის აღმნიშვნელი რამდენიმე სიტყვა შედარებით ახალი შესულია ქართულსა და აფხაზურში, სავარაუდოდ, რუსული ენის გავლენით, ამიტომ ამ შემთხვევაში სესხების შუალედურ რგოლზე საუბარი მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

ეს სიტყვებია: ქართ. **კიტელი** [გერმ. kittel რუს. ენის მეშვეობით] სამხედრო ფორმის ქურთუკი“ (ქეგლ, IV : 1232), აფხ. **ა-კიტელ** „კიტელი“ (შაყრილი 1986 : 308); ქართ. **კოფთა** „[რუს. кофта] ქალის ტანსაცმელი, წელზეით ჩასაცმელი“ (ქეგლ, IV: 1352), ლაზ. **კოჭტა** „ქალის ზედა ჩასაცმელი“, აფხ. **ა-კაფთა** „კოფთა“ (შაყრილი, 1986, 339); ქართ. **პალტო** [ფრ. paletot] „ზევიდან ჩასაცმელი გრძელი, სახელოებიანი სამოსელი“ (ქეგლ, VI: 111), აფხ. **ა-პალტა** „პალტო“ (რალ, 1964: 406); ქართ. **ჟაკეტი** [ფრ. jaquette რუს. ენის მეშვეობით] ქალის მოკლე ზედა ტანსაცმელი“ (ქეგლ, VI: 321), აფხ. **ა-ჟაკეტი**, მოსასხამი“ (შაყრილი 1986: 226).

აღრინდელი ნასესხობებია ქართულში: **ანაფორა** [ბერძ. ἀναφορά „ზევით აწევა, გამოყოფა“] განიერი და გრძელი ზედა ტანსაცმელი მღვდლისა“ (ქეგლ, I:

487). ჩანს, ქართულიდან უნდა იყოს შესული აფხაზურში **ა-ნაფარა** „ანაფორა“ (ჯანაშია 1954: 206) ისევე, როგორც სხვა ქრისტიანული ლექსიკა (გვანცელაძე 1996).

კაბა „1. ქალის ტანსაცმელი; 2. ძვ. კალთებიანი გრძელი ტანსაცმელი (ქალისაც, კაცისაც)“ (ქეგლ, IV: 1001), **კაბა** (მეგრ.) „ქალის ზედა ჩასაცმელი, ასევე მამაკაცის ჩასაცმელი ჩოხის ქვეშ“ (ყიფშიძე 1914: 249), **კაბ** (სვან.) „კაბა“ (თოფურია 2000: 340) — **ა-კაბა** „ახალუხი“ (უსლარი 1887: 142); არაბულ-სპარსულ სიტყვას **ყაბ** პ. ჭარაია ქართველურიდან ნასესხობად მიიჩნევს აფხაზურში (ჭარაია 1912 : 11). **კაბა** ბეწვიან თუ უბეწვო ზედა ჩასაცმელს ნიშნავს. ქართულ მწერლობაში XIII ს-დან გვხვდება. „ვეფხისტყაოსანში“ ის მამაკაცის ჩვეულებრივ სამოსლად ჩანს (ჯავახიშვილი 1962: 101).

ხალათი [არაბ. ხილ'ათ] „1. აღმოსავლური გრძელი და ფართო ზედა ჩასაცმელი. 2. გრძელი ხალვათი საშინაო ჩასაცმელი. 3. ტანსაცმლის ზემოდან ჩასაცმელი სამოსი“ (ქეგლ, VIII: 1319). ეს ფორმა XVII საუკუნემდე უცხოა ქართული მწერლობისთვის. ის თავდაპირველად სპარსულ და თურქულ ტანსაცმელს აღნიშნავდა, ხოლო შემდეგ სპარსი და ოსმალთა მებატონეებისგან მიღებულ საჩუქარს, ანუ წყალობას (ჯავახიშვილი 1962: 115). ჩანს, ქართულის მეშვეობით აქვს ნასესხები აფხაზურს **ა-ხალათ** „ხალათი“ (რალ 1964: 606).

ყანთარი (მეგრ.) „ლიფი, ქალის ზედა სამოსი“, **კანთარ** (სვან.) „ლიფი“, **ა-ყანთარ** (აფხ.) „ქალის ზედა უსახელო სამოსი“ (შაყრილი 1986: 384) ნასესხები ჩანს როგორც მეგრულსა და სვანურში (სვანურში, სავარაუდოდ, მეგრულიდან), ისე აფხაზურში, მსგავსად მისი ომონიმური წყვილისა **ყანთარი** [არაბ. კანთარ „სამხრიანი სასწორი“] ლოლარიკი, ცალ-სასწორა“ (ქეგლ, VII: 506), აფხ. **ა-კანთარ** „ყანთარი, სასწორი“ (ჯანაშია 1954: 141). ორივე ენაში შესულია არაბულიდან. სესხების შუალედური რგოლი სავარაუდოდ თურქულია: **kantar** „სასწორი“ (მაგაზანიკი 1945: 312).

მიუხედავად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებისა, ქართველურიდან მიგვაჩნია შეთვისებული აფხაზურში **ა-გაბანაქ** „ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ჩასაცმელი, გაბანაკი“ (ჯანაშია 1954: 79). სიტყვა მომდინარეობს მეგრული **გაბანაკ**-ისგან „მწყემსის პალტო“ (ბუკია 2002: 36-37).

აფხაზურიდან ნასესხობად მიაჩნია გ. კლიმოვს მეგრული **ძიქვა** „შარვალი“, ამოსავლად კი — აფხაზური **ა-იქა** (რალ, 1964, 64), რომელიც **ა-ძიქა** (ჯანაშია 1954: 374) ფორმითაც გვხვდება (კლიმოვი 1986: 182). იგივე **აქა** გვხვდება აბაზურშიც (აბრლ 1967: 46). საგულისხმოა, რომ **ძიქვა / ძიკვა** სიტყვა გვაქვს ლაზურში, სადაც აფხაზური ენობრივი გავლენა ნაკლებადაა მოსალოდნელი. შეიძლება საკითხი სხვაგვარადაც დაისვას, ანუ სესხების მიმართულება სხვაგვარად იქნეს განხილული.

სამოსლის ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები

რამდენიმე საერთო ფორმა დასტურდება ტანსაცმლის ნაწილების აღმნიშვნელ სიტყვებში:

ქართულიდანაა ნასესხები აფხაზური **ა-კალთ** „კალთა (ტანისამოსისა)“ (ჯანაშია 1954: 140); შდრ. **კალთა** „1...სამოსლის ფესვი“ (საბა), ქვემოთკენ გაშლილი ტანისამოსის ქვედა ნაწილი. 2. რაც კალთაში ჩაეტევა იმდენი“ (ქეგლ, IV: 1033), **კართე** (მეგრ.) „კალთა“, **კალთაჲ / კალთჲ / კალთ / კალთა** (სვან.) „კალთა“. ქართულიდან ნასესხობა გვაქვს აბაზურშიც: **კალთა** „კალთა“ (შაგიროვი 1989: 139).

არაბული წარმოშობის **ა-ჯგბა** „ჯიბე“ (ჯანაშია 1954: 450), **ა-ჯაბა** (ბზ.) „id“ (ბლაჟბა 1964: 206) ქ. ლომთათიძის თვალსაზრისით ქართულიდანაა შეთვისებული აფხაზურში (ლომთათიძე 1976: 47). სიტყვა ფართოდაა გავრცელებული კავკასიურენოვან სივრცეში: **ჯიბე** „ფარავი“ (საბა 1993: 456), **ჯიბე** (მეგრ.) „ჯიბე“ (ყიფშიძე 1914: 413), **ჯები / ჯებე** (ლაზ.) „id“ (მარი 1910: 236); **ჯიბ / ჯიბაჲ / ჯიბჲ** (სვან.) „id“ (თოფურია 2000: 887), **ჯგფ** (აბაზ.) „id“ (აბრლ 1967: 211), **ჯიბ** (უდ., თაბას.), **ჟიფ** (არჩიბ.), **ჟიფ** (ლაკ.), **ჟგფ** (ყაბარდ.), **ძგფფ** (ოს.) „id“ (აბაევი 1958: 406). აფხაზური კომპოზიტი **ა-გ°გრჯგბა** „გულის ჯიბე“ (შაყრილი 1986: 166) მეგრულიდანაა ნასესხები. ამოსავალია **გურჯიბე < გურიშ ჯიბე** „გულის ჯიბე“.

სამოსლის შესაკრავების აღმნიშვნელი სიტყვები

ტანსაცმლის შესაკრავის აღმნიშვნელ საერთო ტერმინთა ნაწილი აფხაზურში დიალექტური ვარიანტების სახითაა წარმოდგენილი. აბუუურში ქართველურიდან, ან ქართველურის გზით ნასესხები ფორმები გვხვდება, ბზიფურში კი საკუთრივ აფხაზური, ან რუსულიდან ნასესხები:

ა-კაცხ° (აბუ.), **ა-ჰაბ** (ბზ.) „კაბის შესაკრავი კაუჭი“ (ბლაჟბა 1964: 207). აბუუური ფორმა იმავე მნიშვნელობის მეგრული **კაცხუ**-დან არის მიღებული (შაგიროვი 1989: 152).

ა-ქნგსთა (აბუ.), **ა-გ°ლაგკა** „ქინძისთავი“ (ბლაჟბა 1964: 207). აბუუური ფორმის საფუძველია მეგრული **ქინძისთე** „ქინძისთავი“, ბზიფური კი რუსული **нылавка**-დანაა მიღებული (ბლაჟბა 1964: 207).

ა-სადგფ „ლილი“ (შაყრილი, 1987, 114), **ა-სადაფ / ა-სადიფ** (ბზ.) „id“ (კასლანძია 2005-ა: 160), შდრ. **ა-ჰ°გნწ°რა** (ბზ.) „ლილი“ (შაყრილი 1987: 302). **ა-სადგფ / ა-სადაფ / ა-სადიფ** ფორმებისთვის ამოსავალია არაბული **სადაფ** „მარგალიტის ნიჟარა“, რომელიც **სადაფი / სადაფ** (ინგ.) / **სედეფი** (აჭ.) / **სადაფი** (მეგრ.) / **სედეფი** (ლაზ.) / **სადაფ / სადაფ** (სვან.) სახითაა წარმოდგენილი ქართველურ მიკროსისტემებში. აფხაზურისთვის სესხების შუალედური რგოლი ქართველურია.

ა-მანხუჟ აფხაზურში „ქვედაკაბაში გასაყრელი თასმა“ (მალია 1982:

100). იმავე სემანტიკისაა მეგრული **მახუჭალი**, რომელიც **ხუჭუნს** „ანაოჭებს“ ზმნური ფორმისგან მიღებული მიმღებობაა და „დამნაოჭებელსაც“ აღნიშნავს და „დასანაოჭებელსაც“, ამიტომ აფხაზურ ფორმას მეგრულიდან მომდინარედ მივიჩნევთ.

ქართულიდან ნასესხობად განვიხილავთ აფხაზურ **ა-დუგმა**-საც (ჯანაშია 1954: 96). შდრ. **დუგმა** „ლითონის ერთგვარი შესაკრავი, — ლითონის ღილაკილო, ხრიკა“ (ქეგლ, III: 1231), ამოსავალია თურქული **düğme** „1. ღილი; 2. კნობი“ (მაგაზანიკი 1945: 159).

სამოსლის მოსართავის აღმნიშვნელი ტერმინები

ტანსაცმლის მოსართავის აღმნიშვნელი საერთო ტერმინები ორსავე ენაში ნასესხებია. სესხების შუალედური რგოლის გარკვევისთვის ხელშესახები მასალა არ ჩანს, ამიტომაც ჩვენ ანალიზის გარეშე მივუთითებთ ამ ლექსიკურ ერთეულებს:

არშია „1. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ნაირსახიანი ზოლი, ფერით ან მასალით განსხვავებული. 2. იგივეა, რაც კარნიზი. 3. იგივეა, რაც რანტი. 4. წიგნის ან რვეულის დაუწერლად დატოვებული კიდე“ (ქეგლ, I: 580) — **ა-რაშა** „არშია“ (შაყრილი 1987: 68), **ა-რაშია** „id“ (კასლანძია 2005-ა: 105). 1720-52 წწ. საეკლესიო სამკაულების ნუსხაში ნაქსოვი **არშია**-ა მოხსენებული, გვხვდება XVII-XVIII საუკუნის მზითვის წიგნებში (ჯავახიშვილი 1962: 199).

ბანდი „[სპარს. ბანდ „შეკვრა“, „ნასკვი“] 1. წვრილი თოკი ან თასმა; 2. ჭრილობის შესახვევი ქსოვილი“ (ქეგლ, I, 968), **ბანდი** ნ. **შებანდული** „შეყინულივით“ (საბა 1993: 282) — **ა-ბანდა** „ლენტი“ (მაგიროვი, 1989, 151). აფხაზურში ნასესხებია ქართულიდან (იქვე).

კანტი „[გერმ. Kante] ქსოვილის ვიწრო ზოლი ტანისამოსის კიდეზე მოვლებული ან ნაკერში ჩაყოლებული“ (ქეგლ, IV: 1053) — **ა-კანტ** „კანტი“ (შაყრილი 1986: 297), „ტყავის თასმა“ (კასლანძია 2005: 483).

სირმა „ოქროს ან ვერცხლის ძაფი, — ოქრომკედი“ (ქეგლ, VI: 1062) — **ა-სგრმა** „ზეზი, სირმა“ (რალ 1964: 146). ამოსავალია თურქული **sirma** „ვერცხლის ან ოქროს ძაფი“ (მაგაზანიკი 1945: 542).

ყაითანი [თურქ. კაითან] „წნული ზონარი მოსავლებად“ (ქეგლ, VII: 500) — **ა-ყაითან** „ზეზი, სირმა, ყაითანი“ (რალ 1964: 146). ორივე ენისთვის ამოსავალია თურქული **kaytan** „ქაღალდის ან აბრეშუმის თასმა“ (მაგაზანიკი 1945: 328).

სამოსლისთვის გამოყენებული მასალის აღმნიშვნელი სიტყვები

ქსოვილის სახეობის და, ზოგადად, სამოსლისთვის გამოყენებული მასალის აღმნიშვნელი ლექსიკის დიდი ნაწილი ორსავე ენობრივ სისტემაში ნასესხებია. უმეტეს შემთხვევაში ახალი ნასესხობაა, ამიტომ სესხების შუალედური რგოლის დადგენა (თუ ეს საერთოდ არსებობს) ჭირს, სავსებით შესაძლებელია ერ-

თმანეთისგან დამოუკიდებლად შეეთვისებინა ქართულს და აფხაზურს, ნაწილში კი ადვილად ინიშნება.

ქართულის მეშვეობით ნასესხებად მიიჩნევა აფხაზური **ა-ბამბა / ა-ბამბა / ა-ბგმბა**, რომელიც მთელ ქართველურ ენობრივ სივრცეში გვხვდება: **ბამბა** [სპ. პანბაპ] „ტექნიკურ კულტურაში ფართოდ გავრცელებული ერთწლოვანი მცენარე. 2. ამავე მცენარის ნაყოფში გამოხვეული თეთრი ბოჭკო“ (ქეგლ, I: 964), მეგრ. **ბამბე** ლაზ. **ბამბუ**, სვან. **ბამბჲ / ბანბჲ** „ბამბა“. ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). აფხაზური სიტყვა ნასესხებია ქართულიდან (გვანცელაძე 1997: 206). ქართულიდანვე ნასესხებად ითვლება უბიხ. **ბზბჲ**, აბაზ. **ბამბი** (შაგიროვი 1989: 139).

ჩოჯა / ჩოხა ქართულში IX-X საუკუნეებში ჩნდება, ამიტომ უფრო საფიქრალია, რომ ეს ტერმინი სპარსულიდან იყოს შეთვისებული, ვიდრე თურქულიდან (ჯავახიშვილი 1962: 99). ძველ ქართულში ის „საბერო სამოსელია“ (აბულაძე 1973: 512). მეგრულში **ჩოხა** ქსოვილის სახეობას, კერძოდ, „შალს, მაუდს“ აღნიშნავს. ქსოვილის სახეობის მნიშვნელობით შეითვისა აფხაზურმა ენამ **ა-ჩოჟჷა / ა-ჩუჷა** „მაუდი“ (ჯანაშია 1954: 345), შესაბამისად, ის მეგრულიდან შეთვისებულად უნდა ჩაითვალოს.

ქართულიდან შეთვისებულთა რიცხვში განიხილავს ხ. ბლაჟბა **ა-ნარმა-ს** „ნარმა“ (ბლაჟბა 1964: 206), გვხვდება ჰიბრიდული კომპოზიტის ნაწილად: **ა-ნარმაეჷა** „მამაკაცის გრძელტოტება საცვალი“ (იქვე).

ქართულის მეშვეობითვე უნდა იყოს შესული აფხაზურში სპარსული წარმოშობის **ა-ბგრჩენ** „აბრეშუმი“ (ჯანაშია 1954: 76). ასევე ქართულიდანაა შეთვისებული **ა-ტგლა** „ტილო“ (რალ 1964: 610)

შედარებით ახალი ნასესხობა უნდა იყოს ქართ. **ბამბაზია** [ფრან. bombasin] „ბამბის თხელი ქსოვილი, რბილი, ბუსუსიანი“ (ქეგლ, I: 964), აფხ. **ა-ბამბაზია** „ბამბაზია“ (რალ 1964: 65); ქართ. **ბატისტი** [ფრ. ბატისტე] სელის ანდა ბამბის ქსოვილი, ძალიან თხელი და ოდნავ პეწიანი“ (I, 990) — **ა-ბატისტა** „ბატისტა“ (შაყრილი 1986: 97); **დრაფი** „[ფრანგ. drap „მაუდი“] სქელი და მკვრივი ქსოვილი წმინდა მატყლისა ან ბამბის ფუძეზე, ორფად ნაქსოვი მაუდი“ (ქეგლ, III: 1221) — **ა-დრაფ** „დრაფი“ (შაყრილი 1986: 210); **მიტკალი** „[არაბ. მიტკალ] ბამბის თეთრი ქსოვილი“ (ქეგლ, V: 441) — **ა-მიტკალ** „ტილო“ (კასლანძია 2005: 683); **სატინი** [არაბ. ზაიტუნ] ატლასივით პრილა ქსოვილი ბამბისა ან აბრეშუმისა“ (ქეგლ, VI: 826) — **ა-სატინა** „სატინი“ (შაყრილი 1987: 118); **ფლანელი** „[ფრან. flanelle] ტილოს მსგავსად ნაქსოვი შალია ან ბამბის თბილი ქსოვილი, რომელსაც აქვს წმინდა ბუსუსები ორსავე ან ცალ მხარეს“ (ქეგლ, VII: 133), მეგრ. **ფანელი**, სვან. **ფანელ / ფანელ**, აფხ. **ა-ფანელ** (ჯანაშია 1954: 459), **ა-ჭანელა** „ფლანელი“ (რალ 1964: 603).

ვვარაუდობთ, რომ მეგრული (resp. ქართველური) წარმოშობის უნდა იყოს აფხაზური **ა-კ°გ°გა** „მრგვლად დახვეული ძაფი, მორგვი“ (ჯანაშია 1954: 153). მის ამოსავალ ფორმად ვთვლით მეგრულ რედუბლიცირებულ კომპოზიტს **კვირკვი** „ძაფის გორგალი“ (ყიფშიძე 1914: 256). სესხებისას უკანაენის-მიერი ლაბიალური კომპლექსის გადაქცევა ლაბიალიზებულ ხშულად აფხაზური ფონოტაქტიკისათვის ბუნებრივი მოვლენაა. შდრ. აფხ. **ა-მაგ°** „მწყემსის ფეხსაცმელი“ < **ძგ.** ქართ. **მოგვი** „ჩექმა“, მეგრ. **მაგუია** „უხეში ფეხსაცმელი“ (იხ. ქვემოთ), არც აუსლაუტში ხმოვანი ა-ს გაჩენაა უცხო აფხაზურისთვის. მაგ.: **ა-ჟარბა** „ორბი“. უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველურში გვაქვს იმავე ძირის, მსგავსი სემანტიკის სიტყვა: ზანური (მეგრული) **კვარკვაშა** „მატყლის ქულა“, ქართული (მთიულური) **კვირსლი** „ბეწვი შალისა“, სვანური **კუნკუნს** „ნართი, შულო ძაფისა“. ფუძის უძველესი სახეობა დაცულია ქართულში, სადაც მარტივი, გაუორკვევბელი არქეტიპია შემორჩენილი. ე. ი. სვან. **კუნკუნს** < ***კჷირ-კჷეშ-ა** < ***კჷირშ-კჷირშ-ა**, მეგრ. **კვარკვაშ-ა** < ***კურ-კუშ-ა** < ***კჷირშ-კჷირშ-ა** (ჩუხუა 2000-2003: 130).

ასევე მეგრული წარმოშობისაა აფხაზური **ა-ძგა** „მატყლის გრეხილი ძაფი“ (ჯანაშია 1954: 376). ამოსავალია მეგრული **ძგა** „მატყლის ძაფი, შითი, ღაზლა, ღაზლის ძაფი“.

გაზაფხულზე განაკრეჭი მატყლი მეგრულში **ბუთა / ნაბუთუ** ფორმებით გადმოიცემა. იმავე სემანტიკის მატარებელია აფხაზური **ა-ბთა** (ჯანაშია 1954: 68). მეგრული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1997: 44). მ. ჩუხუას თვალსაზრისით, აფხაზური ფორმა პარალელს პოულობს, ერთი მხრივ, ქართ. **ფთილა / ფითილა** „ბამბის წნული“ : სვან. **ფითჷ** „ნამცეცი; თოვლის ფთილა“, **ფათჷ / ფათჷ** „თმა“ და, მეორე მხრივ, ბაცბ. **ფათარ**, ჩაჩნ. **ფათარ**, ინგ. **ფათარ** „ბუმბული, თივთიკი (თხისა)“ ფორმებთან, ხოლო ზანური შესატყვისი არ მოეპოვება (ჩუხუა 2000-2003: 236). ვვარაუდობთ, რომ მეგრული **ბუთა** აფხაზური **ა-ბთა**-დან მომდინარეობს, ხოლო **ნაბუთუ** წინა ვითარების სახელია და აფხაზური ფორმიდან არის მიღებული.

თავსაბურავის აღმნიშვნელი სიტყვები

საერთო ძირი ინიშნება მეგრულ **ქიცა** „თავსაფარი“ და აფხაზურ **ა-ქასგ** „თავსაფარი“ (მალია 1982: 66) ფორმებში. საგულისხმოა, რომ გვხვდება აბაზურშიც: **ქასგ** „თავსაფარი“ (აბრლ 1967: 257). სესხების მიმართულებაზე საუბარი ჭირს.

ქართველურიდან ჩანს შეთვისებული აფხაზური **ა-ჩგქთგ** „ვუალი, მარლა“ (გენკო 1998: 326), ამოსავალი კი ქართველურ მიკროსისტემებში ფართოდ გავრცელებული **ჩიხტი / ჩიხტი-ა** „ქართველი ქალის თავსაბურავის ნაწილი, თავზე დასადგმელი ბრტყელი რკალი, რომელზეც თავსაკრავია დამაგრებული“ (ქეგლ, VIII: 523).

თურქულიდანაა ნასესხები მეგრული **შარშაბი** „აბრეშუმის თავსახური“ (ჭანტურია 1996: 223), ლაზური **ჩარშაჭი / ჩარჩაჭი** „ზეწარი; მუსლიმი ქალის თავწამოსასხამი“, იგივე სიტყვა აფხაზურში „ზეწრის“ მნიშვნელობითაა შესული (იხ. ქვემოთ). აგრეთვე **ჩადრი** „[სპარ. ჩადრი] თხელი განიერი წამოსასხამი, — პირბადე“ (ქეგლ, VIII: 61) — **ა-ჩადღრ** „ჩადრი“ (კილბა 1983: 85).

აქვე განვიხილავთ **გვირგვინი** „1. ძვირფასი ლითონისაგან გაკეთებული, პატოსანი თვლებით შემკული თავსაბურავი. 2. წრედ შეკრული ჯვრიან-ფოჩებიანი საქორწინო სამკაული, რომელსაც ჯვრისწერის დროს თავზე ადგამენ და საქორწინებელ ქალ-ვაჟს“ (ქეგლ, II: 1443), **გურგინი** (მეგრ.) „გვირგვინი“; **გურგუჩინ / გუჩირგუჩინ** „გვირგვინი“; **ლიგურგინე / ლიგურგუჩინე / ლიგურგუჩინე** „ჯვრისწერა“ (სვან.) — **ა-გურგუნ** „საქორწინო გვირგვინი“ (ჯანაშია 1954: 86); **ა-გურგუნწაწარა** „დაგვირგვინება, გვირგვინის დადგმა“ (შაყრილი 1986: 165); **ა-გურგუნ** (კასლანძია 2005: 313) ფორმებს. სიტყვები აფხაზურში შესულია ქართველურიდან (შაგიროვი 1989: 151); შდრ. **გურგურ** (აბაზ.) „ბეჭედი“ (აბრლ 1967: 139); ასეთი სემანტიკური გადაწევა **დაგვირგვინება > ბეჭედი** ბუნებრივი ჩანს.

ფეხსაცმლის აღმნიშვნელი ტერმინები

ფეხსაცმლის აღმნიშვნელი სიტყვები ძირითადად ქართველურია, გვხვდება ორიოდ ნასესხები ფუძე.

ქართველურ ენებში ფეხსაცმლის ერთ-ერთ სახეობას აღნიშნავს სიტყვა, რომელიც მიკროსისტემებში ასეა წარმოდგენილი: **მოგვი** „ძვ. ყელმალალი ფეხსაცმელი, ჩექმა“ (ქეგლ, V: 620), **მაგუ / მაგუია** (მეგრ.) „ბანდული, ჩექმა“ (ჭანტურია 1996: 223), **სამგე** (მეგრ.) „ფეხსაცმელი ერთგვარი“ (შენგელია 2006: 334), **მანგუ** (ლაზ.) „საბელი“ (ჩუხუა 2000-2003: 151), **სამეგუ** (სვან.) „ტყავი“ (თოფურია 2000: 694). აფხაზური **ა-მაგ** „ტყავისაგან შეკერილი მწყემსის ფეხსაცმელი“ (ბუჩანია 1962: 153) ქართველურიდანაა ნასესხები. ლაზურში ფიქსირებული საბელის გაგება იმაზე მიუთითებს, რომ საერთოქართველური ერთობის დონეზე ***მეგუ** პრაფორმა ტყავის თასმებიან ფეხსაცმელს აღნიშნავდა (ჩუხუა 2000-2003: 151) ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ ძველი ქართული არის ამოსავალი აფხაზური **ა-მაგ**-სთვის (შაგიროვი 1989: 150). ვფიქრობთ, რომ აფხაზური ფორმისთვის ამოსავალი მეგრული **მაგუ-ა**.

მეგრული **ობოხუა** ა. ჭანტურიას განმარტებით „ოჩოფეხია“ (ჭანტურია 1996: 223), ხშირად აღნიშნავს სქელლანჩიან ფეხსაცმელსაც. ვვარაუდობთ, რომ ეს ფორმა უნდა იყოს ამოსავალი აფხაზური ამავე სემანტიკის სიტყვისათვის **ა-ლაბახ** „ოჩოფეხები“ (კასლანძია 2005: 605)

ყაყაბი „ძვ. იმერელი ქალის ფეხსაცმელი“ (ქეგლ, VII: 514), **ყაყაბი / ყაყაბია** (მეგრ.) „ხისძირიანი მალაქუსლიანი ფეხსაცმელი“ აფხაზურში გვხვდება **ა-ყაყაფ** (ჯანაშია 1954: 314), **ა-ყაყაფ** (კასლანძია 2005: 581) ფორმით

და მეგრულიდანაა შესული (მაგიროვი 1989: 150). ბზიფურში ამ მნიშვნელობით გვაქვს **ა-ყარმგ** (ბლაჟბა 1964: 207).

ჩხარკი (მეგრ.) „ძველი ფეხსაცმელი, რომელსაც არ აქვს საქუსარი“, **ჯღარკი** (გურ., იმერხ.) „ძველი ფეხსაცმელი, ქალამანი“ — **ა-ჩხარკ** „ოთახის უსაქუსარო ფეხსაცმელი“ (კასლანძია 2005-ა: 521). აფხაზურ ფორმაში დაცული პალატალური უკანანისმიერები გვაფიქრებინებს, რომ სიტყვა მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზურში. სესხებისას ფონოტაქტიკის წესები სრულადაა დაცული.

მესტი „1. მოკლეყელიანი უძირო მეშის ფეხსაცმელი ან უყელო საძირიანი მეშის ფეხსაცმელი“ (ქეგლ, V: 197), ფართოდაა გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში: კახურში, თუშურში, იმერულში, რაჭულში, ლეჩხუმურში, გურულში, აჭარულში (ჯავახიშვილი 1983), გვაქვს მეგრულ-ლაზურშიც: **მესტი** / **მესთი** (მეგრ.) „წულა“, **მესტი** (ლაზ.) „ტყავის უძირო ფეხსაცმელი“. თურქული სიტყვა გვხვდება აფხაზურშიც: **ა-მესტ** „მწყემსის წინდები ტყავისა“ (ბჟანია 1962: 98); სიტყვა შეთვისებულია სხვა კავკასიურ ენებშიც: **მადგსტ** (აბაზ.) „მსუბუქი ფეხსაცმელი, იცმევენ ლოცვის დროს“ (აბრლ 1967: 272), **მანსთ** (ყაბ.) **მანჩი** (ჩეჩნ., ინგ.), **მანჟი** (ხუნძ.), **მანჟითი** (დარგ.), **მანს** (ლეზგ.) „წულა“; აგრეთვე **მეს** / **მესთალ** (ოს.) „მსუბუქი ფეხსაცმელი, მესტი“ (აბაევი 1973: 112); შდრ. **mest** „საშინაო ფეხსაცმლის სახეობა“ (მაგაზანიკი 1945: 408).

ასევე ნასესხებია **ფაჩური** „1. საშინაო თბილი, უქუსლო ფეხსაცმელი; 2. ბავშვის ფეხსაცმელი რბილი ტყავისა“ (ქეგლ, VII: 49), **პაპუწი** (ლაზ.) „ჩუსტი, ფლოსტი“, **ფაჩი** / **ფაჩლელ** (სვან.) „ფაჩური“ — **ა-პაპეჩ** „უქუსლო წაღა“ (ჯანაშია 1954: 217); თუ ერთსა და იმავე სიტყვაზეა საუბარი ქართველურსა და აფხაზურში, ამოსავალია სპარსული **pāpūš** (ბართაია 2010: 93) > თურქული **pabuç** / **papuç** „უქუსლო ფეხსაცმელი“ (მაგაზანიკი 1945: 477, 479). ჩანს, აფხაზურს უშუალოდ თურქულიდან აქვს ნასესხები, ასევე ლაზურს, ქართულში კი შესაძლოა ვიმსჯელოთ სპარსულიდან ნასესხობაზე.

გვიანდელი ნასესხობაა რუსულიდან **კალოში** „[ფრან. Galoche] პირფართო დაბალი ფეხსაცმელი რეზინისა, რომელსაც იცვამენ ჩვეულებრივ ფეხსაცმელზე“ (ქეგლ, IV: 1038), **კალოშქი** (მეგრ.) „კალოში“, **კალოშ** (სვან.) „კალოში“, **ა-კალოშ** / **ა-გალოშ** (აფხ.) „კალოში“ (კასლანძია 2005: 269, 480). პირველი აფხაზური სიტყვა ქართულიდანაა ნასესხები აფხაზურში, მეორე — რუსულიდან.

კერვისთვის საჭირო ხელსაწყოების აღმნიშვნელი სიტყვები

საინტერესო პარალელებია დაძებნილი კერვისთვის საჭირო ხელსაწყოების აღმნიშვნელ ტერმინთა სემანტიკურ ჯგუფში.

საერთო ლექსიკის დიდი ნაწილი აფხაზურში ქართველურიდანაა შეთვისებული.

აფხაზური **ა-კანჭ** „კოჭი (ძაფისა)“ (ჯანაშია 1954: 152), **ა-კანჭ(ა)** „id“ (კასლანძია 2005: 527) **კოჭ**-ის მეგრული სონორგანვითარებული **კონჭ**-ს ვარიანტიდან არის ნასესხები ფონოტაქტიკის წესების დაცვით (მეგრ. **კო** > აფხ. **კ^ა**), **ა-კანჭ**-ისგან ფონეტიკური არის მიღებული იმავე სემანტიკის **ა-განჯა** (შაყრილი 1986: 151).

მაკრატელი „საჭრელი იარაღი“ (ქეგლ, V: 25) მეგრულში მეტათეზირებული სახით არის შემოსული და გვაქვს **მარკატელი / მარგატელი** ფორმები. მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზური **ა-მგრკატელ** „მაკრატელი“. ამ ნასესხობაზე მიუთითებს პ. ჭარაია (ჭარაია 1912: 14).

მასრა „საზღაო ძაფის დასახვევი მოკლე ჯოხი, მაქოში ჩასადები“ (ქეგლ, V: 84) მეგრულ-ლაზურში **მარსა / მასლა**-ს სახითაა შემოსული. მეგრული ფორმაა ამოსავალი იმავე სემანტიკის აფხაზური **ა-მარსა**-სთვის (ჯანაშია 1954: 185). საგულისხმოა, რომ ეს ფორმა აბჟუურშია წარმოდგენილი, ბზიფურში მისი სინონიმური წყვილია **ა-ხ^ა** (ბლაჟბა 1964: 203).

მაქო „საქსოვი დაზვის ნაწილი — მასრის ჩასადები, მოგრძო და ოვალური“ (ქეგლ, V: 93) სალექსიკონო ერთეულად აქვს შეტანილი საბას: **მაქო** „საქსოვრის საზღაოს გასავლები“ (საბა 1991: 443). მეგრულში მისი შესატყვისია **მარქვი**, ლაზურში გვაქვს **მაქოქი / მაქოჩი** სახით. მეგრულის მსგავსი სონორგანვითარებული ვარიანტი გვხვდება სვანურში: **მარქჟუ** „მაქო“. ჩანს, ეს უკანასკნელი ზანიზმია. მეგრულიდან არის შეთვისებული აფხაზურში **ა-მარქ^ა** „მაქო“ (ჯანაშია 1954: 185); ქართველური და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13), ამ ნასესხობაზე მიუთითებს ა. შაგიროვი და თვლის, რომ სიტყვა აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 152).

აფხაზური **ა-მანათ** „თამბაქოს ასასხმელი ნემსი“ (კასლანძია 2005: 669) ქართულიდანაა შეთვისებული.

ჩაჩაბია მეგრულში „სიმინდის ღეროების წნულია“, აგრეთვე „ჭილოფი, რომელზეც ითელება მატყლი“. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით უსესხებია აფხაზურს მეგრულიდან: **ა-ჩაჩაბ** „სიმინდის ღეროების წნული, გამოიყენება მებარეშუმეობასა და მატყლის დამუშავებაში“ (შაყრილი 1987: 416).

მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზური **ა-ჩჩგხ** „ბამბის საწმენდი ინსტრუმენტი“ (შაყრილი 1987: 422), **ა-ჩჩგხ** „id“ (გენკო 1998: 327). ამოსავალია მეგრული **ჩჩჩჩი** „ხის მანქანა, რომელიც ბამბას აცლის კურკებს“.

ფირფიტა „1. თხელი, ბრტყელი ნაჭერი ხისა, ლითონისა და მისთ.“ (ქეგლ, VII: 117) მეგრულსა და სვანურშიც არის წარმოდგენილი: **ფირფიტა** (მეგრ.) „ფირფიტა, ძაფის დასახვევი ხის ნაჭერი“, **ფირფიტ^ა / ფირფიტ^ა** (სვან.) „ფირფიტა“. მეგრული სემანტიკით გვხვდება აფხაზურში: **ა-ფარფტა** „საქსოვი დაზვის ნაწილი“ (შაყრილი 1987: 30), **ა-ფგრფტა** „id“ (კასლანძია 2005-ა: 93); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). სიტყვა

აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 60).

გ. კლიმოვი აფხაზური **ა-ძაძ** / **ა-ძეძ** „სადგისი“ (ჯანაშია 1954: 374, 378) ფორმის შესატყვისად მიიჩნევს ქართულ **ძეძე**-ს (კლიმოვი 1971: 229). მ. ჩუხუა კი უკავშირებს ქართ. **ძაძა**, ზან. **ძონძი**, სვან. **ძაძრა** „ტომარა“ ფორმებს (ჩუხუა 2007: 43)

ამავე სემანტიკურ ჯგუფში ვაერთიანებთ **თარაზო**-ს, რომელიც ქეგლ-ის მიხედვით „სიბრტყის ან ხაზის ჰორიზინტალურად გასამართავი ხელსაწყო“ (ქეგლ, IV: 339) და მშენებლობის ლექსიკისთვის არის ბუნებრივი, მაგრამ სავლელე მასალების მიხედვით იგი ასევე გამოიყენებოდა კერვისას. სპარსული წარმოშობის **tarāzū / tarāzo**, რომლის მნიშვნელობებია: 1. თარაზო, 2. დონე, 3. კატეგორია (ბართაია 2010: 58), **ა-თერგზ** / **ა-თერაზ** სახით გვხვდება აფხაზურში. ფართოდაა გავრცელებული კავკასიურ ენებში: გვხვდება სხვა კავკასიურ ენებშიც: **თერგზ**, **თერგზარ** (ლეზგ.), **თერზა** (ჩეჩენ.), **თარაზ** (ინგ.) „სასწორი“, **თარაზ** (ადიღ.) „სწორად“, „ზუსტად“, **ლე-თერგზ** (უბიხ.) „ზუსტად გაკეთება“ (აბავეი 1979: 266). საინტერესოა, რომ ბზიფურში ამ ტერმინის პარალელურად საკუთრივ აფხაზური **ა-ჯუა** (ბზ.) „id“ (ბლაჟბა 1964: 203) გამოიყენება.

დასაგების აღმნიშვნელი სიტყვები

სამოსლის აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ ჯგუფში განვიხილავთ დასაგების (გადასაფარებელი, საბან-საგებელი, ფარდაგი...) აღმნიშვნელ სიტყვებს, მითუმეტეს, ის ხანდახან ომონიმს წარმოადგენს და სამოსის სახეობასაც აღნიშნავს.

გვაბანა მეგრულში „საზამთრო წამოსასხამსაც“ აღნიშნავს და „ლეიბსაც“. ქვეშაგის მნიშვნელობით გვხვდება რაჭულშიც, სადაც **გონაბი** „ქვეშაგები ლეიბია“. მეგრულიდან შეთვისებული **ა-გაბან** აფხაზურში მხოლოდ „ლეიბის“ მნიშვნელობით არის წარმოდგენილი (ბუკია 2002: 37). ტერმინი შესულია აბაზურშიც: **გაბან** „ლეიბი“ (აბრლ 1967: 129). საგულისხმოა, რომ **ა-გაბან** დიალექტური სინონიმი გააჩნია და ბზიფურში **ა-წართა** ფორმითაა წარმოდგენილი (ბლაჟბა 1964: 204). **ა-გაბან** სიტყვა გვაქვს აფხაზურ კომპოზიტში **ა-გარაგან** „სპეციალური ლეიბი აკენისათვის“ (შაყრილი 1986: 132), სადაც **ა-გარა** „აკვანს“ აღნიშნავს (იქვე).

ზეწარი „ლეიბზე გადასაფარებელი დიდი თეთრი ქსოვილი“ (ქეგლ, IV: 146) ქართველურ მიკროსისტემებში ასეა წარმოდგენილი: **ზენწარი** (მეგრ.), **ძეწარ** / **ზეწარ** / **ძეწარ** / **ზეწარ** (სვან.). **ზეწარი** ქართულ სინამდვილეში პირველად „ვისრამიანში“ გვხვდება და ქალის სამოსს, კერძოდ, წამოსასხამს აღნიშნავს. ლეიბზე გადასაფარებელი ქსოვილის მნიშვნელობა გვიან შეიძინა (ჯავახიშვილი 1962: 138). მეგრული სონორგანვითარებული ფორმისგანაა მიღებული აბჟუური **ა-ზანწარ**, ბზიფურში ამ მნიშვნელობით თურქულიდან ნა-

სესხები **ა-შერშაქ** გვაქვს (ბლაჟუა 1964: 205). თურქული წარმომავლობის **ჩა-რშაქი / ჩარჩაქი** ლაზურში „ზეწარსაც“ აღნიშნავს და „მუსლიმი ქალის თავ-წამოსასხამსაც“.

ორხაო ქველ-ის მიხედვით „ორმხრივ ხაოიანი (საფენი, ნოხი)“ (ქველ, VI: 71), საბასთან **ორხოვა** ფორმითაა წარმოდგენილი (საბა, 1991, 607), მეგრულში გვხვდება ფონეტიკური ვარიანტების სახით: **ორხიოლი / ორხუუ / ორახუ / ორხოვა / ორხოა / ორხუა** „ხალიჩის“ აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ჟარნაჟ / ა-ჟარნალ** (ჯანაშია 1954: 269) მეგრულიდანაა შესული აფხაზურში. ქ. ლომთათიძე და ა. შაგიროვი ქართულიდან ნასესხობად განიხილავენ (ლომთათიძე 1976: 191; შაგიროვი 1989: 87).

მეგრული **კვანჩა / ცვანჩა** „თხის ტყავი, მწყემსები იყენებენ დასაგებად“, „ხის ტახტი მწყემსის კარავში“ იგეგვა, რაც ქართული **ქეჩხო**, რომელსაც ქართულ დიალექტებში გარდა ზემოთ მითითებული სემანტიკისა, „მოსასხამის, ქურქის“ მნიშვნელობაც აქვს. მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზურში **ა-კანჩა** „ბეწვის მოუქნელი ტყავი ქვეშაგებად ხმარებული, ქეჩხო“ (ჯანაშია 1954: 153). ვ. კვარჭიას მოჰყავს ტერმინის ასეთი ეტიმოლოგია: „**ა-კანჩა** იყოფა **ა-კა** „შიგნითა ნაწილი“ და **ჩჩა** „მოვლა, დაცვა“. სიტყვა მთლიანობაში მოიაზრება, როგორც „შიგნეულობის მცველი“ (კვარჭია 1981: 55). ამგვარი ეტიმოლოგია არაა დამაჯერებელია. ტერმინი აფხაზურში მეგრულიდანაა შესული.

სპარსულიდან ნასესხობაა ქართული **ბალიში** (სპ. ბალიშ) „ბუმბულჩაყრილი თავქვემ დასადები“ (ქველ, I: 961) და აფხაზური **ა-ბალგუ** (აბჟ.) „ბალიში“ (ჯანაშია 1954: 63); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). სიტყვა ფონეტიკურ-სემანტიკური ვარიანტების სახით ფართოდ არის გავრცელებული ბევრ ენაში: ძველ ინდურში, სომხურში, ოსურში, სლოვენურში, სერბიულში, რუსულში, ძველ პრუსიულში, გოთურში, გერმანულში... (აბაევი 1958: 241). აფხაზურში ქართულიდან ნასესხობას ვარაუდობს პ. ჭარაია (ჭარაია 1912: 10). სიტყვის აფხაზურში გავრცელების არეალი (აბჟუური დიალექტი) გვაგვარაუდებინებს, რომ გამსესხებელი ენობრივი ერთეული მეგრულია (ბუკია 1999: 125).

ასევე ნასესხებია ორსავე ენობრივ სისტემაში, ერთი მხრივ, **მუთაქა** „მატყლით (ბამბით...) გატენილი მოგრძო და მრგვალი თავქვემ სადები“ (ქველ, V: 1154), **მუთაქა / მურთაქა / მურთაგა** (მეგრ.), **მუთაქა** (სვან.) „მუთაქა“ და, მეორე მხრივ, აფხაზური **ა-ჟანთაქ** (ბზ.) „მუთაქა“ (ბლაჟუა 1964: 224), **ა-მართაქ / ა-მგრთაქ** „მუთაქა“ (შაყრილი 1986: 431, 460). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). აფხაზურში სესხების შუალედური რგოლი მეგრულია (შაგიროვი 1989: 147).

ეს არის ერთი ნაწილი ამ სემანტიკურ ჯგუფში წარმოდგენილი ქართველური და აფხაზური ლექსიკური ერთეულებისა, საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს.

ლიტერატურა

- აბაევი 1958, 1973, 1979** — Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 1. 2. 3. Москва-Ленинград.
- აბრლ 1967** — Абазинско-русский словарь. Москва.
- ბართაია 2010** — ნ. ბართაია, ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა, თბილისი
- ბუანია 1962** — Ц. Н. Бжания, Из истории хозяйства абхазов. Этнографические очерки. Сухуми
- ბუკია 1999** — მ. ბუკია, ცხენოსნობისა და მეცხენეობის ლექსიკა ზანურში (მეგრული დიალექტის მიხედვით), სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი
- ბუკია 2002** — მ. ბუკია, მწყემსის სამოსისა და აღჭურვილობის აღმნიშვნელი ტერმინები მეგრულში. საენათმეცნიერო ძიებანი. ტ. XIII, თბილისი
- ბლაუბა 1964** — Х. С. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка, Тбилиси
- გენკო 1998** — Генко Н. А. Абхазско- русский словарь, Сухуми
- გვანცელაძე 1996** — თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში ქრისტიანული საკულტო ლექსიკის მიხედვით, ქართველური მეცნიერება, I, ქუთაისი
- გვანცელაძე 1997** — თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი
- გულია 2004** — დ. გულია, ქართულ-მეგრულ-აფხაზური ლექსიკონი, „მახარია“, 2004, № 1, თბილისი
- თოფურია 2000** — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი
- კასლანძია 2005, 2005-ა** — В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. I, II, Сухуми
- კვარჭია 1981** — В. Е. Кварчия. Животноводческая лексика в абхазском языке, Сухуми
- კილბა 1983** — Э. Килба, Особенности речи батумских абхазов, Тбилиси
- კლიმოვი 1971** — Г. А. Климов, Кавказские этимологии, Этимология-1968, Москва
- კლიმოვი 1986** — Г. А. Климов, Введение в кавказское языкознание, Москва
- ლომთათიძე 1976** — ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ — შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი
- მაგაზანიკი 1945** — Д. А. Магазаник. Турецко-русский словарь. Москва

- მალია 1982** — Е. М. Малиа, Л. Х. Акаба, Одежда и жилище абхазов, Тбилиси
- მარი 1910** — Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб.
- რალ 1964** — Русско-абхазский словарь, гл. ред. Х. С. Бгажба, Сухуми
- საბა 1991-1993** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, II. თბილისი
- უსლარი** — П. К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык. Тифлис
- ქეკელ** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1955-1964
- ყიფშიძე 1914** — И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С-ПБ
- შაგიროვი 1989** — А. К. Шагиров, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва
- შაყრილი 1986, 1987** — К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Словарь абхазского языка, т. I, 2. Сухуми
- შენგელია 2006** — ე. შენგელია, სამოსელთან დაკავშირებული ძირითადი ლექსიკა მეგრულ-ლაზურში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXII, თბილისი
- ჩუხუა 2000-2003** — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი
- ჩუხუა 2007** — მ. ჩუხუა, ამოსავალ სისინა სიბილანტთა რეფლექსაციისათვის ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენებში, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 6-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი
- ჭანტურია 1996** — აკ. ჭანტურია, მასალები მეგრულ-ქართული ეთნოგრაფიული ლექსიკონისათვის, თსუ შრომები, ტ. 321, თბილისი
- ჭარაია 1912** — П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, С.-Пб
- ჭარაია 1997** — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი
- ჯავახიშვილი 1962** — მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, თბილისი
- ჯავახიშვილი 1983** — მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. III. ნაწ. 1. ტანისამოსი. თბილისი
- ჯანაშია 1954** — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

MANANA BUKIA

From the History of Georgian-Abkhazian Linguvo-Cultural Relations – V. Vocabulary Related to Clothes

S u m m a r y

Georgian-Abkhazian lingvo-cultural relations have a long and multifaceted history, its large-scale and high-quality research is needed.

The article discusses words related to clothes that are used in Kartvelian and Abkhazian languages. The semantic groups are systemized, expressed views on the alleged word-borrows, their directions and chronology are represented.

Large part of the words is borrowed in both language entries. Signs of borrowing were noted in basic vocabulary in both directions, but with different intensity.

თეა ბურჭულაძე

**მაცალკეველ- და მაპირისპირებელკავშირიანი
პარატაქსული წინადადება ქართულში**

რთული წინადადების შემადგენელი ნაწილების ერთმანეთთან ურთიერთობისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს კავშირები, დაკავშირების სხვადასხვა საშუალებები. ასევეა წინადადების წევრთა ერთმანეთთან დაკავშირებისასაც. სინტაქსური აგებულების მიხედვით განსხვავებულ წინადადებაში განსხვავებული კავშირები გამოიყენება, ზოგჯერ კი — საერთო კავშირებიც. გამოყოფენ მაჯუფებელ, მაპირისპირებელ, მაცალკეველ და მაქვემდებარებელ კავშირებს. ამათგან მაქვემდებარებელი კავშირები მხოლოდ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გამოიყოფა, ხოლო მაჯუფებელი, მაპირისპირებელი და მაცალკეველი კავშირები კი გამოიყენება როგორც რთულ თანწყობილ, ასევე შერწყმულ წინადადებაში (კვაჭაძე 1996: 358-373).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალ კომპონენტებს აქვთ შინაარსობრივი დამოუკიდებლობა და ერთმანეთს უკავშირდებიან სხვადასხვა ჯგუფის კავშირებით: მაჯუფებელი, მაპირისპირებელი, აგრეთვე, მაიგივებელი ან მაცალკეველი კავშირებით (ძიძიგური 1989: 35-55). მაგალითად:

„იმ კაცს ლუკა ჰქვია და სელიმამ წასვლის წინ დათა დაუძახა?“ (ჭ.ამირ.); „მეათეჯერ ეკითხებოდა ქალუკა და თინაც მეათეჯერ პასუხობდა“ (ო.ჭილ.); ვტიროდი, მაგრამ ჩემი ცრემლები წყალში არ ჩანდა (თ.ჭილ.); „ცუდ საქმეებს ლაპარაკობენ დათასას, მაგრამ არ მჯერა“ (ჭ.ამირ.); „აღარაფერი გაეგებოდათ, ან სხვას რა გაეგებოდათ?“ (ო.ჩხ.); „ან მეხი უნდა გავარდნილიყო, ან ცისარტყელა გადაჰკვროდა მოქურუხებულ ცას“ (ლ.გოთ.).

დასახელებულ წინადადებებში ორი ერთმანეთისაგან აზრობრივად დამოუკიდებელი წინადადებები გვაქვს, სადაც თითოეულ კომპონენტს წინადადების საკუთარი ქვემდებარე და შემასმენელი აქვს. გარდა ამისა, ამ დამოუკიდებელი კომპონენტებით იქმნება ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ მაინც თავისთავადი შინაარსის ცალკეული წინადადებები ერთი წინადადების ფარგლებში. კავშირები ამ ურთიერთობის ერთ-ერთი საშუალებაა. მათი საშუალებით მოვლენათა დაჯგუფება-დახარისხება, დაპირისპირება, შედეგი, ერთდროულობა ან თანამიმდევრობა გამოიკვეთება ხოლმე. მაგალითად, მოყვა-

ნილ პირველ მაგალითში მოვლენათა სხვადასხვაობაა გამოკვეთილი (**იმ კაცს ლუკა ჰქვია და სელიმამ წასვლის წინ დათა რატომ დაუძახა**), მეორეში მოვლენათა თანამიმდევრობასთან გვაქვს საქმე (**მეთევვერ ეკითხებოდა ქალუკა და თინაც მეთევვერ პასუხობდა**). მესამე წინადადებაში მოვლენათა დაპირისპირებაა (**ვტიროდი და მაგრამ ჩემი ცრემლები წყალში არ ჩანდა**). ბოლო წინადადებაში მოვლენათა დაპირისპირება და დაცალკეებაა (**ან მეხი უნდა გავარდნილიყო და ან ცისარტყელა გადაჰკვროდა მოქურხულ ცას**).

რთულ თანწყობილ წინადადებაში არსებული დაკავშირების სახეები ძველი ქართულიდანვე გვხვდება, გავრცელებული იყო შემდეგი კავშირები: მაჯგუფებელი **და**, მაპირისპირებელი **ხოლო, არა — არამედ, არღარა — არამედ, არათუ — არამედ, არა ხოლო — არამედ, არღარა — არამედ**: „ჩემთანა ეშმაკი არა არს, არამედ პატივ-ვჰსცემ მამასა ჩემსა“; „და არღარა გეწოდოს შენ სახელი აბრაამ, არამედ იყოს სახელი შენი აბრაჰამ“; „არათუ თქუენ ამომირჩიეთ მე, არამედ მე გამოგირჩიენ თქუენ“; „და აღვიდა იგი ნავსა და მისდევდეს მოწაფენი მისნი“ (ძველი ქართულის მასალა მოხმობილი გვაქვს ა. კიზირიას მონოგრაფიიდან „რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში“).

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურაში ზოგჯერ კავშირიანი შეერთების თვალსაზრისით ზოგი ისეთი სტრუქტურის წინადადებაა გაერთიანებული რთულ თანწყობილ წინადადებაში, რომლებიც აგებულია არ არიან პარატაქსული წყობისა (ლ. კვაჭაძე, ა. კიზირია, რ. ჭიკაძე, ა. დავითიანი). საინტერესოდ მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს :

„არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს, არც ცეცხლი ეკიდება“ (ილია); „ზღვას ვერც სოფელი შეედრება, ვერც ქალაქი გაუტოლდება“ (ლ.ქიაჩ.); „ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგვლიჯოს, ან გველმა არ დაგებინოს“ (აკაკი); „ცალკე ციებამ და ტყირპმა დააბეჩავა, ცალკე ცოლის სიკვდილმა დაჩაგრა გვადი“ (ლ.ქიაჩ.); „ხოსიტამ ფეხი მოითრია, მაგრამ იგიც მიჰყვა პაპას“ (ლ.გოთ.); „ან რა ენადვლებოდათ, ან რა აჩხუბებდათ“ (ილია); „მოფუსწრებთ, ქალბატონო, ან ქვიშხეთის ბაქანთან დავეწვევით, ან ხაშურში“ (მ.ჯავახ.); „ან ძმებს უნდა ჩამოეყვანათ, ან ავტობუსს ამოჰყოლოდა“ (თ.ბიბ.); „გერმანელების ფორმა გვაცვია, მაგრამ ქართველობა როდი დაგვიკარგავს“ (გ.ურჯუმ.).

ძველი ქართულის მასალაშიც დასტურდება მსგავსი ტიპი: „არა ხოლო შაბათსა დაჰჰსნიდა, არამედ ღმერთსაცა მამად თჳსა იტყოდა“; „და შეისმინა ღმერთმან სულთქუმანი იგი მათნი და მოიჴსენა ღმერთმან აღთქუმად იგი თჳსი აბრაჰამისა მიმართ“;

დასახელებული ტიპის წინადადებები ერთი შეხედვით მართლაც რთული თანწყობილი წინადადებებია, რომლებშიც ორი დამოუკიდებელი შინაარსის შემცველი წინადადებებია. მაგალითად: „**ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგვლიჯოს**“ პირველი კომპონენტი წინადადებისა, ხოლო „**ან გველმა არ დაგებინოს**“

სო“ კი — მეორე ნაწილია წინადადების. ან კიდევ, „**ცალკე ციებამ და ტყირბმა დაახეჩავა**“ ერთი წინადადებაა, „**ცალკე ცოლის სიკვდილმა დაჩაგრა გვადი**“ — მეორე ნაწილია. ასეთივე ვითარებაა სხვა დასახელებულ წინადადებებშიც.

ცნობილია, რომ როგორც თანწყობილ წინადადებაში, ისე შერწყმულ წინადადებაშიც გამოიყოფა მაჯგუფებელი, მაპირისპირებელი, მაიგივებელი და მაცალკეებელი კავშირები. რასაკვირველია, წინადადების სტრუქტურა მხოლოდ კავშირების მსგავსებით ან სხვაობით არ განისაზღვრება, თუმცა ერთერთ ნიუანსს იგი განსაზღვრავს წინადადების შედგენილობისას. სინტაქსური სტრუქტურა განისაზღვრება უმთავრესად იმის მიხედვით, თუ როგორ არის დაკავშირებული წინადადების წევრები და წინადადებები ერთმანეთთან — ცალკე დამოუკიდებელი წინადადებისგან შედგება, ერთ წევრთან ერთიანდებიან წევრები თუ ერთი წინადადება მეორესთან დაქვემდებარებაშია. სწორედ ამის მიხედვით გამოყოფენ ხოლმე მარტივ, რთულ თანწყობილ, რთულ ქვეწყობილ და შერწყმულ წინადადებებს. ჩვენ მიერ მოყვანილ წინადადებებში ერთი შეხედვით ისეთი წინადადებებია, რომლებიც შედგება ორი ან სამი დამოუკიდებელი წინადადებისაგან და ისინი დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან მაცალკეებელი და მაპირისპირებელი კავშირებით.

საქმე ისაა, რომ მოყვანილი ტიპის მაგალითებში არ გვაქვს დამოუკიდებელი წინადადებები. პირიქით, მათში ასახული მოქმედებები ერთი კონკრეტული წევრის გარშემო ხდება და არა სხვადასხვა წევრის ირგვლივ. მაგალითად, წინადადებაში „ან ძაღლმა არ დაგგლიჯოს, ან გველმა არ დაგკბინოს“ მოქმედება ერთიანდება ერთი პირის გარშემო — ესაა პირდაპირი დამატება, რომელიც კონტექსტის მიხედვით იგულისხმება (**შენ**). ესე იგი, აქ აზრი ასეთია: შენ არ დაგგლიჯოს, შენ არ დაგკბინოს. აქ სხვადასხვა არის ქვემდებარე — გველი და ძაღლი, მაგრამ საერთოა პირდაპირი დამატება. აქაც და შემდეგ წინადადებაშიც შერწყმა გვაქვს ერთ პირდაპირ დამატებასთან რამდენიმე შემასმენლის მიხედვით. ან კიდევ, წინადადებაში „მოგუსწრებთ, ქალბატონო, ან ქვიშხეთის ბაქანთან დავეწვიოთ, ან ხაშურში“ ერთგვარი შემასმენლები (**მოგუსწრებთ, დავეწვიოთ**) ერთიანდებიან ერთი საერთო წევრის — ქვემდებარის (იგულისხმება **ჩვენ**) ირგვლივ. გარდა ამისა, აქ კიდევ გვაქვს საერთო წევრი — ადგილის გარემოება (**ქვიშხეთის ბაქანთან, ხაშურთან**). საერთო წევრის თვალსაზრისით განსხვავებული ვითარება გვაქვს წინადადებებში „არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს, არც ცეცხლი ეკიდება“; „ზღვას ვერც სოფელი შეედრება, ვერც ქალაქი გაუტოლდება“; აქაც არ გვაქვს რეალურად სინტაქსურად სხვადასხვა, დამოუკიდებელი შინაარსის მქონე სტრუქტურა. შემასმენლები ერთიანდება ერთი საერთო წევრის, ირიბი დამატების გარშემო: არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს (ანუ **მას**-ირიბი დამატებაა) და არც ცეცხლი ეკიდება მას (იგულისხმება **დალოცვილს**). ასევეა აქაც: ვერც სოფელი შეედრება ზღვას (ანუ **მას** ირიბი დამატებაა) და ვერც ქალაქი გაუტოლდება (იგუ-

ლისხმება ისევ **ზღვას**). მაშასადამე, აქ ერთი საერთო ირიბი დამატების ირ-გვლივ შემასმენლების მიხედვით გვაქვს შერწყმა. ხოლო წინადადებაში „ხოსი-ტამ ფეხი მოითრია, მაგრამ იგიც მიჰყვა პაპას“ საერთო წევრი ქვემდებარეა (**ხოსიტა**), რომელიც ნაცვალსახელითაა გამოხატული, გამეორებული მეორე კომპონენტ წინადადებაში (იგიც მიჰყვა პაპას). აქ ერთ ქვემდებარესთან გვაქვს ორი შემასმენელი: **მოითრია, მიჰყვა**. ცნობილია, რომ მსგავსი ტიპის წინადადებები გაერთიანებულია შერწყმულ წინადადებაში, ხოლო პირდაპირი და ირიბი დამატების მიხედვით შერწყმა ისეთივე სინტაქსური ძალისაა, როგორც ქვემდებარის ან შემასმენლების მიმართ შერწყმა (ბურჭულაძე 1979: 145-151; ჭიკაძე 1968: 43-45). აქ ისეთივე სინტაქსური ურთიერთობაა, როგორც „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“, „გული მიტოკავს და მკლავი მი-თრთის“, „ადრე ჟინი მაბრაზებდა და ახლაც ის აბოროტებს“ ტიპის წინადა-დებებში. დასახელებულ ფორმებში საერთო სიტყვაა **მე**, რომელიც ამავე დროს საერთო წევრიცაა. აღნიშნულია, რომ პირმიმართი დამატებები ისეთსა-ვე დამოკიდებულებაშია ერთგვარ შემასმენლებთან, როგორადაც იყო ქვემდებარის შემთხვევაში. ამიტომ პირველ წინადადებაში არსებული საერთო პირდა-პირი დამატება და მეორეში ნაგულისხმევი ირიბი დამატება განსახილველია ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში. „ეს კი განპირობებულია ქართული ზმნის, ქართული წინადადების ამ დედაბოძის, პოლიპერსონალიზ-მით და აქედან გამომდინარე ქვემდებარისა და პირმიმართ დამატებათა **სინ-ტაქსური ტოლძალოვნობით**“ (ბურჭულაძე 1979: 148-151).

ჩვენი თვალსაზრისით, იმ სტრუქტურის წინადადებებში, რომლებზეც სა-განგებოდ გავამახვილეთ ყურადღება, ზუსტად ისეთივე ვითარებაა, როგორც „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“ ტიპის წინადადებებშია. განსხვავება მხო-ლოდ მაცალკეებელი ან მაპირისპირებელი კავშირების არსებობაშია, რომლე-ბიც, რა თქმა უნდა, არ ცვლის წინადადების სინტაქსურ სტრუქტურას. აქ შინაარსობრივად რაიმეს ჩამოთვლასა და განცალკეებაზეა გამახვილებული ყურადღება და არ აქვს გრამატიკული ძალა. მაშასადამე, აქ მხოლოდ ლექსი-კურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე: „არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს, არც ცეცხლი ეკიდება“ — ერევა ის **მას** (ირიბი დამატება) და ეკიდება ის **მას** (ირიბი დამატება). ერთმანეთისგან მათ ჰყოფთ უარყოფითი ნაწილაკები. თუმ-ცა აღრევა ისეთ შემთხვევებშიც გვაქვს, როცა საერთო წევრი ქვემდებარეა: „გერმანელების ფორმა გვაცვია, მაგრამ ქართველობა როდი დაგვიკარგავს“. უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგან სამეცნიერო ლიტერატურაში წინადადება-თა მსგავსი ტიპი („ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგლიჯოს, ან გველმა არ და-გკბინოს“) სამართლიანად არაა მიჩნეული თანწყობილ წინადადებად და გა-ერთიანებულია ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებათა რიგში (ბურ-ჭულაძე 1979: 147-148).

რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ ძველი ქართულის მასალას, უნდა აღინიშნოს, რომ იქაც აღრევია პარატაქსა და შერწყმულ წინადადებას შორის. მაგალითად, წინადადებაში „არა ხოლო შაბათსა დაჰსნიდა, არამედ ღმერთსაცა მამად თჳსა იტყოდა“ ორი შემასმენელი (დაჰსნიდა, იტყოდა) მიემართება ერთ საერთო წევრს ქვემდებარეს (იგულისხმება **ის**) — ის დაჰსნიდა, ის იტყოდა. მეორე მაგალითში კი „და შეისმინა ღმერთმან სულთქუმიანი იგი მათნი და მოიჴსენა ღმერთმან აღთქუმიანი იგი თჳსი აბრაჰამისა მიმართ“ გამეორებული ქვემდებარის ამოღებით ვიღებთ შერწყმულ წინადადებას. აქ მხოლოდ ლექსიკურად მეორდება ქვემდებარე და ეს გრამატიკულ ცვლილებას არ იწვევს წინადადების სტრუქტურაში. მაშასადამე, ამ ტიპის წინადადებებშიც შერწყმასთან გვაქვს საქმე და აგებულებით არაა რთული თანწყობილი წინადადებები (ბურჭულაძე 2010: 5-6).

ფაქტი ერთია, რომ მსგავსი ტიპის წინადადებებში მკვეთრად უნდა გამოიკვეთოს ის, რომ წინადადების შემადგენელ კომპონენტებში არ გვქონდეს რომელიმე საერთო წევრი. თუკი განსხვავდება შინაარსი წინადადებებს შორის და სხვადასხვა პირებს მიეკუთვნება მოქმედება, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ის თანწყობილ წინადადებად. მაგალითად, ასეთი სტრუქტურისა: „ხან დათვი ბურტყუნებდა, ხან მგელი ყმუოდა და ახან კიდევ ტურების ჩხავილი აყრუებდა იქაურობას“; „ან უნდა ჯვარი დაიწეროს, ან არადა აქედამ ცოცხლები ვეღარ გახვალთ“. აქ პირველ წინადადებაში ქვემდებარეებიც სხვადასხვაა და შემასმენლებიც: დათვი ბურტყუნებდა, მგელი ყმუოდა, ტურების ჩხავილი აყრუებდა...მეორე წინადადებაში კი პირველ ნაწილში ქვემდებარე სხვაა (იგულისხმება **მან**), ხოლო მეორე ნაწილში კი — სხვა (იგულისხმება **თქვენ**).

ლიტერატურა

ბურჭულაძე 1979 — გ. ბურჭულაძე, ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შესახებ ქართულში, არნ.ჩიქობავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი.

ბურჭულაძე 2010 — თ. ბურჭულაძე, ერთი ტიპის პარატაქსული წინადადების შესახებ, არნ.ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 69-ე სამეცნიერო სესია, მასალები, თბილისი.

დავითიანი 1973 — ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

კვაჭაძე 1996 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

კიზირია 1969 — ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი.

კიზირია 1984 — ა. კიზირია, ქართული ენა (პრაქტიკუმი), თბილისი.

ჭიკაძე 1995 — რ. ჭიკაძე, წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში, თბილისი.

ჭიკაძე 1968 — რ. ჭიკაძე, წინადადების აგებულების საკითხისათვის ქართულში (ერთგვარშემსმენლიანი შერწყმული წინადადების მაგალითზე), თელავის სახელმწიფო პედინსტიტუტის XXIII სამეცნიერო სესიის თეზისები, თელავი.

ძიძიგური 1984 — შ. ძიძიგური, როული წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი.

TEA BURCHULADZE

Paratactic Sentence with Disjunctive and Adversative Conjunction in Georgian

S u m m a r y

The sentence structures in which there are not several independent components, are distinguished in the compound sentences with disjunctive and adversative conjunction. If we analyse the issue it will appear, that in the sentences given in the paper there are no subordinate clause. On the contrary, the actions reflected in them belong one concrete member and not different members. There are neither independent phenomena.

In the sentences of this type it should be outlined that there should not occur any common member in a sentence component. If there is difference among sentences and action is performed by different persons only in this case it should be considered to be a coordinate sentence. In the mentioned sentence there is fusion of predicate with a common member. Thus, the case is not paratactic but a combined sentence.

ლელა გიგლეშიანი

დროის ზმნისართი სვანურში

სვანური ზმნისართების შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში (ვ. თოფურია, გ. კაჭარავა, ლ. სანიკიძე, კ. გაბუნია...) ბევრი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული. ჩვენ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ დროის ზმნისართებზე, რომლებიც რაოდენობრივად სვანურში საკმაოდ დიდია, ხოლო წარმოების თვალსაზრისით – მეტად საინტერესო.

მრავალფეროვანი საანალიზო მასალა ამოვკრიბეთ სვანური ენის ოთხივე კილოზე არსებული პროზაული ტექსტებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, ლექსიკონებიდან და, აგრეთვე, ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალიდან. სწორედ ამ საანალიზო მასალისა და სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალების გათვალისწინებით განვიხილავთ სვანურ დროის ზმნისართებს. როგორც ცნობილია, შინაარსის მიხედვით ზმნისართების რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა, კერძოდ: **ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნის**. „დროის გამომხატველი ზმნისართი კი გვიჩვენებს დროის გარკვეულ მონაკვეთს კონკრეტულად“ (შანიძე 1953: 595).

სვანურში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, აგებულების მიხედვით, გამოიყოფა დროის ზმნისართთა ორი ჯგუფი: **პირველადი და ნაწარმოები**. პირველად ჯგუფს განეკუთვნება ზმნისართები, რომელთა მორფოლოგიური სეგმენტაცია (ძირეულ და აფიქსურ მორფემათა გამოყოფა) სინქრონიული თვალსაზრისით შეუძლებელია (ონიანი 1998: 276).

ზმნისართთა ძირითად ჯგუფს, როგორც ცნობილია, ქმნიან ფორმები, რომლებიც შეიცავენ მარტივ ფუძეს და მნიშვნელობის მცვლელ სიტყვაწარმოებით აფიქსს ან ერთზე მეტ მარტივ ფუძეს. რაც შეეხება ძირეულ ზმნისართებს ისინი სვანურში, მსგავსად ქართულისა და ზანურისა, შედარებით მცირერიცხოვანია; ესენია: **ბაზი** „ამალამ“, **ლადი** „დღეს“, **ლათ** „წუხელ“, **ათხე** „ახლა“ და ა. შ. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ბაზი ბზ., ლშხ., **ბაზი** ბქ., ლნტ., **ბაზი** ბქ. „ამალამ“, მაგ.: **ბაზი** ქორთე ლწზი მაკუ (ბზ., სვან.პრ.ტექსტ., 1939, 40:14) „ამალამ შინ წასვლა მინდა“. **ბაზი** ჩუ ხტწრიდ სადგემისგა (ბქ. სვან.პრ.ტექსტ., 1957, 205:2) „ამალამ ვიმყოფებით კარავში“. ქორწილ **ბაზი** ლოქ ხარხ (ლშხ. 52) „ქორწილი ამალამ გვაქვსო“.

ლადი ზს., **ლადი** ლშხ., **ლადელი** ლნტ., „დღეს“, მაგ.: **ლადი** ჰამს ესერ... უდიარად აძვედ (ბზ., იქვე, 358 :28) „დღეს დილით უჭმელი წამოვედიო“. ლადიმ

დიარს **ლადი** იკარქე (ბქ., იქვე, 155:33) „დღეს პურს დღეს შოულობს“. **ლადი** ალდარს ხტეფურთინალ (ლშხ. 85) „დღეს ამათ დავერევი“.

ლათ ბზ., ლშხ., **ლათ** ბქ., ლნტ., „გუშინ“, მაგ.: ქესერ ხოქტა **ლათ**, ერე თტეთუნა კოჯარხან მამა არიხ (ბზ., იქვე, 268:6) „გუშინ გითხარო, რომ თეთრი კლდეებისაკენ არ არიან“. **ლათ** მუხტბე ოხვანდ მუშგურიდ (ბქ.) „გუშინ ძმა მოუვიდა სტუმრად“.

ათხე ზს., **ათხე** ლნტ., „ახლა“, მაგ.: ქანად **ათხე** როსტომ (ბზ., იქვე, 233:15) „გავიდა ახლა როსტომი“. **ათხე** ბესიდ მიჩა მუხტბა ხანქტე (ბქ., იქვე 201: 13-14) „ახლა ბესიმ თავის ძმას უთხრა“.

ათხე „ახლა“ სვანურის ოთხივე დიალექტშია წარმოდგენილი (შდრ. მისგან ნაწარმოები ფორმები: **ათხელ**, **ათხანემ**, ხოლო ბალსზემოურში „ახლა“-ს მნიშვნელობით **ათხა**-ც დასტურდება. მაგ.: **ათხა** სოფელი ჩუანდჯგრუე (ბზ., იქვე, 33:4) „ახლა სოფელმაც დაიჯერა“.

გვხვდება აგრეთვე **ათხე**||**ათხა**-სგან ნაწარმოები შემდეგი ფორმები: ბზ., ლშხ **ათხენი**, ბქ. **ათხენი**, **ათხელხი**, ლნტ. **ათხელხი** „ახლახან-ის“ მნიშვნელობით. მაგ.: ეჯა **ათხენი** ანტან ჯარხან (ბზ.) „ის ახლახან დაბრუნდა ჯარიდან“. ბადო **ათხენი** არდა ამეჩუ (ბქ.) „ბადო ახლახან იყო აქ“. აღმინ **ათხელხი** ნავადუ ლიხ სოფელხო (ლნტ.) „ესენი ახლახან არიან მოსული სოფელში“.

როგორც კ. გაბუნია აღნიშნავს, სამსავე ქართველურ ენაში აწმყოს აღმნიშვნელ ზმნისართებში **ა**- ხმოვანი პრეფიქსი ფიგურირებს (მაგ., ქართ., **აწი**, ზან. **ასე**, **ანწი**, სვან. **ათხე**), რომელსაც ამჟამად დეიქტურობის გაგება არ ახლავს, რამდენადაც ამავ ძირთან საპირისპირო ფორმები არ მოიპოვება. მხედველობაში არაა მისაღები ქართ. **აწი** — **უწინ** დაპირისპირება, სადაც **უ**- ხმოვანი პრეფიქსი სხვა ფუნქციის და (არა დეიქსის) გამომხატველია (გაბუნია 1993, 33) ბალსზემოურსა და ლაშხურში, აღნიშნული ზმნისართი **ათხე** თანდებულსაც დაირთავს. მაგ.: ნაე **ათხანემ** ხტემარალ (ლშხ.) „ჩვენ აქედანვე ვეშადებით“.

ბალსქვემოურში გვხვდება **ათხე**-საგან ნაწარმოები **ათხენდგრ** „აქედანვე“, რაც შინაარსით იგივეა, რაც ბალსზემოური და ლაშხური **ათხანემ**.

სვანურ **ათხე** სიტყვას მ. ჩუხუა საერთოქართველურიდან მომდინარედ მიიჩნევს, რომელიც სხვა ქართველურ დიალექტებში დაკარგულია, ან ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი და საერთოქართველურ დონეზე აღადგენს ***თხ**-ძირს (ჩუხუა 2008: 263).

დროის ზმნისართი **დუე** ზს., ლნტ., **დუო** ფარ., **დო** ზს., ლშხ. „შემდეგ, მერე, მაშინ“ დასტურდება სვანურის ყველა დიალექტში. მაგ.: ეჩი ხეხტს მგუტუდ ხაჩოხ **დო**? (ბზ., იქვე, 254) „იმის ცოლს როგორ ექცევია მერე?“ დოლს მაჩენამ ვედნი კუეცენ, **დო** — სიმინდ (ბქ., იქვე, 1:12) „დოლში ყველაზე კარგად მოდის ხორბალი, შემდეგ — სიმინდი“ დაშტუდ ჩიქე ეშხუ ლალემ, **დუე** — მერბე (ლნტ.) „დათვმა ჯერ ერთი შეჭამა, მერე—მეორე“. აღნიშნული ზმნისართი ზოგჯერ გამოყენებულია თანდებულადაც. **დო**, „შემდეგ“ თანდებულთ იწარმოება დროისა და ადგილის გარემოებები, მაგ.: **აშხუნდუ** ესნარ ლომრორუ ახანდახ (ბზ.,

სვან.ქრესტ. 1978, 93:42-43) „ერთხელ (ერთხელის შემდეგ) შუამავლობა ჰქონდათ” **ეჩქანლო** ხაყლებ გვენეშერს (ბზ. იქვე. 94:37) „იმის შემდეგ უწოდებენ გვენანთს” **ეჩქანდუე** ჩუ ხტამჭყენედ (ბქ., სვან.ქრესტ., 1978,205:12) „იმის შემდეგ დავტყეპნით” ხტუნა **ლითოფუნლო** ქათოხინახ გოჭ (ლნტ., იქვე. 309: 3-4) „ბევრი სროლის შემდეგ წაურთმევიათ გოჭი”. **დოსგ'დ', დოსდ** ბზ., ლშხ., **დოსდ** ბქ., **დოსკ** ლნტ. „ადრე”, მაგ.: თანფა ცაშ ეშხუ ზურალ **დოსგ** იგნალ (ბზ., სვან. პრ. ტექსტ., 1939,19:9) „აღდგომის ხუთშაბათს ერთი ქალი ადრე დგება”. ჰამს **დოსდ** ანვად ხელწიფხ (ბზ., იქვე, 445:25) „დილას ადრე მოვიდა ხელმწიფე” ლივნი **დოსდ** ახტბინედ (ბქ.) „ხვნა ადრე დავიწყეთ”. **დოსდ** ერთი შეხედვით ძირეული ზმნისართია, თუ დავაკვირდებით, ადვილი შესაძლებელია მასში ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დ-ს გამოყოფა, რაზეც მეტყველებს მისი ქართული თარგმანიც — ადრიანად.

მეხარ ზს., ლნტ., **მეხარ** ლშხ., „ხვალ”, მაგ.: **მეხარ** ესერ დანტს ფიშუდეს (ბზ., იქვე, 311: 34) „ხვალ დევეს გამოვუშვებთო”

მეხარ ქუერწილთე ოსლური (ბქ.) „ ხვალ ქორწილის მივდივარ”

მეხარ გრილ ირა (ლნტ., იქვე, 18:16:17) „ხვალ სიგრილე იქნება”

აღ ლეზუტებ **მეხარიშდ** მაკუ (ლნტ.) „ეს საჭმელი ხვალისთვის მინდა.” სვანური **მეხარ** შესაძლოა ქართულ **სამხარ**-ს უკავშირდებოდეს, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში იგი ქართულ **ხვალ** ფორმასთანა დაკავშირებული (ჩუხუა 2008: 643-644)

ზმნისართთა წარმოება, როგორც ცნობილია, ხდება როგორც აფიქსების საშუალებით, ასევე კომპოზიციით. ნაწარმოებ დროის ზმნისართებში თვალნათლივ გამოიყოფა აფიქსური ელემენტები, რომლებიც გამოხატულების პლანში ბრუნვის ნიშნებს ემთხვევა.

მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს ზმნისართად აქცევეს სახელს.

დროის ზმნისართები მიცემითი ბრუნვის ნიშნით:

-ს:

ძინარ-ს, ჰამ-ს „ დილას”

მერმა **ძინარს** აჯად აჩად (ბზ.) „მეორე დილას კვლავ წავიდა”.

ნაბოზ-ს „სალამოს” **ნაბოზს** სგოჩანდ ოთარშერთე (ბზ., სვან. პროზ. 27) „სალამოს შევედით ოთარისანთან” ქა ლოხჭუტედნი, ძაღო, ბაზი, **ნაბუზს** (ბზ., იქვე, 93) „აბა ამალამ სალამოს შევეკითხები”.

დურეუხ „დროს”, „დროზე”

ამ **დურეუხ** მანკუტ ხეხტმი ჯგმილდ მიშგუა მუ ჩუადგარ (ბზ. 23) „ამ დროს პირველი ცოლის ძმამ მამაჩემი მოკლა”.

ამ **დარუეუი** ჩუაქუტა ლიშიალ (ბზ., იქვე, 119:20) „ამ დროს შეწყდა ომი”.

ბქ. **ისგლადედქა** „შუადლისას”

ბქ. **ნებუჟუშუ პილს** „სალამო ხანს”

ბქ. **იუასიდამს** „ყოველთვის, მუდამ”, მაგ.: **იუასიდამს** ამჟი ლანტუ „ყოველთვის ასე იყო”.

მიცემითი ბრუნვის უძველესი ნიშანი -ნ შემოგვიანაზა ზმნისართებმა **ჰამ-ნ** „დილას“ და **ნაზოზ-ნ** „სალამოს“ ხტერმინალდს **ჰამ ი ნაზოზნ** (ბზ., პოეზ. 234) „დასაჭერად დავსდევო დილიდან სალამომდე“.

სვანურში მოქმედებითი ბრუნვის ალომორფებია -**შუ**, -**ჟუ**, რომელთა საშუალებითაც იწარმოება დროის ზმნისართები ბზ., **ლეთ-შუ**||**ლეთ-შუ**, ბქ. **ლეთ-შუ** „ლამით“ **ლადელ-შუ** || **ლადელ-ჟუ** „დღისით“ **ძინრუშ/ძინრუ-ჟუ** „დილაობით“ (შდრ. ბქ. **ჰამაშარს** „დილაობით“, **ნებზუაშარს** „სალამობით“)

ეჭა **ლადელშუ** ჩიგარ ვანს იტყბე სწდილდ (ბზ., იქვე, 94:13) „ის დღისით ყოველთვის ხარს იწვავს სადილად“

მიშგომუ ლათხუართე ჩიგარ ლეთშუ ესღერდა (ბქ.) „მამაჩემი სანადიროდ ყოველთვის ლამით მიდიოდა“.

ლადელჟუ ხავდი ი **ლეთჟუ** ამშაჟე (ლშხ.) „დღისით სძინავს და ლამით მუშაობს“

სასოჟ სები **ლეთშუ** ლწთხუდარხო აჭუასკ (ლენტ., იქვე, 80:14.) „სასო და სები ლამით სანადიროდ გაიპარენ“.

სვანურში გვაქვს ვითარებითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული დროის ზმნისართები.

ჭუინალ-დ „ძველად“, **ათხელ-დ** „აქამდე“, **ეჩქა-დ** „მანამდე“, **გუინან-დ** „გვიან“. **გუინან** ნასესხებია ქართულიდან, და სვანურის ყველა დიალექტში დასტურდება, შდრ. ქართ. **გვიან**, მეგრ. **გვიანას**, **გვიანო**, „გვიან“. **ურჰა-დ**, **ურჰჰ-დ** ზს., **ურჰა-დ** ქს. „უთენია“, **ზაჟ-დ** „გაისად“ (შდრ. ზან „წელი“), მაგ.: **ჭუინალდ** კაჟინ თოფარ ხოხალდახ (ლნტ.) „ძველად კაჟინი თოფები იცოდნენ“ ლუაჭარ **გუინანდ** ანგვან (ბზ., იქვე, 440:25) „ვაჭარი გვიან ადგა“ნაფანუნლო **გუინანდ** გარ იყუნალხ (ბქ., იქვე, 6:5) „სულის ხსენების მერე გვიან წვებთან“. იმხან ანღრი ამჟი **ურჰჰდ?** (ბზ.) „საიდან მოდიხარ ასე უთენია?“დაჟით **ურჰჰად** ოლგენ (ბქ.) „დავითი უთენია ამდგარა“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სვანურში დიდი რაოდენობით დასტურდება პრეფიქსებით ნაწარმოები დროის ზმნისართები, ესენია: **ლე-** პრეფიქსით ნაწარმოები: **ლე-ჰნ-ა**, ზს., **ნეჰნა** ბქ., **ლენა**, **ნენა** ლშხ., **ლენა**, **ნენა** ლნტ. „შარშან, შარშანწინ“, მაგ.: **ლეჰნა** გუნ მგცხინრობ ლწსუ (ბზ.) „შარშანწინ დიდი სიცივეები იყო“ **ლეჰნა** გუამიდ ხოჩა ამზაჟ ლწსუ (ბქ.) „შარშან ძალიან კარგი ზაფხული იყო“ **ლენა** ხენწიფდ ენტიხ სოფელ (ლშხ.) „შარშან ხელმწიფემ დაიბრუნა სოფელი“ **ნენა** ძლუდ მუსუ ანჯად შუწანს (ლნტ.) „შარშან სვანეთში დიდი თოვლი მოვიდა.“ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სვანური **ლე-ჰნ-ა**, ქართ. **წენ-**, **წენ-ი**, ზან. (მეგრ.) **წან-ა** „წელი“ სიტყვით შედარების საფუძველზე ფუძე ენის დონისათვის აღდგენილია ***წენ-** „წელი“ არქეტიპი. **ლე-ჰნ-ა** ფორმაში სვანურ ძირად გამოყოფენ **ჰნ-**, ხოლო **ნე-** — -ა მიჩნეულია კონფიქსად, რომელიც სხვა ნაწარმოებ სახელებშიც ჩანს (**ნე-სგა**, **ნე-ქჰა**...).სწორედ ამ სვანურ ძირს **ჰნ-**ს უკავშირებენ ქართულ **წენ-**ს და ზანურ **წან-**ს (ჩუხუა 2003: 424)

ერთსა და იმავე ფუძეს შეიძლება სახელის მნიშვნელობაც ჰქონდეს და ზმნისართისაც: **ლწთი** ბზ., ლშხ, **ლეთი** ბქ., ლნტ. „ღამე; წუხელ“, მაგ.: ეზერ **ლწთ** მწდღა ლწთი (ბზ., იქვე, 59: 18) „კარგი ღამე მქონდა წუხელ“.

მიჩნეულ ქორ **ლეთი** ჩოლმიხელი (ბქ., იქვე, 19) „შენი სახლი წუხელ დამწვარაო“. ცნობილ მეცნიერთა (ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა, გ. კლიმოვი) მიერ საერთოქართველურ დონეზე აღდგენილ ***თენ-ლ თნ-** ძირს დაემატა ამ რამდენიმე წლის წინ მ. ჩუხუას განსხვავებული დაკავშირება: სვან. **ლწთლწ-თ-ი** „ღამე“, ქართ **თ-ევ-, თ-ენ-**, ზან. **თ-ან** „თენება“, **თ-ან-აფ-ა** „აღდგომა“, რომელიც, ავტორის აზრით, არ გამოირიცხავს ქართ. **თ-ევ-/ თ-ენ-**: ზან. **თა-ნ-**: სვან. **თ-აჟ-** „გაჩენა“ ფუძეთა ერთიანობას. იგი მხოლოდ მის შესაძლო ეტიმოლოგიურ კავშირზე მიუთითებს სვანურ **ლწ-თ/ლწ-თ-ი** „ღამე, წუხელ“ სვან. **თ-** „თევა“ — **ლწ-თ** (ი) „სათევი“ — „ღამე“ მათ შესაძლო ეტიმოლოგიურ კავშირზე უთითებს (ჩუხუა 2004,106) მ. სალიანიმა კი რეკონსტრუირებულ ***თენ-**, ***თენ-ლ თნ-** ძირთან დააკავშირა, აგრეთვე, სვანურში საყოველთაოდ გავრცელებული უძველესი საკულტო ნაგებობის, სალოცავი ნიშის, სახელწოდებით ცნობილი ტერმინი **ჟითინ/უთინ/ითინ/გთინ/ღვთინ/ლვთინ**, რომელშიც **-თინ** ძირს გამოყოფს, რაც სემანტიკურად იგივეა, რაც მიჩენილი, მითითებული ადგილი“ (სალიანი 201, 21) ლაშხურში გავქვს **ლწ-ლწ-თად** „შეღამებისას“ ფორმა, (ორმაგი პრეფიქსაციით). მაგ.: **ლწლწ-თად** ჳედნიხ მიჩა მესტბარალ (ლშხ. 89) „მისი მოგვარეები შეღამებისას მოდიან“ ბოფშს **ლწლწ-თად** გარ ხნათჟე (ლშხ.) „ბავშვს მხოლოდ ღამით აძლევს სიცხეს“. **ლა-** **ლაღღ, ლადედ** ბზ., **ლადედ** ლშხ., **ლწდედ** ბქ., ლნტ. „დღე, დღეს“, მაგ.: აჩღბ მწრმა **ლადედ** ხელწიფთე (ბზ., იქვე, 296: 36) „წავიდნენ მეორე დღეს ხელმწიფესთან“ ზურალ სემი **ლადედ** არდა ეჩე (ლშხ.) „ქალი სამი დღე იყო იქ“ ემსჟ **ლწდედ** დენა ადაუხეხ ჳექხო (ლნტ.) „ერთ დღეს გოგო გააზავნეს შეშაზე“. (შდრ. მეგრ. **ამდღა ამ (ეს)+ დღა** (დღე) „დღეს“).

სვან. **ლადედ, დედ-**, ქართ. **დღე**, მეგრ. **დღ-ა**, საერთოქართველურ არქეტიპად მერაბ ჩუხუა აღდაგენს ***დედ-ე** ფორმას, რომლის განმოვანებული სახეობა მხოლოდ სვანურს შემოუნახავს (ჩუხუა 2008: 320) **ნწ||ნა-**თი ნაწარმოები: **ნწბოზ, ნწბუზ ბზ., ნწბოზ, ნებოზ** ბქ., **ნებოზ** ლშხ. ლნტ. „სალამო“, მაგ.: ჭიტიკუბად **ნწბუზს** აგითე ანვიდ ჟერჟ დაჳგლ (ბზ., იქვე, 309:16) „ჭიტიკვამამ სალამოს სახლში მოიყვანა ორი თხა“.

ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში ეს ზმნისართი შეიძლება შეგვხდეს გარკვეულ შესიტყვებაში, მაგ.:

ნწბუჟ პილ ბზ., **ნებუჟუჟ პილ** ბქ., **ნებოზა პილ** ლნტ. რაც ნიშნავს „სალამო ჟამი (პირი)“.

მაგ: **ნწბუჟ პილთე** ფჟრილდ ანდრწგითე (ბზ., იქვე, 324: 11) „სალამო ჟამს ძროხა შინ მოდის“ **ნებოზწ** პილხო ლანაყაჟალდ ასხგრდა (ლნტ.) „სალამო ჟამს სასეირნოდ მიდიოდა“. **ნწ-||ნა-**, როგორც ცნობილია, სადერივაციო პრეფიქსია სვანურში. **ნწ-ბოზ** -ში გამოიყოფა **ბოზ||ბუზ** ძირი, რაც შეიძლება დაეუკავშიროთ **ბწწი-** „ამალამ“ ძირს. **ლუ-** : ბზ. **ლუნთჟერი** „შარშან“ დასტურდება მხო-

ლოდ ბალსზემოურ დიალექტში, მაგ.: **ლუნთური** ძღვდ მუს ანვანდ (ბზ.) „შარშან დიდი თოვლი მოვიდა“. აღნიშნული სიტყვის ძირი **-თუ-** შესაძლოა ქართულ „თოვლთან“ იყოს დაკავშირებული.

მა- :

მასგუბაშ ბზ., **მასგუბაშ**, **მასკუბაშ** ბქ., **მასგუბაშ** ლშხ. **მასკობაშ** ლნტ. „ნა-შუალამევი“. (სიტყვისიტყვით იქნება ალბათ „წინისა“), მაგ.:**ოხდაცხ გიორგის მასგუბაშ** (ბზ.) „ნაშუალამევის გაელვიძა გიორგის“, ლიღრანლ **მასკუბაშ**დ დემის ქეცნიტუ (ბქ.) „სიმღერა ნაშუალამევაძმდე არ წყდებოდა.

აღნიშნული ზმნისართი შეიძლება დაიშალოს ამგვარად: **მა-სგუბ-აშ**, (შდრ. **მა-ნ-აშ** „ჭვავი“)სადაც გამოიყოფთ **-სგუბ-** ძირს, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს **სგუბინ** „წინ“ ფორმას, შესაბამისად ზედმიწევნითი თარგმანი „წინისა“, ამის დადასტურებას იძლევა.

გა- : გამდროჟანლ ბზ., **გამდრჟანლ** ლშხ. „მიწურულს“ **გამდრჟანლ** მუჟლორ ორი ქორწილ (ლშხ. 32) „ქორწილი შემოდგომის მიწურულს იქნება“

გა-მ-დროჟ-ანლ ფორმაში, ჩვენი აზრით, გამოიყოფა **დროჟ-** ძირი, **-მ-** ალბათ, ფონეტიკური დანართია. რაც შეეხება **გა-**ს, იგი წარმოშობით შესაძლოა ზმნისწინიც კი იყოს.

სვანურში ცნობილია რამდენიმე ისეთი ფორმა, რომელშიც ქართული პრეფერბი მასდარის მაწარმოებლის შემდეგაა მოქცეული, ესენია: ლშხ. **ლი-გა-თჟ-ე**, ლნტ. **ლი-გა-თჟ-ე** „გა-თაგ-ებ-ა“, ბქ. **ლი-გა-ზდ-ილ-ე** „აღზრდა“ (< ქ. გა-ზრდ-ა), ბქ. **ლი-გ-ცხანდ-ი** „გამოცხადება“ (< ძვ.ქ. გან-ცხად-ებ-ა), ბზ. **ლი-და-წყ-ე**, ბქ. **ლი-და-წყ-ე** „დაწყობა, დალაგება“ და ა. შ. (სალოიანი 2005, 152)

სვანურში მოიპოვება დროის ისეთი ზმნისართები, რომელთა ფუძე უკავშირდება ჩვენებით ნაცვალსახელებს.

ნაცვალსახელურ ელემენტებს შეიცავენ შემდეგი დროის ზმნისართები: **ამუნლო|ამანლო** „ამის შემდეგ“, **ეჩანლო** „იმის შემდეგ“, **ამდჟრეჟს** „ამ დროს“, **ეჩქა** „მაშინ“, **ეჯდჟრეჟს** „იმ დროს“, **ამზაჟ** „წელს“, **ამჩიქს** „ამ დროს“ და ა.შ.

ამუნლო|ეჩანლო ფორმებში კ. გაბუნია გამოყოფს **-ნ**, **-გნ**, **-ან** მიცემითი ბრუნვის ნიშნებს და **-ლო-** ზმნისართს. იგი აღნიშნავს: „ისინი სინტაქსური წყვილებია, სინტაგმებია და არა შედგენილი ზმნისართები (შდრ. ქართ. „ამის მერე“, „მას მერე“, მეგრ. „ათე-შ უკული“, ჭან. „ჰანი-შ კულე“ (გაბუნია 1993,70)**ამუნლო** ეშხუ ნაგზი ქა ღერი (ბზ.) „ამის შემდეგ ერთი კვირა გავა“ **ამანლო** ლოქ ხეხანლ (ბზ.) „ამის შემდეგ მეცოდინებაო“.

ბალსზემოური დიალექტის მულახურ კილოკავში ფიქსირდება **ამუნულო** ფორმაც (კაჭარავა 1954, 34)

ამუნულო მგლახ-იფარ უშხჟანრ ნესგა ჩჟამყუელღლის (სვან.პოეზ., 1939, 50: 119-120) „ამის შემდეგ მულახ-იფარი ერთმანეთს დაშორებია.“

აღნიშნულ ზმნისართებში გამოიყოფა ნაცვალსახელური ელემენტი **-ამ**. ზანურში **ამუნლო-**ს მნიშვნელობით გამოიყენება ფორმები: ჭან. **ჰანიშკულე**, მეგრ. **ათეშუკული** „ამის შემდეგ“, რომლებიც ანალოგიური აგებულებისაა. ზა-

ნურის აღნიშნული ზმნისართები ასე შეგვიძლია დავშალოთ: ჰან. **ჰან-ი-შ-კუ-ლე**, მეგრ. **ა-თე-ე-შ-უკული**.

კული (ჰან.) და **უკული** (მეგრ), ისე როგორც სვანურის სათანადო ზმნისართისეული **-ლო** ცალკე იხმარება და ნიშნავს „შემდეგ“.

ზმნისართი **ეჩუნლო** „იმის შემდეგ“ სვანურის დიალექტებში სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებით დასტურდება:

ბზ. **ეჩუნლო|| აჩუნლონ|| ეჩანლო|| ეჩქანლო**

ბქ. **ეჩანლო|| ეჩქანლო|| ეჩქუნლო|| ეჩქანლო**

ლშზ. **ეჩუნლო|| ეჩუნლონენ|| ეჩნლო|| ეჩნლონენ|| ეჩანლო|| ეჩანლო|| ეჩქანლო|| ეჩან-**

ლო|| ეჩლონენ

ლნტ. **ეჩუნლო|| ეჩანლო|| ეჩანლონ.**

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

ეჩუნლო ტუზირაღს იჩიხ (ბზ., იქვე, 13) „იმის შემდეგ ვეზირებს იჩივენ“

აჩუნლონ მი აჯინე ეჩხატესვა (ბზ. უშგ.) „იმის შემდეგ მე წაიყვან იქით-კენ“ **ეჩანლო** ადმდ ლაჭუნენე (ბქ.) „იმის შემდეგ კიდევ მოგცემ“.

ზმნისართი **ამ დურეუტს** „ამ დროს“ და მისი პარალელური ფორმების **ამ დრეუტუი**, **ამ დრეუტუი** საწარმოებლად ნაცვალსახელურ ფუძეს დართული აქვს ქართულიდან შესული სიტყვა „დრო“, ერთ შემთხვევაში მიცემითი ბრუნვის ფორმით, ხოლო მეორე შემთხვევაში **-უი** (ზე) თანდებულის დართვით. ლაშხურში გვხვდება **ამჩიქა|| ალჩიქა**, ხოლო ზემოსვანურში **ამჩიქს|| ამჩიქქა** ზმნისართები, რომლებიც იმავე მნიშვნელობისაა, რაც **ამ დურეუტს**. მაგ.: **ამჩიქს** ჯუნდიანან მეთხუდარს ლახსგმა ლიკილი (ბზ.) „ამ დროს შორიდან მონადირეს მოესმა კივილი“. **ამჩიქქა** ანჰე მეფე კალონდ (ბზ.) „ამ დროს მოაწია მეფის კანონმა“.

ალჩიქა როსტომ ჯართე ადიეხ (ლშზ.) „ამ დროს როსტომი ჯარში წაიყვანეს“. სვანურის ზმნისართი **ეჩქა** „მაშინ“ და მისი პარალელური ფორმები **ეჩქას** (ბზ., ლშზ.) და **აჩქა** (ბზ., უშგ) აგრეთვე ნაცვალსახელური **ეჩ** -ეჯ და თანდებულისეული (ქა-) ელემენტების შემცველია (გ. კაჭარავა). მაგ.: **ეჩქა** ლახორან გელუნან გეზალ ჯარს არდა (ბზ.) „მაშინ ლახორის გელოვანის შვილი ჯარში იყო“. შომამ მესტიათე ოჩად, **ეჩქა** ლან ემდ საათ (ბქ.) „როდესაც მესტიაში წავედით, მაშინ იყო ათი საათი. **ეჩქა**, ეჯ მინუტისვა, შიმდ ჟასნელთე (ბზ., იქვე, 104:12) „მაშინ იმ წამში ხელათ მოარჩენს“ სნმაქ **ეჩქას** ქანტან ძულტახანქა (ბზ., იქვე, 274) „ქალიშვილი მაშინ გამობრუნდა ზღვიდან“ **ეჩქას** ჩუ იჩქეუხ ზურალარ (ბზ., იქვე, 65) „მაშინ ჩაიხოქებენ ქალები“ **ეჩქად** დედეს ნოუ ათდაგრა (სვან. პროზ., 282:26) „მანამდე დედას არ მოუკვდე“. სვანურში გვხვდება ისეთი დროის ზმნისართები, რომელთა შედგენილობაში სხვა სახეობის ნაცვალსახელური ელემენტი გვაქვს, ესენია: **ჩილანდელ** „ყოველდღე“, **ჩილეთი** „ყოველდამ“, **ჩიგარ** „ყოველთვის“, **ჩირაკს** „ყოველ წამს“, რომელთა თავკიდურა **ჩი-** ელემენტი განსაზღვრებითი ნაცვალსახელია წარმოშობით (**ჩი-** „ყველა“) ზმნისართი **ჩიგარ** „ყოველთვის“ ამ სახით ყველა დიალექტში შეინიშნება. ამშთანს **ჩიგარ** დემ ხგრმი (ბზ.) „ამისთანას ყოველთვის ვერ დაიჭერ“ ალი **ჩიგარ** ამჟი მიზგინე გუის

(ბჭ.) „ეს მუდამ ასე მტკენს გულს“ ალ ბალახ ჩუ დემ იმდი **ჩიგარ** (ლშხ.) „ეს ბალახი ყოველთვის არ მწიფდება.“ ზანურში ამ ფორმას შინაარსობლივად **ირო** „ყოველთვის“ ფორმა შეესაბამება. აქ გამოიყოფა ნაცვალსახელური **ირ-** (ირო „ყველა“) და ფორმანტი **ო**, რომელიც ვითარებითი ბრუნვის ნიშანია მეგრულში.

ზმნისართები **ჩილადედ** „ყოველდე“ და **ჩილეთ** „ყოველდე“ მიღებულია განსაზღვრებითი ნაცვალსახელისა და არსებითი სახელის შერწყმით (**ჩი-ლადედ** „ყოველ დდე“, **ჩი-ლეთ** „ყოველ დამე“), მაგ.: საბრალ გლენარ უარგარს ხემშაუხ **ჩილადედ** (ბჭ.) „საწყალი გლენები თავადებისთვის მუშაობდნენ ყოველდე“.

სეგზიმ ჯანარ იპელუალეხ, **ო** **ჩილეთი**, **ო**დ საბრალ სეგზიმ გიცარ, იქითოლეხ, **ო** **ჩილეთი** (ბჭ.) „სეგზის ხარები ქრებიან, **ო**, ყოველდამე, **ო**, საცოდავი სეგზის ვერძები, იპარავენ, **ო** ყოველდამე“.

ზმნისართი **ჩირაკს/ჩირაკს** „ყოველ წამს“ დასტურდება ბალსქვემოურში, ლაშხურსა და ლენტეხურში, მაგ.: გეზალ **ჩირაკს** ხეთხელიტ დის (ბჭ.) „შვილი ყოველ წამს ეძებდა დედას“.

კომპოზიციის შედეგად მიღებული დროის ზმნისართები

სვანურში დროის ზმნისართთა საწარმოებლად საკმაოდ ხშირად გამოიყენება კომპოზიცია. ფუძის გაორკეცება დროის ზმნისართებისთვის უფრო ნაკლებ დამახასიათებელია. გვხვდება უკავშირო ფუძეგაორკეცებული ზმნისართებიც: **ჩიქი-ჩიქი** (ბჭ.) **ჩიქეჩიქე** (ლშხ.), **ჩიქეჩიქ** (ლნტ) „ჯერჯერობით“, მაგ.: **ჩიქი-ჩიქი** მამეტუმ მიჭირ (ბჭ.) „ჯერჯერობით არაფერი მიჭირს.“ ფუძის გაორკეცებისას შეიძლება მთლიან ფორმას მიცემითი ბრუნვის ნიშანი დაერთოს: **ნებოზ-ნებოზ** „სალამო-სალამობით“, **ძინარ-ძინარს** „დილ-დილობით“, მაგ.: ელტე შიდ ხუღტე ლიც ფედია, უ'ალტუნეხ **ნებოზ-ნებოზს** (ლნტ.) „თუ აქვთ წყალი ახლოს, რწყავენ სალამობით“ ედ დენა დეცხენჩუ აღმზალი **ძინარ-ძინარს** (ლნტ.) „ის გოგო ციდან ჩამოდიოდა თურმე დილ-დილობით“.

გვაქვს **-ინ**, **-უნ**, **-ენ** სუფიქსებით გაფორმებული რედუბლიცირებული ზმნისართები: **კალ-კალ-უნ** ლხმ. **კალ-კალ-ენ** ჩხხ. „ზოგჯერ, დროგამოშვებით, დროდადრო“ (შდრ. მეგრ. კალ-კალე კან-კალე „ზოგიერთი“, კალ-კალეშა, კანკალეშა „ზოგჯერ, ხანდახან“.

მარემ მგქაფდ **კალ-კალუნ** მიჩა ნაჩომ ესერ რაგდი „კაცის ნაცვლად ზოგჯერ მისი ნამოქმედარი ლაპარაკობსო“.

დეს-დეს-ინ (ბზ. ლშხ.) **დეს-დესუნ**, **მას-მასენ** (ბჭ.) **ესი-ესინ**, **დესი-დესინ** (ლნტ.) „ხანდახან, ზოგჯერ“, **ჟოდიჟოდ** (ზს.) „ერთხანს, ვიდრემდე“, მაგ.:

მას-მასუნ დოსდ ამდუე ლახუნარს (ბჭ.) „მთებში ზოგჯერ ადრე მოთოვს“

დეს-დესინ ქა იდარი (ლშხ.) „ხანდახან გამოიდარებს“

ჟოდიჟოდ ესერ ლემგიჭუტინ ი ათხ'ესერ დემ ოთგოჭა (ბზ., იქვე, 369) „ერთხანს ვაკავებდიო და ახლა ვეღარ შევაკავეო“.

დროის ზმნისართთა მისაღებად უფრო მოქმედია ნაირფუძიანი შეერთება, რომლის რამდენიმე სახე გამოიყოფა სვანურში:

1. კომპოზიტის კომპონენტებად ორი ზმნისართი გვაქვს:

ისგლეთ „შუაღამე“, **ისგლადელ** „შუადღე“, (ამ ზმნისართებში გამოიყოფა **ისგ** „შუა“ და **„ღეთ“** და **„ლადელ“** კომპონენტები), **„სგებლადელ** „გუშინწინ“, **სგუებნელეთ** „წინაღამეს“ (სგებ „წინა“ + ლადელ „ღე“, ლეთ „ღამე“), **ლათეჩხენ** ბქ. „გუშინწინ“, **სგებლადელ** ბქ. „წინადღეს“. შეიძლება შეგვხვდეს მრავლობითშიც: **სგებლადლარქა** „წინა დღეებში“, **მგხარბაზი** „ხვალსაღამოს“, **მგხარეჩხან** „ზეგ“ (შდრ. **მგხარ** „ხვალ“+ **ბაზი** „ღამე“, **მგხარ** „ხვალ“+ **ეჩხან** „იქი-დან“), **ნაბზუან პილ** ბზ., **ნებზუან პილ** ბქ., **ნებოზა პილ** ლნტ. „საღამო ჟამი (პირი)“. **მგხარეჩხენ** მინს ესერი ადვერბის (ბქ., იქვე, 48) „ზეგ თქვენც წაგიყვანთ“ **მგხარბაზი** მახე ზაფ ლი(ლშხ.) „ხვალ საღამოს ახალი წელია“ **მგხარბაზი** ანტუტეხენი ლოქ (ლნტ., იქვე, 314) „ხვალ საღამოს დაგბრუნდებიო“.

2. პირველ კომპონენტად გამოყენებულია ნაცვალსახელთა ფუძეები: **ამზაუ** „ამ წელს“, **ამ ჩიქს** „ამ დროს“, **ამზუქა** „ამასობაში“, **ჩი-ლანდელ** „ყოველდღე“, **ჩიგარ** „ყოველთვის“, **ჩილეთი** „ყოველღამე“, მაგ.: მისას ხოჩა **ამზაუ** ირი (ბქ.) „წელს კარგი ზაფხული იქნება“.

3. პირველი კომპონენტი რიცხვითი სახელი: **აშხუწამ** „ერთწამს, **ხუაგხანს** „დიღხანს“, მაგ.: **აშხუწამს** ლამხუ (ბქ.) „ერთწამს მაცალე“

4. დროის ზმნისართის წარმოება ხდება ნაწილაკის საშუალებითაც: **დეშომა** „არასდროს“, **დემჩიქქა** „არასდროს“... ზურალ არაყს დემეგ გთრა **დეშომა** (ბქ., იქვე, 4) „ქალი არაყს არ სვამდა არასოდეს“ მარემი გუი **დეშომას** დემ ლოქ იბზი (ლნტ., იქვე, 116) „ადამიანის გული არასდროს არ ძღებაო“და მრავალი სხვა.

ამრიგად, როგორც სათანადო მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, დროის ზმნისართებით სვანური მეტად მრავალფეროვანია. აქაც, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, გამოიყოფა დროის ზმნისართთა ორი ჯგუფი: პირველადი და ნაწარმოები. როგორც მოსალოდნელი იყო, ძირეულ ზმნისართებთან შედარებით ნაწარმოები ზმნისართები უფრო მრავალრიცხოვანია. ეს მრავალრიცხოვნება კი დიალექტების მიხედვით სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტთა არსებობითაც არის განპირობებული.

ლიტერატურა

გაბუნია 1993 — კ. გაბუნია, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბილისი.

თოფურია 1959 — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, თბილისი.

თოფურია 2008 — ვ. თოფურია, სვანური ენა, თბილისი

კაჭარავა 1953 — გ. კაჭარავა, ზმნისართები სვანურ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი.

სანიკიძე 1977 — ლ. სანიკიძე, რედუბლიკაცია სვანურსა და ზანურში — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადული, ტ. IV, თბილისი.

საღლიანი 2010 — მ. საღლიანი, ერთი უძველესი სვანური საკულტო ტერმინის უტიინ/უთინ/ითინ/დგთინ/ლგთინ წარმომავლობისათვის ეტიმოლოგიური ძიებანი. VII, 2010

სვანური პროზაული ტექსტები, ბალსზემოური ტექსტები, 1939

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი

შარაძენიძე 1948 — თ. შარაძენიძე, სვანურის ზმნისართთა ანალიზი, თბილისი

ჩუხუა 2001 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2008 — მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა.

LELA GIGLEMIANI

Time Adverb in Svan

S u m m a r y

Svan has varied time adverbs. Like in other Kartvelian languages in Svan two groups of time adverbs are distinguished: initial and derived. The number of derived adverbs is more than of basic ones. Derivation of adverbs takes place by means of affixes as well as composition. In derived time adverbs affixal elements are clearly distinguished. They coincide with case markers. There are also such time adverbs the stem of which is connected with demonstrative pronouns. Numerousness of derivation according to dialects is caused by existing of different phonetical variants.

გიორგი გოგოლაშვილი

კლასოვანი უღლებების ნაშთი ძველ ქართულში
(არნ. ჩიქობავას ერთი დებულების კვალდაკვალ)

1929 წელს არნ. ჩიქობავამ გამოაქვეყნა ნაშრომი „რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული ობიექტი ძველ ქართულში?“. დასკვნა ასეთია: „მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში **MO**ი, რომელი პირისაც უნდა იყოს იგი, თანაბრად აღინიშნება **-ენ/ჲნ** ფორმანტით; პირის განსხვავებას მნიშვნელობა არა აქვს“. ის ფაქტი, რომ **-ენ** სუბიექტური მესამე პირის აღმნიშვნელად გვევლინება ზმნაში (აწმყოში), ავტორის აზრით, „არის ნაშთი იმ მდგომარეობისა, როდესაც **MS**ისა და **MO**ის ფორმანტები არ განირჩეოდნენ, ერთისა და იმავე ფორმანტით შეიძლებოდა აღნიშნულიყო, როგორც ერთი, ისე მეორე“. მოგვიანო პერიოდის ნაშრომში ავტორი ასეთ თვალსაზრისს გვთავაზობს: „უახლოესი ობიექტის რიცხვის (მრავლობითის) აღნიშვნა ძველ ქართულს გარდამავალ ზმნაში (ყვ-**ნ**-ა საქმენი, ვყვ-**ენ**-ი-თ, ჰყვ-**ენ**-ი-თ, ყვ-**ნ**-ეს საქმენი...) კლასოვანი უღლებების ნაშთია ძველ ქართულში“ (ჩიქობავა 1979: 183). მიუხედავად ამგვარი დასკვნისა, დღევანდელ საენათმეცნიერო ლიტერატურაში **-ენ/ჲნ** ჩვეულებრივ განიხილება პირისა და რიცხვის ნიშანთა სისტემაში და იწოდება **პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშნად**; მით უმეტეს რომ იგი მრავლობით რიცხვში დასმულ სუბიექტსაც მიემართება ვნებითი გვარის ზმნებში (და-ვ-ი-ზარდ-**ენ**-ი-თ ჩვენ). გარდა ამისა, ჩვენი აზრით, სახელმძღვანელოებსა და სახელმძღვანელოთა ტიპის გამოცემებში (შანიძე 1976; ი. და ვ. იმნაიშვილები 1996; სარჯველაძე 1997; სალინაძე 2008...) ამ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობა არ შეესაბამება მორფოლოგიური ანალიზის პრინციპებს... ამიტომ საჭიროდ ვცანით არნ. ჩიქობავას ზემოწარმოდგენილ თვალსაზრის შესახებ უფრო დეტალური მსჯელობის გამართვა.

მაშ ასე:

ძველ ქართულში II სერიაში მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირი (სახელობითში დასმული) ობიექტის მრავლობითობა აღინიშნება **-ენ (←-ნ)** სუფიქსით:

და-ვ-ხატ-ე მე იგი,	მე იგინი და-ვ-ხატ- ენ
და-ხატ-ე შენ იგი,	შენ იგინი და-ხატ- ენ
და-ხატ-ა მან იგი,	მან იგინი და-ხატ- ნ-ა
და-ვ-ხატ-ე-თ ჩვენ იგი,	ჩვენ იგინი და-ვ-ხატ- ენ-ი-თ
და-ხატ-ე-თ თქვენ იგი,	თქვენ იგინი და-ხატ- ენ-ი-თ
და-ხატ-ეს მათ იგი,	მათ იგინი და-ხატ- ნ-ეს

-ენ/-ნ მოქმედი აფიქსი ჩანს; მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა პირდაპირი ობიექტი სახელობითშია და არა მიცემითში. **ობიექტის სახელობითში ყოფნა აუცილებელი პირობაა მისი გამოვლენისათვის.**

წარმოდგენილ პარადიგმაში პირდაპირი ობიექტი მესამე პირია და, როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში მისი მრავლობითობა **-ენ(-ნ)** სუფიქსით გამოიხატება. აგლუტინაციის პრინციპი თითქმის არ ირღვევა: სუბიექტის პირი და რიცხვი დამოუკიდებელი აფიქსებით აღინიშნება, მრავლობითში დასმული ობიექტის რიცხვი — სხვა აფიქსით:

ვითარება რთულდება, როცა პარადიგმაში პირდაპირი ობიექტი I და II პირებია:

და-მ-ხატ-ა მან მე,	მან ჩუენ და-გუ-ხატ- ნ-ა
და-გ-ხატ-ა მან შენ,	მან თქუენ და-გ-ხატ- ნ-ა-თ
და-მ-ხატ-ე შენ მე,	შენ ჩუენ და-გუ-ხატ- ენ
და-გ-ხატ-ე მე შენ,	მე თქუენ და-გ-ხატ- ენ-ი-თ

რა არის **-ენ(-ნ)** სუფიქსი, რისი მორფოლოგიური ნიშანია? იგი ფორმაში მრავლობითში დასმულ I ან II პირის პირდაპირ ობიექტს მიემართება. მაგრამ მრავლობითობა ამ პირებისა ზმნაში ისედაც გამოხატულია: I პირის შემთხვევაში **გუ** პრეფიქსით (ან **მ** პრეფიქსით), II პირის შემთხვევაში — **თ** სუფიქსით. თითქოსდა ორმაგი გამოხატვა ზდება მრავლობითობისა. თუ ეს ასეა, მაშინ ერთ-ერთი ჭარბია; ასეც განიხილება („ჭარბი მორფოლოგიური ნიშანი“ — თ. უთუტრაიძე).

სრულ პარადიგმაში იცვლება სუბიექტი და ობიექტი, შესაბამისად იცვლე-

ბა სუბიექტისა და ობიექტის პირისა და რიცხვის ნიშნები; უცვლელი რჩება **-ენ** სუფიქსი. ცხადია, პარადიგმაში უცვლელი მორფემა იმის ნიშანი შეიძლება იყოს, რაც ამ პარადიგმისათვის შინაარსობრივად უცვლელია. რა არის ის, რაც არ იცვლება, რისი ნიშანია **-ენ?** კითხვაზე პასუხის გაცემამდე ერთ საკითხსაც მივაპყრობთ ყურადღებას — გავისხენოთ პრეფიქსიანი ვნებითების წყვეტილის პარადიგმა:

და-ვ-ი-ხატ-ე მე, ჩუენ და-ვ-ი-ხატ-**ენ**-ი-თ
 და-ი-ხატ-ე შენ, თქუენ და-ი-ხატ-**ენ**-ი-თ
 და-ი-ხატ-ა იგი, იგინი და-ი-ხატ-**ენ**-ეს

ამ პარადიგმაში სუბიექტის პირიცა და რიცხვიც შესაბამისი აფიქსებით არის გამოხატული. რა არის **-ენ(-ნ)** სუფიქსი, რომელიც გამოვლინდება მხოლოდ მეორე სერიაში (იმ სერიაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერგატიული კონსტრუქცია!)? რისი ნიშანია იგი? (ამ ფაქტზე არნ. ჩიქობავა ყურადღებას არ ამახვილებს).

ტრადიციული განმარტება ასეთია: „ვნებითი გვარის ზმნა მოქმედებითი გვარის მობრუნებული (კონვერსიული) სახეა. მოქმ. გვარის ზმნებს II სერიის მწკრივებში ორ-ორი ფორმა აქვთ: ერთი პირდაპირი ობიექტის მხოლოდობითი შეწყობისას. ზმნის გადაყვანისას ვნებითში პირდაპირ-ობიექტური სუბიექტური ხდება. ამიტომ ამ სუბიექტურ პირს მრავლობითის ნიშანი -ენ მოქმედებითიდან ვნებითში გადაჰყვება“ (შანიძე 1976: 111). ეს თვალსაზრისი გაზიარებულია თითქმის საყოველთაოდ. განსხვავებულ კვალიფიკაციას აძლევს **-ენ** სუფიქსს ზ. სარჯველაძე: „პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა მეორე სერიაში გამოვლინდება სუბიექტის მრავლობითობის ამსახველი **-ენ(-ნ)** სუფიქსი. **-ენ** გვაქვს წყვეტილის პირველსა და მეორე პირებში, მეორე ბრძანებითის მეორე პირში, **-ნ** მეორე სერიის დანარჩენ ფორმებში“ (სარჯველაძე 1997: 122). თუმცა ეს თვალსაზრისი ავტორს არ განუფრცია, არც დამატებითი მსჯელობა ახლავს. ფაქტია, **-ენ/-ნ** სუფიქსი აქ კვალიფიცირებულია სუბიექტის ნიშნად ყველა პირისათვის (!); იმავე სუბიექტის პირისა და რიცხვის ნიშნები ფორმაში სხვა რომ არის, ამაზე არაფერია თქმული...

ჩვენთვის არ არის დამაჯერებელი მოქმედი აფიქსის პარადიგმიდან პარადიგმაში გადაყოლა ფუნქციის გარეშე: როგორც აღვნიშნეთ, გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით ვნებითში **-ენ** სუფიქსს თავისი ფუნქცია არ გააჩნია. არც ის არის სარწმუნო, სამივე სუბიექტურ პირს ერთი და იგივე ნიშანი აქვსო...

გვერდიგვერდ დავსვათ მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა **-ენ(-ნ)** სუფიქსიანი პარადიგმები და განვარძოთ მსჯელობა:

მან ჩუენ	და-გვ-ხატ- ნ -ა	}	და-გ-იხატ- ენ -ი-თ	ჩუენ
შენ ჩუენ	და-გ-უ-ხატ- ენ			
მან თქუენ	და-გ-ხატ- ნ -ა-თ	}	და-იხატ- ენ -ი-თ	თქუენ
მე თქუენ	და-გ-ხატ- ენ -ი-თ			
მან იგინი	და-ხატ- ნ -ა		და-იხატ- ნ -ეს	იგინი

ორივე რიგის პარადიგმაში საერთოა **-ენ (-ნ)** სუფიქსი. კითხვას ასე ვსვამთ: რა არის საერთო ამ პარადიგმებში, რისი ნიშანიც შეიძლება იყოს საერთო მორფოლოგიური ოდენობა **-ენ (-ნ)**? პასუხი: წარმოდგენილ პარადიგმებში **საერთო არის სახელობითში დასმული პირი**, რომელიც ერთ შემთხვევაში **სუბიექტია** (გნებითი გვარის ზმნებთან), მეორე შემთხვევაში — **პირდაპირი ობიექტი** (მოქმედებითი გვარის ზმნებთან). ზოგადად „სახელობითში დასმული პირი“ არ არის მორფოლოგიური ცნება, ამიტომ მორფოლოგიური ელემენტი (**-ენ/-ნ**) ვერ იქნება ამგვარი ცნების აღმნიშვნელი; მით უმეტეს, ზმნაში წარმოდგენილ სუბიექტურ თუ ობიექტურ პირებს თავიანთი მაწარმოებელი აქვთ პირისა თუ რიცხვისა. ამიტომაც იქნა კვალიფიცირებული **-ენ/-ნ** სუფიქსი ჭარბად. მაგრამ მორფოლოგიური ელემენტი ჭარბად შეიძლება იქცეს იმ შემთხვევაში, თუ მას თავისი მორფოლოგიური ფუნქცია გამოეცლება; იმთავითვე ჭარბი ელემენტი ენაში არ არსებობს; ვიმეორებთ: აფიქსი ან ფუნქციას კარგავს, ანდა ჩვენ ვერ მივაგენით, ჩვენ ვერ გავარკვიეთ, რისი ნიშანია იგი.

როგორც ვხედავთ, მორფოლოგიურად **-ენ/-ნ** სუფიქსი ძველ ქართულში უკვე ჭარბია და ამიტომაც იკარგება (I-II პირებში), ანდა ხდება მისი რეინტერპრეტაცია (III პირში):

და-გ-ი-ხატ- ენ -ი-თ	→	და-გ-ი-ხატ-ე-თ
და-ი-ხატ- ენ -ი-თ	→	და-ი-ხატ-ე-თ
და-ი-ხატ- ნ -ეს	→	და-ი-ხატ- ნ -ენ → და-ი-ხატ- ნ -ენ

ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე **-ენ/-ნ** მორფოლოგიური ფუნქციის მქონე ჩანს; ეს ფუნქცია ეკარგება და იქცევა ჭარბად. რისი ნიშანი შეიძლება ყოფილიყო -ეს სუფიქსი ადრეულ ეტაპზე? რისი ნაშთი შეიძლება იყოს იგი ძველ ქართულში?

ყურადღება მივაქციოთ კლასოვანი უღლების ენებში ზმნაში კლასის გამოხატვის პრინციპს. მაგალითისთვის განვიხილავთ ხუნძური ენის ზმნას (ვმსჯელობთ არნ. ჩიქობავასა და ი. ცერცვაძის მონოგრაფიის — „ხუნძური ენა“ — მიხედვით, 1962: 238-241) .

ხუნძური ენა, როგორც იბერიულ-კავკასიური ენა, კლასიკური ნიმუშია კლასოვანი უღლების ენისა. ზმნის ფორმაში აღინიშნება მხოლოდ ერთი კლასი. თუ ზმნა გარდაუვალია, აღინიშნება სუბიექტის კლასი, თუ ზმნა გარდამავალია, აღინიშნება ობიექტის კლასი. შესაბამისად გვაქვს სუბიექტური უღლება და ობიექტური უღლება:

ა) სუბიექტური უღლება:

ვას ვ-აჭუნა „ვაჟიშვილი მოდის“

მას მ-აჭუნა „ქალიშვილი მოდის“

ჩუ ბ-აჭუნა „ცხენი მოდის“.

სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია.

ბ) ობიექტური უღლება:

ინსაუცაა ვას ვ-ეცაულა „მამა ვაჟიშვილს აქებს“

ინსაუცაა მას მ-ეცაულა „მამა ქალიშვილს აქებს“

ინსაუცაა ჩუ ბ-ეცაულა „მამა ცხენს აქებს“

ინსაუცაა ვასალ რ-ეცაულა „მამა ვაჟიშვილებს აქებს“

ინსაუცაა სუბიექტია, ვას, მას, ჩუ, ვასალ — ობიექტები. სუბიექტი ერგატივშია, ობიექტები — სახელობითში. „სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი — იქნება იგი რეალური სუბიექტი (გარდაუვალი ზმნისა), თუ რეალური ობიექტი (გარდამავალი ზმნისა) — ყოველთვის აღინიშნება ზმნაში“ (გვ. 140).

და კიდევ ერთი არსებითი რამ: „სავსებით იგივე ვითარებაა ზმნის მრავლობითობის აღნიშვნის მხრივაც: **გარდაუვალ ზმნაში აღინიშნება მრავლობითი რიცხვი რეალური სუბიექტისა; გარდამავალში — რეალური ობიექტისა**“ (გვ. 239).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის რიცხვი, იქნება ის სუბიექტი თუ ობიექტი, ყოველთვის აღინიშნება ზმნაში.**

ისევ ვსვამთ კითხვებს: რა ხდება ძველი ქართულის შემთხვევაში? რას გამოხატავს ზემოგანხილული -ენ/-ნ სუფიქსი? პასუხი: -ენ/-ნ სუფიქსი გამოხატავს სახელობითში დასმული პირის მრავლობითობას იმ სერიაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერგატიული კონსტრუქცია: გარდამავალ ზმნასთან ეს არის პირდაპირი ობიექტი, გარდაუვალ ზმნასთან — სუბიექტი. ფაქტია: კლასოვან ენაში კლასისა და რიცხვის გამოხატვის პრინციპი იდენტურია ძველ ქართულში -ენ/-ნ სუფიქსის გამოყენების წესისა.

დასკვნა: **ძველ ქართულში -ენ/-ნ სუფიქსი ოდინდელი კლასოვანი უღლების ნაშთია. ფუნქციური თვალსაზრისით ამ დროისათვის პირის ნიშანთა სისტემაში იგი ჭარბია.**

გავიხსენოთ: იბერიულ-კავკასიურ ენებში კლასოვანი უღლება წინ უსწრებდა პიროვან უღლებას; იყო ზმნის ფორმაცვალების ადრეული საფეხური იყო: „ქართულში (ქართველურ ენებში) კლასოვანი უღვლილება შეიცვალა პიროვანი უღვლილებით“ (ანდლულაძე 1968: 125). ზმნასა და სახელში კლასოვანი უღლების არაერთი კვალი დადასტურდა (ი. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...). „ოდინდელ კლასნიშნებს ახლა მრავალი ფუნქცია აქვს დაკისრებული ენებში“ (ანდლულაძე 1968: 200), მოხდა მათი რეინტერპრეტაცია, ანდა დაიკარგა. როგორც ჩანს, **-ენ/-ნ** სუფიქსს მორფოლოგიური ფუნქცია კლასოვანი უღლების საფეხურზე ჰქონდა; პიროვანი უღლების სისტემაში იგი ჭარბი აღმოჩნდა და ამიტომაც დაიკარგა (III პირის შემთხვევაში პირის ნიშანს მიუერთდა).

საკითხის ამდაგვარი გააზრება უადრესად მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ქართული ენის ისტორიისათვის და, მეორე მხრივ, ქართულში დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით (გავიხსენოთ, **დავიზარდენით** ტიპის ფორმები ნორმად დღეს ზოგი დიალექტისთვის).

ლიტერატურა

ანდლულაძე 1968 — ნ. ანდლულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი.

ი. და ვ. იმნაიშვილები 1996 — ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, მაინის ფრანკფურტი, თბილისი.

სარჯველაძე 1997 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი.

საღინაძე 2008 — რ. საღინაძე, ძველი ქართული ენა, ქუთაისი, 2008

შანიძე 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

ჩიქობავა 1929 — არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული ობიექტი ძველ ქართულში?: ტუმ, ტ. 9, ტფილისი (გადაიბეჭდა: იკე XXX, 1991; არნ. ჩიქობავა, II, 2010).

ჩიქობავა 1979 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.


ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 — არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი.

GIORGI GOGOLASHVILI

Trace of Class Conjugation in Old Georgian

Summary

In Old Georgian in the forms of II series plurality of a person in nominative case is marked with **-en** (>**-n**) suffix. At a transitive verb it is a direct object person, at an intransitive one – a subject. In the same forms a person and a number of a subject and an object are expressed by relevant affixes:



In such case **-en** (> **-n**) suffix has no concrete morphological function. Morphologically this suffix is abundance for Old Georgian. What could it be?

In the languages of class conjugation, in particular in Avar “a noun in a nominative case – be it a real subject (of a transitive verb) or a real object (of an intransitive verb) is always marked in a verb”. Also: “A similar situation is in marking of a verb’s plurality: **plural of a real subject is marked in an intransitive verb, in a transitive one – of a real object**” (Arn. Chikobava, I. Tsertsvadze).

In other words: **a number of a noun in a nominative case – be it a subject and an object is always marked in a verb.**

What happens in Old Georgian? What does an abovementioned **-en/-n** suffix express?

It is a fact: **-en/-n** suffix expresses the plurality of a noun in a nominative case; at a transitive verb it is a direct object, at an intransitive one it is a subject. Thus: **in a class language the principle of a class and number expressing is identic with the usage rule of -en/-n suffix in Old Georgian.**

Conclusion: **in Old Georgian -en/-n suffix is an ancient trace of a class conjugation.**

თამარ ვაშაკიძე

მართვა-მირთვის ზოგი საკითხისათვის
თანამედროვე ქართულში

„მირთვა შორეულ კავშირში იმყოფება მართვასთან. მირთვა ნულამდე და-
ყვანილი მართვაა. მართვის დასუსტების ხაზით მივდივართ მირთვისაკენ. ამ
ხაზზე კი შეიძლება შეგვხვდეს ისეთი მოვლენები, რომელთა შესახებ ძნელია
თქმა, მართვაა იგი თუ მირთვა“ (ჩიქობავა 1968: 120).

„რთულია ისეთი შემთხვევები, როცა სახელის თანდებულისანი თუ უთან-
დებულო ფორმა ზმნიხედად გადაქცეულა, ცალკე მდგომი თანდებულებით და-
ერთვის სახელს და ორივე ერთად გადმოსცემს წინადადების წევრს — გარე-
მოებას. თუ მივიჩნევთ, რომ ყველა გარემოება მირთულია, მაშინ ორ-ორი სი-
ტყვით გადმოცემული გარემოებებიც მირთულად უნდა დასახელდეს („ორი კა-
ცი **ჭიშკრის უკან აიტუზა**“; „**სოფლის თავში გამოჩნდნენ** ცხენოსნები“;
„**თხმელის ძირში** ცეცხლი ნელა **ბუუტავდა**“; „**წარვედ წყლისა პირს** სევდი-
ანი ფიქრთ გასართველად...“), მაგრამ ყოველი გარემოება ჩაითვლება თუ არა
მირთულად?“ (კვაჭაძე 2010: 32).

ყველა სახის გარემოებას მირთულად ვერ მივიჩნევთ. როცა ზმნისართი
თუ ზმნისართად ქცეული სახელის თანდებულისანი ან უთანდებულო ფორმა
ცალკე მდგომი თანდებულებით დაერთვის სახელს და ორივე ერთად გამოხა-
ტავს წინადადების წევრს — გარემოებას, ეს უკანასკნელი მირთული წევრი კი
არ არის სინტაქსური წყვილისა, არამედ იგი იმართვის ზმნა-შემასმენლისაგან
გარკვეულ ბრუნვაში (წარმოდგენილი მაგალითების მიხედვით — თანდებულის-
ანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმებით), მაშასადამე, აღნიშნული ტიპის შე-
მთხვევებში სინტაქსური წყვილის ერთ-ერთი წევრი, გარემოება (ზმნა-შემას-
მენლისაგან მართული), ორკომპონენტისანი იქნება:





„მირთული სიტყვა, ფორმიანია იგი თუ უფორმო, იქნება გარემოება. შეიძლება განვასხვავოთ გარემოებათა ორი სახე: გარემოება — ფორმიანი სიტყვით გადმოცემული და გარემოება — უფორმო სიტყვით გადმოცემული“ (ჩიქობავა 1968: 120). „ამის შესაბამისად ზმნიზედათა როლს (გარემოების ფუნქციას) თანდებულისანი სახელებიც ასრულებენ (ზმნიზედათა წყებისა). აქ შეიმჩნევა გარკვეული თავისებურება: ადგილის (ტერიტორიული ლოკალიზაციის) შინაარსის მქონე სახელებზე გარკვეულ თანდებულთა (მაგ., **-ზე, -ში, -თან...**) დართვა მათ ადგილის ზმნიზედათა შინაარსსა და ფუნქციას ანიჭებს. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს დროის შინაარსის აღმნიშვნელ სახელებშიც — ისინი უკვე დროის ზმნიზედათა წყებაში დგებიან (შეიძლება ეს მოვლენა უთანდებულოდაც მოხდეს). ამ ტიპის „ზმნიზედებს“ ყველაზე მეტად აქვთ შენარჩუნებული სახელის თვისებები, რადგან ისინი ზმნიზედათა ფუნქციას ასრულებენ მხოლოდ გარკვეულ გარემოცვაში (პოზიციაში), ხოლო სხვა შემთხვევაში თავიანთი ძირითადი ფუნქცია აქვთ შენარჩუნებული“ (დავითიანი 1970: 295).

„წამყვან სიტყვას მიერთვის უფორმო სიტყვა — ზმნიზედა ან ზმნიზედების წყებაში ჩამდგარი თანდებულისანი სახელი. წამყვანი სიტყვა, რომელსაც ახლავს მირთული, ჩვეულებრივ, ზმნაა (პირიანი თუ უპირი): **გვიან დაბრუნდა, გვიან დაბრუნება, გვიან დაბრუნებული**, მაგრამ იგი შეიძლება იყოს სახელი (ჩვეულებრივ, ზედსართავი) ან თვით ზმნიზედა: **ძალიან დიდი, ოდნავ წითელი... ძალიან შორს, უფრო ნელა, ძალიან გვიან...**“ (კვაჭაძე: 31).

ამა თუ იმ შინაარსის გამოხატველი გარემოება, რა თქმა უნდა, ყოველთვის მირთულად ვერ ჩაითვლება. აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ გარემოებათა ორი ტიპი: ა) პირველადი და ბ) სახელის ბრუნვის ფორმათაგან (თანდებულისანი თუ უთანდებულო) მიღებული.

ა) რაკი „მართვა ჰქვია სრულმნიშვნელობიან სიტყვათა ისეთ შეკავშირებას, როცა წამყვანი სიტყვა დამოკიდებულს შინაარსობრივ იკავშირებს ისე, რომ ამას რაიმე გრამატიკული გამოხატულება არ ახლავს“ (კვაჭაძე 2010: 22), მირთულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ პირველადი ზმნისართებით წარმოდგენილი გარემოებანი, მაგალითად:

ძალიან ← **გაუნარდა** — ზმნა-შემასმენელი მიერთავს ვითარების გარემოებას;

ძალიან	← გახარება — მასდარი მიირთავს ვითარების გარემოებას;
ძალიან	← გახარებული ბავშვი — მიმღობით წარმოდგენილი მსაზღვრელი მიირთავს ვითარების გარემოებას;
ძალიან	← წითელი ვაშლი — ზედსართავი სახელით გამოხატული მსაზღვრელი მიირთავს ვითარების გარემოებას;
ძალიან	← გვიან დაბრუნდა — დროის გარემოება მიირთავს ვითარების გარემოებას.
ან კიდევ:	
აქ	← წვიმს — ზმნა-შემასმენელი მიირთავს ადგილის გარემოებას;
გუშინ	← დაბრუნდა — ზმნა-შემასმენელი მიირთავს დროის გარემოებას;
ამიტომ	← მოვიდა — ზმნა-შემასმენელი მიირთავს მიზეზის გარემოებას და სხვ.

ზემოთ წარმოდგენილ შემთხვევებში ვითარების, ადგილის, დროისა თუ მიზეზის გარემოებანი გამოხატული არიან პირველადი ზმნისართებით.

ბ) სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმით (თანდებულიანი თუ უთანდებულო) წარმოდგენილი, ზმნისართის ფუნქციით გამოყენებული ერთეული (სინტაქსურად — გარემოება) ყოველთვის მართული იქნება ზმნა-შემასმენლისაგან იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი მას გარკვეული გამოხატულებით, კერძოდ, ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით იკავშირებს, მაშასადამე, მართავს სხვადასხვა ბრუნვაში:

სტეფანწმინდას	← ამოვიდა — ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს მიცემითი ბრუნვის ფორმით (რომელიც ასრულებს ადგილის ზმნისართის ფუნქციას და, ბუნებრივია, სინტაქსურადაც ადგილის გარემოებაა);
სახლთან	← ელოდებოდა — ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს - თან თანდებულიანი მიცემითი ბრუნვის ფორმით (რომელიც გამოყენებულია ადგილის ზმნისართის ფუნქციით და სინტაქსურადაც ადგილის გარემოებაა);

ტყეში

← **შევიდნენ** — ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს **-ში** თანდებულისანი მიცემითი ბრუნვის ფორმით (იგი ასრულებს ადგილის ზმნისართის ფუნქციას და სინტაქსურადაც ადგილის გარემოებაა);

მაისში

← **ესტუმრა** — ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს **-ში** თანდებულისანი მიცემითი ბრუნვის ფორმით (ამ შემთხვევაში იგი ასრულებს დროის ზმნისართის ფუნქციას და სინტაქსურადაც დროის გარემოებაა);

ზღვისკენ

← **გადაიქროლა** — ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს **-კენ** თანდებულისანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით (რომელიც ასრულებს ადგილის ზმნისართის ფუნქციას და სინტაქსურადაც ადგილის გარემოებაა);

გალვიძებისთანავე

← **იკითხა** — ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს **-თანავე** თანდებულისანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით (რომელიც გამოყენებულია დროის ზმნისართის ფუნქციით და სინტაქსურადაც დროის გარემოებაა);

სიცხის გამო

← **დადნა** — ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს **გამო** თანდებულისანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით (იგი ასრულებს მიზეზის ზმნისართის ფუნქციას და სინტაქსურადაც მიზეზის გარემოებაა);

დასავლეთით

← **გადაიხარა** — ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს მოქმედებითი ბრუნვის ფორმით (ეს უკანასკნელი ასრულებს ადგილის ზმნისართის ფუნქციას და სინტაქსურადაც ადგილის გარემოებაა);

მოწიწებით

← **უსმენდა** — ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს მოქმედებითი ბრუნვის ფორმით (რომელიც გამოყენებულია ვითარების ზმნისართის ფუნქციით და სინტაქსურადაც ვითარების გარემოებაა);

სახურავიდან

← **ჩამოვიდა** — ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს **-დან** (← **გან**) თანდებულისანი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით (რომელიც ასრულებს ადგილის ზმნისართის ფუნქციას და სინტაქსურადაც ადგილის გარემოებაა);

ბავშვობიდანვე

← **წერდა** — ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს **-დან** (← **გან**) თანდებულისანი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით (ეს უკანასკნელი გამოყენებულია დროის ზმნისართის ფუნქციით და სინტაქსურადაც დროის გარემოებაა);


მღუმარედ	← იჭდა — ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს ვითარებითი ბრუნვის ფორმით (იგი ასრულებს ვითარების ზმნისართის ფუნქციას და სინტაქსურადაც ვითარების გარემოებაა);
დასაძინებლად	← წავიდა — ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს ვითარებითი ბრუნვის ფორმით (რომელიც გამოყენებულია მიზნის ზმნისართის ფუნქციით და სინტაქსურადაც მიზნის გარემოებაა);
სახლამდე	← მიაცილა — ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს -მდე თანდებულის ვითარებითი ბრუნვის ფორმით (იგი ასრულებს ადგილის ზმნისართის ფუნქციას და სინტაქსურადაც ადგილის გარემოებაა);
დილამდე	← ელოდებოდა — ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს -მდე თანდებულის ვითარებითი ბრუნვის ფორმით (ეს უკანასკნელი გამოყენებულია დროის ზმნისართის ფუნქციით და სინტაქსურადაც დროის გარემოებაა).

ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს სხვადასხვა ბრუნვის ფორმით. ყველა შემთხვევაში ამა თუ იმ ბრუნვის ფორმის სახელი (თანდებულის ვითარებითი ბრუნვის ფორმით) ასრულებს მოცემული ბრუნვის ერთ-ერთ ფუნქციას — გამოხატავს ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს და, შესაბამისად, სინტაქსურადაც იგი ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის ან მიზნის გარემოებაა.


აღსანიშნავია, რომ წინადადების ერთი და იგივე წევრი, კერძოდ, გარემოება, შესაძლოა, ერთ შემთხვევაში მართული იყოს ზმნა-შემასმენლის მიერ, ხოლო სხვა შემთხვევაში — მართული იმის მიხედვით, თუ რა მეტყველების ნაწილით არის იგი გამოხატული — პირველადი ზმნისართითა თუ ზმნისართის ფუნქციით გამოყენებული სახელის თანდებულის ან უთანდებულო ფორმით, შდრ., **შევიდა სახლში** და **შევიდა იქ**.

პირველ შემთხვევაში (**შევიდა სახლში**) ზმნა-შემასმენელი სახელს მართავს **-ში** თანდებულის მიცემითი ბრუნვის ფორმით. ადგილის სემანტიკის გამოხატვა მიცემითი ბრუნვის ერთ-ერთი ფუნქციაა.


ადგილის სემანტიკაა წარმოჩენილი აგრეთვე **შევიდა იქ** სინტაქსური წყვილის პირველადი ზმნისართით გამოხატული კომპონენტით, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი მიერთვის ზმნა-შემასმენელს აზრობრივად, ყოველგვარი გრამატიკული ნიშნის გარეშე:




სხვა შემთხვევაში: **11 საათზე დაბრუნდა**, მდრ., **გვიან დაბრუნდა**. პირველ მაგალითში (**11 საათზე დაბრუნდა**) მიცემითბრუნვისფორმიანი (-ზე თანდებულიანი) სახელით წარმოიჩენილია დროის სემანტიკა. სახელი მართულია ზმნა-შემასმენლის მიერ ამ ბრუნვაში (მიცემითში) და სინტაქსურადაც დროის გარემოებას წარმოადგენს. **გვიან დაბრუნდა** სინტაქსურ წყვილშიც **გვიან** დროის გარემოებაა, მაგრამ იგი მიერთვის ზმნა-შემასმენელს (აზრობრივად უკავშირდება მხოლოდ):




ან კიდევ: **ლამაზად თოვს** და **ძალიან თოვს**. პირველ შემთხვევაში (**ლამაზად თოვს**) სახელი მართულია ზმნა-შემასმენლის მიერ ვითარებითი ბრუნვის ფორმით. სინტაქსურად იგი ვითარების გარემოებაა. ამ ბრუნვისათვის ვითარების წარმოჩენა ერთ-ერთი უმთავრესი სინტაქსურ-სემანტიკური ფუნქციაა, ხოლო წყვილში **ძალიან თოვს** ვითარების გარემოება **ძალიან** მიერთვის ზმნა-შემასმენელს (იგი აზრობრივად უკავშირდება მას). ამ შემთხვევაში გარემოებას არ გააჩნია გარკვეული გრამატიკული ნიშანი (მაგ., რომელიმე ბრუნვის ფორმა, თანდებულიანი თუ უთანდებულო):



შევედაროთ ერთმანეთს წყვილები: **შიშის გამო ცახცახებდა; ამიტომ ცახცახებდა**. პირველ მაგალითში (**შიშის გამო ცახცახებდა**) ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს **გამო** თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. იგი წარმოაჩენს მიზეზის სემანტიკას. იგივე შინაარსია გამოხატული მეორე შემთხვევაში ზმნისართით **ამიტომ**. აქ უკვე ზმნა-შემასმენელი შინაარსობრივად იკავშირებს, მიერთავს მიზეზის გარემოებას:



შედარებით განსხვავებული ვითარება გვაქვს შემდეგ წყვილებში: **წასასვლელად მოემზადა** და **მისთვის მინდა** („მე ჩონგური **მისთვის მინდა**, რომ სიმართლეს მსახურებდეს“). პირველ წყვილში (**წასასვლელად მოემზადა**) ზმნა-შემასმენელი მართავს ვნებითი გვარის მომავალდროიან მიმღობას ვითარებით ბრუნვაში. ზმნა-შემასმენლისაგან მართულია აგრეთვე მეორე წყვილის (**მისთვის მინდა**) ნაცვალსახელით გამოხატული წევრი **-თვის** თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით:



მაშასადამე, გარემოება, რომელიც წარმოდგენილია სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით (უთანდებულო, შერწყმულთანდებულებიანი თუ ცალკე მდგომი თანდებულებით) ყოველთვის მართული იქნება ზმნა-შემასმენლის მიერ. ამ ტიპის შემთხვევები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მართვის ერთ-ერთი სახეობა — ნულამდე დაყვანილი მართვა, მაგრამ — მაინც მართვა (**წარვედ წყლისა პირს, შევიდა სახლში, ლამაზად თოვს...**), ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში გარემოება მართული იქნება (**გუშინ ჩამოვიდა, შევიდა იქ, ძალიან თოვს...**).

ლიტერატურა

დავითიანი 1973 — ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.
კვაჭაძე 2010 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მეხუთე შევსებული გამოცემა, თბილისი.
ჩიქობავა 1968 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი.

TAMAR VASHAKIDZE

**Towards Some Issues of Paratactic and
Government in Modern Georgian**

S u m m a r y

The paper analyses those syntactic pairs, one components of which is adverbial modifier. Basing on an analytical material the following conclusion was made: an adverbial modifier that occurs in a certain noun case (without postpositions, with combined postposition, or with a separate postposition) is always coordinated by a verb-predicate. Similar cases could be considered as one kinds of coordinations – zero coordination, but still a coordination (**čarved çqlisa pirs, ševida saxlši, lamazad tovs...**) and in other cases an adverbial modifier should be paratactic (**gušin čamovida, ševida ik, žalian tovs...**).

რომან ლოლუა

კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური
სისტემისათვის

1. ვოკალიზმი

კავკასიის ალბანური ანბანის მატენადარანის №7117 ხელნაწერის ნუსხაში¹ ხმოვნებით აღნიშნული 9 ნიშანი გვხვდება (№1 **ღ** “ალო”, №2 **ნ** “ოდეთ”, №5 **ღ** “ფბ”, №7 **ღ** “ენ”, №13 **ყ** “ირბ”, №16 **ჟ** “ინა”, №25 **ზ** “არ”, №35 **წ** “უნ”, №47 **წ** “იონ”), ხოლო ალბანურ-ქართული პალიმფსესტში² ხმოვნებისათვის 6 “მარტივი” ნიშანი გვაქვს (**ჟ**, **ა**, **ყ**, **ო**, **ღ**, **ს**), ორი ხმოვანიც დიგრაფებით გადმოიცემა (**ო-ი** და **ს-ი**). ამათგან, მარტივი ხმოვნების რაობა დადგენილია, ესენია: **ჟ** (ა), **ა** (ე), **ყ** (ი), **ო** (ო) და **ო-ი** (უ), ხოლო **ღ** გრაფემა **ეფ** დიფთონგს აღნიშნავს³ (ლოლუა 2010: 39-40). მარტივი ხმოვნების რაობა კავკასიის ალბანურში ცნობილი იყო ჯერ კიდევ სინური პალიმფსესტის აღმოჩენამდე (ა. აბრამიანი, გ. კლიმოვი, ს. მურავიოვი და სხვა). გასარკვევი იყო მხოლოდ სპეციფიკურ ხმოვანთა ფონემური ღირებულება.

პალიმფსესტში დადასტურებულ ყველა ხმოვანს მოექმნება გრაფიკული ანალოგი მატენადარანის ხელნაწერში: **ჟ** = **ღ**, **ა** = **ღ**, **ყ** = **ყ**, **ო** = **წ**, **ღ** = **ღ**, **ს** = **ზ** ან **წ**. აქედან გამომდინარე, მატენადარანის ხელნაწერში უნდა დაზუსტდეს შემდეგი ნიშნების ფონემური ღირებულება: **ღ** **ფ** > **ე**; **ღ** **ე** > **ფ**; **წ** **უ** > **ო**.

მატენადარანის ხელნაწერში, დადგენილი ნიშნების გარდა (**ჟ** ა, **ა** ე, **ყ** ი, **ო** ო, **ღ** ეფ, **ო-ი** უ), კიდევ ოთხი ხმოვნის აღმნიშვნელი ასო-ბგერა გვხვდება, ესენია: “მეორე” და “მესამე” **ი** (№16 და №47), “მეორე” **ა** (№25) და “მეორე” **ო** (№2).

¹ ეს ხელნაწერი მოიძია ილ. აბულაძემ 1937 წელს ეზმიადინში. დღეს ინახება ერევნის მატენადარანის ბიბლიოთეკაში.

² მოიძია ზ. ალექსიძემ ეგვიპტეში, სინას ნახევარკუნძულზე მდებარე წმ. ეკატერინეს მონასტერში. ქვედა ფენა (ალბანური) შეიცავს ე.წ. ლექციონარსა და იოანეს სახარებას.

³ ამასთან ერთად, **ღ** ნიშანი ბერძნულიდან ან ბერძნულის მეშვეობით ნასესხებ სიტყვებში ი-ს შეესატყვისება, მაგ., **ჟრღო-ი-ი** (აღელუშა) – ბერძნ. ἄλλοιουσα „ალილია“; **ჟრღი** (ამენ) – ἀμην „ამინ“ და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, ამ ნიშნის ფონემური ღირებულება უნდა განისაზღვროს როგორც **ე** ბგერა. ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით კი, **ღ** ნიშანი, **ეფ** დიფთონგის გარდა, გრძელი **ე** ხმოვნის აღსანიშნავადც უნდა გამოიყენებოდეს, რასაც ვერ გავიზიარებთ.

ადრევე გაირკვა, რომ “მეორე” **ო** (**6**) სინამდვილეში **ბ** ასო-ბგერას წარმოადგენს. ეს ვარაუდი ჯერ კიდევ აკ. შანიძემ გამოთქვა (შანიძე 1938: 30-32), ხოლო ა. აბრამიანის, ვ. გუკასიანის, ზ. ალექსიძის, ვ. შულცესა და ვ. გიპერტის ნაშრომებში ის დადასტურდა. “მეორე” **ი** კი (**1**), ჩვენი დაკვირვებით, სინურ პალიმპსესტში თანხმოვნებისათვის დამახასიათებელ პოზიციებზე გვხვდება (ლოლუა 2010: 35-37), ხოლო ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით,¹ ამ ნიშნის სავარაუდო ფონემური ღირებულება უნდა იყოს **წ** (გიპერტი, შულცე, ალექსიძე, მაე 2008: II-13).

ამის გარდა, №7117 ხელნაწერის ანბანში, როგორც აღინიშნა, “მესამე” **ი** და “მეორე” **ა** ბგერაც მოგვეპოვება. ამ ასო-ნიშანთა საკითხი ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული, გამომდინარე იქიდან, რომ მათი გრაფიკული ფორმა მატენადარანის ხელნაწერის მიხედვით თითქმის იდენტურია (№25 **ა** “არ”; №47 **ა** “იონ”). ჩვენი აზრით, **ა** ნიშანი, რომელიც პალიმფსესტში გვხვდება, №47 “იონ”-თან უნდა იყოს იდენტიფიცირებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში №47 ასო-ბგერის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები გამოითქვა: მისი ფონემური ღირებულება, ს. მურავიოვის მიერ გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, შეიძლება განისაზღვროს როგორც **გ** (მურავიოვი 1981: 258-259), მაგრამ ეს ნაკლებად სარწმუნოა.

უნდა აღინიშნოს, რომ სომხურს ამ ბგერის აღმნიშვნელი გრაფემა (**ը**) ჰქონდა და გადამწერთათვის მისი **ქ**-დ გადმოცემა საჭირო არ იყო. ასევე საყურადღებოა, რომ ალბანური ანბანის ორსავე ნუსხაში, გრაფემათა სახელწოდებების გადმოცემისას, არსად არ გამოიყენება **ը**. ამასთანავე, თუ გავიზიარებთ ს. მურავიოვის მოსაზრებას, მაშინ **ო** ბგერა ანბანში კორელატის გარეშე რჩება: №2 **ბ**, რომელიც ს. მურავიოვს **ლ** ჰგონია, როგორც აღინიშნა, უეჭველად **ბ** ბგერას აღნიშნავს.

გასაზიარებელი ჩანს გ. კლიმოვის მოსაზრება №47-ის შესახებ. ამ გრაფემის ფონემური ღირებულება **ო**² უნდა იყოს (კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990: 497). ეს მტკიცდება **ა**- დიგრაფში მისი მონაწილეობით³ და, ამასთან, დასტურდება ამოკითხული მასალითაც. შესაბამისად, **ა**-კომპლექსი **ა**-ს უნდა აღნიშნავდეს (ზ. ალექსიძე, ამ დიგრაფს **ა** დიფთონგად მიიჩნევს, ხოლო **ა** ნიშანს, რომელსაც მკვლევარი №25 ასო-ბგერასთან აიგივებს – **ა** ბგერად – ალექსიძე 2003: 151).

ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით კი, **ა** ნიშანი, რომელიც მათ მიერ, ზ. ალექსიძის მსგავსად, №25 ასო-ბგერად მიიჩნევა, ლაბიალიზებულ **ა** ბგერას გადმოსცემს, ხოლო **ა**- დიგრაფი – პალატალიზებულ **ა** ბგერას (გიპერტი, შულცე, ალექსიძე, მაე 2008: II-11-12).

¹ იმის მიუხედავად, რომ მონოგრაფიას “კავკასიის ალბანური პალიმფსესტები სინას მთიდან” (“The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai”, Brepols, 2008) ჰყავს ოთხი ავტორი (ი. გიპერტი, ვ. შულცე, ზ. ალექსიძე და ჟ.-პ. მაე), კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული მიმოხილვა ეკუთვნის ოდენ ი. გიპერტსა და ვ. შულცეს. ამის გამო, ამ შემთხვევაში, ვასახელებთ მხოლოდ მათ.

² ფარინგალიზაციას **ა** ნიშნით აღვნიშნავთ, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოიყენება ამ ფუნქციით (მ. ქურდიანი, ელ. ლომთაძე და სხვა).

³ მარტივი **ა** ბგერა ასევე **ა** + **ა** პრინციპითაა გადმოცემული: **ა**-**ა**.

როგორც აღინიშნა, **ს** და **სა-** ნიშნები, ჩვენი აზრით, ფარინგალიზებული ბგერებს (**ს'** და **ს'**) აღნიშნავდა. ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ უდიურში ამ ასო-ნიშნებს, როგორც წესი, შეესატყვისება ფარინგალიზებული **ს'** და **ს'** ბგერები, შდრ.:

კავკ. ალბანური	უდიური
სა-სა (თ ^რ ს ^რ ან) ¹ „ლედვის ხე“	თოს^რან „id“ ²
სა (ტ ^რ) „მხარე“	ტოდ^რ „id“
სა-ი (უ ^რ გ ^რ) „ექვსი“	უკ^რ „id“
სა-სა (გუ ^რ დ ^რ) „შვიდი“	გუდ^რ „id“
სა-სა (მუ ^რ დ ^რ) „რვა“	მუდ^რ „id“

უნდა აღინიშნოს, რომ **ს** და **სა-** ასო-ბგერებს უდიურში შეიძლება სხვა კორესპონდენციებიც ჰქონდეს: **ს** ასო-ნიშნის ზოგჯერ არაფარინგალიზებული **თ** ბგერა შეესატყვისება, მაგ., **სს** (ყ^რს^რ) „ოცი“ – უდ. ყო „id“... **სა-** დიგრაფს კი უდიურში შეიძლება შეესატყვისებოდეს როგორც არაფარინგალიზებული **ს**, ასევე ფარინგალიზებული **ს'** ბგერა (ნიუ. გ^რ), მაგ., **სა-ს** (ჰუ^რკ) „გული“ – უდ. უკ „id“; **სა-სა** (ყ^რს^რ) „შიში“ – უდ. ყი (ვართ.)//კ^რგ (ნიჯ.) „id“... ამის მიუხედავად, არ გვაქვს არავითარი საფუძველი, რომ ეს ასო-ნიშნები ლაბიალიზებულ **ა** და პალატალიზებულ **ჟ** ბგერებზე მივიჩნიოთ. **ს** ნიშნის უდიურში **ა** ბგერა არ შეესატყვისება, ხოლო **სა-** დიგრაფის ერთ-ერთი შესაძლო კორესპონდენცია **ი**//**გ** – **უ** ბგერისა და ე.წ. ირაციონალურის ხშირი მონაცვლეობით უნდა აიხსნას და არა პალატალიზებული **ჟ** ბგერის არსებობით კავკასიის ალბანურში. ამასთან ერთად, ლაბიალიზებული და პალატალიზებული ხმოვნები, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, თითო-თითო წევრითაა წარმოდგენილი და ვერ ქმნიან მწყობრ სისტემას.

„ფარინგალიზებული ხმოვნები“³ კი, ჩვენი აზრით, პირიქით, მწყობრი

¹ კვლარტულ ფრჩხილებში ჩასმული ფარინგალიზაციის ნიშნით (ლ^რ) იმ ბგერებს აღვნიშნავთ, რომლებზეც, ჩვენი აზრით, ფარინგალიზაციის მაქსიმუმი უნდა მოდიოდეს. ფარინგალიზაციის აღნიშვნისას კავკასიის ალბანურში გრაფიკული პრინციპით ვხელმძღვანელობთ, თუმცა, ეჭვი გვეპარება, რომ ალბანურ წერილობით ძეგლებში ფარინგალიზაცია ყოველთვის ადექვატურად იყო გადმოცემული.

² უდიურ ენაში ფარინგალიზაცია მთელ სიტყვაზე ვრცელდება. ჩვენ მხოლოდ ფარინგალიზაციის მაქსიმუმს აღვნიშნავთ, ხოლო ეს იმთავითვე მთელი სიტყვის ფარინგალიზებულიობას გულისხმობს, მაგ., **თოს^რან** ფორმის ზუსტი ფონოლოგიური ტრანსკრიფცია იქნება: **თ^როს^რან^რ**.

³ შესიტყვებას “ფარინგალიზებული ხმოვნები” პირობითად ვიყენებთ. ფარინგალიზაციის მიზეზთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება გამოითქვა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ფარინგალიზაცია უნდა იყოს ხმოვნის სეგმენტური თვისება, ხოლო სხვა სპეციალისტთა თვალსაზრისით – თანხმოვნისა. ჩვენ გ. დეგერსის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ვემხრობით, რომლის თანახმად ფარინგალიზაცია მარცვლისა ან სიტყვის სუპრასეგმენტური თვისებაა. ასევე საყურადღებოდ მიგვაჩნია ს. კოდსოვის მოსაზრება, რომელიც მან უშუალოდ უდიური ენის ფონოლოგიური სისტემის შესწავლის საფუძველზე გამოთქვა; მისი აზრით, ფარინგალიზაცია უდიურში პროსოდიის თვისებაა და მთელ სიტყვაზე ვრცელდება. ამის შესახებ ასევე იმ სპეციალისტთა ჩანაწერების ანალიზი მეტყველებს, ვინც უდიური ენისათვის ფარინგალიზებული ხმოვნების არსებობას ვარაუდობდა (იხ. ლოლუა 2011: 102-109).

სახით გვხვდება – ა, ი და ე ბგერების ფარინგალიზებული ვარიანტები დიგრაფებითაა გადმოცემული: **სჟ ა'**, **სჟ ე'**, **სჟ ი'**; მაგ., **ს-სჟ** (გან) „თქვენ“ – უდ. გან „id“; **სჟჟ-ჟჟ** (კან) „უდაბნო“ – უდ. ყან „მინდორი“; **სჟჟ** (ბეღ^რ) „მზე“ – უდ. ბეღ „id“; **სჟჟჟ** (ბეჭი) „თქვენი“ – უდ. (ეჭი) „id“; **სჟჟ-ი** (იმუხ) „ყურები“ – უდ. (იმუხ) „id“... გრაფიკული კომბინაციები **სჟ (რ)** და **სჟჟ (რ)** სინურ პალიმფსესტში არ გვხვდება, რაც აგრეთვე ადასტურებს **ს** და **სჟ** ასო-ბგერების ფარინგალიზებულობას.¹

საყურადღებოა **ს** და **სჟ** ხმოვანთა მონაცვლეობის შემთხვევები დიგრაფებით გადმოცემულ სხვა ფარინგალიზებულ ბგერებთან, რითაც ასევე დასტურდება, რომ საქმე გვაქვს არა ლაბიალიზებულ ან პალატალიზებულ ხმოვნებთან, არამედ ფარინგალიზებული რივის ხმოვნებთან, მაგ., **სჟჟ** (პა) „ორი“ (შდრ. უდ. პა „id“) – **სჟჟჟ-ი** (პომუნ < პომუნ < პა-ომუნ) „ისევ“, „სხვა“ (ზედმიწ. „მეორევერ“ [GEN?])...

ამრიგად, კავკასიის ალბანური ენის ხმოვანთა სისტემა ასეთი სახით წარმოგვიდგება:

მარტივი	ჟ ა (№1)	ჟ ე (№5)	ჟ ი (№13)	ჟ ო (№35)	ჟჟ უ (№35+50)
ფარინგალიზებული	სჟ ა' (№14+1)	სჟ ე' (№14+5)	სჟ ი' (№14+13)	სჟ ო' (№47)	სჟჟ უ' (№47+50)

მათგან, ჩვენი აზრით, მხოლოდ მარტივ ხმოვნებს მოეპოვებოდათ ფონემის სტატუსი.

კავკასიის ალბანურში ფარინგალიზებული ხმოვნები ძირითადად ანლაუტში (პირველ მარცვალში) გვხვდება,² ხოლო იშვიათად ისინი ორ და მეტმარცვლიან სიტყვათა ინლაუტსა და აუსლაუტშიც შეიმჩნევა, მაგ., **სჟჟ-ი** (იმუხ) „ყურები“, შდრ. უდ. იმუხ „id“; **სჟ-ი** (უჭ^რ) „ექვსი“, შდრ. უდ. უჭ „id“; **სჟ-ი** „მეფე“ (უხ^რ); **სჟჟ-ი** (თხ^რად) „ჩიტი“; **სჟჟ** (ბეღ^რ) „მზე“, შდრ. უდ. ბეღ „id“; **სჟჟჟ** (ბეჭი) „თქვენი“, შდრ. უდ. (ეჭი) „id“; **სჟჟჟ-ი** (თხ^რან) „ლეღვის ხე“, შდრ. უდ. თხ^რან „id“; **სჟჟჟ-ჟჟ** (კან) „უდაბნო“, შდრ. უდ. ყან „მინდორი“; **სჟჟჟ-ი-ი** (პომუნ) „სარწმუნოება“, „სარწმუნო“; **სჟჟ** (პა) „ორი“, შდრ. უდ. პა „id“; **სჟჟჟ-ი** (პომუნ) „ისევ“, „სხვა“; **სჟ-ი** (გუღ^რ), შდრ. უდ. გუღ „id“; **სჟ-ი** (მუღ^რ) „რვა“, შდრ. უდ. მუღ „id“; **სჟ** (ყრ^ო) „ოცი“, შდრ. უდ. ყო „id“; **სჟ-ი** (ჭუქ)

¹ თუ გავიზიარებთ ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მოსაზრებას, რომლის თანახმად **ს** და **სჟ** ნიშნები ა⁰ და ჰ⁰ ბგერებს გადმოსცემენ, ხოლო **ს** ნიშანი – სპეციფიკური ფარინგალური თანხმოვნის აღმნიშვნელია, მაშინ გაუგებარია, თუ რით არის განპირობებული ეს პოზიციური შეხლუდვა; რატომ არ გვხვდება ეს თანხმოვანი ა⁰ და ჰ⁰ ხმოვნების წინ?

² აღსანიშნავია, რომ უდიურშიც ფარინგალიზაციის პიკი პირველ მარცვალს მოუდის, ხოლო იმ სიტყვებში, სადაც შიშინა, უგულარული ან ფარინგალიზებული თანხმოვანი მოგვეპოვება – პირველ მათგანს.

„გული“, შდრ. უდ. უკ „id“; ჯსჱ (ყრუჟ) „შიში“, შდრ. უდ. ყი (ვართ.)//ჭა'გ (ნიჯ.) „id“; ჯს (ტო) „მხარე“, შდრ. უდ. ტოდ' „id“; რსჱსჱ (ვრუჟ'ტრ) “ზოგნი”, “სხეები”...

2. კონსონანტიზმი

კავკასიის ალბანური ანბანის მატენადარანის №7117 ხელნაწერის ნუსხაში თანხმოვნებით აღნიშნული 43 ნიშანი მოგვეპოვება. რამდენიმე კონსონანტური ბგერა კავკასიის ალბანურ ანბანში ორგვარად ან სამგვარადაა გადმოცემული: მატენადარანის ხელნაწერში სამი სახის ზ (№3 ლ “ზიმ”; №6 მ “ზარღ”; №20 ლ “ზოხ”), ჭ (№10 ს “ჭა”; №19 ზ “ჭარ”; №27 მ “ჭი”) და კ (№21 ლ “კარ”; №30 მ “კარ”; №42 ძ “კატ”) ბგერები გვხვდება. ორ-ორი გრაფემა აღნიშნავს შემდეგ კონსონანტებს: ჟ (№8 მ “ჟილ”; №12 ტ “ჟა”); დ (№11 ნ “დუდ”; №50 რ “დაიდ”); შ (№14 ხ “შა”; №33 შ “შაქ”); ღ (№15 მ “ღან”; №22 რ “ლიტ”); ხ (№17 ძ “ხენ”; №37 შ “ხამ”); ძ (№23 ლ “ძეტ”; №24 ჟ “ძაე”); ც (№26 ს “ცოდ”; №49 რ “ცაინ”); წ (№28 მ “წაე”; №39 ზ “წატ”); ჯ (№32 ს “ჯაე”; №34 მ “ჯაინ”); ტ (№36 ლ “ტაე”; №45 მ “ტიურ”); ფ (№41 შ “ფეს”; №51 “ფიურ”) და ს (№43 ლ “სეტ”; №46 მ “სოდ”). ათი თანხმოვანი კი თითო-თითო გრაფემითაა გადმოცემული, ესენია: №4 მ “გატ”; №9 მ “თას”; №18 მ “დან”; №29 მ “მაკ”; №31 ლ “ნუც”; №37 მ “ძაე”; №40 მ “კენ”; №44 ხ “ეჭზ”; №48 ს “წაუ”; №52 ძ “ქიუ”.

თავის მხრივ, სინურ პალიმფსესტში 42 კონსონანტი გვხვდება. აღსანიშნავია, რომ პალიმფსესტში დადასტურებული ორი თანხმოვანი №7117 ხელნაწერში ხმოვნითაა აღნიშნული, ესენია: №2 მ ბ ბგერა (=ბ) რომელიც მატენადარანის ხელნაწერში აღნიშნულია როგორც “ოდეთ”; №16 მ (=ძ) “ინა”, რომელიც უეჭველად თანხმოვანია და სინური პალიმფსესტის მონაცემთა საფუძველზე ამ ნიშნის სავარაუდო ფონემური ღირებულება უნდა იყოს წ. მეტ-ნაკლებად ყველა კონსონანტის აღმნიშვნელი გრაფემა ჰპოვებს პარალელს №7117 ხელნაწერის ამა თუ იმ ნიშანთან (იხ. ტაბულა “კავკასიის ალბანური ანბანის ფონემურ ღირებულებათა სისტემა”). მატენადარანის ნუსხის სამი კონსონანტი არ დასტურდება სინურ პალიმფსესტში, ესენია: №28 მ “წაე”, №32 ს “ჯაე” და №34 მ “ჯაინ”.

სინურ პალიმფსესტში დადასტურებული კონსონანტებისაგან დადგენილად შეგვიძლია მივიჩნიოთ 29 გრაფემის ფონემური ღირებულება, ესენია: №2 მ (ბ); №3 ნ (გ); №4 მ (დ); №6 მ (ზ); №8 მ (ჟ); №9 მ (თ); №11 მ (დ); №14 მ ('); №15 მ (ლ); №17 მ (ხ); №21 მ (კ); №23 მ (ჰ); №27 მ (ჭ); №29 მ (მ); №30 მ (ყ); №31 მ (ნ); №33 მ (შ); №37 მ (ფ); №39 მ (ჩ); №40 მ (ძ); №41 მ (ღ); №42 მ (რ); №43 მ (ს); №44 მ (ვ); №45 მ (ტ); №49 მ (ც); №50 მ (ჟ); №51 მ (ფ); №52 მ (ქ). აქედან გამომდინარე, მატენადარანის ნუსხაში უნდა დაზუსტდეს შემდეგი ნიშნების ფონემური ღირებულება: №2 მ (ო > ბ); №3 ლ (ზ > გ); №4 მ (გ > დ); №37 შ (ხ > ფ);

№41 **ჲ** (ფ > ღ); №42 **ღ** (კ > რ); №50 **რ** (ფ > ჯ).

თვალშისაცემია, რომ სიბილანტთა აღმნიშვნელი გრაფემები კავკასიის ალბანურ ანბანში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი. მატენადარანის №7117 ხელნაწერის ნუსხაში 19 სიბილანტი გვხვდება. ამათგან, შიშინა აფრიკატები და სისინა და შიშინა სპირანტები ანბანში ორ-ორი გრაფემითაა წარმოდგენილი, გამონაკლისია **ჭ**, რომელიც სამი ასო-ბგერით არის გადმოცემული. სისინა აფრიკატებისაგან კი, ორი სახისა მხოლოდ **ც** გვხვდება, ხოლო **ძ** და **წ** ბგერებისთვის თითო გრაფემა გვაქვს. აღსანიშნავია, რომ სინურ პალიმფსესტში ამათგან სამი სიბილანტი არ დასტურდება, ესენია: №28 **ზ** “ჩაჲ”, №32 **პ** “ჯაჲ” და №34 **ჟ** “ჯაჲნ”; ამრიგად, პალიმფსესტში **ჯ** ბგერისათვის ნიშანი არ გვრჩება, ხოლო **ჩ** ბგერისათვის – ოდენ ერთია შემორჩენილი (№39 **ს** “ჩაჭ”).

ამოკითხული მასალის საფუძველზე სიბილანტთა რიგში რამდენიმე ასო-ბგერის ფონემური ღირებულება უნდა დაზუსტდეს. ერთ-ერთი **ჭ** (№19 **ჟ**) **წ** ბგერად უნდა შესწორდეს. საფიქრებელია, რომ სომეხ გადამწერებს ერთმანეთში აერთიანებდნენ მოხაზულობის **ძ** და **ჯ** გრაფემები. ეს ვარაუდი ჯერ კიდევ ა. აბრამიანმა გამოთქვა (აბრამიანი 1964: 30), გ. კლიმოვა და ს. მურავიოვა მას მხარი დაუჭირეს (მურავიოვი 1981: 258; კლიმოვი 1984: 13; კლიმოვი 1990 497), ხოლო სინური პალიმფსესტის მონაცემებით ეს მოსაზრება საბოლოოდ დადასტურდა (გიპერტი, შულცე, ალექსიძე, მაე 2008: II-14).

ჩვენი აზრით, ამ გრაფემის ფონემური ღირებულება უნდა განისაზღვროს როგორც ინტენსიური **წ** ბგერა. საყურადღებოა, რომ ამ გრაფემის სახელწოდებაში **ძ** ასო-ბგერა გვხვდება. ჩვენი ვარაუდით, **ძ** ნიშანი (**რ**), რომელიც კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიურ სისტემაში არ იყო წარმოდგენილი, ასრულებდა ერთგვარი დიაკრიტიკული ნიშნის ფუნქციას: ეს გრაფემა შესაბამის სომხურ ბგერასთან შედარებით მიგვიითობდა ალბანური ბგერის მეტ სიმკვეთრესა თუ ინტენსიურობაზე.¹ ამის გარდა, ეს ვარაუდი იმითაც დასტურდება, რომ ამ გრაფემას საერთო დადესტნურ და საერთო ლეზგიურ დონეზე შეესატყვისება ***წ** ბგერა, მაგ., კავკ. ალბ. **ჟ** (**წ**) “სახელი” – უდ. **წ** (< ***წირ**, შდრ. მრ. რიცხვის ფორმა **წი-რ-ხოს**), ხუნდ. **წარ**, ანდ. **წერ**, ახვ. **წერი**, კარატ. **წერი**, ბოთლ. **წერი**, ჰოდობ. **ცერი**, ტინდ. **ცერა**, ჩამალ. **წე**, არჩ. **წორ**, თაბ. **ჩურ** (**წურ**, **წურ**), ად. **თურ** “id” (გიგინეიშვილი 1977: 106; თალიბოვი 1980: 297)...

აღსანიშნავია, რომ საერთო დადესტნურისა და საერთო ლეზგიურის ინტენსიური აბრუპტივები უდიურში წარმოდგენილია არაინტენსიური აბრუპტივებით,² ხოლო საერთო დადესტნურისა და საერთო ლეზგიურის არამავარი აბრუპტივები (მათ შორის **წ** ბგერაც) უდიურში ანლაუტსა და ინლაუტში ნულოვანი რეფლექსაციით არის წარმოდგენილი და ოდენ

¹ ამის შესახებ თვალნათლივ მეტყველებს **ჟ** “კარ” (ყარ) და **ჟ** “კარ” (ყარ) გრაფემების მაგალითი. უეჭველია, რომ **ჟ** ნიშანი **კ** ბგერას წარმოადგენს, ხოლო **ჟ**, რომლის სახელწოდებაში “კოშტი” **რ** არის გამოყენებული, – **წ** ბგერას.

² აბრუპტივები უდიურში შემონახულია ოდენ სოფ. ზინობიანის მეტყველებაში; ვართაშნულსა და ნიჯურში აბრუპტიული თანხმონები შეიცვალა პრერუპტივებით.

აუსლაუტშია შემონახული (ცერცვაძე 1964: 362; გიგინეიშვილი 1977: 99-100; თალიბოვი 1980: 193-194). აღსანიშნავია, რომ **ჯ** გრაფემა ძირითადად ანლაუტსა და ინლაუტში გვხვდება და მას უდიურში, როგორც **წ**ესი, **წ** ბგერა შეესატყვისება, რაც ასევე ადასტურებს ამ ასო-ბგერის ინტენსივობას.

სიბილანტოა რიგში უნდა გაკეთდეს კიდევ რამდენიმე შესწორება: №26 **ა** ასო-ბგერა (**ა** “ცოდ”); ამ გრაფემის ფონემური ღირებულება, ჩვენი აზრით, უნდა განისაზღვროს როგორც ფარინგალიზებული **ჩ** ბგერა. ეს იმით დასტურდება, რომ **ა** ასო-ნიშანს უდიურში შეესატყვისება **ჩ** ბგერა, მაგ., **აჟ** (**ჩ**)ა „სახე“, შდრ. უდ. **ჩ’ო** „id“...

№46 **ა** (**ა** “სოდ”); ჩვენი აზრით, აქ გვაქვს ფარინგალიზებული **შ**, მაგ., **აო-ა-ა** (**შ**)უმ “პური”, შდრ. უდ. **შ’უმ** “id”; **აჟჟ** ე(**შ**)ა “შემდეგ”, შდრ. უდ. **ოშ’ა** “id”...

როგორც ზემოთ აღინიშნა, მატენადარანის ხელნაწერში **ჯ** ბგერით აღნიშნული ორი ასო-ბგერიდან პალიმფსესტში არცერთი არ დასტურდება, თუმცა კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემა არ გვრჩება **ჯ** ბგერის გარეშე: ერთ-ერთი **ჯ** ბგერის აღმნიშვნელი უნდა იყოს №20 **ე** (**ე** “ზოხ”); ჩვენი აზრით, აქ უნდა გვქონდეს **ჯ** ბგერის ფარინგალიზებული ვარიანტი (**ჯ’**). ამის შესახებ მეტყველებს ამ გრაფემის კორესპონდენციები უდიურ ენაში, მაგ., **ნა** (**ჯ’**)[უ]ლ “პატრონი, უფალი” (**აო-ა-ა-ნა** კო(ჯ)ინ(ჯ’)[უ]ლ “სახლის უფალი”), შდრ. უდ. **კონჯ’უხ** “id”; შდრ. აგრეთვე, უდ. **ბინა-ჯუდ** “ღმერთი” – კავკ. ალბ. **ნა** (***ბინა-ჯ’უდ**); **ბო-ა-ა-ბო-ა-ა** (**ჯ’**)უმუხ “წისკვილი”, შდრ. უდ. **ჭ’ომოს** “id”...

მეორე **ჯ** ბგერა, ჩვენი აზრით, უნდა იყოს მატენადარანის ნუსხის №18 **ი** (**ი** “დან”); ეს გრაფემა უდიურში შეესატყვისება **ჯ** ან **ჟ** (ნიჯურში) ბგერებს, მაგ., **აო-ა** კო(ჯ) “სახლი”, შდრ. უდ. **კოჯ** (ვართ.)//**ქოჟ** (ნიჯ.) “id”; **ა-ა-ა-ა** (**ჯ**)ე(ჯ)ერ “ტუჩი”, შდრ. უდ. **ჯეჯერ** “id”... ვფიქრობთ, რომ აქ უნდა გვქონდეს მარტივი (არაფარინგალიზებული) **ჯ** ბგერა.

ასევე, ჩვენი ვარაუდით, უნდა დაზუსტდეს კავკასიის ალბანური ანბანის №36 **ლ** ასო-ბგერის ფონემური ღირებულება (**ლ** “ტად”); ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე ამ გრაფემის ფონემური ღირებულების განსაზღვრა ვარაუდის ფარგლებს ვერ გასცდება, თუმცა მივიჩნევთ, რომ აქ უნდა გვქონდეს ინტენსიური **ჭ** ბგერა.

ამ ვარაუდს ადასტურებს ის, რომ უდიურში ამ ასო-ბგერას **ჭ** შეესატყვისება, მაგ., **აჟჟჟჟ** აყა(ჭ)ი “შიშველი”, შდრ. უდ. **აყაჭი** “id”; **აჟჟჟჟ-ა-ა-ა-ა-ა** (ჭ)აპ-ბიდესუნ “შეყოფა”, შდრ. უდ. **ჭაპ-ბესუნ** “დამალვა”...

¹ ეს სიტყვა ამდღევარი ფორმით ა. შიფნერთან დასტურდება (შიფნერი 1863: 74). როგორც ჩანს, დღეს უდიურში ეს ლექსემა ჩანაცვლა აზერბაიჯანულიდან ნასესხებმა **ჭუბლაყ** (ვართ.)//**ჩ’უფ’ლად** (ნიჯ.) ფორმამ. აღსანიშნავია, რომ მონათესავე ლეზგიურ ენებში **აყა(ჭ)ი** ფორმაში **ლ** ნიშანს (**ჭ**) შეესატყვისება **წ**, შდრ.: ლეზგ. ყეწილ, თაბ. ყაწლი, აღ. ყაწულ-ფ, რუთ. კაწულ, კრიწ, ბუდ. ყაწუნ “შიშველი”.

ამრიგად, კავკასიის ალბანური ენის სიბილანტოა სისტემა ასეთი სახით წარმოგვიდგება:

		აფრიკატი				სპირანტი	
სისინა	მარტივი	№38 č d	№49 t ʈ	№48 tʃ ʈʃ	№19 ʒ ʒʰ	№6 s ʃ	№43 h ʂ
შიშინა	მარტივი	№18 h ʒʰ	№39 tʃ ʈʃ	№27 tʃ ʈʃ	№36 ʒ ʒʰ	№8 s ʃ	№33 h ʂ
	ფარინგ.	№20 tʃ ʈʃʰ	№26 tʃ ʈʃʰ	№10 tʃ ʈʃʰ		№12 s ʃʰ	№46 h ʂʰ

ამ ნიშნებს უნდა დაემატოს ს გრაფემა. ეს ასო-ბგერა, როდესაც თანხმოვნის შემდეგ ან სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტში გვხვდებოდა, ოდენ ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი იყო ('). ის ა, ე და ი ხმოვნებთან (იშვიათად – ო და უ ხმოვნებთანაც) ჰქმნიდა გრაფიკულ კომბინაციებს და მას, ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, დამოუკიდებელი ფონემის სტატუსი არ მოეპოვებოდა, თუმცა ინტერვოკალურ პოზიციაში ეს ნიშანი შ (ან შ') ბგერას აღნიშნავდა, მაგ., **აო-ჩაჟ მუ(შ)აკ** “მუშაკი”, შდრ. ქართ. **მუშაკი**, სომხ. **მშაკ** “id”....

როგორც ტაბულიდან ჩანს, კავკასიის ალბანურში ჩვენ ვვარაუდობთ შიშინა და სისინა აფრიკატთა ოთხეულზე მეტ სისტემას, ხოლო შიშინა და სისინა სპირანტების რიგში – წყვილულებრივ სისტემას. აღსანიშნავია, რომ ჩვენი დასკვნები ეხმიანება ბ. თალიბოვის მიერ პოსტულირებული საერთო ლეზგიურის სიბილანტოა სისტემას. ბ. თალიბოვი საერთო ლეზგიურისათვის ვარაუდობს ინტენსივობის მიხედვით კორელაციას ოდენ აფრიკატთა რიგში, ის ასევე აღადგენს ოთხეულზე მეტ სისტემას სისინა და შიშინა აფრიკატთა რიგში და მიიჩნევს, რომ მხოლოდ აბრუპტიულ აფრიკატებს მოეპოვებოდათ ინტენსიური კორელატები (თალიბოვი 1980: 325).

მარტივი სიბილანტების გარდა, ჩვენ ვვარაუდობთ შიშინა სიბილანტთა მეორე რიგის არსებობას კავკასიის ალბანურში, რომელიც შიშინა თანხმოვნების ფარინგალიზებული ვარიანტებისაგან შედგებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში სიბილანტების მეორე რიგს სხვადასხვა კვალიფიკაცია მიეცა. ასე, მაგალითად, ს. მურავიოვი ვარაუდობდა ინტენსიურ შიშინა აფრიკატებისა და სისინა და შიშინა სპირანტების რიგებს. ჰიპოთეტურად ინტენსიურ ანუ გემინირებულ თანხმოვნებად მიიჩნევდნენ მეორე რიგის სიბილანტებს აკ. შანიძე და გ. კლიმოვი. ვ. გუკასიანის აზრით კი, კავკასიის ალბანურისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი სისინა და შიშინა აფრიკატების ოთხეულზე მეტი სისტემა (მჟღერი – ფშვინვიერი – პრერუპტივი – აბრუპტივი), დენტოლალბიალიზებული შიშინა აფრიკატებისა და ინტენსიური (“მაგარი”) სისინა და შიშინა სპირანტების ლოკალური რიგები. ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, კავკასიის ალბანურში უნდა ყოფილიყო პოსტალვეოლარული შიშინა თანხმოვნების რიგი (მკვლევრებმა არ შემოგვთავაზეს ამ რიგის ზუსტი დახასიათება; საფიქრებელია, რომ იგულისხმება ველარიზებული შიშინა თანხმოვნების წყება) და პალატალიზებული სისინა სიბილანტების (და

დენტალური თანხმონების) რიგი. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ დასახელებული მკვლევარი ვერდნობოდა რა უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემას, მის საფუძველზე კავკასიის ალბანური ენისათვის ვარაუდობდა ინტენსიური ან ველარიზებული შიშინა თანხმონების არსებობას.

თავის მხრივ, უდიური ენის შიშინა სიბილანტების სისტემა, ჩვენი აზრით, დაზუსტებას საჭიროებს: ხუთი ინტენსიური შიშინა თანხმონი (ჟჷ, შჷ, ჯჷ, ჩჷ, ჭჷ) პირველად გვხვდება ვლ. ფანჩვიძისა და ევგ. ჯეირანიშვილის ნაშრომებში უდიურის შესახებ. ვ. გუკასიანი ნიჯის დიალექტში მათ რიგს უმატებს სისინა წჷ-ს. ინტენსიურ შიშინა სიბილანტებს (ჟჷ, შჷ, ჯჷ, ჩჷ, ჭჷ) გამოყოფს უდიურ მასალაში ა. ჰარისი. ვ. შულცესა და ზოგიერთი სხვა მკვლევრის აზრით კი, უდიურს მოეპოვება არა ინტენსიური, არამედ ველარიზებული შიშინა თანხმონები.

საყურადღებოდ მიგვაჩნია ს. კოძასოვის მოსაზრება: მკვლევარი ველარიზაციას, რომელიც შიშინა თანხმონებს განსხვავებულ ტემბრს ანიჭებს, ფარინგალიზაციის თანამდევ პროცესად მიიჩნევს (კიბრიკი, კოძასოვი 1990: 347). ჩვენი აზრით, სწორედ შიშინათა ფარინგალიზაციის პროცესმა (რომელიც იწვევს შიშინა თანხმონების ველარიზაციას¹) შეიყვანა შეცდომაში ის მკვლევრები, ვინც უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემისათვის ინტენსიურ ან ველარიზებულ თანხმონებს ვარაუდობს.

უდიური ენისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში ნავარაუდევ ინტენსიური ან ველარიზებული შიშინა თანხმონებისა და ფარინგალიზაციის შორის უშუალო კავშირი არსებობს: იშვიათი გამონაკლისის გარდა, მკვლევრები ინტენსიურ თანხმონებს ვარაუდობენ ფარინგალიზებულ სიტყვებში. თვით ველარიზებული და, მით უფრო, ინტენსიური (“გემინირებული”, “მაგარი”) ფონემების გამოყოფა უდიურში, ჩვენი აზრით, არ არის მართებული (ამის შესახებ ვრცლად იხ. ლოლუა 2011: 109-114).

ამრიგად, უდიური ენის ფონოლოგიური სისტემის საფუძველზე ვვარაუდობთ, რომ სიბილანტების მეორე რიგი კავკასიის ალბანურში ფარინგალიზებულთა რიგს წარმოადგენდა და არა ინტენსიურთა ან ველარიზებულთა რიგს.

სიბილანტთა ვრცელი მიმოხილვის შემდეგ განვიხილოთ დანარჩენი კონსონანტების საკითხი:

კავკასიის ალბანურს ხშულ-მსკდომთა სამეულბერივი სისტემა ახასიათებს. ამათგან, ლაბიალური, დენტალური და უკანაენისმიერთა რიგის ყველა ხშულ-მსკდომი დადგენილია, ესენია: №2 ხ (ბ), №51 ყ (ფ), №40 ზ (პ); №4 ვ (დ), №9 ვ (თ), №45 ჯ (ტ); №3 ც (გ), №52 ქ (ქ), №21 ჯ (კ). ასევე დადგენილია ფარინგალიზებული რიგის აბრუპტივი – №30 ჯ (ყ). გასარკვევი რჩება ამავე რიგის ფშვინვიერი ბგერის (ჟ) საკითხი. ეს ბგერა დადასტურებულია ლეზგიური ქვეჯგუფის, დადესტნური ჯგუფისა და იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის ყველა ენაში. აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია, რომ ის კავკასიის ალბანურში არ ყოფილიყო. ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, ამ ბგერის აღმნიშვნელი პალიმფსესტში უნდა იყოს ა ნიშანი (№24 ა “ჰად”); ამის გარდა, როგორც მკვლევრები

¹ ფარინგალურთა წარმოთქმისას ენა უკან გადაიწვეს, რაც იწვევს ენის წვერისა და შუა ნაწილის დაწვეას.

მიიჩნევენ, ის **ხ** ბგერასაც გადმოსცემდა (გიპერტი, შულცე, ალექსიძე, მაე 2008: II-11).

ჩვენი ვარაუდით, **ჩ** ნიშანი შეიძლება იყოს **ჩ** ასო-ბგერის (**ხ**) გრაფიკული ვარიანტი. ამის გარდა, საეჭვოა, რომ ამ ასო-ბგერის ერთ-ერთი ფონემური ღირებულება **ჭ** ბგერა იყო. შესაძლოა, კავკასიის ალბანურში მოხდა **ჭ**-სა და ნაწილობრივ **ყ**-ს სპირანტიზაცია (მაგ., **ხო-ხო-ჩა-ჩ ხო-ხო-ეს** “შენება”, შდრ. უდ. ბიყ-ეს “id”). აღსანიშნავია, რომ ეს ასო-ნიშანი უდიურში, **ჭ**-ს გარდა, შეიძლება **ხ** და **ღ** კორესპონდენციებითაც იყოს წარმოდგენილი; მაგალითად, აღდგომის აღმნიშვნელი სიტყვა კავკასიის ალბანურში **ჯ-ღ-ყნეჯი/ჯ-ღ-ყნეჯი ა(ხ)წიბა[ღ]/ა(ხ)სიბა[ღ]**, შდრ. უდ. **ახწი-მა/ახსიბაღ < ქართ. აღდგებაღ; ხჯ-ღ-ხო-ჩ-ყ ბა(ხ)ესუნ** “პოვნა”, შდრ. უდ. **ბაღ-აესუნ** “id”... ამის მიუხედავად, არ გამოვრიცხავთ, რომ ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მოსაზრება დადასტურდეს.

სპირანტები კავკასიის ალბანურში წყვილფულებრივ სისტემას ქქმნიან. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანის ფონემური ღირებულება უეჭველად დადგენილია: №44 **ჩ** (გ), №37 **ჯ** (ფ); №6 **ა** (ზ), №43 **ბ** (ს); №8 **ბ** (ჟ), №33 **ა** (შ); №12 **ა** (ჟ'), №46 **ა** (შ'); №17 **ა** (ბ), №41 **ა** (ღ). ლარინგალური რიგი ნაკლებია, ანუ ოდენ ერთი წევრითაა წარმოდგენილი: №23 **ა** (ჰ).

სონორებიდან მოგვეპოვება: №29 **ა** (მ); №31 **ა** (ნ); №15 **ა** (ლ); №42 **ა** (რ); №50 **ა** (ჟ).

გასარკვევი რჩება ორი ასო-ბგერის საკითხი, ესენია №18 **ა** და №22 **ა**. ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, აქ უნდა გვექონდეს პალატალიზებული სონორები **წ** და **ღ**. მკვლევრების თვალსაზრისს ამ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ ვარაუდად მივიჩნევთ.

ამრიგად, კავკასიის ალბანური ენის კონსონანტური სისტემა ასეთი სახით წარმოგვიდგება:

	ხშული			აფრიკატი				სპირანტი		სონორი	
	მჟღერი	ფშინიერი	აბრუპტივი	მჟღერი	ფშინიერი	აბრუპტივი		მჟღერი	ყრუ	მარტივი	პალატალიზებული
						მარტივი	ინტენს.				
ლაბიალური	ბ	ფ	პ					პ	ფ	მ	
დენტალური	ღ	თ	ტ							ნ	წ
წინააღკვეთარული				ძ	ც	წ	წ'	ხ	ს	ლ	ლ'
აღკვეთარული				ჯ	ჩ	ჭ	ჭ'	შ	შ	რ	
ფარინგალიზებული*				ჯ'	ჩ'	ჭ'		შ'	შ'		
შუაენისმიერი										ღ	
უკანაენისმიერი	გ	ქ	კ					ღ	ხ		
ფარინგალური		*კ	ყ								
ლარინგალური									ჰ		

შენიშვნა: ფარინგალიზებულთა რიგს პირობითად გამოვყოფთ.

3. ფარინგალიზაციის აღნიშვნის გრაფიკული წესი

ფარინგალიზებულ ხმოვანთა არსებობა კავკასიის ალბანურში ჯერ კიდევ აკ. შანიძემ ივარაუდა. ეს მოსაზრება გაიზიარეს გ. კლიმოვმა და ს. მურავიოვმა. ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით კი, ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში სპეციფიკური ფარინგალური თანხმონით არის გამოწვეული, ხოლო ანბანში გადმოიცემა ს ასო-ნიშნით.

ჩვენი აზრით, ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში სამგვარადაა გადმოცემული: ფარინგალიზებულ ო' და უ' ხმოვნებს უ (ო') და უ- (უ') „მარტივი“ ასო-ნიშნები აღნიშნავს,¹ შდრ.:

კავკ. ალბანური	უდიური
აა-აჟ (თ ^რ ნ ^რ ან) „ლელვის ხე“	თონ ^რ ან „id“
ა-ა (ტ ^რ) „მხარე“	ტოდ ^რ „id“
აა-ა (უ ^რ გ ^რ) „ექვსი“	უგ ^რ „id“
ა-ა-ა (ვუ ^რ დ ^რ) „შვიდი“	ვუდ ^რ „id“
ა-ა-ა (მუ ^რ დ ^რ) „რვა“	მუდ ^რ „id“
აა-ა (ყ ^რ უ) „შიში“	ყ ^რ ი (ვართ.)//გ ^რ გ (ნიჯ.) „id“
ა-ა-ა-ა (პ ^რ მუნ < *პ ^რ ლ-ომ-უნ < *პ ^რ ლ-ომ-უნ) ² „ისევ“, „სხვა“	

ა, ი და ე ბგერების ფარინგალიზებული ვარიანტები გრაფიკათა კომპლექსებითაა გადმოცემული: აჟ (ა'), ა- (ე'), აყ (ი'); მაგ.:

კავკ. ალბანური	უდიური
ა-აჟ (ვან) „თქვენ“	ვან ^რ „id“
ა-აჟ-აჟ (კა ^რ ვან) „უდაბნო“	ყ ^რ ავან „მინდორი“
ა-ა-ა (ბე ^რ დ ^რ) „მზე“	ბედ ^რ „id“
ა-ა-ა (ბე ^რ ტი) „თქვენი“	ე ^რ ტი „id“
ა-ა-ა-ა (ი ^რ მუნ) „ურები“	ი ^რ მუნ „id“

გრაფიკული კომბინაციები სუ (რ^რო') და სუ- (რ^რუ') არ გვხვდება.

საფიქრებელია, რომ კავკასიის ალბანური ანბანის შემქმნელმა ან შემქმნელებმა ფარინგალიზაცია ერთ შემთხვევაში ხმოვნის თვისებად მიიჩნიეს, ხოლო მეორე შემთხვევაში – თანხმონისა. კავკასიის ალბანურში, როგორც აღინიშნა, მოგვეპოვება ფარინგალიზებულ შიშინა სიბილანტთა რიგი; შიშინათა ფარინგალიზებული ვარიანტები შემდეგი ასო-ნიშნებითაა გადმოცემული: ა (ჟ'), ა (შ'), ა (ჯ'), ა (ჩ'), ა (ჭ'):

¹ გამომდინარე იქიდან, რომ არაფარინგალიზებული ო ბგერაც დიგრაფითაა გადმოცემული (ო-რ), უ- ნიშანიც შეგვიძლია მარტივ გრაფიკულ სიმბოლოდ მივიჩნიოთ.

² შდრ. ააჟ (პა') „ორი“ (უდ. პა' „id“).

კავკ. ალბანური	უდიური
ᲁᲗ (ჟ'ე) „ქვა“	ჟ'ე „id“
ᲐᲗᲗᲗ (ოშ'ალ) „დედამიწის ზედაპირი“	ოჩ'ალ „id“
ᲑᲐᲗᲗᲐᲗᲗ (ჯ'უმუხ) „წისკვილი“	ჟ'ომოხ „id“
ᲒᲗ (ჩ'ა) „სახე“	ჩ'ო „id“
ᲓᲗᲗ (კაჭ'ი) „ბრმა“	კაჭ'ი „id“
ᲔᲗ (ბაჭ'ი) „ასი“	ბაჩ'ი „id“

ამრიგად, კავკასიის ალბანურში ფარინგალიზაციის აღნიშვნისათვის გამოყენებულია შემდეგი ასო-ნიშნები:

ხმოვნები	ს Თ Თ'	სᲗ Თ'	სყ Თ'	ს Თ Თ'	ს- Თ'
თანხმოვნები	ჩ Თ	ჯ Თ'	ხ *ჯ'	ყ Თ'	ლ Თ'

ჩვენი აზრით, უდიურის მსგავსად კავკასიის ალბანურშიც ფარინგალიზაცია პროსოდის თვისებას წარმოადგენს, რის შესახებაც მეტყველებს ფარინგალიზებულ და არაფარინგალიზებულ გრაფიკულ ვარიანტთა მონაცვლეობა აფიქსებში (მრავლობითის, ნათესაობითის, პერფექტისა თუ სხვა მაწარმოებლებში).¹ ეს ზუსტად ის ერთეულებია, რომლებიც მორფოლოგიურად დაკავშირებულია ფუძესთან და საფიქრებელია, რომ ფარინგალიზაციას ამ ელემენტებში განსაზღვრავს სხვა ერთეული (ფუძე).

* * *

ამრიგად, უეჭველად დადგენილია კავკასიის ალბანური ანბანის 35 გრაფემის ფონემური ღირებულება, ესენია: №1 Თ (ა); №2 Ბ (ბ); №3 Თ (გ); №4 Თ (დ); №5 Თ (ე); №6 Თ (ზ); №7 Თ (ეე); №8 Თ (ჟ); №9 Თ (თ); №11 Თ (ო); №13 Თ (ი); №14 Თ ('); №15 Თ (ლ); №17 Თ (ბ); №21 Თ (კ); №23 Თ (ჰ); №27 Თ (ჭ); №29 Თ (მ); №30 Თ (ყ); №31 Თ (ნ); №33 Თ (შ); №35 Თ (ო); №37 Თ (ჰ); №39 Თ (ჩ); №40 Თ (ჰ); №41 Თ (დ); №42 Თ (რ); №43 Თ (ს); №44 Თ (ვ); №45 Თ (ტ); №47 Თ (ო'); №49 Თ (ც); №50 Თ (ტ); №51 Თ (ფ); №52 Თ (ქ).

ამ ჩამონათვალს უნდა დაემატოთ ფარინგალიზებულ შიშინათა რიგი, რომელიც, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, პოსტალვეოლარულ (ველარიზებულ) რიგს წარმოადგენდა (გიპერტი, შულცე, ალექსიძე, მაე 2008: II-17): №10 Თ (ჭ'); №12 Თ (ჟ'); №20 Თ (ჯ'); №26 Თ (ჩ'); №46 Თ (შ').

დამაჯერებელია, რომ №18 Თ ჯ ბგერას აღნიშნავდა, ხოლო №38 Თ – მ-ს.

¹ მაგ., ᲐᲗᲗ (უხ)/ᲑᲗᲗ (უ'ნ) მრავლობითის მაწარმოებლებია, ᲐᲗᲗ (უნ)/ᲑᲗᲗ (უ'ნ) – ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტები და სხვა.

უეჭველია, რომ №19 ჯ და №48 უ ნიშნები წ ბგერას გადმოსცემდა, თუმცა დასაზუსტებელია მათი ფონემური ღირებულება. ჩვენი აზრით, ჯ წ ბგერაა, ხოლო უ – წ.

უ ბგერა და მისი ფარინგალიზებული ვარიანტი (უ') დიგრამებით გადმოიცემოდა: **ო-ი** (№35+№50); **უ-ი** (№47+№50).

კავკასიის ალბანური ანბანის ზოგიერთი ასო-ბგერა პოლიფუნქციურობით გამოირჩეოდა:

№7 **ლ**, როგორც აღინიშნა, ედ დიფთონგს გადმოსცემდა; ამასთან ერთად, ეს ნიშანი ბერძნულიდან ან ბერძნულის მეშვეობით ნასესხებ სიტყვებში **ი** ნიშანს შეესატყვისებოდა და, ამ შემთხვევაში, მისი ფონემური ღირებულება ე ბგერით განისაზღვრებოდა.

№14 **ს** ფარინგალიზაციის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა ('). ეს ნიშანი ა, ე და ი ხმოვნებთან (იშვიათად – ო და უ-სთანაც) ჰქმნიდა გრაფიკულ კომბინაციებს და მას, ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, დამოუკიდებელი ფონემის სტატუსი არ მოეპოვებოდა, თუმცა ინტერვოკალურ პოზიციაში ეს ნიშანი შ (ან შ') ბგერას აღნიშნავდა.

ასევე, შესაძლებელია, რომ №24 **ი** ნიშანსაც ჰქონდა ორგვარი ფუნქცია: **ხ** და **ჯ** ბგერების გადმოცემა.

კავკასიის ალბანური ტექსტობრივი მასალის ამოკითხვის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, უეჭველია, რომ მატენადარანის ხელნაწერში მოცემულ ასო-ბგერათა ფონემური ღირებულება უნდა დაზუსტდეს თხუთმეტ შემთხვევაში (სომხური გრაფიკის შესაძლებლობათა გათვალისწინებით): №2 **ნ** (ო > ბ); №3 **ც** (ზ > გ); №4 **ყ** (გ > დ); №5 **ქ** (ფ > ე); №7 **ლ** (ე > ზ); №18 **ბ** (დ > ჯ); №19 **ჯ** (წ > წა (ბ)); №20 **ხ** (ზ > ჯ' (დ)); №35 **ო** (უ > ო); №37 **ლ** (ხ > ჭ (ჟ)); №41 **ა** (ფ > ლ (ს)); №42 **ა** (კ > რ); №46 **ა** (ს > შ' (ჯ)); №47 **უ** (ი > ო' (ნ)); №50 **ი** (დ > ჯ). სავარაუდოდ, კიდევ სამ შემთხვევაში ფონემური ღირებულება უნდა დაზუსტდეს: №16 **ა** (ი > ა' (ს)); №24 **ი** (ჰ > ჯ (ს)); №36 **ა** (ტ > ჭ (ა)).

დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს და ამ ეტაპზე დადგენილად ვერ ჩაითვლება ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ შემოთავაზებული შემდეგი ასო-ნიშნების ფონემური კვალიფიკაცია: №16 **ა**, №22 **ი**, №24 **ი** (ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიხედვით ა, ა', ა'' ბგერებია). ამის გარდა, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ ნავარაუდები ფონემური ღირებულებებიდან ვერ გავიზიარებთ შემდეგ მნიშვნელობებს: **ა** (ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით – ჭ; ჩვენი აზრით კი – ჭ'); **ა'** (ი. გიპერტი, ვ. შულცე – ჭ; ჩვენი აზრით – ჭ); **ა''** (ი. გიპერტი, ვ. შულცე – ა'; ჩვენი აზრით – ა'); **ა'''** (ი. გიპერტი, ვ. შულცე – ა'; ჩვენი აზრით – ა'); **ა''''** (ი. გიპერტი, ვ. შულცე – ა'; ჩვენი აზრით – ა');¹ **ა'''''** (ი. გიპერტი, ვ. შულცე – ა'; ჩვენი აზრით –

¹ ჩვენ არ ვიზიარებთ ამ გრაფემის ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ შემოთავაზებულ გრაფიკულ იდენტიფიკაციას როგორც კავკასიის ალბანური ანბანის №25 ასო-ბგერისა. ჩვენი აზრით, **ა** ნიშანი უნდა იყოს გაიგივებული მატენადარანის ნუსხის №47 ნიშანთან.

ჩ); **z** (ი. გიპერტი, ვ. შულცე – ტ; ჩვენი აზრით – ჭ); **z** (ი. გიპერტი, ვ. შულცე – შ; ჩვენი აზრით – შ); **sh** (ი. გიპერტი, ვ. შულცე – ტ; ჩვენი აზრით – უ); **sh** (ი. გიპერტი, ვ. შულცე – წ; ჩვენი აზრით – წ). ასევე ვერ გავიზიარებთ ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მოსაზრებას **u** გრაფემის შესახებ; პატივცემული მკვლევრების აზრით, ეს გრაფემა სპეციფიკურ ფარინგალურ თანხმოვანს აღნიშნავდა, ხოლო, ჩვენი აზრით, ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში არ წარმოადგენდა სეგმენტურ თვისებას და, ამდენად, **u** ნიშანს არ მოეპოვებოდა დამოუკიდებელი ფონემის სტატუსი და ის ოდენ ფარინგალიზაციაზე მიგვითითებდა. ამას გარდა, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, **u** ნიშანი ო ხმოვნის აღსანიშნავად (ძორითადი ფონემური ღირებულების (ეფ) გარდა) უნდა გამოიყენებოდეს, რასაც ვერ გავიზიარებთ.

ამ ეტაპზე ხერხდება პალიმფსესტის 48 გრაფემის იდენტიფიკაცია მატენადარანის ხელნაწერის ნიშნებთან. №7117 ხელნაწერის ოთხი გრაფემა არ არის დადასტურებული პალიმფსესტში, ესენია: №25, №28, №32 და №34. აქედან ერთი ნიშანი (№32), სავარაუდოდ, დასტურდება კავკასიის ალბანურ ეპიგრაფიკაში.

ვერ გავიზიარებთ ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ გაკეთებულ **u** ნიშნის იდენტიფიკაციას (ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, მატენადარანის ნუსხის №25; ჩვენი აზრით კი – №47); ეჭვს აღძრავს №24 **u** გრაფემის იდენტიფიკაცია (შესაძლოა იყოს №17 **u**-ს გრაფიკული ვარიანტი) და, ნაწილობრივ – №38 **u** გრაფემის იდენტიფიკაცია (შესაძლოა იყოს №12 **u**-ს გრაფიკული ვარიანტი).

კავკასიის ალბანური ენისათვის შემდეგ ფონოლოგიურ სისტემას ვვარაუდობთ:

ვოკალიზმი. ხმოვანთა სისტემა მწყობრი სახით წარმოგვიდგება: 5 “მარტივი” ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ)/5 ფარინგალიზებული ვარიანტი (ა', ე', ი', ო', უ').

ვოკალიზმის სისტემა უდიურში, კავკასიის ალბანურთან შედარებით, გართულდა (წარმოიქმნა პალატალიზებული ხმოვნები, ნიჯურ კილოში ე.წ. ირაციონალურმა შეიძინა დისტინქციური ფუნქცია).

კონსონანტიზმი. კავკასიის ალბანური ენისათვის დამახასიათებელი იყო ხშულ-მსკდომთა სამეულეობრივი სისტემა, აფრიკატთა ოთხეულეობრივი სისტემა (მჟღერი, ფშვინვიერი, აბრუპტივი, ინტენსიური აბრუპტივი) და სპირანტთა წყვილეულეობრივი სისტემა. უკანაენისმიერთა და ფარინგალურ თანხმოვანთა სისტემა ღარიბი იყო სხვა ლეზგიურ და დაღესტნურ ენებთან შედარებით, რაც აახლოვებს კავკასიის ალბანურის ფონოლოგიურ სისტემას უდიურთან.

კონსონანტიზმის სისტემა უდიურში გამარტივდა (დაიკარგა ინტენსიური აბრუპტიული აფრიკატები (წ, ჭ), პალატალიზებული სონორები (წ, ლ), ბილაბიალური უ). ფარინგალიზაცია როგორც კავკასიის ალბანურში, ისე უდიურში პროსოდის თვისებაა.

მიუხედავად მცირე განსხვავებისა, არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი უდიურისა და კავკასიის ალბანურის საერთო წარმომავლობის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ 15 საუკუნოვან შუალედს უდიურსა და კავკასიის

ალბანურ წერილობით ძეგლებს შორის, დამწერლობის ტრადიციის და-კარგვასა და უდიეების ძლიერი ასიმილაციის პროცესს, შეიძლება დავას-კნათ, რომ ზემოჩამოთვლილი ფონეტიკური ცვლილებები უმნიშვნელოა.

კავკასიის ალბანური ანბანის ფონემურ ღირებულებათა სისტემა

№7117 სელნაწერი	სახელწოდება	პალიმფსესტი	ფონემური მნიშვნელობა	ა. აბრამიანი	ბ. კლიმივი	ს. მურავიოვი	მ. გუკასიანი	ზ. ალექსიძე	ი. გიპერტი, მ. შუღღაძე
დ	აღთ	ა	ა	ა	ა	ა	ა'	ა	ა
ნ	ოდეთ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ
რ	ხიმ	გ	გ	გ	გ	გ	გ	გ	გ
დ	გატ	დ	დ	დ	დ	დ	დ	?	დ
ქ	შბ	ე	ე	ე	ე	ე/ე'	ე	ე	ე
შ	ზარღ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ
წ	ენ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ/ჟ'	ჟ	ჟ	ჟ
ჩ	ჟილ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ
ყ	თას	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ
ს	ჭა	ც	ც	ც	ც	ც	ც	?	ც
ვ	ფედ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ/ფ'	ფ	ფ	ფ
ტ	ჟა	ძ	ძ	?	?	ძ	ძ	ძ?	ძ
ყ	ირბ	ჩ	ი	ი	ი	ი	ი	ი	ი
ხ	შა	ს	[']	ს	?	ს	ს	ს	ს
ყ	ლან	ლ	ლ	ლ	ლ	ლ	ლ	ლ	ლ
ქ	ინა	ქ	*წ	ხ	?	ი'/ღ	ი'	?	წ
ძ	ხენ	ჩ	ხ	ხ	ხ	ხ	ხ	ჟ/ხ'	ხ
ჩ	დან	ხ	*წ	ხ	?	ღ	ღ	ღ	ღ
წ	ჭარ	წ	წ	წ	წ	წ	წ	წ?	წ
ღ	ზოს	ღ	წ	წ	?	ზ	ზ	ზ?	წ
წ	კარ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
ჩ	ლიტ	ჩ	*წ	კ	?	ჩ	ჩ	?	წ
ქ	ჰმტ	ქ	კ	კ	კ	კ	კ	კ	კ
ჩ	ჰად	ჩ	*გ	ძ	?	ჩ	ჩ	?	ს/გ
წ	არ		?	წ	ძ	ა'	ა	წ	ა
ს	ცოდ	ს	ჩ	რ	?	ფ/ფ'	ც	ც?	ჩ
მ	ჭი	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
წ	ჩად		?	ღ	?	ჩ	ჩ	?	*წ
ქ	მაკ	ქ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
ღ	კარ	ღ	მ	ფ	?	ფ/ფ'	მ	მ	მ

№7117 ხელნაწერი	სახელწოდება	პალიფესტი	ფონემური მნიშვნელობა	ა. აბრამიანი	ბ. კლიძიანი	ს. მურავიოვი	მ. მუკახიანი	ზ. ალექსიძე	ი. ტიკეტი, მ. შულცე
4	ნუც	ⵎ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ
5	ჯად		?	შ	?	ჯ//ჯა	ჯ	ჩ//ჯ	*ძ
7	შაქ	ⵛ	შ	შ	შ	შ	შ	შ	შ
9	ჯადნ		?	შ	?	ჯა//ჯ	ჯ ^o	?	*ჯ
11	უნ	ⵎ	ო	ო	ო	ო	ო	ო	ო
13	ტად	ⵏ	*ტა	ჩ	?	ტა	ტ ^o	?	ტ
15	ხამ	ⵏ	ფ	ჩ	ჩ	ხა//ღ	ჭ	ღ	ფ
18	დად	ⵏ	*ძ	ჩ	?	ძ	ძ	ძ?	ძ
23	ჩატ	ⵏ	ჩ	ჩ	?	ჩ	ჩ ^o	ჩ	ჩ
28	პენ	ⵏ	პ	პ	პ	პ	ფ ^o	პ	პ
30	ფეს	ⵏ	ღ	ჯ	ჯ	პ	პ	ფ?	ღ
36	კატ	ⵏ	რ	რ	რ	ყა//კ ^o	კ	რ	რ
45	სვკ	ⵏ	ს	ს	ს	ს	სა	ს	ს
49	გვზ	ⵏ	ვ	შ	შ	ვ	ვ	ვ	ვ
56	ტიურ	ⵏ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ
68	სოდ	ⵏ	შ ^o	ტ	?	სა	ს	ს?	შ
72	იონ	ⵏ	ო ^o	რ	ო ^o	ი ^o //ღ	რ	?	ტ
77	წავ	ⵏ	*წა	ც	?	რ	წ	?	წ
77	ცადნ	ⵏ	ც	ც	ც	ც	ც ^o	ც	ც
77	დად	ⵏ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	(ტ)
85	ფიურ	ⵏ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
85	ქივ	ⵏ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ

ტაბულის კომენტარი

შენიშვნა: ვარსკვლავით (*) ფონემურ მნიშვნელობათა გრაფაში გრაფემის დაუდგენელ, სავარაუდო ფონემურ ღირებულებას აღვნიშნავთ.
 ო დიაკრიტიკულ ნიშანს ფარინგალიზებული ვარიანტების აღმნიშვნელი გრაფემებისათვის ვიყენებთ.

ლიტერატურა:

- აბრამიანი 1964** – Абрамян А. Г., Дешифровка надписей кавказских агван, Ереван.
- ალექსიძე 2003** – ზ. ალექსიძე, კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა, თბილისი.
- გიგინეიშვილი 1977** – Гигинейшвили Б. К., Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси.
- გიპერტი, შულცე, ალექსიძე, მაე 2008** – J. Gippert, W. Schulze, Z. Aleksidze, J.-P. Mahé, The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai, 2 vols., Vrepols.
- თალიბოვი 1980** – Талибов Б. Б., Сравнительная фонетика лезгинских языков, Москва.
- კიბრიკი, კობასოვი 1990** – Кибрик А. Е., Кодзасов С. В., Сопоставительное изучение дагестанских языков. Имя. Фонетика, Москва.
- კლიმოვი 1984** – Климов Г. А., Агванское письмо, попытка его дешифровки. – Энциклопедический словарь юного филолога, Москва.
- კლიმოვი 1990** – Климов Г. А., О составе агванского (кавказско-албанского) алфавита. – Известия Академии наук СССР, серия литературы, языка и искусства, т. 49, №6, Москва.
- ლოლუა 2010** – რ. ლოლუა, კავკასიის ალბანური ენის სტრუქტურის საკითხები (ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი.
- ლოლუა 2011** – რ. ლოლუა, ფარინგალიზაციის საკითხისათვის უდიურ ენაში. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXXIX, თბილისი.
- მურავიოვი 1981** – Муравьев С. Н., Три этюда по кавказско-албанской (алуанской) письменности. – Ежегодник иберийско-кавказского языкознания, т. VIII, Тбилиси.
- შანიძე 1938** – Шанидзе А. Г., Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки. – Известия института языка, истории и материальной культуры им. Акад. Н. Я. Марра, №4, т. 1, Тбилиси.
- შიფნერი 1863** – A. Schiefner, Versuch über die Sprache der Uden, St. Petersburg.
- ცერცვაძე 1964** – ილ. ცერცვაძე, მეხუთე ლატერალური თანხმოვნის შესატყვისობისათვის უდიურ ენაში. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIV თბილისი.

ROMAN LOLUA

Towards the Phonological System
of Caucasian Albanian

S u m m a r y

Phonemic meaning of 39 graphemes and two digraphs of the Albanian alphabet could be considered to be established: №1 **ა** (a); №2 **ბ** (b); №3 **გ** (g); №4 **დ** (d); №5 **ე** (e); №6 **ზ** (z); №7 **ც** (ej); №8 **ჟ** (ž); №9 **თ** (t); №11 **ი** (i); №13 **ყ** (q); №14 **ქ** (k); №15 **ლ** (l); №17 **ჩ** (x); №18 **ც** (□); №19 **ც** (č); №21 **ც** (□); №23 **ა** (h); №27 **ც** (č); №29 **მ** (m); №30 **კ** (q); №31 **ყ** (n); №33 **შ** (š); №35 **ო** (o); №37 **რ** (f); №38 **□** (□); №39 **ც** (č); №40 **რ** (p); №41 **ს** (γ); №42 **ა** (r); №43 **ს** (s); №44 **ვ** (v); №45 **□** (□); №47 **უ** (o'); №48 **ყ** (č); №49 **ტ** (c); №50 **რ** (w); №51 **ყ** (p); №52 **ქ** (k); **ო-რ** (№35+№50) **u**; **ურ** (№47+№50) **u'**.

Pharyngealized hushing should be added to this number which according to I. Gippert and V. Schulze were of post-alveolar (velarized) (Gippert, Schulze, Aleksidze, Mae 2008: 11-17): №10 **ლ** (č'); №12 **ლ** (ž'); №20 **ც** (□'); №26 **ა** (č'); №46 **ზ** (š').

Some letters of the Caucasian Albanian are distinguished by polyfunctionality: №7 **ც** (ej + e); №14 **ქ** (k + š/š').

Based on present situation of reading of the Caucasian Albanian text material there is no doubt that phonemic value of letters given in the Matenadaran manuscript should be defined in 15 cases (in view of possibilities of the Armenian graphics): №2 **ბ** (o > b); №3 **გ** (z > g); №4 **დ** (g > d); №5 **ე** (ej > e); №7 **ც** (e > ej); №18 **ბ** (d > □); №19 **ც** (č > č (δ)); №20 **ც** (z > □' (q)); №35 **ო** (u > o); №37 **ც** (x > f (ψ)); №41 **ს** (p > γ (u)); №42 **ა** (k > r); №46 **ზ** (s > š' (q)); №47 **უ** (i > o' (n)); №50 **რ** (j > w).

Phonemic qualification of the letters offered by I. Gippert and V. Schulze needs to be argued and still it can not be considered to be established on the present stage: №10 **ლ** (č > č'); №12 **ლ** (ž > ž'); №16 **ა** (n' > ?); №18 **ბ** (d' > □); №19 **ც** (č > č); №20 **ბ** (□ > □'); №22 **ტ** (l' > ?); №24 **ჩ** (q/x > ?); №25 (> №47) **უ** (a' > o'); №26 **ა** (č > č'); №36 **კ** (t' > č); №46 **ზ** (š > š'); №48 **ყ** (č' > č); **ურ** (ü > u').

At the present stage it is possible to identify 48 graphemes of palimpsest with alphabet signs of the Matenadaran's manuscript. Four graphemes (№25, №28, №32, №34) of the manuscript №7117 are not attested in the palimpsest. But supposedly one sign (№32) of them is attested in the Caucasian Albanian epicraphic.

I consider the following phonological system for the Caucasian Albanian language:

Vocalism. A vowel system is represented as thus: 5 "simple" vowels (a, e, i, o, u)/5 pharyngealized variants (a', e', i', o', u').

In Udi a vocalism system differently from Caucasian Albanian was complicated (palatalized vowels occurred, in the Nij sub-dialect so called irrational gained a distinctive function).

Consonantism. The Caucasian Albanian language was characterized by: trio-system of stop plosives, four-system of affricates (voiced, aspirated, glotto-occlusives,

intensive glotto-occlusives) and a pair-system of spirants. A system of back velar and pharyngeal consonants was poor in comparison with other Lezgian and Dagestanian languages, that makes close a Caucasian Albanian phonological system with Udi.

Consonantism system in Udi was simplified (intensive abbruptive affricates (čʰ, čʰ), palatalized sonors (ṇ, ḷ), bilabial w were lost). Pharyngealization is a feature of prosody in Caucasian Albanian as well as Udi.

Although a small difference, there is no doubt on common origin of Udi and Caucasian Albanian. If we take into account 15-century's period between the Udi and Caucasian Albanian written sources, lossing of writing tradition and a strong assimilation process of the Udis, it could be made a conclusion that phonetic processes are unimportant.

ქეთევან მარგიანი-სუბარი

ევიდენციალობის მოდალური ლექსემები

სვანურ ენაში ევიდენციალობა გრამატიკული კატეგორიაა; იგი გადმოიცემა სპეციალური საშუალებებით: 1) გრამატიკულად — ე. წ. „უნახაობის“ მწკრივები, საკუთრივ ევიდენციალური (ვერბალური და ინფერენციული) ზმნური ფორმები, პერფექტული დროები, მორფემები, დამხმარე მეტყველების ნაწილები... და 2) ლექსიკო-სინტაქსურად:

ა) რთული ქვეწყობილი წინადადება ამხსნელ-დამაზუსტებელი დამოკიდებული წინადადებით;

ბ) მოდალური ლექსემები;

გ) ისეთი ჩართული ფრაზები და წინადადებები, რომლებიც შეიცავენ მთავარ სიტყვას, სემანტიკურად დაკავშირებულს ნათქვამთან (მეტყველებასთან), აზროვნებასთან, აღქმასთან (ბზ.: **გარგლის**, ბქ.: **რაგდის** „ამბობენ“; ბზ.: **მიშგუა ლანდელშუ**, ბქ.: **მიშგუა ლანჭირშუ** „ჩემი ვარაუდით“...);

მიუხედავად სვანური ენაში ევიდენციალობის სრულად ჩამოყალიბებული გრამატიკული საშუალებებისა, კვლევამ აჩვენა, რომ ენას ამ მიმართულებით მოდალური ლექსემებიც ჭარბად მოეპოვება, რაც აღნიშნული კატეგორიის მიმართ ამ ენის განსაკუთრებულ მიდრეკილობას ადასტურებს.

ევიდენციალობის მოდალური ლექსემები, რომლებიც აღნიშნავენ მთქმელის დამოკიდებულებას არაპერცეფციული ინფორმაციის მიმართ, ფუნქციურად ორი ტიპისაა: ერთნი ვერბალობას გამოხატავენ (მიუთითებენ ინფორმაციის გარეშე წყაროზე), მეორენი კი — ინფერენციას და აფიქსირებენ ინფორმაციის სავარაუდობას.

ნაწილაკი, რომელიც ორივე ფუნქციას ითავსებს (სათანადო კონტექსტის გათვალისწინებით ხან ვერბალურ წყაროს გამოხატავს და ხან ინფერენციულს), მხოლოდ ერთია: **ესნარ'ი** „თურმე“: ა) **ესნარ ლადი შუანს შდუე** — „თურმე ღღეს სვანეთში თოვს“ — ინფორმაციის წყარო გარეშეა, ვერბალობაა, თუმცა მთქმელი მას არ აკონკრეტებს — ეს წყარო შეიძლება იყოს იმპერსონალური პირი, ხმები ხალხში, მასმედია... ბ) **ესნარ ალა ქორს ვრი!** — „თურმე ეს სახლშია!“ — მთქმელმა სარკმელში შუქი ან სახლთან მანქანა დაინახა და ფაქტის განზოგადებით ლოგიკურ დასკვნამდე მივიდა — ინფორმაციის წყარო ამ შემთხვევაში ინფერენციაა.

ამ ნაწილაკის საშუალებით მთქმელი ძირითადად გამოხატავს, რომ ინფორმაცია „გარეშე ხელიდან“ აქვს მიღებული და არ გულისხმობს მისი სანდოობის თვალსაზრისით შეფასებას. **ესნარ** ნაწილაკიანი ზმნა კონტექსტისგან დამოუკიდებლად, ცალსახად მხოლოდ მოქმედების პროცესის, მოვლენის **უნახაობას** გახაზავს, ხოლო გადმოცემის პროცესში ინფორმაცია სხვისეულია თუ, მიუხედავად უნახაობისა, მთქმელმა თავად გამოიტანა დასკვნა, ეს სიტუაცია-ზეა დამოკიდებული.

ჩგვრწვდ ესნარ უწნშუმე (სვ. ენ. ქრ. 1978:88,33) „წმინდა გიორგიმ თურმე შეისვენა“;

თხრობისას მთქმელი ხშირად **ესნარ** ნაწილაკიან პირდაპირევირდენციალური ფორმებიდან უეცრად ირბევიდენციალური (უნახაობის) ზმნური ფორმებით თხრობაზე გადადის და ნაწილაკს აღარ ურთავს (ეს ზმნები ხომ თავისთავად სხვისეულ, მთქმელის მიერ უნახავი მოვლენის შესახებ ინფორმაციას გულისხმობენ):

[სორთმანდ] ესნარ ეშდარო მნრე ჩუადვარ, ეჩქანლო ქოხსკინა ქწმთე, მარე ჯან ჩუოთქანჩ ფოყისგა (იქვე) „სორთმანმა თურმე თორმეტი კაცი დაქრა, მერე გამომხტარა გარეთ, მაგრამ თვითონაც დაუჭრიათ ბარძაყში“;

ზმნის არაევიდენციალური ფორმების გამოყენებისას კონტექსტს სწორედ **ესნარ** ნაწილაკი სძენს ევიდენციალურ შინაარსს, ისევე როგორც სალიტერატურო ენაში „თურმე“, რომელსაც „ახალ ქართულში ეკისრება უნახაობის (დაუსწრებლობის) მნიშვნელობა მიანიჭოს მასთან ნახმარი ზმნის სათანადო ნაკვთის ფორმას. ის ამ **გრამატიკული კატეგორიის** (ხაზი ჩვენია. ქ. მ.) უქონლობის საკომპენსაციო საშუალებაა“ (ქავთარაძე 1956:179);

საანალიზო ნაწილაკი, ქართულის მსგავსად, „თურმეს“ გაგების ორგანულ ზმნურ ფორმებთანაც იხმარება, თუმცა მისი აუცილებლობა ასეთ კონტექსტებში არ არის:

[ფავოს] ესნარი ლდდარლჟინ ათცხატა ყიას ჩიჭუ ი ჩუ ვეთ ალყიმელი (იქვე: 155,29) „[ფავოს] თურმე ჭამისას გასჩხერია ყელში ძვალი და ლამის დამხრჩვალა“.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ენა ლექსიკურ საშუალებას მაშინ მიმართავს, როცა მორფოლოგიური საშუალება არა აქვს განვითარებული რაიმე სემანტიკის გადმოსაცემად“ და „ენაში უნახაობის გამოხატვის მოთხოვნილებამ, რომელსაც მორფოლოგიური საშუალება არ გააჩნდა, ლექსიკური წარმოშვა. შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ფუნქციის გადმოცემა ფორმებს დაეკისრა; მაგრამ, რამდენადაც ამისთვის განსაკუთრებული ნაკვთი არ შეიქმნა (მორფოლოგიური ნიშანი არ გაჩნდა), ნაწილაკი ენაში დარჩა, როგორც მოქნილი საშუალება უნახაობის გამოხატვისა“ (არაბული 1984:141). ჩვენი აზრით, სვანურში ამ სემანტიკის ძლიერმა მოთხოვნილებამ არამარტო პერფექტული ნაკვთები გამოიყენა ფუნქციურად, არამედ **-ენ-**

აფიქსიც ჩართო I შედეგობითის უპრევერბო ფორმებში, I სერიის თურმეობითებიც შექმნა, სადაც -უნ- (*-VN-) აფიქსი მიგვაჩნია ვეიდენცილობის (უნახაობის, ინფერენციის) ნიშნად, მოეპოვება საკუთრივ ინფერენციული მწკრივებიც (ინფერენციული აწმყო/resp.მყოფადუსრული, პირობითუსრული და სრული, III სერიის პირობით-შედეგობითები...), მაგრამ სპეციალური ნაწილაკ(ებ)ი მაინც შეინარჩუნა. ამდენად, ვთვლით, რომ კატეგორიის მორფოლოგიური წარმოების საშუალება იქნება ენაში თუ არა, ლექსიკური საშუალებები მაინც იმკვიდრებენ ადგილს და ანალოგიის ძალით თვით იმ მწკრივების გვერდითაც კი, რომლებიც უკვე თავისთავად გამოხატავენ იმავე სემანტიკას.

როგორც აღვნიშნეთ, **ესნარ^ი** ნაწილაკით, გარდა ვერბალობისა, სათანადო კონტექსტში შეიძლება ინფერენციულობაც გადმოიცეს: **ესნარ ალა გაკუთილნარს ლემთორინ** (ბზ.) „თურმე ეს გაკვეთილებს სწავლობდა“ — მთქმელი ხედავს მაგიდაზე გადაშლილ წიგნებს და ამ პერცეფციული ფაქტის განზოგადების საფუძველზე მსჯელობს; **ესნარი ალი ლედუს აჯაბ** (ბქ.) „თურმე ეს ხორცს ხარშავს“ — ტექსტის სუბიექტმა შორიდანვე იგრძნო სუნი და ლოგიკურად დაასკვნა. მოცემულ კონტექსტებში ნაწილაკი ინფერენციულობას თითქოს აძლიერებს, ისე კი, სიტუაციის გათვალისწინებით, უმისოდაც აზრი არ იცვლება.

საგულისხმოა, რომ საანალიზო ნაწილაკს ვერ ითავსებენ საკუთრივ ინფერენციული მწკრივები: ინფერენციული აწმყო — **ესნარ იშხბუნიჟ** „თურმე იქნებ კერავდა“, ინფერენციული (ძირითადპრევერბიანი) მყოფადი — **ესნარ ან-შხებნე** „თურმე იქნებ შეკერავს“, პირობითუსრული — **ესნარ ანშხბუნოლ** „თურმე იქნებ კერავდა“, პირობითსრული — **ესნარ ანშხებნა** „თურმე იქნებ შეკერავდა“, პირობით-შედეგობითი I და II — **ესნარ ხეშხბი, ესნარ ხეშხბოლ** „თურმე იქნებ [შე]უკერავს“, „თურმე იქნებ [შე]ეკერა“ — როგორც ქართული განმარტებებიდანაც ჩანს, ინფორმაციულად აბსურდული, სტილურად ატროფიული წინადადებები მივიღეთ. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ **ყველა ზემოთ მოყვანილი ზმნური ფორმა თავისთავად ინფერენციულია** და არა მხოლოდ ფუნქციურად. „თურმე“ კი, მიუხედავად იმისა, ვერბალობას გამოხატავს კონტექსტი თუ ინფერენციას, მაინც პროცესის უნახაობას გულისხმობს, უნახაობა და ვარაუდი (თურმე+იქნებ) კი ერთმანეთს ვერ ითავსებს, ვინაიდან „თურმე“ ძირითადად გარეშე წყაროდან მიღებული ინფორმაციის მარტივ კონსტატაციას გულისხმობს, „იქნებ“ კი — საკუთარ ვარაუდს. საკუთრივ სვანურ, ინფერენციულ ნაკვთებში რომ „იქნებ“ გაგება არ იდოს, სხვადასხვა კონტექსტში **ესნარ** ნაწილაკს ეს ფორმებიც ისევე მოივლებდნენ, როგორც ეს ქართულში ხდება: „თურმე წავიდოდა [ხოლმე]“, „თურმე შეჭამს...“ ყველა დანარჩენ (პირდაპირვეიდენციალურ) მწკრივთან საანალიზო ნაწილაკი ჩვეულებრივ გამოიყენება.

საკუთრივ ინფერენციულობის გამომხატველი დამხმარე ლექსემები (რომლებიც ვერბალობას არასდროს გამოხატავენ) ენაში უფრო მრავლადაა; ზოგ-

ჯერ ერთი და იმავე მნიშვნელობის ნაწილაკი კილოთა მიხედვით სხვადასხვა ფუძით გადმოიცემა, ხშირად ეტიმოლოგია უცნობია, თუმცა ფუნქცია — ცხადი;

ბზ. **მგრეს/ მგრეს/ მგრესგ** („ალბათ“; „ეტყობა“; „მესაძლოა“; „როგორც ჩანს“):

დავლან თხუიმს ესერ უი მგრეს ოხცხა ჯადუისგა (სვ. პრ. ტ. I 1939:427,20) „თხის თავი, როგორც ჩანს, გაზრდილია („თხის თავს მოუმატიან“) მუცელში“;

მულგუჰერი მარე მელდეჰარა მგრეს ღანჰუ (სვ. ენ. ქრ. 1978:152,24) „მეწიქვილე კაცი, როგორც ჩანს, მოდებილო იყო“;

ბალსქვემოურ დიალექტში შესაბამისი ნაწილაკი არის **მაჰუშული/ მაჰუშუდეღი** (ლზმ. **მანჰუდეღი**), რომელშიც **ლი** მეშვევლი ზმნა „არის“ უნდა იყოს, ლექსემის პირველი ნაწილი — **მან** („რა“) კითხვითი ნაცვალსახელის მოქმედებით ბრუნვა: „რაით არის“, რთულ სახეობაში კი **დეღ** უარყოფითი ნაწილაკის ჩართვით მისი მნიშვნელობა და ფუნქცია არ იცვლება: ორივე ვარიანტი სემანტიკურად ზუსტად შეესატყვისება ბზ. **მგრეს**-ს და ქართულ „როგორც ჩანს“ / „ეტყობა“-ს.

საანალიზო ნაწილაკები (**მგრეს, მაჰუშული**) მხოლოდ არაევიდენციალურ (resp. პირდაპირევიდენციალურ) ზმნებთან (აწმყო, უწყვეტელი, წყვეტილი, ოდენ „წინდებულ-თანდებულიანი“ წარმოების მყოფადი, I და II შედეგობითის უპრევერბო, უსუფიქსო ფორმები) ერთად გამოიყენებიან (შდრ. ქართ. **-მცა** ნაწილაკიც არ დაერთვის კონიუნქტიურ ფორმებს, ის თავად ანიჭებს თხრობითი კილოს ზმნებს კავშირებითობა-პირობითობას), თუმცა ისინი შეიძლება დაერთონ „უნახაობის“ ფორმებსაც ორმაგი ციტირების დროს, ანუ თუ მთქმელი წარსულ დროზე საუბრობს და ერთდროულად გვატყობინებს ინფორმაციის გარეშე წყაროს არსებობისა და თავად პირველწყაროსთვის (რომელიც მთქმელისთვის გარეშე წყაროა) ამ ინფორმაციის ინფერენციულობის (საეჭვო-სავარაუდობის) შესახებ; ასე მაგალითად:

ალ ზურანლს ხახლენერე „მიჩა ჰაჰუჰ ესერ კეთილ მგრეს ოხჯჯა“ (იქვე 62,24) „ამ ქალს ჰგონებია, რომ: „მის ქმარსო საჩუქარი („კეთილი“), ალბათ, გამოუგზავნია“ — მთქმელი გადმოგვცემს ინფორმაციას, რომელიც მას სხვისგან მოუპოვებია (**ხახლენა** „სცოდნია“ / „ჰგონებია“: ვერბალური წყარო — იმპერსონალური, ევიდენციალი — რენარატივი), ხოლო ორივე ნაწილაკი (**ესერ** და **მგრეს**) ინფორმაციის (დაქვემდებარებული ციტატის) უშუალო ავტორს (ქალს) ეკუთვნის: პირველი მათგანით მთქმელი სხვის ნათქვამს გადმოგვცემს (სხვათა სიტყვის III პირისეული კონსტრუქცია წარსული დროის მოქმედების გადმოცემისას, ჩვეულებრივ, ზმნას პერფექტული ფორმით მოითხოვს), მეორით კი — იმას, რომ ინფორმაცია მხოლოდ სავარაუდოა და არა დადასტურებული თავად მისი უშუალო მფლობელისთვის (დაქვემდებარებული

ციტატის ავტორისთვის; ჩვეულებრივ, მთქმელი „სხვისეული“ ინფორმაციის სა-
ნდობაზე, სინამდვილესთან შესაბამისობაზე არასდროს მიგვანიშნებს);

საკუთრივ ინფერენციულ (სავარაუდობის გამომხატველ) მწკრივებთან ამ
ნაწილაკების შეუთავსებლობის მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ აღნიშნულ
მწკრივთა კილო პირობითია და, როგორც ქართულში შეუძლებელია „ალბათ“
ნაწილაკის გამოყენება კავშირებითებთან (ენის მცოდნემ წარმოთქვას სინტაგ-
მა: „ალბათ დაწერდეს“ ან „ალბათ დაწეროს“), იგივე ვითარებაა მოცემულ
შემთხვევაში სვანურში.

პირდაპირევიდენციალურ, „წინდებულ-თანდებულის“ ზმნებში (რომლებ-
საც ეს ნაწილაკი იდეალურად იგუებს) **მგრეს** ხშირად ტმესურ პოზიციაში
გვხვდება **ჩუ-მგრეს-აშყად** „როგორც ჩანს, ჩავარდა“, **ჟი-მგრეს-აჩანდ** „რო-
გორც ჩანს, ავიდა“, **სგა-მგრეს-ლანდაგანდა** „როგორც ჩანს, შემოაკვდა“...
ასევე ბუნებრივია მისი გამოყენება უკანა პოზიციაში: **ჩუაშყად მგრეს**; ბალ-
სქვემოთ კი შესაბამისი ნაწილაკი (**მაჟშული**) მსგავს ვითარებაში ზმნასა
და წინდებულს ვერ ხლენს, ის ან ზმნის წინ არის, ან მოსდევს მას:
მაჟშული, ჩუაშყად/ ჩუაშყად, მაჟშული „როგორც ჩანს, ჩავარდა“... ეს შე-
იძლება იმ ფაქტით იყოს გამოწვეული, რომ ეს უკანასკნელი ზმნური წარმო-
შობისაა, ხოლო პირველი — საკუთრივ ნაწილაკია.

აბსოლუტურად იდენტური სემანტიკით ბალსქვემოთში გვაქვს ნაზმნიზე-
დარი ნაწილაკი **ჰეურად** „როგორც ჩანს“; „ალბათ (< ზმნიზედა **ჰედურად**
„მთლიანად“, „მთლად“), რომელსაც ტმესურ პოზიციაშიც შეიძლება შე-
გვხვდეთ: **სგა-ჰეურად-ლანდაგან** „როგორც ჩანს/ალბათ, შემოაკვდა“... არც ეს
ნაწილაკი ერთვის საკუთრივ ინფერენციულ მწკრივებს: შესიტყვება **ჰეურად**
ჩუადგანა არ უდრის „ალბათ მოკლავდა“, ქართულად ის ასე ჟღერს: „ალ-
ბათ იქნებ მოეკლა“, რაც, ცხადია, სრული ატროფიაა. სწორია **ჰეურად**
ჩუადგანა „ალბათ მოკლავდა [ხოლმე]“, ასევე **ჰეურად ჩუადგან** „როგორც
ჩანს, მოკლა“... ასე, რომ, აღნიშნული ევიდენციალური ნაწილაკიც გამოიყენე-
ბა მხოლოდ არაევიდენციალურ ზმნურ ფორმებთან.

ბზ., ლმხ. **დრჷ'ე'** ბქ. **დოჷ'ე'/დოდჷენ/ნოდჷენ/ნოჷე** („მგონი“; „ვეჭვობ“;
„სავარაუდოდ“; კარპეზ დონდუას მიხედვით კი: „ვაითუ“-ც) — ამ ნაწილაკის
ეტიმოლოგია უცნობია, თუმცა, ჩვენი აზრით, **დ'ო'/ნ'ო'** უარყოფითი და **-ჷ/
-ოდჷ** „მცა“ ნაწილაკების სინთეზს უნდა წარმოადგენდეს. აწმყოსა და მომაგ-
ლის გამოსახატავად ის გამოიყენება წარსული დროის თხრობითი კილოს
ზმნებთან (**წარსული მომავალში**):

უწყვეტილი: ბზ. **დრჷ'ე'** **იჷჩინნოდა** „მგონი, წვიმდება“ (სიტყვასიტყვით:
„წვიმდებოდა“);

ბზ. **დრჷ'ე'** **უჩხედა** ბქ. **დოდჷენ/ნოდჷე უჩხა** „მგონი, წვიმს“ (სიტყვასი-
ტყვით: „წვიმდა“);

წყვეტილი: ბზ. **დრჷ'ე'** **ჩუბდჷინნან** „მგონი, გაწვიმდება, საეჭვოა, გაწვიმ-
დეს“ („გაწვიმდა“);

ბზ. **დოქტორი** ბქ. **დოღუე/ნოღუე ჩუანუჩხე** „მგონი, ჩამოწვიმს“ („ჩამოწვი-
მა“);

უფრო ზუსტად აღნიშნული ნაწილაკი ქართულ ნაზმნარ ნაწილაკ „უნ-
დას“ სემანტიკას შეესაბამება: **ათხე მესტიას დოქტორი** „ახლა მესტიაში, **ჩე-
მი აზრით, უნდა წვიმდეს** („წვიმდა“)“ — „უნდა“ ნაზმნარი ნაწილაკი ქარ-
თულშიც ყოველთვის ინფერენციას გამოხატავს, ოღონდ ხან სავალდებულოს,
აუცილებლობას, ხანაც — მხოლოდ ვარაუდს: „მოდალური ზმნებისგან მოდა-
ლური ნაწილაკების წარმოქმნას ამ ზმნათა სემანტიკის გადაწევა განაპირო-
ბებს. „უნდა“ ზმნის შემთხვევაში: სურს > სურვილი აქვს > სჭირდება > ესაჭი-
როება > საჭიროა, აუცილებელია“ (ჯორბენაძე 1993:273). დავამატებთ, რომ
აღნიშნულ ნაზმნარ ნაწილაკს აქვს კიდევ ერთი მნიშვნელობა — ეს არის შე-
საძლებლობა.

საბლუ ბუზულარ, დოქტორი ქადაგნდახ ი ლახემდ აღა, თუი! (სვ. პრ. ტ.
I 1939:181,6) „საბრალოებო! ფუტკრებო, **მგონი უნდა გშიოდეთ** („გშიო-
დათ“)“ და ჭამეთ ეს, აი, თაფლი!“

რაც შეეხება საანალიზო ნაწილაკის გამოყენებას წარსული დროის მო-
ვლენის ინფერენციულობის გამოსახატავად, ზემოსვანურში იგი ბუნებრივად
მხოლოდ II შედეგობითან ჩანს:

ბზ. **ალექსანდრე დოქტორი** აშვედლასუ, ბქ. **ალექსანდრე დოღუე / ნო-
ღუე ოშვედლასუ** „მგონი, ალექსანდრე უნდა ჩამოსულიყო“, „მგონი, ალექ-
სანდრე ჩამოვიდა“.

გამ-გამ ესერ, [დინა] დოქტორი დაჟს ოთხთიან (იქვე 401,11) „ვაი-ვაი, [გო-
გო], **გგონებ**, დევს უნდა წაეყვანაო“;

ჭურ („მგონი“) ნაწილაკი თანამედროვე ბალსზემოურ მეტყველებაში არ
გვხვდება, რამდენიმე შემთხვევადა დასტურდება დღემდე გამოცემულ ბალსზე-
მოურ პროზაულ ტექსტებშიც (თუ არ ჩავთვლით „კოდორულ ქრონიკებს“,
რომლის მასალაც სწორედ კილოთა ინტერფერენციულობის თვალსაზრისით
არის საინტერესო და, ამდენად, ამჯერად საბუთად ვერ გამოგვადგება); სამაგი-
ეროდ ძალზე ხშირად ფიქსირდება სვანური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში,
თუმცა მისი მნიშვნელობა იქ რამდენადმე ბუნდოვანია:

ჯარსი თხუმას ჭურ ზაჟოდა ბახთენგერ, სვა მერდელის სანჯახთესგა (სვ.
პოეზ. I 1939: 64,25) „ჯარს თავში **გასძლოლია** [ბახთენგერი], შესულან ჯარ-
ში“;

ხოხურამ უდილს ლერექუ-ლეზუებ აშდარხანიშდ¹ ჩუ ჭურ ესუდა (იქ-
ვე: 166,113) „უმცროს დას ტანისამოსი და საჭმელი აშდარხანისთვის **თურმე
დაუდვია**“;

მია ისგუემდ მამგუეშ მიყრა, შგუირი დემნოშ ჭურ მიწუნა (იქვე
172,14) „მე თქვენთვის არაფერი მიქნია, სირცხვილი არაფრით **მიჭმევია**“.

აკაკი შანიძე და ვარლამ თოფურია საანალიზო ნაწილაკს ზოგჯერ „თურ-

მე“-დ თარგმნიან, ხშირად კი ქართულ ტექსტში ის გამოტოვებულია, რაც, ჩვენი აზრით, იმაზე მეტყველებს, რომ მისი ფუნქცია დიდი მკვლევარებისთვისაც მთლად ნათელი არ იყო. ალექსანდრე ონიანის მიერ გადამუშავებულ კარპეზ დონდუას „სვანურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ მისი განმარტებაა „თითქოს, ვითომ, იქნებ“ (დონდუა 2001: 375). შესაძლოა, ეს ნაწილაკი „თურმეს“ კი არა, სხვათა სიტყვის ნაწილაკის ტოლფასი იყო და გამოიყენებოდა **ესერ** („-ო“) ნაწილაკის ფუნქციით, ოღონდ მხოლოდ იმპერსონალური მთქმელის აღსანიშნავად („ამბობენ...“); სხვაგვარად: ეს ნაწილაკი აღნიშნავდა დისტანციას მთქმელსა და ინფორმაციას შორის, ოღონდ სემანტიკურად წინა პლანზე მოვლენის უნახაობა კი არა, მისი „სხვა ხელიდან“, გარეშე წყაროდან მიღების ფაქტი უნდა ყოფილიყო წამოწეული; შესაძლოა, ბალსჰემოურში საბოლოოდ **ესერ** და **როქ'უ**⁷ ნაწილაკებმა ჯერ დაჩრდილეს, შემდეგ კი გამოდევნეს, ბალსჰემოურში კი მოხდა მისი სემანტიკის გადაწევა და დღემდე მეტად პროდუქტიულია ევიდენციის მოდულისთვის, ოღონდ გამოხატავს არა გადმოცემითობას, არამედ მთქმელის ვარაუდს (რაც ბალსჰემოურისთვის აბსოლუტურად უცხოა) და ზუსტად შეესაბამება ქართულ ნაზმნარ ნაწილაკს **„მგონი“**; ხშირად წინდებულნიან ზმნებთან ტმესურ პოზიციაშია; საერთოდ კი მოსდევს და არასოდეს წინ არ უძღვის იმ ლექსემას, რომელსაც სავარაუდოდობის სემანტიკას ანიჭებს, შესაბამისად, ის არ შეიძლება წინადადების დასაწყისში შეგვხვდეს, განსხვავებით ქართული „თურმე“, „ალბათ“, „იქნებ“, „მგონი...“, თუ სვანური **ესნარ**, **დოჟ'ე**⁷ და ზოგი სხვა ინფერენციული ნაწილაკისგან.).

ჩუ ჭურ აშდეუ / ჩუაშდეუ ჭურ „მგონი, ჩამოთოვს“;

მგრზაბეჟ ჭურ ანდრი „მგონი, მურზაბეჟი მოდის“ (აქცენტი მურზაბეჟზეა), მაგრამ **მგრზაბეჟ ანდრი ჭურ** „მურზაბეჟი მოდის, მგონი“ (აქცენტი მოსგლაზეა);

ზმნათაგან ეს ნაწილაკი ყველა პირდაპირევიდენციულ და, ასევე, უნახაობის ფორმასთან გვხვდება, ეპისტემიკურ ზმნებს კი ვერც ეს ლექსემა ეგუება, მსგავსად ზემოთ აღნიშნულისა; მაგალითად, მყოფადის კატეგორიულ (არაევიდენციულ, ნეიტრალურ) ფორმასთან ის ბუნებრივად ჟღერს:

ინგლისურს ვინჭითური ჭურ „ინგლისურს ვიწავლი, მგონი“, მაგრამ არ შეიძლება: **ჟ'ონთერნე ჭურ**, რაც ქართულად დაახლოებით ასეთი ანომალიური წინადადების ტოლფასია: „იქნებ ვისწავლო, მგონი“.

არ გამოგრიცხავთ ამ ნაწილაკის ნაზმნარობას: I პ. **ონჭუირ** „ველოდები, ვფიქრობ, ვვარაუდობ“, II და III პ. **ანჭირ** შდრ. **ლი-ნ-ჭირ** (<***ლი-ნ-ჭურ** <***ლი-ჭურ-ე**? პირიქითა პროცესიც ხომ არ იქნება დასაშვები? ანუ, სათუობის ნაწილაკმა მოგვცა ზმნა?) „გონება“ (მასდარი), **ლწ-ნ-ჭირ** „მოსალოდნელობა“ (აბსტრაქტული სახელი).

შევნიშნავთ, რომ აღნიშნული ზმნა ბალსჰემოურ დიალექტში დუბიტატიურ მყარ შესიტყვებაშია: **დემ ონჭუირ!** (სიტყვასიტყვით: „არ ველოდები, არ მგონია“), ის იმ სიტუაციაში გამოიყენება, რომელსაც ქართულში შეესაბამება

„კარგი, ერთი!“ „ნუთუ მართლა!“ ზოგჯერ ეს გამოთქმა გართულებულია კიდევ ერთი ლექსემით: **დემ ონჭუირ, 'ი' ბჷქს!** (სიტყვასიტყვით: „არ ველოდები 'და' ტყუილს!“, რაც ქართულად თავისთავად, აბსურდი გამოდის) — ამ ფორმით ფრაზეოლოგიზმი არა დუბიტატიურობას, არამედ უშუალოდ მთქმელის კატეგორიულ ნეგატიურ გადაწყვეტილებას გამოხატავს და მაშინ მას ევიდენციულობასთან კავშირი არა აქვს: **ღვრიმა ლაბერგითე?** „წახვალ სათოხნელად?“ **დემ ონჭუირ 'ი ბჷქს!** „არავითარ შემთხვევაში!“ / „მეტი საქმე არ მაქვს!“ (**'ი'ბჷქს** შესაძლოა, ელიფსია, რომელსაც აკლია ნეგატიური ზმნა **დემ ტული** „არ ვიტყვი“).

ბალსზემოურში თანამედროვე ბალსქვემოური **ჭურ** ნაწილაკს მნიშვნელობით ყველაზე მეტად შეესაბამება **მაბუა** „მგონია“ და **ანღული** (<*ანოღელი) „მგონი/ვგონებ“ ლექსემები, რომლებიც, მათი ქართული სემანტიკური შესატყვისების მსგავსად, მოქმედი ზმნებია: I პ. **მაბუა** „მგონია, მიმაჩნია“ (**ბაუ** „გონი“ **ბაუა** „გონება (აბსტრ.), მიჩნევა“; შდრ. ქართ. გონი > ვგონებ, მგონია), **ანღული** „ველოდები, მოველი“ (**ლიღლი, ღელა** „ცდა, ლოდინი“), II პ. **ჯაბუა, ანღლი** (**ანღელი**), III პ. **ხაბუა, ანღლი** (**ანღელი**)..., თუმცა ევიდენციულობის გამოსახატავად ეს ლექსემები თითქმის განაწილაკებულია და სწორედ „მგონის“ ფუნქციით გვხვდებიან, ანუ კონსტრუქციაში ზმნის ამპლუაში ისინი შემასმენლებია და ჰიპოტაქსს ქმნიან (1), როგორც ნაწილაკები კი — განკერძოებას, კერძოდ, ჩართულს (2):

- (1) **მი ალ გუეშ ხოჩამდ მაბუა** „მე ეს საქმე კარგად მიმაჩნია“;
- (2) **ალა ხოჩა გუეშ ლი, მაბუა** „ეს კარგი საქმეა, მგონი“.

შესაბამისად, უკანასკნელი ფუნქციით (ევიდენციულობის ნაწილაკი) საანალიზო ლექსემა მხოლოდ I პირთან გვხვდება (ისევე, როგორც არ არსებობს **მგონი**'ს II და III პირის ფორმები); **მაბუა** ნაზმნარი ნაწილაკია.

ასევე, მეორე საანალიზო ლექსემა მთავარი წინადადების შემასმენელია კონსტრუქციაში:

ანღულიდ, ერე უი როქტუ ახუშომედ (სვ. პრ. ტ. I 1939: 36,33) „ველოდებით (ვფიქრობთ), რომ დავისვენებთ“;

ხოლო ჩართულია მარტივ წინადადებებში:

ჩუიჩინი, ანღული „გაწვიმდება, მგონი“; **არჩილ ქაჩანდ, ანღული, შუანთე** „არჩილი წავიდა, მგონი სვანეთში“;

როცა საანალიზო ლექსემა ნაწილაკის ფუნქციითაა, ისეთ კონტექსტში, რომელიც კონკლუზივს (მსჯელობას) შეესაბამება, ძირითადი ზმნა არაევიდენციულობის, კატეგორიულია და, შესაბამისად, გვხვდება ნეიტრალური (კატეგორიული) აწმყოს (1), „წინდებულ-თანდებულის“ მყოფადისა (2) და ქართულისებური წარმოების ხოლმეობითის (3) ფორმით:

- (1) **შდუე, ანღული** „თოვს, მგონი“;
- (2) **მგანარ ჩუაშდუე, ანღული** „ხვალ ჩამოთოვს, ვგონებ“;

(3) **ღნთი ლიცს ჩუაქურმდა, ანღული** „წუხელ წყალს გაყინავდა, მგონი“.

სტილურად გაუმართავია და ამ ენის წარმომადგენელი არასოდეს იტყვის: **იმღუინი** (ინფერენც. აწმყო, resp. უსრული მყოფადი), **ანღული**, რაც ქართულად ასე უღერს: „თოვდეს იქნება, მგონი“ ან „ალბათ თოვს, მგონი“; მაგრამ თუ ამგვარი კონსტრუქცია მაინც შეგვხვდა, უკვე ჰიპოტაქსია, ხოლო აღნიშნული ლექსემა ზმნა-შემასმენელია და არა ჩართული ნაწილაკი: **ეჭა ანღელდა, ერე ლიცს ჩუადკურმინა** „ის მოელოდა, რომ, შესაძლოა, წყალი გაეყინა („წყალს გაყინავდა“)“; ასევე, არ შეიძლება: **ჩუანშღუიუნე** (ძირითადპრევერბიანი, ინფერენციული მყოფადი), **ანღული** „ალბათ ჩამოთოვს, მგონი“ / „ჩამოთოვოს იქნება, მგონი“ ან: **ღნთი ლიცს ჩუადკურმინა** (პირობითი), **ანღული** „წუხელ წყალს გაყინავდა, ალბათ, მგონი“... [შდრ (1), (2), (3)].

მაშასადამე, სტილის გათვალისწინებით, **მსჯელობა-გარაუდის** აღმნიშვნელი ზმნები მოცემულ ნაწილაკებს ვერ იგუებენ, რადგან ზმნები თავადვე ინფერენციული და ამავდროულად ეპისტემიკური არიან; თუმცა **კონკლუზიურ** (სავარაუდო, ლოგიკაზე დაფუძნებული დასკვნა) მწკრივებს (I და II პირობით-შედევობითი) საანალიზო ნაწილაკები თავისუფლად ეწყობიან ისევე, როგორც III სერიის არავეიდენციალურ ფორმებს ეპისტემიკურ კონტექსტში: არავეიდენციალურ ზმნებთან კონტექსტის ეპისტემიკურ შინაარსს მხოლოდ ნაწილაკი განაპირობებს [(4), (6)], ვეიდენციალურებთან კი უნახაობის ორგანულ ფორმებთან „თურმე“ ნაწილაკის ხმარების ანალოგიურ ვითარებასთან, პლეონაზთან გვაქვს საქმე [(5), (7)].

(4) **ალას ღუაში ხოდეგარა** (ექსპერიენციული, უსრული I შედეგობითი), **ანღული / მამუა** „ამას ჯიხვიც 'მო'უკლავს (= ჰყავს მონაკლავი), მგონი“;

(5) **ალას ღუაში ჩუხედგარი** (პირობით-შედევობითი I), **ანღული / მამუა** „ამას ჯიხვიც ალბათ მოუკლავს (= ეყოლება მონაკლავი), მგონი“;

(6) **მინდიას ჭიგი ლედუი ხომან**, (ექსპერიენციული, უსრული II შედეგობითი), **ანღული / მამუა** „მინდიას გველის ხორციც ეჭამა, (= ჰჭონდა ნაჭამი), მგონი“;

(7) **მინდიას ჭიგი ლედუი ჩუხემოლ** (პირობით-შედევობითი II), **ანღული / მამუა** „მინდიას გველის ხორციც ალბათ ეჭამა (= ექნებოდა ნაჭამი), მგონი/ ვფიქრობ/ მოსალოდნელია...“;

მუგუდა (ბზ.) „თითქოს“, „ვითომ“;

მზეთუნახაწუ ანჯად, ამნემ ეგუი ქანგრჰე ამიუ ლარდა, ერე მუგუდა ნარჰი ხატუარდა (ბზ. პრ. ტ. 1939: 158,13) „მზეთუნახავი [რომ] მოვიდა, ამან ისე გაანათა აქ სამყოფი, რომ თითქოს სინათლე ენთო“;

ეს ლექსემა ნაწილაკოვან სხვათა სიტყვასთანაც გამოიყენება და ინფორმა-

ციის დუბიტატიურობას¹ განაპირობებს: **შალტად რაჭუ, მუგუდა მესტიად თუთიმფრინაჟ ესერ ოთნიშნახ** „მალვამ თქვა, თითქოს მესტიამდე თვითმფრინავი დაუნიშნავთ“.

ნოთაჟ (ბზ.) **ნოთი** (ლშხ.), **ნოთი** (ლნტ.) „ვინძლო“, „იქნებ“; ამ ნაწილაკით მთქმელი ინფორმაციაში ერთდროულად **სასურველობა-სავარაუდობას** აფიქსირებს; შეიძლება გარკვეულ შემთხვევაში მას „იქნებ“ განმარტებაც მოერგოს ქართულში, მაგრამ ამ დროს ვრცელი კონტექსტის განხილვა აუცილებლად აჩვენებს ვარაუდში ნატერის, ამ ვარაუდის მიმართ მთქმელის პოზიტიური (და არა ნეიტრალური) განწყობის ნიუანსს. როგორც ქართულში ცალკე აღებული „იქნებ“ მხოლოდ ვარაუდს გამოხატავს, ხოლო „ვინძლო“ — ვარაუდსაც და მთქმელის დამოკიდებულებასაც (ნატერას, სასურველობას) მისსავე ვარაუდთან, ასეთივე მიმართებაა სვანურში **მგრჳს**სა და საანალიზო ნაწილაკს შორის:

ნაჟ უშხუწარ ხოგუდირდად: „ნოთაჟ როქ ჩუ მოდ ანკაჟე“ [უჰჰდ] (სვ. პრ. ტ. I 1939: 34, 8) „ჩვენ ერთმანეთს ვეჭიდებოდით: „ვინძლო არ წაგვაქციოსო („წაგვაქციაო“) ზვავმა“;

მგხწარ ნოთაჟ უახწინდა ჩალისიმე [ზურლწარს] (იქვე 123, 31) „ხვალ იქნებ მოერიოს ჩალისიმე [ქალებს]“;

ამ ლექსემის შემცველ ევიდენციალურ კონსტრუქციაში მთქმელი (I პირი) ხშირად **-გჳ** პირველპირისეულ სხვათა სიტყვის ნაწილაკსაც ურთავს და ამით დამატებით განხაზავს, რომ სასურველ-სავარაუდო ინფორმაცია ინფერენციულია:

ბზ.: **ნოთაჟ-გჳ მამ ლწსჟ ხოლა ლინთჟ ამ ზაჟ!** „ვინძლო-მეთქი არ იყოს („იყო“) ცუდი ზამთარი წელს!“

ლშხ.: **მინე ადგილ-მამულ მაგ ქოთჟოდახ ჳჟიდლაჟ ნატჟსუნდა, ნოთი ლოქ დერთემ გეხალ ლახწმეხ** „მათი ადგილ-მამული სულ გაუყიდათ სანთელში და საკმეველში, **იქნებ** ღმერთმა შვილი **მოგვცესო**“ (დონდუა 2001: 240);

ლნტ.: **ნოთი ლოქ ჩჟადაგარის ლწჩჟუდ ალექსანდრე** (სვ. პრ. ტ. III 1967: 142,30) „ვინძლო **მოკლასო** ირემმა ალექსანდრე“ (ზღაპრის მიხედვით, ალექსანდრეს დაღუპვა მთქმელისთვის სასურველია);

ამ და მსგავს წინადადებებში ევიდენციულობის ორივე სახეობაა ნაწილაკებით წარმოდგენილი: გადმოცემითობა (**როქ/ლოქ** „ო“) და ინფერენცია (**ნოთაჟ/ნოთი/ნოთი**).

როგორც აღვნიშნეთ, საანალიზო ნაწილაკის საშუალებით კონტექსტი ნატერის კილოსაც იძენს, მაგრამ ეს მეორეულია, მთავარი ვარაუდია, ინფერენ-

¹ დუბიტატივი — ერთ-ერთი ევიდენციული, რომელიც გულისხმობს, რომ მთქმელი „გარეშე ხელიდან მიღებულ ინფორმაციას დადასტურებულად არ თვლის, ეჭვქვეშ აყენებს ან სულაც არ ეთანხმება.“

ციაა, ოდენ ნატვრა („ნეტავ“ სემანტიკა) კი, ინფერენციის გარეშე, სვანურში -**ოლჷ/-ოჷ/-ჷ** (ქართ. „-მცა“) ნაწილაკით გამოიხატება.

სერთხი (ზს) „ვაითუ“, „იქნებ“; ეს ნაწილაკი დღესდღეობით ძირითადად ბალსქვემოთ დიალექტშია, თუმცა ბალსზემოთურ ტექსტებშიც აღმოჩნდა ერთი-ოროლა მაგალითი:

მიჩაშდ ესერ ჩოთლორჷა, მარე მიჩა ბაბას, ჰანდრალღებს ესერ დეშ ოთლორჷი სერთხი (სვ. პრ. ტ. I 1939: 98,22) „მე მომატყუეო, მაგრამ ჩემს ბაბუას, ჰანდრალღებს, **ვერ მოატყუოო (მოატყუებსო), ვაითუ**“;

„სვანური ენის ქრესტომათის“ ბალსზემოთურ მასალაში აღნიშნული ნაწილაკი განსხვავებული მნიშვნელობით („მითუმეტეს“, „განსაკუთრებით“) შეგვხვდა:

ერხი ზურალწარ ნატყციხ ბოფშარს, სერთხი დინწლს, მარე ამლა მერამლ ეში დემ ქუიციხს (სვ. ენ. ქრ. 1978: 12,22) „ზოგი ქალები სცემენ ბავშვებს, მით უმეტეს, გოგოებს, მაგრამ ამიტომ სხვები მაინც არ ჩუმდებიან“;

აერჷშა ზურალ სუტდ არი ი სერთხი ლახე მერი ლი, ენი ჰათასი გუნ ხეჷბუნანლ მანგ (იქვე 53, 22) „რომელი ქალებიც მგლოვიარედ არიან და, მით უმეტეს, თუ მოხუცია, იმის წყევლასაც ძალიან ერიდება ყველა“;

სერთხი ლწთჷ ნეშკაჷნი არჷშა აყურე, ეჷას კჷში ბანდჷთ თერარ სარ ჩუ ლგწრანალე (იქვე: 115, 33) „განსაკუთრებით, ღამით სხვენზე ვინც წებს, იმას კვამლისგან თვალები აქვს დაწითლებული“.

როგორც აღმოჩნდა, ყველა ტექსტი სადაც ეს ლექსემა განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება, ლენჯერულია და, სავარაუდოდ, ერთსა და იმავე მთქმელს უნდა ეკუთვნოდეს; ცოცხალ მეტყველებაში გადამოწმებამ აჩვენა, რომ დღეს ამ ნაწილაკს ბალსზემოელები ბალსქვემოთურად თვლიან, ამასთან უმრავლესობამ მისი მნიშვნელობაც არ იცის; მართალია, ახალი თაობის რამდენიმე ლენჯერელმა დაადასტურა ამ სიტყვის არსებობა დიალექტში (თუმცა თავად არ ხმარობენ), ოღონდ ჩვენთვის ცნობილი („ვაითუ“) სემანტიკით; ამ სიტყვის „მითუმეტეს მნიშვნელობით გამოყენება მათთვისაც გაუგებარი აღმოჩნდა. შესაბამისად, აღნიშნული სემანტიკა მეორეული უნდა იყოს და, არაა გამორიცხული, კონკრეტული მთქმელის მეტყველების სპეციფიკას უკავშირდებოდეს.

ბალსქვემოთურში ამ ნაწილაკს მხოლოდ მაშინ გამოიყენებს მთქმელი, თუ ვარაუდოებს მისთვის არასასურველ მოვლენას ეხება (ბზ. **ნოთაჷ** ნაწილაკის საპირისპიროდ):

სერთხი მისას ზეჷ დეშ ოგურეი! „ვაითუ წელს შეშა არ გვეყოს („გვეყოფა“);“;

სერთხი ბეფშს ჩჷნთუჷნიჷ ი კლანთე ჟანგჷმანნიჷ „ვაითუ ბავშვს დაეძინა („დაეძინებოდა იქნება“) და სკოლაში დააგვიანდა („დააგვიანდებოდა იქნება“);“;

აღნიშნული ნაწილაკი მხოლოდ ინფერენციული აწმყოს, სვანური სპეციფიკური (ძირითადადპრევერბიანი) მყოფადისა და პირობითის ფორმებს იგუებს (ზემოთ ჩამოთვლილი ნაწილაკებისგან განსხვავებით); მისი ჩართვა იმ მწკრივებთან ერთად, რომლებშიც კატეგორიულობის ხარისხი მაღალია, სტილური ხარვეზის საფუძველია; არასწორია: **ბეფშ სერთხი ჩუიმცხანი** (ქართულისებური მყოფადი) „ბავშვი ვაითუ გაცივდება“; სწორია: **ბეფშ სერთხი ჩუაღმაცხანი** (საკუთრივ სვანური, ძირითადადპრევერბიანი მყოფადი) „ბავშვი ვაითუ გაცივდეს („გაცივდება იქნება“), რაც, ჩვენი აზრით, იმაზე მეტყველებს, რომ ამ ნაწილაკის მნიშვნელობა თავიდანვე ინფერენციულობა არ იყო;

საანალიზო ნაწილაკის ეტიმოლოგია უცნობია, თუმცა ვვარაუდობთ, რომ ნაწილაკების კომბინაციასთან უნდა გვექონდეს საქმე; ა. ონიანი სვანურში **-ხი** ელემენტს ზმნიზედის ერთ-ერთ მაწარმოებლად თვლის: **ეჩ-ხი** „უფრო იქით“; **ამ-ხი** „უფრო აქეთ“, **ჟი-ხი** „უფრო ზევით“ (ონიანი 1998: 278); ეს ნაწილაკი თითქოს ოდნობითობას ანიჭებს იმ სიტყვას, რომელსაც ერწყმის. ასე მაგალითად, **ათხე-ხი** „ამ ბოლო დროს, ახლახან“, მაგრამ იშვიათად ნეგატიურ ზმნასთანაც გვხვდება და „თითქმის“ ნიუანსს ჰმატებს მას (რაც, ფაქტობრივად, იგივეა); ზმნიზედაში მონაწილეობის ფორმითა და ფუნქციითაც **-ხი** ელემენტი **-ვით** თანდებულს უახლოვდება (იმ სემანტიკის გათვალისწინებით, რომელსაც ქართულში „ზევით“ ზმნიზედის კომპონენტთა კომბინაცია იძლევა): „ზე + „ვით“ — **ჟი + ხი**, „ქვე + ვით“ — **ჩუ-ხი...**

დემეგ-ხი მიზნა „თითქმის არ წავსულვარ ...

ჩუხი ანქან „ოდან ქვემოთ ჩამოიწია“ = „ჩამოიწიასავით“ (ოდნობის და არა „თითქოს გაგებით)...

ასე რომ, მსგავს კონტექსტში საანალიზო ნაწილაკის (**-ხი**) ფუნქცია კატეგორიულობის ხარისხის შემცირება უნდა იყოს; ლექსემის პირველი ნაწილი კი, შესაძლოა, ვითარებითი ბრუნვის (დათ) ფორმაა **სერ** („კიდევ“; „მეტი“; „უკვე“) ნაწილაკისა:

სერ ქა ლი! „უკვე (მეტი) საკმარისია!“

სერ მაჲ ჯაკუ? „მეტი (კიდევ) რა გინდა?“

ის, რომ საბოლოო სახით რთულ ნაწილაკს (**სერთხი**) არც ერთი შემადგენელი ნაწილის მნიშვნელობა არა აქვს, ჩვეულებრივი მოვლენაა; შდრ. **ღამე-თუ** „იქნებ“, „ეგებ“: „მიბრძანე და ...სალბუნი და წამალი დაგდვა, რაფთა, ჰე, **ღამე-თუ განიკურნო**“ (იაკობ ცურტაველი, „მუშანიკის წამება“); **თურმე**: „ცხადია, ეს სიტყვა წარმოადგენს კავშირ-ნაწილაკების შეერთებას: თურე>თუ-რე-მე>თურმე, ისე, რომ არც ერთი მათგანის მნიშვნელობა მას არა აქვს“ (ქავთარაძე 1956:178-180). ასევე განუსაზღვრელი ნაცვალსახელები თუ ზმნიზედები: „რაც“, „ვიღაც“, „რამე“, „ვინმე“, „სადმე და სხვ.

ბქ. **ჰეურდ** (< **ჰედურ-დ** < **ჰედჷირ-დ** „სულ“, „მთლ-ად“; **ჰედჷირ** 1. „მთელი, მთლიანი“; 2. „ჯანმრთელი“) — ნაზმნიზედარი ნაწილაკი „რო-

გორც ჩანს“, „ეტყობა“;

ჭეუტად ღვრ არიხ ქორს „როგორც ჩანს (ალბათ), არავინ არის („არი-ან“) სახლში“;

ეს ნაწილაკი აუცილებლად გულისხმობს უახლოეს წინაპირობას, ფაქტს, რომლის განზოგადების ნიადაგზეც წარმოადგენს მთქმელი ვარაუდს სხვა მოვლენის შესახებ; **ჭეუტად** და **ჭეუტად** შორის დაახლოებით ისეთი მიმართებაა, როგორც ქართულ „მგონი“ ლექსემასა და „როგორც ჩანს“ სინტაგმას შორის: პირველი მათგანი უფრო სუბიექტურია, მეორე კი შედარებით ობიექტურ, კონკრეტულ, ხელშესახებ წინაპირობას ეყრდნობა.

ზს. შნლ/შალ — ნათანდებულარი ნაწილაკი ან თანდებული „ვით“, ევიდენცილობის ნაწილაკის ფუნქციით.

სპეციალურ ლიტერატურაში დაფიქსირებულია მისი ნაწილაკად გამოყენების ფაქტი: გარდა სახელისა და ზმნიზედისა, რაღონიშნული თანდებული დაერთვის უარყოფით ნაწილაკებსა და უარყოფით ნაცვალსახელებს: **ღესა-შნლ-ხეზნან ლიტხიელ „თითქმის (ხაზი ჩვენია. ქ. მ.) არ სჩვეოდა ენის შემობრუნება“** (შავრეშინი 2008:252). გახაზულია ისიც, რომ „ისევე, როგორც ქართულის ზოგიერთ კილოში, სვანურშიც ხშირია სახელზმნებზე და ზმნებზე მისი დართვა“ (იქვე), თუმცა აქ მის ერთადერთ მნიშვნელობად მითითებულია „ვით“. აღნიშნულის გარდა, ზემოსვანურ დიალექტებში საანალიზო ელემენტის მნიშვნელობა ასევე არის „მგონი/ ვგონებ“:

ბზ. ნოდარ ლახზარია მოშ მისნძს უმაღლესთე? „ნოდარი თუ ჩააბარებს (თუ შეძლებს) ნეტავ წელს უმაღლესში?“ **სგახაბრძე შნლ „მგონი ჩააბარებს“;**

ბქ. თასათუ ლიმა ლგარ? „თასავი ცოცხალია?“ **იე შალ..** (ან: **ლგარ შალ ლი**) „კი, მგონი“ („ცოცხალია, მგონი...“); ცხადია, მოყვანილ მაგალითებში **შალ** ნაწილაკს ქართული „თითქმის“ ვერსია ვერაფრით მიესადაგება;

იმჟნლე — 1) განუსაზღვრელობითი ნაწილაკი „სადმე“, „სადღაც“, 2) ეპისტემიკური ნაწილაკი „იქნებ“, „შესაძლოა“...; მისი რედუცირებული ვარიანტია **მნლე**:

ათხე ადჭკურე ხელწიფდ: „ალ ბეფშუ ესერ ეჯა [მიჩა გეზალ] ლი იმჟნლე!“ (სვ. პრ. ტ. I, 1939:151,12) „ახლა იფიქრა ხელმწიფემ: „ეს ბავშვი ის (ჩემი შვილი) უნდა იყოსო“ (სიტყვასიტყვით: „ეს ბავშვიო ის არის მგონი/შესაძლოა...“);

ალა იმნარ ათაკურ, სი მნრე, სარგობ ჯეროლ მნლე! (იქვე 169,38) „ეს რატომ გადაადგე, შე კაცო, იქნებ გამოგდგომოდა („სარგებელი გექნებოდა იქნებ“);

საანალიზო ნაწილაკი შედგენილია: **იმჟნა/იმგჟა** („სადაც“)+**ლე**; შდრ. **შომჟნ-ლე/შომა-ლე** < **შომჟნა/შომა** („როდის“)+**ლე** „როდისმე , **მო-ლე** „რამე“... ისიც შესაძლებელია, რომ **მნ-ლე იმჟნლე**’ს რედუქციით კი არ იყოს მიღებული, არამედ **მა-** უარყოფითი ნაწილაკისა და **-ლე**’ს კომბინაციით. თავად

-ლე კი ფუნქციურად და მატერიალურადაც ქართული -მე ნაწილაკის შესატყვისი უნდა იყოს.

მალთოდუ [ე/ლალთოდუ] (ბქ.) „თითქოს“, „ვეთომ“ მოდლობის ნაწილაკია (**მალთოდუ შომალე ნარდუ ხუანსუ ამეჩუ** „თითქოს როდისმე **ნამყოფი** [უნდა] ვიყო აქ“), რომელიც ასევე კომბინირებული ჩანს — მასში მონაწილეობს -ოდუ „იცა“ ნაწილაკი, ხოლო აუსლაუტის -ე, რომელიც სავალდებულო არ არის, მითითებითი ნაწილაკი უნდა იყოს, რომელიც სვანურში ძალზე პროდუქტიულია: ეჭქ „ის, ე“, ხოლო **მალთ/მალთე** შესაძლოა **მწლე** სთან („იქნებ“) საერთო ძირი იყოს, თუმცა კი შედგენილი.

ლწიდ („მთლად“; „სულ“) ამოსავალში ვითარების ზმნიზება უნდა იყოს (**ლწიდ ჩუ დემეგ ადგარ ი აშ მამაგუეშ ათკანე** „მთლად არ მოკლა და ისე არაფერი დააკლო“), თუმცა ბალსქვემოურ დიალექტში ისიც ეჭვის, ვარაუდის გამომხატველი ნაწილაკის („შესაძლოა“, „იქნებ“, „ალბათ“, „შეიძლება, სულაც...“) ფუნქციით ხშირად გვევლინება სწორედ ეპისტემიკურ ზმნებთან: **ლწდი ჩუანშდუისგ, ლწიდ...** „დღეს შესაძლოა ჩამოთოვს სულაც“ / „...ჩამოთოვს, საფიქრალია...“; **დწით თბილის ირდი ლწიდ, ეჭლა დემთე წუა** „დავითი შესაძლოა სულაც თბილისში იმყოფება“ (= „თბილისში იქნება სულაც“), იმიტომ არსაით ჩანს“; მისი სემანტიკა **სერ-თხის** უახლოვდება, ოღონდ არ ჩანს მთქმელის უარყოფითი დამოკიდებულება სავარაუდო მოვლენის მიმართ.

ათლა (ბქ.) „შესაძლოა“, „ალბათ“; ეს ლექსემაც მხოლოდ ბალსქვემოურ დიალექტშია; ეტიმოლოგია უცნობია; ძირითადად ძველი თაობის წარმომადგენელთა მეტყველებაში გაიგონებთ: **[მამურგად] რწქუე: ამირმს ესერ ათლა ჩიქი მახელუწუ მამა ხეწუენი ი დოლუწესერ გუი სურუ ყიხი ხად მეჩდე, მარე ჭი ესერ ჭკუას ახთენისგ** (სვ. პრ. ტ. II 1959:26617) „მოჭიდავემ (ფალავანმა) თქვა: ამირანს (ამირმს) შესაძლოა ჯერ ვაჟკაცი არ უნახავს ალბათ“ (= „არ ეყოლება ნანახი“, პირობით-შედეგ. I) და მგონი გაყოფილი უნდა იყოს, მაგრამ მე ჭკუს ვასწავლიო“ (სიტყვასიტყვით: „მოჭიდავემ თქვა: ამირმსო შესაძლოა ჯერ ვაჟკაცი არ უნახავს ალბათ (/იქნებ) და ვგონებო გული ნამეტანი ზევით ჰქონდა გაქცეული, მაგრამ თვითონო ჭკუას ასწავლის/ასწავლოს იქნებ“).

აღნიშნული ნაწილაკიც გამომხატავს მთქმელის დამოკიდებულებას ინფორმაციისადმი — ვარაუდს დამატებითი ნიუანსების (სასურველობა, არასასურველობა...) გარეშე.

ამრიგად, როგორც აღმოჩნდა, საკუთრივ ინფერენციული (ეპისტემიკური მნიშვნელობის) გამომხატველი დამხმარე ლექსემები (რომლებიც ვერბალობას არასდროს გამოხატავენ) ენაში უფრო მრავლადაა; აგებულების მიხედვით, შეიძლება გამოიყოს სამი ტიპი: 1) საკუთრივ ნაწილაკები, რომელთა სემანტიკა არ ხერხდება და ეტიმოლოგია უცნობია (**მგრეს** „ალბათ; როგორც ჩანს“;

მუგუტა “თითქოს“, **ნოთაუ** “ვინდლო“...); 2) სინთეზური ლექსემები, რომლებშიც შემადგენელი კომპონენტების დადგენა შესაძლებელია (**მაუშლი** < *მა-შუ ლი “ალბათ; როგორც ჩანს“; **სერთხი** < **სერ-დ-ხი** “ვაითუ“...), თუმცა ისინი არ წარმოადგენენ ამ კომპონენტთა მნიშვნელობების მარტივ ჯამს; 3) ნაზმნარი დამხმარე სიტყვები (**ანდული** „მგონი“, **მაბუა** „მგონი“/ „მიმაჩნია“/ „ჩემი აზრით“...).

დასტურდება შემთხვევები, როცა ერთ დიალექტში მოქმედი ნაწილაკის ზუსტი სემანტიკური შესატყვისი სხვა დიალექტ(ებ)ში არ მოიპოვება და პირიქით: **მუგუტა** (ზზ.) „თითქოს“, „ვითომ“; ეს ნაწილაკი დუბიტატურობას გამოხატავს, ბალსქვემოურში კი აღნიშნული სემანტიკა მხოლოდ ვრცელი კონტექსტით ან სვანურ ტექსტში ქართული ნაწილაკების ჩართვით თუ გადმოიცემა; ასევეა **ნოთაუ** (ზზ.) **ნოთი** (ლზზ.), **ნოთი** (ლნტ.) „ვინდლო“, „იქნებ“ — ამ ნაწილაკით მთქმელი ინფორმაციაში ერთდროულად **სასურველობა-სავარაუდობას**, ანუ ვარაუდში ნატვრის, ამ ვარაუდის მიმართ თავის პოზიტიური (და არა ნეიტრალური) განწყობის ნიუანსს აფიქსირებს; ბალსქვემოურ დიალექტში ამ ქვეტექსტს მხოლოდ აღწერითად თუ გადმოიცემთ.

კვლევამ აჩვენა, რომ ინფერენციული ლექსემების გამოყენება ზმნის მწკრივებთან თავისუფალი როდია. მათი გარკვეული ნაწილი მხოლოდ ინდიკატურ (თხრობითი კილოს) ფორმებს უთავსდება, ზოგი კი, პირიქით, მხოლოდ ზმნის საკუთრივ სვანურ, ინფერენციულ მწკრივებს (მყოფადუსრული — resp. ინფერენციული აწმყო, ძირითადპრევერბიანი სრული მყოფადი, პირობითი, პირობით-შედგობითი I და II), იშვიათად — კავშირებითებს იგუებს; ეს ფაქტი, ერთი მხრივ, ინფერენციის როგორც სემანტიკური და გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბების და, მეორე მხრივ, თავად ინფერენციული ლექსემების წარმოშობის ეტაპებს, ქრონოლოგიას უნდა უკავშირდებოდეს, რაც უმწერლობო ენაში რთული დასადგენია;

თანამედროვე ეტაპზე კი ნაწილაკებისა და ზმნური ფორმების აღნიშნული სემანტიკური ურთიერთმიმართების გაუთვალისწინებლობა (თავისუფალი ჩანაცვლება) სვანურში სტილური ანომალიის ან, შესაძლოა, ტექსტის არასწორი სემანტიკური ინტერპრეტაციის საფუძველიც კი გახდეს.

ლიტერატურა

არაბული 1984 — ა. არაბული, მესამე სერიის ნაკვეთელთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბილისი.

დონდუა 2001 — დ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ონიანი 1998 — ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

სგ. პოეზ. I 1939 — სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურია, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი.

სგ. პროზ. I, 1939 — სვანური პროზაული ტექსტები, ტ. I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურია, თბილისი.

სგ. პროზ. II, 1959 — სვანური პროზაული ტექსტები, ტ. II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, მ. ქალდანმა და ვ. თოფურია, თბილისი.

სგ. პროზ. III, 1967 — სვანური პროზაული ტექსტები, ტ. III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურია და მ. ქალდანმა, თბილისი.

სგ. პროზ. IV, 1979 — სვანური პროზაული ტექსტები, ტ. IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არსენა ონიანმა, მაქსიმე ქალდანმა და ალექსანდრე ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მაქსიმე ქალდანმა და ალექსანდრე ონიანმა, თბილისი.

სგ. ქრესტ. 1978 — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

ქავთარაძე 1956 — ი. ქავთარაძე, დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში, იკე, VII, თბილისი.

შავრეშიანი 2008 — ნ. შავრეშიანი, -შალ (-შალ) „ვით“ თანდებულის შესახებ სვანურში, იკე, XXXVI, თბილისი.

ჯორბენაძე 1993 — ბ. ჯორბენაძე, ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. X, თბილისი.

KETEVAN MARGIANI-SUBARI

Modal Lexemes of Evidentiality

S u m m a r y

In Svan auxiliary lexemes expressing evidentiality functionally are of two types: the first type expresses verballity (indicates to a source without information), the second one expresses inference and fixes the estimation of information. A particle that fulfills both functions (in view of a relevant context it expresses a verbal source as well as inferentive) is only one: **esnär¹** “apparently”. In the language there are many auxiliary lexemes expressing inferentiveness and which cause epistemicity of a context.

According to structure three kinds of analytical lexemes could be distinguished: 1. prop. particles, segmentation and etymology of which are impossible; 2. synthetic lexemes in which determination of components is possible, though they are not a simple

sum of meanings of these components and 3. deverbative auxiliary words.

The research showed, that the use of inferentive lexemes with verbs screeves is not free. A certain part of them adapt only to indicative (narrative mood) forms, some on the contrary – only to prop. Svan inferentive screeves of a verb (Future-Imperfect – resp. inferentive Present, Future-Perfect with basic-preverbs, Conditional, Conditional-Resultative I and II), rarely – to conjunctions, that on the one hand is connected with the formation of inferency as a semantic and grammatical category and on the other hand with origin stages, chronology of inferentive lexemes that is difficult to determine in an unwritten language.

The paper is mainly of a descriptive character. It is noteworthy, that the majority of analytical lexemes is not fixed in a special literature as well as Svan dictionaries.

დამანა მელიქიშვილი

მეთოდოლოგიური პრობლემები ქართული ენის
გრამატიკულ ლიტერატურაში

ნებისმიერ ემპირიულ მეცნიერებაში და მათ შორის გრამატიკაში ამ მეცნიერების საგნის ან მოვლენის დახასიათება-კვალიფიცირებისას საჭიროა მოხდეს შესასწავლი სიმრავლის კლასიფიკაცია გარკვეული თვალსაზრისით ამ საგნის ბუნებიდან ამოსვლით. სწორი დასკვნების მისაღებად აუცილებელია:

1. საკლასიფიკაციო კრიტერიუმი (პრინციპი) ემყარებოდეს მეცნიერების მოცემული დარგის შესასწავლი ობიექტის (საგნის /მოვლენის) შინაგან, იმანენტურ ბუნებას: გრამატიკის შემთხვევაში — ამ მეცნიერების შესაბამისი დარგების, **მორფოლოგიურ და სინტაქსურ** კრიტერიუმებს: გრამატიკული მოვლენების აღწერა-დახასიათება და კვალიფიკაცია უნდა ხდებოდეს **სტრუქტურული** ანალიზის საფუძველზე, მორფო-სინტაქსური კატეგორიების მიხედვით. კვლევისას (კლასიფიკაციისა და მორფემათა გრამატიკული კვალიფიკაციისას) გამოყენებული უნდა იყოს ამ დარგის, კერძოდ, **გრამატიკის** შესაბამისი და არა ლოგიკური ცნება-ტერმინები (*სუბიექტი*, *ობიექტი* და მისთ.).

„მეთოდოლოგიური იმანენტიზმის“ ეს მოთხოვნები ჯერ კიდევ 1928 წელს წამოაყენა აკად. არნოლდ ჩიქობავამ თავის სადოქტორო ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, მასალები მეთოდოლოგიური იმანენტიზმისათვის“ (ჩიქობავა 1928: 1968) და შემდგომაც, 70-80-იან წლებში თავის მოხსენებებსა და პუბლიკაციებში არაერთხელ დაბრუნებია ენათმეცნიერებაში მეთოდოლოგიურ პრობლემების განხილვას (ჩიქობავა 1959).

ცნობილია, რომ ენათმეცნიერება სწავლობს ენის ფორმასთან ერთად შინაარსსაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მის ერთ-ერთ დარგში, გრამატიკაში ოპერირება ხდებოდეს ლოგიკური ცნება-ტერმინებით: გრამატიკული სტრუქტურა და კონსტრუქცია უნდა აღიწეროს გრამატიკულ ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინებით, რომელთა **სემანტიკურ ფუნქციას** შესაბამისი ლოგიკური (*//* სემანტიკური) კატეგორიის ტერმინი შეესაბამება.

მეთოდოლოგიურად სწორი კლასიფიკაციის იდეალური მაგალითია ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის არნ. ჩიქობავასეული ანალიზის შედეგად ქართული ზმნური შესიტყვების სუბორდინაციულთან ერთად კოორდინაციული სინტაქსური სისტემის გამოვლენა და მის წევრებად **ძირითადი, დიდი და მცირე კოორდინატების** გამოყოფით დაძლეულია ლოგიკის ექსპან-

სიის პრობლემა გრამატიკაში (ჩიქობავა 1928: 1968). ლოგიკიდან შემოტანილი ტერმინები: *სუბიექტი // ქვემდებარე, პირდაპირი / ირიბი ობიექტი // დამატება*, რომლებიც შესიტყვების წევრთა ლოგიკურ / სემანტიკურ დახასიათებას გულისხმობენ, არაადეკვატურად, მცდარად ასახავენ ქართული ზმნის მორფოსინტაქსური შესაბამისობის სურათს; გრამატიკული კვალიფიკაციისათვის „ავენსი“, „პაციენსი“, „ინიციატორი“, „თემა“ და სხვ. ამგვარი ტერმინების გამოყენება არ ცვლის სიტუაციას. ტერმინი „პარტიკიპანტი“ თითქოს უკეთესია, როგორც ნეიტრალური, მაგრამ იგი არ შეიცავს შესიტყვების „მონაწილეთა“ სინტაქსურ დახასიათებას, არ იძლევა მათი სინტაქსური ფუნქციის შესახებ ცნობას / ცოდნას.

ზედმიწვევითაა დაცული „მეთოდოლოგიური იმანენტიზმის“ პრინციპი ქართული ზმნის დრო-კილოთა ფორმების აკაკი შანიძისეულ კლასიფიკაციაში: ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სამ სერიად დაყოფა, რაც ეყრდნობა მორფო-სინტაქსურ კრიტერიუმს — ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურასა და სინტაქსურ კონსტრუქციას ითვალისწინებს ქართული ენის, ქართული ზმნის სპეციფიკას და, ამავე დროს, გამართლებულია ისტორიული თვალსაზრისითაც (ა. შანიძე 1953; დ. მელიქიშვილი 2001: 47-49). აკაკი შანიძის მიერ შემოღებული და ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში დღეს დამკვიდრებული ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სამ სერიად კლასიფიკაციის ეს პრინციპი თავის დროზე „რევოლუციური გარდატეხა“ (ჰამფრისი, 2007; 2011: 83-97) გახლდათ არა მხოლოდ ქართულ, არამედ, საზოგადოდ, გრამატიკულ აზროვნებაში, რადგანაც ა. შანიძემ უარყო ევროპულ გრამატიკულ ლიტერატურაში მიღებული კილოთა მიხედვით კლასიფიკაციის პრინციპი და ქართული ზმნის სპეციფიკიდან ამოსვლით, ერგატიული კონსტრუქციის ზმნების **მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ობოზიციის** მიხედვით გამოყო სამი სერია და მასში შემავალი მწკრივები გრამატიკულ კატეგორიად გამოაცხადა (რაც დიდხანს იყო განსჯის საგანი). ამ კლასიფიკაციამ მოაწესრიგა ქართული ზმნის უღლებადი ფორმების აღწერა, წარმოაჩინა დრო-კილოთა სისტემის განვითარების როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე, სინქრონიული სისტემურად გამართული სურათი.

2. კლასიფიკაციისას აუცილებელია ცნების დაყოფის ლოგიკური წესის დაცვა: გვარეობითი ცნების სწორად განსაზღვრა და ამ კლასიფიკაციის ფარგლებში მიღებული კრიტერიუმის ბოლომდე დაცვა: ამ მხრივ პრობლემები იჩენს თავს ქვევისა და გვარის კატეგორიების განაზღვრისა და კვალიფიკაციისას: დგას ზმნურ ხმოვანპრეფიქსთა გრამატიკული ფუნქციისა და სემანტიკური დიფერენციაციის პრობლემა:

ა) ხმოვანპრეფიქსების **გრამატიკული ფუნქცია ზმნაში მონაწილე პირთა კორელაცია-ორიენტაციის აღნიშვნაა**, ხოლო კუთვნილება-დანაშნულების შინაარსზე, ლოკატიურ მიმართებაზე თუ სხვა სემანტიკურ ფუნქციებზე მიუთითებს „ქცევის“ ლოგიკურ-სემანტიკური ქვეკატეგორია, რომელიც გრამატიკულ

კატეგორიადაა მიჩნეული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ქცევის“; როგორც გრამატიკული კატეგორიის გვარობითი ჯგუფის სახეებადაა მიჩნეული „საარვისო“ (// „ნეიტრალური“) „სათავისო“ (// სასუბიექტო), და „სასხვისო“ (// საობიექტო) „ქცევა“, ხოლო ხმოვანპრეფიქსები **ა-/-ი-/-უ-** კი ამის შესაბამისად — „ქცევის“ გრამატიკული კატეგორიის მარკერებადაა კვალიფიცირებული. ასეთ შემთხვევაში გაუგებარია და აუხსნელი აქტივის ფორმებში **ა-** პრეფიქსის „საარვისო ქცევის“ ნიშნად კვალიფიცირება, ხოლო **ღ-ებ-ი** სტრუქტურის ზმნებში კი, განსხვავებით **უ-** ხმოვანპრეფიქსისაგან, **ე-** პრეფიქსების პასივის ნიშნად კვალიფიცირება (იხ. შანიძე 1953; 1973; შდრ. ჯორბენაძე 1975; მაჭავარიანი 1987; მელიქიშვილი 2001; 2002, 57-59; 2008: №1, 123-130; 2009, №1-2, 78-95; ჰამფრისი, 2011: 83-94). რა თქმა უნდა, ა. შანიძეს, ისევე, როგორც სხვა მკვლევარებს, მხედველობიდან არ რჩება, რომ **ე-** პრეფიქსი, ისევე, როგორც **უ-** სასხვისო ქცევის შინაარსს გამოხატავს, მაგრამ რადგანაც ეს პრეფიქსი ამ ფუნქციით მხოლოდ „ვნებითი გვარის“ ზმნებს ახასიათებს, როგორც ჩანს, ამიტომ იგი **ე-** პრეფიქსს ამ „გვარის“ ნიშანთა რიგში აყენებს).

ბ) პრობლემებს ქმნის ქართული ზმნის უღლების ტიპებად კლასიფიკაციის კრიტერიუმად (გვარეობით ცნებად) „**გვარის კატეგორიის**“ მიღება (შანიძე 1953; 1973; ჯორბენაძე 1975; 1980), რამაც გამოიწვია **ლოგიკურ / სემანტიკური** და **გრამატიკული კატეგორიების** აღრევა, რის შედეგადაც ქართული ზმნის უღლების სისტემის არაადეკვატური სურათია მიღებული: **ღ-ებ-ი** სტრუქტურის ზმნების პასივად კვალიფიცირება, მედიუმის, როგორც გვარის გრამატიკული კატეგორიის მესამე სახის მიღება და **მედიოაქტივისა** და **მედიოპასივის** ქვეჯგუფების გამოყოფა აქტივისა და პასივისაგან ფორმათა „**სესხების**“ დაშვების საფუძველზე (შანიძე 1953; 1973), რაც განმარტებითი ლექსიკონის მთლიანი ზმნური ბაზის (15000-მდე ზმნა) როგორც დიაქრონიულმა, ისე სინქრონიულმა სტატისტიკურ მონაცემებზე ორიენტირებულმა ემპირიულმა კვლევამ და მორფო-სინტაქსურმა ანალიზმა არ დაადასტურა: **ღ-ებ-ი** სტრუქტურა საზიაროა როგორც ავტოაქტიური, ისე აქტიური და ყველაზე იშვიათად — პასიური სუბიექტის მქონე ზნათათვის, ხოლო ე.წ. მედიოაქტივის აწმყოს ფორმებში **ი-** პრეფიქსი ნასესხები არ აღმოჩნდა (ნოზაძე 2008; მელიქიშვილი 2001; 2008, №1: 123-130; 2009, №1-2: 78-95; მელიქიშვილი ჰამფრისი ყუფუნია 2008; ჰამფრისი, 2011: 83-97);

3. აქედან გამომდინარე, კლასიფიკაცია უნდა ეყრდნობოდეს ემპირიულ მასალას (ინდუქციიდან > დედუქციისკენ და არა პირიქით); გრამატიკული კატეგორიის (/ ნიშნის) კვალიფიკაციისას აუცილებელია სტატისტიკური (მათ შორის მონათესავე ენების) მონაცემების გათვალისწინება:

დასკვნების სისწორე-მცდარობა დამოკიდებულია ან წანამძღვრის სისწორე-მცდარობაზე (რასაც ემპირია ამოწმებს და ხშირად დამოკიდებულია ახალი მასალის მოკვლევასა თუ აღმოჩენებზე), ან ლოგიკური არგუმენტაციის სიმ-

ტკიცე-სისუსტეზე. პირველის მაგალითია არნ. ჩიქობავასთვის ჩვეული მტკიცე არგუმენტაციით გამორჩეული ნაშრომები — „რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში“ (ჩიქობავა 1929) და „მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართულში“ (1946), მაგრამ დანასკვის მცდარობა გამოიწვია წანამდღვრის მცდარობამ: კერძოდ, წინასწარ იმის დაშვებამ, რომ მრავლობითისა და ინკლუზივის კატეგორია ერთი და იგივეა, რაც კვლევის შემდგომ ეტაპზე უარყოფილ იქნა ალ. ონიანის მიერ სვანური მასალის მონაცემებით და ძველი ქართულის S-2O-1 პირთა ბრძანებითის ფორმების მასალის გ. ნინუას ანალიზის შედეგად (ონიანი 1978; გ. ნინუა 1968; იხ. აგრეთვე, მელიქიშვილი 1977, №4; 1980-ა, 4: 184-194).

ა. შანიძის კონვერსიის შესახებ ცნობილი მოძღვრების საფუძველზე (შანიძე 1943: 375-382) **ღ-ებ-ი** სტრუქტურის ზმნების აპრიორულად პასივად კვალიფიცირების არამართებულობა აჩვენა ქველ-ის სრული ზმნური ბაზის სტატისტიკურმა მორფო-სინტაქსურმა ანალიზმა: აღმოჩნდა, რომ „აქტივის“ კონვერსიული ფორმების აბსოლუტური უმრავლესობა **სისტემურად აქტიური და ავტოაქტიური (რეფლექსივის) შინაარსისაა** (ამასთან, „თბება“ ტიპისა და -**ღ** სუფიქსიანი ზმნები სისტემურად აქტივის შინაარსის ფორმათა წარმოების ბაზაა და არა კონვერსიის გზით მიღებული) და იშვიათად შეიცავს (ძირითადად უსულო სუბიექტის შემთხვევაში) პასიურ შინაარსს. ეს დასკვნა დაადასტურა ძველი ქართული ნათარგმნი ძეგლების ამ სტრუქტურის ზმნათა ანალიზმაც (მელიქიშვილი 2001, 2008, 2009; ნოზაძე 2008).

4. კვლევისას აუცილებელია სინქრონიისა და დიაქრონიის მონაცემების გამიჯნვა: სინქრონიულ დონეზე ენობრივი ფაქტის კვალიფიკაციისას დიაქრონიული ანალიზის შედეგების (მაგ., მორფო-სინტაქსური მოვლენის რეინტერპრეტაციის) მომარჯვება საჭირო ხდება ფაქტის ახსნის მიზნით, მაგრამ არა სინქრონიულ ჭრილში ამ ფაქტის კვალიფიკაციისთვის: დიაქრონიული ანალიზის შედეგად მორფო-სინტაქსური ფაქტების რეინტერპრეტაციის გამოყოფა და მათი სათანადო კვალიფიკაცია სინქრონიულ ჭრილში მათი ფუნქციის მიხედვით უნდა გადაწყდეს: მაგ.: ქართული ენის განვითარების სხვადასხვა დონეზე ძირეულ ნაცვალსახელთა ფუძის აგებულების // ფუძის სეგმენტაციის პრობლემა მონათესავე ენათა მონაცემებთან შეჯერება-შეპირისპირების შედეგად უნდა გადაწყდეს; ამასთან დაკავშირებით დგას ერთის მხრივ — არსებით სახელთა ბრუნვის ნიშანთა გენეზისისა და მეორე მხრივ — სინქრონიაში ამ ნაცვალსახელთა ბრუნვის ნიშნების კვალიფიკაციის საკითხი (მელიქიშვილი 1980-ბ: 48-56.)

პრობლემა იჩენს თავს მორფო-სინტაქსური ფაქტების ტერმინოლოგიური დახასიათებისას: მაგ.: ძველი ქართული ენის გრამატიკაში ტერმინის „კავშირებითის მწკრივები“ გამოყენების შეუსაბამობა და მიზანშეუწონლობა (ძველ ქართულში ე.წ. „კავშირებითის“ მწკრივთა ფორმები საზიარო იყო თხრობითი

კილოს მომავალი დროისათვის); III სერიის მწკრივთათვის ტერმინ „თურმეობითების“ მიზანშეწონილობის საკითხი როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში (მელიქიშვილი, 2001). გარდამავლობის, როგორც გრამატიკული კატეგორიის საკითხი პოლიპერსონალურ ქართულ ზმნაში და ინვერსიის პრობლემა და ამასთან დაკავშირებით პირის გრამატიკული მარკერების ლოგიკური ფუნქციების განსაზღვრა ისტორიულ და სიქრონულ ჭრილში (მელიქიშვილი 1978: 81-93, მელიქიშვილი 2001: 19-31).

ლიტერატურა

მაჭავარიანი 1987 — მ. მაჭავარიანი, ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, „მეცნიერება“, თბილისი.

მელიქიშვილი 1977 — დ. მელიქიშვილი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში, „მაცნე“, თბილისი, 1977, №4.

მელიქიშვილი 1978 — დ. მელიქიშვილი, „მიჭირს“ ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბილისი 1978, №4.

მელიქიშვილი 1980-ა — დ. მელიქიშვილი, ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი სადავო საკითხის გამო. „მაცნე“. ფილოლოგიის სერია, თბილისი, 1980, №4.

მელიქიშვილი 1980-ბ — დ. მელიქიშვილი, პირის ნაცვალსახელთა ფუნქციის აგებულებასთან დაკავშირებული საკითხები, კრებ. ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები“, თბილისი.

მელიქიშვილი 2001 — დ. მელიქიშვილი, „ქართული ზმნის უღლებების სისტემა“, „ლოგოს პრესი“, თბილისი.

მელიქიშვილი 2002 — დ. მელიქიშვილი, „დიათეზის, გვარისა და ქცევის ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში“. — კრებ. შოთა ძიძიგური, თბილისი.

მელიქიშვილი 2008 — დ. მელიქიშვილი, „ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპებისათვის: I, პირის ნიშანთა სისტემა“, ენათმეცნიერების საკითხები, 2008, №1.

მელიქიშვილი ჰამფრისი ეუფუნია 2008 — D. Melikishvili, J. D. Humphries, M. Kupunia, *The Georgian Verb: A Morphosyntactic Analysis*, Dunwoody press, U. S. A.

მელიქიშვილი 2009 — „ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპებისათვის“: II, 2009, №1-2.

მელიქიშვილი 2011 — Damana Melikishvili, *Towards the Principles of Classification and Qualification of the Conjugable Form of the Georgian Verbs*, Proceedings of

the fifth international Symposium on kartvelian studies, ჟურნ. „ქართველოლოგი“, №5, თბილისი.

ნინუა 1968 — გ. ნინუა, ბრძანებითი კილო ძველ ქართულში, საკანდ. დისერტ.

ნოზაძე 2008 — ლ. ნოზაძე, ქართველური ენების ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი.

ონიანი 1978 — ალ. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები.

ჩიქობავა 1928, 1968 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I. მასალები მეთოდოლოგიური იმანენტიზმისათვის, მეორე გამოცემა, თბილისი.

ჩიქობავა 1959 — Арн. Чикобава, Проблема языка как проблема языкознания, Москва.

შანიძე 1953, 1973 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

შანიძე 1943 — ა. შანიძე, აქტივი და პასივი ურთიერთის მიმართ მრავალპირიანი ზმნის ჩვენებით. — საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, №4, თბილისი.

ჯორბენაძე 1975 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი.

ჯორბენაძე 1980 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმოზომი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი.

ჯორბენაძე 1983 — ბ. ჯორბენაძე, — „ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თსუ გამომცემლობა თბილისი.

ჰამფრისი 2007 — დენიელ ჰამფრისი, „*დამანა მელიკიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა*“ (რეცენზია), ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი.

ჰამფრისი 2011 — J. Deniel Humphries, Creating a practical Dictionary of Georgian Verbs, ჟურნ. „ქართველოლოგი“, თბილისი.

DAMANA MELIKISHVILI

Methodological Issues in the Georgian Language Grammar

S u m m a r y

This paper analyzes the known methodological issues concerning linguistics. It examines the examples of problems, obstacles, and violations of methodological character in Georgian grammatical literature and suggests the possible ways of understanding and overcoming these issues. In any empirical science, including grammar, when studying the subject (or issue), it is necessary to classify the given

numerous data by certain criteria. The following is needed in order to come to the correct conclusions:

1. Adhering to a logical rule of differentiating notions when classifying data: correctly identifying the concept of voice and strictly adhering to the criterion assumed within this classification. (The problem of the categories of version and voice represent the issues of grammatical function and semantic differentiation of verbal vowel prefixes. The grammatical function of the vowel prefixes is to mark the persons' correlation and orientation, whereas the logical-semantic subcategory indicates the possessive, benefactive, locative, and other functions (that which has been considered a grammatical category of version, while unlike the vowel prefix **u-**, the prefixes **i-** and **e-** have been classified as markers of passive voice in **γ-eb-i** structure verbs);

2. Classification criterion (or principle) should be based on the inner, immanent nature of the object, i.e., subject/issue, of the given scientific branch that is to be studied: in the case of grammar, this concerns morphological and syntactic categories. In research, the terms and notions appropriate to the field should be used. Certainly, this does not mean that logical terminology should operate in grammar: grammatical structure and construction should be described by the terms designating grammatical notions, whose function corresponds to the term of the corresponding logical category. (The ideal example for methodologically correct classification is the division of the Georgian verb forms expressing different times and moods by the three series defined by Shanidze. This division is based on the morphosyntactic criterion, i. e., on the morphological structure and the syntactic construction of the verb. Another good example would be the discovery of the Georgian phrasal verb's coordinate syntactic system along with the subordinate system, which happened through Chikhobava's analysis of the Georgian clause structure and mechanism. This coordinate system, which concerns the distinguishing of the main, i.e., the major and minor, coordinates as the system's members, overcame the problem of expansion of logic in grammar). The terms borrowed from logic, such as subject and direct/indirect object, which indicate the content description of clause members, inadequately, incorrectly represent the picture of the Georgian verb's morphosyntactic conformity; furthermore, the usage of the terms 'agent', 'patient', 'initiator', etc. does not change the situation. Although the neutral term 'participant' is better (as the neutral one), it is still inadequate since it does not contain the syntactic characterization of 'the participants' of the clause, i.e., it does not give information about their syntactic function.

3. Classification should be substantiated by the empirical material (from induction to deduction, but not vice versa); it is necessary to take into consideration the statistical data (of the related languages, among them) when classifying a grammatical category. But taking the semantic category of voice as the criterion for classifying the Georgian verb's conjugated forms has created problems; it has caused the confusing intermixing of the logical/semantic and grammatical categories, which resulted in an inadequate picture of the Georgian verb's conjugation system: classifying the **γ-eb-i** structure verbs as passives, allowing 'medium' as the third type of grammatical category of voice, as well as designating the subgroups of medioactives and mediopassives through borrowing active and passive forms, which was confirmed neither by the diachronic, nor synchronic empirical research of the entire verb database of the Georgian dictionary,

nor by the statistic analysis (see the appropriate literature).

4. The validity or invalidity of the conclusions depends either on the correctness or incorrectness of the starting point (this is proved by empiricism and often depends on the discoveries and research of new material) or on the strength or weakness of the logical argumentation. An example for the first one would be Chikhobava's article, 'On the Main Principle of Marking Plurality in the Georgian Language', which stands out for the author's strong argumentation. Here, the incorrectness of the starting point resulted in the incorrectness of the conclusion. (The conclusion stating that the categories of plurality and inclusion are the same was found wrong at the following stages of research. This was done through the work of Oniani, who used the data from the material on the Svanian language, and through Ninua's analysis of the material on the plural forms of the S_2O_1 persons in Old Georgian); likewise, the statistic analysis of the entire verb database of Georgian Explanatory Dictionary showed the invalidity of the a priori qualification of the $\gamma\text{-eb-i}$ structure verbs (/the conversive forms of actives) as passives. This was also confirmed by the analysis of this same structure verbs found in the translated Old Georgian works.

5. During the process of research, it is necessary to demarcate the data on the synchronism and diachrony: when qualifying a linguistic fact on the synchronic level, applying the results of diachronic analysis (e.g., the reinterpretation of the morphosyntactic phenomenon) becomes necessary in order to elucidate the fact, but not for the purpose of the qualification of the fact through the synchronic prism, i.e., bringing to light the reinterpretation of the morphosyntactic facts through the diachronic analysis, and their appropriate qualification through the synchronic prism (for example, (1.) the problem of the structure (/segmentation) of the basic pronoun stems at the different developmental levels of the Georgian literary language, the problem which should be resolved by means of comparing, coordinating, and contrasting the data of the related languages; with regard to this, on the one hand - the issue of the genesis of the noun case markers, and on the other hand - the qualification of the pronoun case markers in synchrony; (2.) the problem of the terminological description of the morphosyntactic facts: for instance, the pertinence of the usage of the term 'conjunctive screeve/s' in the Old Georgian grammar; (3.) the issue of relevance of the terms 'first evidential' and 'second evidential' for the third series screeves in both the Old and Modern Georgian; (4.) the issue of transitivity in the polypersonal Georgian verb as being considered a grammatical category, as well as (5.) the problem of inversion, and with this regard, the defining of the logical functions of the person's grammatical markers through both the historical and synchronic prisms).

მედეა საღლიანი

-ღე/-ღენ/-ღენ/-ღენა/-ღენა/-ღენა/-ღენა/-ღენა/-ღენა ნაწილაკების ფუნქციისა და წარმომავლობის შესახებ სვანურში

პროფ. ვ. თოფურია სვანურ ნაწილაკებზე მსჯელობისას გამოყოფს რამდენიმე გაურკვეველი მნიშვნელობის ნაწილაკს. ესენია: **ღენ**, **ენგი**, **გომნ**, **მირ** და **ჭურ** (თოფურია 2002: 208).

ამჯერად ჩვენ შევეხებით მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ, **-ღენ** ნაწილაკს, რომელიც საკმაოდ პროდუქტიულია სვანური ენის სამ დიალექტში: ბალსზემოურში, ლაშურსა და ლენტეხურში და, აგრეთვე, ჩოლურულ მეტყველებაში. რაც შეეხება ბალსქვემოურ დიალექტს, იქ აღნიშნული ნაწილაკის ხმარება არც პუბლიკაციებში და არც თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში არ დაგვიფიქსირებია¹.

-ღენ ნაწილაკი სვანური დიალექტების მიხედვით შემდეგ ფონეტიკურ ვარიანტებს იძლევა: ბზ. **ღე²**, (ბზ., ლშხ.) **-ღენ**, ბზ., ლშხ., ჩოლ. **-ღენ**, **-ღენა**, ბზ., ქს. **-ღენა**, ბზ., ლნტ. **-ღენა**, ჩოლ. **-ღენა**, **-ღენ**.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაც ცნობილი, სვანურში ნაწილაკთა რამდენიმე ფუნქციურ ჯგუფს გამოყოფენ, რომელთა ერთ ნაწილს, ქართულის მსგავსად, სუფიქსური ელემენტის სახე აქვს, მეორე ნაწილს კი — დამოუკიდებელი სიტყვისა და ისინი ზმნასთანაც დასტურდებიან და — სახელთანაც.

რა შეიძლება ითქვას აღნიშნული ნაწილაკის როგორც ფუნქციის, ასევე წარმომავლობის შესახებ?

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შევეცდებით **-ღე/-ღენ/-ღენ/-ღენა/-ღენა/-ღენა/-ღენა/-ღენა/-ღენა** ნაწილაკის ფუნქციის დადგენას.

-ღე/-ღენ/-ღენ/-ღენა/-ღენა/-ღენა/-ღენა/-ღენა/-ღენა თანამედროვე სვანურში, ერთი შეხედვით, ფუნქციადაკარგული ნაწილაკის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი გამოიყენება როგორც ნებისმიერი მეტყველების ნაწილთან (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა,

¹ ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ ლახამულური კილოკავისთვის მითითებული **ღენა**, ვფიქრობთ, კორექტური უნდა იყოს.

² აღნიშნული საანალიზო ფორმა ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანური ლექსიკონის“ მიხედვით იგივეა, რაც **ღენ** (იხ. გვ. 793), თუმცა სალექსიკონო სტატიაში (იხ. გვ. 794) **ღე** ნაწილაკი გამოტოვებულია. როგორც ჩანს, შემთხვევითაა გამორჩენილი.

თანდებული, კავშირი, ნაწილაკი)¹, ასევე სახელზმნასთანაც (საწყისთან და მიმდევობასთან). აღსანიშნავია ისიც, რომ ჩაერთვის ზმნისწინსა და ზმნას შორისაც.

თვალსაჩინოებისათვის სრულად წარმოვადგენთ სვანურ პუბლიკაციებსა და თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში ჩვენ მიერ დაფიქსირებული საანალიზო ნაწილაკის ხმარების ყველა შესაძლო ვარიანტს:

1. **არსებითი სახელი + -ღენ/-ღენა** ნაწილაკი. მაგ.:

მეცქუილღენ ლოხუზგზი! „მოდი და მოციქულს („მო-ციქ-ულ-ს-ღა“) გავუგზავნი!“

ქაჯდ ხაქუ ჭყინტს: „მესმე **გუეშღენ** ჩუდ ჩუემნ!“ (ბზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1939, 277:15) „ქაჯმა უთხრა ბიჭს: „მოდი და მესამე საქმე ისევ გააკეთე („ქენი“)!“

„მგხმგროღლღენ ლალომედ!“ — ხაქუ მუშგურიდ (იქვე, 254:17) „მელორეს მივცეთ!“ — უთხრა სტუმარმა“

მი ხუი დაურხან მუკბანიან, არემტუი მეტ ხუი, მარე ომა **ზადღენა** მემიხა, არემტი მერუ ჩუ ხურრა (ჩოლ.)² „მე ვარ დაურხან მუკბანიანი, ოთხმოცზე მეტის ვარ, მაგრამ რამდენი წლის („წლისღა“), არ ვიცი, ოთხმოცდაორის კი ვიქნები...)“ და ა. შ.

2. **ზედსართავი სახელი + -ღენ** ნაწილაკი. მაგ.:

ალე მანდ მაკუ, **ხოჩაღენ** ამივღ! (ლნტ.) „ეს არ მინდა, ერთი კარგი („კარგიღა“) მომიტანე!“

ხოლაღენ ეჩხი ეთიტხ! (ჩოლ.) „აბა, ერთი, ცუდი იქით გაწიე („დაიბრუნე“)!“

ხოჩილღენ ლამბიშ! (ჩოლ.) „აბა, ერთი, უკეთესი მომაწოდე!“

მეშხალღენ ეთშხუნ! (ჩოლ.) „აბა, ერთი, მოშავო შეინახე!“ და სხვ.

3. **რიცხვითი სახელი + -ღენ/-ღენა** ნაწილაკი. მაგ.:

მეჭგრდაღენ ნომის ღგრიდ! (ბზ., სვან. პოეზ., 1939, 126) „ორივე ნულა წახვალთ!“

სემიღენ მწუტენ! (ლნტ.) „აბა, ერთი, სამი („სამიღა“) მაჩვენე!“

ქა მაწე **ეშხუღენა**! (ჩოლ.) „მანახე, აბა, ერთი!“ და ა. შ.

4. **ნაცვალსახელი + -ღე/-ღენ/-ღენა/-ღენ/-ღენა** ნაწილაკი:

ა) **პირის ნაცვალსახელი + -ღენ/-ღენა** ნაწილაკი. მაგ.:

ბაპდ ხაქუინ ჭყინტს: „დალო, მანღენ ლელუჭპარი ჭულუა, **სიღენ** ლანდი მი

¹ ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს შორისდებული, რომელთანაც ვერ დავადასტურეთ.

² ჩოლურული მასალა, ძირითადად, მოყვანილია ჩვენ მიერ 2008 წელს საველე პირობებში მოპოვებული მასალიდან.

ლამმმარჯუ, ეჩქას ეჩის ქა აჯჰოდნი“ (ბზ., სვ. პროზ., 1939, 152:13:13) „მღვდელმა უთხრა ბიჭს: „აბა, რაც სავაჭრო გაქვს, შენ („შენლა“), ერთი, დღეს მე დამეხმარე, მაშინ იმას გაგაყიდინებ!“

ეჩქა ხორტა მუხუბედ ლქტუ: „აღუე, **მიღენ** აღტინე“ (ლნტ., სვ. ქრესტ., 1978, 337:18) „მაშინ უმცროსმა („პატარა“) ძმამ თქვა: „აბა, ერთი, მე წავალ.“

ბ) **ჩვენებითი ნაცვალსახელი** + სხვათა სიტყვის ნაწილაკი -იჯ „-მეთქი (I პირ.) და -თქო (II პირ.)“ + -**ღენ** ნაწილაკი. მაგ.:

მი **აღეიჯღენ** ლამომდ, აღეიჯ ლი ხოჩა! (ჩოლ.) „მე ეს მომეცი-მეთქი, ეს არის-მეთქი კარგი!“

ჩვენებითი ნაცვალსახელი მიჩ „მას“ + ნატვრით-კავშირებითი ნაწილაკი -უ „მცა“ + ნატვრით-კავშირებითი ნაწილაკი -უთი „მცა“ + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ესერ** „-ო-“ + -**ღენ** ნაწილაკი + **ზმნის პირიანი ფორმა**. მაგ.:

ჰყინტლ ხწქტუ: „ალო, **მიჩუთი ესერღენ ლახუენშ**!“ (ბზ., სვ. პროზ., 1939, 252:20, 23) „ბიჭმა უთხრა: „აბა, ერთი, მეც („მასმცამცაოლა“) მომეციო („მისცეს“)!“ და სხვ.

ბალსზემოურში, როგორც ვხედავთ, დაფიქსირდა ჩვენებით ნაცვალსახელზე რამდენიმე ნაწილაკის ერთდროულად დართვის შემთხვევა, რომელმაც ერთობ საინტერესო კომბინაცია მოგვცა: ჩვენებითი ნაცვალსახელი **მიჩ** „მას“ + ნატვრით-კავშირებითი ნაწილაკი -უ „მცა“ + ნატვრით-კავშირებითი ნაწილაკი -უთი „მცა“ + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ესერ** „-ო-“ + -**ღენ** ნაწილაკი + **ზმნის პირიანი ფორმა**.

ბალსქვემოურში ნაწილაკთა ასეთი გართულებული კომბინაცია არ შეინიშნება, მაგ., შდრ. **მიჩოღუთი ესერ** „მეცო („მასმცაო“), მითუმეტეს -**ღენ** ნაწილაკის კვალიც კი არ ჩანს.

გ) **კითხვითი ნაცვალსახელი** + -**ღენ/-ღენა** ნაწილაკი

„ბერდ რწქტუ: „**მწაღენ** ესერ აღდვარს ამზუმ ჩუ ხწამედახ, ერე მიჩა ლაუჟაისგა აღამაგ ჟ'ოხტუსყახ“, ადრეკ ჟოლოზრ ი ათვგვრან ღერბათუ ... (ბზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1939, 86:14) „ბერმა თქვა: „რადგანაც („რაც“) ამათ („ამეებს“) ამდენი („ამ-ზომა“) შეუძლიათო („ქე ე-ი-იმედ-ებ-ა-თ“), რომ ჩემი („მის“) ძილის განმავლობაში („ძილში“) ამდენი („ეს ყველა“) გააკეთესო („გაუკეთებიათ“), დაიკიდა ყინულები და შეეხვეწა ღმერთს“

„მეჩი მარედ ხწქტუ კენსარს: „... აშხუ თუეუნლო **მწაღენ** ნრახ 'ეჯდარ', ეჯას ჟ'ეხმევირი!“ (იქვე, 114:4) „მოხუცმა კაცმა უთხრა კეისარს: „ერთი თვის მერე რაც („რალა“) იქნებიან ისინი, იმას გაიგებ!“

ჟ'ახანდ მიჩა ჰწშ: „**მწაღენ** ესერ ღერბეთ ამნ მუჩუმე ლი, ქ'ათ ესერ ახრაშტან!“ (იქვე, 161:11; 200:18; 285:6) „ავიდა თავისი („მისი“) მეუღლე („კაც-ი“): „რომელი („რალა“) ღმერთიც ამისი გამკეთებელი („მქმნელი“) ხარ („არის“), მომცილდიო („მოსცილდამცაო“)!“

ათხე ამნემ ხაჭტინ, ... რქაჯღ: „მწღენა ესერ ლი, მწა ესერ ჰაჯ ხეკტეს, ეჯას ესერ ხაჩო ი ჳ'ესერ ჩ'უტუ აფიშტდ!“ (იქვე, 212:18) „ახლა ამან უთხრა, ქაჯმა: „ვინცა ხარ („არის“), რა სურვილიც გინდა („უნდოდეს“), იმას აგისრულებო („უზამს“) და მე („თვითონო“) გამიშვიო („ჩაუშვამცა“)!“

ღესამა ხომვერან, მიჩ მწაღენ ხადახ ალდარ (ღმხ., სვ. პროზ. ტექსტ., 1957, 81:3) „არაფერი იცოდა („გაეგებოდა“), მისთვის („მას“) ვინ იყვენ ესენი („რალა ჰქონდათ ესენი“)“

ხენწიფ ლახადა ლაჭტდელაღს, იმღენ ხაშდბახ ... (იქვე, 131:1) „ხელმწიფემ დაუწყო გამოკითხვა („შეუდგა გამოკითხვას“), თუ რას („რასმცალა“) აკეთებენ“

ერქას ეჯნემ მექტ: „ჩუ ლოქ დერ ჳიხალ, ერე მი მაგკალიბიღენ ხტი მეშმართე?“ (ღმხ., სვ. ქრესტ., 1978, 257:7) „მაშინ იმან მითხრა: „ხომ იციო, რომ მე როგორი („რა-ყალიბ-ი-ღა, როგორიმცა“) ვარო მუშების მიმართ („მუშებ-რის-კენ“)?“

ხედიღენ სოფლი მებერგდელღ ადკანენე მუსი მურყუამს, ... ზატუა მაჯედღ ეჯ სოფლი ხალხს ხარ ანღელს (ღმხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, 136:20) „რომელი სოფლის მოჭიდავეც წააქცევს თოვლის კოშკს, საშემოდგომო („წლიწ“) მოსავალიც იმ სოფლის ხალხს მოუვა („აქვს მოსალოდნელი“)“

„უხეიროდ ხაჭტუ წმიდა ელღას“ ...: „ალტე, იმწაღენა ლერბეთ ხირა, ეჩის აშიშტ ჩუჯაჭტიტენე!“ (ღმხ., სვ. პროზ. ტექსტ., 1967, 220:19) „უხეიროდ უთხრა წმინდა ელიას: „აბა, რაცღა ღმერთი იქნები, იმას ხელად გაგიგებ!“

იტანე მარედ ასასიპებ ი ქა ხაჭტუ მწგ, მღენ ლას დწტი ლაქუნ (ღმხ., სვ. ქრესტ., 1978, 353:32) „ივანე კაცად აქციეს და ყველაფერი („ყველა“) უთხრეს, რა იყო დღვის სასულეთი“

ალ სია ალ მეზგად ... ჩუ ხეკტეს ადჭტედნას, მწზუმღენ ხარ ლგვიდ ეჯ მეზგას რუნწწუტარ (ღმხ., სვ. პროზ. ტექსტ., 1967, 53:18) „ეს სია ამ ოჯახმა („მოსახლემ“) უნდა წაიკითხოს, რამდენი („რა ზომა“) აქვს იმ ოჯახს („მოსახლეს“) მოტანილი შესაწევარი („შე-ნა-წ-ევ-არ-ი“)“

ხელათ ქა ჳაყლე, მაკალიღენა ლი დწუ (იქვე, 70:5) „ხელათ გეტყვის, როგორია („რა ყალიბ-ი არის“) დევი“

ქა დწრს ხესმოლ, იმწაღენ რაგაღდა რთთიწ (იქვე, 71:31) „არავის არ ესმოდა, რას ლაპარაკობდა თათია“

თათიწ ... ერანღო ქა ხოტხე ალმინს, იმწაღენ ხარაგაღდის ეშმარ (იქვე, 72:37) „შემდეგ („მაშინს მერე“) თათია ამათ უყვება („უბრუნებს“), რთუ რას ელაპარაკებიან ეშმაკები“

ალე ფაუტუ ჩუ ლოქ ხოხბე თხუმს, ხედიღენ ლოქ ლემარ ამწა მუჩომ! (ჩოლ.) „ამ ჳოხით (წდრ. ძვ. ქართ. „ფაენ-ი“) გაგიხეთქავო („გაუხეთქავს“) თავს, რომელიც იყო ამისი გამკეთებელი!“

მემიხა, მაკაღენ ლი ათხე ეჯი, მაკაღენ ანჯდენღლ? (ჩოლ.) „რა ვიცი როგორია ის, როგორი მოვიდოდა?“

ხტიმგენად ამჟი, ერე **მაკალიბდენ** ხეფსროლ (ჩოლ.) „თვალის ზომით ვხვდებოდით, თუ როგორი გამოვიდოდა“

ლოხსგიდდა ჟიბაჟ, ანლრი ჟერბ, **მადენა** ახლტა (ჩოლ.) „ახედა ზემოთ, მოდის ვერბი, რაღაცა მოაქვს“

ლარყინ დესა მიხა **მადენ** ლი (ჩოლ.) — „ლარყინი“ არ ვიცი რა არის

ეჩნლო ჩუედღირტუხ, ერე ჩუერ ლემარდ **მადენა** (ჩოლ.) „იმის მერე დაიჯერეს, რომ ყოფილა („ნამყოფა“) რაღაცა“

აჯალ **მადენას** ხელროტულდა: „დემ ლოქ ემვედ“ (ჩოლ.) — კიდევ რაღაცას ატყუებდა: „ვერ მოვიდაო („მოსულა“)“

ათხე, **მადენ** ანსყინე ალე გამგებელ, ალეს ჟი ლოხთერდ ნაბ, დერა? (ჩოლ.) „ახლა, რას გააკეთებს ეს გამგებელი, ამას შევატყობთ ჩვენ, არა?“

ჟიბე შტანს **იმდენ** ხაყლედ ეჯი ტაბიკარს, ჟიდტას ერ ხარ? (ჩოლ.) „ზემო სვანეთში რას ეძახით იმ ტაბიკებს, უღელს რომ აქვს?“

ჟახნოს დემ ჯატული, **მარდენ** მიწნარს (ჩოლ.) „სახელებს ვერ გეტყვი, ვინ მახლდენ“

ქერ იგათუი სერ ალე ხოჩამდ, ეჩნლო დნდგენენ აჯალ, ერე ზატდაშდ **მარსდენ** დაეშალოს ლაძიან ლითხელი ემჩუნენ (ჩოლ.) „რომ გათავდება მოკლეთ ეს კარგად, მერე დაადგენენ ისევ, რომ მომავალი წლისთვის ვინმეს („ვიღაცას“) დაევალოს იქ საკლავის მოძებნა („მოგნა“)“

მადენ ლი, **მადენ** ხადშხა ეჯის, ფხუნილ მერ ლი **მადენა** (ჩოლ.) „რა არის, რა ჰქვია იმას, რაღაც ფხენილია“

დინა გეზალ, შტეტს ხაყლენს **იმდენამ**, ეჩხატ ლი ლგწურლე (ჩოლ.) „ქალიშვილი, შვეციას ეძახიან თუ რაღაცას, იქაა გათხოვილი“

დედელ ხეტჟ სერ: „... ბეფშ ლოქ ლეგდ ხაყენა ი მიჩ ლოქ ხოთონა **მადენალ** ლოქ, ჟი ლოქ ოხსყა ეჯი მაგ ი ხოჩამდ ლოქ ემვედელი“ (ჩოლ.) „დედამ უთხრა: „ბავშვი მყავდაო ავად და შენ („მასო“) მასწავლეო რაღაცეები, ის ყველაფერი გავაკეთეო და კარგად გახდაო“

ეჩნდონენ ლახთონალე აჯალ **მადენალ** დედეს: „ამჟიშ ლოქ მოიქცა, ეჯჟიშ მოიქცა“ (ჩოლ.) „მერე ასწავლა კიდევ რაღაცეები დედას: „ასე („ასემც“) მოიქციო („მოიქცა“), ისე მოიქციო“...

ეს უკანასკნელი მაგალითები საინტერესოა იმით, რომ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **მადენა** გამოყენებულია ჩოლურულში მრავლობითი რიცხვის ფორმით.

ჩოლურულში შეგვხვდა **დენ** ნაწილაკის ორმაგი ხმარების შემთხვევაც [მაგ. ეჯ ლადელ მემიხა **იმდენ დენ** ხეშტაბდა „იმ დღეს არ ვიცი (თუ) რას აკეთებდა („მუშაობდა“)“], რაც, ვფიქრობთ, მთქმელმა მეტი ექსპრესიულობისათვის გამოიყენა.

კითხვითი ნაცვალსახელი + -ღენ ნაწილაკი + **ჟნა** „-ც“ ნაწილაკი. მაგ.:

ეჩქა ხწქტინ ფარმშვღ: „**მაღღენჟნა** ხარი ამკალი ამეჩუნ, მწა ჰაჯ ჯეკტეს, ეჯა მქქარ, ეჯას ჯანო!“ (ბზ., სვ. პროზ., 1939, 139:31; 140:28; 361:11) „მაშინ ფარმევანგმა უთხრა: „ვინცა ხარ ამისტანა აქ, რა ნატვრაც გინდოდეს, ის მითხარი, იმას გაგიკეთებ („გიზამ“)“!

მინუ ლეჰვთ ლიხ, ეჩმარე ლაწადთე მრდღე აჩეხ, **მწღენჟნა** ესერ ამთნარ ლიხ ეჯდარ?! (იქვე, 96:25; 98:23; 164:7, 28; 181:15; 233:24; 236:30; 237:27; 330:12) „ჩვენ („თვითონმცა“) დაწყევლილი ვიყოთ („არიან“), იმათ („იმეები“ს“) სანახავად თუ არ წავიდეთ („წავიდენ“), ამისტანები ვინ („რალამცა“) არიან ისინი?!“ და სხვ.

კითხვითი ნაცვალსახელი + სხვათა სიტყვის ნაწილაკი ლოქ „-ო“ + **-ღენ** ნაწილაკი. მაგ.:

თეთრ მაროლდ ლქქტე: „**მარ ლოქღენ** ლემარ ალე ჟოჯახაშენებულ“?! (ლშხ., სვ. პროზ. ტექსტ., 1957, 105:28) „უსინათლო კაცმა თქვა: „ნეტა ვინ იყო ეს ოჯახაშენებული?!“

ქემვედ წგრნი ჟიჯ ი ხრქტა: „... **მწა ლოქღენ** ლი“? (იქვე, 108:24) — გამოსულა წითელი გველი და უთქვამს: „რა არისო?“

„უიჯდ ხქქტე: „... **იმნ ლოქღენ** ნიშნაუს ალე“? (იქვე, 109:21) — გველმა ჰკითხა („უთხრა“): „ეს რას ნიშნავსო?“

ეჯს ლოქ ჯად ხათონე, **მარ ლოქღენ** ნრა! (ჩოლ.) „იმას მე („თვითონ“) გიჩვენებ („აჩვენებს“), ვინც ვიქნებო („იქნება“)“ და ა. შ.

კითხვითი ნაცვალსახელი + სხვათა სიტყვის ნაწილაკი -იჯ „-მეთქი (I პირ.) და -თქო (II პირ.)“ + **-ღენ** ნაწილაკი. მაგ.:

ხოსდნხ'ნჯ სნმაგ ი **მაიჯღენ** ლი ს'ნჯ ხოსდნხი ი მნმაგ! (ჩოლ.) „შენც უყურებ-მეთქი და რაც („რა-მეთქი-ლა“) არის შენც უყურებ-მეთქი და მეც!“

ჟიბე შტანარდ **მარდიჯღენ** ...მგდე... ადმეხ, იარალ, მ'ნჯ იმხენ ემვედნი ეჯი?! (ჩოლ.) „ზემო სვანებმა ვილაცამ („ვინადმეთქილა“) ის წაიღეს-მეთქი, იარალი, მე საიდან მომივა ის-მეთქი?!“ და სხვ.

კითხვითი ნაცვალსახელი + -ღენ ნაწილაკი + **ჟნა** „-ც“ ნაწილაკი + დროის ზმნისართი **ჩიქა** „დროს“. მაგ.:

მეყრონტალე ლომდ ლიტეხს დემერ იმვერი, **მაღღენჟნა ჩიქა** ტეხნის (ლშხ., სვ. პროზ., 1957, 30:10) „წეროების უკან დაბრუნებას ვერავინ იგებს, თუ რა („რალამცა“) დროს ბრუნდებიან...“.

შეგვხვდა ისეთი შემთხვევაც, როდესაც კითხვით ნაცვალსახელსა და **-ღენ** ნაწილაკს შორის ადგილს იკავებს სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ესერ**. მაგ.:

ლახგვრგლე ამჩიქა ზურალდ დწუს: „**მწა ესერღენ** ლი, ქწუ ანთენწწ ი ქწუ ლწწუწენწწ!“ (ბზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1939, 250:8) „ამ დროს („ამასობაში“) დაელაპარაკა ქალი („ქალმა“) დევს: „ვინცა („რაოლაცა“) ხარ, გამოჩნდიო („გამოჩნდამცა“) და დამენახეო („დაენახამცა“)!“

დ) **მიმართებითი ნაცვალსახელი + -ღენ/-ღენა/-ღე** ნაწილაკი. მაგ.:

ბზ. ეჩქა ლახტულ, ერე „ჩუტუ ესერ ანვად, **ერტუაღენ** ლი, ადო ესერ თრფს ხატყცი“! (იქვე, 370:5) „მაშინ დაუძახა, რომ „ჩამოდიო („ჩამოვიდაომცა“), ვინცა („ვინცლა“) ხარ („არის“), თორემ თოფს გესეროო („ურტყამს“)!“

სგვხფედნღონ დნტუ შახან-შარახმათს ი ლახტუნლ: „**ერტუაღენა** ხი სი ამთნ მიშგუა ჯტეგი მგდესგი, ... ლჰჰჰოლა სგა ი ისგუა იშტსნ ოფთქტუე ი ჯიჯტსნ“! (იქვე, 185:15) — მიუახლოვდა დევი შახან-შარახმათს და დაუძახა: „ვინცა („ვინცალა“) ხარ შენ ამისთანა ჩემი ჯოგის წამყვანი („წამლები“), დაგეწევი და ძვალ-რბილს გაგიერთიანებ („შენს ხორცსაც გავხებქ და ძვალსაც“)!“

თხნრად ხნქტინ: „... **აერტუაღენ** ხარიდ ჟიქან, ეშხტნლ აჯალ ჩუდ ამკუტარდ“! (იქვე, 139:1) — მგელმა უთხრა: „ვინცა ხართ („იმყოფებით“) ზემოთ, ერთი („ერთუკა“) კიდევ ჩამომიგდეთო!“

აერტუაღენ ესერ ლი მიჩა ჯტეგი მგდესგი, ახთრფეს ესერ! (კოდ. ტექსტ.) „რომელიც („ვინცლა“) არისო ჩემი („მისი“) ჯოგის წამყვანი („წამლები“), ესროლეთო („ესროლესო“)!“

სამთრლღ¹ ნქტუ დნტს: „**ხედტუაღენ** ესერ ანწინის უშხტნარ, ეჯას ესერ უშხტნარ ახთუნის“! (ბზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1939, 396:8) „სამთილმა უთხრა დევს: „რომელიც („რომელიცლა“) მოვერევითო („მოერევიან“) ერთმანეთს, იმასაც ნახავო („ერთმანეთს ასწავლიან“)!“

აარტუაღე ხი, ქანღე! — ვინცა ხარ, გამოდი! **იმტუაღენ** ხიპნრტყტულ, ნომმნტუ ლჰჰამა სერ! (ბზ., სვ. ქრესტ., 1978, 56:30, 34) „რასაც ცეცხლავ („ყლაპავ“), არ („ნუ-მცა“) გეჰამოს („გიჰამია“) მეტი!“

... მინე პატრონუ ... ხოსგდის, **ხედღღენ** ეხწინახ ... ჯანარ უშხტნარ (ლზხ., სვ. პროზ. ტექსტ., 1957, 157:30) „მათი პატრონები უყურებენ, თუ რომელი („რომელიცლა“) ხარი მოერევა...“

სანყურს ფალატანდ აშმა ი ლექტუატიანუ ამნოტუშ იმვერდახ, **აარღღენ** ლას ... მეტბრგდელ (ლზხ., სვ. ქრესტ., 1978, 239:21) „საყვირს ფალავანი უკრავდა და ქვედაურელები ამითი იგებდნენ, ვინ („ვინცლა“) იყო მოჭიდავე“

ადზგზე ხელწიფდ ხალხ ეჩა ლამვერდ, **აესტუაღენ** ხოტტრა ჟი მუტტარ (ლზხ., სვ. პროზ. ტექსტ., 111:12) „ხელმწიფემ ხალხი გააგზავნა იმის გასაგებად, თუ ვის („ვისაცლა“) უნთია სინათლე“

მახელტაჟარ ... უშხტნარ ხემქარალხ, ერე **ხედღღენ**¹ ხოშა ჯრდდად ადკუტანნე ბეჩს ... (იქვე, 141:1, 2) „ახალგაზრდები („ახალ-ვაჟ-ებ-ი“) ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ რომელი („რომელიცლა“) უფრო შორს გადააგდებს ქვას“

ჟოშტუაღენ ქუნ ამსტნლდ ქორს ჯეყენრლ, ქა ხნქტნინ მორგატას (იქვე, 10:14) „რამდენი („როდესაცლა“) სული („ადამიანი“) გეყოლებოდა სახლში, ეტყოდი უშამავლებს („მო-მ-რიგ-ებ-ლ-ებ-ს“...)“

¹ პარალელურად ლაშხურ ტექსტებში **ხედღღენ** (სვან. პროზ., გვ. 136:6) ვარიანტიც დასტურდება.

სკ'ატახ კესარიშხო: „მიიან ხოჩილ ლოქ ლიხ, **ერჷშადღენ** ლოქ ლიხ“ (ლნტ., სვ. ქრესტ., 1978, 320:26) „შებრუნდა კეისართან: „შენზე („მასზე“) უკეთესები („უკეთესი“) არიან, ვინც („ვინცლა“) არიანო“

... ხაქუტ ... თენგიზი მეხუდ 'კუდიანს' ...: „**აერჷშადღენ** ლოქ ხუირა, ეჩქა ლოქ ხეწედენიხი, **სპიჭკა ლოქღენ** ახატუპარ ჟი!“ (იქვე, 313:21, 22) — თენგიზის მეუღლემ („ცოლმა“) უთხრა კუდიანს: „ვინცა („ვინცლაო“) ვარ („ვიქნები“), მაშინ დაინახავო, ასანთი აანთეო!“

მაგ ჩ'ოთთირა ეჯ ზურღლ, **მარიღენ** ლასხ ემჩუ (ჩოლ.) „ყველანი უცვნია ის ქალები, ვინც („ვინცლა“) კი იქ იყვენენ“ და ა. შ.

ძალზე ხშირად სვანურ დიალექტში **მიმართებით ნაცვალსახელსა** და **-ღენ/-ღენა** ნაწილაკს შორის ჩაერთვის სხვათა სიტყვის ნაწილაკები **ესერ** და **ლოქ**. მაგ.:

ხელწერილღ'ღ' ... ლახტურღ: „**ერჷშა ესერღენ** ლი, ჯა ზურღლ, ეჯა გეზალ ესერუ ლჷსუ ი ჯა — დი“ (ბზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1939, 106:9) — ხელწერილმა დაუძახა: „ვინცა („ვინცაოლა“) ხარო („არის“), შე („თვითონ“) ქალო, ის შვილი („შვილიომცა“) იყოსო და შენ („თვითონ“) — დედა“

...ზურაბღ'ღ' ... ხაქუტინ 'ალას': „მალო, **აერჷშა ესერღენა** ლიზ, ლექჷშუ ესერ ლჭხანსდა!“ (იქვე, 209:27) — ზურაბმა უთხრა ამას: „აბა, ვინცა („ვინცაოლა“) ხარ („არის“), ქვემოთ ჩამოდიო („გადაეყარა“)!“

აერჷშა ლოქღენ ჭაბუკუ ლი, ლერექჷთუ ლახტიხ“, — ლახტულე ზითუნახატუდ (ლშხ., სვ. პროზ. ტექსტ., 1957, 80:27) „ვიდაცა („ვინცოლა“) ჭაბუკი ხარო („არის“), ტანსაცმელი („სამოსელიმცა“) დამიბრუნეო („დაუბრუნა“)“, — დაუძახა მზეთუნახავმა

მწარად ხექჷ: „**ხედღე ლოქღენ** ეთწინახ, მარ ლოქ ხაყახ ამშა მოწუშ“? (იქვე, 134:16) — კაცმა უთხრა: „რომელი („რომელიცლა“) მოერევაო („მოერევიან“), იმისი („ამისი“) მგწმე ვინ გყავთო?“

გუსეინს ... ხოქჷა ...: „**აერჷშა ლოქღენ** ლი, ჩ'უთუ ანჩად!“ (ლნტ., სვ. პროზ. ტექსტ., 1967, 188:28) — გუსეინს უთქვამს: „ვინცა („ვინცოლა“) ხარ („არის“), ჩამოდიო („ჩამოვიდამცა“)!“

ეღ დენას ხოქჷა: „**ერჷშა ლოქღენ** ლი, ქა ლოქუ ანჩეს ...!“ (იქვე, 253:37) — იმ გოგოს უთქვამს: „ვინცა („ვინცოლა“) ხარო („არის“), გამოდიო („გამოვიდესო“)!“

ე) **განსაზღვრებითი ნაცვალსახელი** + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ლოქ** „-ო“ + **-ღენ** ნაწილაკი. მაგ.:

ეჩქა პთეცუდა მიჩა აფხანჩიკ: „... აღჷუე, **ჯე ლოქღენ** აღინე“ (იქვე, 185:1) — მაშინ ეჩხუბა თავისი („მისი“) ამხანაგი: „აბა, ერთი, მე („თვითონოლა“) წავალო („წავა“)“ და სხვ.

ე) **განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი** + **-ღენ/-ღენა** ნაწილაკი. მაგ.:
ქა ლახინსატუნა ჟიბარე ხოშამ, ერე მევღე ლიხ **აერჷშადღენ** ი საყდარს

კუმეხ (ლმზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1957, 67:33) „ზემოურების უხუცესს დაესიზმრა თურმე, რომ მოსულები არიან ვიღაცები და საყდარს აღებენ („ტეხენ“)“

მავიდ **იმღენამ** მადრავ (იქვე, 72:31) „ვიღაცამ მათრახი დამარტყა“ და ა. შ.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი შეიცავს კითხვით ნაცვალსახელსა და **-ჟანღ** ნაწილაკს (მარტიროსოვი 1964). სვანურ საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ კი გვიჩვენა, რომ აღნიშნული ნაწილაკის გარდა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის მისაღებად **-ღენ** ნაწილაკიც გამოიყენება, რომელიც სიტყვას მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს.

ჩოლურულში შეგვხვდა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფუნქციით გამოყენებული ფორმა **მღენაშ** „რალაცის“ (მაგ. ქამ, ძინარს, ეჩა ნადგარმეყ ჯიჭუ ი ალე დესმა ლემარდ, პერ ლემარდ საშინელ, ლასისკარ პერ მერ **მღენაშ** „გარეთ, დილით, იმის მონაკლავ ადგილას ძვალი და ეს არაფერი ყოფილა, საშინელი ქაფი ყოფილა, საძაველი ქაფი რალაცის“), რომელიც მიღებულია **მაღ** კითხვით ნაცვალსახელზე **ღენ** „ღაცა“ ნაწილაკის დართვით. ამ შემთხვევაში **ღენ** ნაწილაკის ფუნქცია გამჭვირვალეა, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ჭირს მისი ფუნქციის გარკვევა.

ვ) **უარყოფითი ნაცვალსახელი** + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ლოქ** „-ო“ + **-ღენ** ნაწილაკი. მაგ.:

დენას ხოქუა, ერე **„ნუმა ლოქღენ** ამეღერ ეჩობ!“ (ლნტ., სვ. პროზ. ტექსტ., 1967, 310:1) — გოგოს უთქვამს, რომ „არ („ნუ-არ-ო-ღა“) მომშორდეთ იქით!“

5. **ზმნის პირიანი ფორმა** + **-ღენ/-ღენა/-ღენა** ნაწილაკი. მაგ.:

აღეღენა! (ლნტ.) „წამოდი („წამოდიღა“), ერთი!“

... ჯა სგაჩად კენსარიოთე: „კენსარ, **ხეწღღენა**, ალო, მიშგუა ნაწიღღეს“?! (ბზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1939, 167:21) — თვითონ შევიდა კეისართან: „კეისარო, აბა, ერთი, ნახე („დაინახეღა“), ჩემი („ჩემს“) მოტანილი („მონატანს“)?!“

კენსარდ ხაქუ: **„ახგერინღენა¹** ი ქა ლაჯპრდნე დინას!“ (იქვე, 314:21) — კეისარმა უთხრა: „წამოიყვანე („თან იახლე“), ერთი, და მოგცემ გოგოს!“

კორაკიშტილდ ხაქუთინ: „... **ჩუესგედაღღენა**, ბამბაღს ლაჯნაზნე, ნოთაჟ ხომენშეტილ მა ჯადღაღს!“ (იქვე, 181:12) — კორაკვიშილმა უთხრა: „მოიცათ („და-ღეჟ-ით“), ერთი, ბამბას დაგიფენ („შეგიტნევ“), იქნებ უფრო რბილად იგრძნოთ თავი („გქონდათ“)!“

მი ხუეჟუარ: „... **ოღენეღენა**, ალო!“ (ლმზ., სვ. ქრესტ., 1978, 255:29) — მე ვუთხარი: „წავალ, აბა, ერთი!“

მეჩი მარად ხეჟუ ბოფშს: **„ეთსგიღენ** ყორქა, ბოგქა ანღრღღეს ერ“? (იქვე, 258:24) — მოხუცმა კაცმა უთხრა ბავშვს: „გაიხედე აბა, ერთი, გარეთ („კარში“), ხიდზე თუ გადმოდის („მოდოდღეს იქნება“) ვინმე?“

¹ აუსლაუტში, კონტექსტიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, დეიქტური ნაწილაკი იგულისხმება, ამიტომაც თანხმობის მომდევნო პოზიციაში მოსალოდნელი იყო ა და არა ა.

... მაულ^ღდ^ღ ხაქუ ... ^ღდატარს: „... **ასიმნარედღენა**, ისკუე ლაშიალხო ანდრიხ ი იმჟი ითუფეხ“?! (ლნტ., სვ. პროზ. ტექსტ., 1967, 316:5) — მელაკუდამ უთხრა დევებს: „აბა, ერთი, მოისმინეთ, თქვენთან („თქვენი“) საომრად მოდიან და როგორ ისვრიან („*თოფ-ობ-ენ“)“

ამჟინენ ანვად ჰყინტოლ ი **ღვრიღენა**, იწუნენ მიჩა დაჩტირს, მაე **ამბაულენ** ხარ?! (ჩოლ.) „ასე მოვიდა ბიჭი და უნდა წავიდეს („წავა“), ნახოს („ნახულობს“) თავისი („მისი“) და („დას“), როგორაა („რა **ამბავ**-ი აქვს“)?!“

ა) **ზმნის პირიანი ფორმა** + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ლოქ** „-ო“ + **-ღენა** ნაწილაკი. მაგ.:

ანგულეზდ ხაქუ ^ღმუგუს: „აღუე, **ლახატულე ლოქღენა** ღუამალს“! (ლნტ., სვ. ქრესტ., 1978, 333:18) — ანგელოზმა უთხრა მტრედს: „აბა, ერთი, ყორანს დაუძახეო („დაუძახა“)“

... ყაფლანს ხოქუა ... ეჯ მარემიმ: „**ასიმნარე ლოქულენ** ამეჩუ, მ'ამბაჟ ლოქ ირა“? (იქვე, 145:33) — ყაფლანს უთქვამს იმ კაცისთვის: „აბა, ერთი, მოისმინეო („მო-ი-სმ-ინ-ა-ო-მცა“) აქ, ნეტავი რა ამბავიაო („რა **ამბავ**-ი-ო იქნება“)“

^ღმებატეს^ღ ხოქუა: „აღუე, **ლახოსკიდდა ლოქღენა** მიჩა ტუეტს“! (იქვე, 233:36) — მებატეს უთქვამს: „აბა, ერთი, შეხედეო („შეხედაოლა“) ჩემს („მის“) ხელს!“

მაულდ ხაქუ ^ღდაშტუს: „**ლახოფულ ლოქღენა**“! (იქვე, 318:6) — მელიამ უთხრა დათვს: „აბა, ერთი, სული შეუბერეო!“

ესდრიხ ი ქერ აჩადნ ემზუ ძულუას: „**ღეასკიდდა ლოქღენა** ღოშემჟუ, ძარ ლოქუ ხაჭიმდეს მიჩ ლოქ“? (ჩოლ.) — მიდიან და რომ გავიდნენ ერთ ზღვას: „აბა, ერთი, უკან გაიხედეო („გაიხედაოლა“), ვინ („ვინომცა“) მომყვებაო („მომყვებოდეს“) მე („მასო“)“

მი ბებუთ მულუნან: „**ლოხსგი ლოქღენა**, ციჟი არა აქო“?! (ჩოლ.) — მე ბებუთი მქონდა: „აბა, ერთი, ამას უყურე („შეხედეოლა“), ცივი ^ღიარალი^ღ არა აქვსო“?!“ და სხვ.

6. **ზმნისწინი** (მარტივი ან რთული) + **-ღენ/-ღენა** ნაწილაკი + **ზმნის პირიანი ფორმა**. მაგ.:

ჟიდენ ახმარან! — მოდი და მოემზადე! ეჩქა ხაქუინ მგხმგრიდ...: „**ქაღენ ლამემდ, ლოხკუიჰ**“! (ბზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1939, 141:32) — მაშინ უთხრა მელორემ: „აბა, ერთი, მომეციო, ვცდი!“

^ღყაბათერდ ხაქუინ ალდარს: „**ჟიდენ ახგენედ, ძალო**“! (იქვე, 261:21) — ყაბათურმა უთხრა ამათ („ამეებს“): „აყენეთ („აყენეთლა“), აბა, ერთი!“

სგა ლახფედნილან ი ლახტუნოლ: „ერუზღ ღენა ნიშგუეე ჟუეგი მეღეშგალ ხი, **სგაღენა ლაჭაოლა** ი ისგუა იშუსნ ოფთქუე ი ჯიჯუსნ“! (იქვე, 185:23, 23) — მიუახლოვდა და დაუძახა: „ვინც ჩვენი ჯოგის წამართმევი ხარ, დაგეწევი ერთი და ძვალ-რბილს გავიერთიანებ („შენს ხორცსაც გავხეთქ და ძვალსაც“)“

დებულები მუქტუ: „**ქადენ მაწუნენ**“! (ლმზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1957, 73:3) — მეუღლემ მითხრა: „აბა, ერთი, მაჩვენე!“

ა) **ზმნისწინი** + სხვათა სიტყვის ნაწილაკები **ესერ** და **ლოქ** „-ო“ + **-დენა** ნაწილაკი + **ზმნის პირიანი ფორმა**. მაგ.:

ალ ხელწიფი გეზალდ ადჭკურე: „**ჩუ ესერდენა აკრე** ალ ოთჷხი ყორს, მძე ესერ ორი, ორი“ (ბზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1939, 212:31) — ამ ხელწიფის შვილმა იფიქრა: „აბა, ერთი, გავადებო („გა-ა-კარ-ებ-ს-ო“) ამ ოთახის კარს, რაც იქნება, იქნებაო“

... მინე დიწუ ხოქტა ...: „აღტე, **ჟი ლოქდენ ლახატულეს** ეჯ მარას“ (ლნტ., სვ. პროზ. ტექსტ., 1967, 212:31) — მათ დედას უთქვამს: „აბა, ერთი, დაუძახეთო („ამოლასძახესო“) იმ კაცს“

ბელტიყლაპიანს ხოქტა ...: „ეშიე **ქა ლოქდენ ახოვიდ**“! (იქვე, 214:3) — ბელტიყლაპიანს უთქვამს: „მანც გამომიტანეო („გამოუტანაო“)!“

დჷს ხოქტა „ღტაჷმარედ“ ...: „აღტე, **ჟი ლოქდენ სხეთხელდახ**“! (იქვე, 230:30) — დეგს უთქვამს მამაკაცისთვის („ვაჟ-კაცისთვის“): „აბა, ერთი, მოძებნეთო („დაძებნესო“)!“

ხენწიფის ხოქტა: „... **ქა ლოქდენ ადკიდხ** ხელთათმანარ“! (იქვე, 233:29) — ხელწიფის უთქვამს: „აბა, ერთი, ხელთათმანები გაიხადეთო („გაიხადესომცალა“)!“

ლახატულე ბაყაყოდ „არაფელას“: „... **ჩუ ლოქდენ ანღირ** ძირხო“! (იქვე, 303:15) — ბაყაყმა („ბაყაყ-უნა-მ“) დაუძახა არაფელას: „აბა, ერთი, ძირს ჩამოდიო!“

ხოქტა ეჩქა მარეს ...: „მოდცა, **ქა ლოქდენ ამანებ**, ნოთი ლოქ ხოჩილ ლექტე“ (იქვე, 309:5) — მაშინ კაცს უთქვამს: „მოიცა, ერთი, დამანებეო („დამანებეოლა“), იქნებ უკეთესი ვთქვაო („თქვა“)“ და ა. შ.

ბ) **ზმნისწინი** + ნატვრით-კავშირებითი ნაწილაკი **-უჷ** „მცა“ + **-დენ** ნაწილაკი + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ესერ** „-ო“ + **ზმნის პირიანი ფორმა**. მაგ.:

ზურალდ ხჷქტ „ალას“...: „შე, ჯ'ესერ ყხზბა, **ჩ'უჷდენ¹ ესერ ესგენე**, ამნიანდ ესერ მჷტ ხჷყრის მიჩ მიჩა ჳამჷტემ“! (ბზ., სვ. ქრესტ., 1978, 65:35) — ქალმა უთხრა ამას: „ვუი, შე („თვითონო“) კახპავ („კახპა“), აბა, ერთი, მოიცა („და-დგ-ა-მცა-ლა-ო“), ამისთვის რა გიქნასო („დამართოს“) შენ („მას“) ჩემმა („მისმა“) მეუღლემ („კაც-მა“)!“ და სხვ.

გ) **ზმნისწინი** + გაძლიერებითი ნაწილაკი **-ად** „კიდევ, კვლავ“ + **-დენ** ნაწილაკი + **ზმნის პირიანი ფორმა**. მაგ.:

„ხტეჯედ ხჷქტინ ალას“: „მალო, **სგ'ადდენ პთიხინან** მერმა ხორეუს“! (ბზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1939, 171:12) — ხვეჯემ უთხრა ამას: „აბა, ერთი, ისევ შეძვერი

¹ ამგვარ ფორმებში ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ აპოსტროფი უმრავლეს შემთხვევაში გამოტოვებულია.

(„შე-ე-ჩხ-ირ-ა ისევლა“) მეორე გროვაში („ხროვა-ს“)“!..“...

ღ) **ზმნისწინი** + ნატვრით-კავშირებითი ნაწილაკი -აჲ „მცა“ + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ესერ** „-ო“ + -ღენ ნაწილაკი + **ზმნის პირიანი ფორმა**. მაგ.:

მეხმარებდა ხაშტუმინ ...: „ქაჲ¹ ესერღენ ლახუნემს!“ (იქვე, 248:24) — მელორემ სთხოვა: „მომეცითო („მისცესმცაოლა“), ერთი!“

ათხე კესრი გეზალ ... „ხატული“ ზურაღს ...: „ქაჲ¹ ესერღენ ოხვიღს ეჯ'მ, აერჲჲ ღენ ხორის ... ლაშგუ ჩუქუნან!“ (იქვე, 326:4, 4, 11) — ახლა კეისრის შვილი ეძახის ქალს: „აბა, ერთი, გამომიყვანეთო („გამოუტანესმცაოლა“) ის, ე, ვინც გყავთო („ჰყავთ“) გოდრის („საზურგ რის“) ქვეშ („ქვემოთ“)!“.

ე) **ზმნისწინი** + ნატვრით-კავშირებითი ნაწილაკი -იჲ „მცა“ + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ლოქ** „-ო“ + -ღენ ნაწილაკი + **ზმნის პირიანი ფორმა**. მაგ.:

ბუბად ლქქუ: „დაჲთით, ე'იჲ ლოქღენ ოდერ!“ (ლშხ., სვ. ქრესტ., 1978, 252:32) — ბიძიამ თქვა: „დავით, აბა, ერთი, აღიო („ავედიმცაოლა“)!“

ვ) **ზმნისწინი** + ნატვრით-კავშირებითი ნაწილაკი -აჲ „მცა“ + **ზმნის პირიანი ფორმა** + -ღენა ნაწილაკი. მაგ.:

... მართალ მაროლდ რხექუ: „... ქაჲ¹ ოხვიღღენა გობ“ (ლშხ., სვ. პროზ. ტექსტ., 1957, 115:35) — მართალმა კაცმა უთხრა: „აბა, ერთი, გობი გამო-მიტანეო („გამოუტანამცაოლა“)!“

ზ) **ზმნისწინი** + -ღენ ნაწილაკი + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ლოქ** „-ო“ + **ზმნის პირიანი ფორმა**. მაგ.:

აღო, ეიღენ ლოქ ანფიშუტ! (ჩოლ.) „აბა, ერთი, აუშვიო („ამოუშვალა“)!“

თ) **ზმნისწინი** + ნაწილაკი -უნყ'ჲ² + -ღენ ნაწილაკი + **ზმნის პირიანი ფორმა**. მაგ.:

ღაჲს ლოხტულა: „ჩ'უნყსღენ² ანჭუღენი, მიშგუა ლსგმუნაისგა მუთუნწლის იმჲ'იჲ ლადელ ეჯგენა!“ (ბზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1939, 390:24) — დეგმა დაუძახა თურმე („დაუძახა“): „ჩამოვალ („ჩამოვალმცაოლა“), ერთი, და ჩემს დასარწყულულებელში („სამჲყავეწყლოში“) დამარწყულულებელს შავ დღეს დაგაყენებო („როგორმცა დღე და-გ-ი-ღგ-ა“)!“

ი) **ზმნისწინი** + ნატვრით-კავშირებითი ნაწილაკი -აჲ „მცა“ + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ლოქ** „-ო“ + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ესერ** „-ო“ + -ღენ ნაწილაკი + **ზმნის პირიანი ფორმა**. მაგ.:

ქაჲ¹ ლოქ ესერღენ ატახ მიჩაშთე, ლქქუნს ლოქ მანღენა ხარ! (ჩოლ.) „აბა, ერთი, ჩემსკენ მოიწიეო („გაბრუნდამცაოლა“), რალაც მაქესო („აქეს“)

¹ მორფემათა ზღვარზე, როგორც წესი, იდენტური ა+ა ხმოვანთკომპლექსის შეხვედრისას, ბალსზემოურ დიალექტში, ადგილი აქვს ხმოვანთშერწყმას. სვანურ პროზაულ ტექსტებში ა ხმოვნის სიგრძე, ეტყობა, შემთხვევითაა გამორჩენილი, რაზეც მეტყველებს მომდევნო საანალიზო ლექსემაში სათანადო ადგილას წარმოდგენილი ა ხმოვანი.

² -უნყ'ჲ² ნაწილაკი სვანურში მხოლოდ ზღაპრებიდანაა ცნობილი და მიჩნეულია დღვის მეტყველებისთვის დამახასიათებელ ნაწილაკად.

სათქმელი!“

7. **ზმნისართი + -ღენ/-ღენა** ნაწილაკი + **ზმნის პირიანი ფორმა:**

ა) **დროის ზმნისართი + -ღენ** ნაწილაკი. მაგ.:

ლაგუნის სგობნე ლადელ აზზის მგბჟინალის, ერე ჟ'ახმეჯრალტუნახ ასაბიადს, **შომადღენ** ხერის ლაგუნან (ლშხ., სვ. ჭრესტ., 1978, 242:1) „გასვენების („სატირლის“) წინა დღეს აგზავნიან მაცნეებს („შემტყობინებელს“), რომ გააგებინონ ნათესაობას („ასაბია-ს“), თუ როდის („როდესაცლა“) ექნებათ გასვენება („სატირალი“)“

ლომელ^ს ... ჩუ ლოქ ხოხალ **შომადღენ** იმურჯე მეთხუიარ ი ეჯლა ლოქ ხასიპ ეჩქა (ლშხ., სვ. პროზ. ტექსტ., 1957, 26:28) „ყორანმა იცისო თუ როდის („როდესაცლა“) აპირებს მონადირე „სანადიროდ წასვლას“ და იმიტომ დასტორიალებსო თავს მაშინ“

ალ ნეპოლონარ ... **მაძიქადღენ** ჯენის, ედ **შომადღენ** ღერის, ეჩას დეშადად იმვერის (იქვე, 29:14) „ეს ჩიტები რა დროს („რადროსაცლა“) მოდიან („მოვლენ“), ანდა როდის მიდიან („წავლენ“), ამას („იმას“) ვერაფერს იგებენ“.

ბ) **ადგილის ზმნისართი + -ღენ** ნაწილაკი. მაგ.:

„სამსონს“ ჩუ ხახალენა, ერე **იმადქადღენ** ლგმარელის ქა მეზი ... (ლნტ., სვ. პროზ. ტექსტ., 1967, 87:13) „სამსონს სცოდნია, („რომ“) სად („რაზე“) უნდა გადასულიყვნენ („ყოფილან გამსვლელი“)“

ეჩის ხოქტა: „... მიჩ ჩუ ლოქ ხოხალ, ჯე **იმოხ ლოქდენ** ასხრი“ (იქვე, 251:6) — იმას უთქვამს: „მე („მას“) ვიცო („იცის“), შენ („თვითონ“) სადაც („სანამდღეო“) მიდიხარო („მიდის“)“

იმხენიღენ ლის ნაჯად გარდაფხაძელ, ალე გარკუეულ მამ ლი ხოჩამდ (ჩოლ.) „საიდან არიან გარდაფხაძეები მოსული, ეს კარგად გარკვეული არ არის“

აშგდახ ქორხენქა, თე დემ ლახრეკე, **იმთედენ** ლეხრადუხ ალმარ, ტგტი მგქექატი მპროლდ (ჩოლ.) „გაცვივდნენ სახლიდან, თვალი ვერ შეავლო, საით მიაწყდნენ („მი-ე-რღვ-ნენ“), ნაცარქექიამ („ნაცრის მ-ქექ-ავ-მა კაცმა“)“

ემშუ მუხტბე ემჩედ ი ატრლნა **იმედენ** ნრრლ ხოჩა ლაზგულ (ჩოლ.) „ერთი ძმა წასულა და სინჯავდა თურმე სად იქნებოდა კარგი სამოსახლო“

მინს ზუსტად ჩუ ხოხალდახ **იმაჟდენ** ასკნა ეჯ'ნ ზუსტად ეჩეჩუ ადამთხარემ ორმო (ჩოლ.) „თვითონ ზუსტად იცოდნენ სანამდე გადახტებოდა ის და ზუსტად იქ ამოთხარეს ორმო“

მემიხა, **იმხენღენ** ანჯად, იმჟიდენ მოხდა, დემ ჯატულიხტი (ჩოლ.) „რა ვიცი, საიდან მოვიდა, როგორ მოხდა, ვერ გეტყვი“

იმხენღენ ანდრი ალე ხატსგუტუნალ, მი მამ მიხა (ჩოლ.) „საიდან მოდის ეს ხატის გამობრძანების დღესასწაული, მე არ ვიცი“.

გ) **ვითარების ზმნისართი + -ღენ/-ღენა** ნაწილაკი. მაგ.:

ენდერე ქაქაოზდ მიხა ტეზრალ ეჩა ლამორაჟდ, ერე **იმჟიდენ** ოხჯერჯახ

ზურაბს ამაჲ ლიჯდლდ ლიდნუშე (ლმზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1957, 118:15) „ქაქაოზმა დაიბარა თავისი ვეზირები იმის სათათბიროდ („სა-მოურავ-ო-დ“), რომ როგორ („როგორცლა“) მოუხერხონ ზურაბს აქ მოსვლამდე დაღუპვა“

ეჯი ქა დემ ხოსგდი, ე, დნუ, ალეს, **იმჟიდენ** ესჭომე (ჩოლ.) „ის ვერ ხედავს („უყურებს“), ე, დევი, ამას, თუ როგორ მირბის“

ხუნამბუი, ტუიბი ეკლესია **იმჟიდენ** ოხვა თამარ დედუფალს (ჩოლ.) „ვეყები, ტვიბის ეკლესია თუ როგორ აუშენებია თამარ დედოფალს“

იმჟიდენა უ'სჭონენდ თაკუარ ი ჩ'ოჩადდ (ჩოლ.) „როგორც იქნა, შემოვიხვიეთ თოკები და ჩავედით“.

კითარების ზმნისართი + სხვათა სიტყვის ნაწილაკი -იჯ „მეთქი (I პირ.) და -თქო (II პირ.) + -ღენ ნაწილაკი. მაგ.:

ჩ'უიჯ ჯიხახ ეჯი, **მაკა'იჯდენ** ლას (ჩოლ.) „კი იცით ის, თუ როგორი იყო-მეთქი“.

ღ) **მიმართებითი ზმნისართი** + -ღენ/-ღენა ნაწილაკი. მაგ.:

რამენმ ხაჭუტ: „ალა მი ჩემენ ი ეჩომ დესამა მიხე, ისგუა ქესაშ, **იმჟაღენ** ჯირი“ (ბზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1939, 276:15) — ამან უთხრა: „ეს მე გავაკეთე („ვექენი“) და იმისი არაფერი არ ვიცი, ე, შენი ქისის, სად („სადლაცა“) გაქვს („გყავს“)“

იმჟაღენ ხიმუტრანაწლ, ეჯტუარდუ ხიმუტრანაწლ, ერე ქა დორ ჯეწეს! (იქვე, 56:40) „საითაც („სადაცლა“) იბღვირები, ისე („იმ გვარ-ად-მცა“) დაბღვერილიყავი („იბღვირები“), რომ ვერავინ გნახოს („დაგინახოს“)!“

„ქაწუ ესერ ლახტუნ, ძალო, მიჩა ლარდა-ლანჯა **იმჟაღენა** ლი, ადო ჩუადგარი“, — ხაჭუტინ ყვარემ-შატხანდ (იქვე, 191:22) — „დამანახეო („დაანახავო“), აბა, ერთი, მისი („თავისი“) საცხოვრებელი („სამყოფი-სამოსახლო“) სად („სადაცლა“) არისო, თორემ მოგკლავო („მოკლავს“)“, — უთხრა ყურუმშაეხანმა

იმთღენ ხარ ლეზი, ეჩა მამ ხოხალ (ლმზ., სვ. ქრესტ., 1978, 283:37) „სად („საითაცლა“) უნდა წავიდეს („აქვს სავალი“), ის („იმისი“) არ იცის“

ჰყინტს დე ამმა ესამა ხახლენა ი დე ეჩა, **იმთღენ** ასყენა ... მიჩა დაჩურს (იქვე, 68:17) „ბიჭმა („ბიჭს“) არც ის („ამისი“) იცოდა („სცოდნია“) და არც ეს („იმისი“), თუ სად („საითკენლა“) მიჰყავდა თავის დას“

მეშდაბს ხაყლე, ხედნე სოფელი ხალხ **იმეღენ** ესგურახ (იქვე, 242:9, 9) „მომუშავეს ეუბნება, რომელი სოფლის ხალხი სად („სადაცლა“) დასვან“

...ბობშარ ... ჩუ სკებებს, **იმაჟიდენ** ხერის ლექენ (ლმზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1957, 139:14) „ბავშვები დაადგენენ ხოლმე, თუ სანამდე („სანამდეცლა“) უნდა გაიქცნენ („ექნებათ გასაქცევი“)“

ანჯად **იმხენიღენ** რალე (იქვე, 62:9) „საიდანღაც მოვიდა ეს“

შომაღენ ქა იცადი დომდულ, ეჯნე ხოჩამდ ხოხალხ (იქვე, 171:13) „მთვარე როდის („როდესაცლა“) შეიცვლება, ისიც კარგად იციან“

ალე ლერსგუტენსენ ხოჩა ამბატს მიჩხვლდა **იმუნადენ** (ლმზ., სვ. ქრესტ., 1978, 255:37) „ეს მარჯვენა მხრიდან რაღაც („რაღაცას“) კარგ ამბავს მატყობინებდა („მ-ი-ჩხ-ა-ოდ-ა“)“

„ალე“ ... ჩუ ხეყდახ **იმედენ** მოსკოტი ფედმას (ლმზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1957, 66:12) „ეს ჰყავდათ საღლაც მოსკოვის ახლოს“

როსტომს ჩუათგედნენა **იმედენა** ... კოჯა თხუმეჟი (იქვე, 122:23) „როსტომს საღლაც კლდის თავზე ჩაეძინა თურმე“

ნელემტს აძმენის ეჯ ადგილჟი, **იმერჟადენ** მარე აშყად სგა ლიცთმდა ი **იმერჟადენ** ედშგუდნან (იქვე, 257:10) „თიკანს კლავდენ იმ ადგილას, საღაც ადამიანი („კაცი“) ჩავარდა წყალში და საღაც დაიხრჩო“

შიმდ **იმხენიღენა** ანვად ცხეკუ (იქვე, 97:23) „ხელად საიდანღაც მოვიდა ქორი“

მიჩა მუ **იმჟიღენ** ათჟაფ, ალე ჩუ ხახლენა (იქვე, 62:14) „მამამისი როგორ დაიკარგა, ეს სცოდნია...“

ეშხუ დჰუ ხეთხელი მნრას, ხაკუ, ერე ჟ'ენმეჯრას, **მნაზუმინდენ** ხნამედა მნრას (იქვე, 133:29) „ერთი დევი ეძებს ადამიანს („კაცს“), უნდა, რომ გაიგოს, რამდენი შეუძლია ადამიანს“

ლგგრემი ლიგემ ი ლიფეშუდნანლ **მნაზუმინდენ** ხეკუეს ლემარელას, ... ალე სგობდ ისკობრლ (იქვე, 151:6) „კვერცხის დადგმა და სროლა რა მანძილზე უნდა ყოფილიყო, ეს წინასწარ დგინდებოდა“

ათხე ცისკარი გულ ანვად, **იმნაჟიღენ** ლი გტემ (ლნტ., სვ. ქრესტ., 1978, 346:25) „ახლა ცისკარი მიხვდა („გულ-ად მოვიდა“), რაშია („რა-ზე არის“) საქმე“

„ალე“ ... დჰუს ქა ლახაკუტეშა, მიჩა ლაჯმილა **იმნაჩუნდენ** ხნაპეჟუნენა (ლნტ., სვ. პროზ. ტექსტ., 1967, 278:12) „ეს დევის გამოუტყდა თურმე, თავისი („მისი“) ძმები სად („სადქვედა“) ჰყავდა დამალული („დამალული ჰყოლია“)“

იმჟინდენა ჩუ მგრ ხესკვდახ კუმამ ი მარე მაგ ეშხუდ (ჩოლ.) „რაცნაირად ეტევიან საქონელი (შდრ. ძვ. ქართ. „კუმამ-ი“) და ადამიანი („კაცი“) ყველანი ერთად“

ალე ლენტუმ მგდაძსა თჟეთნად მგრეს ლეხწუნენანხ, ა, ლიცდ, მედ **იმნარიღენა** გარეულ კუბატილდ (ჩოლ.) „ეს ღამით იმაში რაღაც თეთრად მოეჩვენათ, აი, წყლად, ანდა რაღაც გარეულ იხვებად...“

მიმართებით ზმნისართებზე **-დენ** ნაწილაკის დართვით ვიღებთ, ასევე, განუსაზღვრელობით ზმნისართებსაც (მაგ.: **იმედენ** „საღლაც“).

ე) **კითხვითი ზმნისართი + -დენა**. მაგ.:

იმლაღენა, ეჯი მნ მგხა! (ჩოლ.) „თუ რატომ, ის არ ვიცი!“

მ) **თანდებულისანი სახელი + -დენ** ნაწილაკი. მაგ.:

ხელი **რიცხუჟიღენ** ხეხრლი ანღლაბ, მამ მგრ მიხა რიცხუ! (ჩოლ.) „თუ

რომელ რიცხვშია („ხვდება“) ამაღლება, რაღაც არ ვიცი რიცხვი!“

ა) **თანდებულიანი სახელი** + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ესერ** „-ო“ + **-ღენ/-ღენა** ნაწილაკი. მაგ.:

ექა როსტომდ ხაჭაპურს ელაპარაკა: „ე, **ძულუათ'ესერღენ** ნოსნუ ოთქუარა, ადო ხმელეთს ესერ ჯანმარგი“ (ბზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1939, 240:28) — მაშინ როსტომმა უთხრა ამას: „ე, ნეტავი ზღვაში („**ზღვ**-**ის**“-**კენ**-**ო**-**ლა**“) არ („**ნუ**-**მცა**“) გადამაგდოსო („გადაუგდია“), თორემ ხმელეთზე მეც („თვითონაც“) ვივარგებო („**ი**-**ვარგ**-**ებ**-**ს**“)“.

9. **კავშირი** + **-ღენ/-ღენა** ნაწილაკი. მაგ.:

ათხე კესრი გეზალ ... **ჩატული** ზურაღს ...: „ქატი ესერღენ ოხვიდს ეჯ'ე, **ფერუმა ღენ** ხორის ... ლამუე ჩუქუნან!“ (იქვე, 326:4, 4:11) — ახლა კეისრის შვილი ეძახის ქალს: „აბა, ერთი, ის გამომიყვანეთო („გამოუტანესმცაო“), ე, ვინც („**ვინც**ლა“) გყავთო („**ყავ**თ“) გოდრის („**საზურგ**ის“) ქვეშ („**ქვე**მოთ“)!“

სვა ლახფედროლან ი ლახტუნოლ: „**ფერუმა ღენა** ნიშგუთე ჯუევი მეღეშგაღ ხი, სვალენა ლაქაღლა ი ისგუთა იშუსნ ოფთქუე ი ჯიჯუსნ!“ (იქვე, 185:23, 23) — მიუახლოვდა და დაუძახა: „ვინც ჩვენი ჯოგის წამართმევი ხარ, დაგეწევი და ძვალ-რბილს გაგიერთიანებ („შენს ხორცსაც გავხებთქ და ძვალსაც“)!“

ბელმდ მგგნაღუ ეჯვედა, **იმუმაღენ** ათაგნ ამის ...! (ბზ., სვ. ქრესტ., 1978, 56:37) „ნაფლეთებად გექცეს („ნაფლეთად **მ-ღგ**-**ომ**-**ა**-**დ**-**ცა** მოგსვლია“), რასაც დაადექი ის („ამას“)“

ალე ლერსგუტენხენ ხოჩა ამბატს მიჩხვლდა **იმუმაღენ** (ლშხ., სვ. ქრესტ., 1978, 255:37) „ეს მარჯვენა მხრიდან რაღაც („**რაღაც**ას“) კარგ ამბავს მატყობინებდა („**მ**-**ი**-**ჩხ**-**ა**-**ო**-**დ**-**ა**“)“

ალ ნეპოლნლარ ... **შომამღენ** ღვრის, ეჩას დეშსადამ იმვერის (ლშხ., სვ. პროზ. ტექსტ., 1957, 29:14) „ეს ჩიტები რა დროს („**რადროს**ლა“) მიდიან („**წავ**ლენ“), ამისას („**ი**მას“) ვერაფერს იგებენ“.

სვანურში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, მაქვემდებარებელი კავშირია ყველა მიმართებითი ნაცვალსახელი და ზმნისართი, რომელსაც ახლავს **-ჟა/ჯა**, **-ჟაა||-ჟაა** (თოფურია 2002, 205).

ა) **კავშირი** + სხვათა სიტყვის ნაწილაკები **ესერ** და **ლოქ** „-ო“ + **-ღენ/-ღენა** ნაწილაკი. მაგ.:

...**ზურაბ**ღ' ... ხაჭაპურს ელაპარაკა: „აღო, **ფერუმა ესერღენა** ლიზ, ლექუთუ ესერ ლახანდლა!“ (ბზ., სვ. პროზ., 1939, 209:27) — ზურაბმა უთხრა ამას: „აბა, ერთი, ვინცა („**ვინც**ოლა“) ხარ („**არ**ის“), ქვემოთ ჩამოდიო („გადაეყარა“)!“

კესარ'ღ' ... ლახტულე ბაპს: „**ფერუმა ლოქღენ** ჭაბუკუ ლი, ედტიხუ!“ (ლშხ., სვ. პროზ. ტექსტ., 1957, 84:27) — კეისარმა დაუძახა მღვდელს: „ვიღაცა („**ვინც**ოლა“) ჭაბუკი ხარ („**არ**ის“), დააბრუნეო!“.

ბ) **კავშირი** + **-ღენ** ნაწილაკი + სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ესერ** „-ო“. მაგ.:

სამთრღლ^ღ ნჱქტ^ღ დჱტს: „ხედუჱდენ ესერ ახწინის უმხტჱრ, ეჯას ესერ უმხტჱრ ახთჱნის“! (ბზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1939, 396:8) — სამთილმა უთხრა დევს: „აბა, ერთი, რომელი („რომელიცლაო“) მოვერევიო („მოვერევიან“) ერთმანეთს, იმასაც ნახავო („ერთმანეთს ასწავლიან“)“ და ა. შ.

10. ნაწილაკი + -დენ/-დენა ნაწილაკი. მაგ.:

ექქესერ ლოხტჱლა, ერე „ერთჱდ ესერდენ ლი, ჩუტ ესერ ანჱდ“ (იქვე, 373:13; 403:37) — მაშინ დაუძახაო („დაუძახია“), რომ „ვინცა („ვინცაოლა“) ხარ („არის“), აბა, ერთი, ჩამოდიო („ჩამოვიდამცაო“)“

თეთრ მაროლდ ლქქტე: „მარ ლოქდენ ლემარ ალე ჟოჯახაშენებულ“? (ლშხ., სვ. პროზ. ტექსტ., 1957, 105:28) — უსინათლო კაცმა თქვა: „ნეტა ვინ იყოო ეს ოჯახაშენებული?“

ქა ლახოტჱლა ეჯმინეშტ: „... ქა ლოქდენ ხაწტენე“! (ლნტ., სვ. პროზ. ტექსტ., 1967, 126:20) — დაუძახა თურმე („დაუძახია“) იმათ („იმ მათთვის“): „მაჩვენეთო („აჩვენაოლა“), ერთი!“

მეთხტჱარ ლოქ ალახ ლი, ქ'აჱ ლოქ ესერდენ ატახ მიჩაშთე, ლქქტის ლოქ მდენა ხარ! (ჩოლ.) „რახან მონადირე ხარ, ერთი ჩემსკენ მოიწიეო („გაბრუნდამცაო“), რაღაც მაქვსო („აქვს“) სათქმელი!“

ასღრის, ასღრის, ხალ ხამდედახ ეჯჱი ასღრის: „ლაღსკიდღა ლოქდენა აჯღ ლოშქმჱტ!“ (ჩოლ.) „მიდიან, მიდიან, როგორც შეუძლიათ ისე მიდიან: „ისევე გაიხედეო („გაიხედაოლა“) უკან!“...“.

11. სახელზმნა (მასღარი ან მიმღეობა) + -დენ/-დენ/-დენა ნაწილაკი. მაგ.:

...მიჩა ტჱზრჱლს ხჱქტ^ღ ნჱლწიფღ: „ეჯა მდღეღ ლიყრულდენ ოღბინად გუშგჱეღ ლაჩაჱირს“ (ბზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1939, 302:26) — თავის („მის“) ვეზირებს უთხრა ხელმწიფემ: „ის კი არა და მოღი, დარაჯობა („ყარაულ-ობ-ა“) დავუწყოთ ჩვენს თავღას („საცხენოს“)“

მემჱერა, მად ლიმბჱჱლდენ ლას ეჩეჱჱ?! (ჩოლ.) „რა ვიცი („რა გამიგია“), რა საუბარი („მბ-ობ-ა“) იყო იქ?!“ და ა. შ.

როგორც გამოკვღევამ აჩვენა, საანალიზო ნაწილაკის ადგილი წინადადებამი არცთუ ისე მყარია, რაზეც მეტყვეღებს მისი თავისუფალი მონაცვღეობის შემთხვევები. ის, როგორც უკვე ითქვა, შეიძღება დაერთოს ნებისმიერ სიტყვას წინადადებამი (არსებით სახელს, ზედსართავ სახელს, რიცხვით სახელს, ნებისმიერ ნაცვალსახელს, ზმნას, მათ შორის ზმნისწინსაც, სახელზმნასა და თავად ფორმაუცვღელ სიტყვებსა და ნაწილაკებსაც კი).

ჩენი დაკვირვებით, -ღე/-ღენ/-ღენ/-ღენა/-ღენა/-ღენაღ/-ღენი ნაწილაკს სვანურში, ერთი შეხედვით, გააჩნია რამდენიმე ფუნქცია, კერძოდ, იგი გამოიყენება განუსაზღვრეღობითი ნაწილაკის ფუნქციით და უღრის ქართულ „ღა“ ნაწილაკს, გვიჩვენებს მიმართუღებას, აქვს „ც“ ნაწილაკის ფუნქცია (ხან

მიმართებითი ნაწილაკია, ხან კი — გამაძლიერებელი), ზოგჯერ დაქადნების ფუნქციასაც ითავსებს და მასთან დაკავშირებულ სიტყვას თითქოს მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს. ზოგ შემთხვევაში მოდალური ნაწილაკის ფუნქციაც ეკისრება და ამ შემთხვევაში გამოხატავს გაცემას, გაკვირვებას (ნეტა ვინ იყო, ან მოდი ერთი — ბრძანების მნიშვნელობით, აბა, ერთი...) და ა. შ. ძირითადი ფუნქცია კი, როგორც მრავალფეროვანი საილუსტრაციო მასალიდან გამოჩნდა, არის ბრძანება, ანუ აძლიერებს ბრძანებას, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მისი პირვანდელი ფუნქცია სვანურში სხვა ნაწილაკებთან შედარებით შესუსტებულია და უმეტეს შემთხვევაში კონტექსტის მიხედვითაც კი ჭირს საანალიზო ლექსემის ფუნქციის გარკვევა.

როგორც ზემოთ ითქვა, სვანური საანალიზო ნაწილაკის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული. ჩვენ შეძლებისდაგვარად გავარკვიეთ **-ღენ** ნაწილაკის ფუნქცია სვანურში, თუმცა გაცილებით უფრო საინტერესოდ მიგვაჩნია მისი წარმომავლობის დადგენა.

რა შეიძლება ითქვას აღნიშნული ნაწილაკის წარმომავლობის შესახებ?

ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არ იქნება, თუკი მას უძველეს ქართულ **-ჟე/-ჟენ** ნაწილაკთან დავაკავშირებთ.

ჩვენ საგანგებოდ გავეცანით აღნიშნული ნაწილაკის შესახებ არსებულ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას (იხ. ჰ. შუხარტი, **Georgische qe**, 278-280; არნ. ჩიქობავა, **-ჟე** ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით. — წელიწდ. I-II, თბილისი, 1923-1924; ნ. სურმავა, **-ჟე** ნაწილაკის ფუნქციისათვის ქვემოიმერულის ხონურ-სამტრედიულსა და აბაშურ თქმებში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები VII, თბ., 1998) და სათანადო ქართულ დიალექტოლოგიურ (ფერეიდნული, ინგილოური, ქიზიყური, კახური, მთიულური, მოხეური, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური) მასალასთან შეპირისპირებით შევეცადეთ დაგვედგინა სვანური **-ღენ** ნაწილაკის წარმომავლობა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ქართული **-ჟე** ნაწილაკის შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულებანი სულხან-საბა ორბელიანის, შანშოვანის, მ. ბროსესი, დ. ჩუბინოვისა, რომლებიც აღნიშნულ ნაწილაკს დადასტურებითი ნაწილაკის მნიშვნელობას აძლევენ. ჰ. შუხარტის აზრით კი, **-ჟე** ნაწილაკს სრულიად სხვა მნიშვნელობაც აქვს, ვინემ დადასტურებით ნაწილაკს და არც ის არის შეუძლებელი, რომ მას ასეთი მნიშვნელობა სინამდვილეში არასოდეს ქონოდეს. ის დაასკვნის, რომ **-ჟე** იგივე ნიშანი უნდა იყოს მრავლობითისა, რომელიც ინგილოურში დავადასტურეთო; აქვს თუ არა მას გენეტური კავშირი სვანურის მრავლობითობის **-ხ** ნიშანთან და კავკასიურ ენებში — ჩერქეზულში, აფხაზურში... ანალოგიური ფუნქციით აღჭურვილ მსგავს ფორმანტებთან, ამის გადაწყვეტას მე ვერ ვბედავო.

ძალზე საინტერესოდ გვესახება არნ. ჩიქობავას ცნობილი სტატია **-ჟე** ნაწილაკთან დაკავშირებით, რომელიც ფერეიდნულს ეხება. ავტორის

გამოკვლევით, ფერეიდნულში ორი განსხვავებული **-ყე** ნაწილაკია: ერთი **-ყე** თანდებულია, რომელიც მოითხოვს ნათესაობითსა ან მიცემით ბრუნვას და მნიშვნელობით უდრის თანამედროვე სამწერლო ქართულის **-გან (-დან)** თანდებულს, ზოგჯერ კი **-კენ** თანდებულს (შდრ. გარე-კახური და ინგილოური **-ყეი-ყენ** თანდებული და სამწერლო ქართულის **-კენ** თანდებული); მეორე **-ყე** ზმნასთან იხმარება და აქვს გარკვეული სინტაქსური ფუნქცია (მაგ. მოვნახეთვე მეთოფეები). იქვე შენიშნავს, რომ „ფერეიდნულისთვის მისი ხმარება სავალდებულო არ არის“ (იქვე, 3). საინტერესოა ისიც, რომ „ფერეიდნულში ამ ნაწილაკის ხმარება შემთხვევათა მთელს რიგში არეულია; მაშინ მისი მნიშვნელობა „ხოლმე“-თი განისაზღვრება; სადაც მართებულად იხმარება, მიგვითითებს მრავლობითი რიცხვის სახელობითისა ან მიცემითი ბრუნვით გადმოცემულ ლოდიკურ ობიექტზე [მაგ. **წავიყვანეთვე ბიჭები, ვინ? ბიჭები, ე. ი. ლოდიკური სუბიექტი მრ. რიცხვის სახ. ბრუნვით არის გადმოცემული; დოურიგეყე ფქილის პატრონებს, ვის? — პატრონებს...**“ (იქვე: 65-66)] და ა. შ.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში იყო ცდა სვანური მრ. რიცხვის მესამე პირის სუბიექტური სუფიქსის **-ხ'**ს ქართულ **-ყე** ნაწილაკთან დაკავშირებისა (პ. შუხართი, არნ. ჩიქობავა), რასაც ნამდვილად ვერ დავეთანხმებით. **-ყე** ნაწილაკთან ფუნქციურადაც (მეტნაკლებად) და ეტიმოლოგიურადაც სვანური **-დენ** ნაწილაკის დაკავშირება, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა.

-ყე ნაწილაკთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე ნ. სურმაგას გამოკვლევა „**-ყე** ნაწილაკის ფუნქციისათვის ქვემოიმერულის ხონურ-სამტრედიულსა და აბაშურ თქმებში“. აღნიშნულ თქმებში ობიექტის სიმრავლის მაწარმოებლად გვაქვს **-ენ** (მაგ. დაგასახლენ მან თქვენ) და იმავდროულად **-ყენ(ნ)** ნაწილაკიც (და **-თ** სუფიქსი) ფუნქციონირებს. როგორც ავტორი მიუთითებს, **-ყენ(ნ)||-კენ(ნ)** წარმოადგენს სუბიექტური მე-3 პირის მრავლობითის დაბოლოებას კავშირებითის ნაკვებში და იგი თავისუფლად მონაცვლეობს სუბიექტური მე-3 პირის მრავლობითის **-ნ** სუფიქსთან (სურმაგა 1998: 234-239).

როგორც ჩანს აღნიშნულმა ნაწილაკმა სვანურში დროთა განმავლობაში თავდაპირველი ფუნქცია (**ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნისა**) დაკარგა.

რაც შეეხება სვანური **-დენ** ნაწილაკის წარმომავლობას, შესაძლოა, იგი შემოსული იყოს ქართულიდან (შდრ. ქართული ენის დიალექტებში გავრცელებული უძველესი ნაწილაკი **-ყე/-ყენ) ღ/ყ** თანხმოვანთმონაცვლეობით (შდრ. მაგ. ქართ. **ყორან**-ი „ყორანი“ : მეგრ. **ცვარამ-ი||ცვანჯამ-ი** „ყორანი“ : სვან. (ბზ.) **ღჟემანლ||ღჟამანლ||ღჟამალ||ღჟამანლ||ღომანლ||ყჟამალ||ყჟამანლ**, უშგ. **ღჟემელ**, კალ. **ყჟემელ**, (ბქ.) **ღჟემალ**, (ლხმ.) **ღემალ**, (ლშხ.) **ღომელ**, (ლნტ.) **ღომალ||ღჟემალ**; შდრ. უშგ. **მაყჟრინტ. *ყორან-** „ყორანი“ → ქართ. **ყორან**-ი : მეგ. 1. **ცვარამ-ი** ← ***ცვარან-ი** ← **ყორან-ი**, 2. **ცვანჯამ-ი** ← ***ცვანჯამ-ი** ← ***ცვარამ-ი** ← ***ცვარან-ი** ← **ყორან-ი** : სვან. **ღჟემანლ-** ← **ღომანლ-** ← ***ყომანლ-** ←

***ყორანლ**- ← ***ყორან**- ← **ყორან**-ი ერთი მხრივ, და მეორე მხრივ : სვან. **ღჷმანლ** ← **ღჷამანლ** ← **ღჷემანლ**- ← **ღომანლ**- ← ***ყომანლ**- ← ***ყორანლ**- ← ***ყორან**- ← **ყორან**-ი, ხოლო სვან. (ბზ.) **ყჷამანლ** ← (ბზ.) **ყჷამანლ** ← ***ყჷემანლ** ← ***ყომანლ**- ← ***ყორანლ**- ← ***ყორან**- ← **ყორან**-ი. კალურ კილოკავში დადასტურებული **ყჷემელ** ← ***ყჷემალ**- ← ***ყომალ**- ← ***ყორალ**- ← ***ყორან**-ი). შდრ. აგრეთვე ქართ. ყაისნაყი და სვან. **ყაზნანლ**.

ღ/ყ თანხმოვანთმონაცვლეობის უძველესი მაგალითი გვხვდება სვანეთის გვიანი შუასაუკუნეების ფრესკულ ისტორიულ წარწერებზეც, რომლებიც მეცნიერთა მიერ XVII საუკუნის შუა წლებით თარიღდება.

როგორც სვანეთის წერილობითი ძეგლებიდან არის ცნობილი, ქვემო სვანეთში, კერძოდ, ჩიხარემის სასოფლო საბჭოს ს. დაბიშის „ოქონდაბიშის“ ეკლესიის სამი კედელი (სამხრ., დას. და ჩრდ.) დაფარულია კტიტორთა და მათი ოჯახის წევრების ფრესკული გამოსახულებებით. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, აქ გამოსახული უნდა იყოს ყიფიანთა საგვარეულოს წევრები, რომლებიც წარწერებში რატომღაც „ღიბიანებად“ იწოდებიან. სოფ. დაბიშის ადგილობრივ მოსახლეობაში შემონახული გადმოცემის თანახმად, დაბიშის ეკლესია კახეთიდან გადმოსახლებული ყიფიანების საგვარეულო ეკლესია ყოფილა, რაზეც მეტყველებს იქვე, ეზოში არსებული ყიფიანების სასაფლაო და ცოტა ზემოთ, ფერდობზე მათი ნამოსახლარი. ფრესკებზე გამოსახული პირები არიან გოჩა და ტაიბულა ყიფიანების ოჯახის წევრები (სილოგავა 1988: 59-60).

დაბიშის ეკლესიაზე წარმოდგენილი სხვადასხვა ფრესკული კომპოზიციები, რომლებსაც ლინგვისტური თვალსაზრისით ძალზე საინტერესო განმარტებითი წარწერები ახლავს: „**ბეტრე, პავლე**“, ე. ი. **ბეტრე, პავლე**; „**სდუბანუ**“, ე. ი. **სტეფანე** და სხვა. ეს წარწერები, კტიტორთა ზემოდასახლებულ წარწერებთან ერთად, გვარებისა და სახელების იმ ფორმით, როგორითაც წარწერების ტექსტებშია, 1937 წელს გამოსცა ე. თაყაიშვილმა (123-124), ხოლო გამოსახულებათა განმარტებითი წარწერები, როგორც სვანური ენისათვის დამახასიათებელი რეგრესულ-დისიმილაციური, პროგრესულ-დისიმილაციური, პროგრესულ-ასიმილაციური, ან უბრალოდ დისიმილაციური გამჟღერების ნიმუშები საგანგებოდ დაახასიათა და შეისწავლა ს. ჟღენტმა (1965: 48).

როგორც ვ. სილოგავა ფიქრობს, ფრესკებზე გამოსახული თითქმის ყველა პირის სახელი და გვარი დამახინჯებულად, შეცვლილად არის წარმოდგენილი, თუმცა ისე, რომ სინამდვილეში რომელი სახელი იგულისხმება წარმოდგენილ დაწერილობაში, მკითხველისათვის ადვილი მისახვედრია. მისი აზრით, „**ღიბიანი**“, იგივე „**ყიფიანი**“, „**კოჯა**“ — „**გოჩა**“, „**ბაწია**“ — „**ფაცია**“ და ა. შ. და თვლის, რომ „საკუთარი სახელების ასე შეცვლილი სახით გადმოცემა მხოლოდ ფონეტიკური მოვლენებით არ აიხსნება“ და საკუთარი სახელების აშკარად „დამახინჯებული“ სახით გადმოცემა იქნებ ეთნოგრაფიულ საფუძველზე აიხსნასო. ერთ შემთხვევაში გულისხმობს ეთნოგრაფიულ ყოფაში

დამკვიდრებულ მაგიურ რწმენა-წარმოდგენებს, რის მიხედვითაც არ არის მიღებული ცოცხალი ადამიანის სახელის მიწაზე და ქვაზე დაწერა; გარდა ამისა განასხვავებენ „ცუდ“ და „კარგ“ სახელებსაც... ავტორი უშვებს იმის შესაძლებლობასაც, რომ სახელების შეცვლა, უფრო სწორად, არატრადიციულად მიღებული ფორმით გადმოცემა, ამ საგვარეულოს წარმომადგენლების გადმოსახლებასთან იყოს დაკავშირებული. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, „განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, როდესაც რომელიმე გვარის შვილი იძულებულია სხვაგან გადასახლდეს, გაიქცეს, სასჯელს თავი გაარიდოს, ან დატოვოს თავდაპირველი საცხოვრებელი სხვა რაიმე შემთხვევის გამო, გვარის ფორმას ოდნავ შეიცვლიდა და ასეთი სახით „ახალ“ გვარს მისცემდა დასაწყისს. იქნებ, მართლაც, „კახეთიდან გადმოსახლებულმა“ ყიფიანებმა დაბიშნი დასახლებისას გვარი „**ლიბიანად**“ გადაიკეთეს“? საგულისხმოადაა მიჩნეული ის ფაქტიც, რომ „ოთხივე შემთხვევაში, რაც წარწერებში დასტურდება, ამ გვარის ფორმა სწორედ შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი, მაშინ, როდესაც ლაშინშივილი და იაშვილი ტრადიციულად მიღებული და საყოველთაოდ გავრცელებული სახითაა დაწერილი“ (სილოგავა 1988: 60-61).

არ არის გამორიცხული, რომ უძველეს ნასესხობასთან გვქონდეს საქმე, თუმცა, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს¹.

სამეცნიერო ლიტერატურისა და გამოყენებული წყაროების სია

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

თაყაიშვილი 1937 — ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი.

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, შრომები II, თბილისი.

მარტიროსოვი 1964 — ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბილისი.

ჟღენტი 1965 — ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, რჩეული შრომები, თბილისი.

სილოგავა 1988 — ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები II, ეპიგრაფიკული ძეგლები, თბილისი.

სურმავა 1998 — ნ. სურმავა, -ყე ნაწილაკის ფუნქციისათვის ქვემოიმერეთის ხონურ-სამტრედიულსა და აბაშურ თქმებში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები VII, თბილისი.

ჩიქობავა 1923-24 — არნ. ჩიქობავა, -ყე ნაწილაკი ფერეფდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით. — წელიწდ. I-II, თბილისი.

¹ ამ საკითხზე მუშაობა კვლავაც გაგრძელდება.

ბ) წყაროები

სვან. ენის ქრესტ. 1978 — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

სვან. პოეზ. 1939 — სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 — სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1967 — სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 — სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი.

MEDEA SAGLIANI

**On Function and Origin of a Particle
-ye/-yen/-yēn/-yena/-yēna/yenä/-yenäj/-yenī in Svan**

S u m m a r y

The article deals with the function as well as origin of the particle **-ye/-yen/-yēn/-yena/-yēna/yenä/-yenäj/-yenī**.

An analytical particle at a glance leaves an impression of function-lost particle. It is used with any part of speech (noun, adjective, numeral, pronoun, verb, adverb, preposition, conjunction, particle) as well as a deverbative noun (infinitive and participle). It should be noted, that it also occurs between an adverb and a verb.

According to my observation, at a glance a mentioned particle has several functions in Svan. In particular, it is used with the function of an indefinide particle and is equal to a Georgian **γα** particle. It shows a direction, has a function of a **c** particle (it is sometimes a relative particle and sometimes an intensifying one), sometimes it has a function of threatening and gives more expressiveness to a word connected with it. In some cases it has a function of a modal particle and expresses astonishment, surprise, etc. As it was shown from varied illustrative material its basic function is command, but it should be said that its first function in compare with other particles is weakened in Svan and in most cases it is difficult to define a function of an analytical lexeme even according to a context.

I think, that it won't be groundless if a particle **-ye/-yen/-yēn/-yena/-yēna/yenä/-yenäj/-yenī** can be connected with Old Georgian **-qe/-qen** particle.

It is not excluded, that we have the case with an ancient borrowing, though I believe that a mentioned issue should need additional researching.

მედეა საღლიანი, ნატო შავრეშიანი, ლელა გიგლეშიანი

სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა ქართველური შესატყვისები და მათი კომპონენტების ეკვივალენტურობა

სვანური ენა, როგორც ბევრჯერ აღინიშნა, საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია ფრაზეოლოგიური გამონათქვამებით (**იდიომები** და **ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი**), **ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები**, **წყევლისა და დალოცვის ფორმულები...**), რომელთა წარმომავლობის გარკვევა, ბუნებრივია, ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა რთულიც წერილობითი წყაროების უქონლობის გამო.

ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანია სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა შესატყვისობების შეძლებისდაგვარად დადგენა სხვა ქართველურ ენებთან შეპირისპირებით.

უნდა ითქვას, რომ ფრაზეოლოგიურ შესატყვისთა და მათი სემანტიკური ეკვივალენტების კვლევა სხვადასხვა ენაში სწორედ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის ჩამოყალიბების გენეტიკურ საფუძველთანაა გარკვეულწილად დაკავშირებული. ნებისმიერი ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის ჩამოყალიბება კი, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს თავისუფალი შესიტყვების სემანტიკური გარდაქმნით, მისი გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობის განვითარებით. ფრაზეოლოგიზმებში ორი ან მეტი კომპონენტური შემადგენლობის წყალობით ძალაუნებურად ხდება ორი სურათის ერთდროული ხილვა, სადაც ერთი მათგანი შეესაბამება გამოთქმის სიტყვასიტყვითს, მეორე კი მის მეტაფორულ, გადატანით მნიშვნელობას. ფრაზეოლოგიზმის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ყოველთვის აღიქმება კომპლექსურად, როგორც რთული და ხატოვანი მთლიანობა (ლარინი 1956: 210).

მეტაფორა, რომელიც თავდაპირველად საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის ჩამოყალიბებას, გარკვეულ შემთხვევაში, დროთა განმავლობაში, თანდათან ბნელდება, გაუგებარი ხდება და ერთ დროს მოტივირებული ფრაზეოლოგიზმი ენაში მკვიდრდება, როგორც არამოტივირებული მყარი შესიტყვება (ვინოგრადოვი 1847: 345). ამ შემთხვევაში, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, არამოტივირებული ფრაზეოლოგიზმი თავისუფალი შესიტყვების სახით აღარ გვხვდება და ენაში ფუნქციონირებს მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით (მამულია 2004-2005: 208).

იმისდა მიხედვით, თუ როგორია ფრაზეოლოგიზმი, მოტივირებული თუ არა-მოტივირებული, განსხვავებულია ენებს შორის ფრაზეოლოგიურ შესატყვისთა არსებობის ხასიათი.

სხვადასხვა ენაში ფრაზეოლოგიური შესატყვისების დადგენით პირველ რიგში ირკვევა, თუ როგორაა შესაძლებელი ერთი ენის ფრაზეოლოგიზმის მეორე ენაზე შესაბამისი ფრაზეოლოგიური ეკვივალენტით გადმოცემა. სწორედ ამ თვალსაზრისით აქვს განხილული თურქულ-ლაზური ფრაზეოლოგიური შესატყვისები ე. მამულიას სტატიაში „თურქულ-ლაზურ ფრაზეოლოგიურ შესატყვისობათა შესახებ“ (იქვე). რაც შეეხება ქართულ-მეგრულ-სვანურ ფრაზეოლოგიურ შესატყვისობებს, მათ შესახებ, რამდენადაც ცნობილია, მსჯელობა არ ყოფილა სამეცნიერო ლიტერატურაში, ამიტომაც ამ საკითხის კვლევა მეტად საინტერესოდ გვესახება, მითუმეტეს, რომ სამივე ქართველური ენის მონაცემები შეუდარდება ერთმანეთს.

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით გამოვყოთ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა თანაფარდობის რამდენიმე ტიპი სვანურში ქართველურ ენებთან შეპირისპირებით (აქ შეიძლება გვქონდეს როგორც **სრული და ნაწილობრივი ეკვივალენტები**, ასევე **არაეკვივალენტური ფრაზეოლოგიური ერთეულებიც** და, რა თქმა უნდა, **კალკირებული და სინონიმური ფრაზეოლოგიზმები**).

ფრაზეოლოგიზმთა დიდი ნაწილი წინადადებაში მისი ერთ-ერთი წევრის სახითაა ხოლმე გადმოცემული, ამიტომ ასეთი ფრაზეოლოგიზმები კონკრეტულად რომელიმე მეტყველების ნაწილს ეკუთვნის. ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის ეკვივალენტურობის მიხედვით კი ფრაზეოლოგიზმები რამდენიმე ჯგუფად იყოფა: **ზმნური ფრაზეოლოგიზმები, სუბსტანტიური ფრაზეოლოგიზმები, ზმნიზედური ფრაზეოლოგიზმები, ადიექტიური ფრაზეოლოგიზმები, შორისდებულის შემცველი ფრაზეოლოგიზმები** და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ენა თავისებურ ნაციონალურ სახეს აძლევს ამა თუ იმ ფრაზეოლოგიზმს, ის საერთო და მსგავსი, რომელიც აშკარად ახასიათებს სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს და გარკვეული კლასიფიკაცია უნდა მიეცეს. როგორც პ. ბუდაგოვი (1958: 106) შენიშნავს, ფრაზეოლოგიზმებში არ უნდა ვხედავდეთ მხოლოდ განსხვავებულ ენობრივ თავისებურებებს, არამედ უნდა ვითვალისწინებდეთ მათი ერთიანობისა და სხვაობის ღრმა ურთიერთობებსაც. შესაბამისი ექსტრალინგვისტური (კერძოდ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და, აგრეთვე, ფოლკლორული) მასალა, რომელიც ამოკრიბეთ სვანური ენის ოთხივე კილოზე არსებული პროზაული ტექსტებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, ლექსიკონებიდან¹, აგრეთვე, 2010-11 წლებში მესტიისა და ლენტეხის რაიონებში ჩვენ მიერ სავლელ პირობებში მოპოვებული მასალიდან, შევადარეთ შესაბამის ქართულ-მეგრულ მასალას, სადაც პ. ბუდაგოვის ზემოთწარმოდგენილი დებულება გავითვალისწინ-

¹ იხ. ლიტერატურის ჩამონათვალში.

ნეთ და განსხვავებულ ენობრივ თავისებურებებთან ერთად, რასაკვირველია, ყურადღება მივაქციეთ მათი ერთიანობისა და სხვაობის ღრმა ურთიერთობებსაც.

თვალსაჩინოებისათვის თითოეულ სვანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულს ჩვენს ნაშრომში, შეძლებისდაგვარად, დართული აქვს ქართულ-ზანური ეკვივალენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და განმარტება, რომელიც მოცემული საანალიზო ერთეულის ხატოვან შემადგენელს წარმოადგენს.

ჩვენ მიერ განხილული სვანური მასალა ქართულ-მეგრულთან შეპირისპირებით, ბუნებრივია, მეტად საინტერესო ვითარებას წარმოგვიდგენს. ერთნაირი ლექსიკური შემადგენლობის გარდა, აღნიშნული ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც წარმომავლობით, ასევე სტრუქტურულ-სემანტიკურადაც, და, რაღა თქმა უნდა, განსხვავებულია მათი სინტაქსური ფუნქციებიც.

ჩვენი აზრით, ამგვარი კვლევა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია როგორც ამ ენათა ფრაზეოლოგიური ფონდის შედარების თვალსაზრისით, ასევე მათი შეპირისპირების ასპექტითაც.

მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ჯგუფი¹:

1. ზოგჯერ გვაქვს **ფრაზეოლოგიური ერთეულების (ფრაზეოლოგიური გამონათქვამების)** როგორც სიტყვიერი შემადგენლობის, ისე სემანტიკური თანხვედრა. ეს თანხვედრა შეიძლება გვექონდეს სამივე ენობრივ ერთეულში, მაგ.:

თერწისგა ტგტიშ ლიშდე „მოტყუება, გამასხარავება (ზედმიწ. — თვალ-ებ-ში ნაცარ-ტუტა-ს მიყრა)“, შდრ. ქართ. თვალში ნაცრის მიყრა||ჩაყრა და მეგრ. დიალ. **თოლშა ტუტაშ ელარღვაფა** „მოტყუება (ზედმიწ. — თვალ-ში ნაცარ-ტუტა-ს მიყრა)“

თერწისგა ჩის ტგტს ხაშდე (ბქ.) „ყველას ატყუებს (ზედმიწ. — თვალ-ებ-ში ყველას ნაცარ-ტუტა-ს აყრის)“

ნენემ კაცხეი მაწ (ბქ.) „თითქოს მაგონდება, მაგრამ ვერ ვიხსენებ (ზედმიწ. — ენ-ის წვერზე მ-ა-ძ-ევ-ს)“, შდრ. მეგრ. დიალ. **ნინაშ წვანდის გებძუ** „თითქოს მაგონდება, მაგრამ ვერ ვიხსენებ (ზედმიწ. — ენ-ის წვერ-ს მ-ა-ძ-ევ-ს)“

საფლანჟს ხობგრჯე (ბქ.) „ღალატობს, საფრთხეს უქმნის (ზედმიწ. — საფლავ-ს უთხრის)“, შდრ. მეგრ. დიალ. **სამარეს უნთხორუნს** „ღალატობს (ზედმიწ. — სამარეს უთხრის)“

კინჩხეი ხახუ ნომა ემჭკორა! (ლშხ.) „ვერაფერს დამაკლებ, ვერ მომერევი“, შდრ. ქართ. კისერზე ხახვი არ დამაჭრა!

¹ აქ არ განვიხილავთ დაწვრილებით იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც წიგნის ან ზეპირი მეტყველების გზით უნდა იყვნენ ქართულიდან შემოსული, რადგანაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე იყო მსჯელობა სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. მ. სალიანი, ნასესხები მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამების, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმების, წყველისა და დალოცვის ფორმულების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში. — არნ. ჩიქობავას საკითხავები. XXII, სენაკი, 2011; ნასესხები ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში. — იკე, 39, თბილისი, 2011).

ფხულაქა ლეჭუნე „სულ ცოტა“, შდრ. ქართ. თითზე გადასახვევი (შდრ. აგრეთვე საკუთრივ სვანური: **ამიშ ამერდან** — თითზე გადასახვევი, ერთი ბეწო, ამისი ნასახი [**ამიშ ამერდან მამაგუნეშ მიწუა აღარხენქა** — თითზე გადასახვევი („ამის ნასახი, მავგარი“) არაფერი მინახავს ამათგან] და მეგრ. დიალ. **კითშა გინაკირაფალი** „სულ ცოტა (ზედმიწ. — თითზე გადასახვევი)“

უშკუთე ბუღთი ლიყუბე (ბზ.) „გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტინება, რისამე თქმის საშუალების მოსპობა“, შდრ. ქართ. პირში ბურთის ჩაჩრა („ჩატენვა“). შდრ. მეგრ. დიალ. **პიჯი გეშკადუ** „გამაჩუმა („პირი ამომიჭედა“)“, რომელიც ქართულ-სვანურთან მხოლოდ სემანტიკურ თანხვედრას გვიჩვენებს.

შითე ლიკუანე (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **შითე ლიკუანე** (ბქ., ლნტ.) „მისაკუთრება, დაპყრობა, დაუფლება, შოვნა, ხელში მოგდება (ვისიმე, რისამე)“, შდრ. ქართ. ხელში ჩაგდება [შდრ. ასევე საკუთრივ სვან. (ბქ.) **ჩის სგა იყერ** — მისაკუთრებს, ხელში ჩაიგდება („ყველას შემოირტყამს“)] და მეგრ. დიალ. **ხეშა აშაფოთამა** „მისაკუთრება (ზედმიწ. — ხელში ჩაგდება)“

ჭგრელ ჰერწემ (ბქ.) „საზიზღარი, საძულველი ადამიანი“, შდრ. ქართ. ჭრელი გველი და მეგრ. დიალ. **ჭერჭო გვერი**

თუიდ ი შაქარდოღუ ექსიპენა! (ბქ.) „ღმერთმა შეგარგოს (ზედმიწ. — თაფლად და შაქრად-მცა გქცევია!)“ შდრ. მეგრ. დიალ. **შანქარქ დო თუფურქ გაუ||გინგართას!** „ღმერთმა შეგარგოს (ზედმიწ. — შაქრად და თაფლად შეერგოს||ექნეს!)!“

მეხოდუ ჯაჭხა! (ბქ.) „მეხი დაგეცეს (ზედმიწ. — მეხ-ი-მც გცემია!)“ შდრ. მეგრ. დიალ. **მეხი ქიგერნთხაფუდას** „მეხი დაგცემოდეს!“

გიმუი ჭიშხს დემ იგემ (ჩოლ.) „ამაყია, მედიდურია (ზედმიწ. — მიწაზე ფეხს არ დგამ-ს)“, შდრ. ქართ. მიწას ფეხს არ აკარებს და მეგრ. დიალ. **დიხაშა ვე გუბიჯგუ კუჩხი** „ამაყია, მედიდურია (ზედმიწ. — მიწაზე არ უდგას ფეხი)“ და ა. შ.

ან ორში მაინც:

ქართ. **გული დაეწვა**, შდრ. მეგრ. დიალ. **გურქ ქელაჭუ** „გული დაეწვა“

ქართ. **ამ ქვეყნისა არ არის** „მომაკვდავია“, შდრ. მეგრ. დიალ. **თე ქიანაშ ვარე** „მომაკვდავია“

ქართ. **ქვეყანა დააქცია** „გაბრაზდა“, შდრ. მეგრ. დიალ. **ქიანა დოტატარუ** „გაბრაზდა (ზედმ. ქვეყანა დააქცია)“

ქართ. **წყალივით იცის**, შდრ. მეგრ. დიალ. **წყარცალო უჩქუ** „კარგად იცის (ზედმიწ. — წყალ-ი-ვით იცის)“

ჭირ ეჩე ი ხინ ამე; ხოლა მვგ ეჩე, ხოჩა ამჩუ; ხოლემი მუჩტმა ჩიგარ ხოლა, ხოჩემი — ხოჩა! (ბზ., იქვე, 421:16-17) „ჭირი იქა და ლხინი აქა; ცუდი ყველაფერი იქ, კარგი აქ; ცუდის მომქმედნი („მ-ქმ-ნ-ელ-ნ-ი“) ყოველთვის ცუდნი („ცუდი“), კარგის — კარგები („კარგი“)“!

კროხ დადუშალ ციაგე (ჩოლ.) „მოუსვენრობს“, შდრ. მეგრ. დიალ. **მასქუ-**

ალ ქოთომცალო ვეგიაცადინე „მოუსვენრობს (ზედმიწ. — კვერცხმდები ქათამი-ვით ვერ ჩერდება)“ და სხვ.

2. სემანტიკური თანხვედრა შეიძლება იყოს, მაგრამ სიტყვიერ შემადგენლობაში იყოს სხვაობა (ან ნაწილობრივ ფორმობრივ თანხვედრას ჰქონდეს ადგილი), მაგ.:

დაგრამ პილს ლახბეკ (ბქ.) „სიკვდილის პირას მიიყვანა (ზედმიწ. — სიკვდილის პირ-ს მიბჯინა)“, შდრ. მეგრ. დიალ. **ოდურუ კარიშა მეცონაფა** „გაამწარა, გააუბედურა (ზედმიწ. — სიკვდილის კარ-ისა-მდე მიყვანა)“

კინჩხი ხახუ ნომა ემჭკორა! (ლშხ.) „ვერაფერს დამაკლებ, ვერ მომერევი“, შდრ. ქართ. კისერზე ხახვი არ დამაჭრა! შდრ. მეგრ. დიალ. **ცუჯიშა ხვარხვი ვეგ-მოჭკირას** „ყურებზე ხახვი არ დამაჭრას!“

ნესყამეფტაქა ლიზი (ბქ.) „მონდომება, მიზნის მისაღწევად ძნელი საქმის გაკეთება (ზედმიწ. — ნემს-გახვრეტოლოში სვლა)“, შდრ. ქართ. ნემსის ყუნწში გაძრომა და მეგრ. დიალ. **ლიშიშ წვანდის გითილენს** „ნემსის ყუნწში გაძვრება“. მეგრულში, აღნიშნული გამონათქვამის გარდა, მონდომების, გვხვდება სხვა ფორმებიც, მაგ.: **დიხაშ გურშა გენურს** „მიწის გულში ჩაძვრება“, **ქუას გორხუნს** „ქვას გახვრეტს“.

უშკუთე ბულოთი ლიყუბე (ბზ.) „გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტინება, რისამე თქმის საშუალების მოსპობა“, შდრ. ქართ. პირში ბურთის ჩაჩრა („ჩატენვა“) და მეგრ. დიალ. **პიჯი გემჭკადუ** „გამაჩუმა (ზედმიწ. — პირი ამომიჭედა)“, რომელიც ქართულსვანურთან მხოლოდ სემანტიკურ თანხვედრას გვიჩვენებს.

ხოჩა დომდულუჟი ლგთაშუ (ბქ.) „ბედნიერი (ზედმიწ. — კარგ მთვარე-ზე დაბადებული)“, შდრ. ქართ. ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული და მეგრ. დიალ. **ბედნიერ დღაშ დუნაბადი** „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული (ზედმიწ. — ბედ-ნიერ-ი დღ-ის და-ბად-ებ-ული-ი)“

შდიქ-ლეღუჟის იყუფე „ძალიან ბრაზობს, ჯავრობს (ზედმიწ. — კბილ-სა-გულ-ეს იძრობს)“, შდრ. ქართ. კბილებს იყრევიანებს და მეგრ. დიალ. **კიბირს უწკირწკინუანს** „ბრაზობს, ჯავრობს (ზედმიწ. — კბილ-ებ-ს აღრჭიალებს)“

ენა ჭვუხრე ნაბარდ დემეგ ხაჯემ (ბქ.) „ყოვლად უღირსია, უვარგისია (ზედმიწ. — იმის ფეხების ნა-ბან-ად არ ღირს)“, შდრ. ქართ. იმის ხელის ნაბანად არ ღირს და მეგრ. დიალ. **კუჩხიშ ნაბონაშა ვა ღირუ** „ფეხის ნაბანად არ ღირს“ და, აგრეთვე, **ნარჩხიშა ვაღირუ** „უვარგისია (ზედმიწ. — ნა-რეცხ-ად არ ღირ-ს)“

მერმემ შაქრშუ ცხენდრე ლიკედ „სხვისი საშუალებით ძნელი ან სახიფათო საქმის კეთება (ზედმიწ. — მე-ორ-ის ხელებით ნაკვერჩხლების აღება)“, შდრ. ქართ. სხვისი ხელით ნარის გლეჯა და მეგრ. დიალ. **შხვაშ ხეთ ოკო ლაკვატაშ ცოთამა** „სხვისი ხელით საქმის გაკეთება (ზედმიწ. — სხვ-ის-ი ხელ-ით უნდა კიტ-ის სროლა)“. სემანტიკურად სამივე ქართულური ენის მონაცემი სრულ იდენტურობას ამჟღავნებს.

ნებგუაშ წკალ მექუცე „უსირცხვილო, უსინდისო (ზედმიწ. — შუბლის ძარ-

ლვგაწყვეტილი)“, შდრ. ქართ. შუბლმორეცხილი და მეგრ. დიალ. **ცვა ეკორჩხილი** „უსირცხვილო, უსინდისო (ზედმიწ. — შუბლ-გა-რეცხ-ილ-ი)“

გუიმუჭუედ ხოფუე (ბქ.) „გულ-მუცელი ეწვის მწუხარებისგან, დარდისგან...“ (ზედმიწ. — გულ-ი და მკერდი უდულს)“, შდრ. მეგრ. დიალ. **გურ დო ჩხონჩხიქ დაჭუ** „დამწუხრებულა (ზედმიწ. — გულ-ი და ფილტი ე-წვი-ი-ს)“

თეთე ფხულე დემ იძიირი (ბქ.) უკუნია, ძალიან ბნელა (ზედმიწ. — თვალ-ის-კენ თითი არ ი-ძიირ-ებ-ა)“, შდრ. ქართ. თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი (ისე ბნელა) და მეგრ. დიალ. **კითი ვემილინე თოლშა** „ძალიან ბნელა, უკუნია (ზედმიწ. — თითი არ მიიტანება თვალ-თან)“

ზისხ ი ზენე ემენწგრე „გამამწარა (ზედმიწ. — სისხლ-ი და წვენი გა-მო-მ-წურ-ა)“, შდრ. ქართ. სისხლი გამიშრო და მეგრ. დიალ. **ზისხირ გომსკირუ** „გამამწამა (ზედმიწ. — სისხლ-ი გამიშრო)“, **ზისხირ დობწუ** „გამამწამა (ზედმიწ. — სისხლ-ი გა-მო-მ-წ-ოვ-ა)“ და მრავ. სხვ.

ზოგჯერ ასეთი გამონათქვამები სამივე ენობრივ ერთეულში არ დასტურდება, მაგ.:

ჩხარა თჷკუქა ნჷსკინ ზურალ (ბქ.) „ცუდი ყოფაქცევის, გაქნილი, გაიძვერა ქალი“ (ზედმიწ. — ცხრა თოკ-ზე ნახტომი ქალი)“, შდრ. ქართ. ცხრა თოკში გამძვრალი||ცხრა თოკიდან აშვებული „ათასგვარ გაჭირვებას გადარჩენილი, მეტად გაქნილი, გამოცდილი, ეშმაკი, გაიძვერა“, აღნიშნული ფრაზეოლოგიური გამონათქვამი მხოლოდ ქართულ-სვანურისთვისაა დამახასიათებელი. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებზეც:

ხარგვდ ბაჩარს „შეაყარე კედელს ცერცივი (ზედმიწ. — ელაპარაკე ქვებს)“

ლგცდ ხოგ (ბქ.) „ზედმიწვევით იცის, დაუბრკოლებლად აჩენს თავის ცოდნას რაიმე საგნისას (ზედმიწ. — წყლად უ-დგ-ა-ს)“, შდრ. ქართ. წყალივით იცის. რა შეიძლება ითქვას აღნიშნული ფრაზეოლოგიური გამონათქვამის შესახებ? არის კი იგი ქართული „წყალივით იცის“ ფორმის კალკი? მართალია, სემანტიკურად სრულ იდენტურობას ამჟღავნებენ, მაგრამ სტრუქტურულად განსხვავდებიან. აქედან გამომდინარე, შესაძლოა დაფუძვით, რომ სვანური **ლგცდ ხოგ** სვანურისავე ნიადაგზეა წარმოქმნილი. რა თქმა უნდა, იმავეს თქმა ბევრ სხვა სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამზეც შეიძლება.

აქვე შევნიშნავთ, რომ ქართულ იდიომატურ გამოთქმას **წყალივით იცის-ს** მეგრულში ეძებნება ეკვივალენტი (იხ. პირველ ჯგუფში).

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მთელი რიგი გამოთქმები, როგორც მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოჩნდა, სემანტიკური მონოლითურობითა და სიმყარით გამოირჩევა ქართველურ ენებში (მაგ.: **ენის წვერზე მადგას, სამარეს უთხრის, მიწას ფეხს არ აკარებს, გული დაეწვა, შეაყარე კედელს ცერცივი, პირში ბურთის ჩაჩრა, კისერზე ხახვი არ დამაჭრა!** და ა. შ.). უნდა ითქვას, რომ იდიომის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ სემანტიკური მომენტია მიჩნეული (თაყაიშვილი 1961: 29). ზოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით კი, „მიუხედავად სემანტიკური დამთხვევისა, გამორი-

ცხელი არაა, რომ ზემოდასახელებული ზოგიერთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი დამოუკიდებელი წარმოშობის იყოს ორივე ენაში ერთნაირი საზოგადოებრივ-ისტორიული პირობების გამო“ (სალიანი 2011: 154).

ცნობილია ისიც, რომ იდიომის გაგება, როგორც სიტყვის ეკვივალენტისა, ორგანულადაა დაკავშირებული მის სინტაქსურ ფუნქციასთან (თაყაიშვილი: იქვე). მეცნიერთა ერთ ნაწილს კი მიაჩნდა, რომ ფრაზეოლოგიზმის შემადგენელი ყოველი კომპონენტი დამოუკიდებელ სინტაქსურ ფუნქციას ასრულებდა, ანუ ფრაზეოლოგიური ერთეული გაიგივებული იყო თავისუფალ შესიტყვებასთან, მის ყოველ წევრს კი ესმებოდა დამოუკიდებელი კითხვა. ამგვარი ფორმალური მიდგომა დიდხანს იყო გავრცელებული მეცნიერებაში. არლ. თაყაიშვილის აზრით, ასეთი ანალიზით იჩრდილება ფრაზეოლოგიზმის, როგორც განსაკუთრებული სემანტიკური ერთეულის, ბუნება (იქვე).

აქ წარმოდგენილი საანალიზო მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ზემოაღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში (გვულისხმობთ სამივე ქართველური ენის მონაცემებს) სრული იდენტურობა არა გვაქვს. სემანტიკური თანხვედრა არის, თუმცა არა სიტყვიერი შემადგენლობის.

რადგანაც იდიომის სემანტიკური დაუშლელია ერთგვარ გამოვლენას პოულობს სინტაქსში (ანუ იდიომა გამოდის წინადადების ერთი წევრის როლში), აქედან გამომდინარე აუცილებლად ჩავთვალეთ ზემოაღნიშნული მასალის სინტაქსური თვალსაზრისით განხილვაც, რაც ქვემოთ იქნება წარმოდგენილი.

3. სვანურში წარმოდგენილია ბევრი ისეთი იდიომატური გამოთქმა, რომლებიც სხვა ქართველურ ენებში არ შეინიშნება, მაგ.:

თხერემ გჷერაჷი ლგპრისდე „დაუნდობელი, შეუბრალებელი, ბოროტი, ავი...“ (ზედმიწ. — მგლის ტყავზე მონათლული)“

ალის იმდო ხერგადნი, მამაგჷემჷ ჰეჷმენი, თხერემ გჷერაჷი ლი ლგპრისდე (ბქ.) „ამას რაც არ უნდა უთხრა, აზრი არა აქვს, შეუბრალებელია||ბოროტია („ამას რაც უნდა ელაპარაკებოდე არა საქმე გემატება, მგლის ტყავზე არის მონათლული“)“.

მოცემული გამოთქმის პარალელურად ბალსქვემოურში გვხვდება, აგრეთვე, **თხერე ლგპრისდე** „მგელი მონათლული“ ფორმაც. ჩვენი აზრით, ორივე გამოთქმა შესაძლოა ქართული „მგელს სახარებას უკითხავდნენ“ გამოთქმის ანალოგიით იყოს შექმნილი, თუმცა სტრუქტურულ-სემანტიკურად სრულიად განსხვავებულია, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი გამოთქმები საკუთრივ სვანურ ფორმებად მივიჩნიოთ.

სვანურში ასევე დასტურდება გამოთქმა **თხერან ლეჷრი**¹ (ბქ.) „საცოდავი, საწყალი (ზედმიწ. — მგლისგან საწყალი||საცოდავი)“, რაც სხვა ქართველურ

¹ ადამიანი, რომელიც ყველასგან განწირულია, არავის ეცოდება, არავინ ზრუნავს მასზე, არც შინაური და არც გარეული, ასეთ ადამიანზე არის ეს გამოთქმა.

ენებში არ დაფიქსირებულა.

თხერემ ვარვისგა ლირდე „წვალებაში, ცუდ პირობებში ცხოვრება (ზედმიწ. — მგლის ხახა-ში ყოფნა)“

თხერემ ვარვისგა გეზლირიშ ლირდი გუნ გარჯ ლი ბქ. (ცხუმ.) „წვალებაში, ცუდ პირობებში, ცუდი ადამიანების გარემოცვაში შვილების გაზრდა ძალიან რთულია („მგლის ხახა-ში შვილების გაზრდა მეტისმეტი გარჯა არის“)“

თხუმემ პერდ ლიგნე „თავის გახეთქვა (ზედმიწ. — თავის ქაფად და-დგ-მ-ა)“

ზურალაშ ნენემ მგნა ჰედ ესერ ნამწედი, მოღეი თხუმემ პერდ ლიგნე (ლხმ.) „ქალის გამჭორავმა||სახელის გამტენმა ან თავი უნდა იმართლოს, ანდა თავი დაისჯებაო („ქალის ენ-ის მ-დგ-მ-ელ-ს ანო თავის გასამართლებელი, ანდა თავის ქაფად და-დგ-მ-ა“)“

სკელ-ჭიშხ რუ მეჩდე||შიჭიშხ რუ მეფშუდე||თხტიმ რუ მეფშუდე „ადამიანი, რომელიც საკუთარ გარეგნობაზე და ჩაცმა-დახურვაზე არ ზრუნავს, არ აინტერესებს ან უდარდლობის, ან რაღაც დიდი დარდის გამო (ზედმიწ. — წვივ-ფეხი ჩასული||ხელ-ფეხი ჩაშვებული||თავი ჩაშვებული)“

ექშუ ხოლა ენჭიე, ერე თხტიმ რუ მეფშუდე ხარ ი დემლა ფეშნი (ბქ.) „იმდენ ცუდს მოესწრო, რომ საკუთარ თავზე აღარ ფიქრობს და არც არაფრის დარდი აქვს („ის-ზომა ცუდი მოისწრო, რომ თავი ჩაშვებული აქვს და არასთვის ზრუნავს“)“

ძულტაშ მელ ამჩხტუნე „გამაწამა, გამაწვალა (ზედმიწ. — ზღვ-ის ბალახი მომაძოვინა)“

სერ დემეგ მამედა, ამნემდ ძულტაშ მელ ამჩხტუნე (ბქ.) „მეტი არ შემიძლია, ამან გამამწარა||გამაწამა („მეტი არ მე-იმედ-ებ-ა, ამან ზღვ-ის ბალახი მომაძოვინა“)“

წყელიანდ ლიყდანი „სისუფთავის დაცვა (ზედმიწ. — წყლ-იან-ად დაკავება, დაჭერა)“

ფაგო¹ ... წყელიანდ ხოყდანი ი ხულუნ მანგ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 153:36-37) „ფაგოს ყველაფერი სუფთად ჰქონდა („წყლ-იან-ად ეკავა და ჰქონდა ყველაფერი“)“

წყილანდ მგსყე „გასუფთავებული (ზედმიწ. — წყლ-იან-ად კეთებული)“

აშხუ ზგის ლაყურა ხარხ ი ერჩუნ წყილანდ მგსყე ხარხ მინე სადგუმე (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 83:31-32) „ერთ ადგილას დასაწოლი აქვთ და იქ თავიანთი („მათი“) ბინა („სა-დგ-ომ-ი“) გასუფთავებული აქვთ („წყლ-იან-ად კეთებული აქვთ“)“

ცხარართეი ლიკედ „აბუჩად ავღება (ზედმიწ. — ფრჩხილ-ებ-ის¹-კენ-ზე აღება)“

ალ მეზვე ცხარართეი ენკიდხ (ბქ.) „ეს ოჯახი აბუჩად აივღეს („ეს მოსახლე ფრჩხილებ¹ის¹კენზე აიღეს“)“

ყაბან ნაცსაჟ გიშხ ესდე (ბქ.) „სიმწრისაგან ყველაფერი ჩამოიხოკა („ყბ-ი¹ს“

ნა-თეს-ავ-ი მიწას და-ღ-ო“¹“

... **ყაბზ ნანთსაჟს დემის იცურე** (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 46:3-4) „ჩამოიხო-
კავს ყველაფერს („ყბ-ი¹ს¹ ნა-თეს-ავ-ს არ იტოვებს“)

კუნენაჟთე მესგადი „ძუნწი (ზედმიწ. — უბეში მზერი)“

კუნენაჟთე მესგადის მერმათე ლაწუჟე დემესერ ხარ (ბქ.) „ძუნწი ადამიანი
სხვაზე არ ზრუნავსო („უბ¹ისა¹კენ მზირალს მე-ორ-¹ის¹-კენ სახედი არო აქვს“)

სადარ-კუდარიშ ჭაჭარლეჟა ლიყერ „გალანძღვა, გათათხვა (ზედმიწ. —
წყველა-კრულვის ზურგს ქვემოთ დარტყმა)“

ეჯგუნარ ენხირნან, ერე სადარ-კუდარ ჭაჭარლეჟა ხაჯიდ (ბქ.) „ისე გაბრაზ-
და, რომ გალანძღა, გათათხა („წყველა-კრულვა ზურგს ქვემოთ დაარტყა“)

ქუინ ყიას მეშან „ბევრი საქმე მაქვს, გაწამებული ვარ (ზედმიწ. — სული
ყელს მასხია)“

ისგოჟდ მიჟიბა?! ქუინ ყიას მეშან (ბქ.) „შენთვის მცალია?! ბევრი საქმე
მაქვს, გაწამებული ვარ („შენთვის მიცლია?! სული ყელს მასხია)“

ყაბზარდამშ მუხუიტან „ავი, ცული ზნის (ზედმიწ. — ყაბზარდოს ამომწყვეტი)“

ალ ზურალანშ მჰ ჯამბაჟს?! ყაბზარდამშ მუხუიტან ლი (ბქ.) „ამ ქალის რა
გიკვირთ?! ავი, ცული ზნისაა („ამ ქალის რა გიკვირთ?! ყაბზარდო-ს ამომწყვეტი
არის)“

მეცხი-ათუშ ლიქუენე „ხელისგულზე ტარება, განებივრება, კარგი პირო-
ბების შექმნა (ზედმიწ. — ცივ-ცხელის გაგრილება¹)“

თელღვრას მეცხი-ათუს ხოქუენენ, მარე ეჯღამ დემ იგნი ქორისგა (ბქ.)
„რძალს ხელისგულზე ატარებენ, მაგრამ მაინც არ ჩერდება სახლში („რძალს
ცივ-ცხელს უგრილებენ, მაგრამ მაინც არ დგ-ებ-ა ქორა-ში)“

გვხვდება სხვა მნიშვნელობითაც, მაგ.:

მეცხი-ათუშ ლიჯდე „შიშისაგან გაჟრჟოლება, ციებ-ცხელების მოგვრა
(ზედმიწ. — ცივ-ცხელის მოტანა)“

მაყაჟუ მეცხი ათუ ოხჯად||ოხშყად (ბქ.) „შიშისაგან ციებ-ცხელება დაემარ-
თა („შიშით ცივი სიცხე მოუვიდა||მოუვარდა“), შდრ. ქართ. ციებ-ცხიელება „მო-
უთმენელი სისწრაფე, აჩქარება, რისამე კეთების დროს სულსწრაფობა“.

ჩვენი აზრით, სვანური ფრაზეოლოგიური გამონათქვამი **მეცხი-ათუშ**
ლიჯდე საკუთრივ სვანურია, მაგრამ თუკი იგი სვანურმა ოდესღაც ქართულიდან
ისესხა, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული გამონათქვა მსესხებელ-
მა ენამ კიდევ უფრო დააკონკრეტა, რაც, მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრი-
სის მიხედვით, გამონათქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ნიმუშია, ანუ
გათვალისწინებულია ახალი გარემო და სათარგმნი ერთეული მისთვის ნიშან-
დობლივი სახით გადმოიცემა (თაყაიშვილი 1961: 110).

გეშლარლეჟა ნამტრუკუალ „ცელქი, მოუსვენარი (ზედმიწ. — გეშლარ-¹ს¹)“

¹ ანუ ცივს რომ უცხელებენ და ცხელს უგრილებენ.

ზემოთ ნაკუნტრუმები, შდრ. ქართ. „მუტრუკ-ი““

ანვადხ გეშლარლეჟა ნამტრუკჟალ ბოფშარ ი სოფელს ჟიბოჟიშ ჩუბოჟ ხაყერს (ბქ.) „მოვიდნენ ცელქი||მოუსვენარი ბავშვები და სოფელი აურ-დაურის („მოვიდნენ გეშლარ-ს“ ზემოთ ნაკუნტრუმები ბავშვ-ებ-ი და სოფელ-ს ზემოთის ქვემოთ დამართეს)“. ამ წინადადებაში, როგორც ვხედავთ, მეორე ფრაზეოლოგიური გამოთქმაც გამოვლინდა, ესაა **ჟიბოჟიშ ჩუბოჟ ლიყრინე** „არევა, აწიოკება, არე-დარევა“, რაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ დატვირთული და სხვა ქართველური ენებისთვის უჩვეულო გამოთქმაა, ესეც, რასაკვირველია, გამოთქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ნიმუშია.

ჟიცხილდ ზაგარჟი ლიქქჟე „შორს, მოუსვლელში წასვლა (ზედმიწ. — ვიცხილდ ზაგარზე ჩაცუცქება)“

მიშეჟახენ ათხეა ჟიცხილდ ზაგარჟილჟე ქუქჟდანს! (ბქ.) „ისემც გიქნია, მოუსვლელშიმც წასულხარ („ჩემგან ახლაც ვიცხილდ ზაგარზემც ჩაცუცქულხარ!“)“

ისგეშცახან ლირდეს, ჟიცხილდ ზაგარჟი ხჟიქქჟე, ეჯი მიცხა (ბქ.) „თქვენთან ყოფნას მოუსვლელში წასვლა მირჩევნია („თქვენთან ერთად ყოფნას, ვიცხილდ ზაგარზე რომ ვიყო ჩაცუცქული, ის მირჩევნია“)“

ნამპარდ ლიგენე „თავის გაპობა (ზედმიწ. — ლამპრ-ად და-დგ-მ-ა)“

თხჟიმ ნამპარდ ოთგენე (ლნტ.) „თავი გაუხეთქა („თავი ლამპრ-ად და-უ-დგ-ა)“

თხჟიმშიშ შოლეღდ ლიგენე „თავის გაპობა (ზედმიწ. — თავის ხლეჩად და-დგ-მ-ა)“. **შოლეღდ** ფორმა სვანურში იდიომატური გამოთქმების გარდა ცალკე ლექსიკურ ერთეულად არ დასტურდება.

ხჟანს ნომ როქ იჩო, ეღო თხჟიმს როქ შოლეღდ ხოგნე! (ბქ.) „წესიერად მოიქეციო, თორემ თავს გაგაპობო („ხვავ-ს ნუ-არ-ო იქმს, თორემ თავს შუაზე და-უ-დგ-ამ-ს!“)“

ფისეგარგასისგ'ოლჟე ხარ ლაქუნ! (ბქ.) „ჯოჯოხეთი იყოს მისი სამკვიდრო (ზედმიწ. — მდულარე ფის-ში-მც აქვს სასულეთი!)“!

წინალდ ი წირკამლდ ლიბლოკე (ბზ.) „სრულიად მოსპობა, განადგურება, ამოწყვეტა (ზედმიწ. — ნასახად და ძირფესვიანად ამოწყვეტა)“

დეც აშდქე ლი (ბზ) „მოღრუბლულია (ზედმიწ. — ცა მაკე არის)“

დეც აშთქე (ბქ.) „მოღრუბლული (ზედმიწ. — ცა მაკე)“. **შენიშვნა:** როცა ცა ღრუბლით დამხიმებულია, მზეს ძალა მოკლებული აქვს, ასეთ შემოდგომის ცაზე ამბობენ.

მეცხამ გადან აშთქე ესერ ლი (ბქ.) „პროცენტიანი ვალი დღითი-დღე იმატებსო (ზედმიწ. — მზარდი ვალი მაკეო არის)“

გალ ხარ მეჩდე „არაქათი აქვს გამოლეული, სუსტადაა (ზედმიწ. — ძალა, არაქათი აქვს წასული)“

... **ლეგმერდე** „ს“ **გალ ხერი მეჩდე ი ლიქჟთუნალ მან ხეამედი, ეჩქა ღგრიხ ი ითხელიხ** ჟი ხოჩა მელობდოჟალს (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 246:25-27)

„როდესაც ავადმყოფს ძალ-ღონე ექნება გამოლეული („წასული“) და განძრევის თავი არ ექნება („ქანაობა არ ე-იმედ-ებ-ა“), მაშინ მიდიან („წავლენ“) და მოძებნიან ხოლმე კარგ ლობიოზე მკითხავს („მე-ლობიო-ეს“)“

დეცქა ლისკურუნე „ზედმეტად ამაყი ადამიანი, კული რომ ყავარზე აქვს გადებული (ზედმიწ. — ცა-ზე აშადრევენება||პკურება)“, ისეთ ადამიანზე ამბობენ, ვინც ძალიან ამპარტავანია, საქმით იქნება თუ სიტყვით, ყველაზე ამაღლებულად ცხოვრებას რომ ცდილობს, თუმცა შესაძლებლობა არა აქვს.

ანიბ გუი, დეცქა ლისკურუნედ გუი ხარ (ბქ.) „გული გააწყალა, ცაში ფრენა მოინდომა („გახეთქა გულ-ი, ცა-ზე პკურ-ებ-ად გულ-ი აქვს“)“

დაგრა, ხოშა ღერმეთლოა?! (ბქ.) „აფსუს (ზედმიწ. — სიკვდილი, დიდ ღმერთ-ს ვფიცავარ!)?!“

დეციშ ლიდრანტი¹ „ენით ქვეყნის აშენება (ზედმიწ. — ც-ის და-ღარ-ვ-ა)“

ნენშუ დეცს ესერ ღარს ხანე ი ვემ ტეტლისგა ხოზ (ბქ.) „ენით ცას გახეთქავსო და უკანალი ნაცარში უდევსო („ენ-ით ცა-ს-ო ღარ-ს ა-დგ-ამ-ს და უკანალი ნაცარ-ტუტა-ში უ-ძ-ევ-ს“)“

ემსუ თე ლაფსყალდთე ხულშა „ელამია (ზედმიწ. — ერთი თვალ-ი ლაფსყალდ-ის¹-კენ აქვს)“

ლესდიდ ევლანა ხეყადდეს, ემსუ თე ლაფსყალდთე ხულშა (ბქ.) „შესახედავად მაინც ვარგოდეს, ელამია („შესახედად მაინც ვარგოდეს, ერთი თვალ-ი ლაფსყალდ-ის¹-კენ აქვს“)“

ყაბლანჭმინაშ ნალჟურ „ახალგაზრდა ბიჭი (ზედმიწ. — წვერმოსასმელი ნა-ვაჟ-ევ-ი)“

ხოჩამთექა მეკდე ნალჟურ ღანსუ, ყაბლანჭმინაშ (ბქ.) „ახალგაზრდა ბიჭი იყო („კარგისკენა მოსული ნა-ვაჟ-ევ-ი იყო, ყაბ-მოსასმელისა“)“ და მრავ. სხვ.

ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილ იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომელთაც ქართულსა და მეგრულში ეკვივალენტი არ დაეძებნათ, უნდა განვიხილოთ როგორც საკუთრივ სვანური. სავსებით ბუნებრივია, რომ მსგავსი მასალა სჭარბობს ქართველური ენებიდან კალკირებისა და სესხების გზით შემოსულ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს.

რაც შეეხება სხვა ქართველურ ენებს, რა თქმა უნდა, იქაც გვხვდება მხოლოდ ამა თუ იმ ენობრივი ერთეულისთვის დამახასიათებელი იდიომი (მაგ.: ქართ. **ქვა აადლო, თავი შეუშვირა** „იუარა“, **კული ყავარზე აქვს გადებული** „ამაყია“, **ღარჯაკში გამოივლის|ღარჯაკში გატარდება** „დიდ გამოცდილებას მიიღებს, გამოიწრთობა“...; მეგრ. დიალ. **პობორ ქიჩანუ** „გაბრაზდა (ზედმიწ. — ტალღა გამოისხა)“, **მუნდ მეტახილ რე** „მეტიჩარა (ზედმიწ. — უკანალ-მო-ტენილ-ი-ა)“, **ფურკ ქიმეჩუ** „შეუტია, გაუხურა (ზედმიწ. — ბოლი მისცა)“, **გერიშ გამანვენჯი** „ყველაფერზე წამსვლელი (ზედმიწ. — მეელ-ზე მჯდომი)“, **ფსუა**

¹ როცა კაცს საქმით არ შეუძლია და ენით იმაზე მეტს ლაპარაკობს და თავის ქებით სხვას თავს მოაბეზრებს, იმაზე ითქმის.

ელატახილ ქოთომცალო გილუს „მარტოხელაა (ზედმიწ. — ფრთამო-ტეხ-ილო ქათამ-ი-ვით-ა-ა)“, გუს გენია მონტებული „შეყვარებულია (ზედმიწ. — გულ-ს ცეცხლწაკიდებული)“, ჯაქვა ბორიას! „მტრისას (ზედმიწ. — ძელ-ქვა ქარს!)“ და ა. შ.

4. საკვანძო სიტყვის გამოყენების თვალსაზრისით ქართველურ ენებს აერთიანებთ გულ სიტყვის ყველაზე ხშირი ხმარება იდიომატურ გამოთქმებში. აქაც გამოიყოფა საკუთრივ სვანური მასალა, მაგ.:

გულ ლანჯიდწ „მისახვედრი (ზედმიწ. — გულ-ად მოსატანი)“, შდრ. მეგრ. დიალ. **გურგორამილი** „მიხვედრილი (ზედმიწ. — გულ-ის გა-მ-ც-ემ-ი)“

გულ ლანჯიდწ ლი, ერე ალ ბაჩუჟინ წეს მურყუამ ლგმგენელი შომჟაღი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 99:35-36) „მისახვედრია („გულ-ად მოსატანი ა-რ-ი-ს“), რომ ამ ქვაზე ოდესღაც სერიოზული („წეს-იერ-ი“) კოშკი მდგარა“

გულ ლიგედ „მიხვედრა (ზედმიწ. — გულ-ად მოსვლა)“

ერქა მარე გულ ჰედენდ'ერე ალა აშ მირ მამა ლი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 81:1) „მაშინ ადამიანი („კაცი“) ხვდებოდა („გულ-ად მოდიოდა“), რომ ეს უბრალო რამე არ იყო („ეს ასე რაღაც არ იყო“)“

სოფელ გულ ახოვად ალ მარას (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 293:29) „სოფელი მიუხვდა („გულ-ად მოუვიდა“) ამ კაცს“

გუმი ლიჟიდი „დაკვირვება, ყურადღების მიქცევა (ზედმიწ. — გულ-ის'ი-ს' მიცემა)“

ალეს მჟუარ გუს ხაჟდის (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 265:12) „ამას ძალიან დიდ („მეტისმეტ“) ყურადღებას აქცევან („გულ-ს აძლევენ“)“

გუ ხოლა ნომ აჯადდეს (ბქ.) „არ გეწყინოს („გულ-ის' ცუდი ნუ-არ გეყოს, გიქნას“)“

გუის აშ მახტურე (ბქ.) „გული მეთანადრება („გულ-ს ა-ს-ე მათლის“)“

გუმი ნახიბუი ში ლიდესგი „გულამოსკვნილი ტირილი (ზედმიწ. — გულ-ის' ნახეთქის' ამოდება)“

ეჯჟინ იგუნი, ერე გუიმი ნახიბუს ში დესგი (ბზ., სვან. პრ. ტექსტ., 1939, 221:22) „ისე ტირის, რომ გული საგულედან უვარდება („გულ-ის' ნაფლეთს ამოდებს“)“

გუმი ლიჩახჟ „სინანული (ზედმიწ. — გულ-ის' ცოხნ-ა)“

ქელეფენ ესერ ჯიჯუს ხეჩახჟ ი სურუ მგჟდგრე მიჩა გუ (ბზ.) „ძვალს ჭამსო და მეტისმეტი სინანული თავის გულსაო („კეთრიო ძვალს ცოხნ-ის და მეტისმეტი მომნანიებელი მის გულ-ის“)“ ...

არანაკლებ საინტერესოდ გვესახება შემდეგი გამოთქმა:

გუიმი ნახიბიშ ქამინჩუ ლიდისგ „გულის ამოვდება 'ტირილით' (ზედმიწ. — გულ-ის' ნახეთქის გარეთ დ-ებ-ა)“

რალი იგუნი, იგუნი, გუმი ნახიბუს ქამინჩუ ადისგ (ბქ., სვან. ქრესტ.,

1978, 227:2) „ეს ტირის, ტირის, გული ამოიგდო ტირილით („გულ-ი^ს ნახეთქს გარეთ დ-ებ-ს“)“ და მრავ. სხვ.

და, აგრეთვე, ქართულ-მეგრულთან საზიარო მასალაც:

გუი ოხვად (ჩოლ.) „გაბრაზდა (ზედმიწ. — გულ-ი მოუვიდა)“, შდრ. მეგრ. დიალ. **გურიშ მოცონაფა** „გაბრაზდა (ზედმიწ. — გულ-ი მო-ი-ყ-ვ-ან-ა)“

გუიმი კუაშა|კუეშა (სვან.) „გულის დაწყვეტა (ზედმიწ. — გულ-ი^ს ტეხვა)“, შდრ. მეგრ. დიალ. **გურიშ გოტახუა** „გულის წყვეტა (ზედმიწ. — გულ-ის გატეხვა)“

გუიმი ქა ლინარჰე (ბქ.) „კარგ ხასიათზე დადგომა, გახარება (ზედმიწ. — გულ-ი^ს განათება)“, შდრ. ქართ. გულში ნათელი ჩაუდგა, გული გაუნათდა

გუიძსგა ლუსმანალ მისჰე (ბქ.) „რალაც მაწუხებს, მტანჯავს, მაწვალებს („გულ-ში ლურსმანივით მარჯვია“)“, შდრ. ქართ. გულზე ლურსმნად დგომა „ტანჯვა, წვალება, წამება... და მეგრ. დიალ. **გურს ისმარო (ძიგრო) დიავძუ** „რალაც მაწუხებს, მტანჯავს, მაწვალებს“

გუიმი ხეპა „ჯავრი, ბრაზი (ზედმიწ. — გულ-ი^ს ხეთქვა)“, შდრ. ქართ. გული მომიკლა, გამიხეთქა და მეგრ. დიალ. **გურ დომვილუ** „გული მომიკლა“, **გურიშ სოფუა** „გამწარება (ზედმიწ. — გულ-ის გახევა)“

ამანდ ხოშა დემეგ მამედა, ამნემდ გუი ხანდ ლამგენე (ბქ.) „მეტი არ შემიძლია, ამან გული გამიწყალა||სიცოცხლე გამიმწარა („ამაზე დიდი არ მ-ე-იმედ-ებ-ა, ამან გულ-ი ხეთქვად დამიყენა“)“

ამშა ჯანურდ გუი ემხიპ (ჩოლ.) „ამაზე დარდმა გული მომიკლა (ზედმიწ. — გულ-ი გამიხეთქა)“ და ა. შ.

რამდენიმე მეგრულ ფრაზეოლოგიურ ერთეულს ეკვივალენტი აღმოაჩინდა მხოლოდ ქართულში, მაგ.:

გური დო შური ვადურკებუ (მეგრ.) „ყველაფერი გაუკეთა, ზრუნვა და ყურადღება არ დააკლო (ზედმიწ. — გულ-ი და სულ-ი არ და-უ-კლ-ი-ა)“, შდრ. ქართ. გული და სული არ დაუკლია

გური დო შური დღას მითინიშა ვადურკებუ, ღორონთიე მოწამე (მეგრ.) „მზრუნველობა არავისთვის დაუკლია, ღმერთია მოწამე („გულ-ი და სულ-ი არ და-უ-კლ-ი-ა, ღმერთ-ი-ა მოწამე“)“

გურქ ქელაჭუ (მეგრ.) „გული დაეთუთქა“, შდრ. ქართ. გული დაეწვა

გურიშ ელაფა (მეგრ.) „გულის აცრუება (ზედმიწ. — გულ-ის ავარდნა)“, შდრ. ქართ. გულის აცრუება და სხვ.

ქართულსა და მეგრულშიც დაფიქსირდა **გულ-** ფუძის შემცველი უამრავი ისეთი იდიომატური გამოთქმა, რომელთაც შესატყვისი არ დაექნებნათ სვანურში (მაგ., ქართ.: **გულზე მუწუკივით ბმა** „რაიმე ან ვისიმე ამბავი საშინლად აღადრდებს ან ანადვლებს“, **გულზე ვარდის გადაფენა** „უსაზღვროდ გახარება, ნეტარება, დაუსრულებელი სიხარული, სიამოვნება“, **გულიდან კლიტე აჭლიჭეს, კარი გაუღეს და შიგ ჩაჭხედეს** „საიდუმლო გაუმჟღავნეს, გაიგეს, რაც გულში

ედო, რასაც ფიქრობდა“, **გულის ბუხრის ამოყრა** „დარდ-ვარამის გაზიარება სხვისათვის, თავისი თავისი მწუხარების შეჩვილება და გაქარვება, ვისიმე ჯავრის ამოყრა, მტრისთვის სამაგიეროს გადახდა“, **გულმა ყბა გააღო** „გამხიარულდა, ნღველი გადიყრა“; მეგრ.: **გურიშ ჩამა** „მიხვედრა“, **გურიშ გონამა** „დაფიქრება, გარჩევა, გაანალიზება რაიმესი“, **გურიშ იაჩამა||ელაჩამა** „რჩევა (გულისმიერი)“ და მრავ. სხვ.

ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვების შემცველი ფრაზეოლოგიზმები, როგორც ცნობილია, პროდუქტიულ ერთეულებს წარმოადგენენ ყველა ენაში და მათ შორის, რასაკვირველია, ქართველურ ენებშიც. ამჯერად ჩვენ შევეხებით მხოლოდ „გულ“-სიტყვიანი სომატიზმების შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომელთა სიხშირე ქართველურ ენებში განსაკუთრებით თვალში საცემია, და საინტერესოც, ვინაიდან ისინი „წარმოადგენენ ლექსიკურად არაშეთავსებადი კომპონენტების სინთეზს, რომელთა შეკავშირება უზრუნველყოფილია ადამიანის მატერიალურ და იდეალურ სამყაროთა კორელატების ადგილების გადანაცვლებით“ (ჯანელიძე 1980, 168).

რაც შეეხება ფრაზეოლოგიზმების სინტაქსურ ასპექტში განხილვას, ამასთან დაკავშირებით ენათმეცნიერებაში აზრთასხვადასხვაობაა. ჩვენ ვიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომ ფრაზეოლოგია არის სინტაქსის საგანი და კვლევის ობიექტი იმდენად, რამდენადაც ფრაზეოლოგიზმებით შეიძლება გამოიხატოს წინადადების წევრები, სინტაქსური ერთეულები, მარტივი თუ შერწყმული წინადადებები, ასევე რთული წინადადების ნაწილები, და თვით რთული წინადადებებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ფრაზეოლოგიზმის შემადგენელ კომპონენტებს ცოცხალი სინტაქსური კავშირი ახასიათებთ.

ფრაზეოლოგიური მესიტყვება იდიომის მსგავსად ქმნის ერთ მთლიან გაგებას. წინადადებაში ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს სიტყვის ეკვივალენტს და, შესაბამისად, რომელიმე წევრის ფუნქციას ითავსებს.

ზემოთ განხილული მასალის გათვალისწინებით, ერთნაირი სემანტიკური და ლექსიკური შემადგენლობის ფრაზეოლოგიური ერთეულები წინადადებაში, ამავე დროს, ერთი და იგივე წევრის ფუნქციით გვევლინება სამივე ქართველურ ენაში, მაგ.:

თერწრისგა ჩის ტეტს ხაშდე (ბქ.) „ყველას ატყუებს („თვალ-ებ-ში ყველას ნაცარ-ტუტა-ს აყრის“),“ შდრ. ქართ. **თვალში ყველას ნაცარს აყრის** და მეგრ. დიალ. **არძოს თოლს ტუტას აღარღვანს** „ატყუებს (ზედმიწ. — ყველას თვალ-ს ნაცარ-ტუტა-ს აყრის)“

საფლანჟს ხობგრჯე (ბქ.) „ღალატობს, საფრთხეს უქმნის (ზედმიწ. — საფლავ-ს უთხრის)“,“ შდრ. მეგრ. დიალ. **სამარეს უნთხორუნს** „სამარეს უთხრის“

თჟიდ ი შაქარდ ედსიპან (ბქ.) „დატკბა (ზედმიწ. — თაფლ-ად და შაქრ-ად გადაიქცა)“,“ შდრ. ქართ. თაფლად და შაქრად იქცა „დატკბა“ და მეგრ. დიალ. **შანქარო დო თოფურო გინირთ** „დატკბა (ზედმიწ. — შაქრ-ად და თაფლ-ად გადაიქცა)“

კროხ დაღუშალ ციაგე (ჩოლ.) „მოუსვენრობს (კრუხ-ი დედალ-ივით მოუსვენრობს)“, შდრ. მეგრ. დიალ. **მასქუალ ქოთომცალო ვეგიაცადინე** „მოუსვენრობს (ზედმიწ. — კვერცხმდები ქათამ-ი-ვით ვერ ჩერდება)“ და ა. შ.

ეს ფრაზეოლოგიური ერთეულები წინადადებაში ზმნა-შემასმენლის ფუნქციით გვევლინება.

მსგავსი ვითარება გვაქვს ისეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებშიც, სადაც სემანტიკური თანხვედრა გვაქვს, თუმცა სიტყვიერი შემადგენლობა სხვადასხვაგვარია, მაგ.:

ხოჩა დომდულუი ლგთაჟუ ზურალ ლი (ბქ.) „ბედნიერი (ზედმიწ. — კარგ მთვარე-ზე დაბადებული ქალია)“, შდრ. ქართ. **ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული** და მეგრ. დიალ. **ბედინერ დღაშ დუნაბადი** „ბედნიერი (ზედმიწ. — ბედნიერ დღ-ის და-ბად-ებ-ულ-ი)“

ჩხარა თაქუქა ნასკინ ზურალ იშგმინ (ბქ.) „ცუდი ყოფაქცევის, გაქნილი, გაიძვერა ქალი შეერთო („ცხრა თოკ-ზე ნახტომი ქალი ითხოვა)“, შდრ. ქართ. **ცხრა თოკში გამძვრალი, ცხრა თოკიდან აშვებული** „ათასგვარ გაჭირვებას გადარჩენილი, მეტად გაქნილი, გამოცდილი, ეშმაკი, გაიძვერა ქალი ითხოვა“

შდიქ-ლეღუჟის იყუფე „ძალიან ბრაზობს, ჯავრობს (ზედმიწ. — კბილ-სა-გულ-ე-ს იძრობს)“, შდრ. ქართ. **კბილებს იყრევენებს** და მეგრ. დიალ. **კიბირს უწკირწკინუნს** „კბილებს აღრჭიალებს“

წარმოდგენილი ფრაზეოლოგიური ერთეულები ამ შემთხვევაშიც ერთსა და იმავე წევრის ეკვივალენტს წარმოადგენს პირველ ორ მაგალითში სამსავე ენაში — ანუ განსაზღვრების როლში გვევლინება, ხოლო მესამეში ზმნა-შემასმენლის ფუნქციით.

როგორც ცნობილია, ფრაზეოლოგიზმი ფორმას იცვლის სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის მიხედვით, დამოკიდებულია წინადადების შინაარსზე და, აქედან გამომდინარე, ერთი და იგივე ფრაზეოლოგიზმი სხვადასხვა წინადადებაში შეიძლება სხვადასხვა წევრის ფუნქციითაც მოგვევლინოს, მაგ.: პირდაპირი დამატების ფინქციით:

თაჟიდანჟე თელღრა მცხი-ათჟი ლიქჟედნე ახცხენე (ჩოლ.) „თავიდანვე რძლის ხელისგულზე ტარება, განებვირება, კარგი პირობების შექმნა ამჯობინა („თავიდანვე რძლი^ს ცივ-ცხელი^ს გაგრილება არჩია“);

ზმნა-შემასმენლის ფუნქციით:

თელღრას მცხი-ათჟს ხოქჟედნეს, მარე ეჯღა დემ იგნი ქორისგა (ბქ.) „რძალს ხელისგულზე ატარებენ, მაგრამ მაინც არ ჩერდება სახლში („რძალს ცივ-ცხელს უგრილებენ, მაგრამ მაინც არ დგ-ებ-ა ქორა-ში“);

განსაზღვრების როლში გვევლინება:

ჟუნაჟთე მესგდი დედბერ ლი „ძუნწი („უბ^{ის}კენ მზერი დედა-ბერი-ის“);

ქვემდებარის ფუნქცია იკისრა შემდეგმა ფრაზეოლოგიზმმა:

ჟუნაჟთე მესგდის მერმათე ლაწჟე დემ'ესერ ხარ (ბქ.) „ძუნწი ადამიანი სხვაზე არ ზრუნავსო („უბ^{ისა}კენ მზირალს მე-ორ-ის^{კენ} სახელი არო აქვს“).

სამივე ქართველურ ენაში გამოიყოფა ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც მთლიანი წინადადების როლში გვევლინება და, შესაბამისად, ერთწევრიანია, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ლექსიკური ერთეულისგან არის შემდგარი, ასეთი ფრაზეოლოგიზმები ძირითადად ზმა-შემასმენლის ფუნქციას ასრულებენ, ესენია:

ქუინ ყიას მეშან „ბევრი საქმე მაქვს, გაწამებული ვარ (ზედმიწ. — სული ყელს მასხია)“

საფლანჟს ხობგრჯე (ბქ.) „ლალატობს, საფრთხეს უქმნის (ზედმიწ. — საფლავ-ს უთხრის)“, შდრ. მეგრ. დიალ. **სამარეს უნთხორუნს** „სამარეს უთხრის“

ქვეყანა დააქცია „გაბრაზდა“, შდრ. მეგრ. დიალ. **ქიანა დოტატარუ** „გაბრაზდა (ზედმიწ. — ქვეყანა დააქცია)“

გიმეი ჭიშხს დემ იგემ (ჩოლ.) „ამაყია, მედიდურია („მიწაზე ფეხს არ დგამს“)“, შდრ. მეგრ. დიალ. **დიხაშა ვე გუბიჯუ კუჩხი** „ამაყია, მედიდურია („მიწაზე არ უდგას ფეხი“)“ და ა. შ.

საანალიზო მასალაში ძირითადად განხილულია ფრაზეოლოგიური ერთეულების შემცველი მარტივი წინადადებები. რაც შეეხება რთულ წინადადებებს, უნდა ითქვას, რომ არც ერთ ქართველურ ენაში სემანტიკურად და ფუნქციურად თანმხვედრი თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები არ შეგვხვედრია.

საკუთრივ სვანურ მასალაში ცალკე გამოყავით რამდენიმე (ძირითადად ორი, ან სამი) იდიომატური გამოთქმის შემცველი რთული წინადადებები¹, რომელთაც პარალელები ქართველურ ენებში არ დაექვსნათ, მაგ.:

ანვადს გეშლარლეყა ნამტრუკჟალ ბოფშარ ი სოფელს უბოჟიშ ჩუბოჟ ხწყერხ (ბქ.) „მოვიდნენ ცელქი||მოუსვენარი ბავშვები და სოფელი აურ-დაურიეს („მოვიდნენ გეშლარ-ს¹ ზემოთ ნაკუნტრუმები ბავშვ-ებ-ი და სოფელ-ს ზემოთის ქვემოთ დამართეს)“. როგორც მაგალითიდან ჩანს, რთული წინადადების პირველ ნაწილში განსაზღვრების ფუნქციის ფრაზეოლოგიზმი გვაქვს, ხოლო მეორეში — ზმნა-შემასმენლისა.

ახიბ გუი, დეცქა ლისკურუნედ გუი ხარ (ბქ.) „გული გააწყალა, ცაში ფრენა მოინდომა („გახეთქა გულ-ი, ცა-ზე ბკურ-ებ-ად გულ-ი აქვს“)“

ნენშუ დეცს ესერ დვარს ხანგე ი ვემ ტეტლისგა ხოზ (ბქ.) „ენით ცას გახეთქავსო და უკანალი ნაცარში უდეცსო („ენ-ით ცა-ს-ო ღარ-ს ა-დგ-ამ-ს და უკანალი ნაცარ-ტუტა-ში უ-ძ-ევ-ს“)“

ქორა ნინდ ლი ლესიბ ი ლასგურა ტეტისა ხოზ (ჩოლ.) „ენადაა გაკრეფილი და უკანალი ნაცარში უდეცს („სახლი¹ ენ-ად არის ქცეული და საჯდომი ნაცარ-ტუტა-ში უ-ძ-ევ-ს“)“ და ა. შ.

ფრაზეოლოგიური ერთეულები წინადადებაში, როგორც წესი, სხვადასხვა წევრის ფუნქციით გვევლინება. საანალიზო მასალაში გამოიყო შემდეგი ფუნქციის ფრაზეოლოგიზმები:

¹ ამგვარ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებზე მსჯელობა ცალკე იქნება წარმოდგენილი.

მარტივი შემასმენელი:

შდიქ-ლეღგუთის იყუფე „ძალიან ბრაზობს, ჯავრობს (ზედმიწ. — კბილ-სა-გულ-ე-ს იძრობს)“, შდრ. ქართ. კბილებს იყრევენებს და მეგრ. დიალ. **კიბირს უწკირწკინუანს** „კბილებს აღრჭიალებს“;

შედგენილი შემასმენელი:

გიმუი ჭიშხს დემ იგემ (ჩოლ.) „ამაყია, მედიდურია („მიწაზე ფეხს არ დგ-ამ-ს“), შდრ. მეგრ. დიალ. **დიხაშა ვე გუბიჯუ კუჩხი** „ამაყია, მედიდურია („მიწა-ზე არ უდგას ფეხი“);

ქვემდებარე:

თხერემ ვარჯისგა გეზლირიშ ლირდი გუნ გარჯ ლი ბქ. (ცხუმ.) „წვალემა-ში, ცუდ პირობებში, ცუდი ადამიანების გარემოცვაში შვილების გაზრდა ძალიან რთულია („მგლის ხახა-ში შვილების გაზრდა მეტისმეტი გარჯა არის“);

პირდაპირი დამატება:

სადარ-კუდარიშ ჭაჭარლეუა ლიყერ ქედქად „წყველა-კრულვა აიცდინა („წყველა-კრულვის ზურგს ქვემოთ დარტყმა აიცდინა“);

ირიბი დამატება:

თნარალისა ტტტი ლიშდეს ეთითქუნ (ჩოლ.) „მოტყუებას მიეჩვია („თვალ-ებ-ში ნაცარ-ტუტა-ს¹ მიყრას შეეჩვია“), შდრ. მეგრ. **თოლს ტუტაშ ალარღვაფას ქიმიარჩქან** „მოტყუებას მიეჩვია („თვალ-ს ნაცარ-ტუტა-ს ჩაყრას შეეჩვია“);

განსაზღვრება:

ხოჩა დომდულუი ლგთაშუ ზურალ ანვიდ (ბქ.) „ბედნიერი („კარგ მთვარე-ზე დაბადებული ქალი მოიყვანა“), შდრ. ქართ. ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული ქალი მოიყვანა და მეგრ. დიალ. **ბედნიერ დლაშ დუნაბადი ოსური ქიმიჟონ** „ბედნიერი ქალი მოიყვანა (ზედმიწ. — ბედნიერ-ი დლ-ის და-ბად-ებ-ულ-ი ქალი მოიყვანა“);

გარემოება:

ფავო¹ს¹ ... წყელიანდ ხოყდანწნ ი ხუდუწნ მანგ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 153:36-37) „ფავოს ყველაფერი სუფთად ჰქონდა („წყლ-იან-ად ეკავა და ჰქონდა ყველაფერი“).

ფრაზეოლოგიური ერთეულების სინტაქსური თვალსაზრისით განხილვამ ცხადყო, რომ ქართველურ ენებს შორის სხვაობა არ შეინიშნება წინადადების რომელიმე წევრის ფუნქციით გამოყენებისას. შესიტყვებაში შემავალი ფრაზეოლოგიზმი ისევე იქცევა, როგორც შესაბამისი ფუნქციის ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეული.

ამრიგად, როგორც ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებითა ანალიზმა გვიჩვენა, სვანურს, რომელიც სხვა ქართველური ენების მსგავსად, მდიდარი და მრავალფეროვანი ფრაზეოლოგიზმებით გამოირჩევა, ბევრი რამ აქვს საერთო ქართულ-მეგრულთან, თუმცა მხოლოდ ცალკეული ენისათვის დამახასიათებელი თა-

ვისებურებებიც შეინიშნება.

მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ჯგუფი:

1. **ფრაზეოლოგიური ერთეულები (ფრაზეოლოგიური გამონათქვამები)**, სადაც გვაქვს როგორც სიტყვიერი შემადგენლობის, ისე სემანტიკური თანხვედრა. ეს თანხვედრა ზოგჯერ შეიძლება გვქონდეს სამივე ენობრივ ერთეულში, ზოგჯერ კი მხოლოდ ორში.

2. სემანტიკური თანხვედრა შეიძლება იყოს, მაგრამ სიტყვიერ შემადგენლობაში იყოს სხვაობა (ან ნაწილობრივ ფორმობრივ თანხვედრას ქონდეს ადგილი). აქ წარმოდგენილი მთელი რიგი გამოთქმები სემანტიკური მონოლითურობითა და სიმყარით გამოირჩევა ქართველურ ენებში (მაგ.: **ენის წვერზე მადევს, სამარეს უთხრის, მიწას ფეხს არ აკარებს, გული დაეწვა, პირში ბურთის ჩაჩრა, კისერზე ხახვი არ დამაჭრა!** და ა. შ.).

მსგავსად სხვა ენებისა, ქართველურ ენებშიც ერთნაირი ლექსიკური შემადგენლობის ფრაზეოლოგიური ეკვივალენტების არსებობის ძირითადი მიზეზი, სესხება-კალკირების გარდა, უნდა იყოს ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის ჩამოყალიბების საერთო უნივერსალური გზის არსებობა, ანუ სხვადასხვა ხალხში ერთი და იმავე საგნის თუ მოვლენის მიერ ერთნაირი ასოციაციების გამოწვევის შესაძლებლობა, რაც იწვევს, მეცნიერთა თვალსაზრისით, სხვადასხვა ენაში ერთნაირი ლექსიკური ერთეულების შეკავშირების შესაძლებლობას. ალ. ონიანის აზრით, ასეთი ფრაზეოლოგიზმები წარმოიშობა გამოთქმის პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობებს შორის ლოგიკურ-აზრობრივი მსგავსების ან რეალური მომიჯნავეობის საფუძველზე (1954: 106).

არაა გამორიცხული, რომ ჩვენ მიერ ზემოთწარმოდგენილი სვანურ ფრაზეოლოგიზმთა დიდი ნაწილი სრულიად დამოუკიდებლად იყოს წარმოშობილი მეცნიერებაში წარმოდგენილი საერთო უნივერსალური გზის, კერძოდ, „მიდაფრაზეოლოგიური ვალენტობის“ (ავალიანი 1980, 4) არსებობით, რომელიც ამა თუ იმ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის გადმოსაცემად ფრაზეოლოგიზმთა შიგნით გარკვეულ ლექსემათა მიზიდულობას, შეკავშირებას გულისხმობს.

3. სვანურში წარმოდგენილია ბევრი ისეთი იდიომატური გამოთქმა (ანუ წმინდა კუთხური კოლორიტის), რომლებიც სხვა ქართველურ ენებში არ შეინიშნება, ანუ არ დაექებნათ სემანტიკური პარალელი დანარჩენ ქართველურ ენებში. ვინაიდან აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ქართულსა და მეგრულში ეკვივალენტი არ დაექებნათ, ამიტომ ისინი განვიხილეთ როგორც საკუთრივ სვანური. სავსებით ბუნებრივია ისიც, რომ მსგავსი მასალა სჭარბობს ქართველური ენებიდან კალკირებისა და სესხების გზით შემოსულ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს.

4. საკვანძო სიტყვის გამოყენების თვალსაზრისით ქართველურ ენებს აერთიანებთ **გულ** სიტყვის ყველაზე ხშირი ხმარება იდიომატურ გამოთქმებში. აქაც გამოიყოფა როგორც საკუთრივ სვანური, ასევე ქართულ-მეგრულთან საერთო მასალაც.

5. რადგანაც იდიომის სემანტიკური დაუმლელობა ერთგვარ გამოვლენას ბოლოვს სინტაქსში, აქედან გამომდინარე აუცილებლად ჩავთვალეთ ზემოაღნიშნული მასალის სინტაქსური თვალსაზრისით განხილვაც, რამაც ცხადყო, რომ ქართველურ ენებს შორის სხვაობა არ შეინიშნება წინადადების რომელიმე წევრის ფუნქციით გამოყენებისას.

ლიტერატურა

ავალიანი 1980 — Ю. Ю. Авелиани, Сравнительно-сопоставительные аспекты валентности и сочетаемости в разносистемных языках (к проблеме фразеобразований), Вопросы фразеологии, XV, Самарканд.

ბუღაგოვი 1958 — Р. А. Будагов, Введение в науку о языке.

ვინოგრადოვი 1847 — В. В. Виноградов, Об основных типах фразеологических единиц в русском языке, М. — Л.

თაყაიშვილი 1961 — ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.

ლარინი 1956 — Б. А. Ларин, Очерки по фразеологии, Уч. Зап., Лен. Ордена Ленина гос. Университета им. А. А. Жданова, № 138, сер. Филолог. Наук.

მამულია 2004-2005 — ე. მამულია, თურქულ-ლაზურ ფრაზეოლოგიურ შესატყვისობათა შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი.

ონიანი 1954 — ალ. ონიანი, ქართულ-სვანური იდიომატიკის საკითხები, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

სალიანი 2011 — მ. სალიანი, ნასესხები მყარი ფრაზეოლოგიური გამოთქვამების, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმების, წყევლისა და დალოცვის ფორმულების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში. — არნ. ჩიქობავას საკითხავები. XXII, სენაკი.

სალიანი 2011 — მ. სალიანი, ნასესხები ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში. — იკე, 39, თბილისი.

ჯანელიძე 1980 — ნ. ჯანელიძე, ღერძული სიტყვის სემის ექსპლიკაცია სომეხტიგებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1. თბილისი.

MEDEA SAGLIANI, NATO SHAVRESHIANI, LELA GIGLEMIANI

Kartvelian Correspondences of the Svan Phraseological Expressions and Equivalency of their Components

S u m m a r y

Comparative analysis of phraseologisms revealed that Svan, which is distinguished by rich and varied phraseologisms like other Kartvelian languages, has much common with Georgian-Megrelian, though the peculiarities characteristic of a separate language are observable.

Observation on the material defined some groups:

1. **Phraseological entries (phraseological expressions)** when the coinciding of verbal structure as well as semantics takes place. This coinciding can sometime take place in three language entries and sometimes only in two ones.

2. Semantic coinciding can take place, but there can be difference in verbal structure (or partial formal coinciding can take place).

3. Svan represents many such idiomatic expressions (i. e. of pure dialectal colour) which are not observable in other Kartvelian languages – i. e. they have no semantic parallels in other Kartvelian languages. As the mentioned phraseologic entries have no equivalents in Georgian and Megrelian thus they are discussed as prop. Svan. It is natural that the similar material exceeds the phraseological expressions entered from the Kartvelian languages through calqueing and borrowing.

4. From the standpoint of using of a key word the Kartvelian languages have common: the frequent usage of the word **gul** in idiomatic expressions. Even in this case prop. Svan as well as common material with Georgian-Megrelian are distinguished.

5. As semantic undivisible of an idiom is revealed in syntax, thus we considered abovementioned material to be discussed from syntactic viewpoint as well, which demonstrated that in the Kartvelian languages there is no difference in using of a sentence with the function of any member.

მურმან სუხიშვილი

ერთი საერთო-ქართველური ზმნური ფუძის
ტერმინოლოგიზაციისათვის სვანურში

ახალ ქართულში ხოცვა ზმნა ორი ძირითადი მნიშვნელობით დასტურდება: 1. ბევრის კვლა. *საკლავების ხოცვა დაიწყო* (ვაჟა)... 2. შემშრალება, მოშორება (ოფლის, ცრემლისა), წმენდა (ცხვირისა). *დარეჯანას აუჩუყდება გული. ცხვირის ხოცვას უმატებს* (ს. მაგლობ.). (ქეგლ VIII, 1964).

ხოც- ზმნურ ფუძეს დართული **ამო-, და-, მო-, შე-, ჩა-** ზმნისწინიანი ფორმები ამ ორ ძირითად მნიშვნელობას გადაინაწილებენ; კერძოდ, **ამო-, და-, ჩა-** ზმნისწინიანი ფორმები | მნიშვნელობით (ბევრის კვლა) გვხვდება (ამოხოცვა, დახოცვა, ჩახოცვა), **მო-** და **შე-** ზმნისწინიანი ფორმები (მოხოცვა, შეხოცვა) კი უპირატესად „მოწმენდის“, „შემშრალების“ მნიშვნელობით იხმარება. თუმცა, შდრ.: შეახოცავს... შეაკლავს (მრავალს). „დიდძლი ხალხი შეახოცა ულუ ყეინმა [ბაღდადის] ციხეს ამოოდ! ძვრა ვერ უყო მას“ (ვ. ბარნ.) (ქეგლ VII, 1962).

აღ- და **წარ-** ზმნისწინიანი ფორმები განმარტებით ლესიკონში ძველ, წიგნური მეტყველების ნიმუშად არის კვალიფიცირებული და აღნიშნავს „წაშლას, უკვალოდ გაქრობას, მოსპობას“:

„თუ ცა მოშურნე თვის ხილულ ძალთ არ წარმოგ ზავნის, რომე აღხოცოს შემაზრზენი ეგ ბოროტება, მაშინ ერთმანეთს მგლებსავითა კაცნი დასჭამენ!“ (ი. მაჩაბ. თარგმ.) (ქეგლ I, 1950).

„ვით წარვხოცო გულს მწუხარეს კაეშანი დაღად სმული (ა. აბაშ.) (ქეგლ VII, 1962).

ეს მნიშვნელობები შენარჩუნებულია სიტყვაწარმოებაშიც (და-სა-ხოც-ი, და-ხოც-ილ-ი, მო-სა-ხოც-ი, მო-ხოც-ილ-ი...) და რთულ სახელებშიც (ხოცვა-ქლეთა, მაგრამ, პირსახოც-ი, ხელსახოც-ი...).

ქეგლში წარმოდგენილი პირველი მნიშვნელობის („ბევრის კვლა“) გათვალისწინებით ხოცვა ახალ ქართულში სუბლექტური ზმნაა, რიცხვში მონაცვლე; იხმარება მრავლობითის შინაარსით — მხოლობითში კვლა ზმნა ენაცვლება: მოქმედებითი გვარის ფორმით ხოცვა პირდაპირი ობიექტური პირის მრავლობითობას გამოხატავს („დავხოცე ბევრი ნადირი, სისხლი ვადინე ღვარადა“ (ხალხ.) (ქეგლ III, 1953); ვნებითის ფორმით — სუბიექტის მრავლობითობას: „თუ [მამულისთვის] დავიხოცებით, ჩვენ ის ვვეყოფა სახელოდ“ (ილია) (ქეგლ III, 1953). როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ეს შენაცვლება სისტემებზე არ

არის გატარებული და უფრო ქართული ენის აღმოსავლურ კილოებს ახასიათებს (შანიძე 1973: 504).

„სიტყვის კონაში“ **ხოც-** ფუძე წარმოდგენილია ამოსავალი ფონეტიკური სახით **ჯოც-** (ანლაუტის ველარული ყრუ სპირანტის, **ხ-**ს პოზიციას ფარინგალური ყრუ ხშული **ჯ** იკავებს): **ჯოცა** აქაც ორი მნიშვნელობით არის დამოწმებული: **ჯოცა** — მოჯოცა, წა(რ)ჯოცა, **ჯოცა** — მოსრვა, დაჯოცა. ლექსიკონში ზმნისწინიანი ფორმებიცაა განმარტებული: დაჯოცა — მოწყუედა, შეჯოცა — მრავალთ შეკდომა, შეჯოცა — სველის შეწმენდა, წარჯოცა (7, 38 ლუკ.), გაჯოცა (6, 12 ბარუქ.) მწიკვლის (მწიკვლის **A a**) მოშორება, განჯოცა — შეტანილია ამ ზმნის როგორც სახელზმნური, ასევე პირიანი ფორმები: მჯოცელი, ნაჯოცი, ჯოცილი, დააჯოცინა, დაჯოცა, მოჰჯოცა და ა.შ.; აღნიშნულია **ჯოც-** ფუძის სუბლექტურობა: შეჯოცა — მრავალთ შეკდომა, და შეხოცა — სველის შეწმენდა, ნაჯოცი — მოკლულები და ნაჯოცი — მოჯოცილი...

ეს მნიშვნელობები **ჯოც-** ფუძეს ძველ ქართულშიც უდასტურდება, ზმნისწინებიც თითქმის იგივე დაერთვის, ახალი ქართულისაგან განსხვავებით გვხვდება **გან-** ზმნისწინიანი ფუძეც განჯოცა „მოწმენდა“:

„მოსლვასა მას მარამისასა ეკალი იგი განიფხურა, ოფლი იგი განიჯოცა, ლელუ იგი დაიწყევა“ [შატბ. კრებ. 309, 42]

„სისხლგამომდინარესა გუერდსა იკადრება განჯოცად“ [A=129, 262r] (სარჯველაძე 1995). ძველ ქართულში არ ჩანს **შე-** ზმნისწინიანი ფორმა.

„მოკვლის, დახოცვის“ მნიშვნელობა ძველ ქართულში ძირითადად **და-** ზმნისწინიან ფორმას აქვს; დაჯოცა „მოკვლა, ამოწყვეტა, მოსრა“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001):

„სიძე—სძალნი დავეჯოცენ“ მ. ცხ. 152 v.

„ვითარცა დაჯოცნეს ივინი“ მ. ცხ. 404 r (აბულაძე 1973).

აღ-, მო-, წარ- ზმნისწინებით გაფორმებული ფუძეები არსებითად „მოსპობის“, „აღმოფხვრის“, „წაშლის“, „გაწმენდის“ მნიშვნელობებს გადმოსცემენ:

„რომელმან ცოდა, აღვეჯოცო იგი წიგნისაგან ჩემისა“ გამოსლ. 32, 33 OB;

„აღჯოცით აღიჯოცოს სული იგი ერისაგან თვისისა“ რიცხვ. 15, 31 G; S, AK მოჯოცით მოიჯოცოს სული იგი ერისაგან თვისისა: შდრ., B შეიშუსროს სული იგი.

„მოჰჯოცდა სისხლსა წმიდისა ანდრიანესსა“ ანდ.— ანატ. 220, 21 (აბულაძე 1973)

„მოჯოცე მჟურითა“ ფლკტ. 104, 35 (აბულაძე 1973)

„ბრძანა გამოხატულისა მის მოჯოცაჲ“ (სარჯველაძე 1995)...

წარჯოცა „გაწმენდა“ :

„თმითა თავისა თვისსაჲთა წარჰჯოცდა“ ლ. 7, 38

„წარკვინა ფერწი თმითა მისითა“ ი. 11, 2

„წარკვინა მხურითა მით (ფერწთა)“ ი. 13,5.

რთული **ადმო-** ზმნისწინით ძველ ქართულში დადასტურებულია მიმდევრის ფორმა აღმოკვილი. „აღმოფხვრილი, წაშლილი“ : რაჟამს განდო ქარტად იგი დედაკაცმან მან და შთახედა ყოველსავე, რავდენი იყო მას შინა, აღმოკვილი იყო, თუნიორ ერთი იგი დგალა [მამ. ცხოვრებანი, 230, 20], (სარჯველაძე 1995).

ძველ ქართულში **კოც-** ფუძიდან წარმოებული ფორმები (აღვოცა, დაწოცა, განწოცა, წარწოცა...), სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, რიცხვში მონაცვლე ზმნათა რიგში არ განიხილება (შანიძე 1970; იმნაიშვილი 1971; სარჯველაძე 1997; ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი 1996...); ყოველ შემთხვევაში, ძველი ქართულისათვის **ად-, გან-, წარ-** ზმნისწინიანი ფორმებისათვის რიცხვში მონაცვლეობა რომ რელევანტური არ არის, სათანადო კონტექსტებიდანაც ჩანს; შდრ.: „განეაქრიოთ იგი და აღვკოცოთ საცთური ქრისტიანეთად“ (ქრესტ, I, 1, 1970: 172, 7).

და ვეძიებდ მათ შორის კაცსა, რომელიმცა ვიდოდა მართლ, მდგომარე წინაშე ჩემსა ყოვლითურთ ჟამსა ქუეყანისასა, რადთამცა სრულიად არა აღიკოცა იგი (რადთა არა სრულიად მოისპოს იგი) და არა ვპოვე (ეზექ. 22, 30 წ).

„მოკვინა ცუარი პირსა მისსა“ ქ. ცხ. 29, 12 (აბულაძე, 1971).

რაც შეეხება **და-** და **წარ-** ზმნისწინიან ფორმებს (დაწოცა, წარწოცა), არსებული მასალის მიხედვით, მათ მრავლობითობის შინაარსის გამოხატვა უკავშირდება: დაწოცნეს იგინი, წარწოცნა ფერწნი...

კოც- ფუძით გამოხატულ მნიშვნელობათა ისტორიული მიმართება ასე გვესახება: გაწმენდა > წაშლა > აღმოფხვრა, მოსპობა > მოსრვა > ბევრის კვლა... ეს მნიშვნელობები სათანადო კონტექსტებში (და სათანადო ზმნისწინთა დართვით) მუდავნდება ქართული ენის განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე (ძველი, საშუალო, ახალი).

ასეთი სემანტიკური გადასვლების (გაწმენდა>მოსპობა) რეალურობას ადასტურებს წმენდა ზმნის მნიშვნელობები ახალ ქართულში, ასევე, მეგრულში:

წმენდა... 1. ჭუჭყის მოცილება, — გასუფთავება... II ზედმეტი რისამე (ბალახ-ბულახის, ქვებისა და სხვ.) მოშორება, მოცილება, გატანა... 2. შემწრალება... 3. საბჭ. ისტ. შემოწმება პარტიული ორგანიზაციებისა, საბჭოთა აპარატისა და მათი რიგებიდან უცხო, შეუფერებელი ელემენტების გარიცხვა (ქეგლ VIII, 1964).

წიმინდუა / წიმინდუა — წმენდა, გადატ. დახოცვა, მოსპობა. ბოშიქ იშენი გოწიმინდუ: ბიჭმა მაინც გაიწმინდა: მ. ხუბუა, გვ. 5. თუდო დიხას ოკო გიოწიმინდუას გნ: მ. ხუბუა, გვ. 123 — ქვევით მიწაზე უნდა გაწმინდოს (დახოცოს, მოსპოს) (ქაჯაია 2002).

ანალოგიისათვის შდრ., აგრეთვე: რუს. **теревить** „ამოძირკვა, წმენდა“ (< **тереб** „ძეძვებისაგან სახნავად გაწმენდილი მიწა“) > **истребить** „განადგურება“ (ფასმერი, IV, 1987: 45).

ჯოც- ფუძის მნიშვნელობათა განვითარების ზემოთ დასახელებული სინონიმური მიმდევრობის — წმენდა „მოჯოცა, გაწმედა (5, 14 ლუკა) > წაშლა „ნაწერთ მოშლა“ > აღმოფხურა „ძირიან ამოღება, მოსპოლვა“ (+12, 29 გამოსლ.) ა^რლ^არა ყოფა^ღ > მოსრვა მოწყუედა და დაჯოცვა — საბასეული განმარტებები ამ მიმდევრობაში ჩართულ ზმნათა მჭიდრო სემანტიკურ სიახლოვეს ავლენს და, შესაბამისად, მნიშვნელობის ამ მიმართულებით ცვლილების ალბათობასაც სარწმუნოს ხდის.

წმენდა და ჯოცა (მოჯოცა, წარჯოცა) ძველ ქართულში და საბასთანაც სინონიმებია. შდრ., წმენდა მოჯოცა (საბა). ასეთივე მნიშვნელობისაა **და-** ზმისწინიანი და წმენდა „ღნიოშთაგან გარჩევა“, დაწმედილი (34, 18 ეზეკ.) „ულ-ღნიოშო“. ღნიოშთაგან გარჩევა ფინთისაგან, შერყვნილ-წამხდარისაგან გარჩევა-გაწმენდაა (იხ. საბა: ღნიოში „ფინთი“. ფინთი „შერყვნილი“ **ZAB**. **C** რედაქციაში: „ბილწი გინა ავი...“). საბას შემჩნეული აქვს **გან-** ზმისწინიანი განწმენდა ფორმის რელიგიურ ტერმინად ჩამოყალიბების ტენდენცია: განწმენდა — „წმიდა იყოს“. წმიდა კი ლექსიკონის მიხედვით მხოლოდ რელიგიური შინაარსით ნიშანდებულ და გარკვეული იერარქიული თანმიმდევრობით განწმენდებული (ზეშთა წმიდა, უფროსად წმიდა, წმიდა) საგანებისა და მოვლენების ატრიბუტივია (წმიდა სამება, ღვთაება, ქრისტეს სისხლი და ჯორცი, ღვთისმშობელი, ანგელოზები, მოციქულთა თავები, წმინდანები, კურთხევით განწმენდილები და ა.შ.). სხვა ყველაფრის მიმართ წმიდა არ იხმარება: „ხოლო შეუმრღვევლთა ღვინოსა, წყალსა, ზეთსა და ეგვეთარსა არა ვიტყვით წმიდად, არამედ დაწმედილად, კამკამადო; ბუნებრივია, იგულისხმება ყველაფერი ის, რაც ნაკურთხი არ არის (შდრ., იქვე: წმიდა ზეთი „ნაკურთხი ზეთი“, წმიდა წყალი „აიაზმა“... ასევე განსხვავებული ატრიბუტივები იხმარება სხვადასხვა დაწმენდილი საგნებისა თუ მოვლენების სახელდებისას: „ხოლო კაცთა მბანებელთა და სამოსელგანრცხილთა და ჭურჭელთაცა განრცხილთა ვიტყვით სუფთად...“ (სხვა რედაქციებში **(B,CD)** აქ სახლიც ემატება), „გზათა და მიდამოთა განწმედასა... დაფალვას ვიტყვით... და სხვათა ღნიოშთა — წარჯოცად **ZA** (საბა).

წმენდა (განწმენდა, დაწმენდა, შეწმენდა), საბას მიხედვით, შინაგან, სულიერ (რელიგიურ) და გარეგან (ფიზიკურ) პროცესთა შეფასებას გულისხმობს (განწმენდა თითქოს უფრო პირველი მნიშვნელობით იხმარება, თუმცა ეს თანმიმდევრულად ლექსიკონშიც არ არის გატარებული). გარეგანი განწმენდა გარემოს, ადამიანის, საგნების სანიტარულ-ჰიგიენური დასუფთავების პროცესებს აღწერს. მოჯოცა/წარჯოცა/შეჯოცა ამ აღსანიშნის — ღნი-

ომისაგან, ფინთისაგან, ავისაგან და ა.შ. განწმედის, გაჯანსაღების (resp. განკურნების) ერთ-ერთი აღმნიშვნელია.

ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივია წმედა ზმნის გამოყენება როგორც ადამიანის სულიერი განწმენდის, ასევე გარემოს, ადამიანის, საგნების გარეგანი განწმენდის, გარეგანი გაჯანსაღების, განკურნების მნიშვნელობით:

განწმედს ჩუენ ყოვლისაგან ცოდვისა | იოვ. 1,7

აწ **განიწმიდენით** და **განწმიდეთ** სახლი || ნემტ. 29,5

განწმიდოს კალოფ თვისი მთ. 8,12

განწმედს წყალთა განწმედითა გრ. ანდ. შობ. 300,23

განწმიდნა იგი კეთროვნებისაგან მისგან მთ. 8,3

არა ესენი ათნი **განწმიდნეს?** C — არა, ათნივე **განიკურნენით?** DE ლ. 17,17 (აბულაძე 1973).

ცვლილების ასეთი სემანტიკური პოტენციალი ჯოცა (აღვოცა, განვოცა, მოვოცა, წარვოცა...) ზმნასაც აქვს, რაც მის ეტიმოლოგიზაციას ართულებს; ცნობილია თვალსაზრისი ქართ. **ვოც-** და **მვეც-** ფუძეთა დაკავშირების შესახებ (შმიდტი 1952; ჩუხუა 2000-2003: 407), ერთმანეთთან აკავშირებენ **ვოც-** და **ვორც-** ფუძეებს (ლლონტი 1996: 32-33) სამეცნიერო ლიტერატურაში. არსებობს ქართ. **ვოც-** ფუძის ქართველური შესატყვისის ძიების რამდენიმე ცდა. საბაზე დაყრდნობით, („სიტყვის კონაში“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯოცა „მოვოცა, წარვოცა“ და ჯოცა „მოსრვა, დავოცა“ ორი სხვადასხვა ზმნაა), არნ. ჩიქობავა ჯოცას განიხილავს როგორც ომონიმიურ ზმნას და ომოფორმებს სხვადასხვა შესატყვისის უძებნის: 1. ქართ. **ვოც-** (მოვოცა, წარვოცა) : ჭან., მეგრ. **ქოს-** „წმენდა, დაგვა, ხვეტა“ (ჩიქობავა 1938: 340) და 2. ქართ. **ვოც-(?)** „დახოცვა, перебить, истребить“ : ჭან. **ხოცქ-** // ხროცქ- // ხროსქ „კვდომა ცხოველისა“, მეგრ. **ხოცქ-** „გლეჯა“, „лопнуть, разорваться.“ (შემდგომში ზანური ფუძეები ქართ. ჯლეჩ-, ჯლიჩ- ფუძეს დაუკავშირეს (გ. მაჭავარიანი, იხ. გამყრელიძე 1959: 76; კლიმოვი 1964: 266; 1998: 338; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 718).

3. ქართ. **ვოც-** (*ვოს-) : მეგრ. **ხუშ-**, **ხუშუნს** „გვის“ (როგავა 1946: 1¹) შდრ., ქართ. **ხვის-**, **ხვის-ნ-ა** : მეგრ. **ხუშ-**, **ხუშ-უ-ა** „დაგვა“ (აბაშია 1997: 5-6; იხ., აგრეთვე, ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 705).

4. ქართ. **ვოც-**, **ვეც-** (მ-ვეც-ი) : მეგრ. **ხუშ-**, **ხუშუა** „გვა“ : სვან. **ვაც-** / **ვეც-** / **ვეც-**, **ვაც-ა** „ნგრევა“, **ლი-ვეც-ე** „დანგრევა“, „განადგურება“ (შმიდტი, 1962: 160); ამ თვალსაზრისიდან სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია მხოლოდ ქართ. **ვეც-**, **მ-ვეც-ი** : სვან. **ვაც-** **ჩც-**, **ვაცა** „ნგრევა“, **ლი-ვეც-ე** „დანგრევა“, „განადგურება“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 496; 2000: 713-714). **ვოც-** ფუძესთან დაკავშირება გამოირიცხება.

5. *ჯოც- „გვა“ > ქართ. **ვოც-** : მეგრ.-ჭან. **ქოს-** „წმენდა“ (იხ. არნ. ჩიქობავა; კლიმოვი 1964: 266-267).

ბ. *ვოც- > ქართ. **ვოც-** : ლაზ. **ხოს-, ო-ვოს-უ** „ხილის გაწმენდა“ (პ. ფენრიხი, იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 449; 2000: 720-721).

7. *ვაც- „ხოცვა; ცვეთა“ > ქართ. **ვეც- / ვოც-, მ-ვეც-ი, ვოც** : ზან. **ხუშ- < ხოჩ-** : სვან. **ვეჩ- || ვეჩ- | ვიჩ- < *ვან- | -ვიჩ** (ჩუხუა 2000-2003: 407), შდრ., მეგრ. **ხიჩ-, ხიჩუა** „ცვეთა“ : სვან. **ჭჩ-, ლი-ჭჩ-ე** „ცვეთა“ (იხ., აგრეთვე: ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 718).

გ. კლიმოვმა 1998წელს უარყო ვოც- ფუძის ადრინდელი დაკავშირება და რეკონსტრუქციაც (იხ. 5), გაიზიარა პ. ფენრიხის თვალსაზრისი (იხ. 6) და წარმოადგინა საერთოქართველური ვოც- ფუძის ახლებური სემანტიკა **to sweep, to wipe**: აღსანიშნავია, რომ ქართული ვოც- ფუძის განმმარტველ ამ ინგლისურ სიტყვებს მნიშვნელობის მსგავსი ცვლილებები ახასიათებს: გაწმენდა, დაგვა, წაშლა, მოსპობა... (იხ. ინგლისურ—რუსული ლექსიკ., 1969).

ჩვენი აზრით, ქართ. ვოც- (ახ. ქართ. ხოც-) ფუძის შესაძლო შესატყვისი უნდა იყოს სვანური **ვოჩ-ჭჩ-, ლიჭჩუჭი, ლიჭჩუჭი, ლიხჩუჭი** ზს. **ლიჭჩუჭი** ბქ. **ლიხჩოჭი** ლშხ. **ლიხჩოჩაჭი** ლნტ. - სახელი **აჭჩოჭი**... ზმნის მოქმედებისა, - მორჩენა, გამოკეთება. ალექსის გიცრი **ლიჭჩოჭი** ხეკუჭად (ბზ. 57) - ალექსის ვერძის მორჩენა უნდოდა (სვანური 2000: 487).

აჭჩოჭი, აჭჩუჭი (ა/ოხ/ვოჩ/ეჭ, ანვოჩუჭ, ანვოჩუჭი) ბზ; **აჭჩუჭი** (ოხვოჩუჭუ, ანვოჩუჭ, ანვოჩუჭისგ) ბქ., **ახჩოჭი** (ოხხოჩაჭ, ანხოჩუჭ, ანხოჩუჭი) ლშხ., **ახჩოჩაჭი** (ახუახოჩაჭ, ანახოჩაჭ, ანახოჩაჭი) ლნტ., გრდმ. - არჩენს, კურნავს, აცოცხლებს. ტარიელს ჟ'ოხვოჩუჭი (ბზ. 61) - ტარიელს გავაცოცხლებ. ლეგმერდე ჟაგარდ ანხოჩუჭ (ლშხ.) - ავადმყოფი წამალმა მოარჩინა. [არწიჭს] ჟახოხოჩაჭა პარაბოჭილ (ლნტ. 213) - არწივს პარაბოვილი განუკურნავს (სვანური, 2000, 99).

გარდამავალ აჭჩოჭი ბზ. ფორმას უკეთდება საობიექტო ქცევის ხ-ოჩოჭი ბზ., ხ-ოხჩოჭი ლშხ. ხ-ოხოჩაჭი ლნტ. ფორმაც „ურჩენს, განუკურნავს (სვანური 2000: 674), აქვს ინიანი და ენიანი ვნებითის ფორმებიც: იჭჩოჭი, იხჩუჭი ბზ., იხოჩუჭი ლშხ., იხჩოჭი ლნტ. „იკურნება, რჩება, მოკეთდება“ ... ხ-ეჭჩუჭი ბზ., ხ-ეჭოჭი ბქ., ხ-ეხჩოჭი ლშხ., ხ-ეხოჩაჭი ლნტ., - ურჩება (ავადმყოფი)... (სვანური 2000: 334, 243).

ძვ. ქართული ვოც- (ახ. ქართ. ხოც-) და სვან. ვოჩ-/ვიჩ- ფუძეთა საერთო წარმომავლობის ძიება მოტივირებულია როგორც სემანტიკური, ასევე ფონეტიკური თვალსაზრისით.

სემანტიკური თვალსაზრისით: ქართ. ვოც- (გან-ვოც-ა, მო-ვოც-ა, შე-ვოც-ა, წარ-ვოც-ა...) ფუძის ამოსავალი მნიშვნელობის — „გაწმენდა / მოცილება, აღმოფხვრა“ (შდრ., საბასეული განმარტებები: გავოცა — მწიკვლის მოშორება, განვოცა, შევოცა — სველის შეწმენდა, წარვოცა — მოვოცა... წმენდა — მოვოცა, დაწმენდა — ღნიოშთაგან გარჩევა...) და სვან. ვოჩ-/ვიჩ- ფუძის (ლი-ჭჩოჭი) „მორჩენა, განკურნება“ მნიშვნელობის დაკავშირება სარწმუნო ჩანს (ქართ. „გაწმენდა“ || „მოცილება“ || „აღმოფხვრა“ >

სვან. „მორჩენა, განკურნება“), რამდენადაც დაავადების აცილებისა და მკურნალობის ღონისძიებები, ჩვეულებრივ, დაავადების კერის დაწმენდა—დასუფთავებას, დაავადების მიზეზის აღმოფხვრას გულისხმობს, შდრ., სახარებიდან:

გ ა ნ წ მ ი დ ნ ა ი გ ი კ ე თ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა გ ა ნ მ ი ს გ ა ნ მ . 8,3

არა ესენი ათნი გა ნ წ მ ი დ ნ ე ს ? C — არა, ათნივე გა ნ ი კ უ რ ნ ე ნ ი თ ?

DE ლ. 17,17

ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურის წერილობით ძეგლებსა თუ ზეპირ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში გამოვლინდება ისეთი კონტექსტები, რომლებიც სიტყვის მნიშვნელობის ზემოაღნიშნული ცვლილების (გაწმენდა II მოსპობა, აღმოფხვრა > მორჩენა, განკურნება) რეალობას ადასტურებენ, შდრ.:

რჩევა თვალის ტკივილის განკურნებისათვის —

„სხუა წამალი, რომე სინედლე თუალისაგან გაწმინდოს... — აილე ტუხტის ფურცელი და დარიჩინი, ალალა დამწუარი სპილენძი — სწორ სწორი, დანაყე II გარცხე თვალშიგა ჩაუდეგ და გაწმინდოს (ფანასკ., 339, 1—3).

რჩევა კრილობის სამკურნალოდ —

„სხუა მშრალი მალამა, რომე მღიერი აივსოს ბალდამისაგან და გაწმენდა უნდოდეს, ესე შექენ და ზედა მოაყარე და გაამრთელოს“ (ფანასკ. 650, 3—5).

„სხუა მალამა მწუანე რომე ხორცი მოსჭამოს და ბაყლი გაწმინდოს და მატლსა და კრკილს უშუელოს, და თუ თეთრი იყოს მღიერშიგან გააწმინდოს და გაამრთელოს“ (ფანასკ. 1978: 648).

რჩევა მცირე სიმსივნის მოსარჩენად —

„ყურისა ძირსა თუ სიმსივნე გამოაჩნდეს... აილე: ცხურისა ძუელი ნეხუი დანაყე და ან ბატისა და ან ქათმის ქონითა დაზილე და შემოსდეგ, კიდევაც გამოსწმედს და კიდევაც გაამრთელებს“ (ქანან., 226, 5—7).

რჩევა ჭორფლის მოსაცილებელი წამლის გამოყენებისა —

„... დაგაღე და გაადგინე წყლითა და სცხე ჭორფლსა ღამით და დილასა მოჰბანე“ (ფანასკ., 306, 21—22)...

რჩევა კბილის ტკივილის წამლობაზე —

„ესე ყუელა ღვინითა მოადუღე და გამოწურე და პირშიგა იმგუბებდეს ზედიზედ თვეშიგა ორჯელ, კბილის ძირსა ხორცსა დაამაგრებს, და სენსა გამოსწმედს. და სიმრთელე ზედა მიაგდებს ბრძანებითა ლ“თისათა“ (ქანან., 242, 35—38).

რჩევა დავაზასი (საერთო სისუსტისა და თავბრუსხვევისა) და

დუზლუ ბალდამის (მარილიანი ბალდამის) სენისა —

„ამის წამალი ეს არის რომე, ძალიანი ოყნა უყონ, რომე რაც შიგნით ბალდამი და ან ბალდამის ქარი იყოს, ყუელა დაალურვეინოს და კაცის გული გვამი და სტომაქი, ყოვლის ავის ხილთისა და ბაყლისაგან გაწმინდოს და კაცი გამოხალისდეს“ (ბაგრატიონი, 277, 28—31) და ა.შ.

მკურნალობის პროცესში დაავადების კერის გაწმენდა—დასუფთავება, დაავადების მიზეზის აღმოფხვრა პრიორიტეტულია სამედიცინო ეთნოგრაფიული მასალების მიხედვითაც:

ქვემო ქართლში ზოგიერთ დაავადებას (თავის, სახსრების ტკივილის და ა.შ.) სისხლის („გლახა სისხლის“) გამოშვებით წამლობდნენ; სისხლს გამოსაღებად წურბელესაც იყენებდნენ, „არამი სისხლი“ გამოჰქონდათ; კბილის ტკივილს „ჭიების კბილიდან გამოდევნიოთ“ აყუჩებდნენ (ბურდული 2010: 203; 176, 232).

ემმაკის მიერ შეშინებული და გონებაარეული ავადმყოფის შველა სალოცავებში ემმაკის გამოდევნის რიტუალით სრულდებოდა (მინდაძე 2000: 164).

სვანეთში ხველების ასაცილებლად ან სამკურნალოდ სახლის გაწმენდა—დასუფთავების მთელი რიტუალი ტარდებოდა: დიასახლისი დილით ადრე დგებოდა, ოჯახის წევრთა საწოლებქვეშ ცოცხს გამოუსვამდა, შემდეგ ნაგავს ანთებული ლამპრის თანხლებით გაიტანდა გარეთ და შორს გადაყრიდა, თან დაილოცებოდა: „ცის მაცხოვარო, მოგვაშორე ხველებო“ (ბურდული 2010: 213).

როგორც ყველგან, სვანეთშიც, ჭრილობის მკურნალობას ნაჭრილობების გასუფთავებით, ჭრილობის მობანვით იწყებდნენ: „ჭრილობას მიწას და ჭუჭყს ქათმის გამოხარული ფრთით აცლიდნენ; ფრთის ძირით ზომავდნენ ჭრილობის სიღრმეს, ხოლო შემდეგ ორნახადი არყით, ადუღებული წყლით, მარილწყლით, ბალახებიდან — ქრისტეს სისხლათი („შვარა ჟაგარ“), კანაფის ზეთით ან ცხიმით („ლეცკმ“) წმენდნენ“.

დაჩირქებული ჭრილობიდან „აქიმის“ მიერ ხდებოდა ბალდამის ამოწოვა და ამ გზით ნაჭრილობების გაწმენდა; ნაჭრილობებს ასუფთავებდნენ სპეციალური მალამოს საშუალებითაც; მთხრობელთა გადმოცემით, დაჩირქებული ჭრილობის სამკურნალო მალამო „კახვრა“ ჭრილობიდან ჩირქს იღებდა, დაბეჭიდ ხორცს ასუფთავებდა. ჭრილობის გასაწმენდად იყენებდნენ სამკურნალო ქვებსაც: „ლგხკენალი“ — პატარა მოთეთრო ფერის ქვაა, რომელიც ასუფთავებდა ჭრილობას და არჩენდა. მას მეორენაირად მოსარჩენ წამალს — „მეჟგენი ჟაგრალ“-საც ეძახდნენ“ (ბურდული 2010).

„კირბილი“ სვანურად გამშრალი ბალახის ფოთლებიდან დამზადებული ფხვნილია, რომელსაც წყლულზე აყრიან. „კირბილი“ სამნაირი იციან: ერთი ჭრილობას (წყლულს) წმენდს, მეორე აშრობს და მესამე არჩენს (ნიჟარაძე 1962: 171; ბურდული 2010: 37).

ამდენად, მნიშვნელობის მიხედვით, სვან. **ლი-ჭჩრუი** „მორჩენა, განკურნება“ ზმნის კავშირი ქართ. აღწოცა, წარწოცა და ა.შ. ზმნებთან („გაწმენდა“ / „აღმოფხვრა“ > „მორჩენა“ სემანტიკური გადასვლის რეალურობის გათვალისწინებით) მისაღები ჩანს.

ფონეტიკური თვალსაზრისით: სვან. ჯოჩ-/ჯჩ- ქართ. ჯოც-ფუძის კანონზომიერი შესატყვისია; თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ **ო** ხმოვ-

ნის შემცველი „მეტი ან ნაკლები ალბათობით საერთო ქართველური წარმომავლობის“ ძირები (სახელურიც და ზმნურიც) რაოდენობრივად საკმაოდ მცირეა (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 146); თუმცა ამ დაკავშირებას სხვა სირთულეებიც ახლავს; კერძოდ, როგორც უკვე ვნახეთ, ლიჭჩიჭი სვანურის დიალექტებში ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტებით არის წარმოდგენილი. ეს განსხვავება არსებითად ფუძის ანლაუტში ფარინგალური ყრუ ხშულის ჯ-სა და ველარული ყრუ სპირანტის ხ-ს მონაცვლეობაში გამოიხატება; თუ ლექსიკონში დამოწმებული პირიანი ფორმების მიხედვით ვიმსჯელებთ, ზემოსვანურის (ბალსზემოურისა და ბალსქვემოურის) ჯ-ს, ქვემოსვანურში (ლამხურსა და ლენტეხურში) ხ ენაცვლება, გამონაკლისია ი-ნიანი ვნებითი, სადაც ბალსზემოურში ი ჯჩიჭი-ს პარალელურად ი ხჩიჭი იც გვაქვს, ხოლო ბალსქვემოურში აორისტის I, III პირისა და მყოფადუსრულის III პირის ფორმებში პარალელურად დასტურდება როგორც ჯ-, ასევე ხ-ც; **ონჯჩიჭენ, ანჯჩიჭენ, ანჯჩიჭი** (სვანური 2000: 334). მასდარის ფორმების ჩვენებით, ხანიანი ფუძე ლიხჩიჭი ზემოსვანურშიც გვხვდება (სვანური 2000: 487);

საყურადღებო ფაქტია, რომ ი. ნიჟარაძის რუსულ-სვანურ ლექსიკონში ლიჭჩიჭი ზმნა ფარინგალური ყრუ ხშულით არის წარმოდგენილი: **исцеление** — ლიჭჩიჭი, ლიჭჩენი, ლიჭჩურე; **исцелять, -лить** — ოხჯჩიჭი; ოთჟაგნე, ოხვჰადგრი; **зажива́ть, -жить** — ლირდე, ლიჭჩიჭვალ; **заживля́ть, -ить** — ოხჯჩიჭი, ოთჟაგნე, ოხვჰადგრი, **заживля́ться, виться** — ხვიჭჩიჭი, ხვიჭჩური (ნიჟარაძე 1910)..

ასეა ბალსზემოურ ანდაზებშიც:

მადარს დიარ ესერ აჯჩიჭევი „მშიერს პური მოარჩენსო“ (კორძია 2000: 132)

ტიშარ ღუნ ჰვდა მუხგორს ესერ ოხჯჩიჭვა „ტილიანი ხბო კედლის კუთხემ მოარჩინაო (ზურგს იქ იფხანდა)“ (კორძია 2000).

1936წ. ჩაწერილ სვანურ ლექსში კი ეს ზმნა ველარული ყრუ ხ სპირანტით არის გადმოცემული:

სოფალვმ ეჯი უიგ ხომხუნახ,

ჟი ხომხუნახ ი ჟ' ოხეხოჩვახ

(მთელ სოფელს იგი დაუცავს (შეუნახავს)

შეუნახავს და მოურჩენია (სვ. პ. „უღემგდილარ“, 62).

საერთოდ, სვანურში ფარინგალური ჯ-ს პოზიცია მყარია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ჯ-სა და ხ-ს მონაცვლეობის ფაქტებიც იქნება: ვარზილ ზს. ვარძილ ლნტ. ბოტ. „ხარისძირა“ || ხარზილ ბზ., ხარძილ ლშხ., ხარძილ ლნტხ.; ვაშალმანდ ზს., ლნტხ. ვაშალმანდ ლშხ. „ხომალდი“ || ხაშალმანდ; ვარდან ბქ., ლშხ. „ხარდანი, სარი“ || ხარდან (სვანური 2000).

ჯ ~ ხ მონაცვლეობა სვანურში ერთ შემთხვევაში, ძველი ქართულის სათანადო ფაქტებთან შეჯერებით, შეიძლება აიხსნას როგორც ჯ>ხ პროცესი:

ჭაღმანდ >|| ხაღმანდ, ვარძილ/ვარზილ > ხარძილ / ხარზილ..., შდრ.: ძვ. ქართ. ჭუამალდი > ხომალდი (საბა); ვარისძირა (საბა) > ხარისძირა, შესაბამისად, ლიჭჩაღი > ლიხჩაღი (შდრ.: ძვ. ქართ. ვოც- ახ. ქართ. ხოც-), მაგრამ სხვა შემთხვევაში, მაგ., ვარდან/ხარდან მონაცვლეობის შესახებ ამას ვეღარ ვიტყვით, შდრ., ხარდანი (ხე) სარიანი ვენაჯი (საბა); ასეა თუ ისე, **ვ-ხ** მონაცვლეობა, კერძოდ კი **ვ > ხ**, სვანურისათვის უჩვეულო არ არის. ამასთან, ვფიქრობთ, რომ ლი-ჭჩაღი ზმნურ ფორმაში **ვ > ხ** პროცესის რეალიზაციისათვის ხელი უნდა შეეწყოს ბგერადობით და მნიშვნელობით ახლოს მდგომ ლიხჩი „სიკარგე, სიკეთე“ (<ხოჩა „კარგი“) სიტყვასთან ბგერით ანალოგიას: ლიხჩის ლწდინან ესერ მამა ხარ „სიკარგეს ვერ ინათხოვრებო (კორძია 2000: 111). მნიშვნელოვანია ვ. თოფურის მოსაზრება ლიჭჩაღი ზმნის ხოჩა „კარგი“ ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის გაქვავებული ფორმიდან მომდინარეობისა და რედუქციის შედეგად მიღებული **ხჩ-** (< **ხოჩ-**) კომპლექსის ბუნებრივ **ჭჩ** კომპლექსად გარდაქმნის შესახებ: *ლიხჩოვი > ლიხჩივი > ლიჭჩოვი; **ჭჩ** კომპლექსი მეორეულია (**ხჩ**) (თოფურია 1979: 267). ვ. თოფურია ამოდის ქართველური ენებისთვის სიბილანტ-აფრიკატთან მეზობლობაში **ვ** და **ხ** ფონემათა დისტრიბუციის მის მიერ დადგენილ წესიდან (**ვს, ვშ, ვც, ვჩ** და ა.შ. მაგრამ: **ხს, ხშ, ხც, ხჩ...**) (თოფურია 1979: 45,50) და სავარაუდო **ხჩ > ვჩ** გადასვლას (*ლიხჩოვი > ლიხჩივი > ლიჭჩოვი) ქართველური ენებისათვის ბუნებრივი კომპლექსის შექმნის ტენდენციით ხსნის (თოფურია 1979: 45); თუმცა აქვე ასახელებს ისეთ მაგალითებს, სადაც ასევე რედუქციის შედეგად წარმოქმნილი **ხც, ხშ, ხჯ, ხშ** კომპლექსები უცვლელად რჩება და უფრო ბუნებრივ **ვც, ვშ, ვჯ, ვშ** კომპლექსებში არ გადადის:

ლიხცქე „გასკდომა“, ლიხშაღი „ხაზვა“, აფხშარ „აფხაზები“, ლიხჯენე „ხახენი“, ლიხშმე „ხაშმება“... ასეთი კომპლექსების ან **ხც > ვც, ხშ > ვშ** გამძლეობას მათი გვიანდელი ნასესხობობით ასაბუთებს (ქართულიდან, მეგრულიდან). შეიძლება კიდევ დავასახელოთ ორიოდ მაგალითი სადაც ხს, ხშ კომპლექსები არ ცვლილა, თუმცა მათი მკვიდრობის საბუთიც არ გვაქვს: ნახსი ბქ. „სიჩქარე, სისწრაფე“ (შდრ., ხსსდ ბქ. „ჩქარა, სწრაფად“) (საღლიანი 2005: 34). სახშური ბზ. სახშური ბქ. „შარვალი“ (სვანური 2000: 623; 698), იჭახშმალ, იუხშმალ, იჭოხშმალ ბზ., იჭახშმალ ლშხ., იჭახშამალ ლნტ. „ვახშმობს“ (სვანური 2000: 304).

ვ. თოფურის მიერ **ხჩ > ვჩ** საბაბათო ცვლილების კიდევ ერთ შესაძლო მაგალითად დასახელებული ლიჭჩე (<*ლიხჩე) „ცვეთა“ ფორმის არქტიპად ვ. თოფურის მასალაზე დაყრდნობით, მეგრულისა და სვანურის მონაცემთა მიხედვით, *ვიც- ძირია აღდგენილი ანლაუტში ფარინგალური **ვ** ხშულით (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 718). ამდენად ეს ფაქტი **ხჩ > ვჩ** გადასვლის საბუთად ვერ გამოდგება. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ვ. თოფურის მსჯელობა ამ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით კატეგორიული არ არის: „...რედუქციამდე ეგების ყოფილიყო, ვთქვამთ, ლი-ხჩ-ე, ხოლო ხმოვნის ამოღე-

ბის შემდეგ ქცეულიყო ლი-ჭიე'დ. ამით ის დაიცავდა კომპლექსის ჩვეულებრივობას“ (თოფურია 1979: 45).

ასე რომ, ლიხიჩი ზმნის ხოჩა „კარგი“ ზედსართავი სახელიდან წარმოებისა და რედუქციის შედეგად ლიჭიჩი ფორმის მიღების ალბათობას გარკვეული წინააღმდეგობები ახლავს: **ხს, ხშ, ხც, ხჩ** და ა.შ. კომპლექსების **ჯს, ჯშ, ჯც, ჯჩ...** კომპლექსებად გარდაქმნის უდავო მაგალითი სვანურში არ ჩანს. რედუქციით დაჯგუფებული **ხს, ხშ, ხშ, ხჩ** კომპლექსები „სრულ გამძლეობას იჩენენ“ (თოფურია 1979: 45). საპირისპირო შემთხვევა კი სვანურში დასტურდება და ის ახსნადია: ბზ., საჯსნილ „სახსნილო, არასამარხვო საკმელი“ და ლნტ. სჯსნილ (სვანური 2000: 698); ოღონდ ესაა, რომ ლენტეხური კილოს სათანადო დამოწმებაში ისევ ჯ ფონემაა წარმოდგენილი: „ქსნილისა სჯსნილ ლეხუებს ამარახ (ლნტ.) - ხსნილში სახსნილო საკმელს ამზადებდნენ..., იხ., აგრეთვე: სახსნილო სახსნილ **скоромный** (ნიჟარაძე 2007), ს ი ნ მ ო ხ ს ნ ა ბ (ნაირგვარი ფონეტიკური ვარიანტებით) „სულის მოხსენება“ შდრ. ძვ. ქართ. მოჯსენება).

რომელიმე რედუქციურულ ნეჯმდ II ნეხმდ ბქ. „თიკანი“ (<ნელაშდ ბზ.) პარალელურ ფორმათა მიმართება ბუნებრივი კომპლექსის შექმნის ტენდენციის გათვალისწინებით ნეჯმდ ვარიანტის პირველადობას გულისხმობს: ნელაშდ > *ნელაშდ > ნეჯმდ > ნეხმდ. შდრ., ასევე, ფჰყუშირ ბზ., „მოუწყესრიგებელი“ > ფაყშუირ ლხმ., > ფაჯშურ > II ფახშურ ლშს. (სვანური 2000)...

სვანურის დიალექტებში ლიჭიჩი II ლიხიჩი... „მორჩენა, გამოკეთება“ ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტების დიაქრონიული თანმიმდევრობა ასე გვესახება: ლიჭიჩი > ლიხიჩი. **ჯჩ > ხშ** ფონეტიკური პროცესი სვანურში ერთგვარი რედუქცია სხვა ქართველურ ენებში უკვე შემდგარი ფონეტიკური ცვლილებისა: ქართულ სალიტერატურო ენაში და დიალექტთა უმეტესობაში **ჯ>ხ**-ს კომპლექსის გარეშეც და კომპლექსებშიც: მეგრულში **ჯ>ხ**-ს კომპლექსის გარეშე, ***ჯ>0**-ს კომპლექსში, თუ სიტყვა ქართულის შესატყვისია: ქართ. ჯსენება : მეგრ. შინაფა (<*შინაფა), ქართ. მ-ჯც-ე : მეგრ. ჩე (<*ჩე); ხოლო თუ სიტყვა ქართულიდანაა ნასესხები, მაშინ კომპლექსი მეტათეზისს განიცდის: ქართ. ჯსნა : მეგრ. რსხება... ჭანური, სვანურის მსგავსად, სიტყვის ისტორიულ სახეს იცავს (თოფურია 1979: 45-47).

ამდენად, **ჯჩ > ხჩ** ფონეტიკური პროცესის დაშვებით ლიჭიჩი II ლიხიჩი II ლიხიჩი ბზ., ლიხიჩი ლშს., ლი-ხოჩოაშ ი ლნტ. ...ფორმების დაკავშირება **ხოჩა** ზედსართავი სახელის შედარებით ფორმასთან (**ხოჩა** „კარგი“ - **მაჩენე** „უკეთესი“) გამოირიცხება. თუმცა ვერ გამოირიცხება **ხოჩა** ზედსართავი სახელიდან (ისევე, როგორც ხოშა, ხოლა, ხოდრა ზედსართავ სახელთაგან) ნაწარმოები ნასახლარი გარდაუვალი ზმნის არსებობა: ხ-ახიეჩ ბზ., ხ-ახეჩ ბქ., ხ-ახოჩ ლშს, ხ-ახიეჩ ლნტ. „უპირატესობას ანიჭებს, მიაჩნია (უმჯობესად), თვლის (საჭიროდ) (სვა-

ნური 2000: 97). უკვე ი. ნიჟარაძე რუსულ—სვანურ ლექსიკონში (1910) წარმოგვიდგენს ხვიხვი ხорошеть ზმნას ხ სპირანტით (хороший სიტყვის ბუდეში) და განასხვავებს მას исцелять, заживлять ოხჯოჩვი (ლიჯოჩვი) ზმნათაგან. ლიჯჩჷჷ ზმნაში ჯჩ კომპლექსის ხჩ-დ ცვლილებისათვის ქვე-მოსვანურში ხელი უნდა შეეწყოს არა მარტო ქართულ დიალექტებთან სიახ-ლოვეს, არამედ ფონეტიკურად და სემანტიკურად მსგავს ლიხოჩ ზმნასთან ანალოგიასაც.

ამრიგად, ძვ. ქართ. ჯოც- (ახ. ქართ. ხოც-) ზმნური ფუძის (აღვოცავ, განვოცავ, მოვოცავ, შევოცავი, წარვოცავ... „ღნიშთაგან“, ავისაგან განწმენდა“ - სვანური შესატყვისი უნდა იყოს *ჯოჩ-/ჯჩ- ფუძე - ლიჯჩჷჷჷ, ლიჯჩჷჷჷჷ, ზს., ლიჯჩჷჷჷ ბქ. „მორჩენა, გამოკეთება“, მუჯჩჷჷჷჷ „მკურნალი“.

ლიტერატურა

აბაშია 1997 — რ. აბაშია, საერთო-ქართველური ლექსიკიდან, V, XVII რესპუბლიკური დიალექტური სამეცნიერო სესია, თბილისი.

აბულაძე 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ბაგრატიონი 1985 — დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა ლადო კოტეტიშვილმა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985.

ბურდული 2010 — მ. ბურდული, ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

გამოსლგ. — გამოსლგათაჲ, წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 1 - შესაქმისაჲ, გამოსლგათაჲ; ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, გამოკვლევა ბ. გიგინეიშვილისა. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, XI, თბ., 1989.

გამყრელიძე 1959 — თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი.

ეზეკ. — ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები; ტექსტი მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა, თბ., 1976.

თოფურია 1979 — ვ. თოფურია, შრომები, III, თბ.

იმნაიშვილი 1971 — ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. I, თბ.

ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი 1996 — ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, I, II. მაინის ფრანკფურტი.

ინგლისურ-რუსული ლექსიკ. 1969 — Англо-русский словарь, Составил проф. В.К. Мюллер. Изд. четырнадцатое, „Советская энциклопедия“, Москва.

კლიმოვი 1964 — Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков. Москва.

კლიმოვი 1998 — G. Klimov, Etymological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin _ New York.

კორძია 2000 — ა. კორძია, სვანური ანდაზები, ლაპრჯდ შრი..., თბ.

მინდაძე 2000 — ნ. მინდაძე, ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა, სადოქტორო დისერტაცია, 2000 (ხელნაწერი). ვიმოწმებთ მ. ბურდულის დასახ. ნაშრომის მიხედვით.

რიცხ. — რიცხუთა; წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 2 - ლევიტელთა, რიცხუთა, მეორისა სჯულისაჲ. ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ, ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, XI, თბ., 1980.

როგავა 1946 — გ. როგავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, თბ.

საბა — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. ავტობიოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ. I — 1991, II — 1993. თბ.

სარჯველაძე 1995 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები. თბ.

სარჯველაძე 1997 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ.

საღლიანი 2005 — მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში. ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციისა, თბ.

სვანური 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ.

ფანასკ. 1978 — ზაზა ფანასკერტელი—ციციშვილი, სამკურნალო წიგნი კარაბადინი, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მიხეილ შენგელიამ, თბ., „საბჭოთა საქართველო“.

ფასმერი 1987 — М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, Изд. второе, Москва.

ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქანან. 1940 — ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ლ. კოტეტიშვილმა, თბილისი.

ქაჯია III, 2002 — ო. ქაჯია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1950-1964წ.წ., თბილისი.

ღლონტი 1996 — მ. ღლონტი, ვოცა ზმნის სემანტიკისათვის (თეზისები); აკად. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია, 12-15 ნოემბერი, თბილისი.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი.

შანიძე 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართულის გრამატიკა, თბილისი.

შანიძე 1981 — ა. შანიძე, შრომები, II, თბილისი.

შიმდტი 1962 — K.H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Sautstandes der südkaukasischen Grundsprache. Wiesbaden.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. ტფილისი.

ჩუბინაშვილი 1961 — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანებით, თბ., 1961.

ჩუბინაშვილი 1984 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

ჩუხუა 2000-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ.

MURMAN SUKHISHVILI

Towards the Terminology of One Common-Kartvelian verbal Stem in Svan

S u m m a r y

In new Georgian the stem **xoc-** has two basic meanings: 1. killing of lots; 2. drying, getting rid (of sweat, tears). These meanings of the stem **xoc-** are attested in old Georgian as well, where it is represented by phonetically different **qoc-** variant: in a stem anlaut an old Georgian pharyngeal voiceless **q** plosive is substituted by a velar voiceless **x** spirant in new Georgian.

A diachronic direction of the meanings expressed by **qoc-** (> **xoc-**) stem is expected as thus: “cleaning” > “removing”, “climinating > “killing of lost”.

A possible correspondence of a **qoc-** stem should be Svan **qoč-/qč-** (**liqčöñi**, **liqčueñi** – Upper Svan, **lixčöñi** / **lixočañi** – Lower Svan “to recover”).

From semantic standpoint connection of the Georg. **qoc-** “cleaning, removing” and Svan **qoc-/qč-** “recovering” stems is motivated as curing of disease implies the cleaning of disease focus, climination of disease’s cause.

From phonetic viewpoint old Georg. **qoc-** (new Georg. **xoc-**) and Svan **qoč-/qč-** (US), **xoč-/xč-** (LS) stems are natural correspondences: substitution of pharyngeal voiceless **q** plosive by a velar voiceless **x** spirant is a common Georgian-Zan phenomenon, that is attested in Svan, as well,

There is a different attempt of etymologization of a Svan **liqčöñi** verb (V. Topuria).

თედო უთურგაიძე

ქართული ენის სახელთა ფუძეების კუმშვისათვის

ფუძეკუმშვადია სახელი, რომლის ფუძე განსაზღვრულ პოზიციაში კარგავს ბოლო მარცვლის ხმოვანს მომდევნო მარედუცირებელი სუფიქსის წინ; მაგალითად, კედელ-ის > კედლ-ის: კედელ- ფუძე კარგავს ბოლო მარცვლის /ე/ ხმოვანს მარედუცირებელი -ის სუფიქსის გავლენით.

კუმშვას იწვევს ფუძეზე -VC ტიპის სუფიქსის დართვა (-ის, -ით, -ებ, -ელ, ულ-...). -VC ზოგჯერ გავრცობილია მარჯვნივ: -V(C)VC სახით (-ოვან, -ოსან, -იან, -იერ...); იშვიათად ჩანაცვლებულია -CVC მარედუცირებელი სუფიქსით (-ნარ).

მიუხედავად მარცვალთა რაოდენობისა, სახელთა ფუძეების კუმშვაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ბოლო ორი მარცვალი; მათ ვუწოდებთ კუმშვის სეგმენტებს. ამ სეგმენტთა როლი სახელთა ფუძეების კუმშვაში განსხვავებულია: მარედუცირებული სუფიქსის უშუალოდ წინ დგას სარედუქციო სეგმენტი. ამ სეგმენტის ხმოვნის ჩავარდნით ხორციელდება სახელთა ფუძეების კუმშვა.

რადგან კუმშვა ხორციელდება ორმარცვლიან მონაკვეთში და არ ხდება ერთმარცვლიანებში, გარდა გამონაკლისისა, სარედუქციო სეგმენტამდე მდებარე სეგმენტს ვუწოდებთ კუმშვის საყრდენ სეგმენტს, უფრო მარტივად — საყრდენ სეგმენტს. ეს სეგმენტი ფუძის კუმშვის დროს ფონეტიკურ სახეს არ იცვლის.

სარედუქციო სეგმენტი ფუძის ბოლო მარცვალია და ბოლოვდება ცალი თანხმოვნით*. დასაწყისში კი შეიძლება იყოს როგორც ცალი თანხმოვანი, ისე თანხმოვანთა მთელი კომპლექსი. ამ აღწერიდან ლოგიკურად გამომდინარეობს წესი: თუ სახელის ფუძე ბოლოვდება ერთზე მეტი თანხმოვნით, ის ფუძე უკუმშველია.

კუმშვის საყრდენი სეგმენტიც ერთი მარცვალია და შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ხმოვნით (ე-კალ-, უ-ღელ-, უ-ფალ-...), ღია მარცვლით ექსპლოზიურ ნაწილში (ამ-ბარ-, ერ-ქუან-...) ან ღია მარცვლით იმ-

* ძველი ქართულის კუმშვადებში შედიოდა სამი ფუძე, რომლებიც ორი თანხმოვნით ბოლოვდებოდნენ (იხ. გვ. 179). ისინი ახალ ქართულში ყველა პოზიციაში უკუმშველია.

პლოზიაში (**გა-ჭარ-**, **ნა-ცარ-**, **მუ-ცელ-...**), ან დახურული მარცვლით (**მან-გალ-**, **ფუტ-კარ**, **მინ-დორ...**).

კუმშვის საყრდენი სეგმენტი შეიძლება მარცხნივ განვივრცოს სხვა მარცვლებით: **მეგობარ-**, **მატარებელ-**, **აღმაშენებელ-...** (ხაზგასმულია მარცხნივ გავრცობის მარცვლები). კუმშვის საყრდენი სეგმენტის გავრცობა მარცხნივ კუმშვის პროცესზე გავლენას ვერ ახდენს, მაშასადამე, სახელურ ფუძეთა კუმშვისათვის არსებითია ბოლო ორი სეგმენტი და მარედუცირებელი სუფიქსი მათ მომდევნოდ.

მარედუცირებელ სუფიქსთა გავლენას განიცდიან განსაზღვრული სტრუქტურის ფუძეები. კუმშვის დროს სარედუქციო სეგმენტიდან ამოვარდება /ა/, /ე/ ან /ო/ ხმოვანი, რაც მრავალჯერ ილუსტრირებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ მხრივ გამორჩეულია ი. იმნაიშვილის მონოგრაფია (იმნაიშვილი 1957: 42), სადაც აღნიშნულია, რომ ძველი ქართულის კუმშვადი ფუძეებიდან უმეტეს შემთხვევაში ამოვარდება /ა/, რაოდენობრივად მას მისდევს /ე/-ს ამოვარდნა, მათთან შედარებით სახელთა ფუძეებიდან ნაკლებად რედუცირდება /ო/. /ო/-ს რედუქცია კვალს ტოვებს [ჟ] ალოფონის სახით, როცა ამის შესაძლებლობას აძლევს გარემო: **ნიგოზ-** — ნიგუზის; შდრ. **ობოლ-** — **ობლის**, [ჟ] იკარგება ლაბიალურ გარემოში. რედუცირებადი /ო/-ს მიერ მარცვლიანობის დაკარგვა, [ჟ]-დ ქცევა, და მისი ჩავარდნა სიტყვის ფორმიდან სიმულტანური პროცესებია (გოდორის > გოდურის არ დასტურდება სალიტერატურო ენასა და დიალექტებში).

სამეცნიერო ლიტერატურიდანვე ცნობილია ორი კუმშვადი სახელი, რომელთა სარედუქციო სეგმენტიდან ამოვარდნილი იყო /უ/ და /ი/ ხმოვნები: შურდულის > შურდლის, უნაგირის > უნაგრის. თანამედროვე ქართულში ესენი უკუმშველ ფუძეებს შეუერთდნენ, ნორმატიულია შურდულის, უნაგირის (თოფურია, გიგინეიშვილი 1998).

როგორც ითქვა, სახელთა ფუძეების კუმშვაში ერთდროულად მონაწილეობენ კუმშვის საყრდენი სეგმენტი, მის მომდევნოდ — სარედუქციო სეგმენტი და მათ მომდევნოდ — მარედუცირებელი სუფიქსი. ამ სამ ელემენტს ერთად ვუწოდებთ კუმშვის პოზიციას: **სამართალ-ის** ფორმაში კუმშვის პოზიციას ქმნიან **-მარ-თალ-ის**, სადაც **-მარ-** არის კუმშვის საყრდენი სეგმენტი -თალ- სარედუქციო სეგმენტი, **-ის** კი — მარედუცირებელი სუფიქსი. **სა-** პრეფიქსი კუმშვის პროცედურაში არ მონაწილეობს: **სამართალ-ის** > **სამართლის**.

სახელთა ფუძეების კუმშვის მოვლენაში გასარკვევად, მაშასადამე, უნდა აღიწეროს კუმშვის საყრდენი სეგმენტის იმპლოზიური ნაწილი და სარედუქციო სეგმენტის როგორც იმპლოზიური, ისე ექსპლოზიური ნაწილები, რადგან სარედუქციო სეგმენტის ხმოვნის ჩავარდნის შემდეგ ამ ნაწილთა თანხმონები ერთად ექცევიან ინტერვოკალურ პოზიციაში — კუმშვის საყრდენი სეგმენტისა და მარედუცირებ-

ლი სუფიქსის ხმოვნებს შორის და ქმნიან კომპლექსებს ორიდან ხუთამდე თანხმოვნით (ე-კალ-ის > ეკლის, ჩინ-ჩხვარ-ის > ჩინჩხვარის). თანხმოვანთა ეს კომპლექსები აღნიშნული ორი ხმოვნის მარცვლებში ნაწილდებიან (ეკ-ლის, ჩინ-ჩხვარის).

სახელის ფუძეთა კუმშვა დამოკიდებულია ინტერვოკალური თანხმოვანთა კომპლექსის კომპონენტთა ბუნებრივ განაწილებაზე კუმშვის საყრდენი ხმოვნის იმპლოზიაში და მარედუცირებელი სუფიქსის ხმოვნის ექსპლოზიაში.

მარცვლებში თანხმოვანთა განაწილება, ბუნებრივია, ემყარება ქართული ენისთვის დამახასიათებელ სინტაგმატურ წესებს. ამ წესთათვის არსებითია ფონემათა განაწილება ცალკეულ მორფემათა შიგნით. ეს შიდა მიმართებები ენის გენეტურ თვისებათა შესახებაც იძლევიან ინფორმაციას.

ქართული ენის თანხმოვნები ქმნიან ოთხ კლასს: I კლასს ქმნიან ბაგისმიერი თანხმოვნები, II კლასს — წინაენისმიერი თანხმოვნები, III კლასს — უკანაენისმიერი თანხმოვნები, IV კლასს — /რ, ლ, ნ/ სონორები*.

ქართული ენისთვის ბუნებრივია თანხმოვანთა განაწილების მზარდი ნაპრალოგნობის მოდელი, რომელიც სქემატურად ამ სახისაა:

- 1. ხშულები (ნულოვანი ნაპრალოგნობა)
 - 2. ზ ს ყ შ
 - 3. ღ ხ ყ
 - 4. ვ მ
 - 5. რ ლ ნ
- } ისარი მიუთითებს ნაპრალოგნობის ზრდაზე.

თანხმოვანთა ბუნებრივ კომპლექსებში ერთიმეორეს მიჰყვებიან სხვადასხვა კლასის თანხმოვნები და ყოველი მომდევნო წინას აღემატება ნაპრალოგნობით; ჩქამიერი თანხმოვნები იცავენ ჰომოგენურობას სახმო სიმთა მოქმედების მიხედვით; მომდევნო სონორისთვის კი ეს ჭარბია (უთურგაიძე 1976: 102).

მარცვალთა შორის საზღვარიც იდება მზარდი ნაპრალოგნობის წესით: სადაც ირღვევა მზარდი ნაპრალოგნობის წესის თანამიმდევრობა, მარცვალთა გამყარი იმ ადგილზე გაივლის.

თუ ხმოვნებს შორის მოთავსებულ კომპლექსში თანხმოვნები მზარდი ნაპრალოგნობის წესით უერთდებიან ერთიმეორეს (მაგ., მეწერის, საზღვრის...) დამარცვლისას პირველი ხმოვნის იმპლოზიურ ნაწილში მხოლოდ ერთი თანხმოვანი რჩება, დანარჩენები მომდევნო ხმოვნის მარცვლის ექსპლოზიას წარმოადგენს (მეწ-ერის, საზ-ღვრის...).

დამარცვლის ეს წესი გამომდინარეობს მზარდი ნაპრალოგნობის სქემიდან: თანხმოვანთა ურთიერთმიზიდულობის კოეფიციენტი მით უფრო იზრდება,

* /ვ, მ/ სონორები ბაგისმიერთა კლასში ხვდებიან.

რაც უფრო მეტია დაშორება თანხმოვანთა ჯგუფებს შორის სქემაში, ე. ი. ხშულებსა და სონორებს შორის მიზიდულება (O+S) მეტია, ვიდრე ხშულებსა და ჩქამიერ ნაპრალოვნებს შორის (O+F), რაზეც ამ კომპლექსთა სიხშირის სტატისტიკაც მიგვითითებს.

სქემაში კიდევ ერთი ჯგუფი რომ გამოვყოთ ნაპრალოვნობის ზრდის მიხედვით, ეს ხმოვანთა ჯგუფი იქნებოდა. თანხმოვანი + ხმოვანი (C+V) ყველაზე ბუნებრივი ფონემატური ჯგუფია ქართულში.

პაუზის მომდევნოდ კომპლექსები მორფემათა დასაწყისში მარცვალთა ექსპლოზია-იმპლოზიაზეც იძლევა ინფორმაციას. ამ პოზიციის ფონეტიკური ცვლილებები არგუმენტიანია მარცვალთა ექსპლოზიური ნაწილის დასახასიათებლად: სონორი ჩაქმიერთა წინ ხშირად იკარგება: რკინა/კინა, რქა/ქა, ლვილი/ვილი, მთაში/თაში, მხარი/ხარი... ან ხდება არაბუნებრივი კომპლექსის გარდაქმნა ბუნებრივად: მხარი/ფხარი, მზე/ბზე, მსუენი (ძვ. ქართ.)/ფსვენნი (დიალექტ.)... ზოგჯერ ხდება მეტათეზისი ბუნებრივი თანამიმდევრობის აღსადგენად: რგოლი/გროლი, (ათ-რვა-მეტი) > თრვამეტი > თვრამეტი, აწ-მყო/აწ-ყმო, ვარ-სქენ/ვარ-ქსენ და სხვ.

ქართულ ენაში ხმოვანთა წინ და მომდევნოდ ცალი თანხმოვანი ბუნებრივია. გამონაკლისია /ვ/ ასევე ბაგისმიერი /უ, ო/-ს წინ.

როდესაც კუმშვის საყრდენი სეგმენტი ხმოვანია ან ხმოვნით დაბოლოებული ღია მარცვალი, ხოლო რედუცირებადი სეგმენტი **CVC** ტიპისა, ენას საშუალება ეძლევა სახელის კუმშვა ყოველთვის განახორციელოს, რადგან ასეთ შემთხვევაში ფუძის შეკუმშვის შემდეგ ინტერგოკალურ პოზიციაში ექცევა მხოლოდ ორი თანხმოვანი, რომლებიც ნაწილდებიან სხვადასხვა მარცვალში, სანიმუშოდ ავიღოთ ფუძეები: ეკალ-, ბეჭედ-, ძვ. ქართულიდან ვეშაპ- და ხუცეს-... ეს ფუძეები ძველ ქართულში იკუმშებოდნენ: ეკალ-ის > ეკლის, დაიმარცვლება ეკ-ლის, ბეჭედ-ის > ბეჭდის, დაიმარცვლება ბეჭ-დის; ვეშაპ-ის > ვეშპის (ვეშ-პის), ხუცეს-ის > ხუცსის (ხუც-სის)... ი. იმნაიშვილის მიერ შედგენილ ძვ. ქართულის -არ და -ალ დაბოლოების მქონე კუმშვად სახელთა სიაში (იმნაიშვილი 1957: 50-54) 37% და 44%, შესაბამისად რიგისა, ამ ტიპის ფუძეებია.

რაც შეეხება **-CVC**, **-CCVC**, **CCCVC** ტიპის სარედუქციო სეგმენტებს, როცა ისინი სახელის ფუძეში მოსდევნენ დახურული მარცვლით წარმოდგენილ **VC-**, **CVC-** ან, უფრო იშვიათად, **CVCC-** კუმშვის საყრდენ სეგმენტებს, კუმშვა თუ განხორციელდა, ინტერგოკალურ პოზიციაში შეიქმნება სამიდან ხუთამდე თანხმოვნით შედგენილი კომპლექსები, რომლებიც უნდა განაწილდეს სახელის ბოლო ორ მარცვალში. კუმშვა განხორციელდება იმ შემთხვევაში. თუ მარედუცირებელი ხმოვნის ექსპლოზია გახდება მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსი, ხოლო წინა მარცვალი (რედუქციის საყრდენი სეგმენტი) დაბოლოვ-

დება ერთი თანხმონით ან მზადი ნაპრალოვნობის ორი თანხმონით, მაგალითად: აფთარ- — აფთრის (**აფ-თრის**), დამწუარ- — დამწურის (**დამ-წურის**), მოყუას- — მოყუსის (**მოყუ-სის**), სასტმელ- — სასტმლის (**სასუ-მლის**)*.

ბოლო მაგალითების ფუძეში კუმშვის საყრდენი სეგმენტი ორი თანხმონით ბოლოვდება (სასუ-მელ); ამ ფუძეთა კუმშვას ხელი არ ეშლება იმის მიუხედავად, რომ უშუალო მეზობლობაში ხვდება ორი ერთი და იმავე კლასის თანხმონი: ისინი ფუძეთა შეკუმშვამდეც და შეკუმშვის შემდეგაც სხვადასხვა მარცვალში ხვდებიან (სასუ-მლის, ხუც-სის).

როგორც ვნახეთ, მთელი რიგი ცვლილებები სიტყვათა ფარგლებში ადეკვატურად აღიწერება და აიხსნება მხოლოდ მარცვლის თეორიის ტერმინებში, კერძოდ: სახელთა ფუძეების კუმშვა (ანუ ხმონთანა რედუქციის განსაზღვრული სახეობა), თანხმონთანა მეტათეზისი, თანხმონთანა ჩავარდნა სახელის ფორმათა განსაზღვრულ პოზიციაში და სხვა რიგის ფონეტიკური ცვლილებები. ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ე. ჰაუგენი მიუთითებდა მსგავსი ცვლილებების ანალიზისთვის მარცვლის თეორიის უაღრესად დიდ მნიშვნელობაზე (ჰაუგენი 1956).

სამეცნიერო-ლიტერატურაში დასახელებული ძველი ქართული კუმშვადი სახელებიდან მარცვლებში მზარდი ნაპრალოვნობის დაცვის წესს არ მიჰყვება ექვსი ფუძე, ესენია: [თირკუმლით], [სარკუმლით]; უმგბ(ვ)რისა, [სამშუჭლისა], დამშდვრისა და [მომკუდრისა] (ძვ. ქართულის ორთოგრაფიით: თირკუმლით, სარკუმლით; სამშუჭლისა, მომკუდრისა).

კუმშვის ჩვენი წესიდან ამ გამონაკლისებს ორად ვაჯგუფებთ. პირველ ჯგუფშია პირველად სახელთა ფორმები: [თირკუმლით] და [სარკუმლით]. ამ ფორმებს ისე ვერ დავმარცვლავთ, რომ ორივე მარცვალი ბუნებრივი იყოს: თირ-კუმლით, თირკ-უმლით ან თირკუმ-ლით... დამარცვლისას ხან იმპლოზიური ნაწილია მიუღებელი მზარდი ნაპრალოვნობის წესით, ხან — ექსპლოზიური ნაწილი. ანალოგიურია ვითარება მეორე სახელთანაც. ამ სახელებმა გვიან დაკარგეს ფუძისეული უ ([უ]) თანხმონი, თანამედროვე ქართულის ვერც სალიტერატურო ენაში და ვერც დიალექტებში ვეღარ შევხვდებით [უ]-ს, რომელიც ძველ ქართულში /ვ/ ფონემის ვარიანტი იყო ჩქამიერთა მომდევნოდ. თანამედროვე ფორმებია თირკმელი და სარკმელი, რომლებიც კუმშვადებია და ბუნებრივად იმარცვლებიან: თირ-კმლის, სარ-კმლის (**-კმლ** მზარდი ნაპრალოვნების მქონე კომპლექსია, იხ. სქემა). სავარაუდებელია, რომ ძველი ქართულის წარმოთქმაშიც არ ისმოდა ბაგისმიერი [უ] ბაგისმიერივე [მ]-ს გვერდით, მიუხედავად იმისა, რომ ორთოგრაფიაში უ-ც ([უ]) იხმარებოდა.

* თეორიულად ამ ინტერვოკალური თანხმონების რიცხვი შეიძლება რვამდე გაიზარდოს, რომელთაგან ოთხი თანხმონი იქნება რედუქციის საყრდენი ხმონის იმპლოზია, ოთხიც — მარედუქციურბელი ხმონის ექსპლოზია.

ორივე სიტყვა [თირკმელ-] და [სარკმელ-] სახით წარმოითქმებოდა და ამიტომაც ორთოგრაფიულადაც ასე გაფორმდნენ ახალ ქართულში, „ვეფხისტყაოსნის“ მე-17, მე-18 საუკუნეთა ხელნაწერებში სარკმელ ფუძე ხშირად ამ სახითაც (უ-ს გარეშე) იხმარება.

ძველი ქართულის დანარჩენი ოთხი კუმშვადი ფუძე, რომელთაგან სამი (უმგზარ- I უმგზარ-, დამშვდარ-, სამშჷჷალ-) დღეს აღარ იხმარება, ნაზმნარ სახელს წარმოადგენს — მიმღეობებია, რაზეც მიუთითებს **-არ** დაბოლოება და **სა-** პრეფიქსი. სამშჷჷალ- ფუძის **-ალ** აგრეთვე სუფიქსია (ჩიქობავა 1942: 322).

გასათვალისწინებელია, რომ ესენი პირველადი სახელები არ არიან, ნაზმნარი სახელებია და ამ მიმღეობებს შეკუმშული ძირი პირიანი ფორმებიდან გადმოჰყვა. ამავე დროს მხედველობაში ისაც არის მისაღები, რომ **-არ** და **-ალ** დაბოლოებები ყველაზე მეტად არის გავრცელებული კუმშვად ფუძეებში (მარი 1925: 40; იმნაიშვილი 1957: 50-54). ამ წინაპირობების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ეს გამონაკლისები ასოციაციური კუმშვის შედეგია ნორმალური გზით შეკუმშული **-არ** და **-ალ** დაბოლოების მქონე სახელთა გვერდით. ოთხი გამონაკლისი უამრავი წესიერად კუმშვადი ფორმების გვერდით მზარდი ნაპრალოვნობის წესის მნიშვნელობას სახელთა ფორმების კუმშვაში, რა თქმა უნდა, ვერ შეამცირებს.

*

* * *

ერთმარცვლიანი, ანუ ცალსეგმენტიანი (რომელთაც კუმშვის საყრდენი სეგმენტი არა აქვთ) ფუძეები უკუმშველად მივიჩნიეთ, რადგან ქართულ ენაში ყველაზე მეტი რაოდენობით ისინი გვხვდებიან და ამავე დროს ყველაზე ნაკლებად განიცდიან კუმშვას. მეორეც, თანამედროვე ქართულთან შედარებით, ძველ ქართულში სახელთა ცალსეგმენტიანი კუმშვად ფუძეებს თითქმის 50% აკლდება — მაშინ არ იკუმშებოდნენ. სავარაუდებელია, რომ ძველი ქართულის წინა პერიოდში, რომელიც ქრონოლოგიურ დონეზე, ცალსეგმენტიანი ფუძეები საერთოდ უკუმშველი იყო. ამ აზრს განამტკიცებს სვანურის ჩვენება*: ხმოვანთა რედუქციისადმი მიძღვნილ ნაშრომში ვ. თოფურია ორგზის აღნიშნავს: სვანურში „რედუქცია არ მოსდის ერთმარცვლიანებს გაორმარცვლიანებისას“ (თოფურია 1946: 67) და „რედუქციას არ ემორჩილება ერთმარცვლიანი გაორმარცვლიანებისას“ (იქვე, 70), თუმცა მან ერთმარცვლიან ფუძეთა რედუქცია მაინც დაუშვა: „არის შემთხვევები ერთმარცვლიან სახელთა რედუქციისას“ (თოფურია 1946: 84).

* მეგრულსა და ჭანურში საერთოდ არ ხდება სახელთა ფუძეების კუმშვა. ორიოდ მაგალითში, სადაც ლაპარაკია ერთმარცვლიანი ფუძის კუმშვაზე, წარმოდგენილია ზმნური ფუძეები. ერთადერთ სახელურ ფუძეში (ფურ-ი „ცუდი“) ძირეული /უ/-ს რედუქცია გაორმარცვლიანების შემდეგ ხორციელდება მარედუქციურბელი სუფიქსის წინ: უ-ფრ-აში „უარესი“ (თოფურია 1946: 86) ფრ-ი კი არ არსებობს.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ძირითადად ეს ეხება ზმნურ ფუძეებს, სახელთა ფუძეების გაუმარცვლობა კი დაუმწველია სვანურში: ვ. თოფურის მაგალითებში მარკირებულ /ი/-ს ცვლის ირაციონალური /გ/ ხმოვანი, რაც კარგად არის ცნობილი (შანიძე 1981: 321). ჭიმხ — *ჭიმხ-არ > ჭგმხარ და სხვ. (თოფურია 1946: 84). ამ ცვლილების დროს /ი/-ს ჩაეარდა და /გ/-ს გაჩენა მის ადგილზე სიმულტანური პროცესია, ასე რომ ერთმარცვლიანი ფუძის გაუმარცვლობა სვანურში არ ხდება.

შესაძლებელია ერთმარცვლიანი ფუძეთა უკუმწველობის ქართველურ ენათა გენეტურ თვისებად გამოცხადება.

დავუბრუნდეთ ფუძეთა კუმწვა-უკუმწველობას ერთმარცვლიანი ფუძეებში. ი. იმნაიშვილის მიერ ძველი ქართულის კუმწვად ფუძეთათვის შედგენილ სიაში 23 ცალსეგმენტიანი ფუძე მოხვდა. მათ ორად ვაჯუფებთ. I ჯგუფში განვიხილავთ **CVC-** სტრუქტურის ფუძეთა კუმწვას, II ჯგუფში კუმწვად ფუძეებს, რომელთა ექსპლოზია თანხმოვანთა კომპლექსებია: **CCVC-**, **CCCVC-**, **CCCCVC-**. ამ ჯგუფში 20 ერთმარცვლიანი (ცალსეგმენტიანი) ფუძე იყრის თავს.

CVC- სტრუქტურის სამი ფუძეა კუმწვადი ძველ ქართულში*. ამ ფუძეებს განვიხილავთ ცალ-ცალკე.

წელიწად - ფუძე კომპოზიტია (შანიძე 1981), მისი ნაწილებია წელით და წლად პირველ ნაწილში შეუკუმწვა, მეორე ნაწილში — შეკუმწული. ა. შანიძის აზრით, ეს ნაწილები სხვადასხვა დიალექტის შემონატანია სალიტერატურო ენაში. ერთი დიალექტი კუმწვდა ამ ფუძეს, მეორე არ კუმწვდა (შანიძე 1981: 313).

ვითარება ადვილად იხსნება ერთი სისტემის ფარგლებშივე: კომპოზიტის პირველ მარცვალში, როგორც მოსალოდნელი იყო, ცალსეგმენტიანი **წელ-** არ შეკუმწულა, მეორე წელ - კი კომპოზიტის მესამე მარცვალში, კუმწვის პოზიციას იღებს და იკუმწება (*წელითი წელად > წელიწლად > წელიწად). მაშასადამე, კუმწვა ამ ფუძისა არც დიალექტთა სხვაობას უკავშირდება და არც მახვილს. კომპოზიტი ძველია და ძველ ვითარებასაც გვიჩვენებს, როდესაც წელ - ჯერ კიდევ უკუმწველი იყო. ასეთი უკუმწველი ერთმარცვლიანი ფუძეები დღესაც გვხვდება: ისინი ცალკე ან კომპოზიტის დასაწყისში არ იკუმწებიან მარედუციურებელი სუფიქსების წინ, მაგრამ კუმწვის პოზიციაში, როდესაც სიტყვის ფუძის მეორე ან შემდგომი მარცვლებია, კუმწვადი ხდებიან, მაგ.: ფერ-ის, ფერ-ებ-ი... ფერისცვლება; შდრ. ვარდისფრად და სხვ. კარ-ის, კარ-ებ-ი, კარისკაცი... შდრ. ცისკრის და სხვ. ერთგვარად მოულოდნელია საერთოდ უკუმწველი კარ - ფუძის (კარ-ის, კარ-ით, კარ-ად, კარ-

* ნ. მარის მიერ კუმწვად ფუძედ მიჩნეული კუალ - [კუალ] (მარი 1925: 43) ძველ ქართულში არ იყო კუმწვადი; შდრ. კუალად-გება, კუალის-დგინება... (აბულაძე 1973). ნ. მარი ზოგჯერ არ იცავს ქრონოლოგიურ დიფერენცირებას.

ებ-ი, კარ-ედ-ი) კუმშვა ერთადერთ **კრედ**საბმელ-ში (ვარიანტებია **კრეთ**-საბმელი და **კრეტ**საბმელი).

კარ ფუძე კუმშვის პოზიციაში იკუმშებოდა (მე-**კრ**-ე; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 263); ზმნათა ფორმებშიც **კარ** შეკუმშულია შესაბამისად პოზიციისა (შე-**კრ**-ავს, შე-**კრ**-ულ...). სავარაუდებელია, რომ **კრეტ**საბმელ კომპოზიტში კუმშვა ანალოგიით არის განხორციელებული, ასოციაციურია.

ძალ- ფუძე ძველ ქართულში არსებითად უკუმშველია, კუმშვადი ხდება ჯერ კუმშვის პოზიციებში, როდესაც კომპოზიტებში ფუძის მეორე ან შემდგომი მარცვალაია: ძალ-ის, ძალ-ით, მაგრამ თანდებულის როლში **-ძლ**-ით: თქუენძლით, ცოდვის ძლით (სამოციქულო 2009); ამ ფორმას ზმნისართის როლშიც ვხვდებით: „მოჰყვანდეს იგი არა ძლით“ (სამოციქულო 2009). ამ შემთხვევაში უთუოდ საქმე გვაქვს ენკლიზისთან — კუმშვა განხორციელებულია რიტმულ ჯგუფში: არა ძალით > არაძლით, სადაც ძალით ენკლიტიკაა.

იგივე შეიძლება ითქვას მეყ- ფუძეზე, რომელიც მყის ზმნისართის სახით ხშირად გამოიყენება ძველ ქართულში. წარვიდა მყის [< წარვიდა მყის (ჟამსა)]. მყის (< მყის) მსაზღვრელის ფორმაა. განმეორებადი (მუდმივი) საზღვრულის (ჟამი) დაკარგვის შემდეგ ენკლიზის საფუძველზე ხდება მეორე ან ამის შემდგომი მარცვალი და კუმშვის პოზიციაში კარგავს ხმოვანს: წარვიდა მყის > წარვიდა მყის; შდრ. უკუმშველი არსებითი სახელის თავ- ფუძე თანდებულის როლში კუმშვადი ხდება: თქუენ თავის > თქუენთჳის / თქვენთჳს. ენკლიზის საფუძველზე ფუძეთა კუმშვა ნორმალური ფონეტიკური პროცესია.

როდესაც ასეულ **CVC**- ტიპის სახელური ფუძიდან მხოლოდ სამი განიცდის კუმშვას, რა თქმა უნდა, მიზეზი ფონეტიკური გარემოა, რომლის შექმნას ჩვენ უკუმშველ ფუძეთა ენკლიტიკებად მოქცევას მივაწერთ.

*

* *

მეორე ჯგუფში ცალსეგმენტიან კუმშვად ფუძეებს ექსპლოზიად აქვთ მრავალთანხმონიანი (ორიდან ოთხამდე) კომპლექსები. წარმომავლობისა და სტრუქტურის მიხედვით მათ წარმოვადგენთ ექვს ქვეჯგუფად.

(1) მგბარ-, მკუდარ-, მჩუარ-, მძლუარ-, მწუარ-, მკალ-. ამათგან სალიტერატურო ქართულში ამ სახით აღარ იხმარება ან საერთოდ აღარ გვხვდება [მგბარ-], [მყუარ-], [მჩუარ-], [მძლუარ-] და [მკალ] „კალია“.

დიალექტებიდან თუშურში დასტურდება **გბ** (<*გაბ) ძირი გამარტივებული /გ/-ს სახით — მგოლავი „ლუდის მხარშველი“ (შდრ. მგოლაობა, უთურგაიძე, 1960, 204), სადაც **მ**- მიმღეობის პრეფიქსია, პაუზის მომდევნო /მგბ/ კომპლექსი გამარტივებულია; მგოლავ- ფუძე უკუმშველია (მგოლავები — ცოცანიძე 2002), მგბარ- ფუძე კი აღარც ამ დიალექტშია.

თუშურში დადასტურებული ყვარტი (შანიძე 1984; ჩაწერილია 1913წ.) და ყვრატი (უთურგაიძე 1960: 214), რომლებიც უკუმშველია და უდავოდ

მყუარ ფუძისგან მომდინარეობენ, ატ (< ად) სუფიქსი დართვია. თუშურში გვიან განხორციელებული /რ/-ს მეტათეზისით ფუძის ტერმინალური კომპლექსი /რტ/ გამარტივდა.

ახალ ქართულში ბუნებრივია ჩვარ-. აქაც ჩავარდნილია მიმღობის მ-პრეფიქსი (შდრ. ძვ. ქართული დაჩჩუა „დაარბილდა“, იხ. **დაჩჩუ** — ი. აბულაძე 1979).

მკალ- ფუძემაც დაკარგა მიმღობის მ-პრეფიქსი — კალია. კარგად ჩანს, არსებითი ცვლილება ამ ფუძეებში არის მ-პრეფიქსის ჩავარდნა. /მ/ არაბუნებრივია ჩქამიერ თანხმოვანთა წინ პაუზის მომდევნოდ (სიტყვის თავკიდურად) და, მიუხედავად მორფოლოგიური ფუნქციისა, სახელად მოქცეულ ფორმებში იკარგება. ქართული ენისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

ერთმარცვლიანი სახელური ფუძეები არ იკუმშებოდნენ ძველ ქართულამდე, რაზეც, როგორც ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, ნათლად მიუთითებენ სვანური და მეგრული, სადაც არ ხდება ერთმარცვლიან სახელურ ფუძეთა კუმშვა. ქართულ ენაში კი თანდათანობით ხდება მათი რიცხვის მატება, თუმცა მრავალი ასეული ფუძიდან ჯერ ორმოცამდეც არ არის ასული მათი რაოდენობა. ბუნებრივია, დგება კითხვა: მაინც რატომ მოხდა კუმშვა სახელთა ერთმარცვლიან ზოგ ფუძეში? რა აქვთ მათ სპეციფიკური, სხვა ერთმარცვლიანთაგან განსხვავებული? დავიწყით ძველი ქართულით, სადაც უფრო მცირეა სახელთა ერთსეგმენტიან კუმშვად ფუძეთა რაოდენობა. (1) ძირითადად კუმშვა წარმოდგენილია ზმნური წარმომავლობის სახელთა (მიმღობების) ფუძეებში: გაუხმოვანებელ ძირიან ზმნათაგან ნაწარმოები მიმღობები ბოლოვდება -არ, -ალ, -ელ სუფიქსებით: მ-ჩუ-არ, მ-წუ-არ, მ-ყუ-არ, მ-კუდ-არ, მ-ცხუ-არ, (მ-)ქმ-არ-, მ-ძღუ-არ... ამ ორი ფაქტორის გამო ხდება ასოციაციური კუმშვა აღნიშნულ ფუძეებში: ასოციაციას განაპირობებენ (ა) ზმნათა გაუხმოვანებელი ძირები და (ბ) კუმშვად სახელთა (ისარ, აფთარ, ზეწარ, ლამპარ... ბარკალ, ეკალ-, მამალ-... კედელ, მუცელ, სოფელ...) დამახასიათებელი დაბოლოებები: -არ, -ალ, -ელ.

კუმშვადი მგბარ- ფუძის ძირი (გბ) პირიან ფორმებში ყველგან გაუხმოვანებელია, მიმღობის -არ დაბოლოება კი კუმშვასთან ასოცირდებოდა, შედეგად ორმხრივი ასოციაციით მიღებულ იქნა შეკუმშული მგბრისა ფორმა, მიუხედავად იმისა, რომ /მგბ/ თანამიმდევრობა ფონემატურად არაბუნებრივია. უთუოდ ამას უნდა მივაწეროთ ამ მიმღობისა (მგბარი) და მის შეკუმშული ფორმის (მგბრისა) სრული ამოვარდნა სალიტერატურო ენიდან და დიალექტებიდან.

(2) მვარ-, მხალ-, მველ-. ამ ფუძეებშიც მ-პრეფიქსია, რომელიც ხშირად იხმარება სახელის მაწარმოებლად (ნომენაციის პრეფიქსია), დიალექტებში ხშირად შევხვდებით მას: მშველი, მყველი, მცა, მჯიში (იხ., მაგალითად, ძოწენიძე 1973: 19; ლლონტი 1984 და სხვ.).

დიალექტური ფორმებიდან ჩანს, რომ ცვლილებები ხდება ბუნებრივი კომპლექსების შესაქმნელად: მხარი (< მჭარი) / ფხარი (ლლონტი 1984), ასევე მხალი / ფხალი დიალექტურ ფორმებში ხშირია გელი (< მგელი). ამ ფორმის კუმშვა ძველ ქართულში აგრეთვე ასოციატიურია. ახალ ქართულში არის ტენდენცია შეკუმშულ ფორმებში არაბუნებრივი კომპლექსები შეიცვალოს ბუნებრივით.

(3) ს ძალ-, ს თუ ელ-. აქაც კუმშვა (სძლის, სთულის) ასოციატიურია: უკავშირდება **-ალ** და **-ელ** დაბოლოებებს. **ს**- პრეფიქსი თავკიდურად არაბუნებრივია: ერთი კლასის (წინაენისმიერთა) თანხმოვნები ამ პოზიციაში გვაგვარაუდებინებს მათ შორის მორფემათა საზღვარს ისტორიულად. დიალექტებში ფონემატური შეუთავსებლობის გამო ხდება ფონეტიკური ცვლილებები: ძალო, ძალუა ბარის დიალექტები (კახ., ქართლ.); აჭარულსა და მთის დიალექტებში ს ძალი შეიცვალა ზალი ფორმით. ს თუ ელი სალიტერატურო ქართულში შეცვალა რთველი ფორმამ, რაც აგრეთვე არაბუნებრივია. ბუნებრივია აჭარული თველი (იხ. გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961: 658). დიალექტებში კუმშვის შედეგად მარედუცირებელი ხმოვნის წინ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსებია: **ზლის** და **თვლის**.

(4) ვრძალ-, ბრძენ-. ვრძალ- ნასესხებია (მარი 1925: 46), ნასესხებ ბრძენ- ფუძეში (ფოჩხუა 1974: 356) არაბუნებრივია **რძ** თანამიმდევრობა. ორივე ფუძეში განხორციელდა ცვლილება: ახალ ქართული გვაქვს ხმალ-, კუმშვის შედეგად ვიღებთ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსს **ხმლის**; ბრძენ- დიალექტებში ბზენ სახეს იღებს (იხ., მაგალითად, ჭინჭარაული 2005), შესაბამისად აქაც შეკუმშულ ფუძეში დაცულია მზარდი ნაპრალოვნობა კომპლექსში **ბზნის**. ტრადიციული ასოციატიური კუმშვის გასაგრძელებლად ენა კომპლექსებს ამარტივებს და რედუცირებული სეგმენტები თანხმოდანთა მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსებამდე დაჰყავს მარედუცირებელი ხმოვნის მიერ შექმნილი მარცვლის ექსპლოზიაში (**ხმლის**, **ბზნის**).

(5) წყალ-, ქსელ-, ძღუნ-, ქმარ-. ეს ფუძეები ისტორიულად განიცდიან ასოციატიურ კუმშვას დაბოლოებათა გამო (-ალ, -ელ, -ენ, -არ). ამას ემატება ისიც, რომ კუმშვის შედეგად ვიღებთ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსებს და იქმნება ბუნებრივი მარცვლები მარედუცირებელი ხმოვნის მონაწილეობით: **წყლის**, **ქსლის**, **ძღუნის**, **ქმარის**.

თუშორ დიალექტში ქმარ- ფუძე უკუმშველია: ქმარის ძმა, ქმარეულნი, საქმარე... იშვიათად ძველ ქართულშიც გამოერევა უკუმშველი ქმარ- სეგმენტი განსხვავებული მნიშვნელობით: საქმარად (აბულაძე 1973). საერთოა ქმ (< ქამ).

(6) ერთსეგმენტიან ფუძეებში ორი თანხმოვნით დაბოლოებული კუმშვადი ფუძე სამია ძველ ქართულში: ღმერთ- (ღმრთის), ფერჯ- (ფრჯით) და მკერდ- (მკრდ-ის). ამ ფუძეთა კუმშვა გამონაკლისია ძველ ქართულში, რადგან ცალი ხშული თანხმოვნით, საერთოდ, ცალი ჩქამიერი თან-

ხმოვნით დაბლოებული ერთმარცვლიანი ყველა სახელური ფუძე ძველსა და ახალ ქართულში უკუმშველია (შდრ. უკუმშველი ფუძეები: ჭად-, წათ-, ხტად-, ბედ-, წუეთ-, ქედ-, ზეთ-, მეჯ- და სხვ.).

ამ ფუძეთა კუმშვა გამონაკლისია ორი თანხმოვნით დაბლოებული ერთმრავალმარცვლიანი უკუმშველი ფუძეების გვერდითაც, როგორცაა: ვარდ-, ნარდ-, ფერდ-, გუერდ-... მრავალმარცვლიანი: მოზარდ-, ჭუამალდ-, ფალავანდ- და სხვ. ამათგან მხოლოდ გუერდ- ფუძემ დაიწყო კუმშვა მარცვლის მომატების შემდეგ: იგურდივ- ფორმა ბუნებრივად იმარცვლება მიმატებული ხმოვნის წყალობით: იგურ-დივ.

ეს გამონაკლისებიც ასოციატიური კუმშვის შედეგია: ისინი კუმშვას განიცდიან ძველი ქართულის კონფიქსიან ფორმებში ხმოვნებს შორის: სა-ღმრთ-ო, სა-ფრჯ-ე, სა-მკრდ-ე. საღმრთო და საფრჯე ბუნებრივად იმარცვლებიან (საღმრ-თო, საფრ-ჯე).

რაც შეეხება მკერდ- ფუძეს, ნასესხები ძირი აქვს (შდრ. ბერძნ. **kardia**), მ- პრეფიქსი ქართულში დაემატა, ნომენაციის პრეფიქსია. ახალ ქართულში უკუმშველი გახდა. ფონეტიკურად იცვალა ძვ. ქართულის ღმრთის. ამ საეკლესიო ტერმინს* დიალექტებში გაუჩნდა შემდეგი ფონეტიკურად შეცვლილი დუბლეტები: ღვთის (ღმთის < ღმრთის), ხთის, თის (შდრ. საკუთარი სახელები: ხვთისო, თისო).

ფონეტიკურად შეიცვალა ფერჯ-, ახალ ქართულშია ფეხ-, რომელიც უკუმშველი გახდა ყველა პოზიციაში: უფეხო, ნაფეხური... ძველ ქართულშიც ხშირად იყო უკუმშველად ნახმარი (ფერჯის, ფერჯით).

*

* *

ჩვენს თვალსაზრისს განვიხილავთ ბრუნების პარადიგმაში სახელის ფუძეთა კუმშვის მორფონოლოგიურ მოვლენებთან დაკავშირებული გამოკვლევების ფონზე, კერძოდ ნ. მარის, ა. შანიძის ვ. თოფურიასა და არნ. ჩიქობავას ნაშრომებს კუმშვის მოვლენასთან დაკავშირებით.

ნ. მარმა „სუსტ ბრუნებაში“ განათავსა კუმშვადფუძიანი სახელები (“Неустойчивые основы“). მისი აღწერით, კუმშვისთვის საჭიროა უპირველესად ფუძეთა ორმარცვლიანობა: “Беглость гласных в грузинском литературном языке требует двусложности основы. Следовательно, она может проявляться теоретически лишь в двух- и трехсложных корнях“ (მარი 1925: §62. ხაზი ჩ. — თ. უ.). ნ. მარს მხედველობაში აქვს ორთანხმოვნის უფალ-, ეკალ-, უდედ-... და სამთანხმოვნის ტაძარ-, ნაცარ-საბელ... ტიპის ფუძეები.

* საერო ტერმინია ღვთის / ხვთის.

მან აქვე განსაზღვრა კუმშვის განმაპირობებელი სხვა ფაქტორებიც: ფუძის ბოლო მარცვალში არამდგრადი /ა/ და /ე/ ხმოვნები (“беглые гласные”), ფუძის დაბოლოება **სონორი /ნ, ლ, რ/** და, შედარებით ნაკლებად, **/მ, ვ/ თანხმოვნებით** და მახვილი: “В фактическом положении беглости гласных подвижных основ в грузинском древнелитературном решающую роль играют состав коренных и закон об ударении” (მარი 1925: §63, a).

ფუძისეულ თანხმოვანთა შემადგენლობა უკვე განვიხილეთ; რაც შეეხება მახვილის კავშირს კუმშვასთან, თუ სახელთა ორ- და სამმარცვლიან ფორმებში მახვილი თავიკიდურა მარცვალზეა (შესაბამისად ბოლოდან მეორე ან მესამე მარცვალზე*, სახელის ფუძეს ცვლილება არ ელის, მაგრამ თუ ორმარცვლიან ფუძეს დაერთვის ემფატიკური ხმოვნით გავრცობილი ბრუნვის ნიშნები ნათესაობით, მოქმედებით და მიმართულებით (თანამედროვე ტერმინოლოგიით ვითარებით) ბრუნვებში, მახვილი მიუღებელ ადგილზე აღმოჩნდება — ბოლოდან მეოთხე მარცვალზე: *qōman-isa // qōmen-isa* (ნათ. ბრ.)**, რაც დაუშვებელია (“Нетерпимо“).

ამ ვითარებიდან ნ. მარი ხედავს ორ გამოსავალს: ან მახვილი უნდა გადავიდეს ბოლოდან მესამე მარცვალზე, ან ამოვარდეს ფუძის უცვლელ ხმოვანსა და ფუძეზე დართულ დაბოლოებას შორის მდგარი ხმოვანი*** (მარი 1925: §63,б), ე. ი. მოხდეს შეკუმშვა. ქართული მეორე გზას ირჩევს.

ეს დებულებები გარკვეულ შენიშვნას იწვევს: (1) ვითარებით ბრუნვას, ცნობილია, ძველ ქართულში გავრცობილი ფორმა არა ჰქონდა; (2) ემფატიკურ ხმოვანს არასოდეს მიუღია მონაწილეობა ფუძეთა კუმშვაში, მიუხედავად იმისა, რომ მარცვალთა რაოდენობას ზრდიდა სახელთა ფორმებში, რაც კარგად ჩანს იქიდან, რომ მიცემით ბრუნვაში გავრცობილ ოთხმარცვლიან ფორმებში საერთოდ კუმშვად ფუძეებსაც კი არაფერი ემართებათ, მაგ.: *სამოსელ-სა, სასყიდელ-სა და სხვ.*, ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით ბრუნვებში კი ემფატიკური ხმოვნის გარეშეც იკუმშებიან ორმარცვლიანი ფუძეები: *ასრის (შდრ. ასარ-), ავრის (შდრ. ავარ-), მოძღურით (შდრ. მოძღუარ-), უფლით (შდრ. უფალ-)*. ქათმის ყვიდმდე (მ. 26, 34c); შდრ. ქათამ-; ქათმის ყვილის (მრ. 13, 35c); „თქვენ მხადით მე მოძღურით და უფლით“ (შდრ. მოძღუარ-, უფალ-) და სხვ.

ძველ ქართულში (ასევე თანამედროვეში) მახვილის გავლენა სახელის ფუძეთა კუმშვაზე ნულის ტოლია. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, სახელთა ფუძეების

* "Ударные слоги в грузинском - 2-й и 3-й слоги с конца" (მარი 1925: 13).

** ოთხ- და ხუთმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მეორე ან მესამე მარცვალზეა, ხუთ- და მეტმარცვლიანებში თანამახვილიც ჩნდება: მარგალიტი ან მარგალიტი; აღმაშენებელი (მარი 1925: §16).

*** ეს ფუძის ბოლოში რედუცირებადი მარცვლის ხმოვანია — /ა/ (მერცხალ-ის > მერცხლის); „ფუძის უცვლელი ხმოვანია“ /ე/ (მერცხლის); ფუძეზე დართული ხმოვანია /ი/ (მერცხლის).

კუმშვისთვის არსებითია ფუძეთა ბოლო ორი მარცვლი და მათ მომდევნოდ მარედუცირებელი სუფიქსი, რომელიც კუმშვის პოზიციაში მესამე მარცვალს წარმოადგენს: მერცხალ-ის > **მერცხლის**. კუმშვის შედეგად ამოვარდა ფუძისეული /ა/, რომლის რედუქციის შემდეგ კუმშვის საყრდენი სეგმენტის (მერ) ხმოვანსა (ე) და მარედუცირებელი სუფიქსის (-ის) ხმოვანს(ი) შორის წარმოიქმნა /რცხ/ კომპლექსი, რომელიც ნაწილდება /ე/ და /ი/ ხმოვანთა მიერ შექმნილ მარცვლებში: მერ-ცხლის. ბუნებრივი დამარცვლა ხდება მზარდი ნაპრალოვნობის პრინციპით. მარცვალთა გამყარი გაივლის არაბუნებრივი /რც/ კომპლექსის შუაზე*, /-ცხლ/ კომპლექსი კი იცავს მზარდ ნაპრალოვნობას, ამიტომ დასაშვებია მარცვლის ექსპლოზიად.

სონორით ფუძის დაბოლოება ხელს უწყობს კუმშვას, მაგრამ არ არის საკმარისი კუმშვის განხორციელებისთვის, კერძოდ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ბუნებრივი დამარცვლა ვერ ხორციელდება, მაგალითად, მკურნალ - ფუძის კუმშვა გამორიცხულია როგორც ძველ ქართულში, ისე თანამედროვე სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, რადგან მარედუცირებელი რომელიმე სუფიქსის დართვის შემდეგ წარმოქმნილი თანხმოვანთა /რნლ/ კომპლექსი ბუნებრივად ვერ განაწილდება /უ/-სა და /ი/-ს შორის: მკურნ-ლის დამარცვლა მიუღებელია პირველი მარცვლის არაბუნებრივი იმპლოზიის გამო — /რნ/ თანმიმდევრობა ერთი მარცვლის ფარგლებში მიუღებელია ენისთვის**, რადგან /რ/ და /ნ/ ერთი კლასის თანხმოვნებია; ასევე მკურნლის დამარცვლა არის მიუღებელი ექსპლოზიური /ნლ/ კომპლექსის გამო, აქაც მარცვლის ფარგლებში უშუალო თანმიმდევრობით ერთი კლასის თანხმოვნები იყრის თავს; ასევე ვერ შეიკუმშება ძვ. ქართულის დამჭნარ- ფუძე. მარცვალთა გამყარი გადის /მ/-ს შემდეგ: დამჭნარ-, კუმშვის შემდეგ უნდა მიგველო დამჭნარის, დამჭნარად, დამჭნარები და სხვ. ამ შემთხვევაში ბოლო მარცვლის ექსპლოზია /ჭნარ/ მიუღებელია /ნარ/ კომპლექსის გამო, მაგრამ რომელიმე ინჟინერ- ფუძე შეიკუმშება, რადგან /ნ/ და /რ/ სხვადასხვა მარცვალში ექცევა: ინ-ჟინ-რის, შდრ. ძვ. ქართულის კუმშვადი ფუძეა მყინვარ- — მყინვრის, რომელიც ბუნებრივად იმარცვლება: მყინ-ვრის — /ვ/ და /რ/ სხვადასხვა კლასის თანხმოვნებია და /რ/ სონორი ნაპრალოვნობით აღემატება /ვ/-ს, ასევე ბუნებრივია ძვ. ქართულის ჭაკუნტალ - ფუძის კუმშვა, რადგან სონორები სხვადასხვა მარცვალში ნაწილდებიან: ჭაკუნ-ტლის, /ტლ/ კი მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსია და სხვ.

* ქართულისთვის ბუნებრივია ჩქამიერ + სონორი, არაბუნებრივია შებრუნებული რიგი (უთურგაიძე 1976: 102).

** ენის გენეტური ფონემატური თვისებები ვლინდება მორფემის ფარგლებში: ერთი მორფემის ფარგლებში არ დასტურდება ერთი კლასის /რ, ლ, ნ/ სონორთა უშუალო თანმიმდევრობა.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნ. მარის მიერ სახელის ფუძეთა კუმშვის დაკავშირება მათ ორმარცვლიანობასთან*, რასაც ჩვენს თეორიაში მიესადაგება კუმშვის საყრდენი და რედუცირებადი სემენტები, რომლებიც ქმნიან ორმარცვლიან ფუძეს, რის საფუძველზეც ერთმარცვლიან ფუძეთა კუმშვა გამონაკლისად მივიჩნით, გამონაკლისად, რომელიც კუმშვის ძირითად წესს ადასტურებს: ისინი კუმშვას იწყებენ როგორც ენკლიტიკები ან რთულ ფუძეთა მეორე მარცვალი ან შემდგომი შემადგენელი (მაგ., უკუმშველია ღვარ- ფუძე, ღუარ-ის ძვ. ქართ; ღვარის ახ. ქართული, მაგრამ კუმშვადი ხდება რთულ ფუძეში: ნიღვარ- — ნიღვრის...); ბალ- ფუძე საშუალო ქართულში უკუმშველია (ბალის, ბალები...) კუმშვადი გახდა ახალ ქართულში, სავარაუდებელია, რთულ ფუძეში კუმშვის შემდეგ; შდრ. ალუბალ- — ალუბლის...

ა. შანიძემ მის ცნობილ წერილში — „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ (1981) გააკრვია, რომ წელიწად- ფუძე მომდინარეობს წელითიწელად. კომპოზიტისგან. აქვე ჩამოყალიბებულია მორფოლოგიური წესები, რომლებიც ეხება სახელთა ფუძეების კუმშვას ქართულსა და სვანურში.

ა. შანიძემ მიუთითა „ქართულ ნიადაგზე“ შექმნილი წელიწად- ფუძის ფორმაწარმოებით თავისებურებაზე. მისი აზრით, მოსალოდნელი იყო ან *წელითიწელად, ან *წლითიწლად. ამ კომპოზიტში კი ერთი და იგივე ფუძე დასაწყისში უკუმშველად არის წარმოდგენილი (**წელიწად-**)**, მეორე ნაწილში კი — შეკუმშულად (**წელიწად** < *წელიწლად). ფუძის ბოლო წად წარმოადგენს შეკუმშული **წელ-** ფუძის ვითარებით ბრუნვის ფორმას (შანიძე 1981: 311). ეს სხვაობა მან მიაწერა სამწერლობო ენაზე დიალექტების განსხვავებულ გავლენას: ერთი დიალექტისგან მიღებულია უკუმშველი **წელ-** ფუძე აბლატივში (**წელით**), მეორე დიალექტისგან კი — იგივე ფუძე შეკუმშული სახით ვითარებით ბრუნვაში (**წლად**), რომელიც კომპოზიტში იღებს წად ფონეტიკურ სახეს, რაც იმას ნიშნავს, რომ დიალექტები კუმშვის წესებით განსხვავდებოდნენ.

ა. შანიძემ აქვე სვანური ენის მასალაზე აღწერა კუმშვის მექანიზმი და თანამიმდევრობით ჩამოაყალიბა სათანადო წესები. პირველი წესის მიხედვით, „თუ პრეფიქსი ხმოვნით თავდება და, მაშასადამე, მისი მარცვალი ღია ბოლოში, იგი ჩვეულებრივ ფუძის თავკიდურ თანხმოდანს მიიკრავს და მარცვალი დაიხურება, რასაც შედეგად მოჰყვება უმეშვეოდ მომდევნო ხმოვნის ამოღება ფუძიდან...“ (შანიძე 1981: 314). დებულება ილუსტრირებულია სვანური მასალით: მებეც; შდრ. მემბეც. ამ წესის მიხედვით *მემბეც > *მემ-ე-ბეც > მემბეც. ირაციონალური ხმოვანი ჩნდება ორ /მ/-ს შორის.

* რასაც საკითხთან დაკავშირებულ ლიტერატურაში ყურადღება არ მიექცა.

** არ არის გათვალისწინებული კომპოზიტის შემადგენელთა პოზიციები, რომელთა მიხედვით წელ- ფუძე არ უნდა შეკუმშულიყო კომპოზიტის დასაწყისში, უნდა შეკუმშულიყო კომპოზიტის ბოლოში (იხ. გვ. 176).

ეს /გ/ ხმოვანი მიიკრავს, ამ წესის მიხედვით, ფუძისეულ /მ/-ს, რის შემდეგაც დაიკარგება ფუძისეული პირველი მარცვლის /ე/ ხმოვანი: *მემ-ე-ბეც> მემ-ბეც.

თუ ამოსავლად მივიჩნევთ ნაწარმოებ *მემბეც სამმარცვლიან ფორმას, პირველადი ფუძისეული /მ/ თანხმოვნის (მებეც) განაწილება მარცვლებში შეუძლებელია ზემოთ წარმოდგენილი წესის მიხედვით, რადგან არსებობს უნივერსალური წესი, რომელსაც ქართველური ენებიც უჭერენ მხარს: ინტერვოკალური პოზიციის თანხმოვანი მარცვლებში ეკუთვნის მომდევნო ხმოვანს (ტრახტეროვი 1956: 23; კურილოვიჩი: 1962: 269-273; პულგრემი 1965: 78). მაშასადამე, *მემბეც დაიმარცვლება შემდეგნაირად: მემ-ბეც. გამოდის, რეკონსტრუირებულ სამმარცვლიან ფუძეში შუა მარცვალი კუმშვისას კარგავს ხმოვანს, ისე, რომ ფუძისეული თავკიდური თანხმოვანი თავის ადგილზეა, არ მიეკვრის ირაციონალურ ხმოვანს.

ბუნებრივია დგება კითხვა: თუ რედუქციას არ იწვევს ხმოვნით დაბოლოებული პრეფიქსი, მაშ რა იწვევს ფუძისეული ხმოვნის ჩავარდნას, რაც ჩვეულებრივია სვანურში ორმარცვლიან ფუძეზე, ხმოვნიანი პრეფიქსის დართვისას: ქაშაგ — მქშაგ, ლქშაგ; ცინაყ — ლეცნაყ და სხვ.

ცინაყ ფორმიდან პრეფიქსის დართვით მიღებული ლეცნაყ (< *ლეცინაყ) მოითხოვს ისეთ ახსნას, რომელიც არაწინააღმდეგობრივი იქნება ფონემატური თვალსაზრისით.

მიზეზი ორმარცვლიან ფუძეებში ხმოვანთა რედუქციისა, როდესაც ისინი სამ- ან მეტმარცვლიანი ხდებიან, არის ფუძეთა ბუნებრივი ერთ- ან ორმარცვლიანობა, რასაც ქართულ ენასთან დაკავშირებით აღნიშნავდა ნ. მარი ძველი ქართული ენის გრამატიკაში (მარი 1925: §62); ვ. თოფურიაც აღნიშნავდა, რომ სვანურში „რედუქცია არ მოსდის ერთმარცვლიანებს გაორმარცვლიანების შემთხვევაში, გასამმარცვლიანებისას კი რედუქცია ჩვეულებრივია და ხმოვნის ამოღების შემდეგ ორი მარცვალი მაინც რჩება“ (თოფურია 1946: 67). ამის შესახებ, როგორც ქართველურ ენათა მახასიათებელ ფონემატურ თვისებაზე სახელთა მორფონოლოგიურ ანალიზში ვწერდით (უთურგაიძე 1986: 85).

ა. შანიძის განცხადებით, ქართულ ენაში „პრეფიქსები ჩვეულებრივ ვეღარას აწყენენ ფუძისეულ ხმოვნებს“ (შანიძე 1981: 316). მართლაც, ქართულში პრეფიქსებს არ ძალუბთ სახელთა ფუძისეული ხმოვნის რედუქცია, მაგალითად: ისარ-ი — მოისარ-ი, საისარ-ი შდრ. ისრ-ის); მადლარი — გამადლარი (შდრ. მადლრის) და სხვ. აქ უთუოდ საჭიროა განმარტება ქართული ენის ზოგი პრეფიქსიანი ფუძის რედუქციებულ ფორმებთან დაკავშირებით, როგორცაა: ნა-**წამორ**-ი (შდრ. **წამორ**-), ნაწამლი (შდრ. წამალ-), გასაბაწრი (შდრ. ბაწარ-), გასასანთლი (შდრ. სანთელ-) და სხვ.

ფუძისეული ხმოვანი წარმოდგენილ ფორმებში პრეფიქსის გავლენით არ იკარგება: შეკუმშული ფუძეები გვაქვს იმ ნაზმნარ სა-

ხელებში, რომელთა ფუძეები ზმნათა პირიან ფორმებშივე კარგავენ ფუძისეულ ხმოვანს; შდრ. **აზამთრებს**, **წამლავს**, **ბაწრავს**, **სანთლავს**... ეს ვარაუდი იმიტაც მართლდება, რომ, თუ არ ხდება კუმშვა ზმნის პირიან ფორმებში, ასეთი ფუძე მიმდებარებული უკუმშველია, მაგ.: **ანათებს**, შდრ. **განათებული**, **სანათი**, **მისანათელი**; შდრ. **ანთებს**, **ანთებული**, **სანთებელა** და სხვ.

ახლა რაც შეეხება სუფიქსის ხმოვნის (-VC) გავლენას ფუძეზე, ა. შანიძის ამ ცნობილი წერილის მიხედვით, „როდესაც სუფიქსი ხმოვნით იწყება და, მასასადამე, ღიაა თავში, მაშინ იგი წინამავალ ფუძისეულ თანხმოვანს მიიკრავს და ამით წინამავალ ფუძისეულ ხმოვანს ამოიღებს ხოლმე“ (შანიძე 1981: 314).

ამ დებულების საილუსტრაციოდ საბელ-ფუძეს თუ ავიღებთ, კუმშვის მექანიზმი ასეთი გამოდის: საბელ-ის (ნათ. ბრ.) > საბე-ლის > საბლის. ა. შანიძის თეორიის მიხედვით, სარედუქციო სეგმენტში ფუძისეული ხმოვნის რედუქციების მიზეზი არის მისი მომდევნო თანხმოვნის დაკარგვა მარცვალში. ეს თანხმოვანი მარედუქციურელი სეგმენტის ექსპლოზიაში გადადის.

ამ ვარაუდს მხარს დაუჭერდა ის ფაქტიც, რომ ქართულში ორი თანხმოვნით დაბოლოებულ სახელთა ფუძეები არ იკუმშებიან -VC მარედუქციურელი სუფიქსის წინ, ავიღოთ ნაკაწრ-ფუძე — ნაკაწრ-ის (ნათ. ბრ.), ნაკაწრით, ნაკაწრები და სხვ. (შდრ. ნაცარ — ნაცრ-ის...). შეგვეძლო გვეთქვა: სუფიქსის ხმოვანი ფუძისეულ ბოლო თანხმოვანს რომ მიიკრავს, ფუძისეული ბოლო ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვანი მაინც რჩება (ნაკაწრ-ის) და კუმშვა ამიტომ ვეღარ ხორციელდება.

ფუძეთა კუმშვის ასე წარმოდგენა მიუღებელია იმის გამო, რომ: ხმოვან-ფუძიან სიტყვათა ფორმებში ხმოვნებისა და თანხმოვნების ანალოგიური განაწილების შემთხვევაში თანხმოვნის გარეშე დარჩენილი ფუძისეული ხმოვანი არასოდეს რედუქცირდებოდა და არც თანამედროვე ქართულში რედუქცირდება, მაგ.: ძვ. ქართ. სადავემან, სადავესა... რომელთა დამარცვლისას საერთოდ კვეცადი /ე/ თავის ადგილზეა, მიუხედავად იმისა, რომ თანხმოვანი არ მოსდევს მარცვალში (სა-და-ვე-მან, სა-და-ვე-სა...) (შდრ. საბე-ლის > საბლის). ა. შანიძის თეორიის მიხედვით, /ლ/ თანხმოვნის მიკვრის (*საბე-ლის) შემდეგდა უნდა მომხდარიყო ფუძისეული ხმოვნის რედუქცია. აქ აღწერილ ორსავე შემთხვევაში ფუძისეულ /ე/ ხმოვანს მოსდევს CVC სტრუქტურის მარცვალი (საბ-ლის და სადავე-მან), მაგრამ შედეგი სრულიად განსხვავებულია. ეს გვაძლავს, რომ ფუძისეულ ხმოვანთა რედუქცია დახურულ მარცვალში დაფუშვით ხმოვნით დაწყებული სუფიქსის (-VC) დართვის შემდეგ. ამას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ კუმშვა არ ხდება ისეთ ფორმებში სადაც სარედუქციო პოზიციის ხმოვანს წინ სხვა ხმოვანი უძღვის, როგორცაა: ადამეან, ჯმეან, მარილე-ან... ფუძეები. სახელის ფუძის ბოლოში როცა ორი ხმოვანი მიჯრით იყრის

თავს, წინა ხმოვანი ყოველთვის თანხმოვნის გარეშე რჩება მარცვალში (ა-და-**მე**-ან, ვ**მე**-ან, მა-რი-**ლე**-ან), მაგრამ ის არ რედუცირდება.

აქ უნდა გავხსენოთ ძველი ქართული ორმეოც, სამეოც... რომელ-
თაც ფაქტიურად ძველ ქართულშივე მოგვცეს ორმოც, სამოც... თანამედ-
როვე ქართულში გავრცელებული ფორმები.

უპირველეს ყოვლისა, ესენი კომპოზიციები (თოფურია 1979: 132). საქმე
გვაქვს ხმოვანთა რედუქციის სხვა სახეობასთან, რომელიც დაკავშირებულია
ქართველურ ენათა გენეტურ თვისებასთან — ერთი მორფემის ფარ-
გლებში იკრძალება ორი ხმოვანი, რაც განაპირობებს ცვლილე-
ბებს მორფემათა საზღვრების ხმოვანთა კომპლექსებში. როდესაც ორმეოც
ტიპის კომპოზიციებმა იწყეს ეტიმოლოგიური მნიშვნელობის („ორჯერ ოცი“) და-
კარგვა, ფონემატური დაწოლით განხორციელდა ხმოვანთა კომპლექსების
გამარტივება ან დაშლა. გამარტივებისას ხმოვნები სცილდებიან ერთიმეორეს
ხართული თანხმოვნით: ხე — ახეებს, ეზო — მეზობელი (და არა მეზოელი),
ღიალექტური: ცდო — ცდოველი და სხვ. დაშლისას ერთ-ერთი ხმოვანი — წი-
ნა ან უკანა გამოვარდება კომპლექსიდან: დედაუფალი > დედუფალი, ესეოდენ
> ესოდენ, თუ ითქმის > თითქმის (შანიძე 1973: 614); ღიალექტებში: რანა <
რაუნა < რა უნდა, ხორ < ხო არ < ხომ არ, ხვარ < ხო არ (< ხომ არ), ქარ <
ქე არ, კარ < კი არ და სხვ.

ფუძეზე დართული **-VC** სუფიქსი მნიშვნელოვანია როგორც სემანტიკური
(რადაც ლექსიკური ან გრამატიკული მნიშვნელობა შეაქვს სიტყვაში, ამიტომ
ერთვის ფუძეს), ისე ფორმალური თვალსაზრისით (ხდება გასამმარცვლიანება
ან სამზე მეტი მარცვლის შექმნა) და ირღვევა ფონემატური წინასწორობა —
მაქსიმუმ ორმარცვლიანობა.

სახელის ფუძეზე მარცვლოვანი სუფიქსის დართვა და ფუძისეული ხმო-
ნის რედუქცია სიმულტანური პროცესებია, რაც იქიდანაც ჩანს, რომ მარედუ-
ცირებელი **-ნარ** სუფიქსის დართვისას ფუძისეული თანხმოვნის გადასვლა მა-
რედუცირებელ სუფიქსში გამოირიცხულია: წიფელ-ნარ > წიფლნარ-
კუმშვადი ფუძე წიფელ- **-CVC** ტიპის სუფიქსის დართვისას ისევე კარგავს
ფუძისეულ /ე/-ს, როგორც **-VC** ტიპის სუფიქსის დართვისას (წიფელ-ის >
წიფლის).

რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ კუმშვისას **-ნარ** სუფიქსმა მიიკრა
ფუძისეული /ლ/ თანხმოვანი. ეს შეუძლებელია, რადგან ერთი მარცვლის ფარ-
გლებში /ლნ/ კომპლექსი გამოირიცხულია. ეს თანხმოვნები ერთი კლასის წევ-
რებია. არ შეიძლება წიფ-**ლნარ** დამარცვლა, ბუნებრივია წიფლ-ნარ... მაშასა-
დამე, რადგან წიფელ- ფუძე **-ნარ** სუფიქსის დართვით გასამმარცვლიანდა,
ასცდა ფონემატურად დასაშვებ ზღვარს (ორმარცვლიანობას) და სიმულტანუ-
რად მოხდა ფუძის კუმშვა — დაბრუნება ორმარცვლიან ფუძეზე. რაც შეეხება
წიფნარ- ვარიანტს, აქ მთელი მარცვალი (ელ) ამოვარდა: /ე/ — გაორმარ-

ცვლიანებისთვის, /ლ/ კი მისი კლასის წევრთან (/ნ/-სთან) უშუალო მეზობლობის გამო.

გაორმარცვლიანების მიზეზით შეიძლება კვეცაც განხორციელდეს: მუხა — მუხნარი. ჩვეულებრივ ხმოვნის მოკვეცა მიეწერება მომდევნო ხმოვანს, აქ კი მომდევნოდ თანხმოვანია. მაშასადამე, ფუძისეული /ა/-ს ჩავარდნა მოჰყვა გასამარცვლიანებას, რათა ფუძე ორმარცვლიანი გამხდარიყო (მუხნარ / მუხნარ).

1940-იან წლებში სახელის ფუძეთა კუმშვასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავამ წამოაყენა ახალი თვალსაზრისი, რომელიც დაკავშირებულია ინტენსიური და მოძრავი მახვილის პოსტულირებასთან ძველ ქართულამდელ პერიოდში (ჩიქობავა 1942^ა, 1942^ბ).

სახელის ფუძის აგებულების ანალიზისას არნ. ჩიქობავამ გამოყო ძირთან შეზრდილი დეტერმინანტი სუფიქსები, რომლებიც ცალი ხმოვნით (ა, ე, ო, უ) ან ცალი თანხმოვანით (ლ, რ, ნ, ვ) არიან წარმოდგენილი. როგორც ხმოვნები, ისე თანხმოვნები წარმოდგენენ -VS ტიპის სუფიქსთა ვარიანტებს (-VS >S და -VS >V). „რა ხმოვნებიც ეკარგება ჩვეულებრივ ძირს, იგივე ხმოვნები უნდა დაგვკარგოდა ჩვენს სუფიქსებში“ (ჩიქობავა 1942^ა: §46).

აღნიშნული ფონეტიკური პროცესების განხილვისას დასმულია კითხვა: „ფუძისეული (resp. ძირეული) ხმოვანი ხმოვნით დაწყებულმა სუფიქსმა დაკარგა, მაგრამ სუფიქსის ხმოვანი რამ დაკარგა?“ (ჩიქობავა, 1942^ა: §46), ე. ი. რამ დაკარგა ა ამოსავალ *თაფალ ფორმაში (*თაფალ > თაფლ). ამ ცვლილების მიზეზად მიჩნეულია მახვილი, *თაფალ კი აღდგენილია მეგრულ-ჭანური თოფურ- ფუძის მიხედვით. *თაფალ ამ ფუძის კანონიერ შესატყვისად მიიჩნევა.

არნ. ჩიქობავა განიხილავს ამოსავალ ორმარცვლიან ფუძეთა ორ რიგს, რომლებიც ერთმარცვლიანებად მოიქცევიან ინტენსიური დინამიკური მახვილის გავლენით: როცა მახვილი დასაწყისშია, მისი გავლენით იკარგება ფუძის ბოლო ხმოვანი (*ვაშალ > ვაშლ); როცა მახვილი ფუძის ბოლო ხმოვანს ეცემა, იკარგება თავკიდურა მარცვლის ხმოვანი (ძამ-ა(ნ)>ძმ-ა). კეთდება დასკვნა: „ინტენსიური დინამიკური მახვილი, მოძრავი მახვილი განსაზღვრავს ისტორიულად ზემოხსენებულ ტიპთა სხვაობას“ (ჩიქობავა 1942^ა: §46).

დაეჭვებას მოძრავი ინტენსიური მახვილის არსებობაში იწვევს მახვილისა და ხმოვანთა რედუქციის წესთა ურთიერთგანმაპირებლობა: თუ ხმოვანი სახელის ფუძის ბოლოსაა ჩავარდნილი, მახვილი ივარაუდება თავკიდურა მარცვალზე და პირიქით ფუძის დასაწყისში ჩავარდნილი ხმოვანი ავტომატურად მიაწინებს მახვილის ადგილზე სახელის ფუძის ბოლო მარცვალზე. ამ მხრივ სიმპტომატურია სამმარცვლიან ფუძეებში ორი ხმოვნის დაკარგვა; ავტომატურად შუა ხმოვანს მიეწერება მახვილიანობა, როცა თავკიდურა და ბოლოკიდურა მარცვალთა ხმოვნებია ჩავარდნილი: „მრჩობლ- ← *მარჩობ-ა/ელ: ო-ს

ისეთი ინტენსივობის მახვილი ხვდებოდა, რომ გამოიწვია ორი ხმოვნის დაკარგვა: ერთისა თავში (მარ), მეორისა ბოლოში -ლ ← -ალ | -ელ“ (ჩიქობავა, 1942: §46).

მიუხედავად აღნიშნული დაეჭვებისა, თუ ფუძეთა შეკუმშვის მიზეზად მახვილის გავლენას არ დავუშვებდით, საჭირო იყო ფუძისეულ ბოლო მარცვალში ხმოვანთა დაკარგვის მიზეზთა ძიება.

1960-იან წლებში გამოვლინდა ქართველურ ენებში მოქმედი „დამავალი ლიაობის კანონი“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 79), რომლის მიხედვით ქართული და მეგრულ-ლაზური ფორმების შეპირისპირებით აღდგება *თაფლ ტიპის ერთმარცვლიანი ფუძეები (*ძაღლ, ძმა...), სადაც -ლ და -ა აგრეთვე სუფიქსებად ივარაუდება. ისინი აბლაუტური მონაცვლეობით ერთვიან ძირებს. ამით მოიხსნა ინტენსიური მახვილის დაშვების აუცილებლობა (იხ. კიდევ დასახ. ნაშრომი: გვ. 83 და 279).

*
* * *

კუმშვის შედეგად სახელის ფუძეთა მარცვლებში მზარდი ნაპრალოვნობის პრინციპთა რეალიზაციისა და დარღვევის გათვალისწინებით შესაძლებელია სახელთა კუმშვად და უკუმშველ სახეობათა ფორმალიზაცია — სათანადო ფორმულების წარმოდგენა.

ქვემოთ მათ წარმოვადგენთ თანხმოვანთა კლასების მიხედვით, ე. ი. ფუძეები რომელთა კუმშვის პოზიციაში წარმოდგენილია ერთი და იმავე კლასის თანხმოვნები. ასეთი ფუძეები არ იკუმშებიან, როცა ბოლო მარცვლის ექსპლოზიაში ერთად ხვდებიან ეს თანხმოვნები; კუმშვას არ უშლიან ხელს მაშინ, როცა ისინი სხვადასხვა მარცვალში ნაწილდებიან.

/რ, ლ, ნ/ სონორები რედუცირებად სეგმენტში

გამქრალ-, ზესკნელ-, გამწყრალ-, დამცხრალ-, გამშრალ-, შემძჷრალ- ფუძეები უკუმშველია. ამ ორმარცვლიან ფუძეებში მზარდი ნაპრალოვნობა ირღვევა /მ/ სონორისა და ნაპრალოვანი ჩქამიერი /ს/-ს კომბინაციაში მომდევნო ჩქამიერებთან (/მ/-სთვის) და მომდევნო ხშულთან (/ს/-სთვის), მაშასადამე, რედუცირებადი სეგმენტები ამ დარღვევათა მიხედვით გამოიყოფა: გამქრალ-, ზეს-კნელ, გამ-წყრალ-, დამ-ცხრალ-, გამ-შრალ, შემ-ძჷრალ- შედეგად მივიღეთ /რ, ლ, ნ/ სონორები სარედუქციო სეგმენტებში.

ეს ფუძეები (გამქრალ-, ზესკნელ-...) უკუმშველია იმიტომ, რომ კუმშვის შემთხვევაში ბოლო მარცვლის ექსპლოზიაში მოექცეოდა მე-4 კლასის ორი

სონორი, რაც დაარღვევდა მზარდი ნაპრალოვნობის პრინციპს (გამ-ქ რ ლ ის, ზეს-კ ნ ლ ის...) ქართული ფონოტაქტიკით კი მიუღებელია /ქრლ/ და /კნლ/ თანამიმდევრობები. კუმშვაც ამიტომ არ ხდება.

ფორმულებით აქ წარმოდგენილი უკუმშველი ფუძეები განზოგადებულად ასე ჩაიწერება: $CVS_1CS_4VS_4$, $CVF_2CS_4VS_4$, $CVS_1CFS_4VS_4$... აქ ინდექსები დაჯერტეთ მხოლოდ იმ თანხმონებს ($/მ/-სა$ და $/ს/-ს$), რომელთა შემდეგაც დაიდება მარცვალთგამყარი, და მეოთხე კლასის სონორებს ($/რ, ლ, ნ/$), რომლებიც სარედუქციო სეგმენტში ერთად ექცევიან.

ფორმულათა რაოდენობის გაზრდა შეიძლება შესაბამისი ჩანაცვლებით, მაგ., შეიძლება ჩავანაცვლოთ პირველი კლასის სონორები: $/მ/-ს$ ადგილზე ჩავსვათ $/ვ/$, დანარჩენი კი უცვლელად დავტოვოთ; ასევე ნებისმიერი ჩქამიერი შეიძლება ჩავანაცვლოთ სხვა კლასის ჩქამიერით. მთავარია, მეოთხე კლასის სონორები ერთი მარცვლის ფარგლებში აღმოჩნდნენ, რომ ფუძის კუმშვა აღარ განხორციელდეს.

ამავე მე-4 კლასის სონორთა სხვადასხვა მარცვალში განაწილებისას კი, თუ სხვა წინააღმდეგობა არ იქნება, კუმშვას ხელი არ ეშლება: მწერალ - — მწერლის (მწერ-ლის), საზარელ - — საზარლად (სა-ზარ-ლად), მომღერალ - — მომღერლის (მომღერ-ლის) და სხვ. უფრო მეტი: შეიძლება კუმშვის პოზიციაში გამეორებული ერთი და იგივე სონორი კუმშვისთვის ხელის შემშლელი ვერ გახდეს, თუ ისინი სხვადასხვა მარცვალში აღმოჩნდებიან: ალალ - — ალლად (ჭინჭარაული 2005) — ალ-ლად.

ორი სონორი მეოთხე კლასიდან ხშირად გვხვდება შეკუმშულ სახელურ ფუძეებში, როდესაც ისინი სხვადასხვა მარცვალში ხვდებიან, მაგ.: მელან - — მელნის (მელ-ნის), ბალან - — ბალნის (ბალ-ნის); ბორან - — ბორნის (ბორ-ნის), მარან - — მარნის (მარ-ნის) და სხვ.

უკუმშველობა ახასიათებს სახელურ სხვა ფუძეებსაც, რომლებშიც ერთი კლასის თანხმონები მარედუქტირებელი სუფიქსის ხმოვანთა მარცვლის ექსპლოზიურ ნაწილში ხვდებიან.

ბ ა გ ის მი ე რ ი ს ო ნ ო რ ე ბ ი რ ე დ უ ც ი რ ე ბ ა დ ს ე გ მ ე ნ ტ შ ი

უპირველესად განვიხილავთ კარგად ცნობილ ნასესხებ ფუძეს — ამბავ-, რომელიც ერთი შეხედვით არღვევს კუმშვის ზემოთ წარმოდგენილ წესს: ამბავ- — ამბის. ენაში (სალიტერატურო და დიალექტური სისტემები) არსად გვხვდება /ამბვის/, /ამბვები*/; /ვ/ ფუძეში მხოლოდ კუმშვამდე იხმარება: ამბავი, ამბავმა... შეკუმშვისას ფუძე /ვ/-ს გარეშეა: ამბის: ამბით, ამბად, ამბები, მაშასადამე, /ვ/-ს ჩავარდნა და ფუძის კუმშვა სიმულტანურად ხდება, რის შედეგადაც ბოლო მარცვალში ერთად აღარ ხვდება ბ ა გ ის მი ე რ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი: ამ-ბის, ამ-ბე-ბი და ა. შ. — კუმშვის წესი არ ირღვევა.

* ამბავ - ფუძე ძველ ქართულში უკუმშველი იყო (იმნაიშვილი, 1957: 29).

დამბრმალ - (იხმარება მთის დიალექტებში: მთიულურში, გუდამაყრულში, ფშაურსა და ხევსურულში — ლლონტი 1984; ჭინჭარაული, 2005) — ეს ფუძე არ იკუმშება. მარცვალთვამყარი გადის /მ/-სა და /ზ/-ს შორის (დამბრმალ-). ამ ფუძის ძირი ბრმა ფონემატურად გაუმართავია /რმ/ თანამიმდევრობის გამო, ამის შედეგია ის, რომ დიალექტებში ხდება მისი ფონემატური გამართვა, კერძოდ, გვხვდება ბარმა, ბირმა, ბურმა (შანიძე 1984; ჭინჭარაული 2005; უთურგაიძე 1960). ესენი კი ნორმალურად იმარცვლებიან (ბირ-მა, ბარ-მა, ბურ-მა), დამბრმალ - მიმდებარეობს კი ძველი **ბრმა** ძირის გამო უკუმშველია, რადგან სარედუქციო სეგმენტში ბაგისმიერი /მ/ და /ზ/ თანხმონება, რომლებიც კუმშვის განხორციელების შემთხვევაში ბოლო მარცვალში ერთად მოხვდებოდნენ, ექსპლოზიურ ნაწილში შეიქმნებოდა /ზრმლ/ კომპლექსი (დამ-ბრმლის), რომელიც ქართული ფონოტაქტიკით არაბუნებრივია. მთის ამავე კილოებშია დამშმარ - ფუძე კუმშვადია, თუმცა /მ/ სონორი ორგზის არის მასში წარმოდგენილი. კუმშვა ამ ფუძისა ბუნებრივია, რადგან ისინი სხვადასხვა მარცვლებში ნაწილდებიან: დამ-შმრის, დამ-შმრები და სხვა. /-შმრ/ მზარდი ნაბრალოვნობის მქონე კომპლექსია და ბუნებრივია მარცვლის ექსპლოზიად.

ავილოთ $CV_1S_4C_2V_2C_2$: ასეთ ფუძეში კუმშვა არ მოხდება, მაგალითად: ცერცეტ - ამ ფუძეში არაბუნებრივია /რც/ თანამიმდევრობა; მარცვალთვამყარი გაივლის მათ შორის, რაც გამოყოფს რედუქციის საყრდენ სეგმენტს სარედუქციო სეგმენტისგან (ცერ-ცეტ); სარედუქციო სეგმენტში, მაშასადამე, თავს იყრის II კლასის თანხმონები (/ც/ და /ტ/). კუმშვა ამ ფუძეში ვერ განხორციელდება იმიტომ, რომ სარედუქციო სეგმენტის ხმოვნის ჩავარდნის შემდეგ მარედუქციურებელი ხმოვნის ექსპლოზიაში აღმოჩნდებოდა ერთი და იმავე კლასის (აქ II კლასის) თანხმონები (ცერ-ცტის), რაც არაბუნებრივია და ამიტომაც აღარ ხდება ფუძის კუმშვა.

თუ ამ ფორმულის სარედუქციო სეგმენტში ხშულებს ჩავსვამთ (CV_1SOV_2O- , O აქ ხშული თანხმონის სიმბოლოა — **Occlusive**), ასეთი ფუძეებიც უკუმშველია (მაგ.: კერ-კეტ-, ბერ-კეტ-...). ამ ფორმულების შექმნას აზრი აქვს მხოლოდ ჩქამიერი თანხმონით დაბოლოებულ მრავალფეროვან ფუძეთა მოძიებისთვის, რადგან ჩქამიერი თანხმონით დაბოლოებული ფუძეები არ შეიკუმშება, თუ ხმოვნის ჩავარდნის შემდეგ მარედუქციურებელი ხმოვნის წინ შეიქმნება სამ- და მეტთანხმონიანი ჩქამიერი თანხმონით დაბოლოებული კომპლექსი (მაგ.: სამ-ხრეთ- — სამხრეთის). კუმშვა ვერ მოხდება.

$CV_1S_1F_3S_4V_2O_2-VC$ (სამხრეთ-ის) — თუ ფუძის ბოლოს დარჩება O (ხშული თანხმონი), მის წინ რამდენი და როგორი ცვლილებაც უნდა მოხდეს თანხმონთან ადგილებზე, ასეთი ფუძის კუმშვა არ განხორციელდება.

კუმშვისთვის უფრო მოსახერხებელია ფუძის სონორი თანხმონით დაბოლოება. ნ. მარიდან მოყოლებული ამაზე ყველა მკვლევარი უთითებდა.

სახელის ფუძეთა კუმშვისთვის მხოლოდ სონორით დაბოლოება არა კმარა, აუცილებელია განსაზღვრული დისტრიბუციული მოდელების დაცვა.

თუ მხოლოდ I კლასის ან მხოლოდ IV კლასის სონორი თანხმონები მოხვდნენ მარედუცირებელი ხმოვნის ექსპლოზიაში, ასეთი ფუძეები არ შეიკუმშება, მაგალითად, ძვ. ქართულის მომსრალ- „დაჭრილი“ გაიყოფა მომსრალ სეგმენტებად (სეგმენტთა საზღვარზე მიგვანიშნებს არაბუნებრივი /მს/ თანამიმდევრობა), სარედუქციო სეგმენტში თავს იყრის ორი S₄ (/რ/ და /ლ/); კუმშვა რომ განხორციელდეს, ისინი ერთ მარცვალში მოხვდებოდნენ (მომ-სრლის), რაც არაბუნებრივია ქართული ფონოტაქტიკით, ამიტომაც მომსრლის დაუშვებელია.

სამ-სამი სონორია წარმოდგენილი მკურნალ და თანამედროვე ყურნალ-ფუძეებში, მარცვალგამყარი ორივეგან გაივლის /რნ/ კომპლექსის შუაზე: მკურნალ, ყურნალ-; სარედუქციო სეგმენტში მოხვდნენ ერთი და იმავე კლასის (IV კლასის) სონორები, რომლებიც მარედუცირებელი ხმოვნის ექსპლოზიად იქცევიან კუმშვის განხორციელების შემთხვევაში (მკრ-ნლის, ყურნლის), რაც ქართული ფონოტაქტიკით დაუშვებელია და კუმშვაც არ ხორციელდება.

თუ სარედუქციო სეგმენტში სხვადასხვა კლასის სონორები მოხვდებიან, კუმშვა განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ კუმშვის შედეგად მარედუცირებელი ხმოვნის წინ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსი შეიქმნება, რაც ასეთი ფორმულით შეიძლება გამოვხატოთ (C)V₁SCS₁V₂S₄:- სარ-კმელ-, მარ-ცვალ-, თირ-კმელ... ესენი ყველა იკუმშება სარკმლის, მარცვლის, თირკმლის... ბოლო მარცვალთა ექსპლოზია ყველა შემთხვევაში მზარდი ნაპრალოვნობის მქონეა: სარ-კმლის, მარ-ცვლის, თირ-კმლის...

წარმოდგენილ ფორმულაში სონორთა შებრუნებული რიგი — (C)V₁SCS₄V₂S₁-) მხოლოდ უკუმშველ ფუძეებს იძლევა, როგორცაა: ნამსხვრევ-, დამძრავ-, გამთრევ- და სხვა კუმშვა არ მოხდება: ნამსხვრევის, დამძრავის, გამთრევის...

წარმოდგენილი მსჯელობით უთუოდ ჩანს, რომ შესაძლებელია ზოგადი ფორმულის შექმნა, რომელშიც ასახული იქნება სეგმენტთა საზღვრები და სეგმენტთა სტრუქტურის შეცვლით შეგვეძლება მივიღოთ როგორც კუმშვად, ისე უკუმშველ ფუძეთა მოდელები. განზოგადებულ ფორმულაში თანხმონთანა კონკრეტული კლასისა და რაგვარობის მითითებით ფუძეთა ბოლო ორ სეგმენტში შეიძლება ადვილად განისაზღვროს მათი კუმშვა და უკუმშველობა მარედუცირებელი ხმოვნის წინ.

რედუქციის საყრდენი სეგმენტის ხმოვანს აღვნიშნავთ V₁-ით, სარედუქციო სეგმენტის ხმოვანს — V₂-ით, ხოლო მარედუცირებელ ხმოვანს — V₃-ით. V₂ შეიძლება იყოს /ა/, /ე/, /ო/, V₁-სა და V₃-ს შეზღუდვა არა აქვთ, ფუძის ზო-

გადი ფორმულა კუმშვის პოზიციაში ამ სახისა არის (C)V₁C(C)- C(CC)V₂C-V₃C*. პირველი დეფისი მარცვალთა გამყრელის ადგილზეა, მეორე — სარედუქციო სეგმენტსა და მარედუქციურებელ სეგმენტს შორის.

ფორმულის მიხედვით ჩანს, რომ V₁-ს შეიძლება ორი თანხმოვანი მოსდევდეს (სას^ჟ-მელ-ის), V₂ იწყებოდეს ორი ან სამი თანხმოვნით (მერ-ცხალ-ს, ნამ-ცხვარ-ის); V₂ მარჯვნივ მხოლოდ ერთი თანხმოვნით განივრცობა კუმშვად ფუძეებში, უკუმშველებში კი ერთზე მეტიც შეიძლება (წარ-მართ-ის, უმ-სგავს-ის...).

ხშულებს გამოვხატავთ O სიმბოლოთი (Occlusive), ნაპრალოვნებს F-ით (Fricative), სონორებს S-ით (Sonorous): O₁ იქნება I კლასის ხშული თანხმოვანი (/ბ/, /ფ/ ან /პ/, O₂ — II კლასი ხშული თანხმოვანი: /დ/, /ტ/, /ღ/, /ჭ/... F₂ იქნება მეორე კლასის ჩქამიერი ნაპრალოვანი: /ს/, /შ/... F₃ იქნება მესამე კლასის ნაპრალოვანი თანხმოვანი: /ლ/, /ხ/ ან /ყ/; S₁ იქნება /ვ/ ან /მ/ სონორი თანხმოვნები, S₄ კი /ლ/, /ნ/ ან /რ/. უინდექსო სიმბოლო ვგუფის ნებისმიერ თანხმოვანს აღნიშნავს, მაგ., O ინდექსის გარეშე შეიძლება იყოს ნებისმიერი ხშული, ასევე F — ნებისმიერი ნაპრალოვანი, ხოლო S — ნებისმიერი სონორი.

კუმშვადი შეიძლება იყოს სახელთა ფუძეები, რომელთა ზოგადი ფორმულა კუმშვის პოზიციაში ასეთ სახეს მიიღებს: (C)V₁C- OF₂F₃S₁V₂S₄-V₃C, რომლის ჩქამიერი წევრები — OF₂F₃ ჰომოგენურია ინტერვოკალურ პოზიციაში.

ფორმულა იმუშავებს მაშინაც თუ სარედუქციო სეგმენტის ექსპლოზიური ნაწილიდან ამოვიღებთ რომელიმე წევრს. რიგის არევა არ შეიძლება.

როცა სარედუქციო სეგმენტი ბოლოვდება S₁-ით V₂-ის წინ უცვლელად დარჩება ჩქამიერთა თანმიმდევრობა ზემოთ აღნიშნული პირობებით: კომპლექსი ჰომოგენურია, რიგი დაცულია, შესაძლებელია რომელიმე კომპონენტის ამოღება.

აღნიშნული ზოგადი ფორმულის სხვა ვარიანტები იძლევა უკუმშველფუძიან სახელებს.

* ფორმულაში სეგმენტებია გამოყოფილი, V₂-სა და V₃-ს შორის, C ამიტომ არის V₂-ის მარცვალში და არა V₃-ის წინ. ფორმულა არ ეხება (C)V₁-CV₂C- ტიპის ფუძეებს (ეკალ, ვეშაპ...), რადგან ასეთი ფუძეების შეკუმშვა თეორიულად თანხმოვანთა ნებისმიერი შემადგენლობით შეიძლება. კუმშვა არსებითად ხდება მაშინ, როცა ფუძის ბოლო თანხმოვანია /S/: ეკალ-ის > ეკლის, ბაზარის > ბაზრის... ჩქამიერი თანხმოვნით დაბოლოებული ფუძეების კუმშვა, ერთ ათეულს ძლივ აღწევს (უთურგაიძე 1976: 148).

ლიტერატურა

- აბულაძე 1973** — ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი.
- გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961** — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე — ქართული დიალექტოლოგია, I, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- თოფურია 1946** — ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკე, I, თბილისი.
- თოფურია, გიგინეიშვილი 1998** — ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, „განათლება“, თბილისი.
- იმნაიშვილი 1957** — ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- კურილოვიჩი** — Е. Курилович, Вопросы теории слога, კრებულში — Очерки по лингвистике.
- მარი 1925** — Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград.
- პულგრემი 1965** — E. Pulgram. Consonant cluster. consonant sequence and the Syllable, „Phonetika“, 13, Москва.
- სამოციქულო 2009** — ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, შეადგინეს ლ. ბარამიძემ, ჩ. ენუქაშვილმა და თ. მეტრეველმა, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- ტრახტეროვი 1956** — А. Л. Трахтеров. Основные вопросы слога и его определение, ВЯ, 1956, №6, Москва.
- უთურგაიძე 1960** — თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თსუ გამომც., თბილისი.
- უთურგაიძე 1976** — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, „მეცნიერება“, თბილისი.
- უთურგაიძე 1986** — თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, „მეცნიერება“, თბილისი.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** — ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- ფოჩხუა 1974** — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ღლონტი 1984** — ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, „განათლება“, თბილისი.
- შანიძე 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

შანიძე 1981 — ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, თხზულებანი, ტ. II, თბილისი.

შანიძე 1984 — ა. შანიძე, მთის კილოთა ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

ჩიქობავა 1942ა — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ჩიქობავა 1942ბ — არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, სმამ, ტ. III, №№2. 3, თბილისი.

ცოცანიძე 2002 — გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, „ქართული ენა“, თბილისი.

ძოწენიძე 1973 — ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 — ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, „ქართული ენა“, თბილისი.

ჰაუგენი 1956 — E. Haugen. The Syllable in linguistic description, “For Roman Jakobson“.

TEDO UTURGAIDZE

Towards Syncoping of the Georgian Nouns Stems

S u m m a r y

In a syncope procedure it is necessary two final syllables of a noun's stem and the third reducing-element of a stem that is also a syllable. These three syllables are called **syncope position**.

The first syllable of a syncope position is a **reduction basic segment**. It is unchangeable in a syncope process and is essential for syncoping. The second one is a **reductive segment**. Syncoping takes place by losing of this syllable's vowel. The last one is a **reductive segment**.

The syllables including in a syncoping process are represented together with their vowels. They are marked by order index: a vowel of a reduction basic segment is marked by V₁ symbol, a vowel of a reductive segment — by V₂ and a vowel of a reducing segment by V₃ symbol.

Eliding is a noun's stem that loses a vowel in a last closed syllable by the influence of a following suffix beginning with a vowel (**megobar-is** > **megobr-is**).

A syncoping position is created by the last two syllables and a reducing suffix beginning with a vowel which means that one-syllabic stem are not elided as they have no basic segment (mc-**go**-bar-, **nam**-cxvar- — a basic segment is underlined). But there are some (about 30) exceptions when an one-syllabic stem is elided and most of which

was not elided in Old Georgian (**ჭwar-**, **cwar-**, **mṭwer-**). Eliding of one-syllabic stems is connected with anclisis (**uar-** – **ḳaris**, but **cisḳar-** – **cisḳris...**).

Eliding stems are usually ended with sonor consonants (**v, m, n, r, l**). At present there are 11 eliding stems ending with a sound consonant.

Stem eliding takes place when after loosing of a consonant in a stem the consonants existing between a reduction basic vowel and a reducing syllable's vowel create complexes of increasing fricativeness in an explosion of a front syllable and a last one (**nam-cxvar-is** > **nam-cxvris**, **moqwas-is** > **moqw-sis...**).

The complexes of increasing fricativeness are created by the consonants of different classes through keeping homogenousness among sounds.

Consonants form 4 classes:

I – **b p ḳ m v**

II – **d t ṭ; ʒ c ɕ z s; ʒ̣ ɕ̣ ʒ̣ ṣ̣**

III – **g k ḳ γ x q**

IV – **r l n**

The scheme shows an increasing fricativeness:

- | | |
|-------------------|---|
| 1. Occlusives | |
| 2. z s ʒ ṣ | |
| 3. γ x q | ↓
fricativness is increasing
in the direction of an arrow |
| 4. v m | |
| 5. r l n | |

If we mark a reduction basic vowel with V_1 (**namcxvar-**), a vowel of a reducing suffix with V_3 (V_2 is a reduceive vowel), an occlusive with **O** symbol, fricatives – with **F**, sonors – with **S**, theoretically as a result of eliding in an inter-vocal position ($V_1 - V_3$) it is possible eight consonants: four ones are an imposition of V_1 , four are an explosion of V_3 . A formulae of such eliding stem is $(C)V_1OFS_1S_2 - OFS_1S_2V_3C$. A syllable juncture occurs there where increasing fricativness is broken – between S_2 and **O**. From the formulae the variants of eliding stems will be formed by taking one or more components without disorderring in implosive and explosive parts.

In modern Georgian after syncoping in $V_1 - V_3$ position maximum 5 consonants gather (**namcxvar-is** > **nam-cxvris...**).

როსტომ ფარეულიძე

დროის აღმნიშვნელი ქართული ლექსიკა ქისტურში

დროის აღმნიშვნელი ლექსიკა ნახურ ენებში შესწავლილი აქვს ი. ალიროევს (ალიროევი 1975: 36-41; 1978: 45-51). ამ ნაშრომებში მსჯელობის საგანს წარმოადგენს ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტის მონაცემებიც.

მიუხედავად ამისა, ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტში დასტურდება დროის აღმნიშვნელი, ჩვენი ვარაუდით, ნახური წარმოშობის ლექსემები, რომლებიც დღემდე სპეციალურ ლიტერატურაში გამოვლენილი არ არის. ზოგი მათგანი სალიტერატურო ენის შესაბამისი სიტყვის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს.

გარდა ამისა, ი. ალიროევის ნაშრომებში თითქმის უგულებელყოფილია ქართულიდან ნასესხები დროის აღმნიშვნელი ლექსიკა ქისტურში.

ჩეჩნური ენის დიალექტებში სიტყვა **დრო**-ის შესატყვისია **ხან** „ხანი, დრო“, რომელსაც ქისტურში მოკვეცილი აქვს **-ნ** სეგმენტი. შდრ. ქისტური: **დიქ (ვუო) ხა** „კარგი (ცუდი) დრო“ (გადატანით ითქმის ამინდზეც); **ხა ფრც(უ) ხა** „უდროო დრო“ და მისთანანი. **ხან** სიტყვის სინონიმია **ჰანჰ || ძამ** (ჩეჩნური **ჰანჰა**). ორივე ეს სიტყვა ჩეჩნურში ნასესხებია. როგორც ჩანს, სპარსულიდან მომდინარეობს **ჰანჰა** (და მისი ფონეტიკური ვარიანტები **ჰანჰ || ძამ**. არ არის გამორიცხული, რომ **ხან** ჩეჩნურში ქართულიდანაც იყოს შესული. აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვა ჩეჩნურში ქართულიდან ნასესხებად მიაჩნიათ გ. კლიმოვსა და მ. ხალილოვს (კლიმოვი, ხალილოვი 2003).

„წელი“ ნახურ ენებსა და დიალექტებში, მათ შორის ქისტურშიც, აღინიშნება სიტყვით **შუო**. შდრ.: **ჰუ შარ||შერ (ჩუ)** „ამ წელს, წლეულს“, **შარ-შარ || შარ-შარაჰ || შერ-შერ || შერაი-შერ** „ყოველ წელიწადს, ყოველწლიურად“. თ. გონიაშვილს **შო||შუო** „წელი“ სიტყვისათვის ამოსავალ ფორმად მიაჩნდა ***შარ** ფუძე, რომელიც შარშან სიტყვაში ჩანს (გონიაშვილი 1940).

ა. შანიძის მიხედვით, შარშან ფორმაში გამოსაყოფია **შარ**, რომლის მომდევნო **-შ-** მიცემითი ბრუნვის ნიშნის ფონეტიკური ვარიანტია, ე. ი. **შარ-ს > შარ-შ-**, ხოლო **-ან** დაერთო სხვა ზმნიზედების ანალოგიით: **უკან, წედან**. ძველ ქართულში იყო **შრ-ან** და აქედან: **შრანდიოგან** (შანიძე 1973: 589). ამ მსჯელობაში არ ჩანს, თუ რას ნიშნავს **შარ-** ფორმა.

თვეთა ახალი სახელების გვერდით ხანდაზმულთა მეტყველებაში ჩვეულებრივი იყო (ზოგ შემთხვევაში ახლაც არის) ძველი ქართული სახელებიც, როგორცაა:

თიბათ (თიბათ ბუთთ) „თიბათვე“ (და მისგან ნაწარმოები: **თიბათ ბათთ-ა-ჰა** „თიბათვის თვეში“). აშკარაა, რომ „თიბათ“, რომელიც მომდინარეობს „თიბათვე“ სიტყვისაგან, ქისტურში მარტივ, დაუშლელ ფუძედ არის გაგებული და დროის აღსანიშნავად ურთავს „თვის“ აღმნიშვნელ **ბუთთ-ს**. ასევეა „მკათათვე“-ში, შდრ.: **კათათ (კათათ ბუთთ)** „მკათათვე“ და **კათათ ბათთ-ა-ჰა** „მკათათვეში“.

მწარემ ბუთთ|აგვისტო. ამ თვის სახელად ცალკე **მწარემ** არ იხმარება, ეს მაშინ, როცა მის მომდევნო თვეთა სახელები ცალკეც დასტურდება.

- ენკენ|ენკენ ბუთთ** „სექტემბერი“
- დგინობ|დგინობ ბუთთ** „ოქტომბერი“
- გიორგობ|გიორგობ ბუთთ** „ნოემბერი“
- ქრიშობ|ქრიშობ ბუთთ** „დეკემბერი“

ქრიშობ მიღებულია ქრისტეშობისაგან. ამ კომპოზიციის პირველ ფუძეს მოკვეცილი აქვს მთელი მარცვალი, მოკვეცილი აქვს, აგრეთვე, ბოლოკიდური ხმოვანიც. აღსანიშნავია, რომ წელიწადის პირველი ხუთი თვის ძველი ქართული სახელი ქისტური მეტყველებისათვის უცნობია.

ქართულიდან სესხების მხრივ კვირის დღეთა სახელები ჩეჩნურის დიალექტებში არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაშასადამე, კვირის დღეთა სახელები ადრევე უნდა იყოს ნასესხები ჩეჩნურში. ქისტურშიც მანამდე იყო, სანამ ქისტური დიასპორა საქართველოში გაჩნდებოდა. ეს სახელებია:

ქისტური	ჩეჩნური	სალ.	ენა
პარესკ პარასკ	პერასქა		„პარასკევი“
შრათთ შრთ	შქოთ		„შაბათი“
კირანდე	კირანდე		„კვირა დღე“
ქორჩქოთ	ქორშქოთ		„ორშაბათი“

ამ სახელთაგან დროის ზმნისართები იწარმოება **დინაჰა** „დღისით“ სიტყვის მეშვეობით:

- ქორჩქოთ დინაჰა** „ორშაბათს, ორშაბათდღეს“ და ა. შ.
- კვირის სხვა დღეთა სახელები, როგორცაა:
- შინარ(ა)** „სამშაბათი“
- ჰარ(ა)** „ოთხშაბათი“
- დიარ(ა)|დეარა** „ხუთშაბათი“

ნაწარმოებია რიცხვითი სახელებისაგან **ში** „ორი“, **ჰო**||**ჰუო** „სამი“, **დი** „ოთხი“ (ამ სიტყვაში თავკიდური ბგერა წარმოადგენს ცვალებად გრამატიკულ

კლასის ნიშანს ჩეჩნურში). მაწარმოებელი აფიქსია **-არა** ფორმანტი. მაშასადამე, კვირის დღეთა აღმნიშვნელ სახელებში საკუთრივ ნახურია სამშაბათის, ოთხშაბათისა და ხუთშაბათის აღმნიშვნელი სიტყვები.

დღეთა აღმნიშვნელი დროის ზმნისართები ქისტურში (ზოგადად, ჩეჩნურში) საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ რიგის ზმნისართთა ერთი ჯგუფის სტრუქტურა უცნობია. სავარაუდოდ, ამ ჯგუფის ყველა ზმნისართი ნახურ ენათა კუთვნილება უნდა იყოს. საუბარია იმ ზმნისართებზე, რომლებიც სხვადასხვა ლექსებით აღნიშნავენ რვა დღეს. ასე, მაგალითად, დღეთა ათვლა შემდეგნაირად ხდება:

სომურ დე „გუშინწინდელი დღე“ (ჩეჩნ. სალიტ. ენა: სთუმარა)

სოხონლარ (სსდელხანლარ) დე „გუშინდელი დღე“

თახანლარ დე „დღევანდელი დღე“

ჰანლარ დე „ხვალინდელი დღე“

ლამლარ დე „ზეგინდელი დღე“

ულლარ დე „ზეგინდელის მომდევნო დღე“

წაქლარ დე „ზეგინდელის მომდევნო დღის მომდევნო დღე“

წუქლარ დე „ზეგინდელის მომდევნოს მომდევნოს მომდევნო დღე“

ჩამოთვლილი ლექსემებისაგან დროის ზმნისართებია:

1. სომურ დონაჰ (დონიჰ) „გუშინწინ“
 2. სდელხან(ა)სოხონ „გუშინ“
 3. თახან(ა) „დღეს“
 4. ჰან(ა) „ხვალ“
 5. ლამ(ა) „ზეგ“
 6. ულ(ა) „მაზეგ“
 7. წაქ(ა) „მაზეგის მომდევნო დღეს (მე-4 დღეს)“
 8. წუქ(ა) „მე-5 დღეს“
- ეს ბოლო სიტყვა ჩეჩნურში განსხვავებულია ქისტურისაგან, შდრ.: წასთა გარდა ამისა, ჩეჩნურში გვაქვს:
9. წულლა „მე-6 დღეს“
 10. წუმჰქა|წიმჰქა „მე-7 დღეს“
 11. წულწიმჰქა „მე-8 დღეს“ (ალიროევი, 1978: 48)

ჩამოთვლილი სახელები და ზმნისართები, მართალია, ქართულიდან ქისტურში ნასესხები არ არის, მაგრამ დროის დანაწევრების თვალსაზრისით ნახურ ენებში საინტერესოა.

საინტერესოა დღისა და ღამის ცალკეული მონაკვეთების აღმნიშვნელი ლექსიკაც. მაგალითად, „საღამო“ ქისტურში არის **სეარ(დე)**, ჩეჩნურ სალ. ენაში — **სჷრდე**, „საღამოს“ — **სარაჰ**. მისი პარალელი ქართულში არის **სერ-**

ი, სერობა „საღამო ჟამს პურის ჭამა, ვახშამი“. ეს სიტყვა ქართულშიც დროს უკავშირდება, კერძოდ, საღამოს.

დღე და ღამე საათებისაგან შედგება. „საათი“ ქისტურში წარმოდგენილია **საათ** ფორმით. შდრ. ჩეჩნური სალ. ენის **საჰთ (<საჰათ)**. ნასესხებია ქართულშიც და ჩეჩნურშიც არაბულიდან. ქისტურში კი აშკარად ქართული ფორმაა წარმოდგენილი, მაგრამ **საჰთ** ფორმა ქისტურში შემორჩენილია მყარ გამოთქმაში, როგორცაა: **ცჰან საჰთუნე** „ამ საათში, სასწრაფოდ“, ან კიდევ: **ოჰ საჰთუნე** „ამ საათში, ახლავე“... ქართულიდან ნასესხებია, აგრეთვე, **მინუთი||წუთ** „წუთი“ და **წამ** „წამი“. შდრ. ჩეჩნური: მინუთა და სეჰუნდა (ორივე სიტყვა შეთვისებულია რუსულიდან).

დროთა აღმნიშვნელი სახელები და ზმნისარტები ქისტურში, რა თქმა უნდა, სხვაც არის (როგორცაა წლების, წელიწადის დროთა, დღე-ღამის სხვადასხვა პერიოდის და სხვ.), მაგრამ ლექსიკის ეს ნაწილი, სავარაუდოდ, საკუთრივ ქისტურის (ჩეჩნურის) კუთვნილებას წარმოადგენს.

ლიტერატურა

გონიაშვილი 1940 — თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან. ენიმკი-ს მოამბე, ტ. V-VI. თბილისი.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია. თბილისი.

ალიროვი 1975 — Алироев И. Ю., Сравнительно-сопоставительный словарь отраслевой лексики чеченского и ингушского языков и диалектов. Махачкала.

ალიროვი 1978 — Алироев И. Ю., Нахские языки и культура. Грозный.

კლიმოვი, ხალილოვი 2003 — Климов Г. А., Халилов М. Ш., Словарь кавказских языков. Сопоставление основной лексики. Москва.

ROSTOM PAREULIDZE

Georgian Vocabulary of Time in the Kist Dialect

S u m m a r y

Names in the literary Chechen language and Kist dialect of Chechen language do not differ from each other. However, in the Kist dialect such terms of time are distinguished which are borrowed from Georgian. In the literary Chechen language the same terms are entered from Russian, for example, names of months (**mais** “May”, **ivnis** “June”...) in the Kist dialect are borrowed from Georgian, in the Chechen

language – from Russian (май, июнь...). Also, for Kist dialect it isn't unfamiliar **tibat** (georg. **tibatve**) “June”, **katat** (georg. **mkatatve**) “July”..., but in the Kist dialect these names are archaisms and occur only in the speech of old people.

It is noteworthy that the old Georgian names of first five months of a year are not attested in the Kist dialect.

Besides that the paper analyzes those names (**paraskevi** “Friday”, **šabati** “Saturday”, **kvira** “Sunday”, **oršabati** “Monday”) of week's days which are borrowed from Georgian. The same names occur in the literary language which reveal an antiquity of borrowing.

Georgian terms in the Kist dialect are phonetically transformed.

The article represents the analysis of phonetical changes which took place in the borrowing process.

ნატო შავრეშიანი

**დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველი
ფრაზეოლოგიური შერწყმული წინადადებები სვანურში**

სამეცნიერო ლიტერატურაში ფრაზეოლოგიზმები სხვადასხვა პოზიციიდან არაერთხელ განხილულა, მაგრამ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა და კამათი მათი არსის შესახებ დღემდე გრძელდება.

ფრაზეოლოგიზმთა სინტაქსურ ასპექტში განხილვას ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები. ჩვენი აზრით, ფრაზეოლოგია არის სინტაქსის საგანი და კვლევის ობიექტი იმდენად, რამდენადაც ფრაზეოლოგიზმები შესიტყვებებია, ამასთან, მათი საშუალებით შეიძლება გამოიხატოს წინადადების წევრები, სინტაქსური ერთეულები, მარტივი თუ შერწყმული წინადადებები, ასევე რთული წინადადების ნაწილები და თვით რთული წინადადებებიც.

ფრაზეოლოგიაში განიხილავენ არა მარტო ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს, გამონათქვამებსა თუ იდიომებს, არამედ დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველ ფორმულებს, ენაში გაქვავებულ მყარ შესიტყვებებსა (რომელთა მნიშვნელობა მხოლოდ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში ცოცხლდება) და ანდაზებს.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ სვანურში დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველ შერწყმულ წინადადებებზე. აღნიშნული საკითხი სვანურის ყველა დიალექტის (მათ შორის ლახამულურისა და ჩოლურული მეტყველების) გათვალისწინებით, დღემდე კვლევის ობიექტი არ ყოფილა.

სვანურში არსებული ფიქსირებული მასალისა და ჩვენ მიერ მოპოვებული ტექსტების მიხედვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული წინადადებები უხვად გვხვდება სვანურის ყველა დიალექტში.

საკუთრივ ფრაზეოლოგიური შესიტყვებების შემცველი დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველ წინადადებებთან, ზოგადად, ერთად განხილული იქნება მთლიანობაში აღნიშნული სემანტიკის გამომხატველი ფორმულებიც.

გამოიყოფა შერწყმული წინადადებების შემდეგი ჯგუფები:

ა) ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული წინადადებები

განსახილველ მასალაში უხვად გვხვდება ერთგვარშემასმენლებიანი წინადადებები, რომლებიც შერწყმულია მარტივი შემასმენლების მიხედვით:

აჲნ ლატლიშ თერაჲსუ ჳიგნე ი ჳიცხკგრე ი ჳ'აჲ ჳიწლოკე ობურ თერაჲს! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 55:20-24) „ლატალის წმინდა იონას სახელო-

ბის ეკლესიამ („**ლატალ-ის იონა**“) დაგაბრმავოს („**თვ-ალ-ებ-ს-მცა გ-ი-დგ-ამ-ს**“) და დათხაროს („**გითხრის**“) და დაგკაწროს ეშმაკური თვალეები („**თვ-ალ-ებს**“)!“

ღერბეთ, სი ლნგუეშედ, აგუხსანგ მგური-მანუედდ (||მგურიდ ი მანუედდ), ლნგულეჩ ხოლა დტურენენ, ხოჩა ზანა ლაგუ!“ (ლნტ. სვან. ქრესტ. 1978, 294: 39-40, 295: 1) „ღმერთო, შენ შეგვეწიე („გვიშველე“), გვერდში ამოგვიდექი („და-გვი-დექი მწყალობლად და მანუეღად“), დაგვიცავი ცული დროისგან, კარგი წელი მოგვეცი““

მანდიან ჯგერანგ მიჩა ჟელარსუ ჯაჭუანდი ი შუანლას ნომჟინუ ჯივდე! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978: 55, 16) „მადლიანმა („**მადლ-იან-ი**“) წმინდა გიორგიმ („**გი-ორგი**“) თავისი („**მის**“) ძაღლები („**ძაღლ-ებ-ს-მცა**“) მოგიქსიოს („შემოგასვეს“) და არაფრით შეველა არ მოგცეს („**შველ-ა-ს ნუ-არ-ზე-მცა მოგიტანს**“)!“

ისგუ შდგქარ ხოლამ მანუიგუშუ ლაჯამენახ ი მტრე ბედიშდუ აჯსენახ! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978: 56, 12) „შენი კბილები საშინელი („**ცული**“) სენით („**ტიკვილითმცა**“) შეჭმულიყენენ („**შევიჭამიათ**“) და მატლების სახრავად („**ბედ-ის-ა¹-დ-მცა**“) გამხდარიყენენ („გაგკეთებიათ“)!“

ისგუ ნაზობ-ნათუნ ქა ნომმანუ აჯნჩა ი სგანჩუ ბაბან უნგდუ ეჯსიბენა! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 56:29) „შენი ნაჭამ-ნასვამი არ მოგენელებინოს („**ნუ-მცა მო-გინელებია**“) და შიგნით ზიარებად („**მღვდლი¹ს¹ წამლადმცა**“) გექცეს („**გიქცე-ვია**“)!“

ლანდ ნაშხმუნ ქა ნომმანუ აჯნჩა ი უ¹ნუ აჯშდება სგანჩუნ! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 56:33) „დღევანდელი ნაჭამი („**ნა-შხამ-ებ-ი**“) არ („**ნუ-მცა**“) მოგე-ნელებინოს („**მოგინელებია**“) და აგფუებოდეს („**აგფუებია¹მცა**“) შიგნით!“

ესფანესუ ი ალ კეთილუი ნომუ ხენდროუხ მინს!“ (ლშხ. სვან. ქრესტ. 1978, 242:34-36) „მიიღეთო ეს საკურთხი („**და-ი-ფინ-ეს-მცა**“) და ამ მცირედზე („**კეთ-ილ-ზე**“) არ („**ნუ-არ-მცა**“) დაგვენდუროთო („**ენ-დურ-იან მათ**“)!“

ხოლო რაც შეეხება წინადადებას, რომელიც შერწყმულია შედგენილი შემსმენლის სახელადი ნაწილის მიხედვით, ასეთი შერწყმული წინადადებები დალოცვისა და წყევლა მუქარის გამომხატველ ფორმულებში შედარებით იშვიათია:

ენა დაგრობ ი ვაცობუ ლი (ჩოლ.) „მისი სიკვდილი და დაქცევა იყოს“

ამშა ნაჩმურ ლეშხი ი ლეგტავი ხი (ჩოლ.) „ამის გაკეთებისთვის დასაწვავი და დასაფერფლი ხარ“

ხუეტა ი კედანუ ხარ მიშგუა უსმართუილს (ჩოლ.) „ხოცვა და წყვეტა ჰქონდეს ჩემ უსამართლოს“

ბ) ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადებები

სულიერ საგანთა აღმნიშვნელი სახელით გადმოცემულ რამდენიმე ქვემდებარესთან შემასმენელი ჩვეულებრივ მრავლობითში დგას:

აფსანთ ი სოლომნ მინე ნალუჯრსუ ნომჩიქქანუ ისრეხ ისგოთუ იჟალადან! (ბზ. სვან. ქრესტ., 1978, 55:21) „გარეულ ნადირთა ღმერთი და სოლომონი თა-

ვიანთ („მათ“) წყალობას („ნაწყალობევს“) ნურასდროს („ნუ-არ-დროს“) გაიმეტებენ („იმეტებენ“) შენთვის („ევა-ს-ღღე“)!“

ჩუთ აღბენიერებინდ მარე ი კუმაშ! (ლნტ. სვან. ქრესტ. 1978, 292:11-12) „ბენიერება გქონდეთ („გა-ბედ-ნიერ-ებ-ულ-ხარ-თ-მცა“) ადამიანს („კაცი“) და საქონელს (შდრ. ძვ. ქართ. „კუმაშ-ი““

ნოსაჲ ჯალრისნახ თანფიერუ სნ ისგუა ლემკახას (ჩოლ.) „არ გლირსებოდეთ აღდგომის დადგომა შენ და შენ საიმედოს“

როცა რამდენიმე ქვემდებარეს ახლავს განმაზოგადებელი (მაგ. ყველა) სიტყვა), ქვემდებარეცა და შემასმენელიც მხოლოდით რიცხვში გვხვდება:

მუშუნდუები, ლაშდილუ ჟერ, ხორემი მენქუნსე ი მკეთ-მანგ ჟ'იჲ აჯშდენა სი! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 56:19) „ჭიქის დამქცევი („შე-მ-ნდ-ობ-ი“), დასამარხი მიწა, კარგის მთქმელი და ყველა ერთგული („მო-კეთ-ე“) ამოგიწყდეს („ამოგთავებიამცა შენ““

მხოლოდითში დასმულ რამდენიმე ქვემდებარესთან, შემასმენელიც მხოლოდითშია:

ჩარინგიშ მანლდშოჲ ლემზგრე ლი ალ მეზგე ი ალ მეზგემ ერდგუილ ი ამერჲ მერდე მანგ (სვან. ქრესტ., ბქ. 1978, 177:28-29) „ჩარინგის მაღლით („მადლ-ით-მცა“) დალოცვილი იყოს („დალოცვილი არის“) ეს ოჯახი („მოსახლე“) და ამ ოჯახის ერთგული „ხალხი“ და აქ მყოფი ყველა“

ჟელ ი ხამჲ ხატყრენე ისგუა ლითუნალს (ჩოლ.) „ძალი და ღორი ანაგვიანებდეს შენ გაჩენას“

შაჲუ ლახშგდა ეჩა მუთუნენის ი მგსხენის (ლშხ.) „მიწა დაეყაროს მის გა-მჩენს“

ხოლემ მგრემს ი მგგნუთის წელიშ ჰანკედშუ ლიჭემ ესერ ხაკუ (ლხმ.) „ცუ-დის მქმნელსა და მომგონს ვირის კუდით გადავენება უნდაო“

გ) ერთგვარპირდაპირდამატებიანიშერწყმული წინადადებები

დანჲსუ ოთჲათუნა სნ-ჲ ისგუ ლემკახე ი ქორან მერდე მარე მანგ! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 55:15) „ღევმა დაწყევლოს შენი საიმედო („სანუგეშო“) და ოჯახის წევრი („ქორა-ს“ მყოფი კაცი“) ყველა“

მანჲას ი მანცხიასჲ ოთბაქანი (ჩოლ.) „სიცხე და ციებ-ცხელებას გაელიე“

შხამ ი თიაქარჲ ლოქ ლონმამა (ლშხ.) „შხამი და თიაქარი გეჭამოსო (დაუ-პატივებელ ან არასასურველ სტუმარზე იტყვიან, როცა მიირთმევს“

დახა ზურანლს ხოლა ნინ ი ლიწრანლ ხამურჯუა ესერ (ბქ) „დახა ქალს ცუ-დი ენა და გინება ემარჯვებო“

მინე ლაშში-მალაშას ხორა ბედ ი ბარაქ ლახრამას (სვან. ქრესტ., ბზ. 1978, 121:27-29) „მერე („მაშინს მერე“) წმინდა მარიამის სახელზე შეწირავენ („შე-ა-ზორ-ავ-ენ“) და ევედრებიან, რომ „მათ თესლეულობას კარგი სვე („ბედ-ი“) და ბარაქა მისცეს“.

სუჲე ი გამარჯუ ნოსანუ ჯალრისენა (ჩოლ) „სვე და გამარჯვება არ გლირსე-ბოდეს“

მაგ ხოლენრებანუ ლოხრმა ეჩა ყიას, ვადს ი კუიჭს (ჩოლ.) „ყველაფერი ცუ-დი ეჭამოს მის ყელს, მუცელს და კუჭს“

დ) ერთგვარიბდამატებიანიშერწყმული წინადადებები

სუნდუქუ დეცემ მიჩა მეფშუდა მწიგს ქა ნომთენუ ჯაქაბუნე სი ი ისგუა ქორს! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 55:17) „ცის ღვთაებამ („სკივრი“) თავისი („მის“) გაშვებული („გაშვებულ“) ავადყოფობა („ტკივილს“) არ („ნუ-არ-რის“-კენ-მცა“) აგაცდინოს („გაცდის“) შენ და შენს ოჯახს („ქორა-ს“)!“

ისგუა თერწარს, ნიჩუნარს ი ტანს ფელა მელამუ ხეკგრუნლე დოსგ! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 56:3) „შენს თვალებს, სახესა და ტანს ელიას ცეცხლი („ნა-პერწყალიმცა“) დასტრიალებდეს მალე („ადრე“)!“

ე) ერთგვარგანსაზღვრებიანიშერწყმული წინადადებები

ჩვენ მიერ განხილულ მასალაში წარმოდგენილია სუბსტანტიური განსაზღვრებების მიხედვით შერწყმული წინადადებები:

უქმიშ ი საქმი ნამშაჲ მაგ სალხინდ ლეგმარი ხაყრის მინს! (სვან. ქრესტ., ლშხ. 1978, 243:42, 244:1) „უქმე და სადაგი დღეების ნამუშევარი ყველაფერი ლხინში („სა-ლხენ-ად“) სახმარად ექცეთ („დამართოს მათ“)!“

ფისემი ტომბხანქა ნომმანუ აშვედელი ისგუა ლითუნლეშ ი ლიწსაღე ლემ! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 56:2) „კუპრის („ფის-ის-იწ“) ტბიდან არ გამოსულიყოს („მოსულა“) შენი დაბადებისა და გაჩენის („და-წეს-ებ-იწ“) ღამე“

დასტურდება ერთგვარატრიბუტულგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადებებიც:

მინ ტიშარუ, მინ ზისყარუ, ქაჲ ენსგიდახ ყორქა! (ლშხ. სვან. ქრესტ. 1978, 273:26-27) „თქვე („თვითონ“) ტილიანებო („ტილ-იან-ებ-ი“), თქვე („თვი-თონ“) რწყილიანებო („რწყილიანები“), გარეთ (შდრ. ქართ. „ყორე“) გამოიხედეთო („გამოიხედესმცა“)“

ისგუი მატრენე ი მაჩენე გეზალუ ლაჯვედა ლაკოდუშ (ჩოლ.) „შენი უმცროსი და საუკეთესო შვილი მოგსვლოდეს მკვდარი („ატოტებული“)“

ვ) ერთგვარუბრალოდამატებიანი შერწყმული წინადადებები

ამ ტიპის შერწყმულში ერთ შემასმენელთან დაკავშირებულია რამდენიმე ერთგვარი შინაარსისა და ფორმის უბრალო დამატება:

თანლი თარინგულ ჭუეკიშ, კოჯაშ ი ლიცი ბედიშდუ ასყი ისგუა გუნჲრობს! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 55:20) „უღელტეხილის მთავარანგელოზმა („მ-თავ-არ-ანგელოზ-ი“) საცალფეხო ხიდის („ჭოკა-ს“), კლდისა და წყლის ბედისწერად გახადოს („ბედ-ის-ად-მცა აკეთებს“) შენი მგზავრობა („შენს მ-გზ-ავ-რო-ბ-ა-ს“)!“

მალდინ ჯგერანგ მიჩა ცხუნშიშ ი ხანგრი ბედიშდუ ჯასყენე მეკუშდად! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 56:10) „მადლიანმა („მადლ-იან-ი“) წმინდა გიორგიმ

(„გიორგი“) თავისი ისრისა („ტყვის“) და იარაღის („ხანგარ-ი“) ბედისწერად („ბედ-ის-რად-მცა“) გაქციოს („გაკეთებს“) აღრე და მალე („მოკლედ“)!“

ქრისტემ ნარჰიდ ი ჩამაგალოღუ ჯიგანდხ (ბქ., სვან. ქრესტ. 1978, 174:12-23) „ქრისტეს სინათლესა („სინათლედ“) და უხვ სუფრას („უხვი სუფრისთვის-მცა“) ზიარებოდეთ („გმართებთ“)“

ყერ მაროლს მინე ი იშგენ მანგ ესერ მინეშდ ხაკუხ (ლზმ.) „ნეზვ კაცებს მათი და სხვისი ყველაფერი მათთვის უნდათო (ყველა მაგ მოსდევს ერთგვარებს)“

ზისხ ი პერდუ ალგენელი გუშუტე ხოლემი მეთიანლ (ლზმ.) „სისხლად და ქაფად ქცეულიყოს ჩვენი ცუდის მსურველი“

ისგუთი კუბუ'ი ლეშთხრი საფლაშუჟიუ ხუიჭუშმარანლ (ჩოლ.) „შენ კუბოზე და გასათხრელ საფლაგზემც გვერბინოს“

ტრამდ ი ბულჟირდუ ალგენელხი (ჩოლ.) „ნაფლეთებად და ნაფცქვენებად ქცეულიყავი“

ზისხდ ი თარდუ ეჯტინხა (ჩოლ.) „სისხლად და ჩირქად გერწყიოს“

ზ გარემოებათაგან დასტურდება რამდენიმე ერთგვარდროისგარემოებიანი, ერთგვარ ადგილისგარემოებიანი და ერთგვარვითარებისგარემოებიანი შერწყმული წინადადებები:

1. დროისგარემოებიანი

ძინარს ი ნებოზს მიჩა ბალე ჩიგარუ აფგარღენე (ჩოლ.) „დილას და საღამოს მისი ფოთოლი მუდამ კანკალებდესო“

ისგუაღანუ მარ ლაკილი ლეთ ი ლადედ (ჩოლ.) „შენზემც მქონოდეს საკვირვლი დღე და ღამე“

2. ადგილისგარემოებიანი

კინჩხე ყუეფათე ი ლოშტ უტახთე, ეჩა ბუნსთეგ ხომზგრა შუკუ (ჩოლ.) „კისრის ტეხაში და უკან მოუსვლელში, საიქიოში დაელოცოს (წასულიყოს) გზა“

კუბთე ი ჟერთე ლეჭუმდუ ეჯწგხენა ალე კირტალ (ჩოლ.) „კუბოში და მიწაში ჩასაცმელად დაგჭირვებოდეს ეს კონკები“

3. ვითარებისგარემოებიანი

ქოქდ ი ნაბალაკდუ ემხუეტენლხიდ (ჩოლ.) „ამოწყვეტილიყავით“

იჟალადედ შტიქურ ი პილურ ხაღანჭუნე (ჩოლ.) „ყოველთვის უტუჩოდ და უკბილოდ იღეჭები (ცუდად ლაპარაკობ)“

თ საკმაოდ ხშირად გვხვდება ნარევი სახის რამდენიმე შერწყმული წინადადებაც

1. ერთგვარშემასმენლებიანი და ერთგვარიბდამატებებიანი შერწყმული წინადადება

ისგუა გუის ი ყუიჟა-პერშუდას მანულუ ახგუარენა ი ქ'ანუ ოხტუშდინა! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 57:4) „შენს გულსა და ჯიგარს („ღვიძლ-ფილტვს“) სენი შეეყაროს (ერთგვარი ავადმყოფობა) და გაუღვეიხარ („გაუთავებამცა“)!“

2. ერთგვარშემასმენლებიანი და ერთგვარპირდაპირდამატებებიანი შერწყმული წინადადება

ქრისდე ფუსდ ქა ლგთანჟს უ'ნჟუ ჯიშთხეს ი ლეთუენის ნონსჟუ ჯიწსეს! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 56:7) „ქრისტე მაცხოვარმა („ქრისტე უფალი“) დაბადებული („დაბადებულს“) ამოგიწყვიტოს („ამოგითავებენმცა“) და დასაბადებელი („საბადებელს“) არ („ნუ-არ-მცა“) გაგიჩინოს („გ-ი-წეს-ებ-ენ“)!“

ჩ'უჟუ აჯჟუჟენა ი აჯდეთხლენა ლესგი ქვპარ ი კუთხულანა ხოლამდ ხოლამ ზგის! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 55:36-37) „დაგინაოჟდეს („დაგინაოჟებამცა“) და გაგითხელდეს („გაგთხელებია“) ნეკნები („გვერდიწი ძაფები“) და მუხლები ცუდად ცუდ ადგილას!“

3. ერთგვარქვემდებარეებიანი და ერთგვარადგილისგარემოებიანი შერწყმული წინადადება

ბზ. ხოლა უჯარ ი მეტულარუ ჯაცხერპანახ ამბუხსდ ი ეჩაბუხსდ! (სვან. ქრესტ. 1978, 56:15) „საშინელი („ცუდი“) გველები და ქვეწარმავლები გეხვეოდეს („გახვევიათ“) სააქაოშიც („ამ ქვეყნად“) და საიქიოშიც („იმ ქვეყნად“)!“

4. ერთგვარქვემდებარეებიანი და ერთგვარუბრალოდამატებებიანი შერწყმული წინადადება

ისგუ დაბარ ი ნანანჟ-ნალანჟუ ხოლამ მეტრემ ი მუღჟლარე ბედიშდუ ლის! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 56:16) „შენი ყანები („დაბ-ებ-ი“) და ნახნავ-ნათესი საშინელი („ცუდი“) მატლებისა და ჭიაღუების საჯიჯგნად („ბედ-ის-ა-დ-მცა“) ქცეულიყოს („არიან“)!“

ისგუ ი ისგუ ნათანჟ მარცხ ი მანინ ამჟი როქოჟ ოლშინელი ლემასგუის-გა“ (ბქ. სვან. ქრესტ. 1978, 183:24-27) „შენი და შენი ნათესავების („ნათესავ-ის“) უბედურება („მარცხ-ი და მავნე-ო-მცა“) ასე დაიწვასო ცეცხლში“.

5. ერთგვარქვემდებარეებიანი და ერთგვარპირდაპირდამატებებიანი შერწყმული წინადადება

სოლომნ ფუსდ ი ჯგერანჟ სი ი ისგუა ქუინლგმენა ჭუენერ-ღუამლი ბედიშდუ ჯანსყის! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 55:20-22-23) „ბატონმა („უფალი“) სოლომონმა („სოლომონ-ი“) და წმინდა გიორგიმ („გიორგი“) შენ და შენი („შენწი“) საქონელი („სულ-ღგ-მ-ულ-ს“) ყვავ-ყორნის საჯიჯგნად („ბედ-ის-ა-დ-მცა“) გაქციოთ („გაკეთებენ“)!“

ამჟი ლოქუ ათაბრგანახ მიჩა დედეს ი მამას მინე გუი ი მუჟოდ!“ (სვან. ქრესტ., ლნტ. 1978, 333:31-32) „ასე („ასხეომცა“) გაუხმეთო („გახმობიათ, გა-

ფშეკიათ“) დედაჩემს („მის დე-და-ს“) და მამაჩემს („მა-მა-ს“) მათი გულ-მკერდიო!“

ბ. ერთგვარპირდაპირდამატებებიანი და ერთგვარვითარებისგარემოებიანი შერწყმული წინადადება

ჯგერჯ წინადად ი წირკამლდუ ჯაბლრკენ სი ი ისგუა ლიზგე-ლირდეს! (სვან. ქრესტ. 1978, 56:5) „წმინდა გიორგიმ („გიორგი“) სამუდამოდ („ნასახად, მსგავსად) მოგსპოთ („გსპობთ“) შენ და შენი ცხოვრება („მოსახლეობა-ყოფა“)“

ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში უხვად გვხვდება წინადადების მთავარი წევრების მიხედვით შერწყმული წინადადებები, ხოლო არამთავარ წევრთაგან შედარებით იშვიათად გვხვდება დროის გარემოებიანი, ადგილის გარემოებიანი და ვითარების გარემოებიანი შერწყმული წინადადებები (მიზეზისა და მიზნისა არ დაფიქსირებულა). რაც შეეხება უბრალო დამატებიან შერწყმულ წინადადებებს, მთავარი წევრების მსგავსად საკმაო რაოდენობით დასტურდება.

როგორც ცნობილია, ერთგვარ წევრთა შეერთება შეიძლება იყოს „უკავშირო (ასინდეტური), კავშირიანი (სინდეტური)“ (კიზირია 1953: 224) და ნარევი (ერთდროულად უკავშიროცა და კავშირიანიც)

შერწყმულ წინადადებაში, კავშირიანი შეერთების დროს ერთგვარ წევრთა შესაერთებლად გამოიყენება მაჯუფებელი, მაპირისპირებელი და მაცალკეებელი კავშირები: **ი** (და), სვან. ჰე||ჰა||ა (თუ), ლშხ., ჩოლ., **დეა — დეა||დე — დე||დეთა — დეთა**, ბქ. **დეა — დეა**, ლნტ., **დეთა, ბზ., ლშხ., ჩოლ. დო — დო** (არც — არც); სვან. **დეა მოშ — დეა მოშ||დე მოშ — დე მოშ** (ვერც — ვერც) სვან. **ნო — ნო** (ნურ — ნურც), ბქ. **ნოა — ნოა** (ნურ — ნურც), სვან. **მარე, ლშხ., ჩოლ. მარა||მა** (მარამ), ქს. ბზ. **მედ — მედედე — ედე** (ან — ან), ბქ. **ხედ — ხედ** (ან — ან), ლშხ., ჩოლ., ბზ. **მოდედე** (ან, ანდა), ბქ. **მადედე** (ან), ლშხ., ჩოლ. **იეს — იეს||მეს — მეს||ეს — ეს** (ხან — ხან), ლშხ. **მამ — მამ**, ჩოლ. **მამ — მამ** (ხან — ხან), ბქ. **მამ — მამ** (ხან — ხან), ბზ., ლშხ., ჩოლ. **ეჯა||ეჯი მადედე**, ბქ. **ეჯი მადედე** (ის კი არადა), ლშხ., ჩოლ. **ეჯი გარ მადედეჯი გარ მამა**, ბქ. **ეჯი გარ დემედედე** (არა მარტო), ბზ. **ჰე||ე მოდედე**, ლშხ., ჩოლ. **ე მამამ, ე მოდედე** (თუ არა) და ა. შ.

მიუხედავად კავშირთა ასეთი მრავალფეროვნებისა, დალოცვისა და წყევლამუქარის გამომხატველ შერწყმულ წინადადებებში იშვიათად თუ გვხვდება მაჯუფებელი **დეა || დო** (არც) და **ნოა** (ნურც) კავშირები:

ყორქა ლეძეგუინად მად ჯაყა ი ნოა ჯაყა იჟალადან! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 56:42) „კარში გასაშვებად არ ვარგინხარ და არც („ნუ-მცა“) ვარგებულოყავი („ვარგინხარმცა“) მისდღემში („ევა-ს¹ დღე“)!“

ქამთე ლეკიტანიდ დეა ჯაყენა ი ნოა ჯაყა ამუნდო (ჩოლ.) — გარეთ გასაჭვრეტად არც ვარგებულხარ და ნურც ივარგო აწი

ნო სედანჟ ჯადრისენა ი ნო დერა (ჩოლ.) „არც გადარჩენა გღირსებოდეს და არც სიკვდილი“

ისგუე მაჩენას დო ლიდრალუ ხადრისენა ი დო ლიბრიანლ (ლმზ.) „თქვენს საუკეთესოს არც თამაში ღირსებოდეს და არც სიმღერა“

ჩვენ მიერ საანალიზო მასალაში თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაბატონებულია **ი** (და) კავშირი, რომელიც ორზე მეტ ერთგვარ წევრთან, ძირითადად, ბოლო ორ წევრს დაერთვის:

ისგუა თერას, ნიჩუას ი ტანს დელა მელამუ ხეკერულე დოსგ! (ბზ. სვან. ქრესტ., 1978, 56:3) „შენს თვალებს, სახესა და ტანს ელიას ცეცხლი („ნაპერწკალიმცა“) დასტრიალებდეს მალე („ადრე“)“

მაგ ხოლერებანუ ლონრმა ეჩა ყიას, ვადს ი კუიჭს (ჩოლ.) „ყველაფერი ცუდი ეჭამოს მის ყელს, მუცელს და კუჭს“

დასტურდება შემთხვევები, როცა აღნიშნული კავშირი წინა ორ ერთგვარ წევრს აკავშირებს:

კინჩხე ყუეფათე ი დოშტ უტახთე, ეჩა ბუნსთეუ ხომუნრა შუკუ (ჩოლ.) „კისრის ტეხაში და უკან მოუსვლელში, საიქიოში დაელოცოს (წასულიყოს) გზა“

ხან კი ყველა წევრთან დასტურდება:

დან ლატლიშ თერასუ ჯიგნე ი ჯიცხკერე ი ქ'ანუ ჯიწლოკე ობურ თერას! (ბზ. სვან. ქრესტ., 1978, 55:20-24) „ლატალის წმინდა იონას სახელობის ეკლესიამ („ლატალ-ის იონა“) დაგაბრმავოს („თვ-ალ-ებ-ს-მცა გ-ი-დგ-ამ-ს“) და დაგთხაროს („გითხარის“) და დაგკაწროს ეშმაკური თვალები („თვ-ალ-ებს“)“

ლემზერეშუ ლი ალე ოჯახ ი ალე ოჯახი მოსკეთ ი ერთგულ მარე მაგ (ჩოლ.) — დაელოცოს ღმერთს ეს ოჯახი და ამ ოჯახის მოკეთე და ერთგული კაცი ყველა

ნარევი სახის შერწყმულ წინადადებებშიც **ი** (და) კავშირი რამდენჯერმე შეიძლება იქნას გამოყენებული. მაგ:

ბზ. ისგუ დაბარ ი ნანანუ-ნალაშუ ხოლამ მეტრემ ი მულულარე ბედიშ-დუ ლის! (სვან. ქრესტ., 1978, 56:16) — შენი ყანები („დაბ-ებ-ი“) და ნახნავ-ნათესი საშინელი („ცუდი“) მატლებისა და ჭიალუების საჯიჯნად („ბედ-ის-ა-დ-მცა“) ქცეულიყოს („არიან“)!
დასტურდება უკავშირო შეერთების შემთხვევებიც:

დერბეთ, სი ლანგუემდ, აგუსან მგური-მანედდ (||მგურიდ ი მანედდ), ლანგულეჩ ხოლა დურეხენ, ხოჩა ზან ლაგუ! (ლნტ. სვან. ქრესტ. 1978, 294:39-40, 295:1) „ღმერთო, შენ შეგვეწიე („გვიშველე“), გვერდში ამოგვიდექი („და-გ-ი-დექ-ი მწყალობლად და მაშველად“), დაგვიცავი ცუდი დროისგან, კარგი წელი მოგვეცი“)!“

ჟიუ ოხხუიტად, ოხჰკიჟად, ოხძგირბოლდად მიშგუა სამგრთალს (ჩოლ.) „ამოეხოცოთ, ამოეწყვიტოთ, ამოეძირკვოთ ჩემ სიმართლეს“

მინ ტიშარუ, მინ ზისყარუ, ქაუ ენსგიდდახ ყორქა! (ლმზ. სვან. ქრესტ. 1978, 273:26-27) „თქვე („თვითონ“) ტილიანებო („ტილ-იან-ებ-ი“), თქვე („თვითონ“) რწყილიანებო („რწყილიანები“), გარეთ (შდრ. ქართ. „ყორე“) გამოიხედეთო („გამოიხედესმცა“)!“

ხშირად ერთგვარ წევრებს თან ახლავს განმაზოგადებელი, გამაერთიანებელი **მაგ || მანგ** (ყველა) **ჩინს** (ყველას) სიტყვა (განსაზღვრებითი ნაცვალსახელი), რომელიც ხან მოსდევს და ხან წინ უძღვის ერთგვარ წევრებს, მაგ.:

ჩარინგიშ მანდშოშ ლემზგრე ლი ალ მეზგე ი ალ მეზგემ ერდგუილ ი ამეჩუ პერდე მანგ (სვან. ქრესტ., ბჭ. 1978, 177:28-29) „ჩარინგის მადლით („მადლ-ით-მცა“) დალოცვილი იყოს („დალოცვილი არის“) ეს ოჯახი („მოსახლე“) და ამ ოჯახის ერთგული „ხალხი“ და აქ მყოფი ყველა“

მუშუნდუეზი, ლაშდილუ ჟერ, ხოჩემი მენქუნიგ ი მკეთ-მანგ უ'ნუ აჯუდესხი! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 56:19) „ჭიქის დამქცევი („შე-მ-ნდ-ობ-ი“), დასამარხი მიწა, კარგის მთქმელი და ყველა ერთგული („მო-კეთ-ე“) ამოვიწყდეს („ამოგთავებიამცა შენ“)

ნოსანუ ჯადრისნახ თანფიერუ სი ისგუა ლემკახას ჩის (ჩოლ.) „არ გღირსებოდეთ აღდგომის დადგომა შენ და შენ საიმედოს“

მაგ უნუ აჯკედა: ხოჩემი მენქუნიგ, მემშენდალ ი მეფრებალ (ჩოლ.) „ყველა ამოგწყდომოდეს: კარგის მთქმელი, გამომქომავებელი და მომფერებელი

საანალიზო მასალა საკმაოდ მრავალფეროვანი აღმოჩნდა; შერწყმული წინადადებების ზემოთ განხილული ჯგუფები წარმოდგენილი იქნა როგორც უკვე ფიქსირებულ, ისე სავსე პირობებში მოპოვებული მასალების მიხედვით.

ლიტერატურა

კიზირია 1953 — ა. კიზირია, შერწყმული წინადადება ქართულში. — იკვ. ტ-IV, 1953, თბილისი
სვან. ქრესტ. 1978 — სვანური ენის ქრესტომათია, თბილისი

NATO SHAVRESHIANI

Phraseological Combined Sentences Expressing Blessing, Cursing and Threatening

S u m m a r y

According to existing fixed material in Svan and the texts obtained by me it should be said that in all Svan dialects there are lots of combined sentences expressing blessing, cursing and threatening. Lots of combined sentences according to sentence's main members were attested and of non-basic members combined sentences with adverbial modifier of time, place and circumstance occur rarely (adverbial modifiers of cause and purpose were not fixed). As regard the combined sentences with a simple object, like basic members, they occur frequently.

იზა ჩანტლაძე

**ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში
გამორჩენილ ფუძეთა ფონოლოგიურ-სემანტიკური ანალიზი**

ამოუწურავია ნებისმიერი ენის ლექსიკური ფონდი, ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ არც ერთ ლექსიკონს არ შეიძლება ჰქონდეს სისრულის პრეტენზია. ეს მით უფრო ითქმის სიტყვათა ისეთ „კონებზე“, სადაც გენეტურად ერთი ფუძეების არქიფორმათაგან მომდინარე რამდენიმე ენის მასალაა წარმოდგენილი. აკი „ბრძენთა ვედრებით მოგუახსენებდა“ კიდევ მთელი სიცოცხლის მანძილზე „ფრიადი შრომითა და რუღუნებით“ შექმნილი ფუნდამენტური წიგნის შესახებ დიდებული სულხან-საბა ორბელიანი თავის დროზე: **„ერთისა და ორის კლებსათვის ნუ დაიწუნებთ, სრული გვიან საპოვნელია“**-ო.

მოკრძალებით მოგახსენებთ, რომ ჩვენ არათუ ვიწუნებთ, არამედ სამაგიდო წიგნებად გვიდევს ქართველოლოგიის კლასიკოსთა თუ თანამედროვე ქართველ და უცხოელ მკვლევართა ეტიმოლოგიური ძიებანი, მაგრამ, რაკი თავად საბა ბრძანებს — „გასწორება სჯობს“-ო, ამიტომ შევეცდებით, მოვამზადოთ ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის ისეთი პუბლიკაცია, რომელშიც აისახება წინა გამოცემებში შემთხვევით თუ შეგნებულად გამორჩენილი ლექსიკის ფონოლოგიურ-სემანტიკური ანალიზი ან მათგან განსხვავებული ინტერპრეტაციები (განსაკუთრებით ქართული ენის სამხრული დიალექტების მონაცემებისა, რომელთაც დღემდე რატომღაც არ მიუქცევიათ შესაბამისი ყურადღება კომპარატივისტული თვალსაზრისით).

დაახლოებით ამგვარი სამუშაო უკვე ჩატარდა რამდენიმე წლის წინ ქართველურ ენათა ბრწყინვალე უცხოელი სპეციალისტის, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის პროფესორის ჰაინც ფენრიხის მიერ (იხ. **Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, Leiden-Boston, 2007, გვ. 5-873**), რომელმაც შეაჯამა აქამდე არსებული პოზიტიური შედეგები კომპარატივისტული ქართველოლოგიის¹, დაუმატა ახალი კანონზომიერი ფონემათშესატყვისობანი და წარმოად-

¹ სამწუხაროდ, ჰაინც ფენრიხის ლექსიკონში ვერ მოხერხდა მერაბ ჩუხუას „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკის“ (2008: 8-761) გათვალისწინება, ალბათ იმის გამო, რომ გერმანელ და ქართველ ენათმეცნიერთა აკადემიური წიგნები ფაქტიურად ერთდროულად შეიქმნა. უფრო მეტად სამწუხაროა ის, რომ არც მერაბ ჩუხუას ეტიმოლოგიურ ლექსიკონებშია (2000-2003, 2008) გამოყენებული ჰაინც ფენრიხის „Kartwelische Wortschatz“-ის სერით 1971-2005 წლებში გამოცემული არაერთი ეტიმოლოგიური გამოკვლევა.

გინა სრულიად დამაჯერებელი ეტიმოლოგიები, რითაც ხშირ შემთხვევაში **მონერსდა ადრე ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისთვის საგარაუდო არქიფორმათა გადატანა საერთოქართველური ფუძეების დონეზე; ეს კი შესაძლებელი გახდა შესაბამისი სვანური ეკვივალენტების მოძიების საფუძველზე.**

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვცდილობთ კვლევის გაგრძელებას ამ მიმართულებით (**ქართველოლოგიაში სეფესიტყვა ყოველთვის ქართველმა მეცნიერმა უნდა თქვას!..**), რადგანაც, როგორც ბრწყინვალეც უნდა იყოს უცხოელი სპეციალისტი, მას, როგორც არამშობლიურ, შესწავლილ ენაზე მეტყველს, მოსალოდნელია რაღაც გამორჩეულ ჩვენი დედაენისა თუ რეგიონული უმწერლობო ენების ლექსიკის ფონოლოგიურ-სემანტიკური ანალიზისას.

გარკვეული რეგლამენტით შეზღუდულობის გამო, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

I — დღემდე არსებულ არც ერთ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში არაა შეტანილი „სტიყვის კონაში“ დადასტურებული ლექსემა **მაჩხი** („თულჭრელი“, შდრ. ძვ. ქ. თუ-ალ-მა-ჩხ-ი „ჭრელთვალეა“; იმერ. მა-ნ-ჩხ-ი „სხვადასხვა ფერის თვალეა“, თვ-ალ-ჩი-ჩხ-ა, თვ-ალ-ჩხ-აკ-ა-ი „თვალჭრელა, კატის თვალეა“; ჩი-ჩხ-ი „ღია ჭრელი“, მოხ. მა-ჩხ-ი „ცელქი, ეშმაკი, მოუსვენარი“), რომელიც თანამედროვე ქართულსა და ხევსურულში მა-რ-ჩხ-ის სახით წარმოგვიდგება (სონორის ჩართვა ინლაუტში ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში). რაც შეეხება სვანურს, აქ მის ერთ-ერთ უძველეს (უშგულურ) მეტყველებაშია შემორჩენილი **ჩხ-** კომპლექსი (**ჩხ-ირ-ჟ-ჰ** „მარდი, ჭროლა, белоглазый, пестроглазый, сероглазый“ — ნიჟარაძე 2007:139-140,248), სხვაგან კი გამჟღერებული (ბზ. **ჯღ-ირ-ჟ-ჰ**, ბქ. **ჯღ-ირ-ჟ-ჰ**) ვარიანტი გვაქვს. **ჩხ-** გვხვდება ჩოლურულშიც, ოღონდ ლექსემის სტრუქტურა რამდენადმე განსხვავებულია (**ჩხ-იჟ-ჰ** „ღია ფერის თვალეა, თეთრთვალეა“).

მეგრულში „ჭროლა“-ს **ჯღ-ამ-ა** ჰქვია. ქართველურ ენებში (განსაკუთრებით სვანურში) შეინიშნება მჟღერ და ყრუ ჰარმონიულ კომპლექსთა მონაცვლეობის პროცესი (ზს., ლშხ. **შხ-ირ-ე** > ლნტ. **ჟღ-ირ-ე** „ხეთქს“,...). გამჟღერება სრულიად ბუნებრივია ხმოვნით დაწყებული სონორის შემცველი სუფიქსის წინ (შდრ. ქართლ., ქიზიყ. **ჩელხ-იჩქელღ-ი** „გაულეწავი პურის თავთავები“; **ლი-რ-ჩხ-გნ-ე** „ჩხარუნი“, მაგრამ **ჟღ-გლ** „ჟღარუნი“). ზანიზმი ჩანს ქართული ენის გურულ დიალექტში დადასტურებული **ჯღ-ამ-არ-ა'ც** („ჭროლა, ჭრელთვალეა“). სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში ზოგჯერ ამოსავალი, არასიმილირებული ფორმაც (**ჩხ-იჟ-ლ-ჰ**) გვხვდება, ხოლო კომპოზიტში დეზაფრიკატიზაციასაც [**ჟღ-იჟ-ჰ-ბღ-იჟ-ჰ-რ-ა'ჯღ-იჟ-ჰ-ბღ-იჟ-ჰ**; შდრ. ქართული **ჟღ-ალ-ი** „შავ-მოწითალო“ (საბა); „შავ-თეთრი, მუქი ნაცრისფერი, რუხილქადარა“ (ქეგლი); მეგრული **ჟღ-არ-ი** „ჭრელი“] აქვს ადგილი ყველა დიალექტში.

ვფიქრობთ, რომ „ჭროლა“-ს აღსანიშნავად საერთოქართველურ ფუძეებაში მხოლოდ **ჩხ-** ძირი გამოიყენებოდა, ხოლო მჟღერი სპირანტიზებული ვარიან-

ტები (**ჟღ-^{*}ზღ**) მოწითალო თუ მოთეთრო შავს, რუხს, ანუ **მუქ ფერს** გამოხატავდნენ. რაც შეეხება **ჩხ-** კომპლექსს, თავდაპირველად ის მხოლოდ ღია ფერს აღნიშნავდა. მოსალოდნელია, რომ აქრომატული ფერის გადმომცემი **ჟ-** მართლაც შესაბამისი სისინა სპირანტისგან მომდინარეობდეს ისე, როგორც ეს სპეციალური ლიტერატურიდანაა (ჩუხუა 2000-2003:187) ცნობილი, მაგრამ სვანური **ჟღიტწარ**'ისთვის ამოსავალი ჩანს **ჩხ-**იტ-არ („ღია ფერის თვალემა, თეთრთვალემა“), რომელიც დღეს ლაშხურსა და ჩოლურულ მეტყველებაშია დაცული, აგრეთვე უშგულურსა და იშვიათად ბალსზემოურში, ოღონდ მორფემათა განსხვავებული რანგით (**ჩხ-**ირ-ტ-ჰ, **ჩხ-**იტ-ლ-ჰ), რომელიც თავის მხრივ, ზემოსვანური მეტყველებისთვის დამახასიათებელ ფორმათა (**ჟღ-**ირ-ტ-ჰ¹) საფუძველი ჩანს.

მაშასადამე, საერთოქართველურ ფუძეებში **აქრომატულ** ფერს გადმოსცემდა სპირანტული **ჟღ-^{*}ზღ-** კომპლექსი, ხოლო **ქრომატულს** — აფრიკატული **ჩხ-** (>**ჟღ-** ხმოვნით დაწყებული სონორის წინა პოზიციაში >**ჟღ** დეზაფრიკატიზაციით).

რაკი **ჩხ-** კომპლექსის შემცველი ძირი ზოგჯერ ალბინოსის („ბეცის“, შღრ. ლათინური *albinos* „თეთრი“) სემანტიკასაც გადმოსცემს, სოფელ ხიზაბავრაში (ჯავახეთი) კი აღმაცერად დათესილი კარტოფილის კვალს „ჩხერას“ ეძახიან, მოსალოდნელია, რომ ეს მეორე ნიუანსი ქართულ „მეჩხერასაც“ უკავშირდებოდეს, რომელიც სვანურ ენაში **ჩხ-**არ (ბქ.)/**ჟღ-**არ (ბზ.) ფორმებითაა წარმოდგენილი. იგივე ლექსემა დასტურდება იმერულ დიალექტში სხვადასხვა გახმოვანებით (**ჩხარი/ჩხერი** „არახშირი, მეჩხერი, ალმაცერი“).

II — **კოწახური** ეკლიანი მცენარის სახელწოდებაა, ჭალებში იცის. მისი ნაყოფისაგან მშვენიერ საწებელას ამზადებენ (მაყაშვილი 1961:41).

ქართველურ ენათა არც ერთ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ამ სიტყვის ანალიზი შეტანილი არ ყოფილა 2000 წლამდე, ანუ მანამდე, ვიდრე პროფესორმა ზურაბ სარჯველაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების მეორე სამეცნიერო სესიაზე 1999 წელს არ წაიკითხა „ეტიმოლოგიური შენიშვნები“, თუმცა სვანური **გოწხირ** და ლაზური **კაწახური** არც ამ მოხსენებაში ყოფილა მოხმობილი ქართული **კოწახურ**'ისა და მეგრული **კორწახურ** 'ლ'ის საპირისპიროდ; გასაოცარი კია, იმდენად ნათელია აღნიშნულ ფუძეთა ერთიანობა!¹ ანალოგიური ვითარებაა ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის ქართულ (2000 წ.) და გერმანულ (1995 წ.) ენებზე გამოცემულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებშიც, აგრეთვე ჰაინც ფენრიხის „Kartwelisches Etymologisches Wörterbuch“-ში (2007 წ.).

სრულიად ბუნებრივია, რომ საანალიზო ლექსემაში ყველა ქართველოლოგის ყურადღებას მიიქცევდა ფუძის შედგენილობის საკითხი და ეს ასეც მო-

¹ ვარლამ თოფურისა **გოწხირ** ქართულიდან ნასესხებადაც კი მიაჩნდა (თოფურია 2002:32; 1979:42).

ხდა: ზურაბ სარჯველაძის თვალსაზრისით, „ცხადია, რომ **კოწახურ-** ფუძეა, ოღონდ მისი **შემდგომი სეგმენტაცია ჯერჯერობით არ ხერხდება**“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:290). ჰაინც ფენრიხის მიხედვითაც, ამ სიტყვის **ფუძე, რა-საკვირველია, რთული სტრუქტურისაა** (ფენრიხი 207:251).

შევეცდებით, ქართველურ ენათა დიალექტებში დადასტურებული, ფორმითა და შინაარსით მსგავსი ლექსემების არაერთი ფონეტიკური ვარიანტის წყალობით, მოვახდინოთ **კოწახურ**-ის სეგმენტაცია:

უშგულური **გოწნილ**-ის ქართულ შესატყვისად ბესარიონ ნიჟარაძეს მოაქვს **კვაწაროხი** (ნიჟარაძე 2007:131), რომელიც ავტორს, როგორც ჩანს, დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით დაუმოწმებია, სადაც ერთმანეთის ვარიანტებადაა წარმოდგენილი **კოწახური** და **კვაწაროხი** (барбарихъ), ბესარიონ ნიჟარაძესთან კი მხოლოდ უკანასკნელი გვხვდება; ეს ვარიანტი ჩვენ ჯერჯერობით ვერც წერილობით ძეგლებში დავადასტურეთ, მაგრამ ფაქტია, რომ **კვაწაროხი** ძალიან ჰგავს **კვაწარახ**-ს (მოხარული მწიფე ტყემლის ცხრილზე გახეხვითა და დიდი ხნის დუღებით მიღებული მჟავე სქელი წვენი“ — ძოწენიძე 1974:193). რაც შეეხება მეგრულს, იოსებ ყიფშიძეს **კვარწანი** („კვაწარახი“) და **კორწოხური** („კოწახური“) ერთ სიტყვა-სტატიად აქვს წარმოდგენილი (ყიფშიძე 1914:255) „კვაწარახის“ მნიშვნელობით, ხოლო ოთარ ჭაჭაიას **კვარწან**-თან მითითებული აქვს: „მდრ. **კორწოხული**“ (ჭაჭაია 2002:127).

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მესტიის რაიონის ჩრდილო სოფლებში (მულახი, იფარი, იელი, წვირმი, ჰადიში, კალა,...) ტყემალი ვერ ასწრებს დამწიფებას და ამიტომ მისი საწებლისა თუ კვაწარახის ნაცვლად სვანები ხმარობენ **გოწნილ**-ისგან დამზადებულ შესუნელებულ მჟავე წვენს მოხარულ ან შემწვარ ხორცზე მისატანებლად, მაშინ ჩვენი ვარაუდი უფრო გამყარდება.

როგორც **კაწ-**, ისე **კოწ-** ძირები სიმჟავეზე ან სიმწარეზე მიუთითებენ (მდრ. ძვ. ქ. **კაწ-ან-ი** „მჟავე, მკვახე“, ინგილ. „უმწიფარი ხილი“, ხევს. **კოწ-ან-ი** „მწარე“, მთიულ. და-**კოწ-მახ-ებ-ულ-ი** „ძალიან დამჟავებული“, მდრ. ხევს. და-**კონწ-რ-ებ-ულ-ი**, მესხ. **კოწ-რ-ა-მან-ი** „მეტად მჟავე“ — საბა, მთიულ. **კოწ-მახ-ურ-ი**), ხოლო **-ან-**, **-ონ-**, **-არ-**, **-ორ-**, **-ურ-**, **-ირ-** შესაბამის ქართველურ ენებში ინფიქსებად ან სუფიქსებად წარმოგვიდგება. იგივე სიტუაციაა სვანური ენის ბალსქვემოურ დიალექტში, სადაც უმწიფარ მჟავე ხილს, აგრეთვე მაჟალოს, **გოწ-რ**-ის უწოდებენ (მდრ. ლშხ. **გოწ** — ფეტვის მსგავსი ბალახი).

ქვემოვთხუთხულად კვაწარახს **კონწ-ორ-ონ-ი** ჰქვია, რომლისთვისაც ამოსავალი უნდა იყოს მეგრული **კონწ-არ-ი** („მწარე; ავი, ბოროტი“), ხოლო სვანური ენის ბალსქვემოური დიალექტის **კუარწ-ან** მეგრულ-ლაზური (ხოფური) **კვარწან**-ისაგან (ყიფშიძე 1914:255; ჭაჭაია 2002:127) უნდა მომდინარეობდეს. ყურადსაღებია, რომ რაჭველები კოწახურს **კვაწ-ან-ურ**-ს ეძახიან.

გადატანითი მნიშვნელობის შემთხვევაშიც „კვაწარახი“ და „კოწახური“ ერთნაირად გამოიყენება. ასე მაგალითად: გურიაში ენამწარე ადამიანზე „კონწოროხსაც“ (ე. ი. კვაწარახ'ს) იტყვიან და „კონწარსაც“, ხოლო სამეგრელოში „კორწოხულს“ (ე. ი. კოწახურს) ამბობენ ანალოგიურ კონტექსტებში (**კორწოხ-ულ-ი-ჭგუა ნინა მილაძე** — „კოწახურივით [ე. ი. ძლიერ მწარე] ენა უდევს [პირში]“ — ქაჯაია 2002:160); შდრ. აგრეთვე **კვარწ-ან-ალ-ა** „გაცხარება“, **კვარწ-ან-ენ-ს** „ცხარობს“ — იქვე).

„დიდ ლაზურ ლექსიკონში“ (ბუჩუკლიში, ჰასანოღლუ, ალექსივა 2007:415?) **ქართული კოწახური დასახელებულია ლაზურ ლექსემად**, რომელსაც ბექმეზის, ანუ „გადადუღებული ტკბილი სასმელის“ მნიშვნელობა აქვს, ხოლო **კოწ-ან-ური-ი-ში ფა-ფა** არის ამ „სასმელისგან გაკეთებული **ფელამუშის მსგავსი** შეჭამადი“ (შდრ. იმერული: ტყემლის წვეწვს დიდხანს რო გადუღებთ, არი **ფელამუშვივით**, ესაა **კვაწარახი**“ — ძოწენიძე 1974:193).

მაშასადამე, როგორც სტრუქტურული (**კოწ-** და **კვაწ-** ძირთა მონაცვლეობა, ერთგვარი აფიქსები), ისე სემანტიკური ანალიზი **კვაწ-არ-ან-** ფუძისა საფუძველს გვაძლევს, შევძლოთ „კოწახურის“ აღმნიშვნელი ლექსემის სეგმენტაცია, რადგანაც ის უფრო მეტი ფონეტიკური ვარიანტებითაა წარმოდგენილი ქართველურ ენებში, ვიდრე ქართული **კოწახური** და სვანური **გოწხირ**. ვფიქრობთ, არ არის შეუძლებელი ამგვარი ვარაუდის არსებობა, თუმცა არც მეორე თეორიული დაშვების ალბათობაა გამორიცხული:

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **კოწახური** არის „ეკლიანი ბუჩქი (ან საშუალო ზომის ხე); იკეთებს ყვითელ ყვავილებს და ისხამს მჟავე წითელ ნაყოფს, რომელიც იჭმება; ჩვეულებრივ, იზრდება ველად; ხმარობენ კულინარიაში“. აქედან ამოსვლით შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი ეტიმოლოგია:

***კონწ-ა-ხურგ-ი>*კონწ-ა-ხურ-ი>კოწახურ-ი**,

სადაც კომპოზიციის პირველი კომპონენტი თანამედროვე ინგილოურ დიალექტში დაცული **კონწ-ა** („წვრილწვეტიანი მრგვალი მსხალი“, შდრ. იმერ. **კონწ-ოლ-ი** „ნაყოფით დახუნძლული შტო“) უნდა იყოს (სონორის ინლაუტში გაჩენაც და გაუჩინარებაც ქართველურ ენათა ფონოტაქტიკის დამახასიათებელი თვისებაა!), ხოლო მეორე — „ჩირგვის“ (ე. ი. პატარა ბუჩქის) აღმნიშვნელი იმერული სიტყვა **ხურგ-ი** (თუმცა ძირის აუსლაუტში მჟღერი თანხმოვნის დაკარგვის დაშვება არც ისე ადვილი ასახსნელია სონორის მომდევნო პოზიციისაში).

რაც შეეხება **კოწახური კორწოხულ'ი გოწხირ** ლექსემის ფონემატურ მხარეს, ვფიქრობთ, რომ ყველაფერი რიგზეა როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა შესატყვისობის მხრივ, ოღონდ ლაზური (ხოფური) **კაწახური**, რომელიც დადასტურებულია ნიკო მარისა და ალექსანდრე მაცაშვილის შრომებში, თითქოს ერთგვარ დისონანსს ქმნის, რადგანაც მოსალოდნელი იყო ***კოწოხური კოწოხული** ან რაღაც ამის მსგავსი. თუ ეს მონაცემი სწორია, მაშინ **ა — ა**

ხმოვანთმიმდევრობა შესაძლოა გვიანდელიც იყოს და თურქული სინჰარმონიზმით აიხსნას. თუ ლაზურის გავრცელების რომელიმე არეალში დადასტურდება **კოწოხური კოწოხული** ვარიანტებიდან რომელიმე, მაშინ ის ხვესურული **კაწახ**-ის („ერთგვარი მცენარე“) შესატყვისი გამოვა, რომელიც ძველ ქართულშიც იხმარებოდა, ოღონდ სხვა („მჟავე, მკვახე“) მნიშვნელობით.

სვანური ენის ყველა დიალექტში მხოლოდ ერთი (**გოწხირ**) ფორმაა დადასტურებული; ბესარიონ ნიჟარაძისეული **გოწხილ** (უმგ. შესაძლოა კნინობითობას გახაზავდეს (***გოწ-ხ-ირ-ილ>*გოწ-ხ-რ-ილ>გოწ-ხ-ილ**), რადგანაც იმავე მეტყველების წარმომადგენელ ივანე ნიჟარაძეს თავის „Русско-сванский словарь“-ში მთელ სვანეთში გავრცელებული ერთადერთი ფორმა აქვს მითითებული (**барбарись — гоцхир**. კოწახური, გვ. 8). ნიჟარაძეთა ლექსიკონები თითქმის ერთდროულადაა შექმნილი (1910 და 1912 წ.წ.).

გოწხილ გვხვდება, აგრეთვე, 1878 წელს სოფელ მულახში ჩაწერილი ერთი ძველი ხალხური სიმღერის ტექსტში („მავლია“), რომლის მთქმელი თაისავ შარვაშიძეა, მაგრამ ეს ფორმა შესაძლოა ჩამწერის — ბესარიონ ნიჟარაძისეული იყოს (**ნამნაშუ გოწხილს ტიხენ** — ნასვილარი ყანები კოწახურს აღმოაცენენ, სვ. პოეზ. 1939:194,7). ისიც საყურადღებოა, რომ ხელნაწერში რაჭულ-ლენჩხუმური „კვაწახური“ გვხვდება, რომელიც „სვანური პოეზიის“ გამომცემლებს (აკაკი შანიძეს ან ვარლამ თოფურიას) ჩაუსწორებიათ სალიტერატურო ფორმით.

სვანეთში ხარობს სუროს მსგავსი მცენარე, რომელიც წითელ მარცვლებს ისხამს და ხეებზეა შემოხვეული. მის სახელწოდებაშიც **გოწხირ** ფუძეა წარმოდგენილი: ლზხ.**მგ-გოწ-ხ-ირ-რლ** („მოკოწახურო“, ანუ „კოწახურის“ მსგავსი?) **ქა ხეჭონი მეგმარს, კაკლარს წგრნის იშნე; სუროს ხაჯეშ** (ონიანი 1917:19).

სვანურისთვის დამახასიათებელი თანხმოვანთა დისიმილაციური გამჟღერება ან რედუქციისა თუ უმლაუტის წესები საანალიზო ლექსემაში კანონზომიერადაა წარმოდგენილი (**კოწ-ახ-ურ-ი>კოწ-ახ-ურ>კოწ-ახ-ურ>კოწ-ახ-ირ>კოწ-ხ-ირ>გოწ-ხ-ირ**). ეს გარდაქმნები იმაზე მიუთითებენ, რომ როგორც ყრუ თანხმოვანთა გამჟღერება, ისე ნაუმლაუტარ ხმოვანთა დელაბიალიზაციის პროცესი (უკანასკნელი დღეს მხოლოდ რამდენიმე კილოკავს ახასიათებს) საკმაოდ ძველია სვანურ ენაში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელობის მხრივ **გოწხირ** ოდინდელი ხალხური სიმღერებისა და ანდაზების ენაში წარმოდგენილი ფორმების გვერდით დაიჭერს ადგილს.

III — „პაწია ბავშვების ჟივილ-ხივილისა თუ ტირილის“ აღსანიშნავად ქართული ენის იმერულ დიალექტში გვხვდება ე. წ. პირველადი მასდარის (დეტერსი, ჩიქობავა) ფორმა **სხრ**-იალ-ი, რომლის თანხმოვანთა მეტათეზისით მიიღება მეგრული **რსხ**-იალ-ი, ხოლო სვანურში ეს ძირი წარმოდგენილია **რ** სონორის გარეშე (**სხ**-გლ-ი, **სხ**-ამ-**სხ**-უმ), მაგრამ მის ოდინდელ არსებობაზე

მიუთითებს **გ** ხმოვნის სიგრძე, რომელიც შეიძლება ასახავდეს როგორც **-რ-**, ისე **-ია-** ელემენტთა გაუჩინარების კომპენსაციას. არც დიალექტურ ქართულშია სონორი: იმერ. **სხ**-ავ-ი-ს („ტირის უსუსური ბავშვი“), **სხ**-ავ-ილ-ი („ტირილი ძუძუთა ბავშვისა“) — ქველი.

მეგრულში **რხნიალი**’ს გვერდით იხმარება **სხარ-სხალ-ი/სხვარ-სხვალ-ი**, რომელიც ერთცნებიანი კომპოზიტი ჩანს. იგივე ფუძე უნდა იყოს გამოყენებული აღნიშნული მასდარიდან ნაწარმოებ სახელში, რომელიც ყველა ქართველურ ენაში, ჩვეულებრივ, მრავლობითის ფორმით იხმარება:

ქ ა რ თ უ ლ ი

გურ. ბა-**სარ-სხ-ლ-ებ-ი** (<*ბა-**სარ-სახ-ალ-ებ-ი**) „წვრილი ბავშვები“, ბარტყები, ჩიტის მართვენი“ (მდრ. გურ. ჩი-**ხარ-ხალ-ა/ჩი-ხურ-ხალ-ა** „წვრილშვილიანი ოჯახი — დიდებიც, პატარებიც“)

იმერ. ბა-**სა-სხ-ებ-ი**L (<*ბა-**სარ-სახ-ებ-ი**)

ლეჩხ. ბა-**ხარ-ხ-ლ-ებ-ი** (<*ბა-**სარ-ხ-ლ-ებ-ი**<*ბა-**სარ-სხ-ლ-ებ-ი**<* ბა-**სარ-სახ-ლ-ებ-ი** <*ბა-**სარ-სახ-ალ-ებ-ი**)

მ ე გ რ უ ლ ი

ბა-**სარ-სხ-ლ-ეფ-ი**/ბა-**ხარ-ხ-ლ-ეფ-ი** „ჩიტის ბარტყები; იტყვიან პატარა ბავშვებზეც“

ს ვ ა ნ უ რ ი

ბი-**ხინ-სხ-ილ** (ლშხ.) <*ბი-**ხინ-ხინ-ილ**, ბი-**ხან-სხ-ჟ** (ჩოლ.) < *ბი-**ხან-სახ-ჟ**, ბე-**ხან-სხ** (ლნტ.)<*ბი-**ხან-სახ** „თოთო ბავშვი“, **ხიმ-სხ-აჟ** (ჩოლ.)“პატარა გოგო-ბიჭები“.

ბუნებრივია, შეიძლებოდა **ბახარხლები**’ს **ბახალა**’სთან (ბარტყი ყვავისა, ყორნისა, ჭილყვავისა, კაჭკაჭისა და მისთ. — ქველი) დაკავშირება, მაგრამ სულხან-საბას ლექსიკონშიც და იმერხელ დიალექტშიც ეს ლექსემა წარმოდგენილია **გ** გრაფემით (**ბაჯალა** — გოგო, ქალიშვილი; ყვავთა, ყორანთა და მისთანათასა მართუმს ბაჯალა ეწოდება), რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ სვანურ **ბისანსხჟ**, **ბესანსხ** ფორმებსაც დავუკავშირებდით **ბაჯალა**’ს, მაშინ იქაც **გ** ფონემა უნდა ყოფილიყო დღესაც.

სვანეთში პატარა ბავშვების ჯგუფს **სხ-ლ-იჟ-ჟ**რ ჰქვია, ანუ არაკომპოზიტური, ამოსავალი ძირი ჩანს გამოყენებული.

მაშასადამე, ყველა ქართველურ ენაში წარმოდგენილია **სხ**- კომპლექსი:

ქ. **სხ**-ავ-ილ-ი/**სხ**-რ-იალ-ი : მ. რ-**სხ**-იალ-ი („ჩვილი ბავშვების ტირილი“) : ს. **სხ**-ლ-იჟ-ჟრ („პაწია ბავშვები“)

ზემოსვანურ **სგლ-ხგრ** („წრიალი“) ფორმაშიც, მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიტური წარმოება გვაქვს, ჩანს როგორც **ს-**, ისე **ხ-**, ოღონდ ისინი რთული ლექსემის სხვადასხვა კომპონენტებშია განაწილებული.

განხილულ მასალაში **ე. წ. იდენტურ შესატყვისობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ფუძეინიდან ყველა ქართველურ ენაში გადაყოლილ საერთო სხ- ძირთან, რომელიც განსხვავებულადაა გაფორმებული ქართულ-მეგრულ-სვანურში.**

პირველადი მასდარის შედარება მისგან მომდინარე სუბსტანტივებთან გამოგვაყოფინებს **ბა-** პრეფიქსს: შდრ. **ბა-ჭაჭყ-ან-ა/ბა-ჭაჭყ-ებ-ი** („პატარა ბავშვები“), ერთი მხრივ, და **ჭაჭყ-ან-ი/ჭიჭყ-ინ-ი**, მეორე მხრივ, აგრეთვე, ჯავახური **ბა-ჭყ-ალ-ა** („ცხოველის ნაშიერი“ ან „პაწია ბავშვი“), ერთი მხრივ, და **ჭყ-ავ-ი-ს**, მეორე მხრივ. აქვე გავიხსენებთ ივანე ჯავახიშვილისეულ დაკავშირებას ქართულ **ბა-ღან-ა** და სვანურ **ღანაუ** („ფენძიმე“) ლექსემებს შორის (ჯავახიშვილი 1937:211-212). ასე რომ, უნდა გავგრძელდეს მუშაობა **ბა-ბო-** პრეფიქსთა გამოვლენის თვალსაზრისით ქართველურ ენებში (რამდენადმე რთულია სვანური **ბი-/ბე-** ელემენტების გამოყოფის საკითხი! — შდრ. ქართული ნეკერჩხ-ალ-ი, მეგრული ლა-კინჩხ-ა და სვანური ბი-კენჩხ-ალ). **ბა-გშგ-** ფუძემიც ხომ არ უნდა დავინახოთ იგივე პრეფიქსი და „შობასთან“ დაკავშირებული სემანტიკა?!

IV — ზოგჯერ ქართველურ ენებში ფუძეების დიალექტთა ენებად დიფერენცირების (კანონზომიერი რეგულარული ფონემათშესატყვისობის ამსახველი) შედეგებიც (ანუ ძალზე არქაული პერიოდის მონაცემები) გვაქვს და საკმაოდ ძველი ნასესხობანიც ერთმანეთის გვერდით, თანაც ისე, რომ უკანასკნელ შემთხვევებში ერთ ენაში ქართული ფუძეები უცვლელადაა წარმოდგენილი, ხოლო სხვაგან სახეზეა რთული ფონეტიკური გარდაქმნები. მაგალითად:

სპეციალური ლიტერატურის (ყიფშიძე 1914:411) მიხედვით, ქართულ **მძევალ-** ფუძეს მეგრულში შეესატყვისება **ჯალ<ჯაალ-**, მაგრამ სვანური ეკვივალენტის შესახებ არაფერია ნათქვამი. იგივე მდგომარეობაა ჩვენთვის ცნობილ ყველა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, ოღონდ მერაბ ჩუხუა გვთავაზობს განსხვავებულ თვალსაზრისს (ჩუხუა 2000-2003:413), რომლის მიხედვითაც ქართული **ძევ-** და მეგრული **ჯალ-** ძირები დაკავშირებულია სვანურ იდიომატურ გამოთქმაში (**ჯაუშ ლიჭმინე** „ძირფესვიანად ამოგდება, ამოწყვეტა“) დადასტურებულ ერთ-ერთ კომპონენტთან, ხოლო „მძევის“ აღმნიშვნელი თანამედროვე ლექსემა **ჯაჩლ, ჯგლ** მიჩნეულია ზანიშმებად (იქვე:414). ჯერ ერთი, **ჯაუშ** (<***ჯაუა-იშ**) ფორმა იმაზე მიუთითებს, რომ ამ ლექსემას ისტორიულად აუსლაუტში **-ა** ხმოვანი უნდა ჰქონოდა, ამიტომ მისი წინამავალი **-ა-** არასდროს გაუმლაუტდებოდა (შდრ. **ჯულ**), რომლის გაუჩინარებას ახსნა სჭირდება; მეორეცაა — სვანურმა ზანურთან **ჯალ-** ისესხა და ქართულიდან **ძევ-** (შდრ. ზს., ლნტ. **ძეტულ**, უშგ. **ძაუტულ**, ლშხ. **ძეტულ**) ერთი და იმავე სემანტიკის გადმოსაცემად?!

ამასთანავე, მეგრულში ქართული „მძევის“ სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები გვაქვს (მათ შორის სპირანტიზებულიც), სვანურში კი — სემანტიკური:

მ ე გ რ უ ლ ი

რძიალი („საბუღარში საგანგებოდ დატოვებული კვერცხი“, შდრ. გურულ- იმერული **რძევალი** „მძევალი“) > **რზიალი** („ამანათი; ბე; მძევალი“); **რზიალება** („მძევლად გახდომა“)...

ს ვ ა ნ უ რ ი

ძეთულ (1. კვერცხი; 2. ტყვე; 3. მაწვნის დედა/ძირი; 4. საფუარი; 5. ნადირის მისატყუებლად ხაფანგში საგანგებოდ ჩადებული ლეში; 6. დამხმარე სარი ღობის გასამაგრებლად...).

ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის აზრით, ქართულ-მეგრულ მონაცემთა გათვალისწინების საფუძველზე ***ძევალ-** არქიფორმას წარმოადგენს, ხოლო მერაბ ჩუხუა სვამს მეტად საინტერესო კითხვას: „ხომ არ შეიცავს ქართული **მ-ძევ-**ალ ფორმა **ძე-** („მემკვიდრე, ვაჟიშვილი“) ფუძეს?“ თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ **ძევალ-** შეიძლება იყოს ქართული **ძ-ევ-**ს ზმნის გასუბსტანტივებული მიმღობა, ე. ი. ძევალი ისაა, ვინც ან რაც სადღაც საგანგებოდ ძევს; შდრ. საბა — ძევალი არის „კაცი, წინდად **დასმული**“. მაშასადამე, **ძევალ-** ფუძეს როგორც მეგრულში, ისე სვანურში შეესატყვისება **ჯალ** ძირი. **-ალ** ქართულისთვის დამახასიათებელი დეტერმინანტი სუფიქსია, რომელიც სვანურში, ჩვეულებრივ, არ გადაჰყვება ხოლმე ფუძეს. რაც შეეხება **მ-** პრეფიქსს, თანხმონის წინა პოზიციაში მისი დაკარგვა სხვა შემთხვევებშიც ცნობილია ანლაუტში (გულდავა 1979:82), ხოლო **ძ-ეთ-**ისაგან, სვანური ფონოტიპტიკის გათვალისწინებით, კანონზომიერად მივიღებთ **ჯალ ჯალ ჯალ** („ძევალი“):

ძეთ- > ***ძან-/ძან-** > ***ძალ-/ძალ-** > **ჯალ ჯალ ჯალ** (ველარული უმლაუტისა და ქართული **ჟ** — სვანური **ლ**, ქართული **ძ** — სვანური **ჯ** ფონემათშესატყვისობათა წესების დაცვით).

მაშასადამე, შეპირისპირება ქართული **მ-ძევ-**ალ- : მეგრული **ჯალ-** (<***მ-ჯ-**ავ-ალ-): სვანური **ჯალ-/ჯალ-/ჯალ-** რეგულარულ ფონემათშესატყვისობათა ამსახველი და არქაული (საერთოქართველური ფუძეების დაშლის შემდგომი) პერიოდის მონაცემია, ხოლო მეგრული **რძ-იალ-** > **რზ-იალ-** და სვანური **ძეთულ** — შედარებით გვიანდელია, უშუალოდ ქართულიდანაა ნასესხები, არანაირ შესატყვისობას არ ასახავენ და ამიტომაც არც უნდა განვიხილოთ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში.

დღემდე არსებულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში, სწორედ იმის გამო, რომ მათი ავტორებისთვის არ იყო ცნობილი საანალიზო ძირთა ყველა შესაძლო ვარიანტი როგორც ქართულში, ისე სვანურსა და მეგრულ-ლაზურში, ამჟამად უკვე გადასინჯვას საჭიროებს საერთოქართველურ თუ ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქებში სავარაუდო არქიფორმათა არსებობის საკითხი ყოველი ახალი მონაცემის აღმოჩენისას. როგორც წესი, აღრინდელ ლექსიკონებში გამორჩენილი (უფრო ხშირად სვანური) მასალა აღდგენილ ძირებს ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქიდან გადაანაცვლებს ხოლმე უფრო შორეულ წარსულში, ე. ი. პრაენის დონეზე, რაც ხშირად ცვლის ქართველურ ენათა ისტორიული განვითარების სავარაუდო სიტუაციას.

კიდევ უფრო რთულადაა საქმე მაშინ, როცა საკითხს ასე ვსვამთ:

ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში უნდა შევიტანოთ თუ არა სხვა ენათაგან ნასესხები სიტყვები და თუ შევიტანთ, მაშინ საილუსტრაციო ოთხი ქართველური ფორმიდან ერთ-ერთი მაინც უნდა იძლეოდეს ფონემათშესატყვისობის უდავო დადასტურებას; იმის მიხედვით, თუ რამდენ ქართველურ ენაშია ესა თუ ის ძირი წარმოდგენილი, სავარაუდო არქიფორმა აღდგება ან საერთოქართველური ენის, ან ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქის დონეზე — სხვა ენიდან სესხებაც შესაბამისი დროით განისაზღვრება.

ძალზე რთულადაა სიტუაცია მაშინ, როცა მეგრულიდან სვანურში ან ლაზურში თუ პირუკუ ნასესხობას ეხება საქმე, რადგანაც უმწერლობო ენებზე არსებული ისტორიული დოკუმენტაცია არც ისე ძველია ან უვარგისია (განსაკუთრებით უცხოელ მოგზაურთა სალექსიკონო ჩანაწერები).

რომ სვანურში **ჟარჩხილ** („ვერცხლი, ფული“) მეგრულიდანაა (**გარჩხილ**-ი) შესული, ეს სრულიად უდავოა ქართველური ფონოტაქტიკური წესების მიხედვით — ქართული **ე** (**ვერცხლ**-ი) ამ პოზიციაში სვანურში **ა** ხმოვანს არავითარ შემთხვევაში არ მოგვცემდა; გარდა ამისა, სონორიანი ძირი ქართულში მხოლოდ XI-XII საუკუნეებიდან გვხვდება (სარჯველაძე 1975:110). მაშასადამე ძველ წერილობით ძეგლებში დადასტურებული **ვერცხლ**-ის არსებობა გვიადვილებს სვანური **ჟარჩხილ** ძირის მეგრულიდან სესხების ვარაუდს, მაგრამ თავად მეგრულში **-რ-** როდის გაჩნდა? შესაბამისად, როგორ უნდა აღვადგინოთ

***ჟერცხლ-რეცხლ-** არქიფორმები თუნდაც ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის, როგორც ეს გიორგი კლიმოვი (კლიმოვი 1964:83) ივარაუდა მარი ბროსეს (ბროსე 1849:74) ცნობილი შეპირისპირების შემდეგ? სონორის ინლაუტში ჩართვა პრობლემა არ არის ქართველურ ენებში და შეიძლებოდა ეს ვარაუდი ამ შემთხვევაშიც დაგვეშვა მეგრულისთვის, მაგრამ რომელი ეპოქისთვის? თუ **-რ-** ქართულში მხოლოდ XI-XII საუკუნეთა ტექსტებიდან დასტურდება, ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისთვის (ასე ძალიან დაშორებულ წარსულში) მისი არსებობა როგორ უნდა ვივარაუდოთ?

ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების სანდოობისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ძველი ქართული ენის დოკუმენტაცია, მაგრამ, თუ ამგვარი რამ ჯერჯერობით შეუძლებელია, მაშინ უნდა მივმართოთ ლინგვოკულტუროლოგიასა და ექსტრადისციპლინარულ კვლევას. ასე მაგალითად, ნიკო მარიდან (მარი 1912:1095-1096) მოყოლებული ქართული **ანწლ**-ი, მეგრულ-ლაზური **ინჭირ**-ი/**ინჭერ**-ი და სვანური **განჭუ** ერთმანეთთანაა დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულ ძეგლებში **ანწლ**- ძირი არ ჩანს. ასეთ შემთხვევაში მივმართავთ ხოლმე სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონას“ და თუ იქაც არ აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო მასალა, მაშინ მოვიშველიებთ ექსტრალინგვისტურ მეთოდებს და ვიტყვით: „სიტყვის არქაულობა ეჭვს სრულიად არ იწვევს“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:83).

ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ გიორგი კლიმოვის მოსაზრებას ძველი ქართული **გუალ**-ე და სვანური **გუშალ**-ე (ბზ.)/**გუშალ** (ლშხ.) „წადი, იარე“ ფორმათა შესახებ (გვ. 60), სადაც **სვანური მონაცემი ქართული ძირის კანონზომიერი შესატყვისი კი არ არის**, როგორც ეს ჩვენს კოლეგას ჰგონია, **არამედ იგი ნასესხებია ძველი ქართულიდან**: **-ტულ-** უთუოდ იგივეა, რაც **მი-ვალ**, **მი-ხ-ვალ** ზმნაში, **გ-** კი მეორეული ჩანს, რომელიც გარკვეული უნივერსალის ამსახველი უნდა იყოს. „ქართველურმა ენებმა იციან **ტ**’ს გუტურალიზაცია როგორც საკუთარ, ისე ნასესხებ სიტყვებში... მისი გადასვლა **ღუ**, **გუ** ან **ქუ** ში აიხსნება წყვილბაგისმიერი არტიკულაციით — ენის უფრო მეტი მიახლოებით სასასთან. აქაც იგივე ფონეტიკური პროცესია, რაც კარგა ხანია შენიშნულია სომხურში, სპარსულში და სხვა ენებში“ (თოფურია 1979:59-62; 2002:32-33). რაღა თქმა უნდა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ, განსხვავებით ქართულ-მეგრულ-ლაზურისაგან, **ვალ-ალ-**, **ულ**, **-ურ-ღველ-** ძირი („სვლის, მოგზაურობის“ მნიშვნელობით) სვანურ ენაში არ არსებობს და მაინცდამაინც **გუშალ-ე** (ბზ.)/**გუშალ** (ლშხ.) ში წარმოდგენილი **-ტულ-** რატომ იქნება ძველ ქართულში დადასტურებული ზმნის კონკრეტული მწკრივის, ფორმითა და შინაარსით აბსოლუტურად იდენტური ლექსემის ფონეტიკური შესატყვისი?!

მაშასადამე, ძალიან ფრთხილად უნდა შევარჩიოთ საანალიზო მასალა მონათესავე ენათა ნებისმიერი ისტორიულ-შედარებითი ლექსიკონებისთვის, როცა საქმე ნასესხებ სიტყვებს ეხება და თუ ფუძეების დიფერენციაციამდელ მონაცემს არ ვგულისხმობთ, რომელშიც, ბუნებრივია, კანონზომიერი ფონემათშესატყვისობაც შეიძლება აღმოჩნდეს (თუმც ამგვარ დონეზე სავარაუდოდ არც ისე ადვილია არქეტიპის აღდგენა!), სხვა შემთხვევები არ უნდა შევიტანოთ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში. სამწუხაროდ, ქართველურ ენათა ისტორიული განვითარების ამსახველ პუბლიკაციებში ხშირია ნასესხებ ძირთა ფუძეებისა თუ ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქებისთვის მიკუთვნების შემთხვევები.

უფრო მეტიც! — სხვადასხვა ავტორს ერთი და იგივე ძირი ან ნასესხებად მიაჩნია (და მაინც შეაქვეს ეტიმოლოგიურ ლექსიკონში!), ან ოდინდელი ფონემათშესატყვისობის ამსახველად:

1985 წელს გიორგი ჩიტაიასადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულში „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ ჰაინც ფენრიხმა გამოაქვეყნა სტატია (ფენრიხი 1985:296), რომელშიც სვანური **გუშემ** (<***გომ**) მან ქართული **გომ-ი/გომ-ურ-ი** ლექსემებში წარმოდგენილი ძირის შესატყვისად ჩათვალა (იგივე გაიმეორა უკანასკნელ ხანს გამოცემულ ფუნდამენტურ ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც — ფენრიხი 2007:109), ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ანალოგიური მონაცემები იმათ რიგში უნდა განვიხილოთ, რომლებიც ფუძეებიდან გადაჰყვამდე ქართველურ ენას, ანუ საერთო მოვლენა და არა შესატყვისობა (თუნდაც იდენტური!); **გუშემ** იგივე **გომ-** არის, ოღონდ სვანური ფონოტაქტიკით წარმოდგენილი — ასე რომ, ფონემათშესატყვისური კანონზომიერება აქ არაფერ შუაშია!

მას შემდეგ მერაბ ჩუხუამ იგივე **გომ-ი/გომ-ურ-ი** დაუკავშირა სვანურ **გუალ**ს („ბოსელი“), სადაც მინიშნებაა **მკლ** შესატყვისობაზე (შდრ. ქართ. ქათამ-ი : სვან. ქათალ, ჩუხუა 2000-2003:86) და იმავდროულად ნათქვამია, რომ სვანურში „სომხური **გომ** („ბოსელი“) ქართულიდან არის შეთვისებული“-ო. მას ფონოლოგიური გარდაქმნები ასე აქვს წარმოდგენილი: საერთოქართველური ***გომ**- „ბოსელი, გომური“ → ქართ. **გომ-ი, გომ-ურ-ი** : სვან. **გუალ** ← ***გოლ**, მაგრამ **გუალ**, ჯერ ერთი, მომდინარეობს ***გუალა** ფუძისაგან და, მეორეც — ის არც „ბოსელია“ და არც „გომური“, ისევე, როგორც არც **გუმე** არის „ოთახი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:147), შდრ. **გომური** — სახლი გლეხური (საბა) და **გუმე** (ზს., ლნტ.) — გომური, მაჩვიბის ქვედა ნაწილი, სარდაფი (თოფურია, ქალდანი 2000:180); ჩოლ. სახლის ნაწილი, სახლთან მიდგმული დამატებითი შენობის ქვედა სართული (ლიბარტელიანი 1994:82); ბქ. **გ'ტ'ემ** („გომი“) — სახლის მინაშენი პურეულის მარაგის შესანახად, ბელელი (ბარდაველიძე 1939:201).

ბესარიონ ნიჟარაძის ლექსიკონში „ბოსელთან“ შეცდომითაა მითითებული **კირატ** („საბძელი“), ალბათ, იმიტომ, რომ სვანეთის ზოგ კუთხეში **გუმე** „ბელელსაც“ ეწოდება. რაც შეეხება ივანე ნიჟარაძეს, მას რუსული ХЛЫВЬ-ის შესაბამისად რამდენიმე ლექსემა (**კუმში ლარდა, გუალ, ლაკუმაშ, ბაგ, ლან-მირ**) აქვს წარმოდგენილი, მათ შორისაა **გუალ** ფუძეც. სამწუხაროდ, ვარლამ თოფურიას და მაქსიმე ქალდანის „სვანურ ლექსიკონშიც“ გაპარულია შეცდომა — აქაც „ბოსელი“ არის **გუალ**.

ახლა ვნახოთ, რა ხდება აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას და მერი გუჯეიანის მიერ გამოცემულ „სვანურ პოეზიაში“!

ძველი სვანური ხალხური სიმღერების შემკრებნი და შესაბამისი ტექსტების ქართული შესატყვისების ავტორები **გუალ**ს არასდროს თარგმნიან, უცვლელად ტოვებენ ქართულ ნაწილში და სქოლიოში შენიშნავენ (სვ. პოეზ. 1939:153): **გვალო** (**გუალ**, მრ. **გუალტუარ**) — საქონლის ადგილი სახლის ქვედა სართულში (მაჩუბში).

აფხნიკ-მარე გუალტუარს ლანშედს — ამხანაგები **გვალოებს** მისცვივდნენ (იქვე, 148-149,22);

მერმა კათხას გუალტუარს ხოჯდე — მეორე კათხას **გვალოებს** მიგუტან (იქვე, 150-151,30);

იმე მასტურედ? — **გუალა** ტოკერს... სად დამსვამთ? — **გვალოს** ბოლოში...

იმე მაცუნედ? — **გუალისა**. სად დამაწვენთ? — **გვალოში** (იქვე, 258-259,12-15).

თითქმის იგივე განმარტებაა ეთნოლოგთა ნაშრომებშიც (**გუალტუარ**, მხ. **გუალტუ** — სვანური სახლის — **მაჩუბი**-ის ის ნაწილი, რომელშიც საქონელი ჰყავთ, ხარაძე 1939:117). თუ მაინცდამაინც მისი გადათარგმნა გვინდა ერთი ლექსემის სახით, „ბაგა“ უფრო აჯობებს, ვიდრე „ბოსელი“.

როცა ვმსჯელობთ **გომ**- ძირის კანონზომიერ ფონოლოგიურ შესატყვისზე სვანურში, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი სულხან-საბას ლექსიკონშიც კი არ გვხვდება, არათუ ძველ ქართულ ტექსტებში. ვერც ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენაში დავადასტურეთ **გომ** თუ **გუმ**. ქართულ-სვანური ბგერათფარდობა **მკლ** კი უფრო არქაული უნდა იყოს.

ძალზე რთულია სემანტიკური რეკონსტრუქციები გენეტიურად ერთმანეთთან დაკავშირებულ ენებში, რაც, რა თქმა უნდა, ეხება ქართველურ ენებსაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფონემათშესატყვისობათა ძიებებმა ისე არ უნდა გაგვიტაცოს, რომ მნიშვნელობის მიხედვით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ნიუანსებზე ვიმსჯელოთ. სამწუხაროდ, ამგვარ მსჯელობათა არაერთი შემთხვევა გვხვდება დღემდე არსებულ ისტორიულ-შედარებით ლექსიკონებში.

ყოველთვის არ არის მიძიმე ვითარება ნასესხებ სიტყვათა ანალიზისას: სრულიად აშკარაა, რომ ლაშხური **ძარღუ** შედარებით გვიანდელი შესულია ქართული ენიდან, ხოლო ზემოსვანურ-ლენტეხური **ჯარღუ** ქართული „ძარღვის“ ფონეტიკური შესატყვისია, ადგილობრივი ფონოტაქტიკით მოდერნიზებული, მაგრამ მთელ სვანურში გავრცელებული; **ასუ** („სხეულის ნაწილი“), რასაკვირველია, ფუძეენიდან მომდინარე საერთო მასალაა (და არა იდენტური შესატყვისობის ნიმუში ან ნასესხობა!), თუმცა ზემოსვანურსა და ლენტეხურ დიალექტში „რბილი ხორცის“ აღსანიშნავად იხმარება **იშუ**, ხოლო ლაშხურში — **ისუ**:

იშუს ჩიყე იზობდა (ლნტ. 1967:226) — რბილ ხორცს სიძე ჭამდა; შდრ. **ფარშმავს ბწვი შელდეი თუთ ასუ ხაკუ ლედიდ** (ბზ. 1939:247) — ფარშვანგს თითო ნაბიჯზე თითო რბილი ხორცი („ასო“) უნდა პირში ჩასადებად.

რასაკვირველია, თამაზ გამყრელიძისა (გამყრელიძე 1959) და გურამ კარტოზიას (კარტოზია 2005) წესის მიხედვით, **-უ** სონანტის წინა პოზიციაში გაშიშინება არ უნდა მომხდარიყო ზემოსვანურსა და ლენტეხურ დიალექტებში (შდრ. **ისუ**, ჩოლ. **ისუიდასუ** „რბილი ხორცი და ძვალი“). და საერთოდ, არაერთ მკვლევარს (მათ შორის ჩვენც) არაერთხელ შეუნიშნავს სისინ-შიშინა სიბილანტთა პარალელური ვარიანტები ერთსა და იმავე ძირში თვით ქართველური ენების დიალექტების შიგნითაც კი, რომელთა პოზიტიური ახსნა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ასევე, ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ მეგრულ-ლაზური **გუგულ** („გუგული“) იყოს ქართული **გუგულ**- ფუძის ფონემატური შესატყვისი (და არა ქართველური ფუძეენიდან მომდინარე საერთო მონაცემი) და მისი აბსოლუტურად ერთგვარი სახეები ქართველურ ენებში განპირობებული იყოს მხოლოდ შესაბამისი ლექსემის ონომატოპოეტური ბუნებით (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:154; ფენრიხი 2007:115).

ქართველურ ენათა დღემდე არსებულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში ე. წ. იდენტურ შესატყვისობათა ამსახველი მასალები ხან წარმოდგენილია, ხან — არა, ამასთანავე, საილუსტრაციო ფუძეთა შერჩევის პრინციპი სრულიად სუ-

ბიექტურია. გამოტოვებული მასალა ნასესხებად ჩავთვალეთ და იმიტომ არ განვიხილეთ? მაგრამ რაც განვიხილეთ, ის დიდად რომ არ განსხვავდება გამოტოვებულისგან არც ფონოლოგიურად და არც სემანტიკურად?! „საზოგადოდ, იმის გარკვევა, ფუძენიდან მომდინარე ლექსიკური ერთეული გვაქვს, თუ ერთი ქართველური ენიდან სხვა ქართველურ ენაში ნასესხები, ზოგიერთ შემთხვევაში მეტად რთულია. ჩვენ არ ძალგვიძს, განვასხვაოთ ქართველურ ენებში ნასესხები სიტყვები (მაგალითად, ქართულიდან მეგრულში და პირიქით) ფუძენისეული მასალისაგან, როცა იგი „იდენტური“ სახის შესატყვისობებს გვიჩვენებს, ხოლო სემანტიკა ერთნაირია ან სემანტიკური სხვაობა დასაშვებ ფარგლებს არ სცილდება“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:28). ასეთი შემთხვევები (**კვლავ ვიმეორებთ!**) უნდა განვიხილოთ არა შესატყვისობებად (თუნდაც „იდენტურებად“), არამედ იმ საერთო მონაცემებად, რომლებიც ფუძენიდან უცვლელი სახით გადავიდნენ ყველა (ორში მაინც!) ქართველურ ენაში — მათი უმრავლესობა აუცილებლად შეგვჩვენებს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში! რაც შეეხება ნასესხებ სიტყვებს, ისინი შედარებით გვიანდელ ეპოქას განეკუთვნებიან და, ამასთანავე, თითოეულ ქართველურ ენაში თავისებური ფონეტიკურ-სემანტიკური ცვლილებები განუცდიათ, ძველ ტექსტებშიც იშვიათად გვხვდებიან. ამგვარი მასალა არ უნდა განვიხილოთ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში.

მაშასადამე, **ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა უნდა წარიმართოს სამი ძირითადი მონაცემის მიხედვით:**

1. ფუძენის დიფერენცირების შედეგად მიღებულ რეგულარულ ფონეტიკურ კანონზომიერებათა ამსახველი ქართველური ლექსიკა;
2. სხვა ენათაგან ფუძენის ან ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისთვის ნასესხები მასალა, რომელიც ერთ-ერთ ქართველურ ენაში მაინც იძლევა ფონემათშესატყვისობას;
3. ფუძენიდან მომდინარე ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვათა ძირები, რომლებიც ყველა ქართველურ ენაში წარმოდგენილია უცვლელი სახით და არსად მოიპოვება არანაირი ფონემათშესატყვისობა (მაგ. ქართ. **ფოლ**-ი, მეგრ. **ფოლ**-ო, სვან **ფოლ** „ჩლიქი“, ლაზ. **ფოლ**-ო „ფეხი“), თუმცა დასაშვებია რამდენადმე განსხვავებული სემანტიკური ნიუანსები).

ყველაზე არქაული ჩანს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში (უკიდურეს შემთხვევაში სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მაინც!) დადასტურებულ მონაცემებთან შეპირისპირებული სვანური და მეგრულ-ლაზური ეკვივალენტები.

უკიდევანოა ფონეტიკური პროცესები თუ ლექსემათა სემანტიკური ნიუანსები უმწერლობო ენათა დიალექტებში, თუმცა, რაკი ყველა ენა ქმნის გარკვეულ სისტემას, ჩვენს შემთხვევებშიც შეინიშნება შესაბამისი კანონზომიერებანი, რასაც არა მხოლოდ ლინგვისტიკისთვის აქვს მნიშვნელობა. ამიტომაც

უნდა ვეცადოთ, არ გამოგვრჩეს ინტერდისციპლინარული თვალსაზრისით სა-ინტერესო ფუძეები ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევების დროს, რადგანაც „ენათმეცნიერების ყველაზე არსებითი მიღწევები ენის ისტორიას უკავშირდება“ (ჩიქობავა 1979:5).

ლიტერატურა

აბაშვილი 2009 — ვ. აბაშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტი, თბილისი.

ბერიძე 1981 — გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი.

გამყრელიძე 1959 — თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი.

გუდავა 1979 — ტ. გუდავა, ბაგისმიერი თანხმონები ჩქამიერთა წინ მეგრულში, საენათმეცნიერო კრებული, თბილისი.

თოფურია, ქალდანი 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

თოფურია 2002 — თ. თოფურია, კვლავ უძველესისათვის სვანურში, შრომები, II, თბილისი.

კარტოზია 2005 — გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი.

ლიპარტელიანი 1994 — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი.

მალაზონია, მალაზონია 2010 — შ. მალაზონია, თ. მალაზონია, გურული (მამათური) ლექსიკონი, თბილისი.

მაყაშვილი 1961 — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

ნიჟარაძე 2007 — ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ონიანი 1917 — არსენ ონიანი (არსენა ჯონძან), მეგმარეშ ი ბალხარე ჟახელე ხორაჟ, МЯЯ, VIII, Петроград.

ორბელიანი 1949 — სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი.

სარჯველაძე 1975 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი.

სარჯველაძე 2001 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

სვანური პოეზია, I, თბილისი.

სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსემოური კილო, თბილისი.

სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

ქაჯაია 2002 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

ქურდიანი 2007 — მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბილისი.

ღლონტი ალექსანდრე, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

ჩიქობავა 1979 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2008 — მ. ჩუხუა, ქართველურ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი.

ძოწენიძე 1974 — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 — ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

ხარაძე 1939 — რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში, ტფილისი.

ჯავახიშვილი 1937 — ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი.

ყიფშიძე 1941 — Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, Санкт-Петербург.

კლიმოვი 1964 — Климов Г.А., Этимологический словарь картвельских языков, Москва.

მარი 1910 — Марр Н. Я., Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, Санкт-Петербург.

მარი 1912 — Марр Н. Я., Тубал-каинский вклад в сванском, ИАН, Санкт-Петербург.

ნიჟარაძე 1910 — Нижарадзе И. И., Русско-сванский словарь, Тифлиси.

ბროსე 1849 — Brosset M., Rapports sur uhe voyage archéologique dans la Géorgie et dans L'Arménie, Rapport, VII, St. — Pétersbourg.

Bucaklışı, Uzunhasanoğlu, Aleksiva 2007 — Ismail Bucaklışı, Hasan Uzunhasanoğlu, İrfan Aleksiva, Büyük Lazca Sözlük (didi lazuri Nenapuna), İstanbul, 2007

ფენრიხი 1985 — Fähnrich Heinz, Aus dem kartwelischen Wörtschatz: ხელეუ-რი, გიორგი ჩიტაიასადმიმიძღვნილი „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, თბილისი.

ფენრიხი 2007 — Fähnrich Heinz, Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, Leiden-Boston.

IZA CHANTLADZE

**Phonological and Semantic Analysis of the Stems
Omitted in the Etymological Dictionaries
of the Kartvelian Languages**

S u m m a r y

In the present paper the author continues a historical-comparative research of the (especially Svan) roots which are omitted accidentally in the etymological dictionaries of the Kartvelian languages existing up today and due to loss of relevant material by that time. This research results a noteworthy outcome - the arche-forms which were assumed for a Georgian-Zan unity epoch up today and thanks to confirmation of Svan equivalents move back into more archaic past, in particular - on a Common-Kartvelian parent-language level.

According to author a historical-comparative research of the Kartvelian vocabulary should be carried out according to three basic data:

1. Kartvelian vocabulary that reflects regular phonetic regularities and is derived from the differentiation of a parent-language;
2. borrowed material from other languages for a parent-language and Georgian-Zan unity epoch and which still gives a phonemes correspondence in one of the Kartvelian languages;
3. The roots of the words of a core lexical fund originated from a parent-language and which are represented in all Kartvelian languages unchangeably and have no phonemes correspondence in any language (e.g. Georg. **pol-i** - Megr. **pol-o** - Svan. **pol** "hooves", Laz. **pol-o** "leg").

Svan and Megrelian-Laz equivalents compared with the data that are attested in old Georgian written sources (in the extreme case at least in Sulkhan-Saba Orbeliani's dictionary) seem to be the most archaic.

იზა ჩანტლაძე, აკაკი ბერიძე

გურულ-აჭარული მატ-ატ-ი/მატ-ატ-ა
და ქართველური ანთროპონიმია

2000 წლის 8 აგვისტოს გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნდა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის აკაკი ბერიძის სტატია „მატატა, ენამატატა“, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ასე იტყვიან აჭარაში ადამიანზე, ბევრს რომ ლაპარაკობს... **მატატა** არ არის ენაბილწი, ენამყრალი, ენაჭარტალა, ენატანია. იგი, უბრალოდ, უხვსიტყვიანია, უბოროტო, უწყინარი; ბევრს ქადაგებს, მაგრამ არამომბეზრებლად, არც უგნურად. საინტერესოა, რომ „მატატა (ენამატატა)“ აჭარაში თითქმის ყველგან იხმარება — მთაშიც და ბარშიც, საქართველოს სხვა კუთხეთა მოსახლეობაში კი ეს სიტყვა არ მომისმენია; ის არც მეზობელი ხალხების ენაში ჩანს და ამდენად, ჩვენთვის, მაგრამ საიდან მომდინარეობს?... ეს სიტყვა ქრისტეს ერთ-ერთი (მეცამეტე) მოციქულის, მატათას, სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. იგი აჭარაში პირველ საუკუნეში ქრისტიანობას ქადაგებდა და, ალბათ, ბევრი ლაპარაკიც უხდებოდა ახალი რელიგიის გავრცელება-დამკვიდრებისათვის. ისიც ცნობილია, რომ **მატათა** აჭარაში აღესრულა და სოფელ გონიოშია დაკრძალული, ხოლო **მატატა**ში ჩვენმა მოსახლეობამ მისი სახელი სამუდამოდ შემოინახა“ (თურმანიძე 2009: 336).

რაკი სტატიის ავტორი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ, თავისთავად ცხადია, რომ ის ითხოვდა, იქნებ სპეციალისტები (ენათმეცნიერები, ეთნოგრაფები,...) დაინტერესებულნიყვნენ ამ საკითხით, მაგრამ მას შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ არაერთი მძიმე წელი გადაიტანა და, ბუნებრივია, „მატატაც“ ყველას მიავიწყდა. ამიტომ თორმეტი წლის მერე ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით საანალიზო ლექსემის ეტიმოლოგიას:

მატათია ბერძნული სიტყვაა და, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „უფლის ფარვას“ ნიშნავს; იმავდროულად „მატატას“ სემანტიკის მისადაგება ქრისტეს მოციქულისთვის (თუნდაც მეცამეტისთვის) თითქოს უხერხულიცაა. ალბათ, აუსლაუტში ან ხმოვნის წინა პოზიციაშიც ბერძნული სიტყვის ფშვინვიერი ფონემა მკვეთრად ვერ გადაიქცეოდა. ასე რომ, ამჯერად სემანტიკურადც და ფონეტიკურადც გამოვრიცხვთ **მატათია/მატატა** ლექსემათა კავშირს, თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ დღეს მეგრულსა და ქართლის ქობულეთურ მეტყველებაში დადასტურებული **მატათია**, რომელიც „ხისძირიან ქოშსა“ თუ „ფლოსტს“ აღნიშნავს, რამდენადმე მაცდუნებელი მონაცემიცაა, რომ სემანტიკა არ გვიშლიდეს ხელს (ეგების ასეთი ფეხსაცმელი ჰქონდა ქრისტეს მოციქულს?!).

გურულ დიალექტში **მატატ**-ი „მოტიტინე ბავშვს“ ჰქვია; იგივე ლექსემა

ოზურგეთის რაიონში ქალის საკუთარ სახელადაც აქვს მითითებული ალექსანდრე ლლონტს (1967: 190).

ვფიქრობთ, რომ როგორც აჭარული, ისე გურული მონაცემები უნდა მომდინარეობდეს ძველი ქართული **მატ**-ა მასდარიდან, რომელიც „გადამეტებას, მოჭარბებას“ ნიშნავს.

აჭარული **მატატა** <***მატ-მატ**-ა („ენატლიკინა, ყბედი, ლაქლაქა“) და გურული **მატ-ატ-ი** <***მატ-მატ-ი** („მოტიტინე ბავშვი“) უნდა წარმოადგენდეს ფუძეგაორკეცებულ ერთცნებიან კომპოზიტს. **მატ**-ა ძირი დღესაც ყველა ქართველურ ენაშია წარმოდგენილი; ამასთანავე, ქართულში საზოგადო სახელებში **მეტ**- ფორმის გვერდით (**მატ-ებ-ა**, **ნა-მატ-ი**, **სა-მატ-ი**, **ფურ-თ-უ-მატ-ე** || **უ-მეტ-ე**,...), ხოლო ზანურ-სვანურში მხოლოდ ანთროპონიმებშია შემოგვრჩა **მატ**- (მეგრული: **მატ-ი**, **მატ-ია**, **მატ-უნ-ა**, **მატ-ოა/მატ-უა**, **მატ-ატ-ია**,... სვანური: **მატ-ია**, **მარ-მატ-ა**).

„მატატა“-ს ამოსავალი ***მატ-მატ-ა** დაცული ჩანს XIV საუკუნის I ნახევრის ერთ ზემოსვანურ დოკუმენტში, რომელშიც დედა და გიო სეტიელთა (ე. ი. მესტიელთა) დედას **მარმატა** ჰქვია (სილოგავა 1986: 169). ვფიქრობთ, რომ ეს ანთროპონიმი იგივე ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია (<***მატ-რ-მატ-ა**), ოღონდ ინლაუტში სონორჩართული (ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენა ქართველურ ენათა დიალექტებში), რაც აჭარულ და გურულ საზოგადო სახელებში გვაქვს. XI საუკუნის I ნახევრის ძეგლის მიხედვით („მატიანე სუანეთისა კრებისაჲ“), სოფელ ცხუმარის კრებას „მოეგებნენ და სული შეავედრეს“ ჩოლოვა **მატ-იან-მა** და მისმა მეუღლემ. მამასადამე, **მატ**- ძირი ძველ სვანურ გვარშიცაა დადასტურებული ისტორიულად.

მოსალოდნელია, „მატატა“-ს უკავშირდებოდეს სულხან-საბა ორბელიანის, დავით ჩუბინაშვილისა და ალექსი ჭინჭარაულის ლექსიკონებში ფიქსირებული ლექსემა **მატ-ა-რ-ოც-ი** („უთქმელის წამთქმელი“, „არამკითხე მოამბე“, „ენაჭარტალა“), **მატ-რ-ა-ოც-ი** („ცელქი, დაუდეგარი“), სადაც ინლაუტში ისევ **რ** სონორია ჩართული (მდრ. ლეჩხუმური **მატ-ა-ოც-ი** „ემმაკუნა, მოუსვენარი“). „ყბედის, ენატარტალას, ჭორიკანას“ (БОЛТУН) მნიშვნელობით იგი გვხვდება ბესარიონ ნიჟარაძის „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონშიც“ სვანური **პირ-ტლაჟჷ**—ს შესაბამისად.

საყურადღებოა, რომ სიხშირის თვალსაზრისით თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უპირატესობა ენიჭება **მეტ**- ვარიანტს, ოღონდ ანთროპონიმებში მაინც ჭარბობს ძველი (**მატ**-) სახეობა, **მეტ**- კი ძალზე იშვიათია (სამეგრელოში, სოფელ ბანძაში, კაცის სახელად გამოყენებული **მეტ-ია** გურიაში, სოფელ დაბლაციხეში, ქალს ეწოდება).

თუ ანალოგიისთვის მივმართავთ „ვეფხისტყაოსანს“, აღმოჩნდება, რომ საზოგადო სახელებსა და ზმნებში **-მატ**- ძირი მხოლოდ 12-ჯერ შეგვხვდება, ხოლო **-მეტ**—115-ჯერ, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს არნოლდ ჩიქობავას

დებულებას იმის თაობაზე, რომ გენიალური შოთას ქმნილება — „მწვერვალი ქართული პოეტური შემოქმედებისა, საპატიოდ სახსენებელი მსოფლიო ლიტერატურის შედეგთა შორის“ — ახალი სალიტერატურო ენის ძეგლია და არა საშუალო ან ძველი ქართულისა (ჩიქობავა 2011: 22-113).

ქართული **მატ**-ებ-**ა/მეტ**-ი და სვანური ლი-**მტ**-ე ჰაინც ფენრიხმა (Fährnich 1981: 98) ერთმანეთის ფონემატურ შესატყვისებად წარმოგვიდგინა, ხოლო ზურაბ სარჯველაძემ (1985: 197) ქართულშივე ივარაუდა **მეტ** < **მატ** ძირთა უმლაუტი. მაგრამ როდის ჰქონდა ამ ფონოლოგიურ პროცესს ადგილი? — თუ საერთოქართველური ენის ქართულ-ზანურ-სვანურად დაშლის პერიოდში, მაშინ მეგრულში **ო** (< **ა**) უნდა გვქონოდა, ხოლო სვანურში სადმე მაინც ხომ უნდა შემორჩენილიყო ქართული **ა** ხმოვნის რეგულარული კანონზომიერი შესატყვისი (ვთქვათ, არასაუშლაუტო პოზიციაში)?! ყველა ქართველურ ენაში **ე** გვაქვს (შდრ. მეგრულ-ლაზური **მეტ-ი**, სვანური **მეტ** „ზედმეტი“ და ლენტეხური **ლი-მეტ-ე** „გამოპრანჭვა, ე. ი. გადამეტებულად ჩაცმა?“).

რომ ზანურ-სვანური ანთროპონიმები არა, რომელთაც ჩვენ „მატების“ სემანტიკით გააზრებულ გურულ **მატატი** და აჭარულ **მატატა** ფორმებს ვუკავშირებთ, მოსალოდნელი იყო, რომ **მეტ** ძირი შედარებით გვიანდელ ნასესხობად ჩაგვეთვალა ქართულიდან ზანურ-სვანურში.

ბუნებრივია, გვკითხავენ: აქვს თუ არა საანალიზო ლექსემას რაიმე კავშირი აჭარულ **მა-ტარ-ტალ-ა** („ყბელი“) სთან? სამწუხაროდ, ლექსიკონებში ვერც **მატატა** დავადასტურეთ და ვერც **მატარტალა**.

რალა თქმა უნდა, **მატარტალა**-ს სხვა სემანტაცია შეესაბამება და სრულიად აშკარაა, რომ იგი ე. წ. პირველადი მასდარის (არნ. ჩიქობავა, გ. დეტერსი) შესაბამისი სემანტიკიდან (**ტარ-ტალ-ი**, **ტარ-ტარ-ი**) მოდის, მაგრამ, ჯერ ერთი, ჯერჯერობით გაურკვეველია თავად „ტარტალი“-ს ეტიმოლოგია [ონომატოპოეტური ლექსიკის სირთულეები იჩენს თავს! — შდრ. ქართული **ჭარ-ტალ-ი**, **რატ-რატ-ებ-ს**; სვანური (ლენტეხური) **რატ-რატ-ე**] და მეორეც — ძნელად წარმოსადგენია, რომ **მატარტალა** ინლაუტშიც გამარტივდა და აუსლაუტშიც გაცვდა ისე, რომ მისგან **მატატა** მიგვედო.

გურულ-აჭარულმა **მატატი/მატატა**მ შეიძლება გაგვახსენოს ერთი მცენარის სახელი სამეგრელოსა და სვანეთში, რომელიც ფორმალურად იმეორებს კიდევ ჩვენს საანალიზო ლექსემას, ოღონდ საკმაოდ რთული სემანტიკური წი-აღსვლები დაგვჭირდება მათ მნიშვნელობათა ერთმანეთთან დასაკავშირებლად: **მატა** პირველად რაფიელ ერისთავის „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინურ ლექსიკონში“ გამოჩნდა, რომელშიც წარმოდგენილი იყო მცენარეთა, ცხოველთა და სხვათა აღმნიშვნელი სიტყვები (Эристовъ 1884). ის სინონიმია **ლაქაშა**‘სი, რომელიც გაცილებით ადრე, საუკუნეზე მეტი ხნის წინ, ჰქონდა შეტანილი სულხან-საბა ორბელიანს თავის „სიტყვის კონაში“, ოღონდ ყოველგვარი განმარტების გარეშე, მაგრამ „ბალახის“ აღმნიშვნელი სიმბოლოთი (ა). რაფიელ

ერისთავისთვის **მატა** არის "палочник широколистый". ეს ლექსემა იმავე მნიშვნელობით განმეორდა სამი წლის შემდეგ, ე. ი. 1887 წელს, დავით ჩუბინაშვილის (ჩუბინოვის) ქართულ-რუსულ ლექსიკონში, ხოლო მეგრულ ლექსიკაში **მატა** პირველად გამოიყენა იოსებ ყიფშიძემ (Кипшидзе 1914: 278) ერისთავისეული ფორმისა და სემანტიკის სრული დაცვით. ალექსანდრე მაყაშვილისთვის **ლაქაშა** სრულიად სხვა მცენარეა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული 17 სახელწოდებით (1991: 43). **მატა** არ გვხვდება „ბოტანიკური ლექსიკონის“ არც ერთი გამოცემის არც ქართულ, არც მეგრულ და არც სვანურ ნაწილში, მაგრამ სვანური **მატატა** ქართულ **შმაგა**ს შეესაბამება, რომელიც წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული 9 სახელწოდებით. მატატას ნაყოფი ძალიან ჰგავს მოცვს და ფლორის უცოდინარი ადამიანები (განსაკუთრებით ბავშვები) მას შეცდომით მიირთმევენ ხოლმე, რაც იწვევს მათ რამდენიმედღიან გამმაგებას. ამიტომაც ფშავში ამ მცენარეს „გიჟანა“-საც უწოდებენ, ხოლო კახეთში — „ცოფის ბალახს“. თუ ბავშვი რაღაც უცნაურად იქცევა, მას ზემო სვანეთში გაოცებით ეკითხებიან: იმ ხისოყნლ **მატატა**ში ნაზობშლ? — „რას გიჟობ მატატას ნაჭამივით?“

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „გიჟი“ გადატანითი მნიშვნელობით „გამმაგებულსაც“ ნიშნავს და „ონავარ, ძალზე ცელქ ადამიანსაც“, მაშინ მცენარის ქართულ-მეგრული (**მატა**) და სვანური (**მატატა**) სახელწოდებანი შესაძლოა ამ მხრივაც დაუკავშირდეს გურულ-აჭარულ **მატატი/მატატა** („ყბედი, ჭორიკანა, ენატიკტიკა, მოუსვენარი, ეშმაკი“ და ა. შ.) ლექსემებს (ბოლოსდაბოლოს ერთ უმნიშვნელოერეს „საკიდელა“ ყვავილოვან ბალახს საქართველოში „ჭორიკანაც“ კი ჰქვია!), თუმცა კიდევ ერთხელ გავხაზავთ — **კომპარატივისტიკაში ურთულესი პრობლემაა (თითქმის გადაუჭრელიც კი!) სემანტიკური შეპირისპირებანი, გაცილებით უფრო რთული, ვიდრე რეგულარულ კანონზომიერ ფონემათშესატყვისობათა საფუძველზე აღდგენილ არქიფორმათა სისტემები.**

თუ ჩვენი სემასიოლოგიური წიაღსვლები რამდენადმე მაინც დამაჯერებელია, ძველი ქართული **მატ**- ძირი არამხოლოდ ქართველურ ანთროპონიმიაში აღმოჩნდება შენარჩუნებული.

ლიტერატურა

თურმანიძე 2009 — გ. თურმანიძე, „ძმები“, სამეცნიერო-პოპულარული კრებული, მიძღვნილი პროფესორების აკაკი და ჯემალ ბერიძეების საიუბილეო თარიღებისადმი, ბათუმი.

ერისთავი 1884 — Кн. Раф. Дав. Эристовъ, Краткій грузино-руско-латинскій словарь изъ трехъ естественныхъ царствъ природы, Тифлисъ.

მალაზონია 2010 — მ. მალაზონია, თ. მალაზონია, გურული (მამათური) ლექსიკონი, თბილისი.

მაყაშვილი 1991 — ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

ნიჟარაძე 2007 — ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ნიჟარაძე 1971 — შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი.

ორბელიანი 1949 — სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბილისი.

სვანეთის ისტორიის ფურცლები, თბილისი, 2011.

სილოგავა 1986-1988 — ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I-II, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ფენრიხი 1981 — Fähnrich H., Das Schumerische und die Kartwelsprachen, Georgica, 4, Jena-Tbilissi.

ფენრიხი 2007 — Fähnrich H., Kartwelisches etymologisches Wörterbuch, Leiden-Boston.

ქაჯაია 2002 — თ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბილისი.

ღლონტი 1967 — ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი.

ღლონტი 1984 — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

ღლონტი, ჩანტლაძე, ქაჯაია, მემიშიში 2007 — ალ. ღლონტი, ი. ჩანტლაძე, თ. ქაჯაია, თ. მემიშიში, ქართველურ ენათა მცირე ლექსიკონი (ელექტრონული ვერსია).

ყიფშიძე 1914 — Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, Санкт-Петербург.

შარაშიძე 1938 — გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, თბილისი.

ჩიქობავა 2011 — არნ. ჩიქობავა, „ვეფხისტყაოსნის“ ენის ადგილისათვის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში, შრომები, V, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1987 — ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 — ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

IZA CHANTLADZE, AKAKI BERIDZE

**Gurian/Ajarian maṭ-aṭ-i/maṭ-aṭ-a
and Kartvelian Anthroponymia**

S u m m a r y

Ajarian **matata** < ***maṭ-maṭ-a** ("chutter-box, gossiping") and Gurian **maṭ-aṭ-i** < ***maṭ-maṭ-i** ("a babbling child") should be a stem-doubled composit with one conception. A root **maṭ-** occurs in all Kartvelian languages even today. Besides, it occurs in Georgian common nouns along with **met-** form (**maṭ-eb-a**, **na-maṭ-i**, **sa-maṭ-i**, **pur-t-u-maṭ-e** // **u-meṭ-e...**), in Zan-Svan only in anthroponyms **maṭ-** is preserved (Megr.: **maṭ-i**, **maṭ-ia**, **maṭ-un-a**, **maṭ-oa** // **maṭ-ua**, **maṭ-aṭ-ia...**, Svan.: **maṭ-ia**, **mar-maṭ-a...**)

The origin of **maṭaṭa** ***maṭ-maṭ-a** seems to be preserved in one Upper Svan document of the 14th century. The document tells that the name of Duda and Gio Setiels' mother (i. e. Mestians) was **marmata** (Silogava 1986: 169). We believe, that this anthroponym is the same stem-doubled composit (< ***maṭ-r-maṭ-a**) but in inlaut here occurs a sonor (an usual phonetic phenomenon in the Kartvelian dialects) and that occurs in Ajarian and Gurian common names. According to the source of the 11th c. ("Chronicle of Suaneti meeting") Chologa **maṭ-ian-ma** and his wife "met the meeting and commended soul to God". Thus, the root **maṭ-** is attested in old Svan surname, as well.

It is expected, that the lexeme **maṭ-a-r-oc-i** ("chatterbox") fixed in the dictionaries by Sul Khan-Saha Orbeliani and Davit Chubinashvili is connected with **maṭaṭa**. In this lexeme a **r** sonor occurs in inlaut (cf.: **maṭ-a-r-oc-i** "long-winted" – Georgian Explanatory Dictionary and Lechkhumian **maṭ-a-oc-i** "a little devil, fidgety"). It occurs in Besarion Nizharadze's "Georgian-Svan-Russian dictionary" with the meaning of "chatterbox, gossip (болтут)", in relevance with Svan **pirṭlaw**.

It is noteworthy that from the standpoint of frequency in the modern literary language **meṭ-** variant has priority, but in anthroponyms the number of old (**maṭ-**) variant is more, and **meṭ-** occurs rarely (in Samegrelo, in village Bandza, a man's name **meṭ-ia** is used in Guria, in the village Dablatsikhe as a woman's name).

ირინე ჩაჩანიძე

ადრიან ბალბი კავკასიის ენების შესახებ

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიის თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს შემთხვევითი ხასიათის ცნობებს ამ ენათა შესახებ, ლექსიკურ ჩანაწერებს, ცალკეულ ფრაზებს და სხვა, რაც შეიძლება აღმოაჩინდეს უცხოელ მოგზაურებს ანდა დადასტურდეს წარწერებში (თუ სხვა ენაზე შესრულებულ ხელნაწერებში). ქართულისათვის ასეთი მასალა საინტერესო არაა, მაგრამ უმწერლო ენების (ანდა ახალსამწერლო ენების) შესახებ ამას ვერ ვიტყვით: ყოველგვარი დოკუმენტაცია, რასაც შეუძლია ამ უმწერლო ენათა ძველი ვითარების შესახებ გარკვეული ცოდნა შეგვძინოს, მეცნიერულად ფასეულია ამ ენათა ისტორიისათვის და, მაშასადამე, ამ ენათა შესწავლის ისტორიაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული (ჩიქობავა 1965 : 20).

იტალიელი გეოგრაფი ადრიან ბალბი იმ ევროპელ მოგზაურთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის თხზულება „**მსოფლიოს ეთნოგრაფიული ატლასი ანუ ძველი და თანამედროვე ხალხების კლასიფიკაცია**“ (*Atlas ethnographique du globe, ou classification des peuples anciens et modernes d'après leurs langues*; 1826) ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს წარმოადგენს საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ამ ნაშრომის გამოსვლიდან ორი წლის შემდეგ, 1828 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა მისი ერთი ნაწილი, რომელიც კავკასიაში გავრცელებულ ენებს ეხება (**"О языках страны кавказской"** // Вестник Европы, Часть 159. №8. 1828). თხზულებაში ჩართულია ვრცელი ისტორიული ექსკურსები, სადაც ავტორი მოგვითხრობს კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს ისტორიულ წარსულსა და მის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობაზე. ადრიან ბალბი უხვად იყენებს როგორც სხვის მიერ მონათხრობ ამბებს, ასევე უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებსა და ევროპაში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას საქართველოს შესახებ, რაც უდავოდ, ავტორის ფართო განათლებასა და ერუდიციაზე მეტყველებს. თუ როგორ ღრმად იცოდა და სწავლობდა ადრიან ბალბი ქართულ კულტურას, მოვიყვანთ ამის მაგალითს:

ნაშრომში განსაკუთრებული პატივისცემითა და მოკრძალებითაა მოხსენიებული დავით აღმაშენებელი, გიორგი მესამე და თამარ მეფე. ავტორს სწორი წარმოდგენა აქვს თამარის ეპოქის კულტურულ-ლიტერატურულ მონაპოვრებზე. თხზულებაში მას დედოფალი მოხსენიებული ჰყავს, როგორც „კავკასიელი სემირამიდა“ და ხაზს უსვამს თამარის ღვაწლს ქართული მწერლობის აღმაგ-

ლობისა და წინსვლის საქმეში. ბალბი ქრონოლოგიური დაცვით საუბრობს ჩახრუხადის „თამარიანსა“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“; ასევე ყურადღებას ამახვილებს ქართულ ლექსთწყობასა და კერძოდ რუსთაველის შაირის შესახებ.

თხზულებაში საპატიო ადგილი უჭირავს ანტონ პირველსა და მის „წყობილსიტყვაობას“, რომელშიც შესულია საღვთისმეტყველო ტრაქტატები, საგალობლები, ქართველი მეფეებისადმი და მწერლებისადმი მიძღვნილი სახოტბო ლექსები.

ადრიან ბალბი სრული სიზუსტით საუბრობს ანტონ კათალიკოსის გრამატიკის შექმნასა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე (სასწავლებლების, ბიბლიოთეკებისა და ტიპოგრაფიების გახსნა).

ბალბის ცნობებში განსაკუთრებით დიდი ადგილი უკავია ქვეყნის გეოგრაფიულ აღწერას. ესაა საქართველოს კუთხეები (აფხაზეთი, კახეთი, გურია, ოდიში, იმერეთი), მდინარეები თუ ქალაქები.

მრავალგვარია ის წყაროები, რომლებსაც ადრიან ბალბი იყენებდა საქართველოს აღწერისას. უპირველესად ესაა საკუთარი თვალით ნანახი. ამ რიგს მიეკუთვნება გეოგრაფიული აღწერილობა, მხარეებისა და ქალაქების გარეგანი სახე, მოსახლეობის ყოფის დამახასიათებელი ნიშნები და სხვა. მეორე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ სხვა პირთა მიერ მიწოდებული ცნობები.

წყაროების მესამე ჯგუფად გამოვყოფდით გადმოცემებსა და ლეგენდებს, ასევე ისტორიულ ფაქტებს, რომლებითაც ის ავსებს თვალით ნანახსა და სხვათა მიერ ნაამბობს. ცალკე დავასახელებდით ნამდვილ ისტორიულ წყაროებს, კერძოდ, ძველი ბერძენი თუ რომაელი ისტორიკოსების ქართული ქრონიკების მონაცემებს. ასეთებად მის მიერ მითითებულია სტრაბონი, ფრანგი გეოგრაფი მალტ-ბრიუნი, გერმანელი ლინგვისტი და ორიენტალისტი კლაპროტი, არაბი მოგზაური აბულფედა. ნაშრომის შესავალში ბალბი იმოწმებს არაბ მწერალ ალ-აზიზს შემდეგი ციტატით: „კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილს არაბი მწერალი ალ-აზიზი უწოდებს „ენების მთას“ **Djeval - Allesan**. ამის შემდგომ ავტორი თვითონვე ადასტურებს და აკონკრეტებს აღნიშნულ ფაქტს და კერძოდ, დალესტანს უწოდებს „ენების მთას“.

წინამდებარე მოხსენებაში ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია ადრიან ბალბის თხზულების მიხედვით საენათმეცნიერო ხასიათის ინფორმაცია კავკასიაში არსებული ენების შესახებ და სწორედ ამ პუბლიკაციის ტექსტით ვსარგებლობთ. ა. ბალბი განიხილავს ქართველურ ენებს. იგი გამოყოფს ხუთ ქართველურ ენას და წარმოგვიდგენს მათ შემდეგი ნუმერაციით:

1. **ძველი ქართული** — „რომელზეც ოდესღაც საუბრობდნენ იბერიაში ანუ დღევანდელ საქართველოში; იგი დიდი ხნის წინ განადგურდა. იულიუს კლაპროტის სიტყვებით რომ ვთქვათ, გუდამაყრელები შესაძლოა იყვნენ ერთადერთი გეორგიელები, ვინც შემოინახა უძველესი ენა, რომელზეც ისინი ასრულებენ მღვდელთმსახურებას და რომელიც ისევე განსხვავდება ხალხური ქართულისაგან, როგორც სლავური (საეკლესიო) რუსულისაგან. ბიბლია, რომე-

ლიც სავარაუდოდ ქრისტეს შემდეგ მე-5 საუკუნეშია თარგმნილი ამ ენაზე, დაწერილია მხედრული ასოებით, რომელიც ქრისტემდე მე-3 საუკუნეში შეუქმნია ფარნავაზს“.

2. **ახალი ანუ ხალხური ქართული** — „რომლის სხვადასხვა დიალექტზე ლაპარაკობენ რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფი ქართველები, რომლებიც ცხოვრობენ ქართლში, კახეთში, იმერეთსა და საქართველოს იმ ნაწილში, რომელიც თურქების მფლობელობაშია. ქართლური დიალექტი ყველაზე სუფთაა. ტექნიკური და სასწავლო ტერმინების ნაწილი ბერძნულიდან და სომხურიდანაა ნასესხები; საზოგადოებასა და ვაჭრობაში გამოყენებული ბევრი გამონათქვამი თურქულიდან და სპარსულიდანაა აღებული; მაგრამ საფუძველი მხოლოდ თავისია და იგი განსხვავდება ყველა ცნობილი ენისაგან. მასში არის მრავალი ნაწარმოები და რთული სიტყვა; მასში არ არის ნაწევარი; არსებით, ზედსართავ სახელებს, ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს მხოლოდ ერთი სქესი აქვთ. მრავლობითი რიცხვი იწარმოება -ბი ან -ბიბის დართვით; მაგ., **მამა** — **მამები**. ბრუნება პირდაპირია; აქვს შვიდი ბრუნვა, როგორც რუსულში, რომლებიც იწარმოება ბოლოკიდური ასოების ცვლილებით. შედარებითი ხარისხი იწარმოება ზედსართავ სახელზე მარცვლის სი- დართვით, ხოლო აღმატებითი — მარცვლების **სი-**, **ლა-** დართვით; მაგ., ლამასი — სილამასი — სილალამასი. თხრობით კილოს აქვს ექვსი დრო, რომელთა შორის სამი წარსულია; კავშირებითი არ არის, ხოლო ვნებითი ზმნა იწარმოება მეშველით. წინდებულები დაისმის სიტყვის ბოლოს. მაგ., **ცე** „მიწა“, და „ზე“; **ცედა** „მიწაზე“. ფრაზების კონსტრუქცია საკმაოდ თავისუფალია; ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, რაც ორაზროვნების მიზეზი ხდება“.

3. **მეგრული** — „რომელზეც საუბრობენ სამეგრელოში, ოდიშთა ქვეყანაში და გურიასში. ეს უკანასკნელი და სამეგრელო ოდიშთა ქვეყანასთან ერთად რუსეთის იმპერიის ორ დიდ პროვინციას წარმოადგენენ“.

4. **სვანური** — „რომელზეც საუბრობენ სვანეთში. იქაური ტომი მებრძოლია, დამოუკიდებელი; მოსახლეობენ კავკასიის მთებში, ცხენისწყლის, ეგურის და ეგრიზის გასწვრივ“.

5. **ლაზური** — „რომელზეც საუბრობენ ლაზები, მთიელები, რომლებიც თურქეთის იმპერიის ქვეშევრდომები არიან. ისინი მოსახლეობენ შავი ზღვის სანაპიროზე ტრებიზონდიდან ჭოროხამდე, რომელიც მათ გამოყოფს გურიისაგან. შუასაუკუნეებში ლაზები გაბატონებული ხალხი იყო იმ სახელმწიფოში, რომელსაც მათ მისცეს თავიანთი სახელი; ეს სახელმწიფო გადაშლილი იყო ჭოროხიდან ჩრდილოეთ ფაზისამდე ანუ რიონამდე... პროკოფისა და აგათიას სიტყვებით, ისინი ძველი კოლხების შთამომავლები არიან“.

ასევე მნიშვნელოვანია შემდეგი ინფორმაცია, რომელსაც ავტორი ქართული დამწერლობის შესახებ გვაწვდის: „ქართული ანბანი შექმნილია მე-5 საუკუნეში მესრობის მიერ; შედგება 39 ლიტერისაგან, რომელთა შორის ცხრა

ხმოვანია, ათი კბილისმიერი, ცხრა ხორხისმიერი, და ა. შ. გეორგიელები წერენ მარცხნიდან მარჯვნივ; მათი ასოები ორი სახისაა: საეკლესიო და ხალხური; ნაშრომის მეორე ნაწილი დათმობილი აქვს **სომხურ და კავკასიურ ენებს:**

უძველესი სომხური — „მასზე ოდესღაც საუბრობდნენ სომხეთში ჰაიები, რომელიც უფრო ცნობილია სახელწოდებით სომხები. ისინი ყველაზე ძველი ერია; მათი ენა მკვდარია, რომელიც უძველესი დროიდან გამოიყენებოდა მხოლოდ წიგნებსა და ღვთისმსახურებაში. მისი გრამატიკა და შესიტყვება იმდენად განსხვავდება ახალი სომხურისაგან, რომ სომეხმა აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ისწავლოს. ყველა დროისა და ქვეყნის კარგი მწერლები ვერ წარმოიდგენდნენ განსხვავებას სამწერლობო ენაში; აქედან გამომდინარე, მას არ გააჩნია არავითარი გვერდითი კილოები, არც სპარსული და თურქული სიტყვები, რომლებიც არსებობენ საყოველთაოდ ხმარებულ სომხურში; შესიტყვება ბერძნულის მსგავსია“.

ახალი სომხური — „რომელზეც სხვადასხვა კილოებზე საუბრობენ ოტომანურ და სპარსულ სომხეთში, საქართველოსა და შირვანის ნაწილებში ჰაიები და სომხები. მეხუთე საუკუნეში მეზრობმა შექმნა სომხური ანბანი, რომელიც შედგებოდა 38 ლიტერისაგან, ე. ი. 30 თანხმოვნისა და 8 ხმოვნისაგან; წერენ მარცხნიდან მარჯვნივ; სომხებს გააჩნიათ ორი სახის, დიდი და პატარა ასოები, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თავდაპირველად სომხური ანბანი შედგებოდა 36 ასოსაგან; შემდეგ დაემატა **ფ** და **ო**. კონსტანტინოპოლელი და ყირიმელი სომხები წერენ თურქულ ენაზე თავიანთი ასოებით; საქართველოს მკვიდრნი კი — სომხური ლიტერებით ქართულ ენაზე, ზოგ შემთხვევაში, ქართული ასოებით თავიანთ ენაზე; სომხურ ენაში სქესი არ არსებობს; აქვს ექვსი ბრუნვა“.

საინტერესოა ბალბის მოსაზრება სომხური ენის დიალექტების თაობაზე. ნაშრომში მის მიერ დასახელებულია შემდეგი **დიალექტები:**

შიდა სომხური — „ყველაზე სუფთა, რომელიც გავრცელებულია არაქსის სანაპიროზე; სომხეთის ამ ნაწილში მდებარეობს ეჩმიადინის მონასტერი, პატრიარქის ადგილსამყოფელი“.

კონსტანტინოპოლური — „სომხური სამწერლობო ენისაგან განსხვავებულია. აღმოსავლეთ სომხეთში გავრცელებულია **გაბანური და ჩულფახური** დიალექტები; ისინი მეტად შერყვნილია და შედგებიან სპარსული სიტყვებისაგან“.

კილიკიური და მცირე სომხური — „სხვებზე ნაკლებად დაზარალებული თურქული ენის გავლენით, განსაკუთრებულია თავისი გრამატიკული ფორმებით, რომლებიც საკმაოდ განსხვავებულია სომხური სამწერლობო ფორმებისაგან. ამ დიალექტებზე, 1289 წელს დაწერილია ხელშეკრულება მცირე სომხეთის მეფე ლეონ III-სა და გენუელებს შორის, რომელიც ახლახან გამოვიდა ორიენტალისტის, სენ-მარტენეს მიერ“.

გარდა ამისა, ნაშრომის მეორე ნაწილში ადრიან ბალბი საუბრობს **დადესტნური ენების** შესახებ. ავტორს აქ წარმოდგენილი აქვს **ლეზგიური ენე-**

ბი, რომლებიც შემდეგი ჯგუფებისაგან შედგება:

ავარიული — „რომელიც გავრცელებულია ავარისა და კიაზერუკის ოლქებში. მასში მრავლადაა სამოედური და ციმბირული კილოები; სქესი არ გააჩნია; აქვს შვიდი ბრუნვა; უღლება არასწორია, ხოლო წარმოთქმა მეტად უხეში ბევრი თანხმოვნისა და ხორხისმიერი ტონალობის გამო“.

ანდიური — „რომელზეც საუბრობენ ანდის ოლქში, განსხვავდება საკუთრივ ავარიულისა და მისი კილოებისაგან“.

დიდოური — „დიდო-უნზო“, რომელიც გავრცელებულია დიდოეთის, დიდოსა და უნზოს მოსახლეობისათვის“.

ყაზი-ყუმუხური — „რომელზეც საუბრობენ ყაზი-ყუმუხები, ყარაკაიტალები და თაბასურანელები“.

აკუჩური — „რომელიც გავრცელებულია ლესგიურ მცირე ტომებში. აკუჩურ ენას გააჩნია ბევრი საერთო ყაზი-ყუმუხურთან“.

კიურული — „რომელზეც საუბრობენ კიურალეს სახანოს მცხოვრებნი“.

აღრიან ბაღბი ნაშრომში ახასიათებს **მიცჯეგურ ჯგუფს**:

მიცჯეგური ენა — „გავრცელებულია მიცდეგებში, რომლებსაც შეცდომით უწოდებენ რუსები ჩეჩნებს, ხოლო გიულდენშტეტი — ქისტებს. მიცჯეგური ენა შედგება ოთხი მთავარი კილოსაგან, რომელმაც მიიღო თავისი სახელწოდება ზემოთ ხსენებული ტომებისაგან. მაგალითად, **ხარი (უხტ)**, **ღორი (კაკა)**, **ძალი (ნოე)** და სხვა. ქალთა სახელებში უფრო მეტი უცნაურობანია, მაგ. **ოხიალი ვანარა** (ძალზე მოსიარულე), **ახირ ვანარა** (ხბოზე მოსიარულე). მიცჯეგური ენა ძალიან ჰგავს ლესგიურს, უპირატესად ავარიულსა და ყაზი-კუმუხურს, მასში ბევრი სიტყვა ამტკიცებს აშკარა ნათესაობას სამოედურ, ვოგულურ და სლავურ ენებთან“.

აღსანიშნავი და საყურადღებოა ავტორის მსჯელობა **ჩერქეზული და აფხაზური ენების** შესახებ:

„ჩერქეზული ენა გავრცელებულია ჩერქეზებში, რომლის ნამდვილი სახელი არის ადიღე (ადიჟ). ჩერქეზულ ენაში არ არსებობს სქესი და წევრები; აქვს ექვსი ბრუნვა; მრავლობითი რიცხვი იწარმოება **-ხე** მარცვლის დართვით, ხოლო დიდი რაოდენობის მნიშვნელობით ერთვის მარცვალი — **კოდ**. მაგალითად, **გნა** — ძალი, **გნახე** — ძალები, **გნაკოდ** — ბევრი ძალი. შედარებითი ხარისხი იწარმოება ზედსართავი სახელის წინ **-ნახ** მარცვლის დართვით. ხოლო აღმატებითი — **დედე** სიტყვის შემდეგ. მაგალითად, **იინ** — დიდი, **ნახიინ** — უფრო დიდი, **იინდედე** — სრულიად დიდი. აღნიშნული ენის სინტაქსი ცვალებადია, მაგ. **მაზარ ვაგოგ მე ნახიინ-შ დგხე მი ნახტუჟ-შ**, სიტყვა-სიტყვით **Lune etoile de plus grand est soleil de plus petit est**, მთვარე ვარსკვლავებზე მეტია და მზეზე ნაკლები; წარმოთქმა ყველაზე უძნელესია მთელს მსოფლიოში; ბევრი მარცვალი სრულიად შეუდარებელია ენის განსაკუთრებული მოძრაობისა და ხმოვანთა ტონალობაში მრავალგვარი ცვლილებების გამო.

ბევრი თანხმომავანი ისე ძლიერად წარმოითქმება ყელით, ნებისმიერ ევროპელს გაუჭირდებოდა მათი წარმოთქმა. ჩერქეზულ ენას გააჩნია მსგავსება ურალურთან; მისგან ბევრი სიტყვა გადავიდა აბაზურში, რომელსაც გაუმართლებლად თვლიდა გიულდენშტედტი. კლაპროთის თანახმად, ჩერქეზები იყენებენ განსაკუთრებულ კილოს, რაზეც ისინი წინასწარ თანხმდებოდნენ ერთმანეთში. ასეთ კილოს განეკუთვნება ორი ტიპის ჟარგონი: **შაკობშე და ფარშიპსე**. პირველს არ გააჩნია არავითარი მსგავსება ჩერქეზულთან. **ფარშიპსე** ემყარება ძირითად ენას მარცვალ — **ბუ** და **-ფი** დართვით. მაგალითად, ჩერქეზულად **ია** (ხელი), ფარშიპსზე — **ირიარი**“;

აბაზური ან აბსური — „რომელიც გავრცელებულია აბაზებში, აბაზებსა და აბასებში ან ავხაზებში, რომელთა ნამდვილი სახელია ასბნი (**Abasci** ნახსენებია პერიპლე პონტი არიანოვის და **Awasgi** ან **Abasgi** ბიზანტიელი მწერლების მიერ. სინტაქსის წესების მიხედვით აბაზური ენის ბევრ სიტყვას გააჩნია საერთო ჩერქეზულთან“.

ადრიან ბალბის თხზულება კავკასიაში არსებული ენების შესახებ მართალია, მეცნიერულ ღირებულებას არ წარმოადგენს, მაგრამ საზოგადოდ გავრცელებულ შეხედულებას გადმოგვცემს, რაც საერთოდ დამახასიათებელია მემუარული და მოგზაურობის ჟანრის ლიტერატურისათვის.

ბუნებრივია, ბალბისათვის, როგორც უცხოელისათვის, ძნელი იყო ბოლომდე ჩასწვდომოდა კავკასიაში არსებული მდგომარეობის ჭეშმარიტ არსს და ობიექტურად შეეფასებინა იგი. ამის გამო მისი ნაშრომი არ არის დაზღვეული უზუსტობისაგან, მით უფრო ავტორს ჩვენ ვერ მოვთხოვთ ლინგვისტურ განათლებას. მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არ ამცირებს ნაშრომის ღირებულებასა და მნიშვნელობას. როგორც ისტორიული წყარო, იგი მოითხოვს კრიტიკულ მიდგომას და ამავე დროს იმ ინტერესებისა და მიზნების გათვალისწინებას, რასაც ემსახურებოდა ავტორი.

ლიტერატურა

ჩიქობავა 1965 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი.

ბალბი 1828 — Адриан Бальби, О языках страны кавказской, Вестник Европы, Часть 159, № 8, Москва.

IRINE CHACHANIDZE

Adrian Balbi About the Languages of the Caucasus

S u m m a r y

The Italian ethnographer Adrian Balbi (1782-1848) wrote the book *Atlas ethnographique du globe, ou Classification des peuples anciens et modernes d'après leurs langues*; 1826. Two years later, a Russian magazine published one part of the book in point, dealing with languages of the Caucasus. The present paper is based on the text of the said publication. A. Balbi discusses Kartvelian languages. He identifies five Kartvelian languages and presents them in the following order :

1. Old Georgian – once spoken in Iberia, that is present-day Georgia; extinguished long ago.

2. Modern or Popular Georgian – spoken in the parts of Georgia occupied by Russia and Turkey. It differs from all the known languages. It has a lot of derivatives and compounds; it has no articles ; nouns, adjectives, pronouns and adverbs have only one gender. It has seven cases.

3. Megrelian – spoken in Samegrelo, in the country of Odishes and in Guria. These are two great provinces of the Russian empire.

4. Svan – spoken in Svaneti, along the rivers Tskhenistskali, Enguri and Egrisi.

5. Laz – spoken by Laz, the highlanders, subordinates of Turkey. They inhabit the territory from Trabson to the river Chorokhi.

The second part of the paper deals with Armenian and Caucasian languages: old Armenian and generally used, modern Armenian language.

In the paper the author also names the dialects of Armenian language: internal Armenian language, Constantinopolean, Cilician and little Armenian.

Besides in the second part of the paper Adrian Balbi talks about the Dagestani languages. The author presents some Lezgian languages: Avar, Andi, Dido, Kazi-Kumukh, Akuchi, Kiuri languages. In Circassian group Balbi discusses Circassian and Abaza languages.

The paper disucses and analyzes the data by the Italian author, attempts to establish his probable source of information.

ჰარუნ ჩიქე

საურთიერთო მოქმედების გამოხატვა
ქართულსა და თურქულსი

ურთიერთობის (რესიპროკის) შინაარსი ქართულ ზმნაში გადმოიცემა სხვადასხვა საშუალებით: ობიექტური პირის ნიშნებით, ვნებითის **ე-** პრეფიქსით, სასხვისო ქცევის **ი-/უ-** და საზედაოს **ა-** პრეფიქსებითა და ზმნისწინებით. გრამატიკულ საშუალებათა გარდა, ან მათთან ერთად, სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს ზმნებში ურთიერთობის სემანტიკასაც (აფრიდონიძე 1985: 5).

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით პროდუქტიულია ზმნისწინი. ამიტომ ჩვენ ამჯერად ყურადღებას გაგამახვილებთ სწორედ ზმნისწინზე და წარმოვადგენთ ქართულ ზმნაში საურთიერთო მოქმედების სემანტიკის გამომხატველ ფორმებს, რასაც შევუპირისპირებთ თურქულ მასალას.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზმნისწინი საკმაოდ დატვირთულია ფუნქციურად. მრავალფეროვან ფუნქციათა შორის ერთ-ერთია საურთიერთო მოქმედების გამოხატვა. ამ სემანტიკას ზმნას ანიჭებს ზმნისწინები: **გა-, გადა- და-, მი-, ჩა შე-, წა-, შემო-**.

ამათგან საურთიერთო მოქმედების გამოხატვის გამოკვეთილი ფუნქცია აქვს **შე-** ზმნისწინს. იგი ხშირად მიუთითებს ერთმანეთისაკენ მიმართულ მოქმედებაზე: **შეაერთებს, შეურევს, შეატაკებს, შეაჯიბრებს, შეაბრძოლებს, შეაყვარებს...** ც. კვანტალიანის აზრით, აქ ყველა შემთხვევაში ივარაუდება ერთმანეთში მოქმედების გარევა, მათ შუა, მათ შიგნით სივრცეში მიმდინარე მოქმედებები. ზმნური ფუძის სემანტიკის მიხედვით თითქოს ზმნისწინი სხვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავს. აქ ყველგან ზმნისწინი ერთი მნიშვნელობით გამოიყენება, მაგრამ ზმნური ფუძეების სემანტიკა ხან ერთმანეთისაკენ არის მიმართული, ხან კი — ერთმანეთს დაპირისპირებული, რაც ასახულია უზმნისწინო ფორმებში: **აერთებს, ურევს, ატაკებს, აჯიბრებს, აბრძოლებს.** აქ კარგად ჩანს **შე-** ზმნისწინის კავშირი **-ში** თანდებულთან. თითქმის ყველა ზმნასთან სახელი **-ში** თანდებულის ბრუნვაში ივარაუდება: *შეურია ერთმანეთში, ერთმანეთში მოახდინა შეჯახება* და ა. შ.

საინტერესოა, აგრეთვე, **შე-** ზმნისწინიანი სხვა ზმნები: **შეთხზავს, შეკვრავს, შეაყვარებს, შეარიგებს, შეაწებებს, შეადუღებს** და ა. შ. ისინი ისეთ მოქმედებას გულისხმობენ, როდესაც საგნის, ობიექტის ირგვლივ გარკვეული სივრცე მოიაზრება და მოქმედება ამ სივრცეში, შიგნით მიმდინარეობს. ეს

ფაქტობრივად ერთი მნიშვნელობაა, მაგრამ განსხვავებულ ზმნურ ფუძეში არის რეალიზებული. ამიტომ გადმოიციემა ამ ზმნების მნიშვნელობები ერთი და იმავე **შე-** ზმნისწინით (კვანტალიანი 2003: 38-39).

ი. ვეშაბიძე **შე-** ზმნისწინის ერთ-ერთ დამატებით ფუნქციად მიიჩნევს ურთიერთდაპირისპირების, მოძრაობის მიმართულების აღნიშვნას. მეცნიერის აზრით, ამ შემთხვევაში ორი სხვადასხვა ობიექტი ერთმანეთს უახლოვდება ურთიერთშეხებამდე (ვეშაბიძე 1967: 213).

მოცემულ სემანტიკურ ველს ასახავს მაგალითები:

შე-აბერებს (ვინმესთან ერთად სიბერეს მიაღწევინებს, დააბერებს (ღმერთი). *შევაბეროთ, შევაბეროთ! — დაივრიალა ხალხმა — ეკ. გაბ.*);

შე-ამეგობრებს (იგივეა, რაც დაამეგობრებს — ერთმანეთის მეგობრად გახდის);

შე-ამხანაგდება (ჩვეულებრივ მრავლობითში: შეამხანაგდებიან, ამხანაგები გახდებიან; საერთო საქმეს მოეკიდებიან. *ან მადამ სალისთან უნდა შევაამხანაგდე, ან თავს მოვიკლავ — გ. წერეთ.*);

შე-უპირისპირებს (ერთმანეთს შეუდარებს, რომ განსხვავებული ნიშანთვისებანი გამოავლინოს, — დაუპირისპირებს)...

აქ მოცემულია მხოლოდ ის ფუძეები, რომლებიც თავისთავად გულისხმობენ რესპირაკს, თორემ ყველა მრავალპირიანი ზმნა მრავლობით რიცხვში „ურთიერთ“ ზმნიზედის დამატებით ამ კლასში შემოვიდოდა და წაშლიდა ველის საზღვრებს. ამ შემთხვევაშიც სინთეზირებული ზმნები შეიცავენ **შე-**ს პარადიგმატულ მნიშვნელობებსა და დამატებით „ურთიერთ“ საქცევს.

საურთიერთო გაგებას შეიცავს, აგრეთვე, **წა-** ზმნისწინიანი ფორმებიც. მაგალითად:

წა-აბამს (ერთმანეთთან ნასკვით შეაერთებს, გადააბამს თოკით, ძაფით და მისთ. ნაჭრებს // ერთმანეთთან სიგრძივ დააკავშირებს. *ორი უგრძესი კიბე აქვე წააბეს ურთიერთს — ლ. გოთ.*);

წა-აჩხუბებს (წაჰკიდებს, აჩხუბებს (ვინმესთან). *წააჩხუბებდა [ალადი] ორ მეზობელს. თავ-პირს დაამტვრევდნენ — ს. შანშ.*);

წა-ედავება (შეეცილება, შეედავება. *მამულის გამო ჩვენ ვერაკაცი... ვერას წაგვედავება — ილია*)...

როგორც უ. აფრიდონიძე აღნიშნავს, სინონიმების კვლევას გარკვეული აზრი აქვს გრამატიკული სინონიმიკისთვის, პარადიგმატიკისთვის. ამის კიდევ ერთი მაგალითი შეიძლება იყოს **ლაპარაკობს** ტიპის ზმნები. ეს ზმნები, ჩვეულებრივ, დონიან ფორმებს არ აწარმოებენ, თუ ფუძე სახელური არ არის; არა გვაქვს **ლაპარაკდება**, თუმცა გვაქვს ზმნისწინიანი ფორმა **ალაპარაკდება** = **ლაპარაკს დაიწევს**. განსხვავებულ მნიშვნელობას ქმნის **წალაპარაკება** ფორმა. მას ეწარმოება დონიანი ვნებითი, თანაც მხოლოდ მრავლობითში. მხოლობითის ფორმა **წალაპარაკდა** შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში ობიექტის უქონლობა სხვა საშუალებითაა კომპენსირებული, კერძოდ, მრავლობითი

რიცხვის ფორმით: *ისინი წალაპარაკდნენ*. ზუსტად ასევეა სინონიმური **წაკინკლავება**: **წაკინკლავედა** შეუძლებელია. *წაკინკლავედნენ ისინი ან წაეკინკლავედნენ ისინი ერთმანეთს*. ასევე არ შეიძლება **წაიჩხუბებიან ისინი**. არის: **წაეჩხუბნენ ისინი ერთმანეთს** (აფრიდონიძე 1985: 12).

როგორც აქედანაც ჩანს, საურთიერთო მოქმედების გამოხატვა ზმნის ფუძეზე არის დამოკიდებული. რასაკვირველია, ზმნისწინი ასეთ შემთხვევებშიც თავის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ეს ხანდახან შემოიფარგლება მიმართულების, გეზისა და ორიენტაციის, ასპექტისა და მომავალი დროის გამოხატვით. მაგალითად, **წაელაპარაკება** ფორმაში ზმნის ფუძე რომ არ გულისხმობდეს საურთიერთო მოქმედებას, ზმნისწინი, ცნობილი ფუნქციების გარდა, ვერაფერს ვერ აღნიშნავდა.

წა- ზმნისწინი გამოხატავს, აგრეთვე, ზოგად მნიშვნელობას „შემჭიდროება — გამთლიანება“. ამ ველის ფარგლებში იგი აჩვენებს რამეზე წამატებას, რისამე გაგრძელებას:

წა-აგრძელებს (სიგრძეს წაუმატებს, სიგრძივ გაადიდებს);

წა-აყერებს (კერვით წაამატებს, — მიაყერებს);

წა-აქსოვს (ქსოვით მიამატებს, მიაქსოვს. *წინდას ყელი წააქსოვა*)...

მართალია, ერთი მხრივ, აქ გვაქვს **შემჭიდროება — გამთლიანება** იმ თვალსაზრისით, რომ გამოხატულია დაწყებული მოქმედების გაგრძელება, ხოლო, მეორე მხრივ, გაგრძელებასთან ერთად მიმართულებაც (საიქეთო) იგულისხმება **წა-** ზმნისწინის ძირითადი ფუნქციიდან გამომდინარე. ეს ფუძეები თითქმის ყველგან გამოხატავენ შემჭიდროება — გამთლიანების მნიშვნელობას. აქ **წა-** ზმნისწინის ფუნქცია ის არის, თუ რა მიმართულებით უნდა განხორციელდეს მოქმედება.

ზოგიერთი ზმნისწინიანი (მაგალითად, **შე-, შემო-**) ფორმა სემანტიკურად ახლოს არის საურთიერთოსთან, მაგრამ ამავე დროს ატარებს **შემჭიდროება-გამთლიანების** (ანუ **შეერთება-შეკრების** — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე) ნიუანსს. საანალიზო მასალაზე დაყრდნობით აღნიშნული სემანტიკის გამოხატველ **გა-, გადა- და-, მი-, ჩა-**ს ჩვენ დავამატეთ **შე-, შემო-** ზმნისწინები. მაგალითები: **გა-ზეღს** (ზელით ერთმანეთში გაურევს; ზელით მოსრესს); **გადა-წნავს** (ერთმანეთზე დაწნავს, — დაწვნივთ შეაერთებს); **და-უახლოვდება** (ახლობელი გაუხდება, ახლო ურთიერთობა ექნება (ვინმესთან), — დაუკავშირდება); **მი-აქსოვს** (ქსოვით მიუმატებს); **ჩა-აქსოვს** (ქსოვით ჩაურთავს. II ქსოვით გამოიყვანს); **წა-აყერებს** (კერვით წაამატებს, — მიამატებს); **შე-თოკავს** (თოკით შეკრავს, — გაბაწრავს, შებოჭავს); **შე-დუღდება** (დნობით შეკავშირდება, — მიდუღდება, მიეხმება; მიეხორცება; **შე-კრებს** (ერთად თავს მოუყრის, — შეაგროვებს); **შემო-კრებს** (მოკრებს, შეკრებს).

საინტერესოა საურთიერთო მოქმედების (İsteş Fiiller, Birbiriyle ve Birlikte) გამოხატვა ქართულსა და თურქულში. საურთიერთო მოქმედებას გადმოსცემს ნიშნები: **-ş, -ış, -iş, -uş, -üş**, რომელთაც თურქული ზმნის სისტემაში მრავალ

სხვადასხვა გრამატიკულ ფუნქციას ანიჭებენ, მაგრამ ისინი ძირითადად საურთიერთო მოქმედებას გამოხატავენ (Ergin M., 2009: 207). -**ş** გამოიყენება ხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებთან, **-ış, -iş, -uş, -üş** კი — თანხმოვანზე დაბოლოებულებთან (Hengirmen M., 1999:139-140; Korkmaz Z., 2009: 553; Banguoğlu T., 2000: 416). მაგალითად: **Gülecek** ნიშნავს „გაიცინებს“, **Gülüşecek** კი — „ერთად გაიცინებს“. ამ სუფიქსებთან რესიპროკის სემანტიკა არის მაშინ, როცა ერთი და იგივე მოქმედება ერთზე მეტ პირს მოითხოვს: **Arabaya zorlada olsa yetiştik** (მანქანას ძლივს დავეწიეთ). ამ წინადადების მიმართ ჩნდება კითხვა: არის თუ არა რესიპროკი **yetiştik** (დავეწიეთ)? ამის გასაგებად უნდა ვიცოდეთ ამ მოქმედების შესრულება ერთ პირს შეუძლია თუ არა. აქ რესიპროკი არ არის. სიტყვაში **öpmek** (კოცნა) > **öp-üş-mek** (ერთმანეთის კოცნა, გადაკოცნა) გადმოცემულია საურთიერთო მოქმედება, რადგან მოქმედების ჩამდენად იგულისხმება ორი პირი (Banguoğlu T., 2000: 417).

თურქულში ამოსავალი გარდამავალი ზმნა სათანადო სუფიქსის დართვისას გარდაუვალი ხდება და მოქმედება საურთიერთო მოქმედების ხასიათს იღებს. გვარის თვალსაზრისით საშუალო გვარის ზმნად გადაიქცევა (ე. კვანტალიანი, ნ. ჯანაშია 1999: 72). მაგალითად: ზმნა **Görmek** ნიშნავს „ნახვას“, **Görüşmek** კი — „ერთმანეთის ნახვას“, რასაც ქართულში ზმნა „შეხვედრა“ გამოხატავს. „შეხვედრა“ თურქულად ასე ითარგმნება "Birbiriyle görüşmek" (ერთმანეთთან შეხვედრა). თურქულში არ არის აუცილებელი სიტყვის **Birbiriyle** გამოყენება. თვით **Görüşmek** აღნიშნავს საურთიერთო მოქმედებას, რადგან მას დართული აქვს თურქულის საურთიერთო მოქმედების გამომხატველი ნიშანი **-ş**. გარდამავალი ამოსავალი ზმნა სუფიქსის დართვისას გარდაუვალი ხდება და საშუალო გვარის სახეობას ინარჩუნებს. ასეთივეა: **Ağlamak** — ტირილი, **Ağlaşmak** — ერთად ტირილი (იქვე, გვ. 73). ასეთ პირობებში მოქმედება ერთობლივი ქმედების ხასიათს იღებს. მაგალითად: **Şe-ადარებს (Benzerlik ve farklılıkları anlamak için birbiriyle karşılatıracak** — ერთმანეთთან შეაპირისპირებს მსგავსება-განსხვავების გამოსარკვევად); **Şe-ათანახწორებს (Birbiri ile karşılaştıracak** — შეუდარებს ერთმანეთს); **Şe-ატაკებს (1. Birbiriyle çarpıştıracak** — დააჯახებს); **Şe-აულღებს (Birbiriyle birleştirecek, evlendirecek** — შერთავს ერთმანეთს, — დააქორწინებს); **Şe-ათანხმებს (Birbiriyle anlaştıracak** — მოარიგებს)...

თურქულ ენაში **-ş** სუფიქსი დასტურდება მაზმნავებელ **la-/le-** ინფიქსთან ერთად და გამოხატავს საურთიერთო მოქმედებას. გამოიყოფა ორი ჯგუფი:

ა) ზმნები, რომლებშიც **la-ş-/le-ş-** სუფიქსისაგან **-ş-**ს გამოყოფა შესაძლებელია:

Esen-le-mek მისალმება.

Esen-le-ş-mek ურთიერთმისალმება, ურთიერთმოკითხვა.

İşaret-le-mek 1. ნიშნება, ნიშნის მიცემა, მითითება. 2. რაიმეს აღნიშვნა, დამოწმება.

İşaret-le-ş-mek ერთმანეთისათვის ნიშის, სიგნალის მიცემა.

Pazar-la-mak ბაზარზე დამკვიდრება, გასაღების ბაზრის პოვნა.

Pazar-la-ş-mak ვაჭრობა (ერთმანეთს ევაჭრებიან), შევაჭრება...

ბ) ზმნები, რომლებშიც **la-/le- ş-**ს საერთოდ არ დასტურდება:

Bir-le-ş-mek 1. შეერთება, გაერთიანება. 2. შეთანხმება.

Haber-leş-mek ურთიერთშეტყობინება, ერთმანეთისათვის გაგებინება, ამბის მიწდენა, მიწერ-მოწერა.

Mektup-laş-mak მიწერ-მოწერა.

Pay-laş-mak (ურთიერთშორის) გაყოფა, განაწილება, გაზიარება...

საურთიერთო მოქმედების სემანტიკის ამსახველი ქართულ-თურქული მასალის მიხედვით, ის, რაც ქართულში ძირითადად სხვადასხვა ზმნისწინით არის გადმოცემული, თურქულში გამოხატულია მარტივად და მყარად, ერთი მორფემის (-**ş-**სუფიქსის) ალომორფებით (პოზიციურად). ამ მასალის მიმოხილვა გვიჩვენებს თურქული ზმნის სიმარტივეს. რაც შეეხება ქართულ ზმნას, აქ ასე მარტივად არ არის საქმე. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ფუძეს, რითაც არის შეპირობებული საურთიერთო მოქმედების სემანტიკის მქონე სხვადასხვა ზმნისწინის გამოყენება (**შეამეგობრებს, წააჩხუბებს...**). ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს ქართული ზმნის სირთულესა და მრავალფეროვნებაზე.

ლიტერატურა

აფრიდონიძე 1985 — შ. აფრიდონიძე, ურთიერთობის გამომხატველი ზმნები, მათი ოპოზიციური ფორმები. თსუ შრომები. ი. ქავთარაძე „ენათმეცნიერება“, ტ. 262, №:9. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ვეშაპიძე 1967 — ი. ვეშაპიძე, ზმნისწინი ძველ ქართულში, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

კვანტალიანი 2003 — ც. კვანტალიანი, **შე-** ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება: კრებ. „ბესარიონ ჯორბენაძეს“, გოგოლაშვილი გ. (რედ.). თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.

კვანტალიანი, ჯანაშია 1999 — ე. კვანტალიანი, ნ. ჯანაშია, საურთიერთო მოქმედება, თურქული ენის სახელმძღვანელო. თბილისი: გამომცემლობა „ვერისი“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. VII-VIII. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1962-1964.

ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე 1988 — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

Banguoğlu 2000 — Banguoğlu T., Türkçenin Grameri, *Türk Dili Kurumu Yayınları*, Ankara.

Ergin 2009 — Ergin M., Türk Dil Bilgisi, *Bayrak Basım, Yayım, Tanıtım*, İstanbul.

Hengirmen 1999 — Hengirmen M., Yabancılar İçin Türkçe Dilbilgisi, *Engin Yayınevi*, Ankara.

Korkmaz 2009 — Korkmaz Z., Türkiye Türkçesi Grameri, Şekil Bilgisi, *Türk Dili Kurumu Yayınları*, Ankara,

Türkçe Sözlük I-II, 1992 — *Türk Dili Kurumu Yayınları*, İstanbul.

HARUN CHİMKE

Resiprocal Actions in Georgian and Turkish

S u m m a r y

1. Reciprocal content of the Georgian verb is expressed by different means: personal pronoun markers, passive **e-** prefix, **i/u** prefixes of other and **a-** prefix of upper location as well as preverbs. Besides gramatic tools or with them, we have to take into a consideration the resiprocal semantics within the verbs itself (Sh. Apridonidze).

2. These are reciprocal prefixes: **ga-**, **gada-**, **da-**, **mi-**, **ča-**, **še-**, **ča-**, **šemo-**. For example: **tça-abams** – "to tie together pieces of smth with rope, string"; **še-amegobrebs** – "will make someones friends to each other"; **ga-zels** – "to knead, mix two substances into one another"; **gada-çnavs** – "to braid, weave into one another"; **da-uaxlovdeba** – "will become close, will make friends with someone"; **še-tokavs** – "will tie someone/something with something"; **šemo-krebs** – "will gather something/someone around something".

3. It is of an interest to explore the reciprocal actions in Georgian and Turkish. The reciprocal semantics in Turkish is expressed by the following prepositions: **beraber** (with) and **birbiriyle** (with each other, together). For example: **gülecek** (**giulejek** - will smile) and **gülüşecek** (**gilulushejek** – "will smile with somebody").

Reciprocal action is also being expressed by the following signs: **-ş**, **-iş**, **-iş**, **-uş**, **-üş** (**-sh**, **-ish**, **-ush**). By adding an appropriate suffix, the basic transitional verb becomes intransitive and the action acquires the reciprocal feature. For example: **görmek** (to see, meet) – **görüşmek** ("to meet with each other") which in Georgian is expressed by the verb **shekhvedra** – "to meet each other".

The verb **şexvedra** – "to meet each other" is translated into Turkish as "**birbiriyle görüşmek**" ("meet with each other"). It is not obligatory in Turkish to use the word **Birbiriyle** ("with each other"). The word **Görüşmek** (**giorushmek**) itself expresses the reciprocal act as it is being added the **-ş** (**-sh**) sign of reciprocal action type.

როენა ქკადუა

-წლ..., -იელ...||-დელ... დაბოლოებიან ზმნათა მორფოსინტაქსური ანალიზისათვის სვანურში

სვანურში გარდაუვალ ზმნათა საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელთა ფუძის შემადგენლობაში **-წლ...** და **-იელ...** ელემენტები შედის, მკვლევართა მიერ განიხილება, როგორც საშუალო გვარის მედიაქტივისა და მედიაპასივის ფორმები. თუმცა არსებობს რამდენაღმე განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

ამ ტიპის ზმნებმა მკვლევართა ყურადღება მიიქციეს როგორც სტრუქტურის, ისე ნაკვთა წარმოების თავისებურებით. აგრეთვე, მათთან დაკავშირებული სინტაქსური კონსტრუქციების არაერთგვაროვნებით. სამეცნიერო ლიტერატურაში ვრცლად არის განხილული და სხვადასხვა თვალსაზრისებია გამოთქმული ზემოაღნიშნულ აფიქსთა გენეზისისა და ურთიერთმიმართების შესახებ. ვ. თოფურია მათ ელემენტებს უწოდებს და აწმყო დროის სუფიქსთა რანგში განიხილავს. მკვლევართა ნაწილი კი თემის ნიშნებად მიიჩნევს, მაგრამ „...თუ **-წლ** ან **-იელ** თემის ნიშნები არიან, მაშინ რა უნდათ მათ ნაკვთა II-ჯგუფის ფორმებში?“ — ასე სვამს საკითხს კლ. გაგუა, რომელმაც ვრცელი სტატია უძღვნა **-წლ** ელემენტთან ზმნებს (გაგუა 1988: 237). აღნიშნულ საკითხზე საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული აკ. შანიძეს, თ. შარაძენიძეს, ზ. ჭუმბურიძეს, მ. სუხიშვილს და სხვ.

-წლ... და **-იელ** ელემენტები სვანურში დაერთვის როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს. მათი ძირითადი ფუნქცია ობიექტის სიმრავლისა და მოქმედების ჩვეულებრივობის, მრავალგზისობის გამოხატვაა. გარდამავალ ზმნებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ამ ელემენტებს აწმყოს ფორმაში **-ი** სუფიქსი მოსდევს. გარდამავალ ზმნათა მორფონოლოგიური მოდელი ასეთია: **პირი ნიშანი + ხმოვანბრეფ. + ძირი + წლ... + ი**

მაგ: **ხუ-ა-ბანდ-წლ-ი** „გვერავ“, „ვბლანდავ“

დადა ჭუინელ ლერქუწარს აბანდწლი (ბზ.) „ბებია ძველმანებს (ძველ ტანსაცმელს) კერავს (ბლანდავს)“.

ხ-ა-წმ-წლ-ი — „აზომებს“

დედე გეზღორს ჩაფლარს ხაწმწლი (ბზ.) „დედა შვილებს ფეხსაცმელებს აზომებს“.

ლინთუისგა ჟეთხმწალს ჩილადედ აშხუნ ათუნწლის (ბქ.) ზამთარში სა-
ქონელს დღეში ერთხელ (ყოველდღე ერთხელ) არწყულებენ“.

ტაბლწლარსი ეჩიჟუ ანყაწლის (ლმხ.) „ტაბლებსაც იქ აცხობენ ხოლმე“

ჩიაგ ნებოლწლს არმწლი (ლნტ.) „ყველგან ჩიტებს იჭერს“.

რაც შეეხება **-წლ...** ელემენტიან გარდაუვალ ზმნებს, აუსლაუტში, რო-
გორც წესი, ნულოვანი ალომორფით გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ვნებითი
გვარის ფორმები, რომლებიც ამ ზმნათა წარმოებას უდევს საფუძვლად, მცირე
გამონაკლისის გარდა, **-ი** სუფიქსით ბოლოვდება.

ი-ბგ-ი — ი-ბგ-წლ „მაგრდება“, „მხნევდება“

ი-გწი-ი — ი-გწი-წლ „იწევა“, „ქანაობს“

ი-გურ-ან-ი — ი-გურ-ან-წლ „გორდება“, „გორაობს“

გ. თოფურის თვალსაზრისით **იმარწლ** ტიპის (ე. ი. **-წლ...-იანი**) ზმნები
-წლ ელემენტს იკვეცენ და ვნებითდებიან. კლ. გაგუას ვარაუდით კი — პირი-
ქით, ვნებითები ივსებენ ფორმებს **წლ-იანი** ზმნებით. ვფიქრობთ, ეს უკანასკნე-
ლი თვალსაზრისი უფრო მართებული უნდა იყოს, რადგანაც თანამედროვე
სვანურში **-წლ...**, ელემენტიანი წარმოება ერთობ პროდუქტიულია (ოღენ პრე-
ფიქსიანი უფრო ძველი წარმოებისა ჩანს) და ზემოაღნიშნულ ზმნათა მთელი
სისტემა ჩამოყალიბებული. ქართულიდან სულ ახალახან შესული ზმნური ლექ-
სემები სვანურში სრულიად ბუნებრივად მოექცევა **-წლ-** ან ზმნათა ყალიბში:

ცოდვილობს — ი-ცუდილ-წლ

ხარბობს — ი-ხერბ-წლ

საბრალლობს — ი-სბრ-წლ

და ა. შ.

-წლ... და **-იწლ...** ელემენტიან, გარდაუვალ ზმნათა მორფონოლოგიური
მოდელი აწმყოში ასეთი სახისაა:

ერთპირიანები — **პირის ნიშანი + ი ხმოვ. პრეფ. + ძირი + -წლ...**

ორპირიანები — **პირის ნიშანი + ე ხმოვ. პრეფ. + ძირი + -წლ...**

როგორც წარმოდგენილი მოდელებიდან ჩანს, აბსოლუტურ და რელატი-
ურ ზმნათა ფორმებში მხოლოდ პრეფიქსებია განსხვავებული. აბსოლუტურებ-
ში, როგორც შესაბამისი ვნებითის ფორმებში, ფიქსირდება **-ი-**, ხოლო რელა-
ტიურებში — **-ე-**.

საზოგადოდ, როგორც აკ. შანიძე აღნიშნავს, „...თუ ზმნას **ი** პრეფიქსი
აქვს და მისი **ე**-დ შეცვლა შეიძლება, პასივის ფორმებთან გვაქვს საქმე“ (შანი-
ძე 1980: 299). აღნიშნულ ფორმათა პრეფიქსული დაპირისპირების გამო, ბ.
ჯორბენაძე ვნებითის ფორმების ნაირსახეობად მიიჩნევს **-წლ-იან** ზმნებს, თუმ-
ცა იქვე გახაზავს მათ მედიალურ ფუნქციას.

არავინ დავობს იმის შესახებ, რომ **ე**-პრეფიქსიან ზმნურ ლექსემებში აქ-
ტიური სემანტიკა ჭარბობს და სუბიექტი აქ არა ზმნური ქმედების განმცდე-

ლი, არამედ თვითონაა მეტნაკლებად მოქმედი.

ვნებითის ფორმათა ასეთი სხვადასხვაგვარი გრამატიკული მნიშვნელობა ასახულია განსახილველ ზმნებში. კერძოდ, საკუთრივ ვნებითთა შესაბამის -წლ...-იან ფორმებში გადმოცემულია მოქმედების დაწყებითობა, მდგომარეობის ცვლა, სტატიკურობა და ა. შ.

იფრ-ი	„ხმება“	—	ი-ფრ-წლ	„(თითქმის) ხმება“
ი-ფუინ-ი	„დუღდება“	—	ი-ფუინ-წლ	„(თითქმის) დუღდება“
ი-შუი-ი	„ინთება“	—	ი-შუ-წლ	„(თითქმის) ინთება“
ხ-ე-ფრ-ი	„უხმება“	—	ხ-ე-ფრ-წლ	„(თითქმის) უხმება“
ხ-ე-ფუინ-ი	„უდუღდება“	—	ხ-ე-ფუინ-წლ	„(თითქმის) უდუღდება“
ხ-ე-შუ-ი	„ენთება“	—	ხ-ე-შუ-წლ	„(თითქმის) ენთება“

უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ თარგმანში ძნელია იმ ნიუანსის გადმოტანა, რაც ამ ზმნებს ახასიათებთ სვანურში.

მოქმედების მიმდინარეობას გამოხატავენ ფერთა აღმნიშვნელი სახელები-საგან ნაწარმოები ზმნური სტრუქტურებიც.

ი-წრან-ი	„წითლდება“	—	ი-წრან-წლ
ხ-ე-წრან-ი	„უწითლდება“	—	ხ-ე-წრან-წლ
ი-თთუნ-ი	„თეთრდება“	—	ი-თთუნ-წლ
ი-მშხ-ი	„შავდება“	—	ი-მშხ-წლ

მოქმედების მიმდინარეობის პროცესს გახაზავენ ფუძედრეკადი კატეგორიის -წლ-იანი ზმნებიც:

შდეს-ნ-ი	„მთავრდება“	—	ი-შდეს-წლ	„ესეაა მთავრდება“
ქრეც-ნ-ი	„იჭრება“	—	ი-ქრეც-წლ	„ესეაა ოგა ¹ ჭრება“

აღნიშნულ ზმნებს სტატიკურობის ელფერს აძლევს სწორედ, მოქმედების პროცესის გამოხატვა. როგორც მ. მაჭავარიანი წერს: „სტატიკური შეიძლება იყოს პროცესი“ (მაჭავარიანი 1981: 65). კლ. გაგუა მიუთითებს, რომ „...ზმნებში, რომელთაც ეს აფიქსები მოუღიოთ (-წლ..., -იელ...) თითქოს სტატიკურობის მეტი ხარისხია წარმოდგენილი“ (გაგუა 1988: 239).

ამ ზმნათა სტატიკური შინაარსი განაპირობებს მათ დრონაკლულობას: ეწარმოებათ, ძირითადად, I სერიის ფორმები.

აქტიური სემანტიკის ზმნები, რომლებიც საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი, უღლებს სრული პარადიგმით ხასიათდებიან. ერთპირიანთა სპეციფიკას წარმოადგენს მოთხრობით ბრუნვიანი სუბიექტი მეორე სერიაში,

ხოლო მესამეში — ჩვეულებრივი ინვერსიული ფორმები მიცემითბრუნვიანი სუბიექტით. მაგ.:

ი-გურან-წლ „გორაობს“ „კოტრიალობს“ (ეჯა „ის“) — **ლმ-გურან-ალ-ე** „იკოტრიალა“ (ეჯნემ „მან“), — **ლო-ხ-გურან-წლ-ა** „უკოტრიალია“ (ეჯას „მას“).

ი-ზრინ-გ-წლ „გაიწ-გამოიწევს“ (ეჯა, ის) — **ლმ-გ-ზრინ-გ-წლ-ე** „გაიწ-გამო-იწია“ (ეჯნემ „მან“) — **ლო-ხ-ზრინ-გ-წლ-ა** „გაიწ-გამოუწევია“ (ეჯას, „მას“).

ი-სტლუნ-წლ „ბანაობს“ (ეჯა „ის“) — **ლმ-გ-სტლუნ-წლ-ე** „იბანავა“ (ეჯნემ „მან“) — **ლო-ხ-სტლუნ-წლ-ა** „უბანავია“ (ეჯას „მას“).

ამ ტიპის -ე- პრეფიქსიანებს აწმყოში სახელობითბრუნვიანი სუბიექტი და მიც. ბრუნვიანი ობიექტი ახლავს, წყვეტილში — მოთხრობითბრუნვიანი სუბიექტი და მიც. ბრუნვიანი ობიექტი, ხოლო თურმეობითებში — მხოლოდ სახელობითბრუნვიანი სუბიექტი მაგ.:

ხ-ე-ბურჯ-იწლ „ეჩქინება“ (ეჯა ეჯას „ის მას“) — **ლა-ხ-ბურჯ-იწლ-ე** „ურ-ქინა“ (ეჯნემ ეჯას „მან მას“) — **ლო-ხ-ბურჯ-იწლ-ა** „ურქენია“ [ეჯას (ეჯნარდ „მას (მისთვის)“ „მას (მისთვის)“ „მას (მისთვის)“].

ხ-ე-გენგჳჩ-იწლ „ეჩჩინება“ (ეჯა ეჯას „ის მას“) — **ლა-ხ-გენგჳჩ-იწლ-ე** „ეჩჩინა“ (ეჯნემ ეჯას „მან მას“) — **ლო-ხ-გენგჳჩ-იწლ-ა** „უჩჩინია“ [ეჯას (ეჯნარდ)].

განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული **წლ...-იანი** წარმოების აქტიური ზმნები ჩოლურში:

ი-ჯუნჯუ-ალ — **ხ-ე-ჯუნჯუ-ალ** „მოხრილი დადის — მოხრილი დაუდის“.

ი-ბენცულ-ალ „უსაქმურობს“, **ი-ბერბეტ-ალ** „დაბანცალობს“, **ი-შტჳლან-იელ** „უხეშობს“, **ხ-ე-შტჳლან-იელ** „ეუხეშება“, **ი-შურთ-ან-იელ** „თავნებობს“ და ა. შ.

გამონაკლისის სახით შეიძლება აქტიური სემანტიკის ზმნებს II — სერიაში პა-სივის **წწ** ფორმატიანი სტრუქტურა და ნომინატიური კონსტრუქცია ჰქონდეთ:

ი-ქუთუნ-წლ „ინძრევა“ (ეჯა „ის“) — **წდ-ქუთუნ-წლ-წწ** (ეჯა, „ის“) „შეინძრა“.

ვნებითი გვარის ფორმებით ივსებენ მეორე სერიის მწკრივებს მეტეოროლოგიური მოვლენების გადმომცემი ზმნები (გაგუა 1988: 232). მეორე სერიაში გამოყენებული ფორმების მიხედვით ყოფენ მეცნიერები ზემოთ განხილულ ზმნებს მედიოაქტივებად და მედიოპასივებად, თუმცა დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წყვეტილის ფორმებში ფიქსირდება როგორც **-ალ** (მედიოაქტივის ფორმათა მსგავსად), ისე **-ან** (მედიოპასივის ფორმათა დამახასიათებელი). მაგ.: **წწწ-მარ-წლ-ან** „გაემზადა, იხაბაზა“, **წდ-წუთილ-წლ-წწ** „გათხოვდა“.

ჩვენი ვარაუდით, აწმყოში პარალელური ფორმების არსებობამ განაპირობა მეორე სერიის ფორმათა არაერთგვაროვნება. მაგ.: **ი-მწრ-ი** და **ი-მწრ-წლ** ფორმებისთვის წყვეტილში გვაქვს მხოლოდ **წწ-მწრ-წწ**. ძნელი სათქმელია, რომ **წწ-მწრ-წწ** ფორმა მაინცდამაინც **ი-მწრ-წლ**-ს მიეკუთვნება და ამ უკანასკნელის შემავსებელ ფორმას წარმოადგენს. ასევეა **ი-რჳ-ი** და **ი-რჳ-წლ** (წყვეტილი **წდ-რჳ-წწ**), ასევე **ი-მწოდ-წლ** „თავს იმართლებს“, აწმყოში პარალელურად დას-

ტურდება **ი-მწოდ-ი** ფორმა, იმავე სემანტიკით, ხოლო წყვეტილში გვაქვს **ან-მაწუდ-ან** „თავი გაიმართლა“, რომელიც აწმყოში წარმოდგენილ პარალელურ ფორმებს, ორივეს (**ალიანსაც** და **უ-ალოსაც**) შეიძლება მივუსადაგოთ. მსგავსი მაგალითები საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება სვანურში. ვფიქრობთ, პრეფიქსიანი და **-წლ...** ელემენტებიანი ზმნები შედარებით გვიან არის წარმოქმნილი. მათი უღლება ჩამოყალიბების პროცესშია, ისევე როგორც გრამატიკული მნიშვნელობანი. ჩვენი ვარაუდით, ეს არის მიზეზი მთელი რიგი თავისებურებებისა, რაც ამ ზმნებს ახასიათებს.

იშვიათია შემთხვევა, რომ **-წლ...** ელემენტებიანი საერთო მოდელის ზმნებში **-ი-** და **-ე-** პრეფიქსული დაპირისპირების წყვილი არ გვქონდეს, სადაც **ინიან** ფორმებში მოქმედება საარვისოდ მიემართება, ხოლო **ენიანებში** კი სასხვისოდ (მიცემითბრუნვიან ობიექტისაკენ), სწორედ ისე, როგორც **ინიან-ენიან** ვნებითებში გვაქვს.

ი-ნსგლ-წლ — **ხ-ე-ნსგლ-წლ** „სქელდება — უსქელდება“ (**ი-ნსგლ-ი** — **ხ-ე-ნსგლ-ი**)

ი-ფრ-წლ — **ხ-ე-ფრ-წლ** „ხმება — უხმება“ (**ი-ფრ-ი** — **ხ-ე-ფრ-ი**)

ი-წრან-წლ — **ხ-ე-წრან-წლ** „წითლდება — უწითლდება“ (**ი-წრან-ი** — **ხ-ე-წრან-ი**)

ი-ქუც-წლ — **ხ-ე-ქუც-წლ** „წყდება — უწყდება“ (**ქუც-ი** — **ხ-ე-ქუც-ი**)

ი-მბან-წლ — **ხ-ე-მბან-წლ** „იფიცება — ეფიცება“ (**ი-მბან-ი** — **ხ-ე-მბან-ი**)

ი-ტულ-იელ — **ხ-ე-ტულ-იელ** „ყვირის — უყვირის“ (**ი-ტულ-ი** — **ხ-ე-ტულ-ი**)

ი-ჰყინლ-აელ — **ხ-ე-ჰყინლ-აელ** „ჰყივის — დასჰყივის“ (**ი-ჰყინლ-ი** — **ხ-ე-ჰყინლ-ი**) და ა. შ.

საკმაოდ დიდი რაოდენობა მედიოაქტივებად სახელდებული ზმნებისა, აწმყოში წარმოდგენილია მხოლოდ **-წლ...** ელემენტდართულად: **ი-ლყაფ-წლ** — **ხ-ე-ლყაფ-წლ** „მასხრობს — ემასხრება“, **ი-წრ-წლ** — **ხ-ე-წრ-წლ** „იგინება — აგინებს“, **ი-კბ-წლ** — **ხ-ე-კბ-წლ** „(ფერაობს)“ — ეფერება“, **ი-ცჷ-წლ** — **ხ-ე-ცჷ-წლ** „ჩხუბობს — ეჩხუბება“ და სხვ.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი რაც ამ ზმნებთან დაკავშირებით წარმოჩინდება, გახლავთ ობიექტის ქონა-არქონა შესიტყვებაში. ეს საკითხი სათანადოდ აქვს განხილული მ. სუხივილის წერილში „უახლოესი ობიექტის დაკარგვის შემთხვევები სვანურში“. როგორც სტატიის დასახელებიდან ჩანს, მეცნიერი თვლის, რომ მოთხრობითსუბიექტიანი ზმნებთან (მათ შორის **-წლ-** იანებთანაც), უახლოესი ობიექტი უნდა ვივარაუდოთ და მისი არქონა მეორეულ მოვლენად მივიჩნიოთ. **-ალიანი** ზმნების პარალელურად ავტორი ეხება **-ე** და **-ი** დაბოლოებისა ზმნებს, რომლებიც ძირითადად გარდამავალ სათავისო ქცევის ფორმებს წარმოადგენენ [**ი-გმარ-ი** „იყენებს“ (ეჯა ეჯას „ის მას“) — **ან-გვმრ-ე** „გამოიყენა“ (ეჯნემ ეჯა — მან ის“)...]. ამ ზმნებისთვის ეგატიული კონსტრუქცია ჩვეულებრივია მეორე სერიაში. რაც შეეხება **-წლ-**იანებს, მართალია, მათ

წყვეტილში ერგატიული კონსტრუქცია აქვთ და შესაბამისად შეუძლიათ უახლოესი ობიექტი გაიჩინონ თითქმის ყველა დიალექტში, მაგრამ ლახამულურ კილოკავში, სადაც სხვადასხვა ასპექტში არქაული ფორმაწარმოებაა შემონახული, პარალელურად წყვეტილში ასეთ ზმნებთან ნომინატიური კონსტრუქციაც დასტურდება:

ი-ზელ-წლ „დადის“ — წყვეტ. **წდ-ზელ-წლ-ე** ბზ., **ლე-მ-ზელ-ალ-ე** ლზზ., **ლა-მ-ზელ-ალ-ე** ლნტ., (ეჯნემ), ლახამულურში: **ლა-მ-ზელა-ალ-ე** (ეჯნემ) — II **ლა-მ-ზელ-ალ** (ეჯი),

ი-შდრ-წლ „თამაშობს“ — ლზზ. **წდ-შდრ-ალ-ე** (ეჯნემ) II **წდ-შდრ-ალ** (ეჯი)

ი-ტბიდ-წლ „თბება ცეცხლთან“ — ლზზ. **ლა-მ-ტებდ-ალ-ე** (ეჯნემ) II **ლა-მ-ტებდ-წლ** (ეჯი).

ვფიქრობთ, პირვანდელი ვითარება სწორედ ლახამულურშია შემონახული. ერგატიული კონსტრუქციის მქონებლობა გარდამავალ -წლიან ზმნათა ანალოგიით განვითარდა გარდაუვალებშიც. ჩვენი ვარაუდი ემყრება მ. ქალდანის შემდეგ მოსაზრებას: „ბალსზემოურში უნიფიკაციის ტენდენციას გარდაუვალი ზმნების წარმოება დაუჩრდილავს, გარდამავლების წარმოებაზე დაუყვანია“ (ქალდანი 1978: 154).

ე- პრეფიქსიანი ზმნები, მოგვსენებათ, ქართულშიც სხვადასხვა ასპექტით იქცევეს ყურადღებას. ერთ-ერთი გახლავთ ურთიერთობის სემანტიკა, რომელსაც **ელაპარაკება**, **ეჩხუბება** ტიპის გარდაუვალი ზმნები გადმოსცემენ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ასეთ სიტუაციებს სემანტიკურად ორი ან მეტი თანასუბიექტი ჰყავთ. კერძოდ, თუ მრავლობითი რიცხვის საოპოზიციო ფორმებს მიცემით ბრუნვაში დასმულ საურთიერთო ნაცვალსახელს „ერთმანეთს“ დავურთავთ, მათ განსხვავებული, რეციპროკული შინაარსი მიეცემათ (შ. აფრიდონიძე, ი. ასათიანი, დ. მელიქიშვილი, მ. სუხიშვილი და...). მაგალითად: **ლაპარაკობენ** (ისინი ერთმანეთთან) — **ელაპარაკებიან** (ისინი ერთმანეთს).

იგივე ვითარება გვაქვს სვანურშიც:

ხ-ე-ჩემაჟ-ალ — „ექადნება“, „ემუქრება“.

მეცუალა უშხუარ ხეჩემაჟალს (ლზზ.) „მოჩხუბრები ერთმანეთს ემუქრებიან“.

ხ-ე-მშედ-წლ შველის, ეხმარება.

ლახუბა უშხუარ ხემშედალს — „ძმები ერთმანეთს ეხმარებიან“.

ამგვარი საურთიერთო მიმართების გამომხატველი ზმნების გარდა, სვანურში გვაქვს ოდენ მრავლობითი (pluralia tantum) ი- პრეფიქსიანი ფორმები, რომელთაც ნაცვალსახელის დართვის გარეშეც გააჩნიათ რეციპროკული შინაარსი:

ი-თხ-წლ-ხ — „შეხვდებიან, ერთმანეთს შეეყრებიან“

ი-ყულურ-წლ-ხ — „შორდებიან, სცილდებიან“

რგჰი ი ბური ჩილადედ ითხწლხ ი იყულურწლხ — „ნათელი და ბნელი ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს და შორდებიან (ქართულ თარგმანში ამ შემთხვევაში გვჭირდება საურთიერთო ნაცვალსახელის გამოყენება, სვანურში კი

ამ უკანასკნელის გარეშეც კარგად ჩანს აღნიშნული მიმართება).

ი-კერძ-ი-ხ — „ნათესავდებიან, მოყვრდებიან“ **უაბშარ ი ჩუაბშარ ჩუაბკერძანხ** — ზემოთურები და ქვემოთურები დანათესავდნენ.

ი-მკეთ-წლ-ხ — „მოყვრდებიან“, „მეგობრდებიან“. **ემსუ მუჩბეკეუ ი მსუშ-გუილ აღმკეთელის** — „ერთი ჩუბხეველი და უშუალო დამეგობრებულან“.

საურთიერთო მიმართებას გადმოსცემენ შემდეგი ოდენ- მრავლობითი ფორმებიც: **ი-ლმატარ-წლ-ხ** „სიყვარულობენ“, **ი-ნ-ზორ-წლ-ხ** „იკრიბებიან“, **ი-ჭარ-წლ-ხ** „ფერხულობენ“ და ა. შ.

გვიქრობთ, საურთიერთო სემანტიკა ყველაზე ნათლად ამგვარ ზმნებშია გადმოცემული. რეციპოკული მიმართების გადმოსაცემად შესიტყვებაში მათ არ სჭირდებათ საურთიერთო ნაცვალსახელის დართვა და კოოსუბიექტები (თანა-ბარუფლებიანი სუბიექტები) იმთავითვე იგულისხმება.

ლიტერატურა

აფრიდონიძე 1985 — შ. აფრიდონიძე, ურთიერთობის გამომხატველი ზმნები და მათი ოპოზიციური ფორმები, თსუ შრომები, ენათმეცნიერება, ტ. 262, თბილისი.

გაგუა 1988 — კლ. გაგუა, საშუალო გვარის ზმნათა ერთი სახეობისათვის სვანურში, იკე, XXVII, თბილისი.

თოფურია 1967 — ვ. თოფურია, შრომები I, სვანური ენა, თბილისი.

მაჭავარიანი 1981 — მ. მაჭავარიანი, მოქმედების, პროცესის და მდგომარეობის ცნებების განსაზღვრისათვის, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, VI, თბილისი.

მელიქიშვილი 2001 — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი.

სუხიშვილი 1988 — მ. სუხიშვილი, უახლოესი ობიექტის დაკარგვის შემთხვევები სვანურში, საქ. მეცნ. აკად. მაცნე ენისა და ლიტ-ის სერია, I, თბილისი.

სუხიშვილი 2011 — მ. სუხიშვილი, გვარის კატეგორიის კერძო შემთხვევები, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი.

შანიძე 1980 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, III, თბილისი.

ქალდანი 1978 — მ. ქალდანი, აორისტის წარმოება სვანურში, იკე, XX, თბილისი.

ROENA CHKADUA**Towards Morpho-Syntactic Analysis of the
Verbs with -ǎl, -iēl || jēl Ending in Svan****S u m m a r y**

One parts of the verbs the stem of which contains -ǎl- and -iēl elements is considered to be the medio-active and medio-passive forms of a middle voice. Owing to prefixal opposition of -i- and e- the mentioned verbal structures are also considered to be the varieties of passive forms, though a medial nature of these verbs is also underlined. A range of peculiarities that are characteristic of the verbs with -ǎl... and -iēl... elements makes me to consider, that this type is formed later and their conjugation as a grammatical meaning is in forming process.

ნინო ხახიაშვილი

**ზმნური წარმომავლობის ზოგი ტერმინისათვის ქართულში
(დაფარნა, გარდამოსხნა)**

ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების სხვადასხვა გზა არსებობს: ახალი სიტყვების წარმოქმნა (სიტყვაწარმოება), სიტყვის მნიშვნელობის ცვლა, ახალი სიტყვების შემოსვლა ენაში (სესხება)... წარმოქმნის სხვადასხვა სახეა ცნობილი: აფიქსაცია, კომპოზიცია, რედუქციაცია (ფუძეთგანმეორება), შინაგანი ფლექსია (ფუძედრეკადობა) და სხვ.

პირიანი ფორმისგან სახელის წარმოებას თუმცა არ ვხვდებით ახალ ქართულში, მაგრამ იგი უჩვეულო არ იყო ძველი ქართულისთვის: „ეგების გვკითხონ: შეიძლება კი, რომ ზმნის ფორმა გამოყენებულ იქნეს ქართულში სახელად? — რატომ არა!.. თავი რომ დავანებოთ ისეთ ზმნის ფორმებს, რომლებიც საკუთარ სახელად ქცეულა ქართულში, როგორცაა: ღვთისავარ, მინდი (მინდია), გამიხარდი, მახარე, გამახელა, გინდრა (= გინდ რა), მეწყინა (ქალის სახ.), კმარა (ქალის სახ.), მინდა (ქალის სახ.), ქალუნდა (= ქალი უნდა)¹, ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ იმისი მაგალითებიც, რომ სახელად აწმყოს თხრობითის III პირის ფორმა იყოს ქცეული იმგვარადვე, როგორც ხერთვისი;² ესენია: ღირს-ი, არს-ი და მსგავს-ი. ამ მაგალითებში ღირსისა და არსის წარმოება ნათელია (ღირს-ი < ღირ-ს-ი : ვ-ღირ, ჰ-ღირ, ღირ-ს; არს-ი < არ-ს-ი: ვ-არ, ხ-არ, არ-ს...)“ — წერდა აკაკი შანიძე ნაშრომში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში (S₂O₃)“ (შანიძე 1981: 273).

დღეს სალიტერატურო ქართულში ფართოდ გავრცელებული სიტყვების გვერდით, როგორებიცაა: არსი, ღირსი, მრწამსი, ვარგისი, იკითხვისი, უწყისი, ნუგეში (ძვ. ნუგეშინი < ნუ გეშინის)..., არსებობს ენაში უძველესი დროიდან შემონახული მსგავსი წარმოების ნაკლებცნობილი სახელები: იძრვისი „რაც მოძრავია“ (საბა), იქცევისი „მბრუნავი“ (საბა); იქვრვისი „მიკრიკი“ (საბა),

¹ ქრისტესა-ც ამავე ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს... ქრისტესია < ქრისტესი არს... თითქო ასეთივე წარმოებისაა არაშენდა სოფლის სახელიც (იქვე, 273).

² ხერთვისი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო წყლების შესართავთან მდებარე ადგილი, შემდეგ ორ წყალს შუა მდებარე ადგილი, ნახევარ კუნძული, კუნძული... (იქვე, 273).

რომლის ფუძეა ქარი > *ი-ქრ-ივ-ის > იქვრივის (შანიძე 1973: 615)... ასევე, ქრისტიანულ ტერმინოლოგიაში: მრწამსი, ღირსარსი, გიხაროდენი, მიწყალე, ღაღადყავი, დიდხარი, აქებდითი, აკურთხევსი, ნეტარარინი... და სხვ. ეს ქრისტიანული ტერმინები წარმოადგენს იმ ფსალმუნთა (საკითხავთა, საგალობელთა) საწყის (ან ძირითადი არსის აღმნიშვნელ) სიტყვებს, რომლებიც იგალობებოდა (ან იკითხებოდა) ღვთისმსახურების დროს: მრწამსი: „მრწამს ერთი ღმერთი...“, ღირსარსი: „ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ, ღვთისმშობელო...“, გიხაროდენი: „ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა...“, მიწყალე: „მიწყალე მე, ღმერთო დიდთა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალეებითა შენითა აღზოცე უსჯულოებანი ჩემნი...“ (ფსალმ. 50), ღაღადყავი: „უფალო, ღაღად-ყავ შენდამი...“, დიდხარი: „დიდ-ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი...“, აქებდითი: „აქებდით უფალსა...“, აკურთხევსი: „აკურთხევს სული ჩემი უფალსა...“, ნეტარ-არინი (უბიწონი): „ნეტარ-არინ უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან შჯულსა უფლისასა“ (ფსალმ. 118) და ა.შ. (საეკლ. ტერმ. 2003).

ასეთივე (მსგავსი) წარმომავლობის ჩანს სახელები: **დაფარნა** და **გარდამოხსნა**.

დაფარნა „სიწმიდის საფარებელი“ (საბა); „ბარძიმ-ფეშხუმის გადასაფარებელი ქსოვილი, უმეტესად ნაქარგი“ (მართლ. ენციკლ. 2007); **გარდამოხსნა** „იოსებ არიმათიელის მიერ ჯვარცმული ქრისტეს ჯვარიდან ჩამოხსნის (ძვ. გარდამოხსნის) მომენტი, რომელიც ოთხივე სახარებაშია აღწერილი. გარდამოხსნა ეწოდება აგრეთვე ამ მოვლენის ფერწერულ გამოსახულებას, ჭედურობას, ნაქარგობას და ა. შ.“ (მართლ. ენციკლ. 2007); „გარდამოხსნა ეწოდება გარკვეული სიუჟეტით მორთულ ქსოვილს — არდაგს, რომელსაც მართლმადიდებლურ ეკლესიაში წითელი პარასკევისა და დიდი შაბათის ღვთისმსახურების დროს იყენებენ. იგი სიმბოლურად გამოხატავს იმ ტილოს („არდაგს“, „არმენაკსა წმიდასა“), რომლითაც იოსებ არიმათიელმა ჯვრიდან გარდამოხსნილი ქრისტე „წარგრაგნა“ საფლავს დადების წინ, „ვითარცა ჩუქულება არს ურიათა დაფლვისა“ (ქართ. ნაქარგობა 2011: 26).

დაფარნა და გარდამოხსნა იდენტური წარმომავლობისაა, როგორც ეს აღნიშნულია უკვე სათანადო ლიტერატურაში, **დაფარნა** ტერმინის დამკვიდრება უნდა გამოეწვიოს ამ ტიპის ძეგლებზე ამოქარგული ლიტურგიკული წარწერების საწყისი სიტყვის ხშირ ხმარებას: „დაფარნა ცანი შუენიერებამან შენმან, ქრისტე, და ქებითა შენითა აღივსო ქვეყანა“ (ამ ლოცვებს წარმოთქვამს მღვდელი ქსოვილით ბარძიმის დაფარვისას). დროთა ვითარებაში მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა — ზმნის პირიანი ფორმა (დაფარნა) — ამ ნივთის საკუთარ სახელად იქცა. ასევე — **გარდამოხსნაც**: „საეკლესიო საბურველი, რომელზედაც „დატირების“ კომპოზიცია იყო გამოსახული და რომელსაც შე-

მდგომ „გარდამოხსნა“ დაერქვა, ისტორიულად წარმოიშვა და ჩამოყალიბდა საეკლესიო დანიშნულების საფარებლისაგან — სახელწოდებით „დაფარნა“ — და მათი (ე. ი. დაფარნა—გარდამოხსნების) ფუნქციები და ტერმინოლოგიური გაყოფა XVII საუკუნის დასაწყისისათვის საბოლოოდ დასრულდა (ბარათაშვილი 2010: 24).

არსებობს დიდი და პატარა დაფარნა. ბერძნულში მათთვის სპეციალური ტერმინებია: დიდისთვის — *aer*, პატარებისთვის ზოგადად — *kalemma*. გვხვდება მათი უფრო კონკრეტული სახელებიც: *diskokalemma* (ფეშხუმის დაფარნა) და *poterokalemma* (ბარძიმის დაფარნა). ასევეა რუსულშიც: დიდ დაფარნას *воздух*-ს უწოდებენ, პატარას — *судар*-ს, ან *покровец*-ს. შესაბამისად, ქართულში რამდენიმე სახელია დაფიქსირებული: „საბურველი“, „პერექელი“ (< ბერძნ. *perekalomma* „საფარებელი, საბურველი“), „ცაჲ“ და „დაფარნა“.

ტერმინი „პერექელი“ XII ს-ის ქართულ საეკლესიო ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებული ჩანს. იგი მოხსენიებულია „დიდი სჯულის კანონში“ საეკლესიო დანიშნულების სხვა სიწმიდეებთან ერთად: „განსაზღვრა წმიდამან კრებამან, რაჲთა წმიდაჲ ესე ბარძიმი ანუ ფეშხუმი, ანუ მარწუხი, ანუ სამღდელოდ შესამოსელი საკურთხევისაჲ, ანუ პერექელი, ანუ ცაჲ, ანუ რაჲცა რაჲ შინაგან საკურთხევისა სამსახურებელთა წმიდათა ჭურჭელთაგან ანუ შესამოსელთაჲ თჳსად მიიტაცონ...“

პერექელი წყვილად იქარგებოდა და განკუთვნილი იყო ბარძიმისა და ფეშხუმის საფარებელად. ზემოთ მოხმობილ ციტატაში „პერექელთან“ ერთად ნახსენებია მეორე სიტყვაც — „ცაჲ“, დასახელებული წიგნის თანდართულ ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებულია როგორც „გარდასაფანელი — (*aer*)“ ანუ დაფარნა. დიდი დაფარნის სახელად „ცაჲ“ მოხსენიებულია პეტრე მოციქულის ჟამისწირვამიც, რომლის თანახმადაც, მღვდელმა „მრწამსის“ გალობისას უნდა „ადიპყრას ცაჲ“. „ცაჲ“ წარმოადგენდა დაფარნის წინამორბედ ტერმინს, მაგრამ როდის მოხდა „ცაჲს“ „დაფარნით“ შეცვლა, დადგენილი არ არის. თუმცა, ცნობილია, რომ ეს უნდა გამოეწვია ამ ტიპის ძეგლებზე ამოქარგულ ლიტურგიკული წარწერების საწყისი სიტყვის ხშირ ხმარებას. XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ტერმინი „დაფარნა“ სამივე საფარებლის საერთო სახელად იქცა (ბარათაშვილი 2010: 31-34).

დაფარნათა შესწავლისას მკვლევარი ვერც გარდამოხსნას აუვლის გვერდს მათი იდენტური წარმომავლობის გამო, — აღნიშნავს გ. ბარათაშვილი, — ადრეული პერიოდის მონუმენტური ქარგულობით მორთული დაფარნა და გარდამოხსნა ურთიერთდაკავშირებული იყო არა მხოლოდ როგორც საღვთისმსახურო—სარიტუალო შესამოსელი, არამედ ზედ გამოსახული იკონოგრაფიული პროგრამითაც. ჯერ-ჯერობით დაუდგენელია პირველად როდის დაიწყო ამ ძეგლთა მორთვა „დატირების“ ან „კუბოთდების“ კომპოზიციებით. ვ. ბერიძის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო არა უადრეს XII-XIII საუ-

კუნებისა (ბერიძე 1983: 11). მათი წარმომავლობა ბიზანტიას უკავშირდება, საიდანაც გავრცელდა სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოშიც. დაფარნა და გარდამოხსნა, თანამედროვე გაგებით, დიდხანს არ განიორჩეოდა ერთმანეთისაგან როგორც ზომით, ისე მათზე შესრულებული სცენებითაც: არდაგზე დასვენებული მაცხოვარი, თავთან ან უკანა პლანზე — ღვთისმშობელი ან მოტირალი დედანი, ფეხებთან — იოანე მახარებელი, იოსებ არიმათიელი და, რიგ შემთხვევაში, — ნიკოდიმოსი, დამატებით — სხვა პერსონაჟები თუ ციური სხეულები... ვ. ბერიძეც გარდამოხსნის გამოყოფას სხვა ჩვეულებრივი დანიშნულების დაფარნათაგან და მათ მიერ ბოლოდროინდელი მნიშვნელობის შექმნას გვიანდელ მოვლენად მიიჩნევს (XVI ს-ის ბოლო — XVII ს-ის დასაწყისი) და კონსტანტინოპოლის წმიდა სოფიის ტაძარს უკავშირებს (ბერიძე 1983: 11), გიორგი VIII-ის (1446-1466) გარდამოხსნაზე, რომელიც ყველაზე ადრეულად ითვლება, ამ ძეგლის აღმნიშვნელ ტერმინად გამოყენებულია „საფლავად დადება“: „რომლისა ბრძანებითა საფლავად დადებად მხსნელისა ჩუენისაჲ იესოს ქრისტესი შეიმზადა“ (ბერიძე 1983: 13). რაც შეეხება ტერმინს „გარდამოხსნა“, იგი პირველად იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის (1510-1565) მეფობის პერიოდში განახლებული ძეგლის წარწერაში გვხვდება: „ამა გარდამოხსნის სურვილით შემამკობელს ... შეუდნეს ღმერთმან“. XVII ს-იდან ამ სახელით ამ ტიპის ძეგლთა მოხსენიება საყოველთაო ხდება. რაც შეეხება ქართულ წერილობით წყაროებს, იქ ეს ტერმინი უფრო გვიან გამოჩნდა (ბარათაშვილი 2010: 24).

ტერმინები **დაფარნა** და **გარდამოხსნა** ზმნური წარმომავლობისაა, ისინი სახელადქცეული ზმნისპირიანი ფორმებია: ისტორიულად დაფარნა და გარდამოხსნა II სერიის წყვეტილის ზმნური ფორმებია. ძველ ქართულში სახელი, რომლის მრავლობითობა -ნ სუფიქსითაა გამოხატული, ჩვეულებრივ ითანხმებს ზმნას მრავლობით რიცხვში: „დაფარნა ცანი...“¹ პირდაპირი ობიექტი **ცანი** აჩენს მრავლობითის -ნ-ს ზმნის ფორმაში დაფარ-ნ-ა... ეს სინტაქსური წესი ძველი ქართულისათვის ნორმალაა მიჩნეული: ძველ ქართულში სახელი, რომლის მრავლობითობა -ნ- სუფიქსითაა გამოხატული, ჩვეულებრივ ითანხმებს ზმნას მრავლობით რიცხვში (შანიძე 1976: 159; სარჯველაძე 1975: 223); ხოლო სახელი **გარდამოხსნა** მომდინარეობს შემდეგი ლოცვის ტექსტიდან: „შუენიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი გუამი შენი, ქრისტე, და არმენაკითა წარგრავნა, სულნელებითა შემტურვილი, ახალსა საფლავსა და-

¹ შდრ.: „ეტლები ფარაოჲსი... შთასხია ზლუასა, ღრმამან დაფარნა იგინი, შთაჯდეს სიღრმედ ვითარცა ლოდი...“ (გამოსვლათა 15,5). „და დაფარნა იგინი ზლუამან, დაჯდეს ვითარცა ბრპენი-წყალსა შინა ფრიადსა“ (გამოსვლათა 15,10). „და დაფარნა წყალმან მაჰირვებელნი მათნი, და ერთიცა მათგანი არა განერა“ (ფსალმ. 105).

თანამედროვე ქართულშიც (უმეტესად პოეზიაში) გვხვდება სახელი **დაფარნა** „საბურველის, საფარველის მნიშვნელობით: „მთამ დაიფარა ნათლიერის თეთრი დაფარნა და მყუდროება დასადგურდა უცხო ტაფობთან“ (ჯ. აჯიაშვილი, სონეტები).

გდვა...“ (ვნების შვიდეულის [დიდი შაბათის] ტროპარ-კონდაკები); **გარდამოხსნა** (იოსებ) — წარმოადგენს მეორე სერიის (წყვეტილის) მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმას, რომელიც ამ ზმნის საწყისის თანმხვედრია, და ამიტომ, ტერმინი ენაში დამკვიდრდა, როგორც საწყისის ფორმა, რადგან ტერმინთა ანალოგიური — საწყისის ფორმით — წარმოება ენაში ტრადიციადაა ქცეული: მაგ.: დაბადება (შობა), ნათლისღება, მირქმა, ხარება, აღდგომა, მიძინება, სულთმოფენობა, ამაღლება, ფერისცვალება...

ლიტერატურა

შანიძე 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

შანიძე 1981 — ა. შანიძე, II, თხზულებანი 12 ტომად, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1984 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბილისი.

სარჯველაძე 1975 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, თბილისი.

კეკელიძე 1912 — კ. კეკელიძე, Иерусалимский канонарь XII века (грузинская версия). თბილისი.

ღამბაშიძე 1986 — რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი.

საბა — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ. I — 1991, II — 1993, თბილისი.

ბარათაშვილი 2010 — გ. ბარათაშვილი, ქართულ დაფარნათა იკონოგრაფიული თავისებურებანი (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი.

ბარათაშვილი 1999 — გ. ბარათაშვილი, დაფარნათა წარმომავლობის ისტორიიდან, ნარკვევები V, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი.

ბერიძე 1983 — ვ. ბერიძე, ქართული გარდამოხსნების ისტორიიდან, გარდამოხსნები. თბილისი.

შემოკლებათა განმარტება

მართლ. ენციკლ. 2007 — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენელი: ე. გაბიაშვილი (ხელმძღვანელი), მ. მამაცაშვილი, ა. ლამბაშიძე, თბილისი.

ქართ. ნაქარგობა 2011 — ქართული ნაქარგობა (ქართული საგანძური), ქარჩხაძის გამომც., რედაქტ. ლ. ბერიაშვილი, თბილისი.

საეკლ. ტერმ. 2003 — საეკლესიო ტერმინთა მცირე განმარტებითი ლექსიკონი, წიგნიდან „მწუხრისა და ცისკრის ლოცვათა და წირვის განმარტებანი“, შემდგენელი მღვდელი აკაკი (მეგრელიშვილი), თბილისი.

ლიტურგ. ლექს. 2003 — ლიტურგიკული ლექსიკონი (მასალები); საქართველოს საეკლესიო კალენდარი 2003 (ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 25, მღვდელმთავრობის 40 და დაბადების 70 წლისთავს). კალენდარზე მუშაობდნენ: დეკ. მიქაელი (წურწუშია), ექვთ. კოჭლამაზაშვილი, ეკ. ჩიკვაიძე... თსუ გამომც., თბილისი.

NINO KHAKHIASHVILI

Towards Some Terms of Verb Origin in Georgian (daparna gardamokhsna)

S u m m a r y

There are different enriching ways of lexical fund: origin of new words, their entering in a language... Changing of verbal forms into names is historically well-known process: "Besides those verbal forms which became proper nouns in Georgian such as **Yvtisavar**, **Mindi (Mindia)**, **Gamixardi**, **Maxare**... we can bring such examples when a present narrative 3rd person form was changed into a name in that way like **Xertvisi**. These are: **Yirs-i**, **Ars-i** and **Msgavs-i**" (A. Shanidze).

Today along the words which are widely spread in the literary Georgian such as: **Arsi**, **Yirsi**, **Mrçamsi**, **Vargisi**, **Iķitxvisi**, **Uçqisi**, **Nugeši** (old **Nugešini**)..., there are the names of similar origin and which have been preserved since the old times: **Izrvisi** "smth. that is movable" (Saba), **Ikcevisi** "smth. that is rotating" (Saba); **Ikvrivisi** "messenger" (Saba), the stem of which is **kari** >*i-kr-iv-is > **ikvrivis** (A. Shanidze), also in the Christian terminology: **Yirs-arsi**, **Yayad-vqavsi**, **Akebditi**, **Aķurtxevsi**, **Neķar-ariani** and others. These Christian terms are initial words of those psalms (of scriptures, hymns), which were sang (or read) during religious service. The names **daparna** and **gardamoxsna** seem to be of similar origin.

Daparna "cover of a sacred object" (Saba); "a woven fabric cover for chalice and bowl, mostly embroidered". **Gardamoxsna** – "a process of taking off the cross of Christ (Old **gardamoxsna** "descending from the cross") by Joseph Arimatieli.

Gardamoxsna is also called the moment in painting, art of metal-work, embroidery, etc." ("Orthod. encyc.").

Daparna and **Gardamoxsna** are of identical origin. Establishing of the term **daparna** should have been caused by frequent using of an initial word of liturgical inscription embroidered on the objects: "*daparna cani šuenierebaman šenman, kriste, da kebita šenita ayivso kveqana*" (with this praying a priest covers chalice with a material). During the times a verbal form became a name of this object. The similar situation is in **gardamoxsna**: "A church cover on which a composition of "Piesta" was pictured and then which was named "**gardamoxsna**". It was historically originated from the church cover under the name "daparna" and their functions and terminological separation were finally ended by the beginning of the 17th c" (G. Baratashvili).



ალექსი ჭინჭარაული

იგი იყო სრულიად გამორჩეული ადამიანი — მომადლებული ნიჭით, ღირსებით, ადამიანობით...

მისი სახელი ბევრს ნიშნავდა და ნიშნავს ენათმეცნიერთათვის, ფილოლოგათვის, ქართველოლოგათვის, კავკასიოლოგათვის... ნაცნობთათვის თუ უცნობთათვის...

მის ბიოგრაფიას რალაც ლეგენდური მოსდევდა: პატრიარქალური ხევსურეთი (რომლის ამბებსაც ფოლკლორული სიცხადითა და სიზუსტით მოგვითხრობდა), გადასახლებები, გაჭირვება, ორჯერ შესვლა უნივერსიტეტში, შატილში დაბრუნება — ლამის სამუდამოდ...

დაიბადა შატილში 1925 წლის 25 დეკემბერს. 1944 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ ერთი სემესტრის შემდეგ, მამის ავადმყოფობისა და ოჯახის აყრის გამო, იძულებული გახდა თავი დაენებებინა სწავლისათვის და მთაში დაბრუნებულიყო. მალე იგი შატილის საბჭოს თავმჯდომარე გახდა და, რომ არა უნივერსიტეტის მაშინდელ ხელმძღვანელთა ყურადღება, ეგებ სულაც სხვაგვარად წარმართულიყო მისი ცხოვრების გზა. ერის მომავლისთვის მზრუნველ მოღვაწეთა მადლით, 1950 წელს დაუბრუნდა ბატონი ალექსი უნივერსიტეტს და 1955 წელს დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილება. 1958 წელს დაამთავრა მან ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა და მუშაობა დაიწყო ლექსიკოლოგიის განყოფილებაში.

ამის შემდეგ მან სამუდამოდ უერთგულა ენათმეცნიერების ინსტიტუტს, ბოლომდე დარჩა მის გულშმატკივრად და ჭირისუფლად და ერთ დიდ ტკივილად მშობლიური ინსტიტუტის ბედიც წაიყოლა თან...

ალექსი ჭინჭარაულმა მიიღო ფართო ფილოლოგიური განათლება და მისი სამეცნიერო მოღვაწეობაც მეტად მრავალმხრივ წარიმართა. მას ბედად ერგო ყოფილიყო ქართული მეცნიერების ბრწყინვალე კორიფეების (აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გრიგოლ კიკნაძე...) ერთგული შეგირდი და მათგანვე აღიარებული უმცროსი კოლეგა; მან ჭეშმარიტად გაუმართლა იმედი დედაუნივერსიტეტსაც და მშობლიურ ენათმეცნიერების ინსტიტუტსაც და, შეიძლება ითქვას, მისხალი ვალიც არ წაუღია იმ ავანსიდან, რაც მას დიდმა წინამორბედებმა ჭაბუკობისას უსაგზღეს... ისტორიული და აღწერითი ენათმეცნიერება, დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია, ეტიმოლოგია, ფოლკლორი, ტექსტოლოგია, რუსთველოლოგია, ვაჟაოლოგია... — აი, ის ძირითადი დარგები, რომელთა სფეროში სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ნიჭიერი მკვლევრის მეცნიერულმა მიგნებებმა და ყოველთვის ანგარიშგასაწევმა დასკვნებმა. მას არასდროს მოუკიდებია კალმისთვის ხელი გეგმიური ფურცლის შესავსებად და მისი სიტყვა ყოველთვის სიახლითა და ორიგინალობით იყო გამორჩეული...

მეცნიერის მაღალი პროფესინალიზმი იყო საფუძველი იმისა, რომ ფაქტობრივ მისი ყოველი ნაშრომი საეტაპო და სანიმუშო აღმოჩნდა. 1960 წელს გამოვიდა მისი პირველი მონოგრაფია „ხევსურულის თავისებურებანი“ და ეს წიგნი დღემდე მიიჩნევა საუკეთესო ნიმუშად დიალექტთა აღწერისათვის. მან დიდი ამაგი დასდო ქართულ ლექსიკოლოგიას; ჯერ ერთი, მწერლის ლექსიკონებს შორის მართლაც გამორჩეულია მისი „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“ (1969); შემდეგ, ასევე აღსანიშნავია მისი რედაქტორობით შედგენილი „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ (1973); ხოლო რაც შეეხება „ხევსურულ ლექსიკონს“ (2005), რომელსაც ლამის ნახევარი საუკუნე ამზადებდა მეცნიერი, ის თავისი მოცულობითა და სიმდიდრით მართლაც სწორუბოვარია. ამ ნაშრომისათვის ლექსიკოგრაფმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვარლამ თოფურის სახელობის პრემია დაიმსახურა (როგორც თავად აღნიშნა, ყველაზე ძვირფასი სახელის პრემია მისთვის). სამწუხაროდ, ბატონ ალექსის არ დასცალდა ასეთივე რუღუნებით ნამზადები ფშაური ლექსიკონის გასრულება!

შეუძლებელია მეცნიერის ინტერესების სრულად წარმოდგენა, მაგრამ არ შეიძლება ასევე არ ითქვას მისი წვლილის შესახებ, ერთი მხრივ, ფოლკლორის აკადემიური ტექსტოლოგიისა და, მეორე მხრივ, ვაჟას ენისა და ტექსტების დადგენის საქმეში. სრულიად განსაკუთრებული იყო ალექსი ჭინჭარაულის ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და სამყაროსადმი; მისი წიგნი „ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის საკითხები“ (1982) ერთ-ერთი საუკეთესოა ამგვარ კვლევათა შორის. ერთი წიგნი კიდევ ჰქონდა ამ თემაზე მომზადებული; სიცოცხლის ბოლო წლებში მისთვის დამახასიათებელი გატაცებით ასაბუთებდა პომის ენის ჰერულობის იდეას და გული სწყდებოდა, რომ „თავისი“ ვეფხისტყა-

ოსნის გამოცემა ვერ მოასწრო!..

და ერთი განუმეორებელი ნიჭიც: ლექსო პაპამ სრულიად ახალი ეტაპი შექმნა ქართული სიტყვიერი კულტურის ისეთ უნიკალურ სფეროში, როგორიც ცინცხალი ექსპრომტები და კაფიებია...

ესეც მხოლოდ ბატონ ალექსის შეეძლო — ყოფილიყო უშურველი და უსაზღვროდ კეთილგანწყობილი და, იმავე დროს — სრულიად უკომპრომისო, პიროვნულ ურთიერთობაშიც და საზოგადო საქმეშიც. მარტო ეს რად ღირს: 1982 წელს გამოსულ ნაშრომზე სადოქტორო ხარისხი, დიდი დაძალებით, მხოლოდ 1994 წელს დაიცვა, რადგან კატეგორიულად თქვა უარი, რუსულად ეთარგმნა თავისი ნაშრომი!..

წავიდა ჩვენგან ღირსეული მამულიშვილი, შესანიშნავი მეცნიერი, ქართული სიტყვის ჩინებული ოსტატი, კეთილშობილი ადამიანი...

დანერგილი საქმე და დათესილი სიყვარული გაუნათებს მარადისობის გზას.

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი**

ადასრულა მან თვისი ვალი...

ალექსი ჭინჭარაულის, საყვარელი ადამიანისა და დიდად პატივცემული მეცნიერის, გარდაცვალების ამბავმა ძალიან დამამწუხრა. გულითად სამძიმარს ვუცხადებ მის ოჯახს.

ალექსი ჭინჭარაული იყო ძველი თაობის ერთ-ერთი უკანასკნელი მასწავლებელთაგან, რომელმაც მე ქართული ენათმეცნიერების სამყარო გამიხსნა და თავისი შეუდარებელი ცოდნით დამეხმარა. ამავდროულად ის ჩემთვის იყო ერთ-ერთი იმ ქართველთაგან, რომელიც თავის ინტერესს მეცნიერებისა და კულტურის მიმართ მჭიდროდ აკავშირებდა ერთმანეთთან, ბატონი ალექსის შემთხვევაში ხანგძლივი მუშაობით შოთა რუსთაველზე და სიტყვის უზადო ხელოვნებაზე, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია მისი მშობლიური კუთხისთვის და რომელიც მასში განაგრძობდა სიცოცხლეს.

ალექსი ჭინჭარაულმა შემოგვთავაზა არა მარტო ხევისურულის ამომწურავი გრამატიკა და გაგვაცნო ორმხრივი კულტურული რესპექტულობის მატარებელი ურთიერთობები ხევისურებსა და მათ ჩრდილოელ მეზობლებს შორის, არამედ შექმნა ასევე შრომები, რომლებიც ხევისურულის მთელ ხელოვნებას და მის მრავალფეროვნებას სიცოცხლეს უნარჩუნებენ და ამ გზით ხევისურულ ტექსტებს ქართულ ენობრივ კულტურაში მნიშვნელოვან წვლილამდე აამაღლებენ.

ხევისურები ბედნიერები არიან, რომ მათი პოეტური მემკვიდრეობა ჯერ კიდევ ადრე აკაკი შანიძემ აღწერა და შემდეგ კი ალექსი ჭინჭარაულმა შეინახა ძველი და ძლიერი ხევისურულის სიტყვათა საუნჯე. ალბათ, სხვას არავის შეეძლო ალექსი ჭინჭარაულის გარდა, შეეთხზა ეს ლექსიკონი, რომელსაც არა მარტო პრაქტიკულად იყენებ, არამედ კითხულობ, როგორც ხატოვანი მინიატურების კრებულს. ეს არის ამაღლვებელი დასტური მისი დამოკიდებულებისა მშობლიური კუთხის მიმართ და მისი კულტურული მემკვიდრეების შესანიშნავი ძეგლი.

ალექსი ჭინჭარაული იმ მეცნიერთაგანია, ვისაც სიცოცხლის ბოლოს შეუძლია თქვას, რომ დიახაც ადასრულა თავისი ვალი. მისი უაღრესად გულთბილი პიროვნება ჩემთვის მუდამ დაუვიწყარი იქნება აგრეთვე იმიტომაც, რომ მან დიდი სიხარული განმაცდევინა, როცა კავკასიოლოგების შეხვედრა ოლდენბურგში თავისი მოხსენებებით დაამშვენა. მაშინ ალექსიმ ისაუბრა ხევისურული

ხმით ნატირლების შესახებაც, და მე მინდა სიტყვა დავასრულო ერთი სტროფით სწორედ მისი მაგალითიდან:

შენ შენფერნ გინდან მატირალნიო,
შენის კაცობის დამფასავნიო,
წვიმათოდენნი გინდან ცრემლნიო,
მასკვლავთოდენნი სათვალავნიო!

ვინფრიდ ბოედერი

ოლდენბურგის უნივერსიტეტი, გერმანია

ტექნიკური რედაქტორი ლ. გაშაკიძე

**კომპიუტერული უზრუნველყოფა: თ. გაბროშვილი
რ. გრიგოლია
რ. შაბიაშვილი
რ. რატიანი**